ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. ს. ს. რ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს კომპარტიისა და რევოლიუციის
ისტორიის კომისია.

რევოლიუციის მატიანე

პარტიისის ისტორიული ჟურნალი

№ 1(11)

1925

250
ყმ
15.1

გამოსცემა საქ. პარტიულ-საბჭოთა პრესის ცენტრალური კანტორისა

ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომპარტიისა და რევოლიუციის

ისტორიის პრობლემა.

პარტიის ისტორიული ჟურნალი

„რევოლიუციის მატიანე“

1925 წლის განმავლობაში გამოვა არა ნაკლებ ექვსი წიგნისა ჩვეულებრივის სისქის (350 გვერ.) და ფორმატის.

1925 წელს „რევოლიუციის მატიანე“ განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს:

ა) „1905 წლის რევოლიუციას“, მისი ოცი წლის თავის შესრულების გამო.

ბ) ტფილისის კომორგანიზაციის და საერთოდ საქართველოს კომპარტიის ჩასახვა-წარმოშობა-განვითარების ისტორიას და

გ) როგორი სახე მიიღო ჩვენში მეორე პარტიულ ყრილობაზე მომხდარი რაკოლის შემდეგ ფრაქციულმა ბრძოლამ ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის, როგორ მიმდინარეობდა ეს ბრძოლა და სხ.

სათანადო მასალა რედაქციას ახლავე საკმაოდ მოეპოება, რომელიც შესებულ-გადამუშავებული იქნება ძველი პარტიული მუშაკი-ამხანაგების მიერ.

ვინაიდან ცეკას ცირკულიარული მიწერილობით პარტორგანიზაციებისადმი ჟურნალის გავრცელების საქმე დაკისრებული აქვთ პარტიულ ორგანიზაციებს, „რევოლიუციის მატიანე“-ნე ცალკე ხელის მოწერა თვიურად ან წლიურად არ იწარმოებს.

ჟურნალის თითოეულ გამოსულ ნომერს, თანახმად ცეკას ცირკულიარისა („რევოლიუციის მატიანე“-ს გამოწერა სავალდებულოა ქართულის მცოდნე, სამსახურში მყოფ პარტიის ყოველი წევრისათვის) ავრცელებენ როგორც პარტიულებში, ისე უპარტიოებში, პარტორგანიზაციები.

ცალკე ნომერი ღირს 1 მ. 50 კ.

პარტიისის გამგე **ს. თალაკვაძე.**

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. ს. ს. რ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს კომპარტიისა და რევოლიუციის
ისტორიის კომისია.

რევოლიუციის მატიანე

პარტისის ისტორიული ჟურნალი

№ 1(11)

1925

გამოსცემს საქ. პარტიულ-საბჭოთა ბრესის ცენტრალური კანტორისა

ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარჩევი.

გვ.

1. **ფ. მახარაძე**—ტფილისის ორგანიზაციის 30 წლ. არსებობა . 1
2. **ს. თალაკვაძე**—საქართველოს კომპარტიის ისტორიისათვის . 34

მასალები და დოკუმენტები

1. ნაროდნიკების არალეგალური მუშაობა საქართველოში . . . 60
2. ტფილისის სასულიერო სემინარია 1886 და 1893 წლებში . 81
3. ჟანდარმერიის თვალყური ომის დროს 91

1905 წელი ჩვენში

1. გურიის, სამეგრელოს და იმერეთის მცხოვრებთ (გენ. მალაბას მოწოდება) 95
2. ტფ. კომიტ. ფურცელი, გამოცემული საყოველთაო გაფიცვის დროს 99
3. 17 ოქტომბრის მანიფესტამდე (ქუთ. გუბერნატ. სტაროსელსკის ცირკულაარი, გენ. შირინკინის მოხსენებები) 100
4. 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ (ქუთაისის ჟანდარმთა სამმართველოს მოხსენება) 103
5. რუს. სოც. დემ. მუშ. პარტ. გორის ორგანიზაციის საქმე (საბრალმდებლო ოქმი და სხ.) 104
6. ჟანდარმერიის ერთი მოხსენებათაგანი 128
7. **დათიკო ნახარიძე**—როგორ ეწყობოდა გენ. შირინკინის მკვლელობა 1905 წლის ივლისში 131

საქართველოს კომპარტიის ტფ. ორგ. 20 წლ. არსებობისათვის

1. იუბილეის გადახდის შესახებ 137
2. **რაჟდენ კალაძე**—როგორ დავიწყე მუშაობა 139
3. **ს. თალაკვაძე**—ამხ. რაჟდენ კალაძის მოგონების გამო . . . 150

ბოლშევიკური ორგანიზაციები წარსულში

მოგონებანი: ილ. ვარდინის (მგელაძე), პ. საბაშვილის, გერმანე ნაფეტვარიძის, ი. ქარსელაძის 154

მოგონებანი

1. **კ. ცინცაძე**—ჩემი მოგონებანი 167
2. **სერაპიონ ლომიძე**—ქუთაისის ორგანიზაციის მუშაობა . . 205
3. **დ. ი. შერმანი**—ამხ. კამო 212
4. **ხ. ლომთათიძე**—მოგონებანი ძველ რევოლიუც. მუშაკებზე. 223

ავტობიოგრაფია

1. **მიხა ჩოდრიშვილი**—ჩემი თავგადასავალი 235
2. **ივ. ბუჩაშვილი**—ავტობიოგრაფია 247

რევოლიუციის მსხვერპლნი

1. ავთანდილ ერანისძე მამალაძე 253
2. ფილიმონ ელიშუესძე გოგოლაძე 254
3. მიხაკო ბერძენიშვილი 255
4. ილია ცინცაძე 256
5. თეოფილე გიორგისძე თედორაძე 257
6. ბენია ბერიძე 258
7. პართენ ბებურისძე მამალაძე 259
8. ტარასი მინდაძე 259

პარტიული არქივი

1. ბოლშევიკების მუშაობა საქართველოში მენშევიკების ბატონობის დროს 260
ა) მუშებისა და გლეხების რევოლიუციის ნიშნები, ბ) რას ფიქრობენ გ) პოლიტიკური მეძაობა.
2. **მუშა ვანო ჯეჯელავა**—მოწოდება მუშის 271

ჩვენი პროლეტარული რევოლიუციის ოცი წლის თავი

1. **მ. პოკროვსკის** წერილი და ანკეტის პროექტი 1905 წლის რევოლიუციისათვის 278

---

1. ს. ს. რ. პარტისთა წარმომადგენლების მესამე თათბირი . . 284

1905 წლის 9 იანვარი

1. რ. ს. დ. მ. პ. პეტერბურგის კომიტეტის ფურცლები 295
2. მუშათა პეტიცია მეფისადმი 298
3. **ზაალ მიქელაძე**—9 იანვარი პეტერბურგში (პირადი მოგონება). 303
4. **შ. ელიავა**—მოგონებიდან (1905 წლის იანვარი) 409
ტრიბუნა 312
წერილები რედაქციის მიმართ 330
განცხადებანი. . . . . .

სურათები: იოსებ ლალიაშვილი, რაჟდენ კალაძე, მიხა ჩოდრიშვილი, ი. ვარდინი, პ. საბაშვილი, ივანე ბუჩაშვილი, ავთანდილ მამალაძე, ფილიმონ გოგოლაძე, მიხაკო ბერძენიშვილი, ილია ცინცაძე, თეოფილე თედორაძე, ბენია ბერიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ. მახარაძე.

თფილისის ორგანიზაციის ოცდაათი წლის არსებობა.

მოსამზადებელი ხანა (1870—1890).

„მუშათა მოძრაობის გამოწვევა მხოლოდ ქადაგების საშუალებით, შეუძლებელია"...
ფრ. ენგელსი.

1. წინასწარი შენიშვნები.

გასული 1923 წლის მარტში ჩვენ ვიდღესასწაულეთ **რუსეთის კომუნისტური პარტიის** (წინად სოც.-დემ. მუშათა პარტიის) არსებობის **ოცდაათი წლის თავი**. ამა მიმდინარე 1924 წელს, სხვათა შორის, ბაქოს ორგანიზაციამაც იდღესასწაულა თავის არსებობის 25 წლის თავი. თფილისის ორგანიზაცია, როგორც ვიცით, ბევრათ უფროსია ბაქოს ორგანიზაციაზე,—კიდევ მეტი, ბაქოს ორგანიზაცია წარმოიშვა თფილისის ორგანიზაციის უშუალო ზეგავლენით. გარდა ამისა, თფილისის ორგანიზაცია, როგორც მრავალი სხვა სოც.-დემოკრატიული ორგანიზაციები მაშინდელ რუსეთში, გაჩნდა თვით პარტიის შექმნამდე, ე. ი. 1898 წლამდე. მასთან ერთად უნდა ითქვას, რომ თფილისის ორგანიზაციამ ამიერ-კავკასიის ფარგლებში ითამაშა მუშათა კლასის რევოლიუციონურ მოძრაობაში ისეთივე როლი, როგორსაც თამაშობდენ იმ ხანებში პეტერბურგის (ლენინგრადის), მოსკოვის, კიევის და სხვა დიდ ქალაქების სოც.-დემ. ორგანიზაციები იმ რაიონებში და გუბერნიებში, რომლებიც მათ გარს ერტყათ. აქედან ნათელი ხდება თფილისის ორგანიზაციის უაღრესი მნიშვნელობა როგორც მთელი ჩვენი პარტიისათვის, ისე განსაკუთრებით ამიერ-კავკასიის მუშათა მოძრაობისთვის. სამწუხაროდ, თფილისის ორგანიზაციის დაარსებიდან ოცდაათი წლის არსებობის აღნიშნა ჩვენ თავის დროზე ვერ მოვახერხეთ, მხედველობიდან გაგეშვით. ეს კი სამჭირო იყო. ამიტომ თავის თავად წარმოიშვა აზრი მისი 30—წლის არსებობის აღნიშნა.

მაგრამ აქ წინ გადაგვეღობა ერთი მეტად სერიოზული გარემოება. როგორც ცნობილია, ჩვენი პარტიის ისტორია ამიერ-კავკა-

სიის ფარგლებში საერთოდ და საქართველოში კერძოდ ჯერ კიდევ თითქმის სრულიად გამოურკვეველი და შეუსწავლელია. გამოურკვეველია კერძოდ ის, თუ სახელდობრ რომელ ამბავს, შემთხვევას, თუ გამოსვლას უნდა დავუკავშიროთ თფილისის ორგანიზაციის დასაწყისი, საიდანაც უნდა დავიწყოთ მისი წელთა აღრიცხვა. ჩვენ ვიცით, რომ 1892 წლის მიწურულში ქ. ზესტაფონში ადგილ-ქონდა კრებას მაშინდელ რეოლიუციონური ახალგაზდობის წარმომადგენლებისა **ეგნატე ნინოშვილის** მეთაურობით; მაგრამ ეს კრება ოდნავაც არ ჩაითვლება ნამდვილ სოციალ-დემოკრატიულ კრებად, თუმც იქ იყვენ ისეთი ახალგაზრდები, რომლებიც რამდენიმედ იცნობდენ როგორც მარქსის მოძღვრებას, ისე სოციალ-დემოკრატიას, მაგრამ იქვე იყვენ აგრეთვე ეგრედ წოდებულ ნაროდნიკული იდეების (უთავრესად მიხაილოვსკის) მიმდევრებიც. შემდეგ, 1893 წლის განმავლობაში, იგივე ახალგაზდათა რეოლიუციონური ინტელიგენციის წარმოადგენელები ხშირად იკრიბებოდენ თფილისში ეგ. ნინოშვილის, მ. ცხაკაიას და სხვების მეთაურობით. უმეტესად თვითგანვითარების მიზნით; მაგრამ ჯერ ერთი ის, რომ ამ კრებებს არავითარი ორგანიზაციული ხასიათი არ ქონებია; და მეორეც ის, რომ თუმც ეს ახალგაზდობა რეოლიუციონერად და სოციალისტურად იყო განწყობილი, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ გარდა ერთი-ორისა, არც ერთი იმათგანი გამოკვეთილი მარქსისტი ჯერ კიდევ არ იყო. შემდეგ, 1894 წ. სოფ. ჩოჩხათში (გურია) უდროოდ გარდაცვლილ ეგნატე ნინოშვილის დასაფლავების დროს ს. ჯიბლაძემ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც მან საზოგადოებას თუწყა **ახალი მიმართულების** დაბადებაზე ჩვენში, და ეს მიმართულება კი იყო **მარქსიზმი**, და მისი პირველი მოციქული ჩვენში იყო ის, ვისი საფლავის წინაშე ღაღადებდა დასახელებული ორატორი. ამ მიმართულებას და მის მიმდევრებს გ. წერეთელმა, რომელიც აგრეთვე დაესწრო ნინოშვილის დასაფლავებას, უწოდა **„მესამე დასი"**, და ამ სახელ-წოდებას, როგორც ვიცით, სავადასხვა მიზეზის გამო შემდეგშიაც დიდხანს ატარებდენ ქართველი მარქსისტები. ს. ჯიბლაძის ზეპით დასახელებულ სიტყვას დეკლარაციის ხასიათი ქონდა: იგი არ ეყრდნობოდა რაიმე ორგანიზაციას და კიდევ უფრო ნაკლებად რაიმე პრაქტიკულ მუშაობას.

ამ ნაირად 1892 წელს გამართული ყრილობა, 1893 წელს თვითგანვითარების წრეები და 1894 წელს ნინოშვილის დასაფლავების დროს მოხდარი დემონსტრაცია და ს. ჯიბლაძის დეკლარატიული სიტყვა შეიძლება ჩაითვალონ სოც.-დემოკრატიული მოძღვრების ჩანასახად ჩვენში, მაგრამ არას შემთხვევაში ჩვენი პარტიული ორგანიზაციის გამოსავალ წერტილად. მაგრამ, როგორც ახლა დანამდვი-

ლებით ირკვევა, 1894—96 წლებში ქ. თფილისის ქარხანა-ფაბრიკებში თუ სახელოსნოებში დიდი ხნიდან მოწინავე მუშებიდან შემდგარი წრეები თანდათან მარქსისტულ ანუ სოც. დემოკრატიულ ბასიათის გარდატეხას იღებენ და მათ უკვე ნამდვილი ორგანიზაციული სახე ანუ ფორმა ეძლევათ. მაგრამ აქ ჯერ კიდევ ბევრი რაა გამოურკვეველი და სადაოც არის. ხოლო ერთი რამ უცილობელი და უტყუარია: სახელდობრ ის, რომ ასე თუ ისე, მაგრამ სწორედ ამ წლებში ჩაეყარა მკვიდრი საფუძველი ჩვენ დღევანდელ თფილისის ორგანიზაციას. ყოველ შემთხვევაში, ეს საკითხი საჭირობს რაც შეიძლება საფუძვლიან გაშუქებას, და ეს მით უფრო, როცა ჩვენ გვინდა ვიდღესასწაულოთ თფილისის ორგანიზაციის 30 წლის თავი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ეს საქმე მიანდო **განსაკუთრებულ კომისიას** შემდეგი ამხანაგებიდან: **მ. ცხაკაია, ვ. სტურუა, არაქელ ოქუაშვილი, გ. ჩხეიძე და ფ. მახარაძე.** კომისია აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მივიდა შემდეგ დასკვნამდე: მიენდოს ამხ. ფ. მახარაძეს თფილისის ორგანიზაციის დაარსების წინა ხანის გაშუქება, ე. ი. გაშუქება მთელი იმ მომამზადებელი პერიოდის, რომელმაც მიგვიყვანა თფილისის ორგანიზაციის წარმოშობამდე (ამხ. ვ. სტურუას წინადადება). თანახმად ამ მონდობილებისა მე შევეცადე, რამდენადაც დრო და გარემოება ნებას მაძლევდენ, შემესრულებია დაკისრებული საქმე. ეს წერილი წარმოადგენს სწორედ აი ამ ცდას.

სოც.-დემოკრატიული მუშათა მოძრაობა გაჩნდა ჩვენში განსაზღვრულ ისტორიულ პირობებში, დაახლოვებით და ძლიერ მკრთალად აქ განმეორდა ის, რაც მოხდა რუსეთში უარყოფით და მაელი ყურადღების მიქცევით სოფლის „ობშჩინის" შენარჩუნებაზე და განვითარებაზე. საჭიროდ არ ვთვლით აქ ამ თეორიის გარჩევა-დაუსებას,— ეს ამოცანა უკვე შეასრულა მთელმა მერვინდელმა ისტორიულმა განვითარებამ: საკითხი გადაიჭრა „ობშჩინის" დაშლით და კაპიტალიზმის დროებით გამარჯვებით.

სოც.-დემოკრატიულ მუშათა მოძრაობას წინ მიუძღოდა რამდენიმე ეტაპი რევოლიუციონური მოძრაობისა. ლენინის განცხადების თანახმად ჩვენ, კომუნისტები-ბოლშევიკები, სრულებით არ უარვყოფთ იმ მდიდარ მემკვიდრეობას, რომელიც ჩვენ დაგვიტოვეს წინანდელმა მოძრაობებმა. პირიქით, ამ მემკვიდრეობას ჩვენ ვეყრდნობით და ვიყენებთ ახალ ისტორიულ პირობებში და მით ვამდიდრებთ ჩვენ წარსულ ცხოვრებას და ჩვენს გამოცდილებას. როგორც ვიცით, დროის მიხედვით ყველაზე უფრო დაახლოვებული რევოლიუციონუ-

რი მოძრაობა სოციალ-დემოკრატიულ მუშათა მოძრაობასთან რუსეთში იყო ნაროდნიკული ანუ სოციალისტ-რევოლიუციონური მოძრაობა გასული საუკუნის მესამოცდაათე და მეოთხმოცე წლებში. ეს მოძრაობა, რომელმაც სულ რაღაც რამდენიმე წლის განმავლობაში შეაძრია არა მარტო რუსეთი, არამედ გამოიწვია გამოძახილი და დიდი ხმაურობა მთელს ევროპაში, ეყრდნობოდა **ნიკოლოზ ჩერნიშევსკის** შეხედულებას **სოფლის მუშაობაზე**, ე. ი. მიწის სათემო მფლობელობაზე. თანახმად ამ შეხედულებისა, რუსეთში სოციალიზმი დამყარდებოდა არა კაპიტალიზმის განვითარების გზით, არამედ კაპიტალიზმს უკუგდებით და სამეც აქ იმაშია, რომ რუსეთის ნაროდნიკების მოძრაობამ ჩვენშიაც მოიპოვა გამოძახილი. მაგრამ თუ თვით რუსეთში ამ მოძრაობას ჭონდა მაინც რამდენიმედ ნიადაგი (ერთის მხრით, ჯერ კიდევ იმ ხანებში საკმარისად დაცული სათემო მიწადმფლობელობა, მეორე მხრით ამ სათემო მიწად მფლობელობის ისეთი ავტორიტეტის მქონე მწერალი, როგორიც იყო ზევით დასახელებული ჩერნიშევსკი), ჩვენში ამ მოძრაობის გადმოტანას და გადმონერგვას სრულიად არავითარი ნიადაგი არ შეიძლებოდა რომ ქონებოდა; და ეს სწორედ ასეც მოხდა. მაგრამ ფაქტია, რომ ნაროდნიკული იდეები და მოძრაობაც ჩვენშიაც იქნა გადმოტანილი, თუმცა, რა თქმა უნდა, მეტად სუსტად და მკრთალად, და თუმცაღა ნაროდნიკულმა იდეებმა აქ სრულებით ვერ მოიკიდეს ფეხი გლეხკაცობაში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, როგორც ჩვენ ამას ქვევით დავინახავთ, სულ უკვლოდ ამ იდეებს მაინც არ ჩაუვლია.

უპირველეს ყოვლისა აქ უნდა შევნიშნოთ აი რა: სულ უკანასკნელ დრომდე ნაროდნიკული მოძრაობის შესახებ საქართველოში ჩვენ ან სრულებით არ ვიცოდით და, ან ვიცოდით რაღაც კანტიკუნტი ცნობები. საერთოდ ეს მოძრაობა სიბნელით იყო მოცული. ამ უკანასკნელ დროს ჟურნალ **„რევოლიუციის მატიანეში“** გამოქვეყნებული წერილები ამხ. **მ. ჩოდრიშვილის, შ. დავითაშვილის და ს. მგალობლიშვილის** უკვე საკმარისად აშუქებენ ნაროდნიკების საქმიანობას საქართველოში. გარდა ამისა დასახელებული ავტორების წერილებში აღნუსხული ფაქტების ადასტურებს ერთი, სულ ამ უკანასკნელ დროს აღმოჩენილი დოკუმენტი, ეს არის **„მოხსენება შატას-კაიატან ხრისტოფოროვისა სოციალ-რევოლიუციონური საზოგადოების დაარსების შესახებ ამიერ-კავკასიაში“**, რომელიც შედგენილია 1876 წლის მეორე ნახევარში თფილისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამართველოში შეგროვილ ცნობების მიხედვით [1].

ზევით ჩამოთვლილ მასალების მიხედვით ნაროდნიკული მიმართულების იდეების გავრცელება ჩვენში იწყება დაახლოებით 1872

[1] ეს მოხსენება იბეჭდება ამავე ნომერში.

წლიდან. ეს ხდებოდა რუსეთში მოსწავლე ახალგაზრდობის საშუალებით. ეს ახალგაზრდობა, რამდენადაც თითონ ებმებოდა ნაროდნიკულ მოძრაობაში რუსეთში, იმდენად ის ცდილობდა, რომ ეს მოძრაობა გადმოეტანათ და გაეერცელებინათ ჩვენშიაც. ეს იყო სრულიად ბუნებრივი მოვლენა. რუსეთში მოსწავლე ქართველები, რომლებიც ნაროდნიკულ მოძრაობამ ჩაითრია, აწყობდენ კავშირს საქართველოში მყოფ თავის ტოლ-ამხანაგ-მეგობრებთან, თუ სიტყვით, თუ წერილებით, თუ არალეგალურ ლიტერატურის მიწოდებით. საყურადღებოა აქ კიდევ ის გარემოება, რომ თითქმის ყველა ეს ახალგაზრდები თავის სოციალური მდგომარეობით საზოგადოების მხოლოდ მაღალ ფენს, ე. ი. თავად-აზნაურობას ეკუთვნოდენ. და აი, სწორედ ისინი უნდა დაახლოვებოდენ გლეხებს და მოეხდინათ მათში აჯანყება თავად-აზნაურული მთავრობის წინააღმდეგ.

როგორც სჩანს, გამოქვეყნებულ მასალებიდან უმაღლეს წერტილს ნაროდნიკულ მოძრაობამ ჩვენში მიაღწია 1876 წლის პირველ ნახევარში, ხოლო ამაღე წლის შემოდგომაზე (ოქტომბრის თვეში) მთავრობამ თითქმის ერთის დაკვრით მოუღო ბოლო ამ ორგანიზაციას. როგორც ირკვევა ხრისტოფოროვის მოხსენებიდან, მთავრობას ყოლოდა თვით ნაროდნიკებში რამდენიმე პროვოკატორ-ჯაშუში; ამათი გვარები არის დასახელებული მოხსენებაში. ესენი იყვნენ: **გაბრიელ ბაქრაძე, სიმონ გეგელიძე** და **იაგორა იოსელიანი** [1]. როგორც ხედავთ, რევოლიუციონურ მოძრაობის დაწყებისთანავე გაჩენილან იუდა-გამცემლებიც. ეს პროვოკატორები მიყენებული ყოფილან ნაროდნიკების მთავარ მომქმედ პირებს და ისინი აცნობებდენ მას რევოლიუციონერების თითეულ ნაბიჯს. ამ პროვოკატორების წყალობით 1876 წელს 4 ოქტომბერს დაპატიმრებულ იქნენ: ეგნატე იოსელიანი, სტუდენტი თ-ლი ღ. ჩერქეზაშვილი, არსენ კალანდაძე (ვგონებ ერთად-ერთი გლეხი, თუმც წიგნის მაღაზიის პატრონი), თ-დი იოსებ მაყაშვილი, მღვდელი სამადაშვილი, დავით ფურცელაძე, თ-დი ალ. მაყაშვილი, ვ. დეკანოზიშვილი, სერგო შეცოვი და ალ. არდასელოვი. თავდებ ქვეშ იქნენ გაშვებული: თ-დი იორამე ჯორჯაძე, ელენე ყიფიანი, სოფიო ჯორჯაძე, ქრისტინე რარაკი, არშაკ საფაროვი და სოფრომ მგალობლიშვილი.

გარდა ამისა 7 კაცი (თითქმის ყველა თავადი) პოლიციის მხედველობის ქვეშ იქნენ მიცემული და 26 კაცს აეკრძალა საცხოვრებელი ადგილიდან სამშვ წასვლა, მაგრამ ხრისტოფოროვის სიაში კიდევ ბევრი არაა მოხსენებული ისეთები, რომლებიც მთავრობას

[1]) ს. მგალობლიშვილი თავის მოგონებაში იხსენიებს მხოლოდ იაგორა იოსელიანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაუარდენ ხელში და ისეთებიც, რომლებიც მას ხელიდან გაუსხლტენ, მაგ., ის. ჭიქოძე, რომელიც ოსმალეთში გადაიხიზნა, შემდეგ მიხელ ყიფიანი, ძმანი გაბიჩვაძეები (ვარლამ და პლატონ) ნ. ნიკოლაძე, ანტონ ლორთქიფანიძე, ნესტორ თავდგირიძე, მელიტონ ნაკაშიძე და მრავალი სხვები.

როგორც ირკვევა, ნაროდნიკული იდეები საკმარისად მოედო მაშინდელ ქართველ ინტელიგენციას. მეთაურები და ტონის მიმცემნი იყვნენ რუსეთიდან გ. ზდანოვიჩი, ივ. ჯაბადარი, ცაციშვილი, ჩიკოიძე, საქართველოში კი ის. ჭიქოძე, მიხ. ყიფიანი, ძმანი გაბიჩვაძენი და სხვ. ნაროდნიკებს მოქონდათ რუსეთიდან და აერცელებდენ აკრძალულ ლიტერატურას საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში და კუთხეებში (თფილისში, ქუთაისში, ოზურგეთის მაზრაში, რაჭაში, ქართლ-კახეთში). რამდენიმე ასეთი ბროშურა გადაუთარგმნიათ ქართულ ენაზე (მღვ. სამადაშვილს, გაბიჩვაძენს) და კიდევაც დაუსტამბავთ.

ამათი მეცადინეობა მიმართული იყო მხოლოდ გლეხების ასაჯანყებლად. ცდა ამის ყოფილა, მაგალ., სამეგრელოში, სოფ. ჯვარში, იმავე 1876 წელს, ზაფხულში, მაგრამ, როგორც სჩანს, ეს მომხდარა მთავარ ხელმძღვანელების უნებართვოთ. ასეთივე მზადება ასაჯანყებლად ყოფილა რაჭაში, გურიაში და ქართლში. მაგრამ ხალზე ეს ქადაგება ვერ მოქმედება. აი რას ამბობს ამის შესახებ ერთი მონაწილეთაგანი—**სოფრ. მგალობლიშვილი**: „ხალხისნური მოძრაობა, რუსული, ნაროდნიკობა, თავდაპირველად ინტელიგენციამ და სტუდენტობამ გაიზიარა. **ხალხი ჩვენ არ გვყარებდა, განსაკუთრებით გლეხობაო**[1]). ამნაირად, ნაროდნიკების ორგანიზაცია და მუშაობა ხალხს ვერ მიეახლოვდა და არც შეიძლებოდა რომ მიახლოვებულიყო. ჯერ ერთი იმიტომ, რომ გლეხკაცობა, რომელიც იმათი ობიექტი იყო, მეტად გაუნათლებელი და ჩამორჩენილი იყო ნაროდნიკების იდეების შესათვისებლად; მეორეც ის, რომ ისინი, ვისაც ხალხის გაბედნიერება უნდოდა, თითქმის ყველანი სწორედ ამ ხალხის მრაგვრელების წოდებას ეკუთვნოდენ და იმიტომ გლეხები იმათ ვერ გაყვებოდენ.

უნდა ითქვას, რომ საქართველოს ფარგლებში რუსეთის ნაროდნიკული მოძრაობის შეჩერება მთავრობის რეპრესიების მეოხებით შედარებით უფრო ჩქარა მოხდა, ვინემ თვით რუსეთში. 1876 წლის შემოდგომის შემდეგ ეს მოძრაობა ჩვენში უკვე წელში გატეხილი იყო, იმას ფეხზე წამოდგომა აღარ შეეძლო. მთავრობამ მიფანტ-მოფანტა და გადაასახლა საქართველოდან ნაროდნიკული მი-

[1]) იხ. „რევოლიუციის მატიანე"—№ 5-4 (9-10). სოფრ. მგალობლიშვილის მოგონება, გვ. 302.

მართულების უმთავრესი ხელმძღვანელები; დარჩენილებმა თანდათან ხელი აიღეს ნაროდნიკულ იდეებზე, სოციალიზმის ქადაგებაზე და გლეხების აჯანყების მოწყობაზე, და ან უბრალო ლიბერალები შეიქნენ, ან კიდეც პირდაპირ შავრაზმელ-ცაათ იქცენ. ერთად ერთი, რაც დარჩა ნაროდნიკების გაფანტვის და გადასახლების შემდეგ—ეს იყო აკრძალული ლიტერატურა, სოციალისტური იდეების რამდენიმედ პოპულიარიზაცია მოსწავლე ახალგაზრდობაში. საუკეთესო ნაწილი დარჩენილებს შორის შეუდგა უბრალო კულტურულ მუშაობას ან მოთხრობების წერას გლეხების ცხოვრებიდან, ცდილობდენ თანაგრძნობის მიპყრობას გლეხებისადმი, რისთვისაც დაიმსახურეს „ტეტიათა მოტრფიალეთა“ სახელწოდება (ჟურნალი „**იმედის**“ მიმართულება). ზოგიერთებმა კიდეც, როცა ისინი დარწმუნდენ, რომ გლეხკაცობაში თანაგრძნობას ვერ მოიპოვებდენ, დაიწყეს ყურადღების მიქცევა **ხელოსნებისადმი**, ერთი მხრით, და **მოსწავლე ახალგაზრდობისადმი**, მეორე მხრით. ამას ამოწმებს ს. მგალობლიშვილიც. იგი ამბობს: „რაკი ხალხში გასვლით ვერ გავაწყეთ რა, ჩვენი მოქმედების ფრონტი და ტაქტიკა შევცვალეთ, გადავწყვიტეთ, **მასწავლებლებ გვეშოქმედნა მოსწავლე ახალგაზრდობაზე, ხელოსნებზე**, გვემართნა იაფ-ფასიანი სახალხო წარმოდგენები [1].

ამნაირად ნაროდნიკული ჯგუფი ჩვენში დაიქსაქსა და ფერი იცვალა. თუ მცირე ნაწილი ამ ჯგუფისა შერჩა ისევ ძველ მსოფლმხედველობას და არალეგალურ მუშაობას, უფრო დიდი ნაწილი გადავიდა კულტურულ მუშაობაზე, და გარდა ამისა, მას პატრიოტული ელფერიც დაეტყო, ანუ გადაგვარდა. ამ უკანასკნელ გარემოებას ადასტურებს შემდეგი ფაქტი. როგორც მოგვითხრობს ამბ. მ. ჩოდრიშვილი 1878 წელს ნაროდნიკების ერთ ჯგუფს, რომელშიაც შედიოდენ სტ. ჯერელაშვილი, ბიღანაშვილი, კ. ჩერქეზიშვილი, ვ. რცხილაძე და სხვები, მიუმართავთ ხელოსანთა კავშირისათვის, რომელშიაც შედიოდა თვით ამბ. მიხა ჩოდრიშვილი. ამ უკანასკნელის გადმოცემით ხსენებული ჯგუფი ეწეოდა იმ დროს უკვე წმინდა პატრიოტული ხასიათის პროპაგანდას, ე. ი. უქადაგებდენ ხელოსან-მუშებს საქართველოს განთავისუფლების შესახებ [2]. ავტორის ცნობით, ამ ხელოსან-მუშების კავშირი ჩქარა ჩამოშორებია ნაროდნიკების ხსენებულ ჯგუფს, რადგანაც ეს უკანასკნელი პირველებს ვერ აკმაყოფილებდა. ამიტომ „ნაროდნიკების“ ხსენებულმა ჯგუფმა ხელოსან-მუშების ნდობა ვერ დაიმსახურა. იმ დროს ეს ხელოსნები-მუშები უკი-

[1] იქვეე გვ. 303. ბაზს ყოველგან ჩვენ ვუსვებთ.

[2] იხ. „ძვე. მატიანე“, № 4-5 (9-10). მ. ჩოდრიშვილი: ჩემი თავგადასავალი, გვ. 340.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დურეს გაჭივრებას განიცდიდენ, რადგან ისინი უზომოდ და უსაზღვროდ იყვლიფებოდენ თავიანთი ხაზინების მიერ; და იმავე დროს კი იმათ გულშემატკივარი არავინ ყავდათ. მეტად საგულისხმოა ამ მხრით სახალხო პოეტის **იოსებ დავითაშვილის** შეუწყვეტელი გოდება იმის შესახებ, რომ ხელისან ხალხს არავინ ყავდა დამცველი, არ იყო ადამიანი, რომელსაც შესძლებოდა მისი გამოსარჩლება. ეი რას სწერდა იგი სხვათა შორის, 1880 წლების დასაწყისში: „მაგრამ ვაი ის არის, რომ ჩვენში სანთლით საძებნელნი არიან მეთაურნი და ხალხისთვის გულშემატკივარნი პირნი [1]). და ეს იყო სავსებით მართალი. ამ მუშა-ხელისნებზე მე შევჩერდები რამდენიმეთ ცოტა ქვევით. აქ კი საჭიროა მკითხველების ყურადღება მივაქციო შემდეგ უაქტს. ჩვენ ზევით ვთქვით, რომ იმ დაკერის შემდეგ, რომელიც რუსეთის ნაროდნიკებმა განიცადეს ჩვენში 1876 წლის ბოლოს, იწყება იმათი დაქსაქსვა, უკან დახევა, ძველ იდეებთან ჩამოშორება. ისინი თითქო გამოფხიზლდენ და ზოგიერთმა იმათგანმა კიდევაც მიაყურთხეს თავის წარსულ მოღვაწეობას. ასე მოუვიდა საერთოდ ქართველ ნაროდნიკების ძველ წყებას, ძველ თაობას, რომელიც თითქმის სულ-ერთავად თავად-აზნაურთაგან შესდგებოდა, მაგრამ ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ მეოთხმოცე წლებიდან ჩვენში ჩნდება „ნაროდნიკების“ **ახალი თაობა**. უნდა ითქვას, რომ ეს ახალი თაობა დაადგა ნაროდნიკების იმ მიმდინარეობას, რომელსაც გამოხატავდა **„ნაროდნაია ვოლია“ ჟელიაბოვის** და **პეროვსკაიას** მეთაურობით. ამავე დროს იყო ორი გარემოება, რომლებიც ერთნაირ საზღვარს დებდენ ნაროდნიკებს წინა და ამ ახალ წყებას შორის: 1) ეს იყო ამ ორი თაობის **ხრულიად სხვადასხვა სოციალური შემადგენლობა**. ასე, მაგალითად, მესამოცდაათე წლების ნაროდნიკები სულ ერთავად მხოლოდ საზოგადოების მაღალ ფენებიდან, თითქმის განსაკუთრებით თავად-აზნაურობისაგან შესდგებოდენ, მეოთხმოცე წლების ნაროდნაკული ჯგუფი, პირიქით, ხალხის დაბალ ფენებიდან, „რაზნოჩინცებიდან“ იკრიბებოდა. ესენი იყვენ გამოსული განსაკუთრებით მდაბიო ხალხიდან, გლეხებიდან, დაბალი სა'ულიერო წოდებიდან, დაბალ მოქალაქეებიდან და სხვ., და 2) ეს ახალი თაობა თავის ქადაგებით, სიტყვით თუ წერით, მიმართავდა უკვე არა **გლეხკაცობას**, არამედ მოსწავლე ახალგაზრდობას და მუშა-ხელისნებს.

სოციალისტ-ნაროდნიკების ამ ახალ თაობაში პირველი ადგილი ყოველ ეჭვს გარეშე უპირაველ **გოლა ჩიტაძეს**, რომელიც დაახლოებით 1880-4 წლებში სწავლობდა თფილისის სემინარიაში. რო-

[1]) იხ. იოს. დავითაშვილის თხზულებანი. გამოცემა 1890 წ. გვ. XXIX.

გორც მოგვითხრობს მ. ჩოდრიშვილი, „1882 წელს ზ. ჭიჭინაძემ [1]) გამაცნო გოლა ჩიტაძე, ბ. მოსეშვილი და ის. რამიშვილი. ამათ რომ გაიგეს ჩვენი „ქარგალთა კავშირის“ არსებობა, განსაკუთრებით გოლა ჩიტაძემ, ხშირად დაიწყო ჩვენთან სიარული“ [2]). გ. ჩიტაძე უკითხავდა და აცნობდა ამ ხელოსნებს არალეგალურ ნაროდნიკულ ლიტერატურას. სხვათა შორის, ამავე ჩიტაძემ ქართველ მუშა-ხელოსნებისთვის გადმოთარგმნა და დაბეჭდა გექტოგრაფზე ნაროდნიკულ-სოციალისტური ბროშიურა „ოთხი ძმის ზღაპარი“ 200 ცალად. ჩიტაძის ირგვლივ შედგა მაშინ ახალგაზდათა წრე, განსაკუთრებით სემინარიელებიდან, და რამდენიმეთ სამასწავლებლო ინსტიტუტიდან; ამათგან უნდა მოვიხსენიოთ აქ, გარდა ზევით დასახელებულ მოსეშვილისა (რომელიც შემდეგ შავი ქვის მრეწველი და მუშების მყვლეფელი გახდა) და ის. რამიშვილისა (შემდეგში ცნობილი მენშევიკი) **მაღლაკელიძე** (გარდაიცვალა ქლეჩეთ სულ ახლახანს), **ლალიაშვილი**, რომელმაც 1886 წელს მოკლა სემინარიის რექტორი **ჩუდეცკი**, უჩხაძე, შენაბაძე და სხვები. 1885 წლიდან ამ წრეს დაუახლოვდენ, სხვათა შორის, ამ სტრიქონების ავტორიც და ნ. ჟორდანია. ამ წრესთან ქონდა დამოკიდებულება ამბ. **ზ. ცხაკაიასაც**, ალბად ჩემზე წინ. რაც შეეხება **ს. ჯიბლაძეს**, იგი ამ დროს თფილისში აღარ იყო, იგი იხდიდა სასჯელს სემინარიის რექტორის გალახვისათვის ეკატერინოდარის დისციპლინარულ ბათალიონში. ამ დროს მე სემინარიის უმცროსი კლასის მოწაფე ვიყავი. გოლა ჩიტაძე და მისი ძმახანაგები უკვე მომწიფებული ხელმძღვანელები იყვენ. ისინი უახლოვდებოდენ უმეტეს ნაწილად ხელოსან ხალხს და მუშებს და იმათში ეწეოდენ პროპაგანდას (ვიწრო წრეებში). ამ პროპაგანდას არ ჩაუვლია უნაყოფოდ. მუშა-ხელოსნების მოწინავე ჯგუფში დაიბადა დიდი ინტერესი თვითმოქმედებისა და თაოსნობისა თავისი საკუთარი ინტერესების დასაცავად. და რადგანაც არსებულ ლეგალურ ლიტერატურაში იმათ არ შეეძლოთ თავის გულის წადილის გამოთქმა, ამიტომ იმათ გადასწყვიტეს თავისი საკუთარი ხელნაწერი ჟურნალის გამოცემა, თავისივე ინიციატიითა და თავისივე საკუთარი ძალებით. ეს მეტად საგულისხმიერო ამბავია საქართველოს მუშათა მოძრაობის ისტორიაში [3]).

[1]) ზ. ჭიჭინაძე იმ ხანებში უკვე „გასოციალისტებული“ იყო, ანუ როგორც თითონ ამბობს, იგი მაშინ „ფანატიკოსი—სოციალისტი“ იყო და ტრიალებდა როგორც ქართველ და რუსეთიდან გადმოსახლებულ რუს-ნაროდნიკების წრეში, ისე თფილისის ხელოსნებში. მისი საშუალებით ხდებოდა გაცნობა-კავშირი ამათ-შორის და არალეგალური ლიტერატურის გავრცელებაც

[2]) „რევ. მატიანე“ №4—5 (9—10), გვ. 342.

[3]) ამბ. რ. კალაძე, რომელმაც ამ საკითხს უძღვნა ცალკე გამოკვლევა, ასე ხსნის ამ ფაქტს: „აქ (საქართველოში) გაცილებით უფრო მეტად დაუახლოვდა

როგორც ჩვენ უკვე დავინახეთ, დაბეჩავებული და დაჩაგრული მუშა-ხელოსნის აზროვნება და შემოქმედება ჩვენში პირველად იოსებ დავითაშვილის პოეზიაში პოულობს თავის გამოხატულებას. დავითაშვილი გარდაიცვალა 1887 წელს. რამდენიმე წლის განმავლობაში იგი დასტაროდა მუშა ხალხის ტანჯვას და მოუწოდებდა მას შეერთებისაკენ და სწავლა-განთლებისაკენ. დავითაშვილი ვერ მიხვდა და არც შეეძლო მისულიყო კლასთა შორის ბრძოლის შეგნებამდე. მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ იგი საკმარისად გრძნობდა წინააღმდეგობას მდიდრებსა და ღარიბებს შორის. იგი ამბობდა: „ხელოსნები თავის გაუნათლებლობის მიზეზით ვერ მიმხვდარან მიზეზს თავიანთ სიღარიბისა და ხელობის დაცემისაო". მაგრამ რამდენად მაღლა იდგა დავითაშვილი მოკავალ მის დროის მწერლებზე და პუბლიცისტებზე, ეს სჩანს იქიდან, თუ როგორ უყურებდა იგი მაშინდელ კოოპერატიულ ამხანაგობებს. „თვით გამოჩენილი და სახელგანთქმული შუღლე დელიჩის წესდებაზედაც შედგენილი ამხანაგობაც კი მხოლოდ დროებითი დაბმარებაა გაჭირვებული მუშა-ხელოსნებისთვისო" [1]).

ეს საკმარისად ღირსშენიშვნელოვანი განცხადებაა იმ დროისთვის. ჩვენ არ ვიცით, იყო თუ არა დავითაშვილი დაკავშირებული გოლა ჩიტაძის და სხვების წრეებთან. ვფიქრობთ, რომ არ ყოფილა, რადგანაც იგი ერთ ადგილას არ ცხოვრობდა, ლუკმა პურის ძიებაში იგი დაწანწალობდა სხვადასხვა ქალაქებში. მაგრამ რომ იოს. დავითაშვილს დიდად აფასებდენ მუშები და ხელოსნები, ეს სჩანს შემდეგი ფაქტიდან: მისი გარდაცვალების გამო თფილისის მუშებმა და ხელოსნებმა, რიცხვით ასმა კაცმა, სამწლოვიარო წერილი გაგზავნეს „ივერიის" რედაქციაში, სადაც ეწერა, რომ თფილისის მდაბიო მუშა ხალხი გულწრფელად გლოვობს დავითაშვილის დაკარგვასო. ასევე მოიქცენ თელავის და გორის მუშა-ხელოსნები. თვით დასაფლავების დროს ქ. თელავში ვინმე ხელოსან გოცირიძეს ალელვებული ხმით წამოუთქვამს სიტყვა, რომელშიაც უთქვამს, რომ ჩვენ, მუშებ-

---

ხალხს მწერლობა, ვიდრე რუსეთში. ქართული გაზეთი და წიგნი „მდაბიო ხალხში" უფრო ადრე გავრცელდა, ვიდრე რუსული გაზეთი და წიგნი რუსის ხალხშიო. (იხ. „რევ. მატიანე," № 1, ს. კალაძის წერილი: „მუშათა ქართული ჟურნალ-გაზეთის ისტორია".) ამას კალაძე ამ გარემოებას ხსნის უმთავრესად იმით, რომ „ჩვენში საერთოდ, მისი სიტყვით, მწერლობა არ იყო ისე კარჩაკეტილი გაბატონებულ კლასების საზღვრებში, როგორც რუსეთში და ევროპაში". შეიძლება ეს აზრი მართალი იყოს, მაგრამ არა მარტო ამ მიზეზით უნდა აიხსნას ზეით მოხსენებული ფაქტი. ჩვენ აქ არ გამოვეუდგებით ამის მიზეზების გამორკვევას; შევნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ თვით ის ფაქტი, რომ მწერლობა არ იყო ჩვენში ისე კარჩაკეტილი, როგორც მაგ. რუსეთში, საჭიროებს თავის ახსნას.

[1]) იხ. დავითაშვილის თხუთულებანი. გამ. 1890 წ.

მა და ხელოსნებმა, დავკარგეთ გულითადი მეგობარი და ჩვენი სულისკვეთების გამომხატველიო.

ეს იყო პირველი შემთხვევა, რომ ქართველი მუშები და ხელოსნები საჯაროდ გამოვიდენ და თავის აზრს ამეღავნებდენ.

ამას შემდეგ გავიდა ორი წელიწადი და 1889 წელს თფილისის მუშა-ხელოსნებმა გამოუშვეს საკუთარი ხელნაწერი ჟურნალი სახელწოდებით „მუშა“. ეს ჟურნალი ორი წლის განმავლობაში გამოდიოდა ხელნაწერად. ამავე წესით გამოდიოდა 1891 წელს „განთიადი“, 1892 წელს „სხივი“ და 1899 წელს—„სანთელი“ (ბეჭდვითი ჟურნალი) [1]. აქ დრო არა გვაქვს დაწვრილებით გავარჩიოთ და დავიფასოთ ეს ჟურნალები შინარსის მხრით. ვიტყვით მხოლოდ აი რას: აქ ჩვენ ვხედავთ უწინარეს ყოვლის ქართველ მუშების შემოქმედებას. მასთან ერთად ჩვენ აქ ვხედავთ, რომ იმათ იმ დროს ვერ აკმაყოფილებდა არსებული ლეგალური ჟურნალ-გაზეთობა, და სწორედ ამიტომაც იმათ მოუნდომებიათ თავისი საკუთარი ჟურნალის გამოცემა. რა ნაკლულევანებაც არ უნდა ქონებოდა მუშების საკუთარ გამოცემას, ეს მაინც დიდ წინ გადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს. არ უნდა დავივიწყოთ ამასთანავე ის, რომ თფილისის მუშებს ამ საქმეში არ ყოლიათ გარედან არავინ ხელმძღვანელთაგანი, ყველაფერი მათი საკუთარი ძალით და თაოსნობით კეთდებოდა. რა თქმა უნდა, შეუძლებელია იმის თქმა, რომ მუშებზე და ხელოსნებზე მაშინ არ ახდენდენ გავლენას ის ნაროდნიკულ-სოციალისტური იდეები, რომლებიც მაშინ ტრიალებდენ ჩვენში როგორც ადგილობრივ მოსწავლე ახალგაზდობაში, ისე რუს-გადმოსახლებულებში. გასული საუკუნის მეოთხმოცე წლების დამლევს და მეოთხმოცდაათე წლების დასაწყისში საქართველოს მუშა-ხელოსნებში რაღაც ახალი რამ ჩნდებოდა და ისახებოდა. ამას გრძნობდა ყველა; მაგრამ ეს არ იყო ჯერ კიდევ მუშათა მოძრაობა; ამასთან ჯერ ჩვენ კიდევ შორს ვიყავით. მუშებს ჯერ არ ყავდათ გზის მაჩვენებელი. მართალია რუსეთის ნაროდნიკ-სოციალისტების იდეები ბევრს იმათგანს იტაცებდა, უნერგავდა გულში კეთილშობილურ და მაღალ გრძნობებს, იწვევდა მათ ბრძოლისაკენ, მაგრამ რა გზით, რა საშუალებით?—ამაზე პასუხს არავინ იძლეოდა. ახლა უნდა ვიკითხოთ: **იყო თუ არა ამ დროს ჩვენში პირობები მუშათა მოძრაობის წარმოსაშობად?** ესე იგი: იყო თუ არა მაშინ საქართველოში მუშათა კლასი? უწინარეს ყოვლისა ჩვენ უნდა ვუპასუხოთ ამ კითხვებზე.

[1] აქ უნდა აღვნიშნო, რომ „მუშის“ ორი წლის მთელი კომპლექტი ლონდონის მუზეუმში ინახება. ბოლო რაც შეეხება დანარჩენ სამ ჟურნალს, ისინი ჩვენს „რევოლიუციის მუზეუმშია“. „მუშის“ ერთი თანამშრომელთაგანი იყო ამბ. არაკელ ოქუაშვილი, რომელსაც იქ აქვს მოთავსებული სხვათა შორის, ერთი ლექსი.

1864—66 წლებში გაუქმებულ იქნა იურიდიულად საქართველოში **ბატონ-ყმობა**. იმ დროს ქალაქის მრეწველობა არ არსებობდა ჩვენში არც სოფლად და არც ქალაქად. მუშათა კლასი, როგორც ასეთი, არ არსებობდა. მხოლოდ **ვაჭრობა ალებ-მიცემობა და სავაჭრო კაპიტალი** იკიდებდა ცოტად თუ ბევრად ფეხს. მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ როგორც ძველად, ისე მეცხრამეტე საუკუნის საქართველოში, როგორც საშუალო საუკუნეების ევროპაში, არსებობდენ **ხელოსნები**, რომლებიც დაყოფილი იყვენ რამდენიმე **ცეხებათ ანუ ამქრებათ**. თითოეული დარგი ხელოსნური მუშაობისა და ვაჭრობისა წარმოადგენდა ცალკე ამქარს, რომელსაც ყავდა თავის არჩეული **მამასახლისი** ანუ **უსტაბაში**; ეს უსტაბაში ამქრის უხუცეს წევრების პირით განაგებდა ამქრის საქმეებს. ამქრობა წარმოადგენდა თვით-დახმარების კავშირს, ის ეხმარებოდა თავის თითოეულ წევრს, რომელიც დაღარიბდებოდა ან რაიმე უბედურება ეწეოდა, უკეთებდა კონტროლს თავის წევრებს, რომ მათ კეთილსინდისიერად შეესრულებინათ საქმე და სხვ. მეორე მხრით ამქრობას ქონდა თავისი უარყოფითი მხარეებიც, ის აფერხებდა პროგრესს, ტექნიკურ გაუმჯობესობათა შემოღებას წარმოებაში, მაგრამ ძველ ბატონყმურ საქართველოში სხვანაირად არც კი შეიძლებოდა. მაგრამ ერთი მხრით ბატონყმობის გაუქმების შემდეგ და მეორე მხრით ვაჭრობა—ალებ-მიცემობისათვის უფრო ფართო ასპარეზის გახსნის შემდეგ ამქრობის ასეთი კარჩაკეტილობის დაცვა შეუძლებელი ხდებოდა. გარდა ამისა თფილისში, რაც რომ საქართველო რუსეთს შეურთდა, მოდიოდა მრავალი უცხო ხელოსანი ხალხი, რომელსაც არ უნდოდა ეცნო ამქრული წესები. ყოველივე ეს იწვევდა ამქრების მდგომარეობის გამწვავებას და იმათ პრივილეგიების თანდათან მოშლას. ერთი მხრით დამზადებული საგნების შემოტანა გარედან, მეორე მხრით მოსულ ხელოსნების მიერ უფრო გაუმჯობესებულ იარაღების შემოღება სახელოსნოებში ძალაუნებურად იწვევდა ადგილობრივი ხელოსნური მუშაობის შემცირებას. რუსეთის მთავრობა თავის მხრით ნელნელა შეუდგა ამქრების პრივილეგიების გაუქმებას. ჯერ კიდევ მეორმოცე და მეორმოცდაათე წლებში გაუქმებულ იქნა ამქრობის ერთი უმთავრესი დებულება, რომლის ძალით არავის არ ქონდა უფლება ამქარში ჩაუწერელად რაიმე საქმისთვის მოეკიდა ხელი ქალაქში. ეს ნიშნავდა ამქრულ წესწყობილებაში სრულიად ახალი ძალის შეჭრას, რომელსაც შემდეგში მისთვის ბედი უნდა მოეღო. მაგრამ რა ბედი მოელოდათ იმათ, ვინც ამ ამქრებში მუშაობდენ და თავს ირჩენდენ? ამათი რიცხვი... საკმარისად დიდი იყო. რომ ვიქონიოთ ამაზე ცოტად თუ ბევრად დაახლოებული წარმოადგენა, მე მოვიყვან აქ შემდეგ ცნობებს. სახელოსნო სამმართველოს არსებობის დროს თფი-

ლისში 1870—40 წლებში ამჭრების რიცხვი იყო სულ 25, იმათში ითულებოდენ **ოსტატები**, ანუ ხელოსანი-ხაზეინები, 3127 კაცი; იმათთან შუშაობდენ, როგორც **ჭარგლები**, 8.335 კაცი, სულ, მაშასადამე, ხელოსნობაში შუშაობდა 11.462 კაცი. ეს მთელი არმია იყო.

როგორც ვთქვი ზევით, ამჭრობაში და ხელოსნურ შრომაში მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარიდან დიდი ცვლილება შევიდა. ქონების თუ სამდიდრის მხრით ცალკე ოსტატ-ხელოსნებში შესამჩნევი განსხვავება არ იყო. ამ მხრით ერთნაირი თანასწორობა იყო. ურთიერთობა ოსტატსა და მის ქარგალს შორის იყო პატრიარქალური და თუმც ქარგალი დამოკიდებული იყო თავის ხაზეინ-ოსტატებზე, მაგრამ ქონებით და მდგომარეობით ისინი ერთმანეთთან დიდათ დაშორებული არ იყვნენ. ახალმა პირობებმა გამოიწვიეს ის, რომ ხელოსნურ წარმოებაში კაპიტალი შეიჭრა, დაიწყო კაპიტალისტური ექსპლოატაცია. კაპიტალი, ანუ დიდი თანხა ქონდათ უმეტეს ნაწილად გარედან მოსულ ხელოსნებს, თუ ამათ შეიძლება ხელოსნები დავარქვათ. ამ შემოსულ ხელოსნებს საქმე უმჯობესად ქონდათ მოწყობილი, და ამიტომ ისინი უფრო იზიდავდენ როგორც მუშტარს, ისე მუშა ხალხს. ამნაირად დაიწყო მოცილეობა ხელოსნებში, რასაც წინად ადგილი არ ქონებია, მხოლოდ ეს მოცილეობა ხდებოდა ფაქტიურად გარედან მოსულ და ადგილობრივ ხელოსნებს შორის. თავის თავად იგულისხმება, რომ პირველები, რომლებიც უფრო შეეფერებოდენ ახალ პირობებს შედარებით უფრო გაუმჯობესებული ტეხნიკის და დიდი თანხის დაბანდების წყალობით, ჯობნიდენ უკანასკნელებს. ამიტომ შრომის საკითხი აქ პირველ ხანებში ბურუსში ეხვეოდა; ის იღებდა ბრძოლის ხასიათს არა შრომასა და კაპიტალს შორის, არამედ უცხო და ადგილობრივ ხელოსნებს შორის. მაგრამ თავად კაპიტალი თავისას აკეთებდა. ადგილობრივ ხელოსანთა წარმოება დღითი დღე ეცემოდა და ჭრებოდა. ამ ბრძოლას გეიხატავს, სხვათა შორის, პოეტი ხელოსანი იოსებ დავითაშვილიც, როგორც ლექსებში, ისე წერილებში. მოსულ კაპიტალისტ-ხელოსნების წინააღმდეგ საბრძოლველად იგი ურჩევდა ადგილობრივ ხელოსნებს ამხანაგობების შედგენას და საერთო ძალით გამკლავებას „ბოროტების" წინააღმდეგ. ამხ. მ. ჩოდრიშვილის მოგონებებიდან, რომელმაც თითონ განვლო ხელოსნური შრომა, ჩვენ ვიცით, რომ ხელოსანთა ამხანაგობების შედგენა ბევრი იყო გასული საუკუნის მესამოცდაათე და მეოთხმოცე წლებში. მაგრამ ეს საქმეს არ შველიდა: ხელოსნობა თავის ამჭრული წესებით თანდათან ძირს ეცემოდა და ხელოსნებიც ამჭრებიდან სულ უფრო და უფრო გარბოდენ. ასე რომ, მეოთხმოცე და მეოთხმოცდაათე წლებში სურათი შესამჩნევად იცვლება. საით გარბოდა ეს ამოდენა ხალხი, რომელიც ამჭრობაში ხელოსნურ შრო-

მას ეწეოდა და სულ იპურებდა? აშკარაა, რომ ხელოსნური წარმოების ადგილი უნდა დაეპირა სხვა გვარ წარმოებას. მაგრამ გარდა ხელოსნური წარმოებისა, რომელიც თანდათან კვდებოდა, და, რომელიც, მაშასადამე, „თავისუფლებდა" დიდძალ მუშა ხელს, იყო კიდევ მეორე უფრო დიდი წყარო, რომელიც იძლეოდა ამ მუშა ხელს. ეს იყო **გლეხკაცობა**. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ 1864-65 წლების საგლეხო რეფორმა, რომელსაც ჩვეულებრივად გლეხობის „განთავისუფლებას" უწოდებენ ბატონ-ყმური მონობისაგან, სინამდვილეში იყო ამ გლეხების განთავისუფლება მიწებისაგან,—იმ მიწებისაგან, რომლებიც ბატონ-ყმობის არსებობის დროს ყმა-გლეხების ფაქტიურ სარგებლობაში იყო. გლეხ-კაცობა ამ „განთავისუფლების" შემდეგ, განსაკუთრებით დასაელეთ საქართველოში, უზომო გაჭირვებაში ჩავარდა. მას სულთამხუთავად მოეკვეთნა ძველი მჩაგვრელის—თავადაზნაურობის გარდა, კიდევ მეორე მჩაგვრელი,—ეს იყო ჩარჩი, ვაჭარი და მევახშე. სახელმწიფო და საბატონო გადასახადებში და ბეგარაში გლეხობას უყიდდენ რაც კი გააჩნდათ და ისინიც იძულებულ ხდებოდენ სოფელს მოსცილებოდენ ლუკმა-პურის საპოვნელად. დაიწყო „თავისივე ნებით" **გასახლება სოფლებიდან ქალაქებში, საქართველოზე წასვლა.**

ამნაირად დიდძალი „თავისუფალი" ხალხი ყოველი მხრიდან აწყდებოდა ქალაქს, ეს ხალხი ეძებდა სამუშაოს. მაგრამ იყო კი გაჩენილი ეს სამუშაო?

როგორც ვამბობდით ზევით, სავაჭრო და სავახშო კაპიტალი გაჩნდა ჩვენში ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში განსაკუთრებით სხვადასხვა სახაზინო თუ სამხედრო საქმეების გაცემის (подряды) სახით. მაგრამ, ეს საქმეს ვერ უშველიდა. აუცილებლად საჭირო იყო საწარმოო ძალების ზრდა, ე. ი. **მზების** და მიმოსვლის საშუალებათა განვითარება, ერთი ხმრით და **მრეწველობის** ზრდა-მატება, მეორე მხრით. ჩვენ ვიცით, რომ სავაჭრო და სავახშო კაპიტალმა საზოგადოთ ყოველგან მოუმზადა ნიადაგი მრეწველობის ზრდა-განვითარებას. ასე მოხდა ჩვენშიც. ვაჭარ-ჩარჩებმა დიდძალ თანხას მოუყარეს თავი; გარდა ამისა ფული უცხოეთიდანაც შემოდიოდა. ჩქარა შემჩნიეს, რომ ფულის ზრდა და დაგროვება შემდეგში ვაჭრობა ჩარჩობის და მევახშეობის წესით დაბრკოლდებოდა. ამიტომ ვაჭრები და მევახშენი იძულებული შეიქნენ თავის სიმდიდრის გასადიდებლად გარდა ვაჭრობა-მევახშეობისა სხვა საშუალებებისათვისაც ეიმარჯნათ. ამისთვის იყო მხოლოდ ერთად ერთი საშუალება, ერთად ერთი გზა, ე. ი. მრეწველობა.

მესამოცე წლების ბოლოს დაიწყეს **პირველი რკინის გზის** კეთება ჩვენში ფოთსა და თფილისს შუა; ეს გზა გაიხსნა 1871 წელს

რკინის გზამ, გარდა იმისა, რომ ხელი შეუწყო და გაადვილა მომოსვლა, მიიზიდა საქმარისი რიცხვი მუშებისა, რომელთაც მისცა სახსარი ცხოვრებისათვის. ეს იყო სრულიად ახალი დარგი წარმოებისა ჩვენში, რომელსაც დიდი მომავალი ჰქონდა. 1871 წელსვე გაიხსნა თფილისში თფილისელ ვაჭარ მირზოევის **პირველი ბამბის საქსოვი ფაბრიკა** [1]), სადაც იწყეს განსაკუთრებით **ბარძის დამზადება**. დაახლოვებით ამავე მესამოცდაათე წლებში იწყება **ტყიბულის ქვანახშირის წარმოება** რკინის გზის საჭიროებისათვის.

1877-78 წლებში **რუსეთ-ოსმალეთის** ომმა კიდევ საშუალება მისცა კერძო პირებს, ვაჭრებს და ჩარჩებს, დიდ-ძალი ფული დაეგროვებიათ. გარდა ამისა, ომს კიდევ ის შედეგი მოჰყვა, რომ იმ დროს ერთად ერთი ნავთსადგური შავ ზღვაზე—**ბათომი**, [2]) სადაც დიდ გემებს შეეძლო გაჩერება, რუსეთს შემოუერთეს. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ განვითარების საქმეში.

სწორედ რუსეთ-ოსმალეთის ომის დამთავრების შემდეგ იწყება ჩვენში ორი დიდი საქმის აღორძინება და უდიდესი წარმატება: 1) **ჭიათურაში შავი ქვის** (მარგანეცის) **წარმოება** (1879 წ.) და 2) **ბაქოსა და ბათუმს შუა რკინის გზის გაყვანა**, რაც დამთავრებულ იქნა 1883 წელს. ეს გზა, რომელმაც ეკონომიური გადატრიალება მოახდინა საერთოდ მთელ ამიერ-კავკასიაში, მარტო იმით კი არ იყო დიდ მნიშვნელოვანი, რომ მან გზა მისცა **ბაქოს ნავთს**, როგორც შინაურ, ისე უცხო ბაზარზე, არამედ უერთდებოდა ერთმანეთს **შავი და კასპიის ზღვები**. ბაქოს და ბათუმის შეერთებას რკინის გზით მოყვა არა მარტო ის, რომ ნავთის მრეწველობა თვით **ბაქოში**, რომელიც წინად კუს ნაბიჯით ვითარდებოდა, ახლა ეელებერთელა ნაბიჯებს დგამდა წინ, არა მარტო მით, რომ ამით გაიზარდა და გაფართოვდა ჩვენში თვით რკინის გზის მეურნეობა, არამედ კიდევ უფრო მით, რომ მან მისცა დასაწყისი მრეწველობის მრავალ ახალ დარგების გაჩენას და განვითარებას ჩვენში. ამ მხრით უმთავრესად უნდა მოვიხსენიოთ აქ ბათუმის **ფუსტის და ხის ყუთების დამამზადებელი ქარხნები**, რომლებმაც საქმარისად დიდი როლი ითამაშეს განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს მუშათა მოძრაობაში. პირველი ასეთი ქარხანა გახსნილ იქნა ბათომში იმავე 1883 წელს; ეს ქარხანა ეკუთვნოდა ბუნგეს და პალაჰკოვსკის, რომლებიც იყვნენ რკინის გზის ნაშენებლები. ასეთ ქარხნების რიცხვმა ჩქარა იმატა ბათომში, სადაც ეოთხმოცდაათე წლებში ათი ათასზედ მუშა იყო საქმე-

[1]) ეს ფაბრიკა შემდეგ (1887 წ) გადავიდა ჩითახოვის ხელში. ის მუშაობდა დაახლოვებით 30 წლის განმავლობაში და სამუდამოდ დაიკეტა 1901 წელს, რამდენადაც ვიცი, მუშებთან კონფლიქტის გამო.

[2]) ფოთი მხოლოდ შემდეგ გადაკთდა ასეთ ნავთსადგურად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში ჩაბმული. 1888 წელს კიდევ, გაიხსნა **ჰაითაურის ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზა**, რამაც ჰაითაურის წარმოების შესამჩნევად გაუადვილა ჰაითაურიდან შავი ქვის გამოზიდვა და მით დაუახლოვა ის მსოფლიო ბაზარს.

ამნაირად სულ რაღაც 15—20 წლის განმავლობაში (1870—1890) ჩვენი ქვეყნის სურათი რადიკალურად შეიცვალა. ამ ხნის განმავლობაში ჩვენში კაპიტალისტურმა წარმოებამ უკვე საკმარისად დიდი ნაბიჯი გადადგა წინ: გაკეთდა რკინის გზები, გაუმჯობესდა და გაადვილდა მიმოსვლა და საქონლის გადატან-გადმოტანა, გაჩაღდა როგორც სამადნო, ისე საქარხნო-საფაბრიკო მრეწველობა, გაიზარდენ და აყვავდენ ქალაქები და სხვ. და სხვ. ერთი სიტყვით, ქვეყანა თანდათან გამოვიდა კარჩაკეტილ ცხოვრებიდან, იწყო გამოსვლა ნატურალურ მეურნეობიდან და დაეწაფა კაპიტალისტურ წარმოებას. მაგრამ ამის გვერდით ხდებოდა სხვაგვარი პროცესები. ერთი მხრით რღვევა და დაშლა ხელოსნური წარმოებისა თავის დროს გადასული ამქრული წესწყობილებით და მეორე მხრით, საგლეხო მეურნეობის დაცემა, გლეხთა მასების გაღატაკება. აშკარაა, როგორც ხელოსნური წარმოების დარღვევა და მოსპობის გზაზე შედგომა, ისე გლეხთა მასების გაღატაკება დიდძალ მუშა ხელს თავისუფლებდა და გზავნიდა ფაბრიკა-ქარხნებში, მაღაროებში და რკინის გზებზე. თავის თავად იგულისხმება, რომ შრომის მიწოდება ბევრად ჭარბობდა შრომის მოთხოვას კაპიტალისტების მხრით.

ეს გარემოება რამდენად ხელსაყრელი და სასარგებლო იყო კაპიტალისტებისათვის, იმდენად მაზარალებელი და დამღუპველი მუშებისათვის. გარდა ამისა, რაღგანაც იმ ხანებში მუშებს არ ქონდათ არავითარი ორგანიზაცია, ამით მშვენივრად სარგებლობდენ მუშა ხელის დამქირაველები—კაპიტალისტები, ისინი უკარნახებდენ მუშებს შრომის პირობებს. კაპიტალისტები აგრძელებდენ სამუშაო დროს, ხშირად 15, 16 და 18 საათამდე დღე-ღამეში; უმცირებდენ მათ ხელფასს და ამუშავებდენ ბინძურ, აუტანელ პირობებში [1]). მუშებს უნდა ემუშავნათ ასეთ პირობებში, რადგან კაპიტალისტებმა კარგად იცოდენ, რომ იმათ სხვა გამოსავალი არ ქონდათ. ეს იყო ჩვენში კაპიტალის განუზომელი, განუსაზღვრელი ბატონობის ხანა. იმ დროს არა თუ ჩვენში, არამედ თვით რუსეთშიაც არ იყო ისეთი კანონი, რომელსაც რამდენიმეთ მაინც დაეცვა მუშის ინტერესი. მაგრამ მეორე მხრით ამავე ხანებში იწყება აქა-იქ მუშების სტიქიური აღშფოთება და პროტესტი ასეთი აღვირახსნილი გაყვლეფის წინააღმ-

---

[1]) იხ. ამის შესახებ, სხვათა შორის, ამბ. მ. ჩოდრიშვილის მოგონებანი „რევ. მატიანეში".

დეგ პატარა-პატარა გაფიცვების სახით. ასეთ გაფიცვების შესახებ 1878 წელს მოგვითხრობს ამბ. მ. ჩოდრიშვილი ზეიცერის ფაბრიკაში. ჩვენ ვიცით აგრეთვე, რომ ასეთი გაფიცვები ხშირად ხდებოდა მარზოევის ფაბრიკაშიაც. იყო შემთხვევები, როცა ეს გაფიცვები მუშების გამარჯვებითაც თავდებოდა, და ეს მაშინ, როცა კაპიტალისტები პოლიციას და მთავრობას არ მიმართავდენ, მაგრამ ჩვეულებრივად მუშები მარცხებოდენ, და სხვანაირად არც შეიძლებოდა მაშინდელ პირობებში, რადგანაც პოლიცია და ჯარი მაშინ კაპიტალისტების განკარგულებას ასრულებდენ და არა მუშებისას.

მაგრამ საბედნიეროდ, ჩვენ მუშებში შედარებით ჩქარა გაიღვიძა და განვითარდა პოლიტიკური ან კლასობრივი **თვითშეგნება**. ამ თვითშეგნების განვითარებას ორმა გარემოებამ შეუწყო ხელი ჩვენში: 1) მეფის მთავრობის მეტად უხეშმა და ტლანქმა პოლიტიკამ მუშების მიმართ. ეს პოლიტიკა მდგომარეობდა იმაში, რომ სრულიად აშკარად და ყველას დასანახავად ყოველ ფეხის ნაბიჯზე ითელებოდა მუშის და გლეხის ინტერესები და 2) მუშათა კლასის ჩამოყალიბება ჩვენში და **მარქსიზმის** გაცნობა მოხდა თითქმის ერთ და იმავე დროს, ასე რომ, მუშათა მოძრაობა საქართველოში თავიდანვე დაუკავშირდა მარქსისტულ თეორიას. ერთი სიტყვით, მარქსისტულ მიმართულებას ჩვენში ბრძოლა თითქმის აღარ შეხვედრია სხვა რომელიმე მიმართულებასთან მუშათა კლასში, როგორც ეს მოხდა სხვა ქვეყნებში, სადაც სანამ მარქსიზმი წარმოიშვა, მუშათა კლასი იზიარებდა სხვა თეორიებს ე. ი. იგი ადგა პირდაპირ ბურჟუაზიულ მსოფლმხედველობას. ამიტომაც მოხდა, რომ როცა ჩვენში მუშათა მოძრაობა თავიდანვე შედგა სწორ პროლეტარულ პოზიციაზე, ჩვენზე უფრო განვითარებულ ქვეყნებში მუშათა მოძრაობამ დღემდისაც ვერ დაახწია თავი იმ ყალბ პოზიციებს, რომლებზედაც ის დიდი ხანია დგას.

ჩვენ მივადექით ამ წერილის უკანასკნელ ნაწილს—**სოციალ-დემოკრატიის წარმოშობის ისტორიას** ჩვენში. ზევით ჩვენ შევეცადეთ, რამდენადაც არსებული მასალები ხელს გვიწყობდა, წარმოგვედგინა მკითხველებისთვის ერთი მხრით კაპიტალისტური წარმოების განვითარების პირველი საფეხურები და მეორე მხრით ქალაქის მუშათა კლასის ჩამოყალიბება ჩვენში. ჩვენ დავინახეთ აგრეთვე ისიც, რომ გასული საუკუნის მეოთხედიდან წლების გასულს თფილისის მუშების მოწინავე ელემენტებში ჩნდება ერთნაირი მოძრაობა, იმართება კრებები, დგება წრეები, მუშები სცემენ საკუთარ ხელნაწერ ჟურნალს და სხვ. და სხვ. ერთი სიტყვით, მუშებში იღვიძებს წყურვილი არა მარტო ცოდნის, სწავლა-განათლების შესაძენად, არამედ თვით რევოლიუციის მატიანე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვითარებისადმი, არამედ, რაც ყველაზე უფრო საყურადღებოა, **ბრძოლისადმი**. მრავალმა მუშამ, რომლებიც შემდეგში შემოვიდნენ სოც.-დემოკრატიულ ორგანიზაციაში, როგორც, მაგ., არაქელ ოქუაშვილი, ძმები მიხა და ზაქარია ჩოდრიშვილები და სხვები, მეოთხმოცე წლებში იმყოფებოდნენ მუშათა წრეებში, რომლებიც ნაროდნიკულ-სოციალისტების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. მაგრამ ეს გავლენა მეტად ზერელე იყო. ნაროდნიკული იდეოლოგია გლეხებზე ემყარებდა, და როგორც აგეთი, რა თქმა უნდა, ვერ დაამაყოფილებდა ქარხნის მუშებს. მარქსისტულ მიმამრულებაზე ანუ სოც.-დემოკრატიულ მუშათა პარტიებზე იმ დროს ჩვენში ჯერ კიდევ ჰაეროანება არ იყო. ინტელიგენტ სოციალისტების წრეებმაც, რომელშიაც მ. ცხაკაიასთან, ს. ჯიბლაძესთან, ნ. ჟორდანიასთან ერთად მეც შევდიოდი, მარქსის თეორიაზე სრულიად არაფერი ვიცოდით. ალბათ ჩვენს საიდუმლო ბიბლიოთეკაში მოიპოვებოდა მარქსის **„კაპიტალი“**, და ერთხელ მე თითონ ჩამივარდა ხელში **პლეხანოვის** პირველი სოც.-დემოკრატიული ბროშიურა სათაურით: **„სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა“**, გამოცემული ჟენევაში 1883 წელს; მაგრამ არავინ ჩვენგანი მაშინ მარქსის მოძღვრებას არ გასცნობია, არც კი მოუნდომებია რომ გასცნობოდა, რადგანაც არავინ იყო ისეთი, რომელსაც ეს ჩვენთვის ერჩია. ჩვენ კი თავისი ინიციატივით ეს ვერ ვქენით. ჩვენ ვთვლიდით თავის თავს რევოლიუციონერებად და სოციალისტებათ, თავის დანიშნულებას ვხედავდით მთავრობის დამხობაში და მუშა ხალხის სამსახურში, მაგრამ რა გზით ან რა საშუალებით? აქ ჩვენ ვიზიარებდით „ნაროდნაია ვოლიას“ ტაქტიკას, ე. ი. ბუნტს, **პოლიტიკურ ტერორს**.

ჩვენს თავში ყველაფერი თავსდებოდა: ჩერნიშევსკიც, დობროლიუბოვიც, პისარევიც, მიხაილოვსკიც, გერცენიც, ლავროვიც (მირტოვი) და ელეიბოვიც. ეს იყო ნამდვილი დომხალი. ამასვე განიცდიდა **ეგნატე ინგოროყვაც** (ნინოშვილი) როგორც შემდეგში გამოირკვა, რადგანაც პირადად მას მე არ ვიცნობდი. ამ გამოურკვეველი ბაგაეთ ჟორდანია, მე და კიდევ ორი ამხანაგი 1891 წლის შემოდგომაზე გავემგზავრეთ ქ. ვარშავში სწავლის გასაგრძელებლად. ჩვენ იქ ჩქარა წავაწყდით ერთ წრეს, რომელშიაც მარქსის თეორიას და მუშათა მოძრაობას ეცნობოდენ და სწავლობდენ. ამასთან ერთად ჩვენ გავიგეთ, რომ გერმანიაში და ავსტრო-უნგრეთში უკვე არსებობს **მარქსისტული პარტია—სოც.-დემ. მუშათა პარტიის** სახელწოდებით, რომელიც წარმოადგენს ძლიერ და მაგარ ორგანიზაციას და რომელსაც აქვს დიდი გავლენა როგორც მუშათა კლასზე, ისე თვით სახელმწიფო მართვა-გამგეობაზე. გარდა ამისა ჩვენ იქ, ვარშავაში, პირველად გავიგეთ, რომ 1883 წელს ჟენევაში დაარსდა პლეხანოვის,

ზასულიჩის და სხვების მონაწილეობით **„შრომის განთავისუფლების ჯგუფი“**, რომელმაც დაისახა რუსეთში სოც.-დემოკრატიული იდეების გავრცელება და რომ რუსეთის ზოგიერთ ქალაქებში უკვე არსებობენ პატარ-პატარა **სოციალ-დემოკრატიული ჯგუფები**, რომლებიც მუშაობენ მუშებში.

უნდა განვაცხადო აქ, რომ ყოველივე ეს, რაც ჩვენ ვარშავაში გავიგეთ, ჩვენთვის **პირდაპირ აღმოჩენა** იყო. როგორც მოწყურებული კაცი დაეწაფება წყაროს, სწორედ ასევე, მთელი ჩვენი ძალღონით და ენერგიით, დავეწაფეთ მარქსიზმს. მე პირადად ეგრძნობდი, რომ მარქსიზმში ვპოვე ის, რასაც ვეძებდი.

1892 წელს ნ. ჟორდანიამ სწავლას თავი დაანება და საქართველოში გამოემგზავრა. ეს იყო ზაფხულში. მე ისევ ვარშავაში დავრჩი და განვაგრძობდი მარქსიზმის შესწავლას. ამავე წლის ზაფხულის დამლევს მე დავსწერე წერილი სათაურით—**„უთავბოლობის ნაყოფი“** [1], რომელიც აკრიტიკებდა ერთი მაშინდელ ქართველ პუბლიცისტ-ბელეტრისტის—**დ. მაჩხანელის**—პროექტს დეპო-ჯისების შესახებ. ამ წერილში თავიდან ბოლომდე გატარებული იყო მარქსისტული თვალსაზრისი, ის სრულიად ეყრდნობოდა მარქსის დიალექტიურ მეთოდზე ერთი მხრით და კლასთა შორის ბრძოლის პრინციპზე მეორე მხრით; იქ იყო დაპირდაპირება ორი სოზოგადოებრივი კლასის: **კაპიტალისტების და პროლეტარიატის**, იქ გატარებული იყო კრიტიკის ჭარცეცხლში **შულცე დელიჩის** წვრილ ბურჟუაზიული შეხედულება მომხაარებელ სახოგადოებაზე და სხვ. და სხვ. ეს წერილი მაშინვე იქნა გამოგზავნილი თფილისში მაშინდელ ერთად ერთ ქართულ გაზეთის **„ივერიის“** რედაქციის სახელზე. რა თქმა უნდა, ორგანო, რომელსაც სათავეში ედგა მაშინდელი თავად-აზნაურული ინტელიგენცია თ. დ ი. ჭავჭავაძის მეთაურობით, არ დაბეჭდავდა ისეთ წერილს, რომელიც კლასობრივ ბრძოლის პრინციპს აღიარებდა, მე თითონ ყველაზე ნაკლებად მჭონდა ამის იმედი. ჩემი მოლოდინი გამართლდა: **„ივერიამ“** ის არ დაბეჭდა. მაგრამ ამწ. **მ. ცხაკაიას** მეოხებით, რომელიც იმ დროს **„ივერიის“** რედაქციაში მუშაობდა, როგორც კორექტორი, ზევით დახასიელებული ჩემი წერილი მაშინდელ რევოლიუციონური ახალგაზრდობის წარმომადგენელებს ჩაუვარდათ ხელში, როგორც, მაგ., **ეგნატე ინგოროყვას, ნ. კალაძეს** და სხვებს. თავის თავად იგულისხმება, რომ ამ წერილს შეუძლებელია, რამდენიმედ მაინც, გავლენა არ მოეხდინა ახალგაზრდობაზე მარქსის მოძღვრებასთან გაცნობის მხრით. მაშინ ჩვენ არა თუ ქართულ ენაზე არ მოგვე-

[1] ეს წერილი დაიბეჭდა **„რევ. მატიანეს“** № 4—5 (9—10) და გამოვიდა ცალკე წიგნაკადაც. რედ.

პოვებოდა მარქსიმის შესახებ რაიმე დაწერილი მასალა, არამედ თვით რუსულ ენაზედაც ნაკლებად და იშვიათად შეხვედებოდით ასეთ რასმე [1]).

როგორც ვიცით, 1893 წლიდან იწყო გამოსვლა თფილისში ახალმა კვირეულმა გაზეთმა **„კვალმა“** გ. წერეთლის რედაქტორობით. რადგანაც იმ დროს სალიტერატურო ასპარეზზე ბატონობდა მარტო „ივერია“, ამიტომ ახალი გაზეთის გამოცემამ ჩვენ მაშინდელ ახალგაზდობის მოწინავე ნაწილს იმედი აღუძრა, რომ ეს ახალი დროგამოშვებითი გამოცემა ახალი იდეების გამომთქმელ ორგანოდ გარდაიქცევა და საშუალებას მისცემს ახალგაზდობის იმ ნაწილს, რომელსაც ხმის ამოღების საშუალება არ აქვს, თავის შეხედულობა გამოთქვასო. ასეთი იმედი მეც მომეცა, და აი ამიტომ დავსწერე წერილი სათაურით **„მწარე ფიქრები“**, რომელშიაც იმ აზრს ვატარებდი, რომ იმ დროინდელი ქართული პრესა „ივერიის“ სახით ემსახურება მხოლოდ გაბატონებულ წოდებას, ე. ი. თავად-აზნაურობას და გლეხკაცობას კი არ აქვს საშუალება თავის გაჭირვება გამოთქვას, და იმავე დროს კი ქართველი მწერლები და პუბლიცისტები გამოდიან და გაიძახიან საერთო ინტერესებზეო. ეს წერილი გაეგზავნა „კვალს“ 1893 წლის თებერვლის თვეში, მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ „კვალიც“ ისევე შეხვდა ჩემ წერილს, როგორც „ივერიის“ რედაქცია: მანაც უარი თქვა ჩემი წერილის მოთავსებაზე. ხსენებული წერილიც ჩემ თფილისელ მეგობრებს ჩაუვარდათ ხელში, რომლებმაც მოინდომეს ამ წერილების ცალკე გამოცემა, რაც მე შემატყობინეს ვარშავაში. მე ამაზე თანხმობა განვაცხადე და ამასთანავე დავსწერე პატარა წინასიტყვაობა წიგნაკში ჩასართავად, რომელშიაც მე ვამტკიცებდი, რომ „ივერია“ და „კვალი“ არსებითად ერთი და იგივეა, ისინი მხოლოდ წერილმანებში ეკამათებიან ერთმანეთს. „ჩვენ ადრევე ვიცოდით,—

[1]) ჩემი დასახელებული წერილის გავლენის კვალი, სხვათა შორის, აშკარად ჩანს ე. ი ნ გ რ ო ვ ი ს ერთ პუბლიცისტურ წერილში, სათაურით: „უ ე ბ რ ი ს ა შ უ ა ლ ე ბ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს გ ა მ დ ი დ რ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს“, რომელიც მოთავსებული იყო 1893 წლს ყოველ-კვირეულ გაზეთ „კ ვ ა ლ ი ს“ ერთ-ერთ ნომერში. აი, სხვათა შორის, რას სწერდა იქ ე. ნინოშვილი: „ამ უკანასკნელ დროს კიდევ უფრო პრაქტიკული გულშემატკივრები გამოუჩნდენ ჩვენ ქვეყანას, მაგ., დ. მაჩხანელი ეუბნება ჩვენს ხალხს: „მე რომ გეგმა შეგიდგინე,“ იმ ტიპის დეპო-კასები გაამრავლე და უომისოდაც სამთხუ, მაშინ ხომ ნამდვილ ბედნიერებაზე გარდაიქცევა ჩვენი ქვეყანაო. საბრალო ევროპიელი პროლეტარებო! რატომ არ გამოუჩნდათ იმათ ერთი კაცი, რომ დეპო-კასების გეგმა შეედგინა და უკბად გაემდიდრებია! მართალია, შულცე დელიჩმა დიდხანს აიმედა გერმანიის ლატკები---გაგამდიდრებ დეპო-კასებითო, მაგრამ ტყუილი გამოდგა“... ვინც მოინდომებს შედარებას ამ ამონაწერისას ჩვენ წერილთან, იგი ადვილად შეამჩნევს უკანასკნელის გავლენას პირველზე.

ვწერდი მე იქ, რომ „კვალის“ დაბადებით ჩვენში სრულებით არ ჩნდება ახალი რამ, თუმცა ვიმეორებ, ბევრს ეს ასე ეგონა; დღეს კი ეს უკვე ყველასათვის აშკარაა. და მართლაც, ერთი და იგივე ბუჩქის ძირიდან განა შეიძლება სხვა და სხვა გვარი ტოტების ან ფოთლების აღმოცენებაო“.. „თუ ჩვენს დედა ქალაქში დღეს სამი და ოთხი გაზეთი ემსახურება ერთ წოდებას, ნუ თუ სხვა წოდებათა ინტერესები არ თხოვლობენ დაცვას? ჩვენ, რასაკვირველია, გვეტყვიან, რომ ეს შემცდარი აზრი არისო, რომ ჩვენი გაზეთები ყველა წოდების ინტერესებს იცავენო, მაგრამ ეს ჩვენ ახლა უკვე აღარ გვჯერა, ჩვენ თვალი გვაქვს და ყური“... ეს იყო დაწერილი 1893 წლის 6 აპრილს ვარშავაში და რამდენიმე დღის შემდეგ ჟანდარმერიამ მე დამატუსაღა. საქმე ისე მოეწყო, რომ არც ერთ ზევით დასახელებულ წერილს თავის დროზე გამოქვეყნება არ ეღირსა.

დაეუბრუნდეთ ახლა ნ. ჟორდანიას და ჩემ მიერ-მოწერას მასთან 1892 წელს საქართველოში წამოსვლის შემდეგ. ჩვენმა მარქსისტულმა წრემ ზოგი რამ დავალება დააკისრა მას მარქსისტულ იდეების გავრცელების შესახებ საქართველოში. ჩემთვის ახლა ძნელია იმის თქმა, თუ რას აკეთებდა იგი იმ დროს ამ მხრით, გარდა იმისა, რომ ჩვენ გვქონდა ურთიერთ შორის მიწერ-მოწერა. აქ მოვიყვან მხოლოდ ერთ ფაქტს ამ მიწერ-მოწერიდან. დაახლოვებით იმავე წლის ნოემბრის თუ დეკემბრის თვეში მომივიდა მისგან წერილი და ახალი პარტიისათვის პროგრამის პროექტი. სამწუხაროდ, არსად არაა დარჩენილი არც ეს წერილა და არც ეს პროექტი. მაგრამ კარგად მახსოვს შემდეგი: ჟორდანია მწერდა, რომ ეს პროექტი უნდა წარედგინოს განსახილველად ჩვენი თანამოაზრე ახალგაზდობის წარმომადგენლების კრებასო. ჟორდანიასაგან გამოგზავნილ პროექტის თანახმად ახალ პარტიას უნდა დარქმეოდა სახელად „**ქართველ ნაციონალ-დემოკრატების პარტია**“. ეს სახელწოდება მე კარგად დამამახსოვრდა, რადგანაც მთელმა ამ პროექტმა და განსაკუთრებით მის სახელწოდებამ ჩვენს მარქსისტულ წრეში, რომელსაც მე ის წარუდგინე თვით ჟორდანიას სტრვილისამებრ, დიდი კამათი და პროტესტი გამოიწვია. პასუხის მიწერა ჟორდანიასთან ამხანაგებმა მომანდეს მე. ამ პასუხში მე ჟორდანიას ვწერდი დაახლოვებით შემდეგს: როგორც პარტიის პროგრამა, ისე მისი სახელწოდება უთუოდ უნდა იქნას შეცვლილი და შეუუებული გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიასთან. პარტიამ უნდა მიიღოს სახელწოდება **სოც.-დემოკრატიული მუშათა პარტიისა**. ეუმატებდი აქ თუ არა სიტყვა „ქართველს“, მე ეს არ მახსოვს.

კრება, რომელზედაც იწერებოდა ნ. ჟორდანია, მართლაც მოხდა 1892 წლის მიწურულში ქ. ზესტაფონში. მაგრამ რა მოხდა ამ

კრებაზე, დაწვრილებით ეს დღემდის არაა გამორკვეული. დანამდვილებით შეიძლება ითქვას მხოლოდ შემდეგი: 1) ჟორდანიამ გამოაქვეყნა კრებაზე ჩემი პასუხი მის წერილზე და პროექტზე., 2) რაიმე პარტიული ორგანიზაცია იქ არ დაარსებულა და 3) კრებაზე სხვა და სხვა გვარად მოაზროვნე ხალხი იყო შეგროვილი: იქ იყვენ როგორც ისეთები, რომლებიც რამდენიმედ მოიმარქსისტებდენ, ისე ისეთებიც, რომლებიც რუსეთის ნაროდნიკებს ეხნობოდენ. ერთი სიტყვით, ამ კრებას არავითარი პრაქტიკული შედეგი არ მოყოლია. ჟორდანიას გარდა მე მქონდა მიწერ-მოწერა სხვებთანაც, როგორც, მაგ., ის. კეცხოველთან, დ. კალანდარიშვილთან და სულ ბოლო ხანებში, ჩემ დატუსაღებამდე, ეგნატე ნინოშვილთანაც. ეს მიწერ-მოწერა ეხებოდა უმთავრესად არალეგალურ სოციალ.-დემოკრატიული ლიტერატურის გადაგზავნას საქართველოში. უკანასკნელი წერილი ინგოროყვასაგან, რომელშიაც იგი მატყობინებდა ფულის გამოგზავნას არალეგალური მარქსისტული ლიტერატურის გადასაგზავნად თფილისში, მე მივიღე სწორედ იმ დღეს, რომელ დღესაც მე დამატუსაღეს. ეს იყო 1893 წლის აპრილის შუა რიცხვებში. აქედან შეიძლება ის დასკვნა გამოვიტანოთ, რომ ამ ხანებში ე. ინგოროყვა უკვე გადაჭრით მარქსისტულ მიმართულებას ადგა. ამას მოწმობს, სხვათა შორის, მისი პუბლიცისტური წერილები, რომლების წერას მან მიყო ხელი სულ უკანასკნელ დროს, ე. ი. 1893—94 წლებში. სწორედ ამ ხანებში ე. ინგოროყვა საესებით გამოემშვიდობა ნაროდნიკულ მიმართულებას, რომელსაც იგი წინად იზიარებდა და გადაჭრით აირჩია ნამდვილი რევოლიუციონურ-მარქსისტული მსოფლმხედველობა ყველა აქედან გამომდინარე შედეგებით. აქ მეტად საინტერესოა, თუ როგორ ურიგდებოდა ეგნატე იმ ხანების „კვალის“ ეკლექტიზმს, ორჭოფობას, ორ სკამს შუა ჯდომას?

რამდენიმედ ამ საკითხს ნათელს ფენს ერთი მისი წერილის ბოლო, რომელიც დაწერილია 1894 წლის თებერვლის თვეში და მიმართული იყო „კვალის“ რედაქტორის გ. წერეთლის მიმართ. „რაც შეეხება—სწერია იქ,—საზოგადოდ ჩემ ნაწერებს, მე ყოველთვის მსურველი ვიქნები, რომ „კვალში“ დაიბეჭდოს, **თუნდა კიდეც მიმართულებაში ვერ მოვწყვეთ და ჩემი პუბლიცისტურ-კრიტიკული სტატიების ბეჭდვაც აღარ ინებოს „კვალმა“**, ბეელეტრისტულ ნაწარმოებს მაინც ყოველთვის მივაწოდებთ... **„მაგრამ იმიტომ კი არა, რომ „კვალი“ ახალგაზდობის ორგანოა. შეიძლება ბევრ ახალგაზდებთან მე საერთო არა მქონდეს რა...** ამას გარდა, „კვალი“ დღეს არსებულ ქართულ ეურნალ-გაზეთებში ყველაზე უფრო პროგრესიუ-

ლიაო"... [1]) როგორც ხედავთ, ე. ინგოროყვა აშკარად აღნიშნავდა, რომ „კვალის" მიმართულებას იგი არ იზიარებდა; ამასთან ერთად იგი აცხადებდა, რომ ბევრ ახალგაზდებთან, რომლებიც „კვალის" იდეალებდენ, მას საერთო არა ჰქონდა რა. და თუ მაინც იგი „კვალს" არ შორდებოდა, ეს აიხსნებოდა იმით, რომ ყველა არსებულ ქართულ გაზეთებში „კვალი" უფრო პროგრესიული არისო. ამიტომ იგი დროებით ურიგდებოდა „კვალში" თანამშრომლობას; სულ არარაობას ეს მაინც ჯობდა. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ე. ინგოროყვას უკვე განზრახული ჰქონდა საკუთარი გამოცემის მოწყობა, რათაც არ უნდა დაჯდომოდა ეს; იგი თავის ამხანაგებს ეუბნებოდა, რომ „კვალი" ჩვენ, მარქსისტებს, არ გვეკუთნის, ის ჩვენი არაა. მაგრამ სიკვდილმა აღარ დააცალა, რომ ეს განზრახვა მას სისრულეში მოეყვანა. როგორც იყო ნათქვამი ზევით, იგი გარდაიცვალა დიდი ტანჯვის შემდეგ 1894 წელს 12 მაისს (ახ. სტ.) სოფ. ჩოჩხათში (გურია). მასში მშრომელმა ხალხმა დაკარგა ერთი თავისი თავდადებული და დაუღალავი დამცველი და მოსარჩლე, ხოლო ჩვენმა პარტიამ კი—ერთი თავისი დამაარსებელთაგანი, რომელმაც თავისი თუმც ხანმოკლე, მაგრამ მეტად ნაყოფიერი მუშაობით როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად მოამზადა ნიადაგი და იმავე დროს შეკვდრი საფუძველი ჩაუყარა ჩვენ პარტიას.

სანამ იმაზე გადავიდოდეთ, თუ რა მოხდა ე. ინგოროყვას გარდაცვალების შემდეგ, მე საჭიროდ მიმაჩნია მოვიხსენიო აქ ნ. ჟორდანიას ლიტერატურულ გამოსვლაზე დაახლოვებით ამავე ხანებში. როგორც ვიცით, პირველი მისი გამოსვლა ლიტერატურულ სარბიელზე დაიწყო წერილით: **„ეკონომიური წარმატება და ეროვნება"**, რომელიც დაიბეჭდა 1894 წელს ჟურნალ **„მოამბეში" (№ 5)**. ამბ რ. კალაძის გადმოცემით [2]) ეს სტატია ჟორდანიას დაუწერია 1892 წლის შემოდგომაზე, შემდეგ 1893 წლის გაზაფხულზე წაუკითხავს „მესამე დასკლას" კრებაზე თფილისში. დიდ ხანს ეს სტატია ითვლებოდა ქართველ მარქსისტების პირველ საპროგრამო წერილად. მაგრამ ასეთი შეხედულება დიდ გაუგებრობაზე იყო აშენებული. ხსენებულ წერილს მიზნად აქვს დასახული ეროვნების იდეის გამორკვევა საერთოდ და ქართველი ეროვნების ინტერესების დაცვა კერძოდ. ავტორი ანტკიცებს, რომ ეკონომიური განვითარება იწვევს ეროვნების

---

[1]) იხ. „რევოლიუციის მატიანე", 1924 წ. № 1 (6) გვ. 139. ხაზს ჩვენ ვუსვამთ.

[2]) იხ ე. ინგოროყვას (ნინოშვილის) ბიოგრაფია, მის მიერ შედგენილი, როგორც ჩართული აქვს ნინოშვილის თხზულებათა ახალ გამოცემას. 1924 წ. გვ. 54.

წარმოშობას და განვითარებას, და მასთან თუმცა შინაურ ცხოვრებაში კლასთა შორის განხეთქილებას, მაგრამ სამაგიეროთ გარეშე მტრების წინააღმდეგ ყველა კლასების გაერთიანებას. აი, სხვათა შორის, რას ამბობდა ხსენებულ წერილში ნ. ჯორდანია საფრანგეთზე და საფრანგეთის ერზე: „აქ (საფრანგეთში) **ეროვნულ ცხოვრებას შეგნებულად ეწევა როგორც უდიდესი საპოლიტიკო მოღვაწე, ისე უბრალო სოფლელიო**“ [1]). ამას, რა თქმა უნდა, მარქსიზმის სრულებით არაფერი სცხია. ამავე დებულებაზეა აშენებული ნ. ჯორდანიას სხვა წერილებიც („ივერია“ და „ეროვნება“, „მესამოცე წლების მოღვაწენი“ და მრავალი სხვა), რომლებიც 1894—95 წლებში იბეჭდებოდა, როგორც „ივერიაში“ და „მოამბეში“, ისე „კვალშიაც“. ყოველგან აქ სჭარბობს ეროვნული მომენტი, ეროვნული მოტივები. განსხვავება „ივერია“-„მოამბიდან“ იხატებოდა მხოლოდ იმაში, რომ ჯორდანიას გაგებით ერი თავის შემადგენლობით რამდენიმედ განსხვავდებოდა მაშინდელ ნაციონალისტების გაგებისაგან. ჯორდანია ვერ იდგა გადაჭრით კლასობრივი ბრძოლის ნიადაგზე, მისი წერილები საერთოდ ნახევრად მარქსისტული იყვენ, უფრო მეტი ნაწილი იქ უბრალო დემოკრატიული იყო და სრულებით შემთხვევით არ უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ჯორდანიამ მარქსის მოძღვრებასთან და გერმანიის სოც.-დემოკრატიულ პარტიასთან გაცნობის შემდეგ იმ პარტიას, რომლის პროექტი მან შეადგინა, „ქართველ ნაციონალ-დემოკრატების პარტია“ უწოდა. საერთოდ უნდა ითქვას, რომ სწორი მარქსისტული გაგების შეტანა მეშვიდეში ჯორდანიას წერილებს არ შეეძლო. ასეთი იყო მის მიერ აღებული ხაზი თავიდანვე და ამ ხაზს შერჩა იგი ბოლომდის.

ახლა დავუბრუნდეთ იმას, თუ რა მოყვა ე. ნინოშვილის დასაფლავებას. შეიძლება ითქვას, რომ ნინოშვილის კუბოსთან მოხდა ჩვენში პირველად **რევოლიუციონური დემონსტრაცია**. ყველა დამსწრეებზე ამ დასაფლავებამ მეტად ღრმა და წაუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. ამ შთაბეჭდილების მიზეზი იყო იქ შეკრებილი რიცხვით მცირე ჯგუფი იმ ახალგაზრდობისა, რომელიც იმ დროს მხოლოდ მოიმარქსისტებდა, რომლისგან შემდეგში ზოგიერთები ნამდვილი მარქსისტები გახდენ. მრავალ სიტყვებს შორის, რომლებიც იქ იქნენ წარმოთქმული, ყველაზე უფრო შესანიშნავი ს. ჯიბლაძის სიტყვა იყო. ეს სიტყვა გავარდა, როგორც შეხი. თითქო ერთბაშად შეინძრა მაშინდელი ჩვენი დამყაყებული და სამარისებური სიჩუმით

[1]) იხ. ნ. ჯორდანია. რჩეული ნაწერები. 1911 წ. გვ. 9.

გარემოცული საზოგადოება. „ჩვენი აწინდელი ცხოვრებაო—ამბობდა ორატორი,—წარმოადგენს ორ ახალს, ერთიმეორის მოწინააღმდეგე წოდებას ანუ კლასს: ერთი მხრით ფიზიკური და გონებრივი შრომის წარმომადგენელნი, მეორე მხრით მუქთა-ხორა ბურჟუაზია-კაპიტალისტები. პირველთა ხვედრია აუტანელი შრომა—გარჯა, მეორეთა კი დასაკუთრება ამ შრომის ნაყოფისა". განსვენებული ინგოროყვა იყო პირველთა მოციქული და მოსარჩლე და გამოდიოდა მეორეთა წინააღმდეგ. ხალხის და ახალგაზრდობის თანაგრძნობა პირველთა მხარეზე იყო. ს. ჯიბლაძის სიტყვამ დამსწრეებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ცნობილმა მწერალმა გ. წერეთელმა, რომელიც ამ ამბის მოწამე იყო, თავის გაზ. „კვალში" გამოაცხადა, რომ ნინოშვილის დასაფლავების დროს თავი იჩინა ჩვენში ახალმა მიმართულებამ, რომელიც მან „მესამე დასად" მონათლა. ეს სახელწოდება, რომელიც შემდეგ საკმარისად დიდ ხანს მითვისებული ქონდა ქართველ მარქსისტებს, რამდენიმედ მოსწრებული გამოდგა, თუმც მის ავტორს—გ. წერეთელს, მხოლოდ ქრონოლოგიური მომენტი ქონდა მხედველობაში[1]). რა თქმა უნდა, ყველამ იცოდა, რომ „მესამე დასში" იგულისხმებოდა, ანუ უფრო მართალი რომ ვთქვათ, იმალებოდა სულ სხვა შინაარსი, ეს იყო სრულიად ახალი მიმართულება, ახალი იდეოლოგია, რომელიც უპირდაპირდებოდა ყველა გაბატონებულ კლასების იდეოლოგიას და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უცხადებდა ყველა მჩაგვრელ კლასებს.

აქ უნდა ითქვას, რომ არა ყველა ისინი, ვისაც მაშინ „მესამე დასელს" უწოდებდენ ან ვინც თითონ ირქმევდა ამ სახელს, წმინდა წყლის მარქსისტები იყვენ. პირიქით, ბევრს იმათგანს წარმოდგენაც არ ქონებია მარქსიზმზე. მაგრამ იმათში იყვენ ნამდვილი მარქსისტებიც, რომლებმაც შემდეგში დიდი როლი ითამაშეს ჩვენში მუშათა მოძრაობაში. სამწუხაროდ, ეს საკითხი ჯერ კიდევ არ არის საკმარისად გამოკვლეული და შესწავლილი. მაგრამ მიუტევებელ შეცდომას და შეიძლება ითქვას, პირდაპირ დანაშაულს ჩადის **ს. ტ. არკომედი**, რომელიც თავის წიგნში—**„მუშათა მოძრაობა და სოც.-დემოკრატია კავკასიაში"**—(**„Рабочее движение и социал-демократия на Кавказе"**) საერთოდ ყველა მესამე დასელებს ერთ გროვაში უყრის თავს და ამბობს, რომ „მესამე დასელთა" ჯგუფი **ხაერთოდ წარმოადგენდა რადიკალურ ინტელიგენციას**, თუმც შესაძლებელია, რომ მისი ესა

[1]) იგი ანგარიშობდა ასე: მესამოცე წლების მოღვაწენი—პირველი დასი, მეოთხმოცე და მეოთხმოცდაათე წლების ინტელიგენცია—მეორე დასი, ხოლო ის ახალგაზრდობა, რომელმაც თავი მოიყარა ნინოშვილის საფლავთან,—ეს მესამე დასი უნდა ყოფილიყო მისი აზრით.

თუ ის წევრი ყოფილიყო მარქსისტული იდეოლოგიის ძლიერი გავლენის ქვეშ. მაგრამ ეს უკანასკნელი გარემოება ამ ჯგუფის ხასიათს არ ცვლისო".

ამ წერილის დანიშნულებას არ შეადგენს არც „მესამე დასის" ისტორია და არც არკომედის წიგნის გარჩევა[1]). ასე იყო თუ ისე, გ. ნინოშვილის დასაფლავებამ პირდაპირ საბაბი მისცა ჩვენ მოწინააღმდეგეებს აშკარა კამპანია დაეწყოთ მესამე დასელების ანუ მარქსისტების წინააღმდეგ. კამათმა მეტად ცხარე ხასიათი მიიღო. ამასთანავე აღმოჩნდა, რომ გ. წერეთელი, რომელმაც თითქო მიმრქმელობა გაუწია მესამე დასს, თითონაც კი თაკილობდა მესამე დასელების წერილების მოთავსებას თავის ორგანოში („კვალი") და მხოლოდ იშვიათად თუ აძლევდა იმათ საშუალებას საპასუხო წერილები მოეთავსებიათ „კვალში". უნდა ითქვას ისიც, რომ იმ დროს ჩვენი მარქსისტები გარდა ლიტერატურულ დარგში მოღვაწეობისა, სხვა გვარ მუშაობას, მაგ., მუშებთან დაახლოებას და იმათში მუშაობას თითქმის სრულიად გაურბოდენ, ეს მათ არ ეხერხებოდათ, არ იცოდენ როგორ დაახლოებოდენ; თუ არ მივიღებთ მხედველობაში ამხ. მ. ცხაკაიას, რომელიც მოწაფეებს შორის ეწეოდა პროპაგანდას, დანარჩენი მესამე დასელები ამ მხრით არაფერს აკეთებდენ. ისინი ჯერ კიდევ თვითგანვითარებაზე და სწავლის გაგრძელებაზე ფიქრობდენ, ერთი სიტყვით, მუშებთან არავითარი კავშირი არ ქონებიათ. ეს იყო დიდი ნაკლი და ამავე დროს კი, როგორც ჩვენ ამას ცოტა ქვევით დავინახავთ, მუშებში უკვე ისახებოდა და ჩნდებოდა პატარ-პატარა მარქსისტული ხასიათის წრეები.

თითქმის ორი წლის ვარშავის ციხეში ჯდომის შემდეგ ჟანდარმერიამ მე გამომიშვა იქიდან პოლიციის მხედველობის ქვეშ და გამაგზავნა ჩემ სოფელში, საცხოვრებლად. ეს იყო 1895 წლის იანვარი. საზოგადოებაში ამ დროს დიდ იმედებს ამყარებდენ ნიკოლოზ რომანოვზე, რომელიც იმ ხანებში გამეფდა. ჯეროდათ, რომ იგი მიანიჭებდა ხალხს თავის ნებით კონსტიტუციას, ე. ი. სიტყვის, კრების და პეჭდვის თავისუფლებას. ასეთ იმედს რამდენიმეთ თვით რევოლიუციონერების წრეებშიც ქონდა ადგილი. ამის ნიშანს ხედავდენ იმაში, რომ 1894 წლის ბოლოს პეტერბურგში ლეგალურად გამოვიდა ბელტოვის (პლეხანოვის) ცნობილი წიგნი „მონისტურ შეხედულებაზე"

[1]) ერთად ერთი, რაც არის საყურადღებო არკომედის ზევით დასახელებულ წიგნში, ეს იმის შეგროვება და თავის მოყრა, რაც 1900—1904 წლებში იბეჭდებოდა ამიერ-კავკასიის მუშათა მოძრაობის შესახებ ჩვენ არალეგალურ გამოცემებში, როგორიც იყო „ისკრა", „ბრძოლა" და სხვ. იქ კი, სადაც ავტორი თავისას უმატებს, იგი იჩენს როგორც საქმის გაუგებრობას, ისე ნამდვილ მეშვიდკურ მიდგომას საგნისადმი. მე ვეცდები არკომიდის წიგნის ეს მხარე უფრო დაწვრილებით გავარჩიო.

(„К вопросу о развитии монистического взгляда на историю“)[1]. მე ყველას ვეუბნებოდი, რომ ეს ფუჭი ოცნებაა მეთქი და მართლაც, ეს ჩქარა დამტკიცდა.

საქართველოში მე პირველად შემხვდა ძველი მეგობარი ს. ჯიბლაძე, რომელმაც დაწვრილებით გამაცნო რაც მომხდარიყო აქ ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში. ყველაზე უფრო გულსაკლავი და სამწუხარო ამბავი ეგ. ნინოშვილის გარდაცვალება იყო. შემდეგ ის, რაც მესამე დასის და „კვალის“ ირგვლივ ხდებოდა. მან მიამბო, რომ არსებობს მესამე დასელთა ჯგუფი, რომელსაც სწყურია სწავლის შეძენა და მუშაობა; გადმომცა ჟორდანიას საზღვარგარეთ წასვლა როგორც კი ჩემი დაჭერის ამბავი იქმნა გაგებული საქართველოში, რადგანაც ფიქრობდა, რომ იმასაც მოკიდებდენ ხელს ჩემთან კავშირისთვის. ს. ჯიბლაძემ მითხრა, რომ ახალგაზრდობას (იგულისხმებოდა, რა თქმა უნდა, მესამე დასელები) უნდა შენი ნახვაო. ეს არც ადვილი საქმეა იყო. ციხიდანვე ქუთაისიდან საკმარისად ხშირი „სტუმრები“ იყვენ ჩემთან. ოზურგეთის პოლიციაც არ მივიწყებდა. მე და ჯიბლაძე პირველად წავედით ეგნატეს საფლავის სანახავად ს. ჩოჩხათში; იქიდან—ქუთაისში, სადაც ცხოვრობდა იმ დროს ჩემი ძველი მეგობარი მ. ცხაკაია. ქუთაისიდან ისევ სოფელში დავბრუნდი. ამ დროს ხშირად იწერებოდა გაზ. „ივერიაში“ და „მოამბეში“ პოლემიკური წერილები მესამე დასელების წინააღმდეგ. ერთმა ასეთმა წერილმა, რომელმაც ვ. წ. აწერდა ხელს და რომელიც დიდ აბდაუბდას შეიცავდა, მეც ამაღებინა ხელში კალამი და დავსწერე ამის სააასუხოდ წერილი სათაურით: „გაკვრით პასუხი“. ეს წერილი დაიბეჭდა „კვალში“. ეს იყო ჩემი პირველი ლიტერატურული გამოსვლა. მე ვილაშქრებდი მარქსიზმის იარაღით ხელში ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც ამტკიცებდენ, რომ ჩვენში შეუძლებელია როგორც კაპიტალიზმის, ისე მუშაობა მოძრაობის განვითარებაო. მე, როგორც აღჭურვილს მარქსის დიალექტური მეთოდით ერთი მხრით, და ცოცხალი ფაქტებით თვით ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებიდან მეორე მხრით, ადვილად შემეძლო დამერღვია ჩვენი გადაგვარებულ ნაროდნიკების ყველა დებულებები. მაგრამ ამით არ შეიძლებოდა დაკმაყოფილება. მე მოცლებული ვიყავი ცხოვრებას: არ ვიცოდი რა ხდებოდა თფილისში. 1896 წლის დასაწყისში მე მოვახერხე თფილისში

[1] ეს წიგნი საქართველოში პირველად მე ჩამოვიტანე ვარშავიდან. პირველი, ვინც ეს წიგნი წაიკითხა ჩვენში, იყო კ. ჩხეიძე, რომელიც 1895 წლამდე კიდევ მიხაილოვსკის მიმდევარი იყო და მხოლოდ ბელტოვის დასახელებული წიგნის საშუალებით იყო, რომ იგი გამოეთხოვა მიხაილოვსკის. შემდეგ ეს წიგნი წაიღო ს. ჯიბლაძემ, რომელიც მას თან დაატარებდა და თავის ახლობელ მეგობრებს აკითხებდა.

მოსცლა. მაშინ პირველად გაეცანი მესამე დასელთა ჯგუფს, რომელიც ს. ჯიბლაძის ირგვლივ იკრიბებოდა. ჯგუფში შედიოდენ: რ. კალაძე, ს. ჯუღელი, პ. გელეიშვილი, ელ. დარჩიაშვილი; დანარჩენების გვარები არ მახსოვს. ესენი იყვნენ თითქო მომზადებული ახალგაზრდები. მაგრამ, როგორც ზეითაც აღვნიშნე, მარტო თავის თავზე ზრუნავდენ, ე. ი. თვითგანვითარებისათვის. დარჩიაშვილი კიდევ საზღვარგარედ წასასვლელად ემზადებოდა. მე ეს არ მომწონდა და კიდეეაც ვაცხადებდი ჩემს უკმაყოფილებას იმის თაობაზე, რომ რისთვის არა გაქვთ კავშირი მუშებთან-თქო. მე ვეკითხებოდი ყველას ამბ. არაქელ ოქუაშვილის შესახებ, რომელსაც მე პირადად ვიცნობდი ჯერ კიდევ 1887 თუ 1888 წლიდან, როცა ზ. ჭიჭინაძემ გამაცნო იგი სამჭედლოში—სარდაფში, რომელიც მოთავსებული იყო შუა ბაზარში. მე მწამდა, რომ არაქელა ოქუაშვილის საშუალებით ჩვენი ამხანაგები დაუახლოვდებოდენ თფილისის მუშებს. მაგრამ მას არ იცნობდა იმ დროს არც ს. ჯიბლაძე და არც ერთი იმ მესამე დასელთაგანი, რომლებსაც მე მაშინ ვიცნობდი. მე თითონ თფილისში მხოლოდ ეშვიათად მიხდებოდა ცხოვრება და ისიც არალეგალურად. დაახლოვებით 1896 წელს, არ მახსოვს რომელ თვეში, მე დავიწყე მუშაობა „ცვალის“ რედაქციაში, სიტყვით თითქო როგორც რედაქციის მდივანი, მაგრამ საქმით უბრალო თანამშრომელი. აი სწორედ ამ დროს მოხდა ჩემი შეხვედრა არაქელასთან, ამ შემთხვევაში მისი ინიციატივით, რადგანაც გაეგო ჩემი ყოფნა თფილისში. მასთან მე გავიცანი ზ. ჩოდრიშვილიც. მე ვფიქრობდი ამათი საშუალებით მუშების წრის შედგენას პოლიტიკური ეკონომიის ანბანის შესასწავლად და შეეუდექი კიდეც პირველდაწყებით მეცადინეობას, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ უნდა ავბარგებულიყავი თფილისიდან და მინდოდა გადამეცა ისინი ს. ჯიბლაძისთვის. მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ამათ უკვე წრე ჰქონებოდათ და კონსპირაციის მოსაზრებით თურმე მე მიმალავდენ.

მაგრამ ახლა ჩვენ უნდა დავიწიოთ ცოტა უფრო უკან, სახელდობრ, 1893 წლებისაკენ და გავიცნოთ, თუ რა ხდებოდა იმ დროს მუშებში. ყველაზე უფრო საინტერესო და სწორ ცნობებს იძლევა ამ მხრით ვ. ცაბაძე თავის მოგონებებში [1]).

უწინარეს ყოვლისა მე აქ ერთი საერთო ხასიათის შენიშვნა უნდა გავაკეთო, სახელდობრ: ამ დროს თფილისის მუშებში ერთ და იმავე დროს სხვა და სხვა ადგილას ჩნდებიან მოწინავე მუშების წრეები ერთი მეორესაგან დამოუკიდებლად, ასე რომ, ერთმა წრემ არ იცოდა მეორე წრის არსებობა, მეორემ მესამის და ასე ამგვარად, ისე ფრთხილად ინახავდენ ისინი საიდუმლოებას ჩავარდნის შიშით.

[1]) იხ. „რევოლიუციის მატიანე“, 1923 წ., №№ 2 და 3.

ვ. ცაბაძე, როგორც თითონ ამბობს, გაცნობია მომავალ მესამე დასელების წრეს ჯერ კიდევ 1892 წელს და მთელი სამი წელიწადი უტრიალია იმათ წრეში. მისი სიტყვით მესამე დასელების რიცხვი მრავალრიცხოვანი იყო, მაგრამ მარქსის რევოლიუციონური სოციალიზმის იდეების გადატანას მუშებში ისინი სრულებით არ ფიქრობდენ. 1894 წლის ოქტომბრის თვეში ს. ჯიბლაძე და ვ. ცაბაძე წასულან ჩეფულებრივ კრებაზე, სადაც ლაპარაკი და მსჯელობა ყოფილა მარქსის ფილოსოფიაზე. აქ გაუცვნია მას ვინმე **სტანისლავ რენიგერი**, მაწის მზომელთა სკოლის მოწაფე. ამ რენიგერის საშუალებით ცაბაძე გაეცნო ერთ პატარა **ჯგუფს მარქსისტებისას**, რომელსაც გადაეწყვიტა თფილისის მუშებში მუშაობის დაწყება, ეს ჯგუფი შესდგებოდა სულ ოთხი კაცისაგან: **სტან. რენიგერი** („იუსტინე"), **თედორე აფანასიევი, მ. კლიმიაშვილი და კოკი.** ამ ჯგუფს მაშინ კიდევ არ ქონდა დაწყებული მუშაობა მუშებში. ამ ჯგუფის საშუალებით პირველი წრე მუშებიდან დაარსებულა დაახლოვებით **იმავე წლის ნოემბრის** თვეში. მასში შედიოდენ: **ე. გიორგობიანი, ვანო ჰავჰავაძე** (გორელი გლეხი), **იოსებ არავიაშვილი, სერგო ჯაფარიძე** (არა ვეძილი) და შემდეგ შეუყვანიათ **არჩილ არავიაშვილი** (იოსების ძმა). ესენი იყვენ უმეტეს ნაწილად თფილისის სახელოსნოს რკინის გზის მუშები. წრე შესდგომია სისტემატიურ მუშაობას როგორც თვითგანვითარების, ისე მუშებში პროპაგანდის გაწევის მიზნით. ყველაზე მეტ აქტივობას იჩენდა თურმე არჩილ არავიაშვილი, როგორც საუკეთესო ორგანიზატორი და აგიტატორი, რომელიც თავის მჭერმეტყველური ლაპარაკით იტაცებდა მსმენელებს და მათზე დიდ შთაბეჭდილებას ტოვებდა.

დამოუკიდებლად ამ წრისა **1893 წელს** თფილისი სახელოსნოებში შემდგარა მუშების წრე, რომელშიაც შედიოდენ მარტო რუსები, სახელდობრ—ალილუევი, გლადიშევი, როგაჩოვი, ლანგი, ძმები დანიკოვები და სხვები. ამ უკანასკნელი წრის შესახებ, რა თქმა უნდა, შეუძლებელია იმის თქმა, რომ ის პირველ ხანებში მაინც მარქსისტული ყოფილიყო. ყურადღების ღირსია აგრეთვე შემდეგი ფაქტი: **ვ. ყიასაშვილის** გადმოცემით, 1894 წელს, ხაშურში, რკინის გზის ტეხნიკური სასწავლებლის შეგირდებისაგან შემდგარა წრე, რომელშიაც შედიოდენ დაახლოვებით შემდეგი პირები: **აბელ ენუქიძე, ვ. ყიასაშვილი, კ. გოგუა, ვლ. ჩაჩავა** და სხვები. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ წრეს თავიდანვე მარქსისტული ხასიათი ქონდა მით უფრო, რომ ყველა ზემოთ დასახელებული პირები, რომლებიც მასში შედიოდენ, დაახლოვებით ერთი წლის შემდეგ **უკვე** ნამდვილ მარქსისტულ მუშათა წრეში მოექცენ.

სამწუხაროდ არსებულ მასალების მიხედვით ძნელია იმის გაშუქება, თუ რა გვარ მუშაობას აწარმოებდენ ზევით ჩამოთვლილი წრეები ან ის, თუ რა ხდებოდა თვით მუშათა მასაში 1895 წლის განმავლობაში. შეიძლება მხოლოდ იმის თქმა, რომ თფილისის რკინის გზის სახელოსნოებში, სადაც უკვე თავი მოეყარა მუშათა კლასის საუკეთესო და მოწინავე ელემენტებს, ხდებოდა დიდი იდეური დუღილი, გარდაფასება ძველ ცნებათა, ბრძოლა ნაციონალისტურ მიდრეკილებათა წინააღმდეგ, ლტოლვა ინტერნაციონალურ იდეებისაკენ და სხვ. და სხვ. ერთი სიტყვით, რევოლიუციონური ბრძოლის საჭიროება მუშათა კლასის გასათავისუფლებლად უკვე აშკარა ხდება თფილისის მუშების მოწინავე ელემენტებისათვის. 1890—96 წლებში ატმოსფერა თანდათან და სულ უფრო და უფრო იტენთება რევოლიუციონური მარქსისტული იდეებით. საგულისხმიეროა, მაგ., ასეთი ამბავი: 1894 წლს ალექსანდრე მესამის სიკვდილის შემდეგ, როცა თფილისის რკინის გზის სახელოსნოს მუშებს შეატყობინეს, რომ იმათ ფიცი უნდა მიაღებინონ ახალი მეფის გრაგუულებაზე, ამ მუშების ერთმა ჯგუფმა ამბ. ვ. სტურუას და გ. ჩხეიძის წინადადებით (ეს ამხანაგები იმ დროს არავითარ პარტიას და არც წრეს არ ეკუთვნოდენ) გადასწყვიტა რაიმენაირად აეცდინა თავიდან ეს დამამცირებელი და საზიზღარი ფიცი და კიდევაც მიახწია მიზანს. ეს უბრალო ფაქტი მოწმობს, თფილისის მუშების რევოლიუციონურ სულისკვეთებას, რევოლიოციონურ განწყობილებას იმ ხანებში. რევოლიუციონური და სოციალისტური იდეები უკანასკნელი წლების განმავლობაში (1892—96) გამუდმებით ეწევოდენ თფილისის მუშებს, გარდა ამისა, ისეთი ფაქტები, როგორც, მაგ. ხშირი შემთხვევები მუშათა პატარა-პატარა გაფიცვებისა ეკონომიურ ნიადაგზე, რევოლიუციონური შინაარსით გაღენთილი ე. ნინოშვილის მოთხრობები გლეხების ცხოვრებიდან, რომლებიც იმ ხანებში იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში, იმავე ნინოშვილის დასაფლავების დროს მომხდარი დემონსტრაცია, რასაც აშკარად მთავრობის, ე. ი. ჯალათი მეფის და მისი დამჭაშების საწინააღმდეგო ხასიათი ჭონდა, ის გაცხარებული **პოლემიკა** „მესამე დასელთა“ და არსებული წესწყობილების დამცველთა შორის, რომელიც სწარმოებდა იმ ხანებში ქართულ ჟურნალ-გაზეთებში და მრავალი სხვა,— ყოველივე ეს ხელს უწყობდა მუშათა კლასის გათვითცნობიერებას და რევოლიუციონურ-მარქსისტულ გზაზე შედგომას. ყველა ამ ფაქტებმა და გარემოებებმა ხელი შეუწყვეს იმ **საქმის** მსწრაფლ და შეუჩერებელ ზრდას, რომელიც ასე თუ ისე პირველად 1894 წლის ბოლო რიცხვებში **ჩაისახა**. „მე ვამბობ იმ **პირველ მარქსისტულ ჯგუფზე**, რომელიც ვ. ცაბაძის დახმარებით პირველად დაუახლოვდა მუშებს, როგორც, მაგ., ძმებ არაეიაშვილებს, გეორგობიანს,

ვ. ჭავჭავაძეს და სხვებს. საქმე, დაწყებული 1894 წლის მიწურულში, ჩქარა ისე გაფართოვდა და გაიზარდა, რომ უკვე **1896 წლის დასაწყისში**, როგორც გადმოგვეცემს ამბ. **გ. ჩხეიძე**, თფილისის რკინის გზის სახელოსნოებში შესდგა უკვე ორი **ძლიერი წრე**, ანუ **უჯრედი**, როგორც ახლა ვეუწოდებთ ჩვენ ასეთ ორგანიზაციას, ამ წრეებს ხელმძღვანელობა უნდა გაეწია მთელი სახელოსნოს მუშებისათვის იმათ ბრძოლაში მთავრობის წინააღმდეგ. ამ წრეების შემადგენლობა იყო შემდეგი: პირველი წრე: **მიხა ბოჭორიძე, ვ. სტურუა, გ. ჩხეიძე, ი. კოპალეიშვილი, დ. დვალი** და **როსტომაშვილი** (პირველი სამი შემდეგში ბოლშევიკები); მეორე წრე: **არაქელა ოქუაშვილი, ზაქრო ჩოდრიშვილი, აბელ ენუქიძე, კ. გოგუა, ვ. ყიასაშვილი** (ამათშიაც პირველი სამი გახდენ ბოლშევიკები[1]).

აქედან ჩვენ ვხედავთ, რომ 1894—96 წლების განმავლობაში მუშათა მარქსისტულ წრეების შედეგება-მოწყობაში მომხდარა ერთნაირი **შერჩევა და გადაჯგუფ-გადმოჯგუფება**. ყოველ შემთხვევაში, ზევით დასახელებული ორი წრე გახდა მთელი თფილისის ორგანიზაციის და არა მარტო თფილისის, არამედ მთელი საქართველოს, და შემდეგ მთელი ამიერ-კავკასიის ორგანიზაციების **დედაბოძად**, რომელმაც თანდათან, მაგრამ მეტად მსწრაფლად, გააფართოვა და გაალრმავა რევოლიუციონურ-მარქსისტული პროპაგანდა და აგიტაცია როგორც მუშებში, ისე გლეხებში და სულ ცოტა ხნის განმავლობაში მთელ ჩვენ მამინდელ დახავსებულ და სამარისებური სიჩუმით გარემოცულ საზოგადოებას მისცა ახალი ელფერი, რომელმაც ჯერ შეანძრია და შეარყია მაშინდელი საზოგადოებრივი და სახელმწიფო წესწყობილების საფუძველი და შემდეგ ეს წყობილება სრულიად დაანგრია. მაგრამ ეს უკვე აღარ შეადგენს ამ წერილის მიზანს. მისი პირდაპირი მიზანი იყო—თფილისის ორგანიზაციის დაარსების წინა ხანის გამორკვევა და გაშუქება, აღნიშნა იმ ეტაპების, რომლებმაც მიგვიყვანეს ჩვენ ამ ორგანიზაციის პირველი უჯრედის ჩასახვამდე. ჩვენ შევეცადეთ ამის შესრულება იმდენად, რამდენადაც ნებას გვაძლევდა ერთი მხრით ჩვენი სუსტი ძალ-ღონე და მეორე მხრით მეტად შეზღუდული დრო, რომელიც ჩვენს განკარგულებაში იყო.

როგორი დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ იქიდან, რაც ზევით იყო ნათქვამი? ეს დასკვნა ასეთია:

---

[1]) იხ. „რევ. მატიანე"—1923 წ., № 1. ამბ. გ. ჩხეიძის წერილი: „ძვირფასი და მუდამ დაუვიწყარი ზაქრო ჩოდრიშვილი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

1) 70—80 წლის წინედ, ანუ გასული საუკუნის მეორმოცდაათე და მესამოცე წლებში საქართველოს სოციალური შემადგენლობა ასეთი იყო: საზოგადოების მაღლა იდგენ ჯერ **თავად-აზნაურობა** და შემდეგ **ვაჭარ-ჩარჩები**. დაბალ საფეხურს შეადგენდენ: ქალაქებში— **ხელოსნები** თავისი **ამჭრელი წესებით** და სოფლად **უფლება ახლილი და მონობაში მყოფი გაძვალტყავებული გლეხკაცობა**. ამ დროს **მუშათა კლასზე**, ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით, ლაპარაკიც არ შეიძლებოდა.

2) 1864—66 წლებში **ბატონყმობის გაუქმებამ**, ერთი მხრით, და ჩარჩ-ვაჭრების ხელში **დიდძალი თანხის**—ფულის სახით დაგროვებამ, მეორე მხრით, ხელი შეუწყვეს როგორც **აღებ-მიცემობის ზრდა-განვითარებას და ნატურალური მეურნეობის თანდათან გადაგვარებას და გაკრობას**, ისე კიდევ უფრო **მრეწველობის წარმოშობას და ზრდას**. ყველა ამას მოყვა ის, რომ **ქალაქში** ეცემა **ძველი ხელოსნური წარმოება. სოფელში** კი გლეხკაცობას თანდათან ეცვლება ერთად ერთი მისი მარჩენალი საშუალება, ე. ი. **მიწა**.

3) როგორც ქალაქად, ისე სოფლად „განთავისუფლებული“ შუა ხელი აწყდება მრეწველობას, მაღაროებს, რკინის გზებს. გასული საუკუნის მესამოცდაათე წლებში ფეხს იკიდებს ჩვენში **კაპიტალისტური მრეწველობა, კაპიტალისტური მეურნეობა** და მასთან ერთად იწყება აგრეთვე **მუშათა კლასის ჩამოყალიბების პროცესი** მუშების საშინელი ექსპლოატაციითურთ.

4) მესამოცდაათე და მეოთხმოცე წლებში **ხალხოსნურ სოციალისტების** (რუსეთის ნაროდნიკების მიხედვით) **მიერ წარმოებული მოძრაობა**, რომელიც მიზნად ისახავდა განსაკუთრებით გლეხების აგიტაციის გზით, სასტიკად დამარცხდა და გაკოტრდა კიდევეც, ვინაიდან როგორც მისი უმახლობელესი მიზანი, ისე მის მიერ არჩეული გზა ყოველად განუხორციელებელი და პირდაპირ უტოპიური იყო. ერთად ერთი დადებითი მხარე ამ მოძრაობისა ჩვენში იყო ის, რომ მისი მეოხებით პირველად გავრცელდა ჩვენში სხვადასხვა არალეგალური სოციალისტური შინაარსის ლიტერატურა, რომელიც გმობდა არსებულ დესპოტიურ და ბურჟუაზიულ წესწყობილებას რუსეთში. დადებითად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ის, რომ მეოთხმოცე წლებში ამ მიმართულების მიმდევრები ჩვენში თავისი რევოლიუციონური ქადაგებით მიმართავდენ უკვე არა გლეხებს, არამედ უმეტეს ნაწილად მოსწავლე ახალგაზდობას და მუშა-ხელოსნებსაც.

5) მეოთხმოცე და მეოთხმოცდაათე წლების დასაწყისში მუშათა კლასი ჩვენში **უკვე რამდენიმედ ჩამოყალიბელია**, იგი მომწიფდა და გაიზარდა რიცხვითაც. მუშაობის საშინელი, აუტანელი პირო-

ბები მას არა მარტო სტანჯავს, არამედ აფიქრებს ზომების მისაღებად. მუშათა კლასში ჩვენში, განსაკუთრებით მოწინავე მუშებში, შედარებით ჩქარა იღვიძებს თვითგანვითარების, თვითმოქმედების გრძნობა. **მუშათა ორგანიზაციის შეერთებული ძალით ბრძოლის იდეა** უკვე ჰაერში ტრიალებს. საჭირო იყო მხოლოდ გზის ჩვენება.

6) საბედნიეროდ, მუშათა მოძრაობის სწორი გზის მაჩვენებელი—**მარქსიზმი, მარქსისტული მსოფლმხედველობა** შედარებით ჩქარა იკიდებს ჩვენში ფეხს, პირველად ჩვენი მოსწავლე ახალგაზდობის ერთ ნაწილში, საიდანაც ის თუ მწერლობის, თუ სიტყვიერი ქადაგების საშუალებით ჩქარა წვდება მოწინავე მუშებს და იპყრობს იმათ ყურადღებას. უკვე 1864 წლის მიწურულში ეყრება პირველი საფუძველი ინტელიგენტებიდან და მოწინავე მუშებიდან შემდგარ **ვიწრო მარქსისტულ ჯგუფს** მუშათა კლასში მარქსისტული იდეების გასავრცელებლად და მასში ფართო ორგანიზაციის მოსაწყობად. 1895 წლის განმავლობაში ეს ჯგუფი კიდევ უფრო გაიზარდა და გამაგრდა ისე, რომ 1896 წლის დასაწყისში იწყებენ რევოლიუციონურ მოქმედებას უკვე საკმარისად მომზადებული მარქსისტული წრეები ანუ უჯრედები.

ამით დამთავრდა მოსამზადებელი პერიოდი და დაიწყო ნამდვილი ორგანიზაციული, სისტემატიური მუშაობა, რომელიც შეუწყვეტელად სწარმოებდა რამოდენიმე ათეული წლების განმავლობაში და რომელიც დღემდის გრძელდება, თუმცა სრულიად სხვა პირობებში.

26/XII—24 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. თალაკვაძე.

საქართველოს პროგუნისტური პარტიის ისტორიისათვის.

ქართული სოციალდემოკრატია 50-დან 70-წლამდე.

ერთა შორის ბრძოლის ისტორიულ კანონებს, საქართველო,— ამიერ-კავკასიის ეს კულტურული ცენტრი, მე-19-ტე საუკუნიდან მჭიდროდ დაეკავშირებია დიდმპყრობელ რუსეთის ერის ბედისათვის როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიურად და დაინტერესებია იგი კულტურულადაც.

რევოლიუციონური მოძრაობის დასაწყისს და პარტიების წარმოშობას საქართველოში ამიტომ ისეთივე ისტორიული წარსული აქვს, როგორიც მას ჰქონდა რუსეთში.

მე-19-ტე საუკუნის პირველ ნახევრიდან დაწყებული ანტიმონარქისტული მოძრაობა რუსეთში,—საფრანგეთის რევოლიუციების გავლენის ქვეშ მოხვედრილ პროგრესიულ საზოგადოებრივ ელემენტების უკმაყოფილება, ღელვა და ჯანყი: მეფის წინააღმდეგ წარმოებული შეთქმულებები და სხვა ამგვარი წინააღმდეგობები აქ, საქართველოში, ჰპოულობდა მხურვალე გამოძახილს; იგი ასაზრდოვებდა აქ ქართველ მოწინავე საზოგადოებრივ ელემენტებს, აძლევდა მათ სიცოცხლეს.

რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებიდან დაბრუნებულ,—ჯერ კიდევ უსახო, უპრინციპო, მაგრამ თავისუფლების იდეით გამსჭვალულ, აბსოლიუტიზმის მოძულე ქართველ ახალგაზრდობას,—სტუდენტობას, ინტელიგენციას,—შემოჰქონდა აქ, საქართველოში, ეს ბუნტარულ-პროტესტანტული აზრები; მათი მეოხებით ვრცელდებოდა აქ ბელინსკის, პისარევის, ტურგენევის, დობროლიუბოვის და სხვების ბროშურა-წიგნები, გამომხატველი და მქადაგებელი რუსეთის ამ ახალი აზრებისა.

ამის შემომტანი და გამავრცელებელი პირები იყვნენ ჩვენში საქართველოს 50—60-იან წლების მწერალ-მოღვაწეები,—დანიელ

ჭონქაძე [1]), ლ. არდაზიანი („სოლომონ ისაკიჩ მეჯლანუაშვილის“ ავტორი) აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე [2]), ვასილ რცხილაძე, სერგეი მესხი, გიორგი წერეთელი და სხვ. [3]).

ხსენებული პირების მეთხებით იქნა გამოცემული ამ ხანებში პირველი ქართული ჟურნალ-გაზეთები,—„ცისკარი“, „დროება“ „იმედი“ „ივერია“ და სხვ.

პროგრესიულ-საზოგადოებრივ აზრების გამომხატველ წერილების მოთავსებასთან ერთად ამ ჟურნალ-გაზეთებიდან ეგზავნებოდა ქება და დიდება რუსეთში მომქმედ გმირ რევოლიუციონერებს—კარაკოზოვის, პეროვსკაიას, ჟელიაბოვის, ფიგნერის, ნეჩაევისა და სხვების მიერ მოწყობილ ტერორისტულ აქტებს.

ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, ვასილ რცხილაძეს და სხვებს, რა თქმა უნდა, ჩვენში არავინ არ სწამებდა რევოლიუციონერობას, სოციალისტობას; მათ ახალი აზრები იმდენათ მიეღოთ, ისინი იმდენათ აპყოლოდენ პროგრესიულ-რევოლიუციონურ ნაბიჯებს, რამდენადაც ამას უკარნახებდა მათ ინდივიდუალურ-პატრიოტული გრძნობა-სურვილები.

ყველაფერი ის, რაც მიმართული იყო თვითმპყრობელ მეფის წინააღმდეგ, იმ მეფის წინააღმდეგ, რომელიც სჩაგრავდა სხვა მრავალ ერებთან ერთად ქართველ ერსაც,—ახარებდა, ასულდგმულებდა მათ, უღვივებდა იმედს ქართველი ერის „განთავისუფლებისას“.

ამით კი მზადდებოდა ხალხისნური ბრძოლაობა საქართველოში და საფუძველი ეყრებოდა „ნაროდნიკულ“ მუშაობას.

---

[1]) დანიელ ჭონქაძე იყო პირველი მწერალი, რომელსაც დიდათ შესტკივოდა გული თავადების ხელში ცხოველებად ქმნილ ყმებზე; მან პირველმა მიაქცია ამ მოწობის ინტერესს თავისი ყურადღება და დასწერა ცნობილი მოთხრობა—„სურამის ციხე“, სადაც გადაეშალა საზოგადოებას მთელი თავისი ტრაღიზმით ყმების არა ადამიანური, მძიმე მდგომარეობა... მაშინდელმა საზოგადოებამ,—ის შესდგებოდა ამავე თავადებისაგან,—„ჯვარს აცვა“, აწამა ჭონქაძე ამის გამო.

[2]) ილია ჭავჭავაძე სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის პირველ დღეებიდან ლიბერალობდა, შემდეგ კი გახდა უკიდურესი ქართველი შოვინისტი. 1907 წელს აგვარულ ნიადაგზე იგი მოკლეს თავის სოფელში გლეხებმა როგორც მემამულე ახალ პირობებთან შეურიგებელი რეაქციონერი თავადი.

[3]) რასაკვირველია, ამათში არავინ არ წარმოადგენდა მშრომელთა წრეს, ისინი საზოგადოების ზედა ფენებიდან იყვნენ გამოსულნი, ისინი ისე, როგორც რუსეთის 40—60-ანი წლების საზოგადო მოღვაწეები,—წარმოადგენდნენ ფეოდალების შვილებს. სასწავლებლებში შესვლის საშუალება, სწავლის უფლება, როგორც რუსეთში, ისე ჩვენშიაც, ჰქონდათ მარტოდ და მხოლოდ თავადებს და აზნაურებს. ქვედა ფენებზე. მშრომელი კლასის თვით-ამოჭრილებაზე ლაპარაკი შეუძლებელი იყო.

„ნაროდნიკები“ საქართველოში.

საქართველოში რევოლიუციონური მოძრაობა დაიწყო 70-იანი წლის დასაწყისიდან. იგი პირდაპირ გადმოცემა და გაგრძელება იყო რუსეთის „ნაროდნიკების“ („ეოლია ნაროდას“ და „ზემლია ი ეოლიას“) რევოლიუციონური მუშაობისა.

ჩერნიშევსკიზე, გერცენზე და მიხაილოვსკის რევოლიუციონურ იდეებზე აღზრდილი ქართველი ინტელიგენცია,—ეგნატე იოსელიანი, მიშა ყიფიანი, გიორგი მაიაშვილი (ხდანოვიჩი), ისიდორე ქიქოძე [1]), ძმები ლორთქიფანიძეები, ვასიკო დეკანოზიშვილი, ჯაბადარი, ჭრელაშვილი, ფურცელაძე, ს. მგალობლიშვილი, შ. დავითაშვილი, ევანგულოვი, ნ. ბიკოვი, ბრუევსკი, ფავლენიშვილი, ნ. ნიკოლაძე, ნ. ხუდადოვი და მრავალი სხვები 72—73 წლებში პირველად აწყობენ საქართველოში „ნაროდნიკების“ პატარ-პატარა წრეებს,—ჯერ ინტელიგენტებისას, შემდეგ უახლოვდებიან ხალხის დაბალ ფენებს,—ახლად გამოჩეკილ, წვრილ სახელოსნოებში ჩაბმულ მშრომელ ელემენტებ, და ასე, ენერგიული, თანდათანური, გაბედული საქმიანობით ჰქმნიან რევოლიუციონური ამოცანების მქონე, რევოლიუციონურად მომუშავე ორგანიზაციების ჩანასახებს საქართველოს ყველა კუთხეში,—გურიაში, ქუთაისში, თელავში, გორში, ტფილისში და სხვაგან.

მათ ყავდათ ჯგუფები, ყავდათ ხელმძღვანელები, მაგ. გურიაში—ისიდ. ქიქოძე, ქუთაისში—მიშა ყიფიანი, გორში—ვასიკო დეკანოზიშვილი, თელავში—ჩერქეზიშვილი, ტფილისში—ეგნატე იოსელიანი და სხვები.

ეს ჩანასახები აწყობენ მდიდარ რევოლიუციონურ ბიბლიოთეკას,—არალეგალურ წიგნთ-საცავს—გორში, თფილისში და სხვაგან

რუსეთის რევოლიუციონურ ლიტერატურის გარდა ამ ბიბლიოთეკებში ჩნდება ევროპის რევოლიუციონურ-სოციალისტური ლიტერატურაც. მაგალითად კარლ მარქსის „კაპიტალი“-ს პირველი ტომი, ნიკოლოზ—ონის მიერ რუსულ ენაზე გადმოთარგმნილი, აგრეთვე ლასალისა და სხვების ნაწერები.

ეწყობა არალეგალური ქართული პატარა სტამბებიც აქა-იქ ქალაქში თუ სოფლად, ითარგმნება რუსულიდან რევოლიუციონური ლიტერატურა; სწერენ აგრეთვე ხალხის დაბალ ფენების ცხოვრებიდან აღებულს, რევოლიუციონური ხასიათის პოპულიარული სტატია-ნაწყვეტებს ამ ჩანასახების ზოგიერთი ლიტერატორი წევრები; ჰბეჭ-

[1]) ისიდორე ქიქოძე 90 წლების მეორე ნახევრიდან სრულებით ჩამოშორდა რევოლიუც. საქმიანობას, გახდა მთავრობის „ჩინოვნიკი“, აქციზის მოხელე, მონარქისტი. მთავრობის ნდობა დაიმსახურა გურიაში ღარიბი ხალხის შევიწროვებით.

დავენ და ავრცელებენ არალეგალურად ყველა ამას ხსენებული რევოლიუციონერები დაბეჩავებულ ხალხში.

76—77 წლებში ეს რევოლიუციონური ჩანასახები ისეთი თვალსაჩინონი გახდენ, მათი მუშაობის შედეგი ისეთი საგრძნობი შეიქნა, რომ მით საქართველოში პირველად მიეცა დასაწყისი ჟანდარმერიის საქმიანობას; აქ ამ წლებში პირველად შეშფოთდა ადგილობრივი მთავრობა, ამუშავდა რევოლიუციონერების მდევნელი მთავრობის აპარატი—ჟანდარმერია! ჟანდარმერიამ აქედან იწყო საქართველოში თავისი შავი საქმიანობა, რაც გამოიხატა რევოლიუციონერებს შორის აგენტ-ჯაშუშების გაჩენაში (ერთი პირველთაგანი ჯაშუში იყო იაგორა იოსელიანი, რომელიც ახლო იდგა რა ორგანიზაციასთან, იცოდა რა ყველა ხლართი და ძაფები,—ჩაუყარა ყველა ისინი ჟანდარმერიას ხელში) მით კი რევოლიუციონერების მასსიურ დაპატიმრებაში, ციხ, შორეულ ქვეყნებში მათ გადასახლებაში, რევოლიუციონურ ჩანასახების დანგრევაში და სხვა.

80-იანი წლების დასაწყისიდან მათ მოუსწრებს ტფილისის სასულიერო სემენარიაში შემოკრებილნი რევოლიუციონური მოსწავლე ახალგაზრდობა, როგორიც იყვნენ, გოლა ჩიტაძე, მიხა ცხაკაია, სილიბისტრო ჯიბლაძე, ფილიპე მახარაძე, ნოე ჟორდანია, ი. ლაღიაშვილი და სხვები, რომლებიც განაგრძობენ „ნაროდნიკების" მიერ დაწყებულ რევოლიუციონურ საქმეს უფრო მტკიცედ, უფრო ფართო სარბიელით.

„ნაროდნიკების" პირველი ტერორისტული აქტი საქართველოში შესრულებულ იქნა სწორედ ამ მოწაფეთა ჯგუფიდან, რომელიც გამოიხატა ლაღიაშვილის მიერ შავრაზმელ ჩუდეცკის მოკვლაში 86 წ.

მაგრამ მარტო ამით არ დაკმაყოფილებულან მიხაილოვსკის მსოფლმხედველობაზე მდგომი „ნაროდნიკი" მოწაფეები. თავიანთი ძლიერი, თვითგანმავითარებელი პოლიტიკური წრეებით ისინი დაუახლოვდენ მაშინდელ თითო-ოროლა მოწინავე მუშებს, როგორიც იყვნენ მაგალითად, მიხა ჩოდრიშვილი, არაქელა ოქუაშვილი, ზაქრო ჩოდრიშვილი, ვასო ცაბაძე, არჩილ არავიაშვილი და სხვები. ამ დროს უკვე არსებობდა ტფილისში მიხა ჩოდრიშვილისა და სხვების მიერ მოწყობილი წვრილ ხელოსანთა პატარ-პატარა კავშირები და აწარმოებდენ ნაწილობრივ ბრძოლას ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის; თან ამავე ხანებში ასპარეზზე გამოდიოდენ ფაბრიკა-ქარხნებში ჩაბმული მუშები, ფაბრიკა-ქარხნის პატრონი წვრილი კაპიტალისტები.

90-იანი წლების დაწყებამდე „ნაროდნიკების",—მიხაილოვსკისა და ლავროვის გავლენა დიდი იყო ამ მოწაფეებზე და მათთან დაკავშირებულ ზემოხსენებულ მუშებზე.

მხოლოდ 90-იანი წლების დამდეგიდან იწყებს რყევას საქართველოში ეს იდეოლოგიური ფრონტი „ნაროდნიკებისა“ და ისახება მარქსიზმი, ეწყობა მარქსისტული წრეები,—„ნაროდნიკულ“ ჩანასახებს სცვლის მარქსისტული წრე-ჯგუფები.

მარქსისტული იდეის შემოტანა საქართველოში.

ყოველი შემდეგი წელი საქართველოს ადებდა გაუმჯობესობის ნიშანს, იგი წინ მიდიოდა,—დგებოდა დაწინაურებისა და პროგრესის გზაზე.

ასე, 90-იანმა წლებმა საქართველოს მოუტანა ეკონომიურად გაძლიერება, კულტურულად აღორძინება.

გაიზარდა ფაბრიკა-ქარხნების რიცხვი, გაიზარდა მუშა ხელი.

კაპიტალისტური მსხვილი წარმოება დაუპირდაპირდა წვრილ შინაურ წარმოებას, წვრილ სახელოსნოებს.

წვრილმა ხელოსნებმა იწყეს დატოვება თავიანთი სახელოსნოებისა, გლეხებიც კი ეხლა სტოვებენ თავიანთ ქოხმახებს და მიეშურებიან ქალაქებში, ქარხნებში სამუშაოდ.

გამრავლდა დაბალი და საშუალო სასწავლებლები როგორც ქალაქად, ისე პროვინციებში,—სოფლად.

წვრილიდან მსხვილ წარმოებაზე გადმოსული ბურჟუაზია მოღონიერდა

მოეწყო სააღებ-მიცემო და საურთიერთო ნდობა-დახმარების წვრილი სასოფლო და მსხვილი საქალაქო ბანკები.

გამოვიდა ჟურნალ-გაზეთები, სხვადასხვა ჯგუფისა და მიმართულების გამომხატველნი.

გაცხოველდა საერთოდ წიგნებისა და ლიტერატურის გამოცემის საქმე.

ეკონომიურმა განვითარებამ და აქედან კი კულტურულად გაძლიერებამ გამოიწვია ხალხის მასსიური თვით-ამოქმედება.

აქ ამ ხანებში, იდეოლოგიურ ფრონტზე, საქართველოს სინამდვილე პოულობს გამოხატულებას მარქსისტულ—მსოფლ-მხედველობაში, მარქსისტულ,—მუშათა იდეის გავრცელებაში.

მისი შემომტანი საქართველოში შეიქნენ პოლონეთის დედა ქალაქში—ვარშავაში ნამყოფი ნ. ჯორდანია და ფ. მახარაძე; რამდენიმეთ ადრეთვე ევროპიდან[1]) დაბრუნებული ეგნატე ნინოშვილი და რუსი გადმოსახლებული პოლიტიკურები.

---

[1]) ეგნ. ნინოშვილს ერთობ ცოტა ხანი, სულ რამდენიმე თვე, მოუხდა საფრანგეთში ყოფნა, რის მიზეზიც იყო ნივთიერი ხელმოკლეობა, უსახსრობა.

მაგრამ მარქსიზმის ამ გადმონერგვაში მთავარი როლი ეკუთვნის პირველ ორს.

1890-იანი წლების დასაწყისში, ვარშავის საბეითლო ინსტიტუტში სასწავლად წასული ნ. ჟორდანია და ფ. მახარაძე შემთხვევით აწყდებიან რუს, ებრაელ და პოლონელ სტუდენტების თვით-განვითარების არალეგალურ მარქსისტულ წრეს; ხდებიან ისინი ამ წრის წევრებად და იწყებენ მარქსიზმის თეორიულად შესწავლას, ღებულობენ მარქსისტულ მსოფლ-მხედველობას.

1891 წლის ბოლოში, 92 წლის დასაწყისიდან ნ. ჟორდანია და ფ. მახარაძე უკვე საკმაოდ მომწიფებული მარქსისტები არიან.

1892 წელს, ზაფხულზე ნ. ჟორდანია ბრუნდება საქართველოში [1]), რომელიც ცხადია თავისი მეგობრების (ეგ. ნინოშვილი, მ. ცხაკაია, ს. ჯიბლაძე და სხვა) ვიწრო წრეს აცნობს მარქსიზმის საფუძვლებს. ხოლო ფ. მახარაძე კი ამ ხანებში ებმის ვარშავის ჩამოყალიბებულ პროლეტარიატის ორგანიზაციაში, იწყებს პრაქტიკულ რევოლიუციონურ მუშაობას იქ მარქსისტული პრინციპით; აწყობს აგრეთვე არალეგალურ მარქსისტულ ლიტერატურის საქართველოში გამოგზავნას თავისი ახლო მეგობრების (ეგ. ნინოშვილის, მ. ცხაკაიას და ს. ჯიბლაძის) სახელზე [2]).

პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთად ფ. მახარაძე არ ივიწყებდა თეორიულსაც.

1892 წელს, შემოდგომის დასაწყისში და 1893 წლის დამდეგს ფ. მახარაძე პირველი სწერს ქართულ ენაზე მარქსისტულ ვრცელ საპოლემიკო წერილს სათაურით—„უთავბოლობის ნაყოფი“ „მწარე ფიქრები“ და აგზავნის საქართველოში, მაშინდელ ნაციონალისტურ გაზეთ „ივერიაში“; „ივერია“ მას არ ბეჭდავს, მაგრამ წერილი ხელში უვარდება ფილიპეს თანამებრძოლ მეგობარ-ამხანაგებს,—ეგ. ნინოშვილს, მიხა ცხაკაიას [3]), სილ. ჯიბლაძეს, სხვებს და ეცნობიან შიგ მარქსისტულ-მატერიალისტურ მსოფლ-მხედველობას [4]).

---

[1]) უნდა მივილოთ მხედველობაში ის, რომ ნოე ჟორდანია როგორც ახალგაზრდა მარქსისტი იქონიებდა თან საქართველოში წამოსაღებათ შესაფერ მარქსისტულ ლიტერატურასაც.

[2]) ფ. მახარაძე შემდეგ დაიჭირეს ჟანდარმებმა და მით ტრანსპორტის საქმეც ჩაიშალა.

[3]) მ. ცხაკაია ამ დროს „ივერიის“ რედაქციაში მუშობდა.

[4]) რომ ეს წერილი წაიკითხეს ხსენებულმა მეგობრებმა, მოიწონეს ის,—რახან „ივერიამ“ არ დაბეჭდა,—თვითონ შეეცადენ ცალკე წიგნაკათ მის გამოცემას, ეს სჩანს წიგნების მაშინდელ გამომცემელ კოწ. თავართქილაძის მიწერ-მოწერიდან ფ. მახარაძისადმი ვარშავაში და იქიდან ფილიპეს მიერ სპეციალურად დაწერილი და კოწიას სახელზე გამოგზავნილი წინასიტყვაობიდან ამ გამოცემისათვის. (იხ. „რევ. მატ.“ № 4—5 (9—10) 1924 წ. ფ. შემოქმედელის დაუბეჭდავი წერილი).

ამავე წლის მიწურულში, ზესტაფონის კონფერენციის წინა ხანებში, მარქსისტულ პირველ წერილს,—სათაურით „რა ვაკეთოთ“, ამზადებს ნოე ჟორდანიაც.

წერილი უმთავრესად ეხებოდა ქართველი ერის ეკონომიურ წარმატებას, მარქსისტული გაშუქებით წარმოდგენილ ქართველი ერის „მეობას“. აქ გადმოშლილი იყო მარქსისტული ჯგუფის მთელი სამოქმედო „პროგრამა“, რაც იხატებოდა ქართველი ხალხის ინტერესებისათვის ეროვნულ ფარგლებში მარქსისტული მიდგომით მუშაობაში [1]; დაეწერა აგრეთვე კიდევ ერთი კრიტიკული წერილიც, ნაროდნიკების წინააღმდეგ.

80-იანი წლების მიწურულში ევროპიდან დაბრუნებული ეგნატე ნინოშვილიც კი იყო გაცნობილი მარქსიზმს, მუშათა კლასის იდეალებს, მისკენ იყო ეგნატეს სიმპატია გადახრილი, მაგრამ ეს იყო, ასე ვსთქვათ, ზერელე,—საფუძვლიანათ მარქსიზმი მას არ ჰქონდა შესწავლილი, იგი არ იყო საკმაოდ გარკვეული მარქსისტულ-მატერიალისტურ საფუძვლებში; ეგნატე ნინოშვილში არ იყო გადამუშავებული და მომწიფებული ჯერ კიდევ მარქსის მეცნიერული სოციალიზმი იმდენათ, რომ შესძლებოდა გასცილებოდა ნაროდნიკულ მიმართულებას [2].

ეგნატე ნინოშვილი ნ. ჟორდანიას პირადი დახმარებით და ფ. მახარაძის წერილებით გახდა მომწიფებული მარქსისტი, შეისწავლა მარქსიზმი საფუძვლიანათ.

1893 წელში იწყებს ეგ. ნინოშვილი პირველად მარქსისტულად წერას, რაც გამოიხატა ამა წლის ჟურნალ „ქვალში“ მოთავსებულ მის პირველ პუბლიცისტურ საპოლემიკო წერილებში [3].

გადმოსახლებულ პოლიტიკურებშიც კი ერიენენ მარქსისტები როგორიც იყო: სტან. რენიგერი, ფედია აფანასიევი, ლუზინი და სხვები. მაგრამ ისინი აქ 1893, 94 და 95 წლებში გაჩნდენ, სწორედ იმ დროს, როცა მარქსისტული ინტელიგენტური ქართული ჯგუფი ჩა-

---

[1]) ეს წერილი შეასწორა შემდეგ ავტორმა, შესცვალა სათაურიც, უწოდა „ეკონომიური განვითარება და ეროვნება“ და დაბეჭდა 1894 წელს „ჩოპმენ“-ში. აქ სჩანს ჟორდანიას ნაციონალისტური გადახრა, მისი მარქსიზმის ოპორტუნისტული სამოსელი.

[2]) ეგ. ნინოშვილის ამ ხანების მოთხრობები დაწერილია აშკარა ნაროდნიკული სულით, ნაროდნიკული მიდგომით და გაგებით.

[3]) ეგ. ნინოშვილის პირველ პუბლიცისტურ წერილს „უებარი წამალი საქართველოს გამდიდრებისათვის“, აშკარად ატყვია ფ. მახარაძის დაუბეჭდავ წერილის—„უთავბოლობის ნაყოფი“-ს გავლენა; აქ, ეგ. ნინოშვილის წერილში თითქმის ჟყლებლად არის განმეორებული ფ. მახარაძის წერილის მარქსისტულ-კლასობრივი ბრძოლის დებულებები, მისი მარქსისტული მეთოდით მიდგომა და მატერიალისტური გაგება საგნების.

სახული იყო, იმადებოდა იგი, ეს ერთი; მეორედ,—მათ, როგორც უცხოელთ, ნაკლები სარბიელი ჰქონდათ საქართველოს დედა-ქალაქთფილისში მუშაობისათვის, ისინი არ იცნობდენ ადგილობრივ პირობებს, ისინი გაუცნობელი იყვენენ მუშათა მასასთან. მარტო უბრალო გაცნობა-დაახლოვებასაც დრო სჭირდებოდა. ამიტომ მათ მიერ შემოტანილი მარქსიზმი სუსტი იყო. მასსიური, ფართე ხასიათი არ შეიძლებოდა ჰქონებოდა მას; მარქსიზმის, ამ მეცნიერულ სოციალიზმის, მათ მიერ გადანერგვა თითო-ოროლა პირებში აქ გამონაკლისი მოვლენა იყო.

არც შინაურებზე შეიძლება ლაპარაკი ამ მხრივ, რადგან ფაქტია ის, რომ საქართველოში არსებულ არალეგალურ მდიდარ ბიბლიოთეკაში ზოგიერთ მოწინავე ნაროდნიკ-ინტელიგენტებს, მათ შორის კარლო ჩხეიძესაც, წაეკითხა მარქსის „კაპიტალი“-ს პირველი ტომი რუსულათ თარგმნილი, შეესწავლა კიდეც საკმაოთ იგი, მაგრამ მარქსისტი არ გამხდარიყო; მას და სხვებს ნაროდნიკული მიმართულება ამით არ გამოეცვალათ, ყოველ შემთხვევაში, ეს არ სჩანდა საქმით; ისევ ძველ მსოფლ-მხედველობაზე იდგენ, ან განაგრძობდენ შერყეობას **ძველსა** და **ახალ** შორის [1]).

როცა მარქსიზმის შემოტანაზეა ლაპარაკი საქართველოში ჩვენ გვიხდება შეჩერება ნოე ჟორდანიაზე და ფილიპე მახარაძეზე, როგორც მარქსისტ-თეორეთიკოსებზე, სოციალ-დემოკრატიის როგორც პირველ მწერალ-იდეოლოგებზე საქართველოში [2]).

აქ თავის თავად იბსნება აგრეთვე ის აზრი და შეხედულება ზოგიერთი ძველი, წარსულის მონაწილე ამხანაგებისა, რომელთაც ეგონათ და ჰგონიათ დღევანდლამდის,—აქ მუშები ამ მარქსისტ-ინტელიგენტების დამოუკიდებლად ეზიარენ მარქსისტულ მსოფლ-მხედველობას, გახდენ მარქსისტები, დაიწყეს ორგანიზაციაში მუშაობა, შესცვალეს ნაროდნიკული, ადრინდელი წრე-ჯგუფები მარქსისტულ მუშათა კლასის ხელმძღვანელ წრე-ჯგუფებათო.

---

[1]) ზესტაფონში 1892 წელში მომხდარი კონფერენ კია-კრება მკრერმეტყველურად ამტკიცებს ამას, საცა მარქსისტი ნოე ჟორდანია და ნაროდნიკი კ. ჩხეიძე ერთმანეთს დაუპირდაპირდნენ; დანარჩენები მარქსიზმისაკენ აშკარად გადმოხრილ ეგ. ნინოშვილის ავტორიტეტს დამორჩილებოდა. (იხ. რ. კალაძის ბიოგრაფიული წერილები გვ. ნინოშვილზე გვანატე ნინოშვილის დასურათებულ თხზულებაში).

[2]) ჩვენ აქ არ მიგვაჩნია საჭიროთ ვილაპარაკოთ იმაზე, თუ რომელმა უფრო მოახდინა მათ შორის გავლენა, იოამაში დიდი როლი მარქსიზმის გადმოტანაში; რომელმა უფრო სწორად გადმოგვცა იგი საქართველოში, რომელი უფრო ორტოდოქსალური იყო. დაინტერესებული მკითხველი ამხანაგები წაიკითხავენ ნ. ჟორდანიასა და ფ. მახარაძის პირვანდელ მარქსისტულ წერილებს და თვითონ შეაფასებენ ამ მხრივ.

ეს არ არის, რა თქმა უნდა, სწორი, ისტორიულად გამართლებული.

მარქსისტ-ინტელიგენტებისა და მოწინავე მუშების ურთი-ერთ დამოკიდებულებით, მსოფლ-მხედველობის გაზიარებით, შესწავლით და ერთად მუშაობით გაიდგა ფესვები საქართველოში მარქსიზმმა.

არ არის სადავო ის, რომ ეს იდეოლოგია მუშებმა მიიღეს ინტელიგენტ-მარქსისტებისაგან (ეგ. ნინოშვილი, ს. ჯიბლაძე, მ. ცხაკაია და სხვა), რომლებიც წარმოდგენილნი იყვნენ მოწინააღმდეგეების სახელ-წოდებისამებრ—„მესამე დასის“ სახით.

ამ „მესამე დასის“ ხელმძღვანელ და წევრ ინტელიგენტებთან,—ეგ. ნინოშვილთან, ს. ჯიბლაძესთან, მ. ცხაკაიასთან, ფ. მახარაძესთან, ს. ჯუღელთან და სხვებთან ჰქონდათ ახლო დამოკიდებულება მუშათა მარქსისტული წრეების თვალ-საჩინო ხელმძღვანელებსა და ორგანიზატორებს: ვასო ცაბაძეს, არჩილ არავიაშვილს, ზაქრო ჩოდრიშვილს, არაქელ ოქუაშვილს და სხვებს, ჯერ კიდევ მაშინ, სანამ რაიმე მარქსისტულ წრეებზე ექნებოდათ ლაპარაკი, სანამ მარქსისტულ მუშათა ჯგუფებს ისინი მოაწყობდენ.

მარქსისტული ორგანიზაციის ჩასახვა-წარმოშობა საქართველოში.

წარსული წლებით წარმოშობილმა, უსახო, უპროგრამო და განსაზღვრულ მსოფლ-მხედველობის არ მქონე წრე-ჯგუფებმა გაიარეს დიფერენციაციის მთელი საფეხურები და ეხლა იწყეს პარტიის სახის მიღება, პარტიის ჩარჩოებში ჩამოყალიბება,—მთლიან ორგანიზაციებათ შეკავშირება მოწყობა.

1892 წლის მიწურულში, დეკემბრის ბოლო რიცხვებში, ქართველი მწვრთნელი ხალხის ცნობილ ბელეტრისტ-მებრძოლის, ეგ. ნინოშვილის ინიციატივით ზესტაფონში იმართება სხვა და სხვა ადგილიდან მოწვეულ მარქსისტულად განწყობილ ახალგაზრდა ინტელიგენტ რეოლიუციონერების პირველი არალეგალური კონფერენცია—კრება; კრებას ესწრებიან შემდეგი პირები: მოწვევის ინიციატორი ეგ. ნინოშვილი, სილ. ჯიბლაძე, მ. ცხაკაია, ნ. ჭორდანია, კ. ჩხეიძე, რაფ. კალაძე, ის. რამიშვილი და სხვები. აზრთა გაცვლა-გამოცვლისა და მსჯელობის შემდეგ კრება აზიარებს მარქსისტულ მიმართულებას, კრების წევრები იცვლიან ნაროდნიკულ მსოფლ-მხედველობას და ასე იწყებენ მუშაობას ახალი იდეოლოგიური ფრონტით.

აქედან იწყება გავრცელება მარქსისტულ-რეოლიუციონური იდეისა საქართველოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1893 წელს ბუნტარების ბუდეთ გადაქცეულ თფილისის სასულიერო სემინარიისა და სამასწავლებლო ინსტიტუტის მოსწავლეები—ლადო კეცხოველი, სეგერიანე ჯუღელი და სხვები ეგ. ნინოშვილისა და მ. ცხაკაიას ხელმძღვანელობით ჰქმნიან მარქსისტულ-რევოლიუციონურ წრეებს, სადაც მარქსიზმის შესწავლასთან ერთად ახშირებენ აგრეთვე რევოლიუციონურ გამოსვლებს, პოლიტიკურ დემონსტრაციებს მძიმე რეჟიმის წინააღმდეგ.

ამ წლიდან ე. ი. 1893 წ. ეგ. ნინოშვილი ასუსტებს მუშაობას მხატვრული ლიტერატურის ასპარეზზე და ხელს ჰკიდებს მარქსიზმით გამახვილებულ პოლემიკურ-პუბლიცისტურ წერილების წერას (როგორიც იყო „ძველი დავა ახალი, ქერქში“ და სხვა). ებრძის საპრძოველად ნაროდნიკულ-ნაციონალისტურ მიმართულებას.

1893-94 წლიდან ამათი მოწაფე და შემდეგ მარქსიზმის მუშებში გამავრცელებელი აგიტატორები ხდებიან ვასო ცაბაძე და არჩილ არავიაშვილი რენიგერთან და აფანასიევთან ერთად.

შექმნილ მარქსისტულ ჩანასახის პირველი ამოცანა,—კოლექტიურად, ერთი მთლიანი, ახალი იდეოლოგიური ფრონტით გამოსვლა სამწერლო ასპარეზზე, ძველ ნაციონალისტურ და წერილ ბურჟუაზიულ,—არა მეცნიერულ სოციალიზმის ფრონტის წინააღმდეგ, საჯაროდ ტარდებოდა.

ეს ჩანასახი, შემდგარი მარტოდ და მხოლოდ ინტელიგენტებისაგან,—ჯერ კიდევ მოუღონიერებელი, სუსტ მარქსისტულ რევოლიუციონური ჯგუფისა,—ინახებოდა დიდი საიდუმლოებით.

1893 წლის მეორე ნახევრიდან ამ ახალ, ინტელიგენტ-მარქსისტების ჯგუფის კრება-კონფერენციას რევოლიუციონური საქმიანობის მიზნით კიდევ ეძლევა ადგილი; მხოლოდ ეხლა ეს იმართება თფილისში.

1894 წელს მაისის რიცხვებში უდროოთ გარდაცვლილ ამ მარქსისტ-ინტელიგენტთა ჯგუფის პიონერის ეგ. ნინოშვილის დასაფლავებაზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა გურიის სოფელ ჩოჩხათში, დასაფლავების დროს თავმოყრილ მრავალრიცხოვან ხალხის წინაშე, ხსენებული ჯგუფის სახელით ს. ჯიბლაძემ წარმოსთქვა დიდი პროგრამული სიტყვა, რითაც ეხლა უკვე აშკარათ, საჯაროთ ემცნო ქვეყანას, რომ საქართველოში გაჩნდა ახალი, მარქსისტული, მარქსისტულ მსოფლ-მხედველობით გამსჭვალული, რევოლიუციონურ-სოციალისტური ჯგუფი, ანუ მოწინააღმდეგე გიორგი წერეთლის დარქმევით —„მესამე დასი“, რომლის ორგანიზატორს, გაცივებულ ეგნატეს გვამს მიწას აბარებდენ ეხლა.

ასე წარმოიშვა „მესამე დასი“, ანუ პირველი ჩანასახი სოციალ-დემოკრატიული პარტიისა საქართველოში [1]).

ამ 1894 წელშივე, ნოემბერში რკ. გზის მთავარ სახელოსნოში შესდგა მარქსისტულ-რევოლიუციონური წრის კრება შემდეგი პირების შემადგენლობით: იოსებ არაგვაშვილი [2]) (მუშა), ვანო ჭავჭავაძე (მთავარ სახელოსნოს მუშა, გორიდან წამოსული გლეხი), იოსებ გიორგობიანი, სერგო ჯაფარიძე (ინტელიგენტი, მაგრამ არა ის სერგო ჯაფარიძე, რომელსაც ვექილად იცნობენ) და სხვები.

ვიწრო, თვით განმავითარებელი სხვადასხვა წრეები მუშებისა და ინტელიგენტებისაგან შემდგარი არსებობდენ მანამდეც. მაგალითად: 1893 წელში ძველ მუშის ს. ალილუევის თქმით დაარსებულა ჯგუფი, სადაც შედიოდენ—ალილუევი, გლადიშევი, როგაჩევი, ლენგი, ძმები დანიკოვები და სხვები (ყველა რუსი მუშებია); 1894 წელს გაზაფხულზე ვანო ყიასაშვილის თქმით სახელოსნოს სასწავლებლის მოწაფეებისაგან დაარსებულა წრე, სადაც შედიოდენ—აბელ ენუქიძე, ვანო ყიასაშვილი, კალისტრატე გოგუა, დათიკო ხართიშვილი, კ. ჭიჭინაძე, ელადიმერ ჩაჩავა და სხვები (ყველა ქართველებია).

ამათ გარდა არსებულა კიდევ რუსს და ქართველთაგან შემდგარი ჯგუფი მარქსისტებისა შემდეგი პირების შემადგენლობით: სტანისლავ რენიგერი (მიწის მზომელთა სასწავლებლის მოწაფე, „კლიჩკა“ იუსტინე), კოკი (გვარგამოუცნობელი ფსევდონიმია, რომელღაც წევ-

---

[1]) ამ ჩასახულ ჯგუფის ერთ იდეურ წევრად და მოკირნახულეთ უნდა ჩაითვალოს მაშინ ვარშავაში მყოფი, ვარშავის რევოლიუციონურ მარქსისტულ ორგანიზაციაში არალეგალურათ მომუშავე ფ. მახარაძე, რომელსაც ვარშავიდან 94 წელში დაბრუნებულ მარქსისტ ნ. ჟორდანიასთან, აგრეთვე ეგ. ნინოშვილთანაც ჰქონდა კავშირი, პირადი, მაგრამ საქმიანი პოლიტიკურ-რევოლიუციონური ხასიათის მატარებელ მიწერ-მოწერის საშუალებით... განზრახულ პირველ მარქსისტულ კრებისათვის ნ. ჟორდანიამ მოამზადა საპროგრამო პროექტი; პროექტში იგი ცდილობდა მომავალ მარქსისტულ პარტიისათვის ეწოდებია „ნაციონალ-დემოკრატიული პარტია“, რომელიც ვარშავაში მყოფ ფ. მახარაძეს გააცნო მან ცალკე, პირადი წერილით. ფილიპემ იგი, თავის, ვარშავის მარქსისტული წრის მონაწილეებით გაარჩია, შესწორება შეიტანა შიგ და ასე გამოგზანა საქართველოში წრის კოლეგტიური, კეშმარიტ-მარქსისტული აზრი და შეხედულება მასზედ, რაც წაკითხული იქნა 92 წლის მიწურულში ზესტაფონში გამართულ კრებაზე (იხ. რ. კალაძის ბიოგრაფიული წერილი ნინოშვილზე ნინოშვილის თხზულებაში).

[2]) იოსებ არაგვაშვილი ამ ხანებში მუშაობდა მთავარ სახელოსნოში, მაგრამ აქ მან ჰპარა თავი დაანება მუშაობას და წავიდა გორში თავის სოფელ ბებნისში—ქარელში. ამით შეწყდა მისი მუშაობა ჯგუფში. შემდეგ მას არაფრით არ გამოუჩენია თავი წარმოებულ რევოლიუციონურ პარტიულ მუშაობაში. დღეს იგი ჯერ აღარ არის ცოცხალი.

რის), მიშა კლიმიაშვილი, ფედია აფანასიევი (მუშა),[1] სადაც შეიდა შემდეგ ვასო ცაბაძეც, მაგრამ დამფუძნებელ მარქსისტულ კოლექტივად გახდა უკანასკნელ წრის ხელმძღვანელობით მუშათა ცენტრში რკინის გზის მთავარ სახელოსნოში დაარსებული,—ქრონოლოგიურათ—მეხუთე წრე, რომელსაც 1895 წლიდან უკვე შემოემატნენ სხვა მოწინავე ხელმძღვანელი მუშებიც; მაგალითად: არ. არაბიაშვილი, ზაქრო ჩოდრიაშვილი, ამ წრეში გადმოვიდა შემდეგ აგრეთვე ვასო ცაბაძეც. როგორც ხელმძღვანელი.

ამ მუშაობა-საქმიანობით ფარდა აეხადა ამ რიგათ მანამდე არსებულ სხვა პატარა-პატარა დამოუკიდებელ, უპარტიო და ნახევრათ მარქსისტულ მუშა-ინტელიგენტთა წრეებსაც, როგორც ცალკე რუსებისას, ქართველებისას, ისე ცალკე ინტელიგენტებისას, მუშებისას და ამავე დროს გაერთიანებულ მუშებისა და ინტელიგენტებისას ერთიდ აღებულს; ყველა ესენი აკეთებდენ რა ერთ და იმავე რევოლიუციონურ საქმეს, მოწყვეტილნი იყვნენ ერთმანეთზე ორგანიზაციულად, ჩაკეტილნი იყვნენ კონსპირაციის ძლიერ კედლებში. ეს იწვევდა სხვათა შორის აზრს, რომ ყველა წრეს თავისი თავი პირველი დამფუძნებელი წრე ეგონა... კონსპირაციის, მუშაობის საიდუმლოდ წარმოების გამო ორგანიზაციებს შორის მომუშავე პირები, ორგანიზაციის ხელმძღვანელები, გამოუცნობელ ფსევდონიმის ქვეშ ამოფარებული სფინქსები ყოფილიყვნენ დიდ ხანს კიდეც, რის მიზეზით დღესაც ბევრი ასეთი პირების „კლიჩკა“ აუბდელია, დღესაც არ არის გამოცნობილი ვინაობა, სახელი და გვარი პირადდელი ორგანიზაციების ზოგიერთი მომწყობლებისა.

1896 წელში ეს მუშათა მარქსისტული წრეები იმდენათ გაიზარდენ, მომწიფდენ და გაძლიერდენ, რომ უკვე შექმნეს ჩამოყალიბებული ერთი ხელმძღვანელი მუშათა მარქსისტული ცენტრი, ანუ **კოლექტივი**, სადაც შევიდენ: ზ. ჩოდრიაშვილი, არჩ. არაბიაშვილი, არაკელ ოქუაშვილი, ვასო ცაბაძე, ვანო სტურუა, გიორგი ჩხეიძე, მიხო ბოჟორიძე, აბელ ენუქიძე, კალისტრატე გოგუა, ს. ალელუევი, ი. კოპალეიშვილი, დ. დვალი, ვ. ყიასაშვილი, როსტომაშვილი და სხვები.

ამ მუშათა ცენტრს, ანუ კოლექტივს, დაუკავშირდა აგრეთვე სხვა და სხვა დროს დაარსებული წინანდელი წრეებიც.

ამრიგათ 1894 წელს თფილისში, მუშათა ცენტრში, რკ. გზ. მთავარ სახელოსნოში, ჩაისახა მარქსისტული მუშათა ჯგუფი (კოლე-

[1] ფ. აფანასიევი მოწინავე მუშა ყოფილა ჯერ კიდევ 92-93 წლებიდან ლვნინგრადში ბრუნვენკის მარქსისტულ მუშათა ორგანიზაციისა, რომელიც აქ, თფილისში, მოხვედრილა 93-94 წლებში, როგორც პოლიტიკური გადმოსახლებული (იხ. ნ ე ვ ს კ ი ს „ისტორია რ. კ. პ.“ გვ. 270).

ქტივი). ხოლო 95 და 96 წლებში უკვე მოეწყო გამრავლებულ მუშათა მარქსისტულ წრეების ხელმძღვანელი ორგანიზაცია, რომელშიაც მოექცენ ყველა გათვითცნობიერებული მოწინავე მარქსისტი-მუშები.

1894 წელში თუ ვერ შეიქმნა მთლიანი, დასრულებული, მტკიცე მარქსისტულ-სოციალ-დემოკრატიული მუშათა ორგანიზაცია,— საფუძველი დაედგა ამით მაინც მუშათა ცენტრში—რკ. გზ. მთავარ სახელოსნოში მას, რის შემდეგ იგი სწრაფათ გაიზარდა, გაიშალა და 95—96 წლებში ჩამოყალიბდა მრავალ წარჩინებულ მარქსისტულ მუშათა წრეების თავისთან დაკავშირებით.

ეს ხელმძღვანელი კოლექტივი იკრიბებოდა ფ. აფანასიევის ბინაზე უმთავრესათ, სანამ ბინა ჩავარდებოდა. 1896 წლის ბოლო ხანებში ამ კოლექტივის უკვე შეკავშირებდა 15—20-მდე მარქსისტული მუშათა წრე. ამ მრავალ რიცხოვან წრეების მუშაობის შედეგი გახდა პირველი გაფიცვები ამ წელს ბოზარჟიანცისა, ენფიანჯიანცისა და საფაროვის თამბაქოს ფაბრიკებში ჩაბმულ მუშებისა, რომელთა რიცხვი 400—500 კაცამდე აღწევდა[1]). ახალგაზრდა ორგანიზაციის იდეოლოგი შეიქნენ ლიტერატურული მუშაობის სარბიელით ნ. ჯორდანია და ფ. მახარაძე. პირველი საზღვარ გარეთ მცხოვრები 1894 წლიდან აგზავნის საქართველოში მარქსისტული[2]) ხასიათის წერილებს, რომლებიც იბეჭდება ჯერ ცურ. „მოამბე"-ში, შემდეგ „კვალში"; უკანასკნელი (ფ. მახარაძე) ეარშავის ციხიდან განთავისუფლებული და საქართველოში პოლიციის მხედველობის ქვეშ დაბრუნებული, 1895 წლიდან იწყებს „კვალში" მარქსისტულ-მატერიალისტურ საპოლემიკო ხასიათის წერილების წერას.

1896 წელს რამდენიმე ხანს, ფ. მახარაძე მდივანი იყო ავრეთვე კვირეულ გაზეთ „კვალის" რედაქციისა, სადაც იგი თავისი წერილებით რამოდენიმეთ აძლევდა „კვალს" მარქსისტულ ელფერს.

1894—96 და 97 წლებში მ. ცხაკაია იმყოფებოდა ქუთაისში და იქ მის მიერ მოწყობილ მოწაფეთა წრეებში განაგრძობდა პროპაგანდას,—აცნობდა, ასწაელიდა მათ მარქსიზმს, ავრცელებდა მათ შორის მარქსისტულ მოძღვრებას[3]).

---

[1]) იხილე. „რევ. მატიანე" № 5—ვასო ცაბაძის მოგონება. ამავე თამბაქოს ფაბრიკებში 1894 წელშიც ჰქონია ადგილი გაფიცვას (იხ. „ივერია" 94 წ.)

[2]) ნ. ჯორდანიას განსაკუთრებული მარქსისტულ-რევოლიუციონერი თვისებებზე ქვეყნით მოგვიხდება შეჩერება-ლაპარაკი, რომელსაც შვეინისტური გაზეთი „ივერია"-ც არ ეუბნებოდა უარს, უბეჭდავდა წერილებს, არ ბედავდა ის ნ. ჯორდანიას წერილებში მაინცა და მაინც თავის საწინააღმდეგოს,—ნ. ჯორდანია ქართველურ პატრიოტობაში არ ჩრებოდა უკან „ივერიის" ხელმძღვანელებს.

[3]) 1897 წლის მიწურულში მ. ცხაკაია ჯანდარმერიის მიერ იქნა დაპერილი და გადასახლებული რუსეთში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1897 წლიდან ხსენებულ ორგანიზაციაში შეყვანილი იქნენ შემდეგი ინტელიგენტი მარქსისტები: ს. ჯიბლაძე, სევერიანე ჯუღელი, ალ. ჭატილოვი, რაჟდ. კალაძე და ბოლოს ლადო კეცხოველი.

ეხლა 97 წლიდან ეს უკვე საკმაოდ მოღონიერებული თფილისის ორგანიზაცია ფაბრიკა-ქარხნებში ჩაბმულ ფართე მუშათა მასაში აწარმოებდენ მარქსისტულ-რევოლიუციონურ სოციალ-დემოკრატიულ მუშაობას პროპაგანდა-აგიტაციის გაწევითა და რუსეთიდან საქართველოში მოწყვეულ მრავალ არალეგალურ მარქსისტულ-რევოლიუციონური ლიტერატურის,—„ოსვობოჟდენიე ტრუდას“ ნომრებისა და პლეხანოვის ბროშიურების გავრცელებით.

98 წელში საზღვარგარეთიდან ჩამოსულმა ნ. ჟორდანია და საქართველოში მყოფ ფ. მახარაძე თფილისის ორგანიზაციის დადგენილებით სრულიად დაეპატრონენ გაორგი წერეთლის ხელში მყოფ, უპროგრამო, ვიწრო ნაციონალ-დემოკრატიულ კვირეულ ჟურნალს „კვალს“ და მისცეს მას წმინდა მარქსისტული ხასიათი,—მარქსისტულ სოციალ-დემოკრატიული მიმართულება.

ამ ბეჭდვითი ორგანომ მარქსისტების გარდა შემოიკრიბა თავის გარშემო საქართველოს ყველა მოძრავი, პროგრესიული, რევოლიუციონური მოწინავე საზოგადოებრივი ძალები.

98 წლიდან კვირეული ჟურნალი „კვალი“ გახდა პირველი ლეგალური, სოციალისტური ბეჭდვითი ორგანოთ, რომელიც ამლევდა საკვებს ჩასახულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ორგანიზაციას, ხრდიდა, ამწიფებდა მარქსისტულ თაობას.

98 წელს მარქსისტული ლეგალური ჟურნ. „კვალი“ ერთად ერთი ქართული ბეჭდვითი ორგანო იყო (რუსული ამ მიმართულების გაზეთი კი არ არსებობდა ამ დროს), რომელიც გაეცნებით იკითხებოდა ქართველ მშრომელ ხალხში. „კვალმა“ განსაკუთრებით აღმართა მარქსისტული, სოციალ-დემოკრატიული ბრძოლის დროშა ილია ჭავჭავაძის ეროვნულ-შოვინისტურ გაზეთ „ივერიასა“ და ნაროდნიკულ მიმართულების წინააღმდეგ.

ამ წლის მიწურულიდან უკვე თფილისის გარდა—ბაქოში და ბათომშიც,—როტშილდისა და მანთაშევის ნავთის სამრეწველო ქარხნებში ჩაისახენ, თუმცა სუსტი, მაგრამ რევოლიუციონურად მომქმედი მარქსისტული ორგანიზაციის ჩონჩხი ანუ უჯრედები.

უნდა აღინიშნოს შემდეგი: მიუხედავათ იმისა, რომ ბაქო და ბათუმი ითვლებოდა ყველაზე უფრო სამრეწველო, „კაპიტალისტურ ქალაქათ არა მარტო საქართველო-აზერბეიჯანში, არამედ მთელი კავკასიის მასშტაბითაც, მიუხედავათ იმისა, რომ ნახევრად პროლეტარი, გაპროლეტარების გზაზე შემდგარი მუშები, უმეტესად ამ ქალაქებში იყვნენ თავ-მოყრილნი და მუშათა მოძრაობა წმინდა კლა-

სობრივი ინტერესით აქ ხდებოდა უფრო თვალ-საჩინო, უფრო საგრძნობი შემდეგ და შემდეგ, ცენტრი მაინც მუშათა რევოლიუციონური ორგანიზაციებისა, პოლიტიკურად ამამოქმედებელი, სიგნალის მიმცემი—მარქსისტულ სოციალ-დემოკრატიული პირველი უჯრედებით, მრეწველობის მხრივ უფრო სუსტი ქალაქი თფილისი გამხდარიყო.

პირველი პარტიული ყრილობა [1])

რუსეთის მრავალ სამრეწველო დიდ ქალაქებში კარგა ხნიდან ჩასახული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები—წარმოდგენილნი შემდეგი ჯგუფების სახით: „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის მებრძოლის კავშირი"-სა,—ლენინგრადის, მოსკოვის, ხარკოვის, ეკატერინოსლავის და კიევის [2]) „ბუნდი" (პოლონეთ ლატვიის და რუსეთის ებრაელი მუშების კავშირი), „რუსეთის სოც.-დემოკრატების კავშირი" (საზღვარგარეთ დაარსებული, რომელშიც ადრინდელი დაარსებული „შრომის განთავისუფლების" ჯგუფიც შედიოდა), სადაც აქ შემაკავშირებელ ბეჭდითი ორგანოთ გამხდარიყო 97 წელს აგვისტოში გამოსული არალეგალური გაზეთი „რაბოჩაია გაზეტა" (მუშათა გაზეთი),—98 წლიდან უკვე საკმაოდ გაზრდილიყენენ და ემზადებოდენ პირველი პარტიული ყრილობისათვის.

1898 წელს მარტის რიცხვებში „რაბოჩაია გაზეტა"-ს ინიციატივით, ბელორუსიის ქ. მინსკში, ზემოხსენებულ ორგანიზაციათა წარმომადგენლობით მოხდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის პირველი დამფუძნებელი ყრილობა.

ყრილობის ამოცანა იყო,—სხვადასხვა ქალაქებში მომუშავე მარქსისტულ ორგანიზაცია-ჯგუფების ერთ, იდეურად ხელმძღვანელ ცენტრის ირგვლივ მჭიდროდ შეკავშირება, მათი კლასობრივ ბრძოლის დროშის ქვეშ დადგომა, მათზე დაქვემდებარებულ მუშათა კლასის ერთი სურვილით შესისხლხორცება, მუშათა მასის ერთ პროლეტარულ ბრძოლის ხაზზე დაყენება...

---

[1]) ლენინგრადის ორგანიზაციის ინიციატივით ყოფილიყო ცდა უფრო ადრეც—96—97 წლებში მოწყობილიყო ეს დაქსასულ ორგანიზაციების გამაერთიანებელი პირველი პარტიული ყრილობა, რისთვისაც ორგანიზაციის წევრი ნ. კ. კრუპსკაია რამდენჯერმე წასულიყო კიევში და სხვ., მაგრამ მკაცრი რეპრესიების გამო ვერ მოხერხებულიყო იმ ხანებში.

[2]) ასეთივე ორგანიზაციათ უნდა ჩაითვალოს 94—96 წლებში ჩასახული და წარმოშობილი ტფილისის სოც.-დემოკრატიული ორგანიზაცია საქართველოში.

სამი დღის მუშაობით, მრავალ გარდაწყვეტილებათა გამოტანით, ყრილობის მიერ შესრულებული იქნა ყველაფერი ეს.

ყრილობას არ მიუღია მხოლოდ პარტიის პროგრამა.

ასეთი არც იყო გამომუშავებული.

მისი,—ე. ი.—პარტიის პროგრამის გამომუშავება მიენდო სამზღვარ გარეთ მყოფ გ. პლეხანოვს [1]. თუ ვინიცობაა, უარს იტყოდა იგი მის დაწერაზე, ყრილობა ავალებდა განეხილა, შეემოწმებია მაინც მას სხვების მიერ შედგენილი პროგრამა.

ყრილობამ გამოსცა „მანიფესტი" რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა", შეიმუშავა აგრეთვე საორგანიზაციო, პარტიულ მუშაობისათვის სახელმძღვანელო წესდებები და აირჩია პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

ამ ყრილობაზე დასასწრებლად არჩეულ იქნა დელეგატი საქართველოშიც—ტფილისის სოციალდემოკრატიულ ორგანიზაციიდან, მაგრამ მისგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო ყრილობაზე წასვლა მას ვერ მოეხერხებია. იგი დაკავებულ იქნა შემთხვევით ჟანდარმების მიერ, რამაც სრულებით ჩაშალა მისი გამგზავრება მინსკის პარტიულ ყრილობაზე.

ამრიგათ პირველ პარტიულ ყრილობაზე საქართველოს თავისი წარმომადგენელი აღარ ჰყოლია, მაგრამ მიუხედავათ ამისა, მინსკის პარტიულ ყრილობის ყოველივე წესდება-დადგენილებები მიღებულ იქნა და ტფილისის სოციალდემოკრატიული ორგანიზაციაც ითვლებოდა **რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის** ოჯახის განუყრელ წევრად.

ამბ. ა. ბუბნოვის თქმით ამ პირველი ყრილობით დაედო საფუძველი სოციალდემოკრატიულ პარტიას, მაგრამ თვით პარტია არ შექმნილა; ყრილობის გათავებისთანავე არჩეული ცენტრალური კომიტეტი და მრავალი დელეგატები, კიეველ ჟანდარმის ნოვიცკის მიერ დაპატიმრებულ იქნენ. ამან კი ხელი შეუშალა მარქსისტულ-მუშათა ორგანიზაცია-ჯგუფების ერთ მთლიან რუსეთის სოციალდემოკრატიულ პარტიის ორგანიზაციაში განუყოფლად ჩამოსხმა-გაერთიანებას.

მაგრამ მიუხედავათ ამისა, რევოლიუციონურ-კლასობრივი ძალების ერთმანეთთან დაახლოვება, ერთად თავის მოყრა, მთელი რუსეთისა და მის განაპირა პატარა ქვეყნების ხელმძღვანელ პოლიტიკურ პარტიის ზრდის პროცესი ან დღიდან მაინც უფრო მეტი სისწრაფით გრძელდებოდა, მეტი ინტენსიობით ვითარდებოდა.

[1]) 95—6 წლებში პეტერბურგის ორგანიზაციის სულის ჩამდგმელი ლენინი ამ დროს იმყოფებოდა შორეულ ციმბირში, როგორც პოლიტიკური გადასახლებული.

ტფილისის ორგანიზაციის რევოლიუციონურ-კლასობრივი ნაბიჯები.

98 წელს, მინსკის პარტიულ ყრილობის შემდეგ, ტფილისის სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ იმის გარდა, რომ თავისი ბეჭდვითი ლეგალური ორგანო „კვალი“ დაიარსა, მან მოაწყო თავისი კლასიური, შრომისა და რევოლიუციონური მოძრაობის სადღესასწაულო 1-ლი მაისობა.

ამ სამაისო დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 30—35 კაცმა, მათ შორის იყვნენ ივანე ლუზინი და ინჟინერი კოგანიც [1]).

მაისობის მხიშველობაზე პოლიტიკური ხასიათის რევოლიუციონური სიტყვები წარმოსთქვეს: სევერიანე ჯუღელმა, მიხა ბოჭორიძემ და ზაქრო ჩოდრიშვილმა.

დემონსტრაცია იყო არალეგალური, ფარული, სადაც პირველად გამოვიდენ ორგანიზაციაში ჩაბმული და მის ირგვლივ შემოკრებილი ტფილისის მოწინავე მუშები და რევოლიუციონური ინტელიგენცია.

1-ლ მაისობის საზეიმო დემონსტრაცია,—უფრო ფართე და მრავალ-რიცხოვანი,—გაიმართა მეორეჯერ 99 წელს.

ბრძოლის წყურვილით აღსავსე მოწინავე მუშები, წითელი დროშებით მოსულნი დემონსტრაციაზე ამშვენებდენ ამ შრომის სადღესასწაულო კლასიურ დღეს და ჰქმნიდენ რევოლიუციონურ ატმოსფერას.

თუ პირველად, 1898 წელს, მაისობაზე მონაწილეობა მიიღო 30—35 მუშამ და ინტელიგენტმა და ისიც ერთმა ერმა, განსაკუთრებით ქართველობამ,—გარდა ორი-სამი კაცისა,—1899 წელს, მეორე მაისობაზე ეს რიცხვი გაიზარდა 2-ჯერ; მონაწილეთა რიცხვი ახლა აღწევდა 70—80 კაცამდე. აქ იყვნენ ტფილისში მცხოვრები თითქმის ყველა ერების მშრომელი ნაწილის წარმომადგენელნი,—ქართველები, სომხები, რუსები და სხვ.

ტფილისის ორგანიზაციას,—რომელიც საქართველოში და მთელ კავკასია—ამიერ-კავკასიაშიც თავისი დაუღალავი პარტიულო-რევოლიუციონური მუშაობით ერთად-ერთი იკრებდა თავის გარშემო მუშებს და მებრძოლ რევოლიუციონურ ინტელიგენციას,—ფარულად, არალეგალურად გაემართა ეს დემონსტრაციაც.

---

[1]) კოგანი, როგორც გადმოგვცემენ, ეხლა მუშაობს ერამნსკის ფსევდონიმით ეკონომიურ ლიტერატურაში.

აქ სიტყვები წარმოსთქვეს: სეევრიანე ჯუღელმა, ლადო კეცხოველმა, ზაქრო ჩოდრიშვილმა, მიხო ბოჟორიძემ და რაჟდენ კალაძემ.

მესამედ, 1900 წელს, სამაისო დემონსტრაცია მოწყობილი და ჩატარებული იქნა კიდევ ისე, როგორც პირველი და მეორე—არალეგალურად, ფარულად.

ტფილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შეხედულობით ჯერ კიდევ ამ წელსაც ფართო მუშათა მასსა არ იყო ისე გათვითცნობიერებული რევოლიუციონურად, იმდენათ საკმაოდ მომწიფებული პოლიტიკურად, რომ მთავრობის წინააღმდეგ ქალაქის ქუჩებში აშკარად, გაბედულათ, რევოლიუციონური შეგნებით გამოსულიყვენ და ამ გამოსვლას ჰქონებოდა შედეგათ რევოლიუციონური აღმზრდელობითი მნიშვნელობა მშრომელ ხალხისათვის,—ნაცვლად დანგრევა—განადგურებისა, ჯერ კიდევ მასსასთან შეუკავშირებელ, სუსტი რევოლიუციონური ორგანიზაციისა, - ეს პირველი; მეორე,—ამ ხანად კიდევ საჭირო იყო ფართო მუშათა მასსა შესჩვეოდა მტრებთან საიდუმლოთ, ფარულ პირობებში 1-ლ მაისობის ჩატარებას და სხვა ამგვარ რევოლიუციონურ ატმოსფერის შემქმნელ პოლიტიკურ გამოსვლებს; საჭირო იყო გასცნობოდენ ერთი-მეორეს, აეწონათ, შეემოწმებიათ ერთმანეთი ერთად თავის შეყრის დროს... ამიტომ იყო, რომ ორგანიზაციას, პირიქით, დაედგინა—ამ დემონსტრაციაზე ქალაქს გარეთ ორგანიზაციის წევრნი, ინტელიგენტური ძალები, არ წასულიყვნენ, მტრებისაგან მოწყობილ რაიმე მახეს არ გადაყოლოდენ იქ და ასე შემოენახათ თავი უფრო რთული, უფრო მნიშვნელოვან და საჭირო ორგანიზაციულ პარტიულ მუშაობისათვის. ამის მოტივი ის იყო, რომ ორგანიზაციულ მუშაობაში გამოცდილ, მარქსისტულად და რევოლიუციონურად მომზადებული ინტელიგენტური ძალები ისეც ერთობ ცოტა ჰყვედათ.

დემონსტრაციის მონაწილე მუშების რიცხვი აღემატებოდა 400—500 კაცს.

ეს არალეგალური ფართე დემონსტრაცია 1-ლ მაისობისა 1900 წელს ისე ბრწყინვალეთ იქნა ჩატარებული, რომ კონსპირაციის ვიწრო ჩარჩოებში ის ვერ მოთავსდა, გადმოხეთქა საიდუმლოების კედლები და იგი საგანი გახადა მსჯელობა-ლაპარაკისა ტფილისის ფართე მშრომელ მასისთვის, რომელთათვის ბედს არ ერგუნებია მასში მონაწილეობის მიღება.

1901 წელს ტფილისის ორგანიზაცია განსაკუთრებით ემზადებოდა მოახლოებულ 1-ლ მაისობის დემონსტრაციის მეოთხეჯერ ჩატარებისათვის.

ორგანიზაციის გადაწყვეტილებისამებრ მაისობა ამ წელს უნდა გამართულიყო ღიად, საჯაროდ, ტფილისის ცენტრალურ ბაღში გამოსვლით.. ამ წლის მაისობის დემონსტრაციას უნდა ეჩვენებინა პროლეტარიატის მტრებისათვის მტკიცე რევოლიუციონურ ნებაში გამოხატული შიშის-მგვრელი ძალა ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ, მებრძოლი პროლეტარიატი მას კიდევ უფრო უნდა აღეფრთოვანებია, წეახალისებია, კიდევ უფრო მჭიდროდ და მრავალად უნდა შემოეკრიბნა მას თავის რევოლიუციონურ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციის გარშემო მშრომელი, რევოლიუციით დაინტერესებული ელემენტები.

პოლიცია-ჟანდარმებმა,—თავიანთი აგენტების შემწეობით,—იცოდენ რა რევოლიუციონურ ორგანიზაციებში ჩაბმულ მუშების განზრახვა საპირველმაისო გრანდიოზული ღია დემონსტრაციის მოწყობის შესახებ,—წინ და წინ შეეცადენ რევოლიუციონური ორგანიზაციის წევრების მასიური დაჭერით ეს განზრახვა დასაწყისშივე ჩაეკლათ. წინა დღეებში მიეცა ადგილი საყოველთაო დაჭერა-დაპატიმრებას; დაპატიმრებულთა რიცხვში სხვებთა შორის მოხვდენ: ფილიპე მახარაძე, ფრანჩესკო, სილიბისტრო ჯიბლაძე, გ. ყარაჯიანი, გიგო წულუკიძე, ასალო ვადაჭკორია და მრავალი სხვები. მაგრამ მიუხედავათ ამისა განზრახული საჯარო დემონსტრაცია მაინც არ ჩაიშალა, იგი გაიმართა ხალხით მუდამ სავსე ჭალაქის ცენტრში—სალდათის ბაზარში.

რევოლიუციონური ცეცხლით ანთებული ტფილისის მუშები მოუთმენლად ელოდენ ამ დღეს.

სადემონსტრაციოთ აზღვებული მუშები წინ უსწრებდენ ტფილისის ორგანიზაციას...

ამ დემონსტრაციის გმირი მედროშეები იყვნენ პირველი, მუშა არაქელა ოქუაშვილი და შემდეგ, გ. თათანაშვილი და მამალაძე.

1901 წელს ტფილისის ორგანიზაციამ პირველ მაისობის ღია დემონსტრაცია სამაგალითოდ ჩაატარა. ამ დემონსტრაციამ გამოაფხიზლა და მოძრაობაში მოიყვანა კავკასია—ამიერ-კავკასიის ყველა მუშები ერთი მხრით, ხოლო ჩააფიქრა, დაუკარგა სიმშვიდე და რევოლიუციონურ მუშებთან საბრძოლველად დარაზმა ბურჟუაზია და მისი დამცველი ჟანდარმერია.

ჩატარებულ სამაისო დემონსტრაციების აღსანიშნავათ, ტფილისის ორგანიზაციის მიერ გამოცემულ იქნა აგრეთვე არალეგალური შესაფერი ფურცლებიც.

ყველა ამ ჩატარებულ სამაისო დემონსტრაციების მთავარი ორგანიზატორი და სულის ჩამდგმელი ორგანიზაციიდან იყო ზაქრო ჩოდრიშვილი.

1898, 1899 და 1900 წლებიდან მომჭმედ ტფილისის ორგანიზაციას დაუახლოვდა და შეუკავშირდა პარტიისა და რევოლიუციის დაუღალავი ორგანიზატორი მუშაკები: ლადო კეცხოველი, სასულიერო სემინარიიდან დათხოვნილი სოსო ჯუღაშვილი (კობა) დღეს ცნობილი სტალინი, გიორგი თელია, საშა წულუკიძე და ახალგაზრდა ალიოშა (პროკოპი) ჯაფარიძე.

ტფილისის ახალგაზრდა მუშათა კლასის დაუფლებაც რევოლიუციონური გამოსვლები იწყება გაფიცვებით.

მე-20-ცე საუკუნის დასაწყისს, 1900 წელში 1-ლ იანვარს ტფილისის ორგანიზაციის დადგენილების თანახმად, ლადო კეცხოველმა, რაჟდენ კალაძემ და ვასო ცაბაძემ მოაწყვეს „კონკის" (ქალაქის ცხენის რკინის გზა) მოსამსახურეთა გაბედული გაფიცვა. გაფიცვას მიეცა პოლიტიკური ხასიათი.—გაფიცულ მუშებს წინ აღუდგა პოლიცია. მოხდა მათ შორის შეიარაღებული შეტაკება. აქ პირველად დაიღვარა მუშების სისხლი.

1900 წელს აგვისტოს რიცხვებში ტფილისის ორგანიზაციამ მოაწყო პოლიტიკურათ გათვითცნობიერებული, კლასობრივი შეგნებით გათამამებულ რკინის გზის სადგურისა და დეპო-სახელოსნოების მრავალრიცხოვან მუშებში, კავკასიის რევოლიუციონურ მოძრაობის ისტორიაში უმთავლითო გაფიცვა.

გაფიცვა დაიწყო ეკონომიურ ნიადაგზე, რომელსაც სარჩულად დასდებოდა შრომის ხელფასისა და შრომის მძიმე პირობების გაუმჯობესება. მაგრამ მტკიცე, რევოლიუციონური თავდადებით მაგარი გაფიცვის ორგანიზაცია თავის თავად ატარებდა თვითმპყრობელ მთავრობის წინააღმდეგ მიმართულ აშკარა პოლიტიკურ ხასიათს.

გაფიცვის მონაწილეები აღემატებოდენ 3000—4000 კაცს.

აქ იყვნენ ტფილისში მყოფ ყველა ეროვნებიდან,—ქართველები, სომხები, რუსები, ურიები, პოლონელები და სხვა.

გაფიცვის წარმატებით ჩატარებისათვის ტფილისის ორგანიზაციამ გამოსცა პროკლამაციები,—არალეგალური ფურცლები ქართულად და რუსულათ [1]). პროკლამაცია—ფურცლებში, გაფიცვისათვის მოწოდებასთან ერთად გამოცხადებული იყო გაფიცულთა მოთხოვნილებებიც.

გაფიცვა გაგრძელდა ორ კვირაზე მეტი...

გაფიცვის გამოცხადებიდან რამდენიმე დღის შემდეგ გაფიცულთა რიცხვი 4000—5000-მდის გაიზარდა.

---

[1]) იყო ცდა, რომ ფურცელი სომხურ ენაზეც ყოფილიყო, მაგრამ ეს არ მოხერხდა, რადგან არც ერთი სომეხი ასთა-ამწყობი სოციალდემოკრატიულ წრეში მყოფი, რევოლიუციონურ მოძრაობასთან დაკავშირებული, ჯერ ხანად არ მოიპოვებოდა.

გაფიცვის გმირები, მისი სულის ჩამდგმელნი და ხელმძღვანელები ორგანიზაციიდან იყვნენ: ზაქრო ჩოდრიშვილი, არაქელა ოქუაშვილი, გიორგი ჩხეიძე, ს. ალილუევი, გიორგი რთველაძე, ვანო სტურუა და მარსაგოვი—ეს მუშები; ინტელიგენტებიდან: სილიბისტრო ჯიბლაძე, სოსო ჯუღაშვილი (სტალინი), საშა წულუკიძე, ალიოშა (პროკოპი) ჯაფარიძე, და სხვები [1].

გაფიცვა წაგებულ იქნა, მისი შედეგით მრავალი მოწინავე მუშები და ინტელიგენტები მოხდენ ციხე-საპყრობილეებში.

მოთხოვნილების არც ერთი მუხლი არ განხორციელდა.

ტფილისის ორგანიზაციის მიერ გამოშვებული და გავრცელებული იქნა არალეგალური ფურცელი—პროკლამაცია, მიმართული დაპატიმრებულთა ცოლ შვილებისადმი, რომლითაც მოუწოდებდენ მათ რევოლიუციონური სიმტკიცისაკენ,—არ შეშინებულიყვენ, არ დაცემულიყვენ სულით ქმრებისა და მამების დაპერის გამო და პირიქით, ენუგეშებინათ, აღემაღლებინათ სულით თავიანთი დაპატიმრებული ოჯახის უფროსები თუ წევრები.

ასეთი რეპრესიები, უცერემონიოდ დევნა და დაპატიმრებები რევოლიუციონურათ განწყობილ მუშებისა პირველი იყო ტფილისის მოზარდ პროლეტარიატის ცხოვრებაში,—„1900 წლის გაფიცვამდე ჩვენ სრული თავისუფლება გვქონდა, თუმცა კრებებს ჩუმათ ვახდენდით, მაგრამ ჩვენ კი არავინ არც გვდევნიდა და არც ყურადღებას არ გვაქცევდა. ამ გაფიცვის დროს ჟანდარმები პირველათ მოვიდენ რკინის გზის სახელოსნოს კარებში"...—ამბობს თავის მოგონებაში ამ გაფიცვის მონაწილე და ერთი ხელმძღვანელთაგანი, ძველი მუშა ამხ. გიორგი ჩხეიძე.

გაფიცვა დამარცხდა, მაგრამ მას მაინც დიდი პოლიტიკური და რევოლიუციონური აღმზრდელობითი მნიშვნელობა დაურჩა მუშებისა და ქალაქის მშრომელი ნაწილისათვის. გაფიცვის პოლიტიკური ანგარიშით ტფილისის ორგანიზაციამ მოიგო. გაფიცვის მონაწილეებმა,—5 ათასმა მუშათა მასსამ, რომელნიც დატყვევებულნი იყვნენ ალყის შიგნით, მთავრობის ერთგული ჯარის მეოხებით 16 დღე სრულებით მოწყვეტილნი იყვნენ ყველაფერს,—თავიანთი თვალით ნახეს მტრების გულქვაობა, დაუნდობლობა,—ამით კი გამაგრდა ტფილისის ორგანიზაცია, იწყო მან მზადება უფრო მეტი ინტენსივობით არსებული წესწყობილების წინააღმდეგ.

პირველ ხანებში, სამუშაოზე დაბრუნებულ მუშების ნაწილს, გაფიცვის არა სასურველად დასრულების გამო, ეტყობოდა ინდიფერენტიზმი, შიშიანობა ყოველგვარ რევოლიუციონურ ნაბიჯებისადმი;

[1] ფილიპე მახარაძე ამ დროს არ იმყოფებოდა თფილისში.

ნაწილი კი უარს არ ამბობდა ასეთ ნაბიჯებზე, ამ ხასიათის მუშაობას ისინი არ სწყვეტდენ, მაგრამ მიღებული გაკვეთილების შემდეგ იქცეოდენ მეტის-მეტი სიფრთხილით და ეს ცვლიდა რევოლიუციონური მუშაობის პირვანდელ ინტენსიურ ხასიათს.

ასეთი მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა.

თფილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის გაძლიერებული განშტოებელი მუშაობით ჩქარა აღდგენილ იქნა პირვანდელი რევოლიუციონური სული და ენერგიზმი მუშებში.

ამ წელს თფილისის ორგანიზაციების მუშაობით ადგილი მიეცა მასსიურ მუშათა გაფიცვებს შემდეგ დაწესებულებებში: ხელაძის, ლიბერმანის, შარაძის, ქართველთა ამხანაგობისა და კავკასიაში მეფის მოადგილის სტამბებში; კოტრინისა, რუქსისა, იარალოვისა და რუქსის მექანიკურ ქარხნებში: ბოზარჯიანცის თუთუნის ფაბრიკაში, ჩითახოვის ბამბეულობათა საქსოვ-სართავ ქარხანაში, ადელხანოვის ტყავეულობათა სახელოსნოში და სხვაგან.

ხსენებულ საწარმოო დაწესებულებებში გაფიცვები უმეტესად მოგებით, გამარჯვებით იქნა დასრულებული.

1900 წელი,—მე-20-ცე საუკუნის ეს დამდეგი,—ტფილისის პროლეტარიატის ცხოვრებაში აღინიშნება საერთოდ მუშათა კლასის ფართო გამოღვიძებით, მუშათა კლასის რევოლიუციონურ მოძრაობაში მასიური ჩაბმით,—ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და პოლიტიკური უფლებების მოსაპოვებლად, რამაც მოუმზადა ნიადაგი 1901 წლის საჯარო ღია **ხმაური** გრანდიოზული დემონსტრაციის მოწყობას.

ამ 1900 წელს, გაფიცვის მრისხანე ტალღებმა გადაიარა ტფილისის ყველა წვრილ და მსხვილ საწარმოო დაწესებულებებზე, არ დარჩენილა არც ერთი კაპიტალისტური, ცოტათ თუ ბევრათ მსხვილი წარმოებები თითქმის, რომ ბაერში დამდგარ ამამომქმედებელ რევოლიუციონურ სულს მოძრაობაში არ მოეყვანა მუშები და ეს მოძრაობა რაიმე რეალური ნაბიჯებით არ გამომხატულიყო.

ტფილისის პროლეტარიატის ამ მოძრაობამ ერთობ ხელი შეუწყო რევოლიუციონური ნაპერწკლების გადასროლას ბათომში და ბაქოში, იქ მუშაობის გაჩაღებას მუშებშიც.

1900 წლის მიწურულში და 1901 წლის დამდეგში ადგილი მიეცა ბატარა-ბატარა გაფიცვებს ბათომში და ბაქოშიც.

შავრაზმულ რუსულ გაზეთის,—„ჩერნომორსკი ვესტნიკი“-ს ამწყობებმა,—ლ. დუმბაძემ, სილვა თოდრიამ, მაქსიმე წულაძემ და სხვებმა მოაწყვეს პოლიტიკური ხასიათის გაფიცვა ბათომში; ბათომში მცხოვრებ ისიდორე რამიშვილისა და კარლო ჩხეიძის რჩევა-გაბარებით მათ

დაშალეს აწყობილი ნომერი გაზეთ „ჩერნომორსკი ვესტნიკი"-სა და სრულებით შეაჩერეს მისი გამოსვლა.

გაზეთ „ჩერნომორსკი ვესტნიკში" თავსდებოდა მესამე დასელების (სოციალ-დემოკრატიის ჩანასახი) საწინააღმდეგო პროვოკაციული წერილები.

გაზეთი ერთი კვირით იყო შეჩერებული; შემდეგ კი სტამბის პატრონმა გურსკიმ მოახერხა გამოწერა შტრეიკბრეხერი ასოთა-ამწყობებისა ტფილისიდან და განაახლა გაზეთის გამოცემა.

ბაქოში, ნავთის მრეწველობის კრიზისის გამო, რომელიც იწვევდა შრომის ხელფასის დაკვეთას, მუშების მასსიური დათხოვნას,—ნავთის საქაჩავ ამა თუ იმ ქარხანაში, მუშების მცირე, მაგრამ შეგნებულმა მოწინავე ნაწილმა მოაწყო პოლიტიკური ხასიათის გაფიცვა, რის შედეგად მრავალი მუშები გადასახლებული იქნენ სრულებით ბაქოდან.

ამ გაფიცვებს ხელმძღვანელობდენ ბათომში და ბაქოშიც სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ჩანასახები, რომელთაც იქ ეხლა უკვე ჩაჰყროდა საფუძველი ცენტრიდან,—ტფილისიდან წასულ ორგანიზატორების მუშაობით და ვითარდებოდა...

ოპორტუნიზმი, ლიბერალიზმი პარტიაში.

სოციალ-დემოკრატების პირველ ყრილობაზე ჩასახული, საფუძველ დადებული, მაგრამ ჯერ კიდევ განუვითარებელი, გაუმაგრებელი სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, არ იყო ამ ხანად კიდევ შემქმნელი ერთი რევოლიუციონური ტაქტიკის, ერთი რევოლიუციონური პოლიტიკის მატარებელი შემადგენელი ნაწილებით. პარტიაში და პარტიის ირგვლივ თავი მოეყარათ ლიბერალურს, არარევოლიუციონურს, ასე ვთქვათ,—ლეგალურ და ნახევრად ლეგალურ სოციალ-დემოკრატებს და შეჰქონდათ ეს არარევოლიუციონური სული მუშათა მოძრაობაში.

ლეგალურ მარქსისტების ჯგუფის ლიდერნი და სულის ჩამდგმელნი 90-იანი წლების პირველ ნახევარში, რუსეთში მარქსიზმის ჩასახვის დღიდანვე, იყვნენ: პ. სტრუვე, ტუგან-ბარანოვსკი და ბულგაკოვი, რომლებიც ცხოვრების ავანსცენაზე მოსჩანდენ მხოლოდ და მარტოთ თავიანთი ლიტერატურული მუშაობით [1]).

---

[1]) სოციალ-დემოკრატიის რევოლიუციონური ორგანიზაციების დაარსება-განვითარების „ლეგალურ მარქსისტების" ეს ლიტერატურული ჯგუფი მოკვდა. 1904—1905 წლებიდან პ. სტრუვემ და მისმა თანამოაზრეებმა სრულებით ჩამოიხეს პირზე აფარებული მარქსისტული ნიღაბი და სამუდამოთ გადაბარგდენ გამოღვიძებულ რუსეთის პროლეტარიატის კლასობრივ მტრების,—ბურჟუა-კაპიტა-

პროლეტარიატის რევოლიუციონურ-პოლიტიკური ორგანიზაციათა მუშაობის განვითარებამ და ამაყე დროს იმ მძიმე თვითმპყრობელურმა რეჟიმმა, რომელშიც ამ ორგანიზაციებს უხდებოდა მუშაობა, 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან 97—98 წლებში წარმოშვა მიმართულება, რომელმაც მიიღო სახელწოდება—„ეკონომიზმი“-სა. ამ მიმართულების გამომხატველნი,—მარტინოვი, პროკოპოვიჩი, კუსკოვა, კიჩევსკი, აკიმოვი და სხვა,—ხელმძღვანელობდენ რა თითქმო მარქსიზმის თეორიით, მარქსისტული პრინციპით, ცდილობდენ გამოეკალათ დაწყებული მუშათა მოძრაობისათვის რევოლიუციონური ხასიათი; „ეკონომისტებმა“ დაუშვებელად მიაჩნდათ, რომ მუშათა მოძრაობა წმინდა ეკონომიურ და ისიც ნაწილობრივ ხასიათის გაფიცვებს,—ფაბრიკა-ქარხნის კედლებს მიგნით, მხოლოდ და ფაბრიკა-ქარხნის პატრონების წინააღმდეგ მიმართული,—გადმომცდარიყო, გადმოელახა მას ეს საზღვრები და მიეღო გადამჭრელი, მომქედი მებრძოლის,—არსებულ სახელმწიფოებრივ რეჟიმთან დაპირდაპირებული პოლიტიკური სახე. „ეკონომისტები“ აცილიდენ რა რევოლიუციონურ სულს მუშათა მოძრაობას, ამით ისინი სდევნიდენ სოციალ-დემოკრატიის რევოლიუციონურ ორგანიზაციებიდან პოლიტიკას, გეგმიან, მიზან-შეწონილ რევოლიუციონურ საქიანობას, ეღობებოდენ გადადგმულ რევოლიუციონურ ნაბიჯებს და აქ გამთიშველი ფრონტით პირველი ისინი უპირდაპირდებოდენ პარტიას, პარტიის იმ ძლიერ [1]) კადრს, რომელიც დამყარებული ეკონომიკაზე, მეცნიერულ სოციალიზმზე, თავისი სოციალ-დემოკრატიული რევოლიუციონური ორგანიზაციისა და მუშათა მოძრაობის გამანვითარებელ, განმამტკი-

---

ლისტების ბანაკში. უნდა ითქვას, რომ იმათი გავლენა, როგორც უპარტიო, ფორგანიზაციო „მარქსისტულ“—ლიტერატურულ ჯგუფისა, არ იყო იმდენათ საგრძნობი, რომ დასტყობოდა რევოლიუციონურ მუშათა კლასს თავიანთი მოტანილი ვნებით. ვნების მოტანის მხრით, როგორც ეს უკვე დაგვანახა რუსეთში ოქტომბრის დიდმა პოლიტიკურუმა რევოლიუციამ (შორსმჭვრეტელი, გენიალური მარქსისტი—რევოლიუციონერი მთელ მსოფლიოსი—ნ. ლენინი ამას მაშინაც გრძნობდა და წინასწარმეტყველობდა, მოურიდებლად აცხადებდა), დიდი როლი ითამაშა პარტიაში, თვით პარტიის შიგნით მოკალათებულმა, მიმართულება-საქმიანობით ლეგალობის გზაზე დამდგარმა ჯგუფმა, გვრეთ წოდებული—„ეკონომისტების“ ჯგუფმა, რომელზედაც ქვევით მოგვიხდება ლაპარაკი.

[1]) რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მამამთავრები,—გ. პლეხანოვი, აქსელროდი, ვ. ზასულინი და მარტოვი ლენინთან ერთად,—არ იზიარებდენ „ეკონომისტების“ ამ „პარტიულ“ ხაზს—ოპორტიუნიზმს პარტიის მეორე ყრილობამდე და ამით ეს კადრი,—„პოლიტიციასტებათ“—მონათლული, უძლიერესი იყო პარტიაში.

ცებელ საფუძვლად **პოლიტიკას**, ცივ, შეურიგებელ რევოლიუციონურ **პოლიტიკას** სთვლიდა [1].

რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში გაჩენილ ამ ოპორტიუნისტულ მიმართულებას აქაც,—საქართველოშიც, ჰქონდა ადგილი.

ეს ბრძოლა და აზრთა დაპირდაპირება რუსეთში ერთი მიზნით აღშფოთებული სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციების შიგნით, გავლენას ახდენდა, რა თქმა უნდა. კავკასია—ამიერკავკასიაზე, აგრეთვე საქართველოზეც,—რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის როგორც ნაწილზე, მაგრამ იგი აქ, მარქსისტულ ჯგუფების ზედაფენების „ბუნებაში" მანამდე დამოუკიდებლადაც იყო და ვითარდებოდა [2].

საქართველოში ეს უთანხმოება, პოლიტიკურ და ტაქტიკურ კითხვებში დაჯახება სხვა ფორმებში და სხვა სახით იშლებოდა, იზრდებოდა მხოლოდ... მუშებისაგან შემდგარ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის [3] მის ირგვლივ შემოკრებილ მარქსისტ-ინტელიგენტების თვით პოლიტიკა-საქმიანობაში ჩანდა ეს, ჩანდა მათ მიერ თითქო ამ ფაქტის შეუგნებლად,

ჯერ კიდევ 94-95-96 წლებში პირველ მარქსისტულ ჩანასახების დაარსებიდან ტფილისში და ამ ჩანასახებით წარმოშობილ ორგანიზაციის მუშაობის დასაწყისში, როცა ორგანიზაციაში უმეტესად და თითქმის მთლიანათ მუშები იყვნენ, მის ირგვლივ იდეურათ შემოკრებილნი მარქსისტი ინტელიგენტები,—წარმოდგენილნი ე. წ. „მესამე დასელთა"

---

[1] 1889 წელს „შრომის განთავისუფლების" ჯგუფის მიერ აშკარათ და გადაჭრით იქნა დაგმობილი „ეკონომიზმი", რომელსაც მათი აზრით რევოლიუციონურ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში შეჰქონდა გახრწნა, დაშლა; იგი ჰქმნიდა საფრთხეს შექმნა-განმტკიცების პროცესში მყოფ მებრძოლ პროლეტარულ პარტიისათვის.

[2] ზოგიერთი ძველი, დღევანდლამდის მოღწეული რევოლიუციონერები და მენშევიკების სახით წარმოდგენილი ყოფილი რევოლიუციონერები უარყოფენ ამ ფაქტს: ისინი ცდილობენ დაარწმუნონ სხვებიც. რომ საქართველოში მარქსისტული ორგანიზაციების შიგნით პარტიული მუშაობის პირველ პერიოდში იმის მსგავსი შებრძოლება და უთანხმოება არ ყოფილა, რაც იმ ხანებში რუსეთის ორგანიზაციებში ხდებოდაო. ისინი ამბობენ—საქართველოში არ ჭრელია თავი არც „ეკონომიზმს" და არც მის მოპირდაპირე „პოლიტიციზმს"-სო, რომ აქ პარტიაში იმ დროს, როცა მას რუსეთში მღრღნელი ბაცილები ჭამდნენ—შეთანხმებული ერთსულოვნება იყოო და სხვა. მაგრამ, რომ ისინი ცდებიან, ამას ქვევით დავინახავთ.

[3] 90-იანი წლების პირველ ნახევრის მიწურულიდან ახლად ჩასახულ ტფილისის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში შედიოდენ მხოლოდ მუშები. შემდეგ გამხდარი პარტიის ინტელიგენტი—ლიდერები, წარმოდგენილნი ე. წ. „მესამე დასის" სახით შეკავშირებული იყო ამ ორგანიზაციასთან იდეურათ და არა ორგანიზაციულათ. ორი-სამი წლის შემდეგ იქნენ შიგ შეყვანილი პრაქტიკული მომუშავე ინტელიგენტები მხოლოდ; მაგრამ იგიც მცირე რიცხვი.

ჯგუფის სახით, მარტო მით იყვნენ გატაცებულნი, რომ როგორმე სასწავლებლებიდან დათხოვნილი, მარქსისტულათ მოაზროვნე მოსწავლეები, ბევრი, და თან რაც შეიძლება საჩქაროთ, გაეგზავნათ საზღვარ გარეთ—ევროპაში სწავლის დასასრულებლად და მარქსის მეცნიერულ სოციალიზმის საბუთიანათ შესწავლისათვის. ყოველი პოლიტიკური საქმიანობა ორგანიზაციაში ზედმეტი იყო მათთვის [1]) მათი პრაქტიკული ნაბიჯები რევოლიუციონურ ორგანიზაციაში ამით განისაზღვრებოდა; იმათ დიდი ხნით გადაედოთ, ან სულ არ ფიქრობდენ პრაქტიკულ-ორგანიზაციულ საქმიანობაზე. ორგანიზაციის საშუალებით რევოლიუციონურ ნაბიჯების გადადგმაზე იმ დროს, როცა ორგანიზაციის წევრები, მის გარშემო შემოკრებილი მუშები ერთობ რევოლიუციონურათ იყვნენ განწყობილნი, მთლიანათ ჩაფლულნი და მინდობილნი იყვნენ ორგანიზაციაში პოლიტიკური ხასიათის საქმიანობაზე.

ამ ნიადაგზე ორგანიზაციაში მომუშავე მუშებსა და მის გარშემო შემოკრებილ მარქსისტ-ინტელიგენტებს შორის იყო უკმაყოფილება, უთანხმოება, ჩუმი, შეუმჩნეველი ბრძოლა.

უკმაყოფილო მუშებში ხშირად გაისმოდა ხმები ინტელიგენტების მიმართ: ეს დალოცვილები მარქსისტულათ საკმაოთ მომზადებულნი არიან; თეორეტიკოსობენ, ფილოსოფოსობენ ამ საკითხში კიდეც, მაგრამ რა გამოვიდა,—ისინი არ ჰფიქრობენ ორგანიზაციაში რევოლიუციონურ მუშაობას, მათ არ უნდათ ეს ორგანიზაცია, მათ არ უნდათ პრაქტიკაო. ისინი შესჩიოდენ ერთმანეთს იმით საზღვარ გარეთ წასვლის უანრობაზე, მიზან-შეუწონლობაზე და გამოსთქვამდენ ეჭვს საზღვარ-გარეთ სწავლის გასაგრძელებლათ გამგზავრებულ მარქსისტ-მოსწავლეების მარქსისტათვე უკან დაბრუნების შესახებ. მუშები არ იწონებდენ, ჰგმობდენ ამ ქცევას, იმიტომ უფრო, რომ ორგანიზაციაში ჩაბმულ მუშებს დასტყობოდა თეორეტიკოსების სიცოტავე, მარქსისტ-ინტელიგენტების თავიანთ შორის არ ყოლა.

(შემდეგი იქნება)

S. P. ჩემს წერილში—იხ. „რევ. მატ." 4-5 (9-10)—„1905 წელი ჩვენში"—მე-6 გვ. სხოლიოში სწერია: „1905 წლის მიწურულამდე"... უნდა იყოს: **1904 წლის მიწურულამდე**.

[1]) ჩვენ აქ გამონაკლისებზე არ ვლაპარაკობთ, როგორიც იყვნენ ეგნატე ნინოშვილი, ფ. მახარაძე, მიხა ცხაკაია და რ. კალაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II. მასალები და დოკუმენტები

ნაროდნიკების არალეგალური მუშაობა საქართველოში.

(მოხსენება შტაბს-კაპიტან ხრისტოფოროვისა სოციალ-რევოლიუციონური საზოგადოების დაარსების შესახებ ამიერ-კავკასიაში, შედგენილი ტფილისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოში შეგროვილი ცნობების მიხედვით [1]).

ეს მოხსენება წარდგენილია 1876 წლის სექტემბერში ტფილისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის თანაშემწის შტაბს-კაპიტან ხრისტოფოროვის მიერ. მას დავალებული ჰქონდა თვალ-ყური ედევნებია ამ ორგანიზაციისთვის, ცნობები მოეკრიფა, დაემუშავებინა და წარედგინა სამმართველოში.

ეს მასალა ჩვენთვის იმდენად არის საინტერესო, რამდენათაც იგი ნათელს ჰფენს ნაროდნიკების საქმიანობას საქართველოში.

მოხსენება ასე იწყება:

1) აღნიშნულმა საზოგადოებამ დაიწყო არსებობა საექიმო აკადემიის სტუდენტის ისიდორე ქიქოძის პეტერბურგიდან ჩამოსვლის შემდეგ. ამ საზოგადოების წევრნი იზიდავენ მოზარდ თაობას მოსყიდვით და ცდილობენ შთაუნერგონ მათ სიძულვილი მთავრობისა და არსებული წყობილებისადმი. ისინი არწმუნებენ მათ, რომ თვითმპყრობელი მონარქიული მთავრობის მოსპობის შემდეგ ყველანი იქნებიან თანასწორნი და ყოველგვარი ქონება თანასწორად იქნება განაწილებული. სახელმწიფო გადასახადი, როგორც ფულად, ისე ნატურით მოსპობილი იქნება. მასთან ხალხს აჯერებენ, რომ რუსეთის გლეხობა თითქმის 37 გუბერნიაში მზად არის პირველ დაძახებისათანავე საბრძოლველად გამოვიდეს მთავრობის წინააღმდეგ და რომ ჯარი მათ უჭერს მხარს. ამ საზოგადოებაში მუშაობენ ტფილისის და ქუთაისის გუბერნიის სწავლა დაუმთავრებელი ახალგაზრდობა, ქუთაისის და სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის და სოფ-

[1] ცენტრალური არქივის საქმე (ყოფილ-ჟანდარმთა სამმართველოს განყოფილ). № 15/7—1876 წლისა

ლის მასწავლებელნი. მიზანი საზოგადოებისა არის მოახდინოს აჯანყება ყველგან ერთ და იმავე დროს მიცემული ნიშნის თანახმად, მოსასპობად თანამდებობის პირთა, სამღვდელოებისა და მემამულე თავად-აზნაურთა და ამიტომ შემოაქვთ საზღვარ-გარეთიდან და პეტერბურგიდან მთავრობის საწინააღმდეგო სხვადასხვა გამოცემანი, რომელსაც სთარგმნიან ადგილობრივ ენებზე ხალხში გასავრცელებლად. საბეჭდავ მანქანას მოელიან საზღვარ-გარეთიდან.

საზოგადოება სავსებით არ არის ჯერ ჩამოყალიბებული. საბეჭდავი მანქანის ქუთაისში მიღების შემდეგ, როგორც კი დაბრუნდება პეტერბურგიდან ისიდორე იოსელიანი, განზრახულია სრული ჩამოყალიბება საზოგადოებისა და ურთიერთ შორის დამოკიდებულების §§ განსაზღვრა. ისეთ აკრძალულ წიგნების, როგორიც არის „ზღაპარი ოთხ ძმაზე", „შიმშილობა სამარაში", „ცბიერი მექანიკა", „бог то бог, да сам не будь плох", „ვპერიოდ", „к офицерам русской армии" და სხვ. ღებულობენ ანტონ ლორთქიფანიძე, მიხეილ ყიფიანი და ბესარიონ ლოსაბერიძე.

„ზღაპარი ოთხ ძმაზე" უკვე გადათარგმნა ქართულად ვარლამ გაბიჩვაძემ. წიგნების საწყობი აქვთ მიხეილ ყიფიანის, ანტონ ლორთქიფანიძის, გაბიჩვაძის და გიმნაზიის მოწაფის ყიფიანის ბინებზე.

წიგნებს ავრცელებდა ლეჩხუმის და რაჭის მაზრის სოფლის მასწავლებელთა და მომრიგებელ მუშამავალთა მოსამსახურეებს შორის ლაზარე დათუნაშვილი. საზოგადოებას ფული არა აქვს, მაგრამ ისიდორე ქიქოძემ მიიღო ვლადიკავკაზიდან 3000 მან. და მიხეილ ყიფიანმა 100 მან. ტფილისიდან.

ჯერ-ჯერობით საზოგადოების მუშაობა გამოიხატება დიდძალ აკრძალულ წიგნების გავრცელებაში და თავის მხარეზე მიმხრობაში სოფლის მასწავლებელთა, გიმნაზიის მოწაფეთა, ზოგიერთ მანდილოსანთა და სხვ. მომავალი მუშაობის გეგმას გამოიმუშავებს **ყრილობა**, რომელიც იქნება მოწვეული საბეჭდავი მანქანის მიღებისთანავე.

ამ საზოგადოების მუშაკთ აქვთ მიწერ-მოწერა ერთმანეთ შორის და პეტერბურგში და მოსკოვში მყოფ ქართველ სტუდენტებთან, სახელდობრ: ჩიკოიძესთან, ბარახტოროვთან, ციციანოვთან, აბდუშელიშვილთან (მოკვდა) და ზდანოვიჩთან. ზოგიერთი მათგანი უკვე დაპატიმრებულია.

2) ვინმე გაბრიელ ბაქრაძემ წინადადება მისცა წერილობით ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს პროპაგანდისტების აღმოჩენის საქმეში იმუშაოს მუქთად.

3) 3 ივნისს 1879 წელს, ვარლამ გაბიჩვაძე სწერდა ისიდორე ქიქოძეს, რომ საჭიროა საბეჭდავი მანქანა და დამზადება საამისოდ

მასალებისა ე. ი. უკვე დასწერა მან ხუთი ბროშიურა და ელის საბეჭდავი მანქანის მიღებას, რომლისათვის უგზავნის იგი მას ფულს. წერილში ძლიერ აქებს მიხეილ ყიფიანს; აცნობებს, რომ პლატონ გაბიჩვაძე აგერ ექვსი თვეა ქუთაისიდან წასულია სამუშაოდ და სად არის იგი, არ იცის. მის სამოქმედო ადგილად იხსენიებს რაჭას. 13 ივნისს იაგორა იოსელიანთან ერთად ეპირებოდა იგი ტფილისში გამგზავრებას. აგრეთვე სწერს, რომ შეუდგა პროკლამაციების წერას. დასწერა „საღმთო ისტორია“ გლეხების და მშრომელი ხალხისათვის და კიდევ პატარა ფურცლები „პატენტებზე და გადასახადებზე“. ლაპარაკობს კასაზე პროპაგანდისტებისათვის. წარმოდგენების დადგმით მოაგროვოს 600 მანეთი შობამდის, 300 მ.—შემდეგ, რომელი თანხაც უნდა მოხმარდეს საბეჭდავი მანქანის შეძენას. უთვლის მოკითხვას დიმიტრი კეზელის მაგიერ, რომელსაც ძლიერ აქებს.

4) იაგორა იოსელიანმა გაუგზავნა ტელეგრამმა ოზურგეთში კოკობა გოგუაძეს, რომ ნაკაშიძემ დაამზადოს ორი ცხენი და უცადოს მას.

5) 23 მაისს, 1876 წელს, ქუთაისში ვარლამ გაბიჩვაძის ბინაზე შეიკრიბენ სათათბიროდ: მიხეილ ყიფიანი, ილიკო ბახტაძე, ვარლამ გაბიჩვაძე, ნათაძე (მასწავლებელი), ანტონ ლორთქიფანიძე და ოლღა ყიფიანი. თათბირმა გაარჩია შემდეგი კითხვები: ა) წესდების შედგენა და დაარსება საერთო კასისა, რომლის შემოსავალი შეგროვებული იქნება პროპოგანდისტებს შორის ხელის მოწერის საშუალებით, წარმოდგენების და საღამოების გამართვით, რომელიც დააკმაყოფილებს ხარჯებს პროკლამაციების გასავრცელებლად და ახალი წევრების შესაძენად. ბ) არჩევა კასირისა, გ) გლეხებში პროპაგანდის გასაწევად პროგრამის შედგენა. კასისათვის წესდების შედგენა მიენდო მიხეილ ყიფიანს, რომლის გადათვალიერება და შესწორება დაევალა ისიდორე ქიქოძეს და ამიტომ მიხეილ ყიფიანი 3—4 ივნისს უნდა გამგზავრებულიყო ოზურგეთში, ხოლო პროგრამის შედგენა კი მიღო თავის თავზე ვარლამ გაბიჩვაძემ, რომელსაც წაუღებდა შესასწორებლად ისიდორე იოსელიანს ტფილისში. ოლღა ყიფიანმა განაცხადა ამ თათბირზე, რომ ტფილისის პოლიციის მოხელეთა შორის არიან ისეთი პირები, რომელნიც თანაგვიგრძნობენ ჩვენ და საშიშონი არ არიანო. იგივე დაამოწმა მიხეილ ყიფიანმა ქუთაისის პოლიციის შესახებ. თათბირს ამცნეს, რომ ქუთაისში უნდა ჩამოსულიყო ფურცელაძე და ეგნატე იოსელიანი, მაგრამ იოსელიანმა გადაფიქრა, რადგან მას თვალ-ყურს ადევნებს ტფილისის პოლიცია მას შემდეგ, რაც საფაროვის ქალები მიიმალნენ. პროპაგანდის საქმე ტფილისში საუცხოოდ მიდის. ჯერ-ჯერობით ორას წეერამდე იოვლება. მიხეილ

ყიფიანმა თავის მხრივ გააკეთა მოხსენება ქუთაისში მუშაობის შესახებ და სთქვა, რომ ქუთაისში ჯერ-ჯერობით 30 წევრი გვყავსო. მიხეილ ყიფიანმა აჩვენა ოლღა ყიფიანს ისიდორე ქიქოძის წერილი, მოწერილი ოზურგეთიდან. ამ კრებაზე ილაპარაკეს აგრეთვე სათათრეთში გადატრიალების შესახებ, რომ ეს გადატრიალება მოხდა მასწავლებლების და მოსწავლეთა დახმარებით და ზოგიერთი მათგანი ჩვენი საზოგადოების წევრნი არიანო.

6) 10 ივნისს ვარლამ გაბიჩვაძემ მიიღო ტფილისიდან წერილი ვიღაც მოწაფისაგან, რომელიც იტყობინება ფულის მიღების და ალექსანდრე მაყაშვილის დაპატიმრების შესახებ, დანარჩენი ადგილები წერილისა გაუგებარია. ბოლოში მოწერილია: „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა“.

7) საქმეში არის წერილი, მაგრამ ვისგან და ვის სახელზეა გაგზავნილი, წერილიდან არ სჩანს. წერილი იწყება სიტყვებით: „დათუას გამარჯვება“... და თავდება — „ჩქარა, ჩქარა და ჩქარა“... წერილის ავტორი ეკითხება ფულის შესახებ და ცნობებს კაჭკაჭის შესახებ (უნდა ვიგულისხმოთ, რომ წერილი მოწერილია ისიდორე ქიქოძის მიერ საპასუხოდ ვარლამ გაბიჩვაძის წერილისა 3 ივნისს და კაჭკაჭს ეძახის პლატონ გაბიჩვაძეს. სჩანს, რომ ქიქოძე თავისთან ელოდება ვარლამ გაბიჩვაძეს).

8) საქმეშია წერილი პეტერბურგიდან 9 მაისის თარიღით ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის ასათიანის სახელზე მოწერილი, რომელღაც სტუდენტის მიერ. წერილის ავტორი ატყობინებს, რომ ისინი აპრილიდან გადავიდენ ახალ ბინაზე, სატყეო ინსტიტუტის ახლოს. პირდება, რომ მის დავალებას შეასრულებს პირნათლად. ვიღაც კაჭახიძეს იხსენიებს. წერილი გაუგებარია.

9) საქმეში არის ისიდორე ქიქოძის წერილი მიხეილ ყიფიანის სახელზე. ქიქოძე სწერს, რომ მან მიიღო ისიდორე იოსელიანისაგან წერილი და ფული 80 მან. ნაკაშიძის მსახურის ხელით. აცნობებს, რომ მას ტფილისიდან ეკითხებიან საბეჭდავი მარქანის მოსვლის დაგვიანების შესახებ და რომ ძლიერ საჭიროა ფურცლები. ავალებს ყიფიანს ტფილისში და გორში წასვლას და გადაცემას ისიდორე იოსელიანზე და ფურცელაძეზე, რომ მას გაუგზავნონ ფული. ეკითხება ახალი წევრების შესახებ და აცნობებს, რომ ის ისიდორე იოსელიანს გაუგზავნის საპასუხო წერილს ნაკაშიძის ხელით.

10) 4 მაისს 1876 წ. სტუდენტი მიხეილ ყიფიანი წავიდა ქუთაისიდან ისიდორე ქიქოძესთან შესახვედრათ და მოსალაპარაკებ-

ლად ფოთში მიმავალ მატარებლით. სად. სამტრედიაში იგი გადმოხტა მატარებლიდან და ღამე სამტრედიაში გაათია. მეორე დღეს კერძო ეტლით ჩავიდა ფოსტის სადგურ ორპირამდე. იქიდან კი საფოსტო ეტლში ჩაჯდა და საღამოს ჩავიდა სოფ. ბახვში, სადაც მას შეხვდა ვიღაც უცნობი კაცი. ჩამოხტა ეტლიდან, თავის ბარგიც გადმოალაგა და უცნობი კაცის თანხლებით წავიდა ისიდორე ქიქოძის მამის, მღვდლის, სახლში. მეორე დღეს ყიფიანი ცხენით წავიდა ოზურგეთში და იქიდან მელიტონ ნაკაშიძის თანხლებით, რომელიც ოზურგეთში შეხვდა, წავიდა ამ უკანასკნელის სახლში. იქ დაჰყო ერთი დღე. ყიფიანის იქ ყოფნის დროს—ნაკაშიძის მსახური სანდრო საფაროვი, (რომლის მკერდს ამშვენებს გიორგის ჯვარი და მენდლები) გაგზავნილ იქნა დავალებით სახლვარგარეთ, ოსმალეთში. აქედან ყიფიანი სამტრედიის ხაზით მატარებლით გაემგზავრა გორში და იქ ინახულა ფურცელაძე, შემდეგ ტფილისშიაც ჩავიდა და დაჰყო იქ ორი დღე. დაბრუნებისას გორში შეჩერდა, დარჩა ერთი დღე და შემდეგ დაბრუნდა ქუთაისში. (ეს ცნობები მოგვაწოდა ყიფიანის თვალყურის მდევნელად გაგზავნილმა სიმონ გეგელიძემ). ეს ცნობები იყო დამოწმებული თვით ყიფიანის მიერ საუბრის დროს იაგორა იოსელიანთან იმ განმარტებით, რომ სანდრო საფაროვი იყო გაგზავნილი ოსმალეთში ისიდორე ქიქოძესთან სხვადასხვა წერილებით, რომელთა შორის იყო ისიდორე იოსელიანის წერილი და ფული 80 მან. ისიდორე ქიქოძემ ყიფიანის წერილზე უპასუხა, რომ საპეჭდავი მანქანა ჯერაც არ არის გამოგზავნილი, ვინაიდან არ არის გაგზავნილი ხვედრი 300 მან. და ურჩევს დაუყონებლივ გაუგზავნონ იგი, რადგანაც, როგორც სჩანს ისიდორე იოსელიანის და ფურცელაძის წერილებიდან, ძლიერ საჭიროა საბეჭდავი მანქანა აყრძალულ გამოცემათა ქართულ ენაზე დასაბეჭდავათ. გორში მან ინახულა ფურცელაძე, რომელსაც ხელის მოწერით სურს შეაგროვოს საბეჭდავი მანქანისთვის საჭირო ფული. ტფილისში ვერ მოახერხა მან ეგნატე იოსელიანის ნახვა, რადგან იგი პოლიციის მხედველობის ქვეშაა.

11) 20 ივლისს მიხეილ ყიფიანი სწერს გორის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელს სოფრომ მგალობლიშვილს და უგზავნის ამ წერილს იაგორა იოსელიანის ხელით, სადაც იგი აცნობს წერილის მიმტანს, როგორც მათ სანდო ამხანაგს და სთხოვს აღმოუჩინოს მას საჭირო დახმარება სოფ ტყვიავში გასამგზავრებლად.

12) მიხეილ ყიფიანმა იმავე იაგორა იოსელიანის ხელით გაუგზავნა წერილი გორში დათიკო ფურცელაძეს, სადაც ის გამოსთქვამს მწუხარებას, რომ გორში გამოელის დროს მან ვერ მოახერხა მისი ნახვა; აცნობებს, რომ იგი იყო გიორგი გურიელთა უმისოთ

და იაგორა იოსელიანის თანხლებით, სთხოვს აღმოუჩინოს იაგორა იოსელიანს მოგზაურობისათვის საჭირო დახმარება და გაატანოს მას საჭირო წერილები პარტიის წევრებთან ტფილისში. სთხოვს მოუწყოს შეხვედრა ტყვავის და მერეთის ამხანაგებთან. ამბობს, რომ მას საჭიროდ მიაჩნია ასეთი მოგზაურობა წევრებისა ერთმანეთთან დაახლოვების მიზნით.

13) იაგორა იოსელიანს გაატანა მიხეილ ყიფიანმა წერილი ვასაკო დეკანოზიშვილთან, სადაც აცნობებს, რომ იაგორა იოსელიანი მიემგზავრება ქართლში და კახეთში და სთხოვს მიიღოს იგი ისე, როგორც სანდრო ამხანაგი; მას აქვს დავალებული გაეცნოს მადაურ მუშაობას და შემდეგ გააცნოს და მოახსენოს აქაური ამხანაგებს მადაური მუშაობის მდგომარეობა. ბოლოს დასძენს, რომ ასეთი მოგზაურობა ამხანაგებს საჭიროდ მიაჩნია ორგანიზაციებს შორის მტკიცე კავშირის შესაქმნელად, ურომლისოდაც მუშაობა შეუძლებელია.

14) იმავე იაგორა იოსელიანს ატანს წერილს მიხეილ ყიფიანი გორში სტუდენტ რომანოზ ფალენიშვილთან, საიდანაც ირკვევა, რომ უკანასკნელი ახლად ჩამოსულია პეტერბურგიდან. სთხოვს, რომ მან და ყველა პეტერბურგიდან ჩამოსულმა ამხანაგებმა მოინახულონ იგი. ესაყვედურება, რომ მათ არ აინტერესებს მათი მუშაობა. მას ყველაზე უფრო ენატრება მისი და გაბაშვილის ნახვა ქუთაისში. იაგორა იოსელიანს აცნობს, როგორც საიმედო ამხანაგს. სთხოვს გააცნოს მას ყველა ამხანაგები და, რადგანაც იგი მიემგზავრება კახეთში, გაატანოს წერილი ჩერქეზიშვილთან და გაბაშვილთან.

15) 3 ივნისს 1876 წ. მიხეილ ყიფიანი იაგორა იოსელიანის თანხლებით მეორედ მიემგზავრება ისიდორე ქიქოძესთან. ამის შესახებ იაგორა იოსელიანმა ყიფიანის დავალებით წინასწარ აცნობა ოზურგეთში ტელეგრამით კოკობა გოგუაძეს მელიტონ ნაკაშიძეზე გადასაცემად, რომ 1 ივნისისათვის დაეხვედრებია მას ოზურგეთში ორი ცხენი (ტელეგრამის ასლი საქმეშია). 4 ივნისს ისინი შეეიდენ ივანე ნაკაშიძის (მელიტონ ნაკაშიძის ძმის) სახლში სოფელ ნატეხში, სადაც გაათიეს ღამე და დაჰყვეს იქ მთელი მეორე დღე. 6 ივნისს ერთი თათრის თანხლებით ისინი გადავიდენ ჭობულეთში საზღვარზე და რომ არავის შეემჩნია, ღამე გაათიეს ტყეში, მხოლოდ 7 ივნისს, ორშაბათ საღამოს, ინახულეს ისიდორე ქიქოძე, რომელიც იმალებოდა ექვსი ვერსის მოშორებით ჭობულეთიდან, ვიღაც მოხუცებული, წვერ შეღებილი თათრის ბეგის ოჯახში. ისიდორე ქიქოძესთან ერთად მოვიდენ ს. ბახვში, ისიდორე მამის ოჯახში და დარჩენ იქ საღამომდე. ნავახშმევს გამოემგზავრენ ქ. ქუთაისში. ისი-

დორე ქიქოძემ და შარაშიძემ (ბახვის სკოლის მასწავლებელი) გამოაცილეს ისინი ნაგომრამდე.

ამ შეხვედრის დროს ისიდორე ქიქოძე და მიხეილ ყიფიანი თათბირობდენ შემდეგ კითხვებზე: ა) მოკლე დროში მიიღებენ ბათომში შვეიცარიიდან გამოგზავნილ 1600 ც. სხვადასხვა სახელწოდების აკრძალულ წიგნებს ხალხში გასავრცელებლად; ბ) საბეჭდავი მანქანა მიღებისთანავე გადმოტანილი იქნება და დადგმული გურიაში ნაკაშიძის მამულში, საღარიპოს ტყეში, ნიკოლუსკის ახლოს; გ) წიგნთსაცავი ქუთაისში იქნება ანტონ ლორთქიფანიძის და მიხეილ ყიფიანის ბინაზე, საიდანაც დაურიგდებათ აკრძალული წიგნები პროპაგანდისტებს და ახალგაზრდობას; დ) ეგნატე იოსელიანი გაემგზავრა პეტერბურგში კავკავით, რათა იქაურ ამხანაგებს გააცნოს პროპაგანდის გაძლიერების საქმე ამიერ-კავკასიაში და ფულს მიიღებს ვინმე რეზნიკოვისაგან, რომლის შემდეგ დაბრუნდება ტფილისში; ე) ისიდორე ქიქოძემ მიიღო ცნობა სამეგრელოს გლეხებში პროპაგანდის ნაყოფიერად მსვლელობის შესახებ და აცნობა მათ, რომ რაიმე გადამწყვეტი ნაბიჯები არ გადასდგან, არ აჯანყდენ, ვინაიდან ჯერ საჭირო მომზადება არ გვაქვს და აჯანყდენ მაშინ, როდესაც ამის შესახებ მიიღებენ განკარგულებას. ასეთივე დარიგება მისცა ქიქოძემ მიხეილ ყიფიანს დანარჩენ რაიონებში სახელმძღვანელოდ; ისიდორე ქიქოძე წამოვა ქუთაისში პირველ მიწვევისთანავე თუ ამას გარემოება მოითხოვს. მიხეილ ყიფიანმა უჩვენა ქიქოძეს მის მიერ შედგენილი საზ—ბის წევრთა საურთიერთო დამზმარე კასის წესდება და ქიქოძის კარნახით ყიფიანმა შეიტანა შიგ ზოგიერთი ცვლილებანი. ამ კასის წევრებათ ინიშნებიან: ა) მთავარი წევრები: ანდრია ერისთავი, ნესტორ თავდგირიძე და პეტერბურგში მყოფი არდაზიანი, რეზნიკოვი, ფურცელაძე და სხვები; ბ) წევრები დამაარსებელნი: გურიაში ისიდორე ქიქოძე, მელიტონ ნაკაშიძე, გიგო შარაშიძე (ბახვის სკოლის მასწავლებელი) და სხვები. ქუთაისში—მიხეილ ყიფიანი, ვარლამ და პლატონ გაბიჩვაძე, ილიკო ბახტაძე და სხვ.; გორში: დათიკო ფურცელაძე, ვასიკო დეკანოზიშვილი და სხვ.; ტფილისში: ეგნატე იოსელიანი, დიმიტრი კეზელი, ოლღა ყიფიანი და სხვ. კახეთში: ილიკო ჩერქეზიშვილი, შიუკაშვილი და სხვ. ისიდორე ქიქოძე ურჩევდა მიხეილ ყიფიანს, რომ რაც შეიძლება გააძლიეროს პროპაგანდა და მოამზადოს გლეხობა, რათა, თუ ვინიცობაა ომი გამოცხადდება, მოსახერხებელი იქნეს აჯანყების მოწყობა რუსების წინააღმდეგ.

ისიდორე ქიქოძემ გაატანა მიხეილ ყიფიანს წერილი ნაკოლაძის ასულ პრასიკოვსკისთან, რომელშიაც ის სწერდა, რომ დასახელებულ კასის სასარგებლოდ ხშირად გაემართა წარმოდგენები. პრასკოს ტფილისში გამგზავრების გამო, მიხეილ ყიფიანმა ვერ გაღასცა

ის წერილი დანიშნულებისამებრ. გარდა ამისა ისიდორე ქიქოძემ გადასცა იაგორა იოსელიანს ორი წერილი გადასაცემად ვარლამ გაბიჩვაძისა—ქუთაისში და ფურცლაძისა—გორში. პირველი წერილი დაუყოვნებლივ იქნა გადაცემული კუთვნილებისამებრ, ხოლო მეორეს ასლი საქმეშია. უკან დაბრუნებისას 10 ივნის ყიფიანს და იოსელიანს სად. სამტრედიაში შეუერთდა მერაბ მიქელაძე, რომელმაც გადასცა მათ სამეგრელოში გლეხების აჯანყების ამბავი. ამაზე მიხეილ ყიფიანმა შენიშნა, რომ ეს არის შედეგი იმ სოფლის მასწავლებლების ნაყოფიერი მუშაობისა, რომელნიც უკვე დაპატიმრებულია. 12 ივნისს ჩამოვიდა რაჭიდან პლატონ გაბიჩვაძე და გააკეთა მოხსენება, რომ უწერის უბნის სოფლებში: ჩარდყა, ღვიარა, სადმელში და სოფ. ხვანჭკარაში მან მიიმხრო ყველა გლეხები და მზად არიან ასაჯანყებლად. სხვა სოფლებში კი საშიში შეიქმნა პროპაგანდის გაწევა, რადგანაც ვიღაცამ ამის შესახებ მაზრის უფროსს აცნობა, გააფრთხილა მისი, პლატონ გაბიჩვაძის მამა, რათა მას შეეჩერებინა შვილი. ამიტომ პლატონ გაბიჩვაძე იძლევა წინადადებას მიენდოს მას პროპაგანდის გაგრძელება ქვემო იმერეთის მაზრებში, ხოლო რაჭაში მუშაობა დაეევალოს ს. სადმელში მცხოვრებს მღვდლის შვილს მიხეილ შარაბიძეს. 14 ივნისს მიხეილ ყიფიანი ემზადებოდა მიხაილოვში წასასვლელად, მაგრამ ოლღა ყიფიანის რჩევით მისწერა მათუა ათაჭიძის (გაიქცა და მიიმალა) მამას, რომ შეაჩეროს სამეგრელოში გლეხების აჯანყება, რადგანაც იგი დღეს-დღეობით ნაადრევია და ნიშანს მიცემისთანავე გამოვიდენ ყველანი: „შთაავონე ყველას, რომ მიწა, რომელზედაც ისინი ცხოვრობენ, მათ ეკუთვნის, ვინაიდან იგი არის ღვთისაგან მოცემული და არავის არ აქვს უფლება მათი შრომით სარგებლობისა",—სწერს ის თავის წერილში.

16 ივლისს ყველა წევრები დააფურთხო ანტონ და კირილე ლორთქიფანიძეების და ნესტორ თავდგირიძის მოტანილმა ამბავმა. მათ სთქვეს, რომ გუბერნატორთან ახლო მყოფმა ერთმა მოხელემ გადასცა ანტონ ლორთქიფანიძეს, ვითომც გუბერნატორის ყურამდე მისულიყოს ცნობა პროპაგანდის შესახებ და მოსალოდნელია ჩხრეკაო. ამიტომ ანტონ ლორთქიფანიძემ, როგორც წიგნთ-საცავი, აგრეთვე ყველა აკრძალული წიგნები გაიტანა თავის სახლიდან და გადამალა. ასევე სურდათ მოქცეულიყვენ: მიხეილ ყიფიანს, პლატონ და ვარლამ გაბიჩვაძეებს, კაჭუხოვს, ბაქრაძეს და სხვებს, მაგრამ შემდეგ გადაფიქრეს.

ყველა ჩამოთვლილი პირნი შეიკრიბენ იაგორა იოსელიანისას და მისცეს წინადადება გიგო მირიანაშვილს წავიდეს სამეგრელოში, სოფ. ჯვარში და გადასცეს მიხეილ ყიფიანის წერილი ბათუა ათაჭი-

ძის მამას, რისთვისაც აღუთქვეს 20 მან. მაგრამ მირიანაშვილმა შიშის გამო უარი განაცხადა ამ დავალების შესრულებაზე. 12 ივნისს მიხეილ ყიფიანმა გადასცა იაგორა იოსელიანს წერილი პეტერბურგში გადასაგზავნად ფოსტით ნინო ივანეს ასული განგიევის სახელზე, გადასაცემათ კოტე ფურცელაძისათვის. ამ წერილში ყიფიანი გამოსთქვამს მწუხარებას, რომ ის მიემგზავრება საზღვარგარეთ და არ ექნება საშვალება ავადმყოფი ძმის ნახვისა. მან გაუშვა შემთხვევა შეხვედროდა ქუთაისში პეტერბურგის სტუდენტებს—ფალავანდიშვილებს გორის მაზრიდან და კახეთიდან გაბაშვილს. აცნობებს სამეგრელოს გლეხობის აჯანყების შესახებ და პოლიციის ოფიცრის ივანე სიმონის-ძე ბაიდაროვის გამგზავრებას ეკატერინოდარით პეტერბურგში. ის აცნობებს ბაიდაროვის გარეგან ნიშნებს და ურჩევს მას მოერიდოს.

მიხეილ ყიფიანის და იაგორა იოსელიანის მოქმედების საიდუმლოდ თვალ-ყურის სადევნელად გაგზავნილმა ვინმე სიმონ გეგელიძემ როდესაც ყიფიანი და იოსელიანი გამგზავრენ ისიდორე ქიქოძესთან მოსალაპარაკებლად, დაადასტურა ზემოდ მოყვანილი იაგორა იოსელიანის მიერ წარმოდგენილი ცნობები.

16) საქმეში არის წერილი ტფილისიდან 11 ივნისის 1876 წ. თარიღით, რომელსაც ივანე მესხი უგზავნის ქუთაისში ალექსი ბესარიონის-ძე ჯიჯინაძეს, რომელშიაც მესხი გამოსთქვამს უკმაყოფილებას ბესარიონ ღოღობერიძისადმი სამსახურში მიუღებლობის გამო. აგრეთვე სწერს ალექსანდრე მაყაშვილის დაჭერის შესახებ და აცნობებს ამ საქმის ვითარებას. თავის მხრით უწუნებს მაყაშვილს იმ გაუფრთხილებლობას, რომელსაც ის იჩენდა აკრძალული წიგნების გავრცელების საქმეში.

17) საქმეშია მიხეილ ყიფიანის წერილი მელიტონ ნაკაშიძის სახელზე 20 ივნისის 1876 წ. თარიღით. ამ წერილში ლაპარაკია იაგორა იოსელიანზე მიცემულ ვექილობის შესახებ, რომლითაც ევალებოდა მას პირის გამოტანა თბილისის საოლქო სასამართლოდან. ამიტომ აქ არის მოხსენებული მისამართი იოსებ ბაქრაძის საოლქო სასამართლის მდივნის თანაშემწისა. ბოდიშს იხდის ბაქრაძესთან, რომ ვერ უგზავნის ამ ხელად აკრძალულ წიგნებს, მაგრამ იმედს აძლევს მათი მალე გაგზავნის შესახებ, პირდება, რომ გაამდიდრებს ქართულ ლიტერატურას. სწერს სამეგრელოში მომხდარ ამბების შესახებ.

20 ივნისს 1876 წელს, საღამოთი გლეხს სიმონ გიორგის-ძე გოგოლიძეს, ზუგდიდიდან ცხენით მომავალს ქუთაისში, შეხვდა წინ

ქუთაისიდან მიმავალი იოსებ ლოლუა და მკაცრად უბრძანა მას ხლებოდა იქ, სადაც ის წავიდოდა. გოგოლაძე შეშინდა, დაემორჩილა ბრძანებას და გაყვა მას. ლოლუამ დააბრუნა იგი უკანვე ზუგდიდის მაზრაში და მიეიდენ სოფ. ხეთაში, კობახიძის სახლში. ლოლუამ ჰკითხა მასპინძელს სამეგრელოს საქმეების შესახებ და როდესაც გაიგო, რომ სამეგრელოში აჯანყებაა, სთქვა: „ეს არაფერია, ამ ცოტა ხანში გაიგებთ, თუ როგორი აჯანყება მოხდება როგორც ზუგდიდში, ისე ყველგან და მერე ეს კარგი არ არის? აი თუ-გინდ შენ, მიუბრუნდა გოგოლაძეს, გჭირია ფული. შენ დიდი გექნეს 60 კაპ. ან ცოტა მეტი და მჭადი. როდესაც ჩვენ საერთო საწყობები გვექნება, სადაც ყველა ჩვენგანი მოიტანს და დააწყობს თავის ნაწარმოებს, სადაც თავმოყრილი იქნება და დაცული შრომის ყველა დარგის ნაყოფი ე. ი. ნაწარმოები ხელოსნებისა, მეფაბრიკეებისა, მიწის მუშების და სხვა, აი, მაშინ თითეული თქვენგანი იცხოვრებს ისე, როგორც ქუთაისში ცხოვრობდა ლევაშოვი. ჩვენ სრულიად არ გვინდა მეფე“-ო.

18) საქმეში არის მიხეილ ყიფიანის წერილი ქუთაისიდან თბილისში 22 ივნისს 1876 წ. იაგორა იოსელიანის ხელით—არსენ კალანდაძისთვის გადასაცემად, რომელსაც აქვს წიგნის მაღაზია ეორნცოვის ხიდთან. წერილში სწერს რაღაც წიგნებზე, რომლის შესახებ მას ჰქონია საუბარი, გასულ ზამთარში, სპორენკოვთან. სახელდობრ, ყიფიანს სურდა გაეგო შესაძლებლობა ამ წიგნების გამოტანისა ერთი ადგილიდან და სპორენკოვს შესაძლებლად უცვნია, ხოლო მოუთხოვია ერთი კაცის მისამართის გაგება და ამ წიგნების გადმოსატანათ საჭირო ფული. აცნობებს, რომ იაგორა იოსელიანი მიდის, რათა გაეცნოს საქმის მდგომარეობას გორში, ტფილისში, ჯახეთში და სთხოვს უჩვენოს და გააცნოს მას იქაური საქმეები და ამხანაგები. მასთან მისცეს წერილები და აღმოუჩინოს მას დახმარება მოგზაურობის დროს.

19) ტფილისის საოლქო სასამართლოს მდივნის თანაშემწის იოსებ ბაქრაძის სახელზე მიწერილ წერილში მიხეილ ყიფიანი გამოსთქვამს ბაქრაძის ნახეის სურვილს მოსალაპარაკებლად საერთო საქმეების და პროპაგანდის გაძლიერების შესახებ. იაგორა იოსელიანის შესახებ სწერს, რომ მან იცის გურიის საქმის ვითარება და გაგაცნობს ყველაფერს. სთხოვს გააცნოს ყველა ამხანაგები და იქაური საქმის მდგომარეობა, რაც არის ჩვენი ყველას სურვილი და საქმისათვის გამოსადეგი, რომ უფრო მტკიცედ დაუკავშიროთ ერთმანეთს ჩვენი ორგანიზაციები-ო.

20) ვ. ტვინმეისტერი (დ. კეზელი) სწერს დ. ნეზმაევს, რომ ის მალე ჩამოვა და სთხოვს შეაჩეროს წასვლა და აცნობს, როგორც სოციალისტს და სთხოვს გამართულ საღამოებზე ყველას გასაგონათ ვაღლამი უწოდოს და ამ სახელით გააცნოს მათ. წერილში იხსენიებს ვიღაც დავით კაკულიჩს. მასაც სთხოვს მოცდას და პირდება ფულის ჩამოტანას, აცნობებს, რომ სამეგრელოში ჯარის კაცები გლეხებს ხოცავენ და ამისათვის აგიხებს მათ. სთხოვს გააცნოს იოსელიანს ახალგაზრდა მეგობრები, უთვლის მოკითხვას ვიღაც ილიკოს და აცნობებს, რომ პლატონი ეხლა მასთანაა. აგრეთვე ავალებს მთაწმინდაში ერთი თვით ბინის დაქირავებას მისთვის, სადაც ის დაბინავდება ჩამოსელის შემდეგ მ. ტაბატაძესთან ერთად. ვიღაც უცნობი სწერს 1876 წლის 22 ივნისის თარიღით არსენ კალანდაძეს, რომ გააცნოს იოსელიანი დიმიტრი კეზელს.

სოფრომ მგალობლიშვილი თავის წერილში ვიღაც სოსიკოს სახელზე ავალებს ამბავის გაგებას მეტეხის ციხეში დაპატიმრებულ ალექსანდრე მაყაშვილის შესახებ ყოფილ სემინარიელის და ახლა მეტეხის ეკკლესიის მედავითნის მაკარაძის საშუალებით. ურჩევს ამხანაგობას, რომ დაიახლოვოს ეს მაკარაძე, რათა შესაძლებელი იქნეს კავშირის დაჭერა დაპატიმრებულ ამხანაგებთან.

21) არის წერილი ვიღაც უცნობი ქალისა, სადაც იგი სწერს ჩერქეზიშვილს და ვიღაც სოსოს, რომ მან იცოდა ვიღაცას დაპატიმრება. ჭიჭინაძემ ყველაფერი აცნობა მას და სწუხს მის იქიდან გადასვლაზე. მადლობას უძღვნის წერილისათვის და ლექსიკონის გაგზავნისათვის. სწუხს ალექსანდრე მაყაშვილის დაპატიმრების შესახებ და იმედს გამოსთქვამს, რომ იგი არ გასცემს ამხანაგებს, რაც უნდა წამება მიაყენონ მას.

22) იაგორა იოსელიანი საქართველოს სხვადასხვა კუთხეების მოგზაურობიდან დაბრუნებისთანავე გამოცხადდა და 17 ივნისს გვაცნობა, რომ პროპაგანდისტების საზოგადოებამ ამიერ-კავკასიაში აირჩია თითო რწმუნებული თითო კუთხეში და გამოგზავნა ქ. ქუთაისში. სახელდობრ—ტფილისიდან ღვეან ჩერქეზიშვილი, გორიდან—დათიკო ფურცელაძე და თელავიდან—ილიკო ჭიჭინაძე. რწმუნებულნი ჩამოვიდენ კიდევაც ქუთაისში 17 ივლისს და ქუთაისის რწმუნებულ მიხო ყიფიანთან ერთად ეპარეიან გურიაში წასვლას ოზურგეთის რწმუნებულ ისიდორე ქიქოძესთან შესახვედრათ და მოსალაპარაკებლად შემდეგ საკითხებზე: ა) ახალ წევრების უფრო ადვილად შესაძენათ და მათ მოსამზადებლად გაიხსნას ტფილისში წიგნთ-საცავი, ერთი გურიაში, თავმოყრილ რწმუნებულების სახელზე, სადაც წევრებს საშვალება ექნება ერთმანეთის ხშირად შეხვედრისა და თავის მოყრი-

სა. წიგნთსაცავისათვის მათ საკმაო წიგნები აქვთ თავმოყრილი ჩერქეზიშვილის ბინაზე ტფილისში, ბ) რა ნაირად გადაიტანონ შეიცარიიდან ბათუმში მიღებული წიგნები, რომლის გადასატანათ იაგორა იოსელიანმა უკვე მიიღო ფული კალანდაძისა და რატიშვილისაგან. გ) რა დაჯდება საბეჭდავი მანქანის გადმოტანა და რამდენი უნდა შეეწეროს თვითეულ წევრს ფული ამ ხარჯების დასაფარავად, რომელიც საჭიროა ამ საქმისთვის და სხ.

პროპაგანდისტების ე. ი. შეთქმულების წევრებათ იოსელიანმა დაასახელა კიდევ: გორში—სამხედრო ექიმი ქაიხოსრო ფურცელაძე, მასწავლებელი სოფრომ მგალობლიშვილი და თავადი ‘გრიგოლ ავალიშვილი, გორის მაზრის სოფ. მერევში—დათიკო ფურცელაძე, მისი ბიძაშვილი ანტონ ფურცელაძე; სოფ. ტყვიავში—საექიმო აკადემიის სტუდენტები რომანოზ ფავლენიშვილი, გიგო გაბაშვილი, ვასიკო დეკანოზიშვილი და თავადი ლუარსაბ ერისთავი, სოფ. ბ...ში იქაური მღვდელი სამადოვი და დიაკონი ოქროპირიძე; თფილისში: სანანიკოვი, ლევან ჩერქეზიშვილი, დათიკო თარხანიშვილი, სოსო მაყაშვილი, იოსებ ბაქრაძე, ყარამან ნაცვლიშვილი, არსენ კალანდაძე, სიმონ კარბელაშვილი, სემინარიის მოწაფე კეცაროძე; კახეთში—ილიკო ჭიპიაძე, კნიაზნა დარიკო ჯორჯაძე, მასწავლებელი როსტომაშვილი, სოფ. კარდანახის მასწავლებელი მრევლოვი, გერსის მასწავლებელი იოსებ გულისაშვილი, საგარეჯოს მასწავლებელი ცხვედაძე; სიღნაღში სოფ. მაღაროში—სტუდენტი კონსტანტინე ნაცვლიშვილი. გარდა ამისა თფილისში არიან პროპაგანდისტები, რომელნიც აქ არ არიან ჩამოთვლილი და ყველას აქვს აკრძალული წიგნები.

გურიაში ჩასვლის შემდეგ არჩეულ რწმუნებულებს განზრახვა ჭონდათ მიეცათ წინადადება ანდრია ერისთავისთვის შეეწყოთ ცოლად კნიაზნა დარიკო ჯორჯაძე, აეღო მდიდარი მზითევი ფულად და ეს ფული გადაეცა საზოგადოებისათვის პროპაგანდის განსავითარებლად.

რწმუნებულები წავიდენ ჭუთაისიდან გურიაში 21 ივლისს და დაბრუნდებიან იქიდან 24 ან 25 ივლისს, თუ გზათ არ შეიარეს თავად როსტომ მიქაძიძისას, სადაც დაპირებულია და მიემგზავრება იაგორა იოსელიანი.

23) საქმეში არის ლოლა ყიფიანის წერილი გაგზავნილი 3 ივლისს მიხეილ ყიფიანის სახელზე გადასაცემათ ქ. ქუთაისში ეფროსინე ქაიხოსროს ასულის კლდიაშვილისადმი. სთხოვს არავის გადასცეს მან და ლეჟავამ მისი ნაამბობი ფერმის ბაღში ღამით. უძღვნის სალამს ლეჟავას, კატია ნიკოლაძეს, პეტია ნაკაშიძეს და კალანდარიშვილის ცოლს. მისი მისამართი—ე. დ. ყიფიანს—ჩოხატაურში.

24) ჩვენ გვაქვს წერილი სტუდენტ სარდიონ გელოვანისაგან (ცხოვრობს პეტერბურგში, სერგიევის ქუჩა № 37). წერილი გამოგზავნილია კავკასიაში ვინმე სიმონის სახელზე. იგი უჩივა სიღარიბეს და უსახსრობას. იტყობინება, რომ ანთიმოზ გამყრელიძე და გიორგი ზდანოვიჩი კარგა ხანია რაც დაეპატიმრეს. ალექსანდრე ნანეიშვილი, კონსტანტინე ბაქრაძე, დიმიტრი ზებედაშვილი, დათიკო ზედგენიძე და სხვები მშვიდობიანათ არიან. სტეფანე კაჩუხოვი და სხვები ქალაქში წამოვიდნენ.

არსენ კალანდაძე სწერს საპასუხო წერილში მიხეილ ყიფიანს, რომ მან უცცელად შეასრულა ყველა მისი დავალებანი და—ძლიერ უხარია, რომ მათი პროპაგანდა ასე ნაყოფიერად მიმდინარეობს იმერეთში.

25) იაგორა იოსელიანის მოხსენება. 30 ივლისს ის მოვიდა გორიდან მერეფში, სადაც მას შეუერთდა რომან ფავლენიშვილი, ანტონ ფურცელაძე, კონსტანტინე ფურცელაძე, მიხეილ ყიფიანი, (უკანასკნელი და ფურცელაძე იყვნენ გაგზავნილი ისიდორე ქიქოძის მიერ გორის მაზრაში) და სოფელ მერეთის გლეხები, მათ შორის ერთი მამასახლისი ვინმე პეტრე. ყველანი მივიდნენ ლიახვის პირას და მცირე თათბირის შემდეგ გადასდვეს კონფერენციის სხდომის გამართვა 2 ავგისტოსთვის. ამ კონფერენციაზე გაირჩია შემდეგი კითხვები: ა) ვინ რამდენი უნდა შემოიტანოს კასის სასარგებლოდ გარდა საწევრო ფულისა. თავის სურვილით კასას შემოსწირეს: ძმება ფურცელაძეებმა 60 მან. ანტონ ფურცელაძემ—40 მან. გორის მომრიგებელ სასამართლოს ბოქაულმა ხიშნიაშვილმა 50 მან. მღვდელმა სამადოვმა—33 მან. მიხეილ ერისთავმა 30 მან. ლუარსაბ ერისთავმა—30 მან. ფავლენიშვილმა—40 მან. გარდა ამისა კასისთვის შემწეობა გამოიღეს ისეთმა პირებმაც, რომლებსაც მონაწილეობა არ მიუღიათ ამ მსჯელობაში და ამ ნაირად გორის მაზრაში შეკრებილი იქნა—500 მან. ბ) კითხვა საოლქო ყრილობის მოწვევის შესახებ გადაიდგა ეგნატე იოსელიანის პეტერბურგიდან დაბრუნებამდე, რომელსაც მოელიან ტფილისში დღე-დღეზე. გ) აირჩიეს რამდენიმე კაცი თავიანთ შორის, რომელთაც ევალება მოსკოვში წასვლა და ფულის ვალად აღება იქაური წრისაგან—ორი ათასი მანეთისა საბეჭდავი მანქანის შესაძენათ; დ) გამოირკვა, რომ სტუდენტს ფავლენიშვილს თან აქვს მოსკოვის წრის კუთვნილი 700 მან. და უკეთუ ეგნატე იოსელიანი განაცხადებს თანხმობას, ფავლენიშვილი თანახმაა გადასცეს იგი იქაურ წრეს; ე) მღვდელი სამადაშვილი უნდა წავიდეს ტფილისში ჩერქეზიშვილთან მისამართის გასაგებათ. საიდანაა წამოსაღები წიგნები ბათუმიდან. გარდა ამისა მან უნდა იშუამდგომლოს სინოდალურ

კანტორაში და მოახერხოს მიხაილოვში გადასვლა იქაური რაიონში მთავრობის საწინააღმდეგო პროპაგანდის გაწევის მიზნით და აგრეთვე გადასცემს იქაურ ამხანაგებს კონფერენციის გადაწყვეტილებას დაწვრილებით. მღვდელი სამადაშვილი ამ ჟამად რამდენიმე რევოლიუციონურ წიგნს სთარგმნის რუსულიდან ქართულად. კრებაზე გამოირკვა, რომ პროპაგანდისტი არდაზიანი დააპატიმრეს მოსკოვში. მიხეილ ყიფიანი იქიდან წავიდა თავის მამულში, ქვიშხეთში და იქიდან ჩამოვა ქუთაისში 10 ან 11 აგვისტოს, საიდანაც ყოველივე ცნობებს მიაწოდებს ისიდორე ქიქოძეს ოზურგეთის მაზრაში.

26) ქუთაისში ჩამოსული არჩეული დელეგატები: ფურცელაძე და ჰიჰინაძე მიხეილ ყიფიანთან ერთად 20 ივლისს გაემგზავრენ ოზურგეთის მაზრაში ისიდორე ქიქოძესთან შესახვედრათ და მოსალაპარაკებლად, ხოლო იაგორა იოსელიანს დაეცალა ს. კულაშში თავად როსტომ მიქელაძისას მათი შეხვედრა, უკეთუ ისინი 24 ივლისს დილის მატარებლით ქუთაისში არ ჩამოვიდოდენ. 24 ივლისს იაგორა იოსელიანი წავიდა კულაშში და რადგან მიქელაძისას არა დახვდენ დელეგატები, განაგრძო გზა ოზურგეთისაკენ. გზაზე გურულ თავად ერისთავების მამულის ახლოს იგი შეხვდა მათ და ყველანი იმ ღამეს მოვიდენ ს. კულაშში როსტომ მიქელაძისას. ქიქოძესთან მოგზაურობის და თათბირის შესახებ იაგორა იოსელიანს გადასცეს შემდეგი: სამშაბათს, 20 ივლისს, იგინი ჩამოვიდენ სამტრედიაში. იმ ღამეს განაგრძეს მოგზაურობა და დილით, 21 ივლისს, ჩავიდენ ნაგომარში. აქ შეხვდათ მათ ბახვის სასწავლებლის მასწავლებელი შარაშიძე, რომელმაც დელეგატების ჩამოსვლა აცნობა გურულ გლეხებს და 22 ივლისს იქვე დუქანში 25-ზე მეტი გლეხი შეიკრიბა. გლეხები საკმაოდ მომზადებული აღმოჩნდენ. ისინი მზად არიან პროპაგანდისტებთან ერთად გამოვიდენ და მონაწილეობა მიიღონ ყოველგვარ მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედებაში. ერთმა ამ გლეხთაგანმა მახარაძემ იგინი მიიწვია თავის სახლში, სადაც მათ გაათიეს ღამე და დარჩენ მეორე დღის ნასადილევამდე. შემდეგ მოვიდა ისიდორე ქიქოძის მამა (მღვდელი) და წაიყვანა იგინი იმ ღამეს თავის სახლში. იქვე მოვიდა იმ ღამეს თავადი მელიტონ ნაკაშიძე, ისიდორე ქიქოძე და გლეხი მახარაძის ძმა. შაბათ დილით, 24 ივლისს, მიხეილ ყიფიანი წავიდა ანდრია ერისთავის სანახავად და დაბრუნდა იქიდან კვირას, 25 ივლისს საღამოს. სამშაბათს, 27 ივლისს, გამოვიდნენ ისიდორე ქიქოძის სახლიდან, იაგორა იოსელიანთან ერთად გაათიესღამე მიქელაძისას. მეორე დღეს მატარებლით სამტრედიიდან ფურცელაძე და ისიდორე ქიქოძე წავიდა გორში, ხოლო იქიდან ტფილისში. ჰიჰინაძე და იაგორა იოსელიანი 28 ივლისს დაბრუნდენ ქუთაისში.

ამ თათბირზე გადაწყდა: ა) ბათუმში მიღებული წიგნები გადმოტანილ იქნას, როგორც კი გაიგებენ იმ კაცის მისამართს, სადაც ეს წიგნები ინახება, ბ) საჭიროდ იქნას წევრებს შორის შეგროვილი საჭირო თანხა და მით შეძენილი შვეიცარიაში საბეჭდავი მანქანა, სადაც ამის შესახებ წერილი უკვე გაგზავნილია, გ) დაევალოს წევრებს წიგნების საზღვარგარეთიდან მიღებისთანავე შეუდგენ მის თარგმნას ქართულ ენაზე, დ) გაიგზავნოს ფურცელაძე და მიხეილ ყიფიანი გორის მაზრაში მოსალაპარაკებლად, როგორც წევრებთან, ისე თანამგრძნობ გლეხებთან, ე) გადაწყდა შეკრება სოფ. ქვიშხეთში (გორის მაზრა) თითო მაზრიდან სამ-სამი წარმომადგენელისა. ფურცელაძეს, ყიფიანს, ჩერქეზიშვილს და თბილისში მცხოვრებთ სხვა წევრებს ევალებათ ქვიშხეთში კრების მოწვევამდე უსათუოდ გამონახონ ფული ან სესხის საბით, ან მამულის გაყიდვის საშვალებით. ანდრია ერისთავი შეპირდა მათ აღნიშნული მიზნისათვის 500 მან. პეტერბურგში წასვლამდე. ჩერქეზიშვილი 20 ივლისს წავიდა ქუთაისიდან ტფილისში იმ კაცის მისამართის გასაგებათ, რომელმაც ბათუმში მიიღო მათზე გადასაცემი წიგნები. მიხეილ ყიფიანი ამ დღეებში დაბრუნდება ქუთაისში. ვარლამ გაბიჩვაძეც, რომელიც ტფილისშია წასული, მალე დაბრუნდება ქუთაისში. 20 ივლისს ლოლა ყიფიანი გურიიდან გაემგზავრა ქალაქში. დელეგატებმა გადასცეს იაგორა იოსელიანს წერილები ერთი ისიდორე ქიქოძის მიერ დაწერილი, სადაც იგი მადლობას უძღვნის იოსელიანს საქართველოში ყველა ორგანიზაციების დათვალიერებისათვის. მეორე კი გრიგოლ გურიელის კალამს ეკუთვნის, რომელიც დავალების შესრულებისათვის იოსელიანს მადლობას უძღვნის, ვიღაც უცნობს „მეცამეტე გოჭს“ უწოდებს და საჭიროდ მიაჩნია მისი კბილების ამომტვრევა. ამ პირთან იაგორა იოსელიანს, მისი აზრით, კავშირი უნდა ჰქონდეს, აფრთხილებს იოსელიანს, იმედს აძლევს, რომ მუშებს რამდენიც კი საჭირო იქნება იმდენს იშოვის, ოღონდ გადმოსატანი მასალა იქნეს რამე.

პროპაგანდისტები ხალხში ავრცელებენ შემდეგ იდეას: ხელმწიფის კანონით ხალხს ახდევინებენ დიდძალ არაპირდაპირ გადასახადს მოწმობისთვის, პატენტისათვის და სხ. ეს გადასახადი ყოველ წლობით იზრდება. მთავრობა იგონებს ახალ-ახალ გადასახადს, რომლის მთელი სიმძიმე აწვება მუშა ხალხს, მას არა აქვს საშვალება ამოდენა გადასახადის გადახდისა და ტყავს აძრობენ მათ. მშრომელი ხალხის ოფლით მონაგარს, რასაც კი მოიყვანს იგი მიწის დამუშავებით,—თესვით, მკით, გალეწვით, გინდ ისეთი მძიმე მუშაობით, როგორიც არის ტყის მასალის დამზადება და სხვა სამუშაო, რომელიც საჭიროა ადამიანის არსებობისთვის, ყველა ამას ითვისებს ხაზინა და მემამულენი, ხალხი კი რჩება მშიერ-მწყურვალე და სიღატაკე სულს უხუთავს მას.

რატომ უნდა არჩინოს ამ მშიერმა ხალხმა მეფე და ინტელიგენცია, თვითონ კი ვაებაში და წვალებაში დალიოს სული? უკეთუ მეფე არ იქნება, არ იქნება არც მთავრობა და არც მისი კანონები, მაშინ ყველანი თანასწორნი იქნებიან. გადასახადს ძალით არავინ გადაგახდევინებთ, ხალხის საჭიროების დასაფარავად იქნება საზოგადო თანხები, რომლიდანაც საჭიროების მიხედვით დაკმაყოფილდება ხალხი, ამიტომ მთელი მშრომელი ხალხის საბედნიეროთ საჭიროა მონდომება, ერთმანეთის მხარის დაჭერა, რათა განვახორციელოთ ასეთი წესყოფილება. ძველი უნდა დავამხოთ და ახალი აღვაღგინოთ, რომ მშრომელი თვით იქნეს თავის ნაშრომის ბატონი. მღვდლები სცრუობენ, როდესაც გეუბნებიან, თითქო მეფე ღვთისაგან იყოს დადგენილი, თითქო ხალხის ბედ-იღბალი მისთვის განგებას ჩაებარებიოს და ამ უღელ-ქვეშ ყოველგვარი ტარკვა-წვალების მორჩილებით ატანა მშრომელი ხალხის აუცილებელი ბედის წერა იყო. ამას ისინი სჩადიან, რათა მეფეს აამონ და ამისთვის შესაფერი სასყიდელი მიიღონ.

27) ამა წლის 20 აგვისტოს პეტერბურგიდან ქუთაისში ჩამოვიდა პეტერბუგელი სტუდენტი გლუხოვსკი და ჩამოიტანა იქაური პროპაგანდისტების წრის მიერ გამოგზავნილი აკრძალული წიგნები, მაგრამ ვინაიდან ადგილობრივი ორგანიზაციის პასუხისმგებელი წევრნი, რომლებისთვისაც მას სურდა პირადათ გადაეცა წიგნები იყვნენ ქუთაისში, ამიტომ ეს სტუდენტი კაჩუხოვის საშვალებით, რომელიც თან ჩამოყვა გლუხოვსკის პეტერბურგიდან, გაეცნო იაგორა იოსელიანს და წიგნებიც მას დაუტოვა პეტერბურგში წასვლის დროს ორგანიზაციის ხელმძღვანელთათვის გადასაცემათ. ეს წიგნები იაგორა იოსელიანმა წარუდგინა ქუთაისის გუბერნატორს. წიგნები რუსულია შემდეგი სახელწოდებისა: „Что нужно народу". „К офицерам русской армии", პროკლამაცია, რომელიც იწყება შემდეგი სიტყვებით", Что это братцы", გაზეთები „Народное дело", к „Русской Социал-Революционной молодежи" „История развития Интернационала" „Задача революционной пропаганды в России", „Анархия по Прудону, часть 1—общая", Идея Революции в XIX веке", „Краткое указание способов к изучению и ведению рациональнаго хозяйства". „Государственность и Анархия", „Школа пчеловедения" და სხვა. 4-5 სექტემბერს მიხეილ ყიფიანმა ტფილისიდან ჩამოსვლისთანავე მოძებნა იაგორა იოსელიანი და უამბო მას: ა) რომ იგი სოფ. ქვიშხეთიდან ხელმეორედ გაემგზავრა ტფილისში, ვინაიდან ქვიშხეთში მან მიიღო პეტერბურგიდან წერილი პროპაგანდისტების წრიდან, რომლითაც მას ავალებდენ ტფილისში მოცდას წრის ერთ-ერთ წევრის ჩამოსვლამდე. პეტერბურგის ამხა-

ნაგების გადაწყვეტილებით უნდა ჩამოსულიყო ან ეგნატე იოსელიანი, ან კოტე ბაქრაძე, მაგრამ ვინაიდან მათ დაიგვიანეს, ისევ ქუთაისში არჩია მან წამოსვლა, ბ) მან მიიღო ტფილისში აგრეთვე წერილი პეტერბურგში დაპატიმრებულ პროპაგანდისტებისაგან, სახელდობრ ჯაბადარის, ციციშვილის, ზდანოვიჩის და ჩიკოიძისაგან. ისინი მოითხოვდენ პროპაგანდის გაძლიერებას ხალხში, რუსეთის და ამერკავკასიის პროპაგანდისტების ჯგუფთა შეკავშირებას და ამნაირად ხალხის და პოლიტიკურ პატიმრების განთავისუფლებას მთავრობის ულტიმატუმით; გ) ტფილისში ჩვენი საზოგადოების წევრებმა უკვე დაარსეს კასა, მრავალი წერილი შეიძინეს მათ, მათ შორის სოფლის მასწავლებელნიც. კასაში ჯერჯერობით შეგროვდა 350 მან. დ) წევრთა კრებები იმართება ტფილისში ძლიერ მოხერხებულად და ისე თამამად, რომ ისინი იკრიბებიან დღისით თითქმის ყოველ დღე, სადაც დასცინიან მთავრობას, რომ ის ვერაფერს ხედავს; ე) საზოგადო ყრილობის დრო და ადგილი გვეცოდინება ეგნატე იოსელიანის პეტერბურგიდან ჩამოსვლის შემდეგ, ადგილს, სადაც უნდა შევიკრიბოთ ის დანიშნავს. კ) მისამართი იმ პირისა, რომელთანაც ინახება ბათუმში მათზე გადასაცემი აკრძალული წიგნები აქვს სტუდენტს კორძაიას სამტრედიაში. ყიფიანს განზრახვა აქვს თვითონ წაედეს სამტრედიაში, გამოართვას კორძაიას მისამართი და გადაუგზავნოს ისიდორე ქიქოძეს გურიაში, რომელიც ამ მისამართით მოიკითხავს წიგნებს ბათუმში. ლ) ამ დღეებში ქუთაისში ჩამოვა სტუდენტი ფავლენოვი, რომელიც წაიღებს მოსკოვში იქაური წრის კუთვნილ 700 მან. იმ პირობით, რომ მოსკოვში ჩასვლისთანავე მოელაპარაკება წრეს, გააცნობს აქაურ საქმის ვითარებას და ისესხებს წრისაგან საბეჭდავი მანქანის საყიდლად საჭირო თანხას. შემდეგ შეეცადოს საბეჭდავი მანქანის შესაძენად განზრახულია მიხეილ ყიფიანის ან მის მაგიერ სხვა რომელიმე წევრის გაგზავნა.

„იაგორა იოსელიანმა გადასცა ყიფიანს მელიტონ ნაკაშიძის წერილი, რომელიც სწერდა ისიდორე ქიქოძის ავადმყოფობის შესახებ, რომ იგი წევს მამის სახლში სოფ. ბახვში, რომ მორჩენის გზაზე ადგია და მალე ადგება". ამ მოხსენებას ხელს აწერს: შტაბს-კაპიტანი ხრისტოფოროვი.

შტაბს-კაპიტანი ხრისტოფოროვი მეორე მოხსენებაში სწერს შემდეგს:

„ქუთაისის გუბერნატორისაგან გადმოგზავნილი ცნობებიდან სჩანს, რომ რამდენიმე ახალგაზრდამ ქუთაისის და ტფილისის გუბერნიებში განიზრახეს შედგენა საზოგადოებისა ხალხის მოსამზადებ-

ლად, აჯანყების მოწყობის და არსებული მთავრობის ჩამოგდების მიზნით. ამიტომ იგინი იძენენ და ავრცელებენ ხალხში რევოლიუციონური შინაარსის წიგნებს ქართულად გადათარგმნილს, კრებენ ხალხში ფულს და გამოიწერეს საზღვარგარეთიდან 1600 ცალი აკრძალული წიგნი და საბეჭდავი მანქანა. ვინაიდან საქმიდან სჩანს, რომ აღნიშნული საზოგადოება უკვე არსებობს და მოქმედებს, ამიტომ ამ საზოგადოებაში მონაწილე ახალგაზრდათ ბრალათ ედებათ ისეთი დანაშაული მთავრობის საწინააღმდეგო საიდუმლო საზოგადოების შედგენისათვის, რომელსაც მიზნათ აქვს დასახული არსებული წესწყობილების დამხობა და უკვდა გასამართლებულ იქნენ 250 და 318 მუხ. ძალით სასჯ. დებ. (უმაღ. ბრძ. 1874 წ. 4 ივნისის თარიღით) მთავარი ხელმძღვანელი ამ საზოგადოებისა არიან: ტფილისში ესტატე (ეგნატე) იოსელიანი, რომელიც ღებულობს მეტად მხურვალე მონაწილეობას, ქუთაისში: მიხეილ ყიფიანი და ისიდორე ქიქოძე, რომელიც იმყოფება ოსმალეთში (როგორც სჩანს ჩვენი საზღვრების ახლოს). ჯერ-ჯერობით ჩვენ გვაქვს ცნობები ამ საზოგადოების 40 წევრის შესახებ, სახელდობრ: ქუთაისში და ტფილისში—ესტატე (ეგნატე) იოსელიანი, მიხეილ ყიფიანი, ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხი, ივანე მესხი, ოლღა ყიფიანი, ანდრია ერისთავი, დიმიტრი კეზელი, სტუდენტი ჭიჭინაძე, ვასილ ლოსაბერიძე, ვარლამ გაბიჩვაძე, პლატონ გაბიჩვაძე, ილია ბახტაძე, ალექსანდრე მარგანია, კონსტანტინე ჩიჩუა, თემიშურაზ ლეკვეიშვილი, ალექსანდრე ნანეიშვილი, ივანე ჩერქეზიშვილი, ანტონ ლორთქიფანიძე, კირილე ლორთქიფანიძე, ნესტორ თავდგირიძე, კაჩუხაშვილი და არსენ კალანდარიშვილი; თელავში: შიუკაშვილი და ილიკო ჩერქეზიშვილი. გორში და გორის მაზრაში: დათიკო ფურცელაძე, კონსტანტინე ფურცელაძე, რომანოზ ფავლენოვი, ვასიკო დეკანოზიშვილი, სტეფრომ მგალობლიშვილი, მღვდელი სამადოვი. გურიაში: ისიდორე ქიქოძე და მამა მისი მღვდელი ქიქოძე, ძმები ნაკაშიძეები, გიგო შარაშიძე; რაჭაში და ლეჩხუმში: თედორე შარაბიძე და ლაზარე დათუნაშვილი. პეტერბურგში არდაზიანი, რეზნიკოვი და ფურცელაძის და.

მთავარი სამოქმედო ბაზა მათი არის ტფილისი, ქუთაისი, გორი, თელავი და ოზურგეთის მაზრა. წიგნების საწყობები განზრახული აქვთ იქონიონ ქუთაისში: მიხეილ ყიფიანის, ვარლამ გაბიჩვაძის, გიმნაზიის მოწაფე ყიფიანის, ანტონ ლორთქიფანიძის ბინებზე. რაჭაში—ლაზარე დათუნაშვილის სახლში. რევოლიუციონურ წიგნებს სთარგმნიან რუსულიდან ქართულად ვარლამ გაბიჩვაძე და მღვდელი სამადაშვილი.

განვიხილე რა ყველა შეგროვილი ცნობები, საქმის შემდეგი მსვლელობის მისაცემად მე მიმაჩნია საჭიროდ განხილულ იქნეს შემ-

დეგი კითხვები: 1) საჭიროა თუ არა ეხლავე შეუდგეთ დაკითხვის მოხდენას თანახმად უმაღ. ბრძან. 19 მაისი 1871 წ. როგორი წესით იქნეს მოხდენილი დაკითხვა ბრალდებულთა დანაშაულის გამოსარკვევად, რომელთა სამოქმედო ასპარეზს ორი გუბერნია და რამდენიმე ქალაქი შეადგენს.

პირველი კითხვის შესახებ, თანახმად უმაღ. ბრძანებისა 19 მაისიდან 1871 წ. 25 მუხლისა და 298, მუხ. სისხლ. სამართ. კანონმდებლობისა, თუმცა შეიძლება დაუყონებლივ საქმის დაკითხვის შემდეგ ზომების მიღება, მაგრამ რადგანაც საქმიდან სჩანს, რომ სექტემბერში განზრახულია გადმოტანა ბათუმიდან 1600 ცალი წიგნისა და საბეჭდავი მანქანისა, ამიტომ მიღება ჯერ-ჯერობით რაიმე გადამწყვეტი ზომებისა მე ნაადრევად მომაჩნია, რადგანაც ეს ჩვენ მოგვისპობს დასამტკიცებელი საბუთების (აკრძალული წიგნების) ხელში ჩაგდების საშუალებას, ბოროტ განზრახვის მიზნით რაიმე მზადების კვალის მიგნებას, ვინაიდან დამნაშავენი, როგორც კი გავრცელდება ხმები მთავრობის მიერ განზრახული ზომების მიღების შესახებ მათ წინააღმდეგ, შეუძლიან დამალონ ან მოსპონ ქაღალდები და წიგნები, რომელნიც მათ ხელთ აქვთ და ამტკიცებს მათ დანაშაულს. ამიტომ ვფიქრობ უმჯობესი იქნება დავიცადოთ დასახელებულ აკრძალულ წიგნების და საბეჭდავ მანქანის მოტანამდე და შემდეგ შევუდგეთ მოქმედებას.

მეორე სიკითხის შესახებ მე ვფიქრობ შემდეგს: ვინაიდან ჩვენი მოქმედება საჭიროა ორ გუბერნიაში და რამდენიმე ქალაქში ერთ და იმავე დროს, ამიტომ ჩხრეკის და დაპატიმრების დროს უნდა მოწვეულ იქნეს დასახმარებლად საჭირო რიცხვი პოლიციის მოხელეებისა. იმათ და ჟანდარმებს სამძართველოს მოხელეთა შორის განაწილებულ უნდა იქნეს სამოქმედო ადგილები. ჟანდარმთა სამმართველოს მიერ ამ საგანზე უნდა შედგენილ და მიცემულ იქნეს მტკიცე სამოქმედო ინსტრუქცია. ქუთაისის ჟანდარმის სამმართველოს უფროსთან წინასწარ შეთანხმებით ერთ და იმავე დროს უნდა შეეუდგეთ ჩხრეკას, დაპატიმრებას და გამოკითხვას. მოქმედება უნდა დაწყებულ იქნეს მაშინ, როდესაც ქუთაისის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი გვაცნობებს წიგნების და საბეჭდავი მანქანის მოტანას.

უკეთუ ჩვენ მიერ შეკრებილი ცნობების მიხედვით აღმოჩნდება, რომ აკრძალული წიგნების და საბეჭდავი მანქანის მოტანა განუსაზღვრელი დროისათვის გადაიდება ან სულ უარს იტყვიან და აღარ შემოიტანენ მათ ბათუმიდან, მაშინ შეუდგებით მოქმედებას იმ მასალათა მიხედვით, რომელიც ხელთა გვაქვს. ყოველ შემთხვევაში, გამოკითხვის დროს საჭიროა განკარგულება, რომ ფოსტის და ტელეგრაფის უწყებამ გადასცეს ქუთაისის და ტფილისის საგუბერნიო

ჟანდარმთა სამმართველოს ყველა იმ პირების წერილები, ტელეგრამები, როგორც მათ სახელზე მიღებული, ისე გაგზავნილი მათ მიერ, რომელთა სია წინასწარ ექნება მათ გადაცემული ჟანდარმის სამმართველოს მიერ. ხელს აწერს: **შტაბს-კაპიტანი ხრისტოფოროვი.**

ტფილისის ჟანდრმთა სამმართველოს უფროსმა მიიღო სახეში ხრისტოფოროვის მიერ მოყვანილი საბუთები და დაადგინა მოხსენებაში დასახელებული პირების გაჩხრეკა და აღმოჩენილ საბუთების მიხედვით მათი დაპატიმრება, რომლის სისრულეში მოყვანა განკარგულებით 4 ოქტომბრიდან 1876 წ. 137 №—ით, ისევ ხრისტოფოროვს მიენდო, ხოლო პეტერბურგში მყოფ სტუდენტის რომანოზ ფავლენიშვილის და სხვების დაპატიმრების შესახებ გაეგზავნა პეტერბურგის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსს ტელეგრამა 1876 წ. 9 ოქტომბრის თარიღით.

შტ.-კაპ. ხრისტოფოროვი დავალების შესრულებას ენერგიულად შეუდგა, გაჩხრეკილ და დაპატიმრებულ იქნა ხრისტოფოროვის მოხსენებაში დასახელებულნი პირნი: ესტატე (იგივე ეგნატე) იოსელიანი, პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი თავადი ლევან ჩერქეზიშვილი, არსენ კალანდაძე, თავადი იოსებ მაყაშვილი, მღვდელი ვასილ სამადაშვილი, დავით ფურცელაძე, თავადი ალექსანდრე მაყაშვილი, ვასილ დეკანოზიშვილი, სერგო შვეცოვი და ალექსი არდასელოვი.

თავმდებ ქვეშ გაშვებულ იქნენ: თავადი იორამე ჯორჯაძე, ელენე უფიანი, თავადის ასული სოფიო ჯორჯაძე, ქრისტინე რარაკი, არშაკ საფაროვი და სოფრომ მგალობლიშვილი.

პოლიციის მხედველობის ქვეშ მიცემული იქნენ: თავადი ლუარსაბ ალექსის-ძე ერისთავი, კონსტანტინე ნაცვლიშვილი, იოსებ ბაქრაძე, ივანე ხიმშიაშვილი, თავადი მიხეილ ლევანის-ძე ერისთავი, გრიგოლ (გიგო) ავალიშვილი, იოსებ ცხვედაძე.

აეკრძალა საცხოვრებელი ადგილიდან სამშე წასვლა: კონსტანტინე ყიფიანს, გიორგი უთურგაულს, ოლღა საფაროვის ასულს, ბარბალე საფაროვის ასულს, პავლე აღნიაშვილს, ლუბა სერებრიაკოვას, იბრაგიმ შანიევს, იული მარკუზენს, ნიკოლოზ მრევლიშვილს, ივანე როსტომაშვილს, ალექსანდრე ცხვედაძეს, გლეხს სიმონ მაისურაძეს, თავად დავით თარხან-მოურავს, ანტონ ფურცელაძეს, ქაიხოსრო ფურცელაძეს, გიმნაზიის მოწაფეს გაბაევს და გაჯიევს, მასწავლებელს გამარევსკის, ყოფილ სტუდენტს კონსტანტინე ბაქრაძეს, კონსტანტინე ჭრელაშვილს, სტუდენტ გრიგოლ გაბაშვილს, სტუდენტ ნიკოლოზ ხუდადოვს, სტუდენტ ალექსანდრე ვერმიშევს, ალექსანდრ-

რე ევანგულოვს, დავით ზედგინიძეს, ნიკოლოზ ბიკოვს და არამ ბრჟავსკის.

ჩხრეკის დროს შტაბს-კაპიტანმა ხრისტოფოროვმა აღმოაჩინა ეგნატე იოსელიანის ქაღალდებში ზოგიერთი ისეთი მასალები, რომლებიც ამტკიცებდა საქართველოში არსებულ ორგანიზაციის კავშირს ელადიკავკავის რევოლიუციონურ ორგანიზაციასთან, ამიტომ მან ამავე წლის 30 ოქტომბერს მიიღო სათანადო განკარგულება, გაემგზავრა ელადიკავკავში და გაჩხრეკის შემდეგ იქ დააპატიმრა შემდეგი პირნი: არდასიანოვი, სიხიევი, ფილიპოვი, პისარევი, პროხოროვი, პოპოვი და ორგანიზაციის სხვა წევრნი.

ტფილისის სასულიერო სემინარია 1886 და 1893 წლებში.

თფილისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის მიერ პოლიციის დეპარტამენტში გაგზავნილ მოხსენებაში (1886 წლის ივნისის 6-ს თარიღით № 468) გარდა იმისა, რაც ჩვენ მოყვანილი გვქონდა ი. ლალიაშვილის შესახებ საბრალმდებლო ოქმიდან „რევ. მატ.“ № 4—5 (9—10), ყურადღების ღირსია შემდეგი:



იოსებ ლალიაშვილი

ტფილისის სასულიერო სემინარიის რეჭტორის ჩუდეცკის მკვლელი.

სურათი ნაპოვნია ტფ. საგუბ. ჟანდარმთა სამმართველოს არქივში. მეორე გვერდზე სურათს ასეთი წარწერა აქვს: № дела Іосиф Лагиев. 2323

„სემინარიის ადმინისტრაცია ასახელებს პროპაგანდისტებათ, რომელნიც ეწევიან აგიტაციას სემინარიელებს შორის, ვინმე ჭიჭინაძეს, სასწავლებლის ინსპექტორს აგზნესს და ვიღაც თავადს მელიქიშვილს. სემინარიის ყოფილ მოწაფეთა შორის, სემინარიაში მაგნებელ იდეების გამავრცელებლათ სთვლის: ბართლომე მოსეშვილს, თომა ბერიძეს, თედორე სახოკიას, კონსტანტინე კუხიანიძეს, ზოტიკე ჩიქვილაძეს, ივანე ბარნაბიშვილის, ნესტორ სიდამონისძე და ზაქარია უზნაძეს.

„სემინარიის ინსპექტორის აზრით სემინარიიდან დაუყონებლივ უნდა დათხოვნილ იქნას ყოვლის უწინარეს ცხაკაია მიხეილი—VI კლასის მოწაფე, ნიკოლოზ ხახუტოვი IV კლასისა, როსტომ ჩიქვაიძე, იოსებ ფხოველიშვილი, ნიკოლოზ მუჯღლოვი (ყველანი II კლასისა და აგრეთვე სემინარიაში წესიერების აღდგენის მიზნით უნდა მოშორებულ იქნეს ტფილისის სემინარიას IV კლასის მოწაფე სპირიდონ ვორსალაძე, III კლასისა—იველიანე შათირიშვილი, II კლასისა—ხარიტონ ჯასრაძე, ნიკოლოზ ღოლაძე, გრიგოლ ოქროპირიძე და კონსტანტინე ტყავაძე.

„ვინაიდან კავკასიის მთავარმართებელს, საქართველოს ეგზარხოსს და თვით სემინარიის ინსპექტორს მიაჩნდათ საეჭვოთ სემინარიის ყოფილ მოწაფეთა შორის დაარსება ჭალაქ თფილისში მთავრობის საიდუმლო საწინააღმდეგო საზოგადოებისა, რომლის შესახებ რწმუნებულ ჩემდამი სამმართველოს არავითარი ცნობა არა ქონდა, მე გავეცი განკარგულება გაეჩხრიკათ ორი საეჭვო ბინა. გაჩხრეკილ იქნა სემინარიის ყოფილი მოწაფენი: ივანე ბარნაბიშვილი, ზოტიკე ჩიქვილაძე, ზაქარია უზნაძე, კონსტანტინე კუხიანიძე და სემინარიის მოწაფენი იასონ ჩხიკვაძე, არქიპო ჩხიკვაძე, იოსებ ჭირაქაძე და თომა გიორგობიანი და საქმის გამორკვევამდე, ვიხელმძღვანელე რა 29 მუხ. დებულებით წესიერების და საზოგადოებრივ მყუდროების დაცვის შესახებ, დავატუსაღე იგინი. ჩხრეკის დროს აღინიშნულ პირებს რაიმე საეჭვო, პოლიტიკურ არაკეთილსაიმედოებაზს დამამტკიცებელი რამ ვერ უპოვეს და აგრეთვე გამოძიებამაც ვერ მოგვცა მასალა, დამამტკიცებელი მათი არაკეთილსაიმედობისა.

„ამასთანავე პატივი მაქვს მოგახსენოთ, რომ რექტორ ჩუდეცკის მკლელობის გამო მოხდენილ წინასწარ გამოძიების დროს სემინარიის ინსპექტორმა სტეფანოვმა წარუდგინა გამომძიებელს ხელთნაწერი რვეული (დღიური), რომელიც ჩამოართვეს ლაღიაშვილს 1886 წლის დეკემბერში. ამ დღიურის ნაწილი შიფრითაა დაწერილი. რვეული გამომძიებლის მიერ ჩემდამი რწმუნებულ სამმართველოში გადმოცემის შემდეგ გავშიფრეთ და შიფრით დაწერილი ადგილები წავიკითხეთ. აღმოჩნდა, რომ რვეულს ავტორს ცალკე ეპიზოდები სემინარიის ცხოვრებიდან და მოწაფეების შეტაკებანი სემინა-

რიის მთავრობასთან ჩაუწერია რვეულში. შიფრით დაწერილი ადგილები ნაწილობრივ შეეხება იმავე შეტაკებებს და ზოგიერთი ადგილებიდან კი ირკვევა, რომ არსებობს რაღაც წრე განსაზღვრული მიზნით: შიფრით დაწერილი ტექსტის მინაწერს, რომელიც უფრო საყურადღებოა, ამასთანავე გირდგენთ, რათა იქონიოთ მასზედ ნათელი წარმოდგენა. ამასთანავე მოვალეთ ვრაცხ ჩემს თავს განვმარტო, რომ შიფრის გასაღები არის ქართულ ასოებს ქვეშ მიწერილი ციფრი 1-დან 9 მდე, აგრეთვე 20, 30—100-მდე, შემდეგ 200, 300, 400—1000-მდე და დასასრულ, 2000, 3000 და სხ. ასოების რიცხვის მიხედვით ბოლომდე.

„ვინაიდან ლაღიაშვილის დღიური გადმომცეს მე არა ოფიციალურად, ამიტომ იგი დავუბრუნე ისევ გამომძიებელს კუთვნილებისამებრ, ამასთან შიფრით ნაწერი რვეულის ნაწილს ყურადღება მიაქცია სამოსამართლო პალატის ბრალმდებელმა.

„ზემო აღნიშნული პატივი მაქვს მოვახსენო თქვენ აღმატებულებას დამატებათ ჩემი მოხსენებისა ა./წ. მაისიდან“.

ლაღიაშვილის ხანჯალმა შიშის ზარი დასცა სასულიერო და საერო მთავრობას.

სინოდიდან გამოგზავნილმა რევიზორმაც არ დააყოვნა. რევიზიას შედეგათ მოყვა პოლიციის დეპარტამენტისადმი მოხსენებაში აღნიშნული მოწაფეების სემინარიიდან გამორიცხვა და 40-მდე მოწაფის დაქსაქსვა რუსეთის სხვადასხვა სემინარიებში.

რამდენიმე წლის შემდეგ,—1893 წელს, ტფილისის სასულიერო სემინარიაში განმეორდა 1886 წლის ამბავი.

უნდა აღინიშნოს, რომ 1893 წლის მოწაფეთა გამოსვლას ჰქონდა უაღრესად ორგანიზაციული ხასიათი—ამას აშკარად ადასტურებს მოწაფეთა მიერ წარდგენილი მოთხოვნილებები. ამ მხრით ყურადღების ღირსია ტფილისის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის მოხსენება პოლიციის დეპარტამენტისადმი 1893 წლის დეკემბრის 6-ს თარიღით (№ 1236) წარდგენილი[1]).

დაახლოვებით ამავე შინაარსის მოხსენება აქვს წარდგენილი ტფილისის პოლიცმეისტერს ტფილისის გუბერნატორისადმი 1893 წლის დეკემბრის 11-ს თარიღით (№ 1505).

---

[1]) იხ. ცენტრალ. არქივის საქმე № 102—გვ. 6.

ამ მოხსენებაში ყურადღების ღირსია ის, თუ როგორ ებრძოდა მთავრობა სემინარიაში მომხდარ მოწაფეთა გაფიცვას. ამაზე მოხსენებიდან, პოლიციის აზრით, აშკარად სჩანს ის სათავე, საიდანაც ეს გაფიცვა საზრდოობდა.

თავის მოხსენებას ტფ. პოლიციმეისტერი ასე იწყებს:

„ამასთანავე დართულ კოლექტიურ თხოვნის ასლიდან, რომელიც თფილისის სასულიერო სემინარიის მოწაფეებმა წარუდგინეს მის აღმოსავლელოსობას, საქართველოს ეგზარხოსს, სჩანს ის მიზეზები, რომელმაც, მოწაფეების აზრით, გამოიწვია ასეთი ამბები სემინარიაში და დაედგა საფუძვლათ იმ მოთხოვნილებათა, რომელიც წარედგინა მოწაფეთაგან სემინარიის ადმინისტრარიას.

„საქართველოს ეგზარხოსის ახსნა-განმარტებამ, რომელსაც მოანდომა მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ მთელი დღე, ვერ დაარწმუნა მოწაფენი და მათ ხელი აიღეს სწავლაზე. როგორც სჩანს ჩემ მიერ სრულიად საიდუმლოთ შეკრებილ ცნობებიდან, ამ დროს ზოგიერთ მოწაფეთ ეჭირათ თავი სრულიად შეუფერებლათ და მის ყოვლად უსამღვდელოესობის წინაშე ბედავდენ გამოთქმას ისეთი მოსაზრებისას, რომელნიც არ ეგუებიან მთავრობის მიზნებს და საქართველოს გამოცალკევების იდეის მომხრეობაში ამხილებს მათ.

„სემინარიის ერთმა მოწაფეთაგანმა, ვინმე აბესაძე აქვსენტიმ მოახსენა არქიელს დაახლოებით შემდეგი: თქვენმა ყოვლად უსამღვდელოესობამ გვისაყვედურა ის, რომ ჩვენ ვღელავთ და ვარღვევთ წესიერებას, მაგრამ როგორ შეგვიძლია არ ავღელდეთ, როდესაც ჩვენი ერი იღუპება, მას ენას სჭრიან, თავის ენაზე ლაპარაკის უფლებას არ მაძლევენ და სხვა.

„მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ იმავე დღეს მიმართა უწმინდეს სინოდს განმარტებისათვის. მიუბედავათ ამისა მის მეუფებას კიდევ იმედი ჰქონდა მოწაფეების გონიერებისა და მათგან მეორე დღეს ისევ სწავლის განახლებისა.

„ასეთ იმედებს საფუძველიც ქონდა.

„იმავე დღეს საღამოს სემინარიის ზოგიერთმა მოწაფემ, განსაკუთებით რუსებმა, განაცხადეს, რომ ისინი სრულიადაც არ ინანწილებენ იმ ამბანაგების შეხედულებას, რომელთაც აიძულეს დანარჩენი ხელი მოეწერათ აღნიშნულ თხოვნაზე, რომლის დროსაც ადგილი ჰქონდა მუშტ-კრივს იმ მოწაფეებთან, რომელთაც არ სურდათ თხოვნაზე ხელი მოეწერათ და სოლიდარობა გამოეცხადებიათ მათთვის. ღამით, 2 დეკემბერს, სემინარიის რექტორმა, არქიმანდრიტმა სერაფიმემ პირადათ გადმომცა სემინარიაში მომხდარ ამბების შესახებ და მოხოვა ზომების მიღება იმ შემთხვევისათვის, უკეთუ რაიმე ძალდატანებას ადგილი ექნებოდა. ამასთან ისიც დასძინა, რომ ვიდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რე სინოდიდან არ მიიღებს საჭირო განმარტებას, საქართველოს ეგ-ზარხოსს არ სურს ამ ამბის გახმაურება.

„თუმცა მე არ მჭონდა დაწვრილებითი ცნობა სემინარიაში მომხდარ ამბების მიღრეკილება-ხასიათის შესახებ, მაგრამ ვიცოდი ის, რომ თითქმის მესამედი სემინარიელებისა კერძო ბანებზე ცხოვრობდენ, მაგრ და არა კეთილ საიმედო პირებს ეძლეოდათ შემთხვევა გამოეყენებიათ ისინი იარაღათ, მოეხდინათ მათზე გავლენა და გამოეწვიათ ქუჩებში უწესოება და საქმის გართულება. ამიტომ გავეცი ფიცხლი განკარგულება იმ პოლიციელთა რაზმის გაძლიერებისა, რომელიც ჩემ მიერ შეგროვილი იყო დღიდან სემინარიაში მღელვარების დაწყებისა და აგრეთვე ებრძანა ცეცხლის მჭრობელ რაზმს სრულიად მზათ ყოფილიყო საჭიროების დროს.

„სამს დეკემბერსაც არ შეეიდენ მოწაფეები გაკვეთილებზე. ოთხ დეკემბერს შეგროვილმა მოწაფეებმა რა დაინახეს სემინარიის მთავრობის მიერ გამოკრული განცხადება, რომლიდანაც გაიგეს დროებით სწავლის შეჩერების შესახებ და ის, რომ მათ ეგალებათ საგზაო ბილეთების მიღება და დაუყოვნებლივ თავიანთ სახლებში დაბრუნება, ჩამოგლეჯეს ეს განცხადება, დახიეს იგი და განაცხადეს, რომ მათ არ სურთ სემინარიიდან წასვლა.

„გავიგე-რა ახალგაზრდობის ასეთი გადაწყვეტილება, იმ წამსვე გავაძლიერე სემინარიაში ჩაყენებულ პალიციელთა რიცხვი და აგრეთვე სემინარიის გარშემო—ლორის-მელიქოვის ქუჩაზე, პუშკინის ბაღში ჩასაფრებულ იქმნა ჩემ მიერ გაძლიერებული რაზმი პოლიციელთა. სემინარიის ახლოს რაზმების გამოჩენამ და გარედან მოსიარულე სემინარიელების მოტანილმა იმ ამბავმა, რომ პოლიციის სამმართველოში თავმოყრილია ქალაქის ყველა პოლიციელნი, გამოაფხიზლა მოწაფენი და დილის 9 საათიდან მრავალი მათგანი გამოცხადდენ ინსპექტორთან საჭირო ბილეთების მისაღებათ. ბილეთებისათვის საღამოსაც გამოცხადდა 100 კაცამდე. 5 დეკემბერს სემინარიის ინსპექცია მთელი დღე არიგებდა ბილეთებს და სამგზავრო ფულს. მასთან, სემინარიის ადმინისტრაციამ ამცნო მოწაფეებს უმაღლესი მთავრობის განკარგულება, რომ ყველანი უნდა წასულიყვნენ სემინარიიდან 7 დეკემბრამდე. ბილეთების და სამგზავრო ფულის დარიგების დროს, რექტორის თხოვნის თანახმად, სემინარიის კანცელარიაში ესწრებოდა უბნის ბოქაული დი მისი თანაშემწე.

„რექტორის თხოვნის თანახმად პოლიცია თვალყურს ადევნებდა, რომ მოწაფეები სამგზავრო ბილეთების მიღების შემდეგ გასულიყვნენ თფილისიდან და ქალაქში არ დარჩენილიყვნენ. მეტი ყურადღება ექცეოდა მეთაურებს და წენიწნულ მოწაფეთ. 6 დეკემბერს თფილისში იყვნენ ძხოლოდ ის მოწაფენი, რომელთაც ამის ნება ჰქონდა

სემინარიის მთავრობისაგან და ისინი, რომელთა მშობლები თფილისში ცხოვრობდენ. ორმა, მეხუთე კლასის მოწაფემ—ტარასი ტრაპაიძემ და გიორგი ჩიმაკაძემ, რომლებიც კერძო ბინაზე სცხოვრობდენ, არ ისურვეს მთავრობის განკარგულების შესრულება და სამშობლოში წასულა; ვინაიდან იგინი ირიცხებოდენ არა სამედოთა რიცხვში, ამიტომ მისი ბრწყინვალების, ბ. მთავარმართებლის თანაშემწის ბრძანების თანახმად 7 დეკემბერს შეპყრობილ იქნენ და 8 დეკემბერს გადაგზავნილი ორი პოლიციელის თანხლებით ქუთაისის სამხედრო გუბენატორის განკარგულებაში გადასაგზავნათ თავიანთ სოფლებში მშობლებთან საცხოვრებლათ. ამ ნაირათ 7 დეკემბერს სემინაიის შენობაში მოწაფეთა საცხოვრებელი ყველა ბინები განთავისუფლებული და დაეტეტი იქნა. აგრეთვე დაეტეტა ალაყაფის კარები და შემოსავალ კარებში მდგომ „შვეიცარს“ ებრძანა არ შემოეშვა არავინ უცნობთაგანი, ხოლო ნაცნობი გაეშვა სემინარიაში მხოლოდ რექტორთან, ან ისპექტორთან მოსვენების შემდეგ.

„წესიერების დასაცავად და შეშინებული რექტორის, ინსპექტორის და მასწავლებელთა დასამშვიდებლათ სემინარიის გასწვრივ დროებით დაეტოვე პოლიციელთა საჭირო რაოდენობა.

„სემინარიაში დროებით მეცადინეობის შეჩერებამ და მოწაფეთა დათხოვნამ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა თფილისის ქართველ საზოგადოებაზე. ზოგიერთ ინტელიგენტებსაც კი, რომელნიც ხელმძღვანელობენ რა რაღაც თავისებური შეხედულებით და მოსაზრებით ძიაჩნიათ სემინარიის კარების დახურვა იმ მოწაფეთათვის, რომელნიც იცავდენ თავის ეროვნულ ინტერესებს, უსამართლოთ.

„საიდუმლოთ შეგროვილ ცნობებიდან ირკვევა აგრეთვე, რომ სემინარიის მოწაფეები წინააღმდეგობის გამოცხადების წინ იკრიბებოდენ კერძო ბინებზე ღელე ვერას გალმა. ამ კრებებზე ესწრებოდენ და აგიტაციას უწევდენ მათ სემინარიის ყოფილი მოწაფენი ვინმე მიხეილ ცხაკაია, ქუთაისის გუბერნის, სენაკის მაზრის, ს. ხუნწის მღვდლის შვილი და პრიჩედნიკის შვილი ელადიმერ ქარსელაძე, ლეჩხუმის მაზრიდან. აღნიშნული პირები თვით სემინარიაში მოწაფეთა სადგომ ბინებზედაც დადიოდენ.

ცხაკაიას სასარგებლოთ სემინარიის მოწაფეებმა თავიანთ შორის შეაგროვეს 4 დეკემბერს ფული და გაისტუმრეს იგი თფილისიდან 5 დეკემბერს. თფილისში დარჩენილი ქარსელაძე გუშინ მე გავგზავნე ქუთაისში, ლეჩხუმის მაზრის უფროსისთვის გადასაცემათ და სამხედრო ბეგრის მოსახდელათ, ვინაიდან იგი გამოვიდა სემინარიიდან ა./წ. მაისში და მოვალე იყო გამოცხადებულიყო სამხედრო ბეგრის მოსახდელათ იქ, სადაც მიწერილია, ის კი არ გამოცხადდა. როგორც ცხაკაია, ისე ქარსელაძე, უფრო კი პირველი, ცნობილია,

როგორც უზრდელი და შეუპოვარი პიროვნებანი სარწმუნოების საწინააღმდეგო მომართულებით და სოციალისტური შეხედულებით.

„სემინარიელების საწინააღმდეგო გამოსვლებში მონაწილეობას აბრალებდენ აგრეთვე ვარშავის საბეითლო სასწავლებლის ყოფილ მოწაფეს ვინმე ფურცელაძეს, რომელმაც 4 წლის წინად გაათავა თფილისის სასულიერო სემინარია. ამ საქმეში მონაწილეობა სხვა რამდენიმე პირებსაც ბრალდებოდა, მაგრამ დამამტკიცებელი საბუთები მათ მიერ ახალგაზდობის აღელვებისა არ აღმოჩნდა. ყოველ შემთხვევაში, ამ მღელვარებაში და იმ თხოვნის შინაარსის დასაბუთებაში, რომელიც შედგენილია საქართველოს ეგზარხოსის სახელზე, გარეშე პირთა მონაწილეობა ეჭვს გარეშეა. უკანასკნელი მოსაზრება მტკიცდება თვით მღელვარების ხასიათით და იმ თავდაჭერილობით, რომელსაც იჩენდა სემინარიელების უმეტესობა ეგზარხოსის რჩევა-დარიგების შემდეგ. მე მაქვს საიდუმლო ცნობები იმის შესახებ, რომ სემინარიის მოწაფეები, რომელნიც სათავეში უდგენ ამ მღელვარებას, შინ წასელის წინ აფიცებდენ ამხანაგებს, რომ თფილისში დაბრუნებით და სწავლის განახლების შემდეგ, უკეთუ რომელიმე ჩვენთაგანს დაითხოვენ, ყველა „იგინი ხელს აიღებენ სწავლაზე და მოითხოვენ წარდგენილ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების“ [1].

ასეთი იყო საქმის ვითარება ტფილისის პოლიცმეისტერის მოხსენების თანახმად. ტფილისის ჟანდარმთა სამმართველო აგზავნის რა პოლიციის დეპარტამენტში სემინარიის მოწაფეთა მოთხოვნილების შესახებ მოხსენებას, დასძენს:

„ამასთანავე დართულ სემნაარიის მოწაფეთა თხოვნიდან პოლიციის დეპარტამენტი დაინახავს, რომ მოწაფეთა უკმაყოფილება გამოიხატება ორ მუხლში: ა) მათ არ სურთ ყავდეთ რექტორი და მასწავლებელ-აღმზრდელნი რუსი ეროვნებისა და ბ) მოითხოვენ სემინარიაში ქართული ენის გაბატონებას ან რუსულ ენასთან გათანასწორებას მაინც.“

ამავე საქმეში შემდეგი დოკუმენტებია:

1. ტფილისის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის საიდუმლო მოხსენება პოლიციის დეპარტამენტისადმი 1894 წ. მარტის 7-ს თარიღით (№ 224) ქართველების სეპარატიული მოძრაობის შესახებ.

„თქვენ მოწერილობაზე ა/წ. 5 იანვრიდან № 64, პატივი მაქვს მოვახსენო პოლიციის დეპარტამენტს, რომ მე არ მაქვს ფაქტები

[1] იხ. საქმე ტფ. საგ. ჟანდარმთა სამმართველოსი სასულიერო სემინარიაში მომზდარ უწესოების შესახებ (ალწერილობა № 7)—დაიწყო 1893 წ. იანვრის 4-ს, დამთავრდა 1894 წ. მაისის 21-ს. სულ 36 გვერდია.

და საბუთები ქართველი ერის სეპარაციისადმი მიდრეკილებაში გასამტყუნებლათ, მაგრამ რომ ეჭვს გარეშეა ასეთი მიდრეკილება, ამის მიმტკიცებას მე ის ხმები, რომელიც ნდობის და დაჯერების ღირსია. მაგალითად, ქართველები (რასაკვირველია მაღალი და საშუალო კლასები) ამბობენ: „საქართველო ქართველებისათვის". აქედან, აშკარაა, ის დასკვნა გამოდის, რომ საქართველოში მართვა-გამგეობა უნდა იყოს განსაკუთრებით ქართველების ხელში და მათ ქვეყანაში რუსის ეროვნებისა შეიძლება იყოს მხოლოდ ჯარი".

„ქართველებმა ხელ-ახლა წამოაყენეს მივიწყებული საკითხი ქართველი პოეტის ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენების შესახებ განჯიდან ტფილისში, რომელიც გარდაიცვალა ამა საუკუნის დასაწყისში და დასაფლავებული იყო განჯაში. განსაკუთრებული მიზნით მოთხარეს მიწიდან რაღაც ძვლები და ეროვნული პოეტის ნეშთის სახით, გადმოასვენეს ტფილისში, სადაც ამ ნეშტს მიეგება მრავალ ათასიანი საზოგადოება და დიდის პატივით და მოწიწებით მიაბარეს მიწას. კუბო ხელიდან ხელში გადადიოდა და არამც თუ ყველა წოდების პირები ეცილებოდენ ერთმანეთს მის წაღებაში, არამედ ქალებიც კი ცდილობდენ როგორმე რამდენიმე ნაბიჯზე კუბოს ტარებაში მონაწილეობა მიეღოთ. დედებს მოეყვანათ თავისი პატარა შვილები, აჩოქებდენ კუბოს წინ და თაყვანს სცემდენ კუბოს, როგორც წმიდანის ნეშტს."

„გასული წლის დეკემბერში გარდაიცვალა ტფილისის საავადმყოფოში ქართველი ბელეტრისტი ალექსანდრე ყაზბეგი. ეს მწერალი დიდი ხანი იყო სულით ავადმყოფი და იტანჯებოდა. სიცოცხლეში მაზე არავინ სრულიად არ ზრუნავდა და არც ფიქრობდა. მაგრამ მოკვდა თუ არა, ქართველებმა ასტეხეს ერთი განგაში. მისმა სიკვდილმა მისცა საშუალება ქართველებს ემცნოთ თუ მთელი ქვეყნისათვის ვერა, კავკასიისათვის მაინც, რომ ისინიც არსებობენ (როგორც ეს ჩაიდინეს სომხებმა არწრუნის გასვენებაზე). მიცვალებულის გვამის დაკრძალვა ერთ კვირით შეაჩერეს და ყოველ დღე რამდენიმეჯერ იხდიდენ პანაშვიდებს, რომლებსაც დიდ-ძალი საზოგადოება ესწრებოდა (განცხადებანი ამის შესახებ ყოველ დღე იბეჭდებოდა ყველა ადგილობრივ გაზეთებში). როგორც ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენება, აგრეთვე ყაზბეგის გვამის დიდი პატივით დასაფლავება, უნდა ვიგულისხმოთ, მოხდა სომხების ზეგავლენით, რომელთაც იმედი ჰქონდათ, რომ ეს ამბები გამოიწვევდა პოლიციასთან შეტაკებას, რომლის დროსაც უეჭველათ ექნებოდა ადგილი დიდ სისხლის ღვრის, თუ სახეში მივიღებთ ქართველების თავმოყვარეობას და სიფიცხეს.

„ასეთი შეხედულების არიან ჭ. ტფილისში მცხოვრები თითქმის ყველა რუსები. მართლაც, სომხები რომ ცდილობენ დაუახლოვდენ ქართველობას, ამას ადვილათ შეამჩნევს კაცი კლუბებში, თეატრებში და სხვა ადგილებში, სადაც საზოგადოება თავს იყრის. „როდესაც მე ვამბობ, რომ ქართველება მოქმედობენ სომხების ზედ გავლენით, ეს არის მხოლოდ ჩემი პირადი შეხედულება, დაფუძნებული ტფილისში მცხოვრებ ყველა რუსების მოსაზრებაზე.

„მე მივიღე აგრეთვე ცნობები (კერძო პირთაგან) იმის შესახებ, რომ სემინარიის ამბოხებაში არა მცირედი ღვაწლი მიუძღვით აგრეთვე სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებელთ, რომელი სკოლაც არსებობს მხოლოდ ქართველებისთვის. ამ ხელათ შეუძლებელია ამ ცნობის სისწორით გამოკვლევა“ [1].

2 მოხსენება 1894 წ. მაისის 1-ს თარიღით (№ 565). „7 მარტიდან ა/წ. (№ 224) მე მჭონდა მოხსენებული, რომ სემინარიის ამბოხებაში არა მცირედი წილი უძევს ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის მასწავლებელთ (არსებობს განსაკუთრებით ქართველებისათვის). აგენტების საშუალებით ახლად შეგროვილი ცნობები, რომელნიც ღირსია ნდობისა, ადასტურებენ, რომ დასახელებული სკოლის მასწავლებელთა გავლენა არ განისაზღვრება ერთი სემინარიით, არამედ ეს ხელმძღვანელნი ღებულობენ მონაწილეობას უფრო ფართო ეროვნულ მოძრაობაში ქართველთა შორის. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ იმ მიმართულების მთავარი ხელმძღვანელი, რომლის მიზანიცაა ეროვნული მოძრაობის გაღვივება, არის თავადი ილია ჭავჭავაძე, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის თავმჯდომარე (ამ ბანკის საშუალებით ინახება აღნიშნულ თავად-აზნაურობის სკოლა და აგრეთვე იგია რედაქტორი ქართული გაზეთის „ივერიისა“.

„თავადი ილია ჭავჭავაძე არის თვალსაჩინო პკუის და მდგომარეობის პატრონი. დიდი ავტორიტეტის მქონე ქართველებში საეროთდ და თავისუფლად მოაზროვნეთა შორის განსაკუთრებით. დადის ხმები, რომ მასთან დრო და დრო იმართება საიდუმლო კრებები, სადაც არკვევენ სხვადასხვა საზოგადო ხასიათის და სოციალურ [1] კითხვებს.

„შეჰქვეია, არსებობს სხვა, მეორე ხარისხოვანი პიროვნებანიც, რომელნიც მეცადინეობენ ააღელვონ ახალგაზრდობა და შეათვისები-

[1] იგივე საქმე, ვვ. 19.

[1] რა თქმა უნდა, ჟანდარმერიას სრულიად უსაფუძვლოდ შეაქვს ეჭვი ილია ჭავჭავაძის არა კეთილსაიმედობაში, მის სოციალისტობაში.

ნონ აზრი სეპარაციაზე: მათი აღმოჩენა ჩემთვის ჯერ-ჯერობით შეუძლებელია. ამასთან, ეჭვს გარეშეა, რომ საქართველოს განმანათლებლებთან აქვსთ კავშირი სომხის ორგანიზაციებს.

„დასასრულ, თანახმად პოლიციის დეპარტამენტის წინადადებისა 19 მარტიდან ა/წ. (№ 1826) პატივი მაქვს მოგახსენოთ: ტფილისის სემინარიის დაკეტვამ მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ქართველებზე და უკმაყოფილება გამოიწვია მათ შორის რუსების წინააღმდეგ საერთოდ და საქართველოს ეგზარხოსის წინააღმდეგ კერძოდ".

„უწმინდესი სინოდიო უწმის ძალით, 31 იანვრიდგან ა/წ. № 457, გასული წლის დეკემბერში მომხდარ უწესოებისათვის, ტფილისის სემინარიიდან გამორიცხულ იქნა, სხვა სემინარიებში სწავლის გაგრძელების უფლების ახდით, სულ 87 მოწაფე, რომელთაც აკრძალული აქვთ ტფილისში ცხოვრება. უკანასკნელი ზომის სავსებით გატარება არ მოხერხდა, ვინაიდან ზოგიერთი მოწაფეების მშობლები და ნათესავები ცხოვრობენ ტფილისში.

„ა/წ. მარტში ჩამოვიდა ცფილისში, სემინარიაში მომხდარ უწესოების მიზეზთა გამოსაკვლევად, ობერ-პროკურორის ამხანაგი სახლერი, რომელმაც, რამდენათაც ვიცი, საქართველოს ეგზარხოსთან შეთანხმებით გამოიმუშავა სხვათა შორის შემდეგი:

1) ა/წ. საქტემბრიდან დაწყებულ იქნეს სწავლა ტფილისის სასულიერო სემინარიაში და მოწაფეთა რიცხვი შემოკლებულ იქნეს, 2) გახსნილ იქნას წელსავე, ან მომავალში მეორე სემინარია ქ. ქუთაისში და 3) ვინაიდან სემინარიის შენობა არის ქალაქის შუა ადგილას ქარავასლის და ქალაქის ბაღის ახლოს, სადაც მრავალი სამიკტნოებია და დიდი მოძრაობაა, აღძრულ იქნას შუამდგომლობა, რათა შეძენილ იქნეს შესაფერი ბინა, ან იქნას აშენებული ახალი შენობა ქალაქ გარეთ იმ ანგარიშით, რომ სემინარიასთან აშენებულ იქნეს სახლი, სადაც სავალდებულო იქნება სემინარიის ყველა მოწაფეთათვის იქ ცხოვრება".

სხვათა შორის, ამ „საქმეში" არის სია იმ მოწაფეთა, რომელნიც დათხოვნილ იქნენ 1894 წლის 31 იანვრის სინოდის უკაზის ძალით სემინარიაში მომხდარ 1—5 დეკემბერს 1893 წ. მღელვარებაში მონაწილეობის მიღებისათვის:

აი ეს სიაც:

გლეხნი: 1. სოლომონ ჩაჩანიძე, 2. დომენტი ჩხაიძე, 3. ალექსანდრე არაბიაშვილი, 4. ისიდორე კოსტავა, 5. ალექსანდრე სოლოღაშვილი, 6. ლუკა ხუნდაძე. **უფბანელი ყაზახი**: 7. თედორე ავგარენო. **არჩენდნიკის შვილნი**: 8. ვლადიმერ მგელაძე, 9. სიმონ აფხაიძე, 10. ბახლოშე მუსერიძე. 11. გიორგი ჩიმაკაძე, 12. გიორგი შო-

შიაშვილი, 13. სიმონ ჩიქვილაძე, 14. გიორგი გელეიშვილი, 15. სიმონ ღვთისავარიშვილი, 16. მიხეილ ფანცულაია, 17. პანტელეიმონ ფანჩულიძე, 18. კონსტანტინე ხუცაიძე, 19. ექვთიმე ფხაკაძე, 20. ბიქტორ ენუქიძე, 21. იორონიმე არსენიშვილი, 22. იონა ჩომახიძე, 23. ვასილ ჭრელაშვილი, 24. კირილე ორაგველიძე, 25. ირადიონ ფანჯავიძე, 26. მიხაილ ბერული, 27. თეოფანე მშველიძე, **მთავარ დიაკვნის შვილნი**: 29. პორფილე ფანჯავიძე, 30. იასონ კაპანაძე, 31. ალექსანდრე დოლიძე, 32. თომა მჭედლიშვილი: **მღვდლის შვილნი**: 33. ილარიონ აგლაძე, 34. ივანე ახალშენიშვილი, 35. სპირიდონ გოგსაძე, 36. დომენტი ლოსაბერიძე, 37. კაპიტონ ტრაპაიძე. 38. ვლადიმერ ცაგარელი, 39. იაკობ ცინცაძე, 40. ვასილ ალშიბაია, 41. არტემ ბოჭორიშვილი, 42. პეტრე დავითაშვილი, 43. პროკოპი ჯუღელი. 44. მელიტონ ყანჩაველი, 45. სიმონ ქელბაქიანი, 46. ვლადიმერ ლაშხაური, 47. ვლადიმერ მესხი, 48. კარპე მოდებაძე, 49. ალექსანდრე მუსერიძე, 50. ტარასი ტრაპაიძე, 51. გიორგი ხუციევი, 52. პეტრე ჯალაღანიძე, 53. ვასილ ჩიკვაიძე, 54. აქვსენტი აბესაძე, 55, ერემია გაფრინდაშვილი, 56. სამსონ კილაძე, 57. იოსებ ყანჩაველი, 58. ბენედიკტე ლეკავა, 59. ნიკოლოზ სულხანიშვილი, 60 ელეფთერ აბესაძე. 61. გიორგი შაშინაშვილი, 62. ივანე მარგიანი, 63. სიმონ ჭელიძე, 64. გალაკტიონ თუთბერიძე, 65. სევერიანე ჯუღელი, 66. კონსტანტინე მაჭავარიანი, 67. ივანე კალატოზიშვილი, 67. ბიქტორ ბარათაშვილი, 69. ალექსი გოგობია, 70. ივანე მაღალაშვილი, 71. იასონ მეგრელიძე, 72. გიორგი ფანცულაია 73. პარმენ რურუა, 74. ნიკოლოზ თვალიაშვილი, 75. აკაკი ჩხენკელი, 76. მოსე ოქროპირიძე, 77. მიხეილ ალექსანდროვი, 78. ილარიონ დოლიძე, 79. ანდრია ნადირაძე, 90. დავით ასმეტელოვი, 81. პარმენ ყიფშიძე, 82. ნიკოლოზ მრევლიშვილი, 83. ნოე მხეიძე, 84. მიხეილ პასეჩნიკოვი, 85. ვლადიმერ კეცხოველი, 86. გაბრიელ ხუნდაძე, ვაჭრის შვილი: 87. ნიკოლოზ ნადირაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქანდარმერიის თვალ-ყური ომის დროს.

(საქ. რევ. მუზეუმის მასალებიდან)

ტფილისის საგუბერნიო
ჟანდარმთა სამმართველო
20 ივლისი 1916 წ.
№ 2548
ქ. ტფილისი.

სრულიად საიდუმლოთ.

მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის მეფის მოადგილის სამოქალაქო ნაწილის თანაშემწეს კავკასიაში.

რაპორტი.

უმაღლესმა ბრძანებამ პირველი ხარისხის სათადარიგო ჯარისკაცთა გაწვევის შესახებ ქალ. ტფილისის სოც.-დემოკრ. ბოლშევიკებს საბუთი მისცა გამოერკვია ორგანიზაციის დამოკიდებულება ამ გაწვევისადმი და გამოტანილი გადაწყვეტილების მისედვით ასე თუ ისე მოქცეულიყო ხსენებული ბრძანების მიმართ.

ამ მიზნით 9 ამა ივლისს ბოტანიკურ ბაღში შესდგა ორგანიზაციის კრება, რომელსაც დაესწრო 7 წევრი (მონაწილეთა ვინაობა გამორკვეულია). ამ კრებაზე გადაწყდა ბოიკოტი გამოუცხადონ გაწვევას.

მაგრამ შემდეგ გადაწყდა ეს გადაწყვეტილება ხელ-ახლა გადაესინჯათ წევრთა მეტის რიცხვის თანადასწრებით და ამ მიზნით მოეწვიათ ახლო ხანში კრება.

ასეთი კრება შესდგა 17 ივლისს სალამოთი დავითის გორაზე (ფუნიკულერი). კრებას დაესწრო 11 წევრი (ვინაობა გამორკვეულია).

ზემოხსენებული საკითხის გარჩევის დროს გამოირკვა, რომ ადგილობრივად წამოჭრილი საკითხების პრინციპიალური გადაწყვეტა უნდა გამოდიოდეს „ცენტრიდან" (ცენტრად ნაგულისხმევია პეტროგრადი). გადაწყდა დაუყოვნებლივ შეეკითხონ პეტროგრადს, როგორც „ცენტრს" ამ საკითხის შესახებ.

ვინაიდან ამ კრებაზე გამოირკვა, რომ მენშევიკების ტფილისის კომიტეტი (7 კაცი, უმეტესობის ვინაობა გამორკვეულია) სათადარიგო ჯარისკაცების მიერ ბოიკოტის გამოცხადების უარყოფს, გადაწყდა დეტალურად იქნას გამოკვლეული მასსის და მენშევიკების დამოკიდებულება ამ საკითხისადმი. მენშევიკებთან მოსალაპარაკებლათ არჩეულ იქნა კომისია სამი პირისაგან (ყველას ვინაობა გამორკვეულია).

მენშევიკებისაგან პასუხის მიღების შემდეგ მოწვეული იქნება გაფართოვებული სხდომა საკითხის გამოსარკვევად მენშევიკურ საოლქო კომიტეტის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით (შემადგენლობა ვიცით).

როგორც მოხსენებული იყო, პრინციპიალურად იქნება მიღებული ის დამოკიდებულება, რასაც დაწესებს „ცენტრი“.

საერთოდ 17 ივლისის სხდომაზე უმრავლესობამ ბალშევიკების ბოიკოტი უარყო. ამ გადაწყვეტილებას და ავრეთვე ამბაირივე შინაარსის მენშევიკების გადაწყვეტილების საბუთად ის იქნა მოყვანილი, რომ რუსეთში სათადარიგონი გაწვეულნი არიან და იქ ბოიკოტი არ გამოუცხადებიათო.

„ცენტრის“ მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების თანახმად ლოზუნგი ან გამოსვლა გატარებული იქნება ადგილობრივი ბოლშევიკების მიერ იმ ფურცელში ან გამოცემაში, რომლის შინაარსი საერთოდ გამოხატავს ცომერვალდის კონფერენციის გადაწყვეტილებას ე. ი. დამარცხების გადაწყვეტილებას დაუყოვნებლივ ზავის ჩამოგდებით.

მოვახსენებ რა ზემოხსენებულს თქვენს ბრწყინვალებას, მაქვს პატივი დავსძინო, რომ აგენტურული თავალყურის დევნება ბალშევიკებისა და მენშევიკების მიმართ ჩემ მიერ სწარმოებს განუწყვეტლივ და ამ ორგანიზაციათა ლიკვიდაცია მოხდება იმის მიხედვით, თუ რა მასალები იქნება შეგროვილი აგენტების მიერ. ხელს აწერს: პოლკოვნიკი **პახტერიულინი**.

ჭუთაისის საგუბერნიო
ჟანდარმთა სამმართველო
21 ივლისი 1916 წ.
№ 218

ქ. ჭუთაისი. **სრულიად საიდუმლოთ.**
ჩემს თანაშემწეს პათუმის ოლქში.

ჩემ მიერ სარწმუნო წყაროებიდან მიღებული ცნობით ამ დღეებში ტფილისში შესდგა ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიულ მოღვაწეთა თათბირი, რომელშიაც მონაწილეობდენ ნოე რამიშვილი, ნოე ხომერიკი, ნაფიცი ვექილი ნიკოლოზ ელიავა, ნაფიცი ვექილი ივანე კაჩუხავი, ზაქარია გურული, ნიკოლოზ ჭუმბურიძე და სომხურ გაზეთ „ფაიქარი“-დან ორი სომეხი. თათბირზე გაირჩა საკითხი როგორ შეხვდენ I და II ხარისხის სათადარიგო ჯარისკაცების გაწვევას; მხოლოდ ნოე რამიშვილმა გაილაშქრა ყოველგვარი გამოსვლის წინა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმდეგ. ის მომხრე იყო, რომ ისევე წასულიყვნენ სამხედრო სამსახურში, როგორც ამ დრომდე მიდიოდენ. დანარჩენები მოითხოვდენ გაეჩაღებიათ ფართო აგიტაცია გაწვეულთა შორის „ძირს ომი“-ს ლოზუნგით და თუ შესაძლებლობა იქნებოდა, მოეწყოთ გაწვეულთა დემონსტრაცია. თუ ტეხნიკური პირობები ხელსაყრელი იქნება, გადაწყდა ფურცლების გამოშვება, რის გეგმა მიღებულია პეტროგრადიდან.

აი თეზისები:

ა) ომის იმპერიალისტური ხასიათი.

ბ) ვისთვისაა სასარგებლო ლოზუნგი „ომი ბოლომდე“.

გ) ცისმერვალდის და კიენტალის დადგენილებანი.

დ) რუსეთის მთავრობის პოლიტიკა.

ე) ტრანსპორტის დანგრევა და შიმშილის ბუნტები.

ვ) გერმანიის სოც.-დემ. მოწოდება ჯარისკაცებისადმი—„ძირს ომი“.

ეს თეზისები თითეულ ოლქში შეიძლება შევსებულ იქნას ადგილობრივი ხასიათის მოვლენებით.

თათბირმა გადასწყვიტა ფართოდ ისარგებლოს სხვადასხვა კრებებით თავისი იდეების გასავრცელებლათ.

მცხოვრებთა სულიერი განწყობილება სათადარიგო ჯარისკაცების გაწვევის გამო, აწეულია.

მოგიწერ აგენტურის მუშაობა ამ მოვლენის გაშუქებას მოანდომო და ზემოხსენებული ცნობები პირადათ მოახსენოთ გუბერნატორს და ციხე-სიმაგრის კომენდანტს. ხელს აწერს: პოლკოვნიკი **ტრესკინი**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

III. 1905 წელი ჩვენში.

გურიის, სამეგრელოს და იმერეთის მცხოვრებთ [1]).

(საქართველოს რევოლიუციის მუზეუმის მასალებიდან)

უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გურიაში და მის მოსაზღვრე სამეგრელოსა და იმერეთის ზოგიერთ ნაწილებში მშვიდობიანი ცხოვრება დაარღვია თქვენს შორის შემოჭრილმა არალეგალურმა პროპაგანდამ, რომელიც მიმართულია არსებული წყობილების წინააღმდეგ. თქვენ ნდობით შეხვდით პროპაგანდისტთა დაპირებებს, მიატოვეთ მშვიდობიანი შრომა და ჩაიდინეთ მთელი რიგი აღმაშფოთებელი უკანონობანი. თქვენ არა თუ სრულიად თითონ მიანებეთ თავი მემამულეთაგან იჯარით აღებული მიწების დამუშავებას, როგორც მათ წინად ამუშავებდით, არამედ აუკრძალეთ ასეთი მიწების დამუშავება იმ თქვენს ამხანაგებს, რომელნიც თქვენ ამაში არ დაგეთანხმენ. თქვენ ისინი დააშინეთ დამუშავებულის გაჩხით და სიკვდილითაც კი. მთავრობის მოთხოვნა დამნაშავეთა გაცემისა და კანონიერი წესისადმი დაბრუნების შესახებ უნაყოფო გამოდგა. პირიქით, უგნურთა მიერ ახალი დანაშაულობისადმი წაქეზებულებმა, თქვენ, სისხლით შეიღებეთ ხელები მთელი რიგი მთავრობის, საზოგადო დაწესებულებათა მოსამსახურეების და სასულიერო პირთა მოკვლით; თქვენ არ დაინდეთ საკუთარი ამხანაგებიც კი, რომელნიც რაღაც მიზეზით არ მოგწონდათ; მკვლელობა, განზრახვა მკვლელობისა, ავანაკური თავდასხმა, ცეცხლის გაჩენა, აღმაშფოთებელი პროკლამაციების საშუალებით არეულობის თესვა—ყველაფერი ეს გურიაში და ზოგიერთ მის მოსაზღვრე ადგილებში ჩვეულებრივი მოვლენა შეიქნა.

---

[1]) კავკასიის მთავარმართებლის მოვალეობათა აღმასრულებელის გენ. ლეიტენანტის მალამას ეს მოწოდება უთარიღოა, მაგრამ, როგორც შინაარსიდან სჩანს, ის გამოცემული უნდა იყოს 1905 წლის იანვრის გასულს, როცა კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ რევოლიუციური მოძრაობის ჩასაქრობათ გურიაში გაგზავნა გენ. ალიხანოვი. ამ მოწოდების შემდეგ—თებერვალში, როგორც ვიცით, გურიაში გაიგზავნა სულთან კრიმ-გირეი, და როცა კრიმ-გირეი დადიოდა გურიის სოფლებში, ისმენდა მოთხოვნილებებს, ამ დროს გენ. ალიხანოვის რაზმს დაკავებული ჰქონდა გურიის და მის მოსაზღვრე ტერიტორიაზე მთელი რკინის გზის ხაზი და ჯ. ოზურგეთი.

რ ე დ.

თქვენი საყანე მინდვრები დაუმუშავებელია, თქვენი ოჯახები დამშეული, თქვენი ნივთიერი მდგომარეობა დღითი-დღე უარესდება: აგრევე ნადგურდებიან მემამულეები. ამ ხნობამდე ბედნიერი თქვენი მხარე, რომელიც თავის მოსახლეობას ჰკვებავდა, უახლოვდება ეკონომიურად სრულს განადგურებას.

დიდხანს,—მთელს სამს წელიწადს, კავკასიის უმაღლესი მთავრობა ცდილობდა თქვენს მოკვეთიანებას ჩვეულებრივის ზომებით, იმედოვნებდა, რომ მისი მოწოდება კეთილ გონიერებისადმი თქვენ მიერ შესმენილი იქნებოდა, მაგრამ ამაოდ. ნდობით შეხვედით რა დანაშაულობრივ პროპაგანდას, თქვენ ამით გახდით მტრები სახელმწიფოებრივი წყობილებისა, საზოგადოებრივ მშვიდობიანობისა და გაბედეთ იმისი თქმაც კი, რომ განთავისუფლებულიყავით იმ ფიცისაგან, რომელიც მიღებული გაქვთ როგორც ერთგულ ქვეშევრდომთ და მოითხოვეთ ასეთი ფიცის მიღება არალეგალური ორგანიზაციის სასარგებლოთ. ამ რიგათ გურია თქვენ მიიყვანეთ აშკარა აჯანყებამდე; გურიას კი კვალდაკვალ მიჰყვება სამეგრელო და იმერეთი.

ახლა კი კმარა. აღარ არის მეტი მოთმინება. რათა არ დაიღუპოს მშვიდობიანი და დღემდე მშვიდობიანი მხარე, რათა დახსნილ იქნათ სრული და საბოლოო განადგურებისაგან თქვენ და თქვენი ოჯახობა, რათა აღდგენილ იქნას ცხოვრების ნორმალური მიმდინარეობა, რათა ყოველ მსურველს შესაძლებლობა მიეცეს უშიშრად იმოძრაოს და ასე მოიპოვოს ღუმა პური, მე იძულებული ვხდები მივმართო საგანგებო ზომას, სახელდობრ,—ჩავაბარო ოზურგეთის მაზრა და აგრეთვე მისი მეზობელი ქუთაისისა და სენაკის მაზრების ნაწილები და ბათუმის ოლქის ქინტრიშის ნაწილი, დროებით, ვიდრე ამ ადგილებში სრული სიწყნარე არ ჩამოვარდება, გენერალ-მაიორ ალიხანოვს. გენ. ალიხანოვს ვანიჭებ გუბერნატორის უფლებებს საგანგებო მონდობილებით და ვაძლევ მას საკუთარ განკარგულებაში სამხედრო რაზმს დასახული მიზნის სისრულეში მოსაყვანად და იმ პირთა დასამორჩილებლათ, რომელნიც დაუწესებულ კანონებს არ ემორჩილებიან, აგრეთვე მცხოვრებთა იმ მშვიდობიანი ნაწილის დასაცავად, რომელთაც კრამოლნიკები არ ასვენებენ.

ამასთან ერთად გიცხადებ თქვენ, რომ დღეიდან ის პირნი, ვინც მონაწილეობას მიიღებს აჯანყებაში, მთავრობისათვის შეიარაღებულ წინააღმდეგობის გაწევაში, ჯარზე, პოლიციაზე ან თანამდებობის პირთა თავდასხმაში, შეიარაღებულ თავდასხმაში რკინის გზის მოსამსახურეებზე ან მგზავრებზე, ან ყაჩაღობაში, მკლელობაში, ძარცვაში, საცხოვრებელი ბინებისათვის ცეცხლის გაჩენაში, მიცემული იქნებიან სამხედრო სამართალში სამხედრო დროის წესების მიხედვით გასასამართლებლათ. ამაევე სასამართლოს გადაეცემიან სხვა,

მძიმე დანაშაულის მონაწილენი, ასეთ შემთხვევებში ჩემი სავანგებო განკარგულების თანახმად.

მოგმართავ თქვენ, გურიის, სამეგრელოს და იმერეთის ღირსეულნო და პატივცემულნო მოხუცნო! გონს მოიყვანეთ თქვენი შვილები, შეიბრალეთ როგორც ისინი, ისე მათი უდანაშაულო ოჯახები. გაეცნენ მოახდინეთ მათზე, უამბეთ თქვენი ხანგრძლივი ცხოვრებით მიღებულ ბრძნულ გამოცდილებათა შესახებ, მოაგონეთ თქვენი ცხოვრებიდან მაგალითები, თუ როგორ უნდა დაემორჩილონ კანონიერ ცხოვრებას. ნებას ნუ მისცემთ თქვენს შვილებს, რათა მათი სისხლით მოირწყოს თქვენი მიწა-წყალი. გახსოვდეთ, რომ მთავრობამ დიდხანს ითმინა თქვენი უკანონო მოქმედებანი, მაგრამ ახლა დამშვიდების საქმე მიყვანილი იქნება ბოლომდე, როგორი მსხვერპლიც არ უნდა შეიწიროს ამ საქმემ.

ამასთან ერთად, მე მივანდე გენერალ-მაიორ ალიხანოვს მოისმინოს და მიიღოს ჩემზე გადმოსაცემად ყოველგვარი განცხადებანი და თხოვნები მცხოვრებთაგან მათი საჭიროების შესახებ; ისეთი თხოვნების შესახებ, რომელთა ასრულება შესაძლებელი იქნება, მე სიამოვნებით ვიშუამდგომლებ მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის წინაშე.

ხელს აწერს:

კავკასიის მთავარმართებელის სამოქალაქო ნაწილის მოვალ. აღმასრულებელი და კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების დროებითი სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი **მალამა**.

აქვე მოგვყავს ამ დოკუმენტის დედანის რუსული ტექსტი:

Жители Гурии, Мингрелии и Имеретии.

В течение последних трех лет спокойствие жизни в Гурии и прилегающих частях Мингрелии и Имеретии было нарушено проникшей в вашу среду подпольной пропагандой врагов существующего порядка. Вы доверчиво поддались наущениям агитаторов и, бросив мирный труд, начали ряд возмутительных беззаконий. Вы не только перестали сами обрабатывать, как прежде, арендуемые у помещиков земли, но и стали запрещать это несогласным с таким решением вашим товарищам, запугивая их поджогами, порубками и даже убийствами. Требования властей о выдаче виновных и о возвращении к законному порядку оставались тщетными, напротив, толкаемые безумцами на новые преступления, вы запятнали себя кровью целого ряда правительственных, общественных должностных и духовных лиц и даже ваших товарищей, почему-либо вам неугодных; убийства, покушения на убийство, разбойные нападения, поджоги, сеяние смуты путем разбрасывания возмутительных прокламаций—все это стало обычным явлением в Гурии и в некоторых прилегающих к ней местностях.

Поля ваши остаются необработанными, семьи ваши голодают, с каждым днем материальное ваше положение ухудшается; равным образом разоряются и помещики. Благодатный доселе край, кормивший свое население, близок к совершенному экономическому упадку.

Долго, целых три года, Главное Начальство Кавказского края пробовало вразумить вас обычными мерами воздействия,—надеясь, что призыв к благоразумию будет вами услышан,—но тщетно. Относясь доверчиво к преступной пропаганде, вы об'явили себя врагами государственного порядка и общественного спокойствия и осмелились говорить даже об освобождении от присяги ее для службы подпольной организации; таким образом, вы довели Гурию до явного восстания, а по следам последней идут и Мингрелия с Имеретией.

Теперь довольно. Терпение истощилось. Дабы не дать погибнуть прекрасному и мирному доселе краю, дабы спасти вас и семьи ваши от полного и окончательного разорения, дабы восстановить нормальное течение дел края и дать каждому желающему возможность безопасно трудится и добывать хлеб свой, я поставлен в необходимость прибегнуть к чрезвычайной мере, а именно: поручив Озургетский уезд, а также прилегающие к нему части уездов Кутаисского и Сенакского и Кинтришский участок, Батумской области, временно, впредь до полного в этих частях края успокоения, управлению генерал-манора Алиханова на правах Губернатора, с особыми полномочиями, я дал в распоряжение его особый военный отряд в целях осуществления всех мероприятий необходимых для исполнения возложенного на него поручения и для приведения неповинующихся к подчинению установленным законам, а также для защиты мирной части населения от посягательства крамольников.

Вместе с тем об'являю вам, что отныне лица, виновные в восстании, в вооруженном сопротивлении властям или нападений на служащих железной дороги или на пассажиров дороги, а также в разбое, убийстве, грабеже, поджогах жилых строений, будут предаваться военному суду для суждения по законам военного времени. Этому же суду будут предаваться также лица, виновные в других тяжких преступлениях, по моему каждый раз о том распоряжению.

Обращаюсь к вам, почтенные и уважаемые старики Гурии, Мингрелии и Имеретии. Образумьте ваших детей, пожалейте как их, так и их неповинные семьи. Повлияйте на них вашими умудренными долгой жизнью и опытом речами и вашим примером подчинения законным властям. Не дайте вашей земле обагриться кровью ваших же сынов. Помните, что правительство долго терпело все чинимые среди вас беззакония, но теперь дело умиротворения будет доведено до конца, каких бы жертв это ни стоило.

Вместе с тем я поручил генерал-манору Алиханову выслушивать и принимать для передачи мне все заявления и просьбы населения о его нуждах, причем по тем из них, которые могут быть исполнены, я охотно возьму на себя ходатайство перед его императорским величеством государем императором.

И. о. главноначальствующего гражданскою частью на Кавказе и временно командующий войсками Кавказского военного округа, генерал-лейтенант МАЛАМА.

ტფ. კომიტეტის ფურცელი, გამოცემული ოქტომბრის (1905 წ.) საყოველთაო გაფიცვის დროს.

რუსეთის სოციალ დემოკრატიული მუშათა პარტია.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ადგილობრივი ქრონიკა.

საყოველთაო გაფიცვის ნიშანი მისცეს რკინის გზის სახელოსნოებმა. 14 ოქტომბერს, დღის 12 საათზე, გაისმა თუ არა საყვირის ხმა, მუშებმა დასცალეს სახელოსნოები. სამუშაოზე დარჩა მხოლოდ „პატრიოტების“ ნაწილი. სახელოსნოების შემდეგ რკინის გზის ხაზის მოსამსახურენიც გაიფიცნენ. სამი საათიდან ყველა მატარებლების მოძრაობა შეჩერდა. 4 საათზე შესწყდა ტრამვაის მოძრაობა. საღამოს სტამბის მუშებმაც ხელი აიღეს სამუშაოზე.

15-ს გაზეთები არ გამოსულა გარდა „კავკაზისა“. შესწყდა მუშაობა ყველა ფაბრიკებში და ქარხნებში, სტამბებში და სახელოსნოებში, სავაჭრო დაწესებულებებში და სასწავლებლებში. შეაჩერეს მუშაობა ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოს და მისი კანტორების მოსამსახურეებმა. მეეტლებიც კი არა გამოვიდენ, გარდა მცირეოდენი გამონაკლისისა.

საყოველთაო გაფიცვას სინოდალური კანტორის თანამშრომლებმაც კი დაუჭირა მხარი.

საღამოს ქალაქი წყდიადმა მოიცო. აქა—იქ თუ სჩანდა მბჟუტავი ფარნები.

14-ს საღამოს $9^1/_2$ საათზე ველიამინოვის ქუჩაზე გადაგდებულ იქნა ყუმბარა. ერთი პოლიციელი მოკვდა, ხოლო მეორე დაიჭრა. 15-ს დილით ავჭალის ქუჩაზე მოჰკლეს ჟანდარმი და 11 საათზე სადგურის ახლოს უბნის ზედამხედველი.. დამფრთხალმა ჯარისკაცებმა სროლა აუტეხეს მკვლელობის ადგილას შეგროვილ ხალხს და მეზობელ სახლებს. ჩალეწილია მრავალი ფანჯრების მინები. მოკლულია სასტუმროში მცხოვრები უცნობი.

14-დან 15-ს ღამით ყარსის ხაზზე სად. კარაკლისის ახლოს ჩვენი ორგანიზაციის წევრების მიერ მოწყობილ იქნა შეჯახება იმ მატარებლისა, რომელსაც ყაზახთა ჯარი გადაყავდა. დაიმსხვრა 4 ვაგონი. ყაზახები ძლიერ დაზარალდენ. დაჭრილ-დახოცილი ბევრია.

დანარჩენი ქალაქებიდან ცნობა არ არის; ბათუმ—ჭუთაისთან, ტელეგრაფის მუშაობის შეჩერების გამო, დამოკიდებულება შეწყვეტილია.

15 ოქტომბერი (კერძო) [1].

ვინაიდან ხორცი ნაკლებად შემოდის, ჯარის ხორცით კვება შეჩერებულია. ¸გაფიცება ღებულობს გრანდიოზულ ხასიათს: მას მხარს უჭერს ყველა პროფესიონალური კავშირები, გარდა მბეჭდავებისა და ასოთ-ამწყობებისა, გაზეთები გამოდის. მაღაზიები უმეტესობა დაკეტილია. დაკეტილია მრავალი საზოგადო დაწესებულებანი, ტეხნიკური და ბანკის კანტორები. გაფიცვას მიემხრო ფინლიანდიის რკინისგზა შუვალოვომდე. ხვალ გამოირკვევა კაბინეტის მდგომარეობა, მას შეადგენს ვიტე. საქვეო აღარაა კოოპერაციის და გლაზოვის წასვლა. ახალი კაბინეტი ამ დღეებში გამოაქვეყნებს თავის პროგრამას.

რამდენიმეჯერ გაიმართა დიდი მიტინგი. სულიერი განწყობილება აწეულია. სურსათის ნაკლებობაა, ხუთი დღეა, რაც ფოსტა არ არის.

15 ოქტომბერი (კერძო).

სამი დღეა რაც გაზეთები დაბეჭრულია. გაფიცვა ერთსულოვნათ გრძელდება. ქალაქი წყვდიადშია, ტრამვაი არ არის, ომნიბუსები დადიან მცველების თანხლებით. გენერალ-გუბერნატორმა სახალხო კრებებისათვის დანიშნა სამი შენობა კუნძულზე, სოფელ ოხტაში. დანიშნულია კრება საოლქო სასამართლოში; ველით საქმის გართულებას. სევასტოპოლიდან შემაძრწუნებული ამბები მოგვდის.

ტფილისის კომიტეტი რ. ს. დ. მ. პ.-სა.

ტფილისის კომიტეტის სტამბა.

---

17 ოქტომბრის მანიფესტამდე

ქუთაისის გუბერნატორის **სტაროსელსკის** საიდუმლო ცირკულიარული განკარგულება მაზრის უფროსებისადმი (13-ს სექტემბერი 1905 წ. № 5228) [2].

„ვინაიდან ამ უკანასკნელ დროს მე მომდის ზოგიერთ მაზრის უფროსებისაგან პატაკები, უბნის ბოქაულთა მოხსენებების თანდართვით, სადაც დაწვრილებით არის მოთხრობილი მრავალრიცხოვან მიტინგების, დემონსტრაცია-მანიფესტაციის შესახებ და სადაც ჩამოთვლილია იმ პირთა სახელი და გვარიც, რომელთაც მთავრობის საწინააღმდეგო სიტყვები წარმოუთქვამთ,—მე მოვალეობისამებრ ჩემისა რწმუნებულ ჩემდამო პოლიციის მოხელეთა ყურადღებას მივაქცევ შემდეგზე:

[1] ტელეგრამა პეტერბურგიდანაა.

[2] ცენტოარჩივის საქმე № 18/1905 წ.— მეფის მოადგილის კანც. განყ.

„მაზრის პოლიციის და მისი ხელმძღვანელების დანიშნულება არ განისაზღვრება მარტოოდენ პასიური მეთვალყურის როლით, რომელიც გულგრილობით მხოლოდ აღნიშნავს მიმდინარე ცხოვრებაში მომხდარ მოვლენათ. კანონის ძალით (726 და 828 სტ. მუხ. 11 საგუბ. დაწეს.) სამაზრო პოლიციის სამმართველო მოვალეა ის თვალსაჩინო შემთხვევანი, რომელსაც ადგილი აქვს რწმუნებულ მისდამო რაიონის ფარგლებში, მარტო კი არ უნდა იცოდეს და აღნიშნავდეს, არამედ ამა თუ იმ შესაფერ ზომებსაც ღებულობდეს მათ წინააღმდეგ, ე. ი. უნდა შედიოდეს ცხოვრებაში მომხდარ მოვლენათა კრიტიკულ განხილვაში და მხოლოდ ამის შემდეგ ღებულობდეს ამა თუ იმ, კანონში აღნიშნულ ზომებს დარღვეულ წესრიგის აღსადგენათ.

„წარმოდგენილ ჩემდამო პატაკებში ხაზგასმით აღნიშნულია მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაციის გაძლიერება; სამაზრო ადმინისტრაციას მოეპოვება თავის განკარგულებაში მრავალი საშუალებანი იმ პროპაგანდის წინააღმდეგ საბრძოლველათ, რომელიც სთესავს არეულობას, იწვევს მშვიდობიან მცხოვრებთა შორის აღელვებას, მაგრამ არც მაზრის უფროსთ, არც მათ ხელქვეით ბოქაულთ არ სურთ გასწიონ შრომა და დაგვისახელონ ჩვენ, თუ რა ზომები იყო მათ მიერ მიღებული პროპაგანდისტების წინააღმდეგ, ან რა საშუალებით სურთ მათ ებრძოლონ მათ მომავალში. ბოროტების აღმოფხვრა შეუძლებელია მარტოოდენ მთავრობის საწინააღმდეგო პროპოგანდის ფაქტის აღნიშვნით და უბნის ბოქაულთა მოხსენების ჩემდამო წარმოგზავნით.

„წარმოგზავნილ პატაკებიდან მე ვერ ვხედავ პოლიციის მხრით გამოყენების პროპაგანდასთან საბრძოლველათ იმ საშუალებათა, რომელიც მოხსენებულია კანონთა კრებულში შესახებ წინასწარ გაფრთხილებისა და ბოროტმოქმედების აღმოფხვრისა, აგრეთვე სასჯელთა დებულებისა, რომლითაც სჯის და ასამართლებს მომრიგებელი მოსამართლენი. ამის შემდეგ ჩემთვის გაუგებარია, რაში გამოიხატებოდა ბ. მაზრის უფროსების როლი და დანიშნულება მთავრობის საწინააღმდეგო პროპაგანდასთან ბრძოლის საკითხში.

„მიმაჩნია რა უმნიშვნელოდ მარტოოდენ მოხდარ ფაქტების აღნუსხვა და ბოქაულების მოხსენებათა გადმოგზავნა, ამის მაგიერ მე მსურს მექნეს ბ. მაზრის უფროსთაგან დაწვრილებითი დასაბუთებული ცნობები, დამყარებული თვით ცხოვრებიდან ამოკრეფილ სინამდვილეზე, რომელიც, უეჭველია, სამსახურს გაგვიწევს, როგორც მდიდარი მასალა, გეგმის შედგენის დროს იმ საერთო ზომების გამოსამუშავებლათ, რომელიც მიმართული იქნება ერთის მხრით, მოსახლეობის ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ და სამართ-

ლიან წესების დამყარებისაკენ, ხოლო მეორეს მხრით, აღელვებულ მცხოვრებთა დამშვიდებისაკენ.

„როდესაც ჩვენ არ ვიცით რა ნიადაგზე აღმოცენდა არსებულ წესწყობილების საწინააღმდეგო პროპოგანდა და რა ასაზრდოებს მას, მე შეუძლებლათ მიმაჩნია ამ ხელათ გადმოგცეთ გარკვეული დარიგებანი. პროპაგანდისტების წინააღმდეგ საბრძოლველათ გამოყენება შეთვისებულ საშუალებათა, როგორიც არის: ადმინისტრატიული გადასახლება, სამხედრო ნაწილების დახმარება, მე მიმაჩნია უადგილოთ, მაენებლათ და მიზანშეუწონლათ, თუ ამას არ მოითხოვს უკიდურესი საჭიროება“.

მოხსენება **გენერალ შირინკინისა** კავკასიიის ნამესტნიკის გრაფ ვორონცოვ-დაშკოვისადმი, № 6?1, 1905 წლის 26 აგვისტოს თარიღით [1]).

„14-ს აგვისტოს ა./წ. ქ. ქუთაისში, ქალაქის ბაღში, შესდგა ყრილობა, სადაც მთავრობის საწინააღმდეგო აკრძალულ მოწოდებებს კითხულობდენ, ადგილობრივ ხელისუფლებისათვის კარგათ ცნობილი ოთხი აგიტატორი [2]) და ურიგებდენ იქ დამსწრეთ ფურცლებს. ამ ყრილობის ხელმძღვანელნი დაპატიმრებულ იქნა სტრაჟნიკების მიერ და წაყვანილი პოლიციის ნაწილში, საიდანაც იგინი, ვითომც, განთავისუფლებული იყვენენ ადგილობრივი გუბერნატორის პირადი განკარგულებით და მათ მაგიერ დატუსაღებული თვით მათი დამჭერი სტრაჟნიკები თითქოს აგიტატორებისადმი უზრდელი მოპყრობისათვის.

„ამასთანავე მე მივიღე ცნობა, რომ მოხსენებულ ამბის შემდეგ ქუთაისისის გუბერნატორმა მოახდინა საერთო განკარგულება პოლიციისადმი, რომ მთავრობის საწინააღმდეგო ყრილობების, ქუჩებში დემონსტრანციების გამართვის და პროკლამაციების გავრცელების წინააღმდეგ პოლიციის მხრით არ იქნეს რაიმე ხელის შემშლელი ზომები მიღებული.

„ვინაიდან ეს ცნობები ადგილობრივ გამოკითხული და დადასტურებულია, როგორც ეს სჩანს ქუთაისის ქანდარმთა სამმართვე-

---

[1]) ცენტ. არქივის საქმე № 18/1905 წ.

[2]) ქუთაისის ქანდარმთა სამმართველოს უფროსის მოხსენებიდან (№ 2484, აგვისტოს 18-დან, 1905 წ.), სჩანს, რომ დაპატიმრებული აგიტატორები არიან: ნაფიცი ვექილები სერგეი ჯაფარიძე და ანტონ ცაგარელი, ვექილის თანაშემწე ნიკოლოზ ჩიქვაიძე, სტუდენტი შალვა ელიავა და ქუთაისის გიმნაზიის ყოფილი მოწაფე დეონიდე ერისთავი, რომელნიც დაუყონებლივ იქნა განთავისუფლებულ სტაროსელსკის მიერ.

ლოს უფროსის მოხსენებიდან (№ 3040 23 აგვისტო) და ვინაიდან ქუთაისის ადმინისტრაციის მოქმედება ამ შემთხვევაში სავსებით ეწინააღმდეგება არსებულ კანონმდებლობას და იმ მონდობილებათ, რომელიც ჩემზეა დაკისრებული, ვთხოვ თქვენს ბრწყინვალებას სათანადო განკარგულებას".

ხელს აწერს—**გენერალი შირინკინი.**

ამ მოხსენებაზე გენ. ვორონცოვ-დაშკოვმა წაწერა შემდეგი:

„გენერალ შირინკინს. გუბერნატორ სტაროსელსკის მოსთხოვეთ ახსნა-განმარტება".

---

17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ.

ქუთაისის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი მოახსენებს გენერალ შირინკინს (4 ნოემბრიდან 1905 წ. № 3923) შემდეგ [1]):

„ქუთაისის გუბერნატორის სტაროსელსკის ნებართვით 19 და 20 ოქტომბერს ა. წ. ქ. ქუთაისში, ქალაქის ბაღში, გაიმართა კრება, რომელზედაც წარმოითქვა მთავრობის საწინააღმდეგო სიტყვები, სადაც უშვერის სიტყვით იხსენიებდენ მისი იმპერატორობითი უდიდებულესობას ხელმწიფე იმპერატორს და მეფის გვარეულობას. აგრეთვე მღეროდენ რევოლიუციონურ სიმღერებს და არიგებდენ პროკლამაციებს.

„20 ოქტომბერს ყრილობა დანაწილდა: სოციალ-დემოკრატებათ და სოციალისტ-რევოლიუციონერებათ. უკანასკნელებმა მოიყარეს თავი საკათედრო სობოროს წინ, სადაც უნდა გადაეხადათ განსვენებულ იმპერატორ ალექსანდრე III-ს მოსახსენებლათ პანაშვიდი. ესერებმა შეკრეს სობოროში შესასვლელი კარი. ამით განზრახ მოუსპეს საშუალება მღვდლებს და საზოგადოებას ეკკლესიაში შესვლისა და ამიტომ პანაშვიდი ჩაიშალა. პოლიცია კი ამ დროს იქვე იყო და არავითარ ზომებს არ ღებულობდა.

„სობოროს წინ აფრიალდა წითელი დროშა. აგიტატორები შეადგენ სობოროში შესასვლელ კიბეზე და წარმოსთქვეს მთავრობის საწინააღმდეგო სიტყვები, რომელიც ბოლოვდებოდა: „გაუმარჯოს თავისუფლებას, ძირს თვითმპყრობელობა". სიტყვები წარმოსთქვეს: ნაფიცმა ვექილებმა მოსე ქიქოძემ და ხელთუფლიშვილმა და შალვა გოგელიამ.

„ამავე დროს ქალაქის ბაღში, სადაც სოციალ-დემოკრატებს ქონდათ გამართული კრება, ფრიალებდა წითელი დროშები და აგიტატორები ამბობდენ მთავრობის საწინააღმდეგო სიტყვებს.

---

[1]) საქმე ცენტრ. არქივისა №[49]/1905 წ.

„სოციალ-დემოკრატების კრებაზე სატყვები წარმოსთქვეს: დაბა ხონში მცხოვრებმა ბუდუ მდივანმა, სტუდენტმა სულაქველიძემ, რეალური სასწავლებელის მოწაფე რეზნიკოვმა და სატყეოს გამგის ქიქოძის მეუღლემ.

„როდესაც კრება სმენათ იყო გადაჭეჭული, მოპრძანდა თვით გუბერნატორი სტაროსელსკიც. იგი ჯერ სოციალ დემოკრატებს ეწვია ქალაქის ბაღში, შემდეგ კი—ესერებს. ორთავე კრებას მან მადლობა გადაუხადა მის მიერ ნებადართულ კრების ასე წესიერათ და უინცინდენტოთ ჩატარებისთვის, რასაც კრება მქუხარე ტაშით და „ურას“ ძახილით შეეგება. ბ. სტაროსელსკის ამ დროს გვერდით უდგა მღვდლის შვილი რუბენ ტიმოთეს-ძე გიორგაძე ხელში წითელი დროშით, რომელზედაც თავქვე იყო დახატული იმპერატორი ნიკოლოზ II.

„კრების შემდეგ გაიმართა ჭუჩებში დემონსტრაცია.

„მოგახსენებთ-რა ზემოხსენებულს, დავსძენ, რომ რუბენ გიორგაძე ჯურინსკის პოლკის პოდპოლკოვნიკ ხოდორსკის მკლელია და როგორც ასეთს, მას დაეძებს, 24 სექტემბრიდან ა./წ., ქუთაისის ოლქის სასამართლოს სამანგებო გამომძიებელი“.

რუს. სოც.-დემ. მუშათა პარტიის გორის ორგანიზაციის საქმე.

რაღაც გაუგებრობის თუ სხვა მიზეზის გამო ერთი და იგივე დანაშაულობის შესახებ შესდგა ორი საქმე: ერთი ასე იწყებოდა: „საქმე მარიამ გულიშამბაროვისა და სხვებისა, რომელთაც ბრალდებათ ბოროტ-მოქმედების ჩადენა, რომელიც სასჯ. დებულების 126 მუხ. არის გათვალისწინებული.

მეორე—„საქმე ალექსანდრე კეცხოველისა და სხვებისა“, რომელთაც იგივე ბოროტ-მოქმედება ბრალდებოდათ.

წინასწარი გამოძიება ხდებოდა ჟანდარმის როტმისტრის ხელმძღვანელობით, გამომძიებელის ლიახოვჩის მიერ; როცა ზოგიერთ ბრალდებულთა შესახებ გამოძიება დამთავრდა, საქმე პროკურორს გადაეცა, რომელმაც თავის ამხანაგს სკოლსკის გადასცა საბრალმდებლო ოქმის შესადგენად. რაც სრულებით იქნა მოყვანილი.

გადის ცოტა ხანი და გამომძიებელ ლიახოვჩისვე მიაქვს პროკურორთან მეორე საქმე, რომლის შესახებ საბრალმდებლო ოქმის შედგენა მიენდო იმავე პალატის პროკურორის მეორე ამხანაგს ვასილიევს. სოლსკის მიერ 1907 წ. იანვრის 19 თარიღით შედგენილ ოქმის ძალით პასუხისგებაში იყვნენ მიცემულნი: 1) ალექსანდრე კეცხოველი, 2) მესროპ მარუტოვი, 3) ივანე ჩაჩანიძე, 4) ნიკოლოზ ოთარიძე, 5) ალექსანდრე ქიტიაშვილი, 6) გიორგი ხანგურაძე, 7)

გიორგი ამირაგოვი, 8) ზაქარია ჩარუეევი, 9) ვასილ მუჩაიძე და 10) ტატო ელჭაძე.

ვასილიევის მიერ იმავე წლის 30 მაისის შედგენილ ოქმის ძალით კი პასუხისგებაში იყვნენ მიცემულნი: 1) მარიამ გულიშამბაროვისა, 2) ილია მურადოვი, 3) იოსებ მახარაშვილი, 4) ვასილ ბედინიძე, 5) სილიბისტრო ბახტაძე, 6) პაველ საყვარელიძე და 7) მარიამ კაპანაძე.

ამნაირად ერთი და იმავე საქმის შესახებ დაიწერა ორი სხვადასხვა, მაგრამ ერთნაირი შინაარსის საპრალმდებლო ოქმი, რის შესახებ არც თვით პროკურორმა და არც პალატამ არ იცოდა რა. და ეს ორი ერთი და იგივე შინაარსის საქმე, რომელიც ეხებოდა ერთსა და იმავე პიროვნებებს უსათუოდ ცალ-ცალკე გაირჩეოდა, რომ სრულებით შემთხვევით ჟანდარმის როტმისტრს ლომიაშვილს ეს არ გამოეშკარავებია. ეს გამოირკვა 1907 წ. 21 მაისს, როცა დანიშნული იყო გასარჩევად პირველი საქმე. ამიტომ ეს ორი საქმე შეერთებულ იქნა.

საბრალმდებლო ოქმი [1].

მარიამ მიხეილის ასული გულიშამბაროვის, ილია პეტრეს-ძე მურადოვის, იოსებ გიგოს-ძე ბედინიძის, სილიბისტრო გიორგის-ძე ბახტაძის, პავლე მიხეილის-ძე საყვარელიძის და მარიამ იოსების ასულის კაპანაძის შესახებ, რომელთაც ბრალი ედებათ სასჯ. დებ. 126 მ. I ნაწ. გათვალისწინებულ ბოროტ-მოქმედებაში.

1906 წელს 13 ნოემბერს, თფილისის გუბერნიის ქ. გორში ჟანდარმის ცალკე კორპუსის როტმისტრმა ლომიაშვილმა გაჩხრიკა აზნაურ მარიამ მიხეილის ასულის გულიშამბაროვის ბინა. დასაძინებელ ოთახში მის კროატზე აღმოჩენილ იქნა რუს. სოც. დემ. პარტ. გორის კომიტეტის სხვადასხვა რაიონის ქალაღდში გახვეული, სპილენძის 9 სამტემპლო ბეჭედი და სოსნის ფერი საღებავით გაჟღენთილი პატარა ბალიში. გულიშამბაროვის პალტოს სახელოში, რომელიც იქვე წკაფში ეკიდა, აღმოჩნდა ბოხჩაში გახვეული სოც. დემ. პარტიის და ფუღის ამკრეფთა 1905-1906 წ. ანგარიშები. ორი ჩეკის წიგნაკი იმ შემოწირულებისათვის, რომელიც 1905-1906 წ. დამლეგს ხდებოდა, მოწოდება შემოწირულების შესახებ, განაწილების ფურცელი სათაურით „დადგენილება“ და სხვა პარტიული მიწერ-მოწერა, ხოლო გულიშამბაროვის კამოდში—ხუთი წერილი მის სახელზე, რომელთაგან ორი იყო ვოლოგდიდან ადმინისტრატიული წესით

[1] საქმე ცენტროარქივისა № 310.

გადასახლებულის, გორის მცხოვრების სანდრო კეცხოველისაგან. ცარიელი ოთახის ღუმელში აღმოჩნდა პარტიის რამოდენიმე მოწოდება და ბოლოს გულიშამბაროვის კაბინეტში, საწერ მაგიდაზე—სხვადასხვა ბროშიურის 95 ცალი რუსულ ენაზე და 4—ქართულ'ზედ და აგრეთვე რამდენიმე წერილი და ცალკე შენიშვნები.

ბინის გაჩხრეკის დაწყებამდე, შეალო თუ არა როტმისტრმა ლომიაშვილმა გულიშამბაროვის ბინის კარები, კაბინეტის უკანა კარებიდან ეზოში გავარდა ორი ევროპიულად ჩაცმული ადგილობრივი მცხოვრები ახალგაზრდა კაცი, მაგრამ ეზოში ისინი დააპატიმრეს, ამათგან ერთი გამოდგა ადგილობრივი საქალაქო სასწავლებლის მოწაფე ქრისტეფორე მუნტიკოვი, ხოლო მეორემ განაცხადა, რომ ის არის ჭუთაისის გუბერნიის გლეხი იღია დავითის-ძე ბარბაქაძე, რის დასამტკიცებლად წარმოადგინა პირადობის მოწმობა № 231 მიცემული შურურის სასოფლო საზოგადოების მიერ 1906 წ. 22 ივნისს, რომელიც, როგორც შემდეგ გამოირკვა, ყალბი გამოდგა.

როდესაც გულიშამბაროვის ბინაზე ნახული მასალა გაარჩიეს, აღმოჩნდა შემდეგი:

I—ცხრა საშტემპლო სპილენძის ბეჭედი: 1) რუს. სოც. დემ. მუშათა პარტ. გორის კომიტეტის, 2) ქართლის გლეხთა ცენტრალური კავშირის, 3) ქართლის გლეხთა კავშირის ატენის რაიონის ს.-დემოკრატიული ორგანიზაციის, 5) ცხინვალის რაიონის, 6) ქარელის რაიონის, 7) გომის რაიონის 8) ახალქალაქის რაიონის და 9) ატოცის რაიონის გლეხთა კავშირის დემოკრატიული ორგანიზაციის. ამასთან პირველი შტემპელი ბეჭდავს სამ ენაზე: ქართულად, რუსულად და სომხურად—დანარჩენი მხოლოდ ქართულ ენაზე.

II—1905 წლის 8 მაისის ანგარიში, დაბეჭდილი ქართულ ენაზე, სათაურით „ქართლის ანგარიში". შემოსავალი აღნიშნულია 579 მ. და 62 კაპ., გასავალი 483 მ. 10 კაპ. და სალაროში დარჩენილი ფული—96 მ. 52 კაპ., ამ ანგარიშზე დასმულია ბეჭედი „რ. ს. დ. მ. პ. ტფილისის კომიტეტის სტამბა". ამ ანგარიშში შემოსავალის და გასავლის ჯამები მოთავსებულია ფსევდონიმების—„ისარი", „კლდე", „მელანი", „153" და სხვა

III—რ. ს. დ. პარტიის გორის ორგანიზაციის 1905 წ. მეორე ნახევრის 4 ეგზემპლიარი დაბეჭდილი მოკლე ანგარიში, ამასთან შემოსავალთა ჯამი ამ ანგარიშში აღნიშნულია კამიშურასაგან—10 მ. 15 კაპ., დანარჩენთა შესახებ დასმულია რაღაც ნიშნები. შემოსავალი ორმოცი ნომრიდან ივლისიდან ოქტომბრის ნახევრამდე, წინანდელი თვის ნაშთთან ერთად. ნაჩვენებია ორნაირი ხარჯი, გაწეული ტეხნიკაზე—741 მ. 38 კაპ. და საორგანიზაციო—588 მ. 31 კაპ.; ნაშთი—5 მან. 20 კაპ. ოქტომბრის ნახევრიდან ნოემბრის ნახევრამ-

დე შემოსავალი გამოიხატა 237 მ. 90 კაპ. ამავე ჯამს უდრის ტეხნიკაზე გაწეული და საორგანიზაციო ხარჯები. დანარჩენი დროის 13 ნოემბრით აღნიშნული შემოსავალი, დეკემბრის დამლევამდე გამოიხატა 1276 მ. 90 კაპ., ამასთან შემოსავლის უმეტესი ჯამი არის აღნიშნული № 8—861 მ., № 12—113 მ. 40 კაპ. და № 13—100 მან., საორგანიზაციო და ტეხნიკაზე გაწეული ხარჯები ნაჩვენებია 124 მ. 38 კაპ., ნაშთი 36 მან. 54 კაპ. (წინასწარ გამო. საქ. ფურ. № 38).

IV—საერთო ანგარიშის ხუთი ეგზემპლიარი ქართულ ენაზე სათაურით—„გორის 1905 წ. ანგარიში 1906 წ. 31 იანვრამდე", დაბეჭდილი „გორის კომიტეტის სტამბაში 1906 წ. 24 აგვისტოს". შემოსავალი აღნიშნულია: „მ-დან—282 მ. წარმოდგენებიდან—88 მ. 45 კაპ., ქალ. ტფილისის 32 მ. და სხვადასხვა შემოსავალი 279 მან., სულ 681 მან. 45 კაპ. გასავლის ხაზში ნაჩვენებია: „ტეხნიკური 297 მ. 15 კ., საორგანიზაციო—396 მ. 49 კაპ. გადასახლებულებს 71 მან. გადასახლებულების ცოლშვილს 107 მან. 36 კაპ., ციხეებში 27 მ. 45 კაპ. და ტფილისის ამბ. 32 მან. სულ ხარჯები 931 მან. და 45 კ., სალაროს ვალი 250 მან. შემდეგ არის შენიშვნა „დაწერილებითი ანგარიში ნახე წიგნაკებში №№" (წინასწ. გამ. საქ. ფურ. 102).

V—შვიდ ფურცლიდან რვეულად შეკერილი, ხელით დაწერილი რ. ს. დ. მ. პ. გორის ორგანიზაციის შემოსავალი და დახარჯული ფულის დაწვრილებითი ანგარიში „1908 წ. ოქტომბრის ნახევრიდან იმავე წლის ნოემბრის დამლევამდე". შემოსავალში სხვათა შორის ნაჩვენებია", ნესტორის ძველი ნაშთი 5 მ. 20 კაპ., „მაშო კაპანაძისაგან 13 მან." „ვასო მუჩაიძისაგან 3 მან., კიდევ 25 მან." „ნესტორისაგან 10 მან." სულ შემოსავალში ნაჩვენებია 228 მან. 80 კაპ., გასავალში ამავე ხნის განმავლობაში, სხვათა შორის, აღნიშნულია: „ილიკოს 2 მან.", „ნესტორს 8 მან.", „მუჩაიძის ნაგიერად გადახდილია 27 მან.", „სანდრო კეცხოველს ცურალეთში 150 მან", „ტუსაღებს 15 მან. 35 კაპ.", „გეკტოგრაფი 8 მან. 80 კაპ." „სანდრო კეცხოველს 1 მან.", „გოლას 50 კაპ." და სხვა, მთელი ხარჯი ზედმეტ დახარჯულ 92 მან. 75 კაპ. ერთად, წარმოადგენს 321 მან. 45 კაპ.

შემდეგ ჩაწერილია: „№ 1 ნოემბრის ხარჯი მუჩაიძეს", აქ აღნიშნულ ხარჯის მუხლებში, სხვათა შორის, ნაჩვენებია შემდეგი: პორფირეს პალტოსთვის 15 მან.", „ნესტორს შარვალი 3 მან.", „მილიციონერებს 5 მან.". ბიუროს მოწყობა 13 მან. 86 კაპ.", „ნავთი 8 კ.", „10 კოლოფი წუმწუმა 11 კაპ.", „პატარა ლამპა 40 კ.", „საანგარიშო ჩოთქი 50 კაპ.", „ვასოს თოფის გასაკეთებლად 5 მ." სულ დაიხარჯა ნოემბერში 82 მან. 95 კაპ. (საქ. ფ. 107).

VI—ორი ფურცლიდან შემდგარ რეესტრში განმეორებულია წინანდელ პუნქტში ნაჩვენები ანგარიში, რის შემდეგ აღნიშნულია სათაური „გადაწერილია—დეკემბერი“ და მერე აღნიშნულია კიდევ, სხვათა შორის, შემდეგი ხარჯები: „ნესტორს ქუდი 1 მან. 40 კაპ., პალტო ნესტორს 8 მან.“, „მილიციონერებს 3 მან. 50 კაპ.“, ილიკოს 3 მ.“, „მილიციონერებს ცხინვალში 3 მან. 50 კაპ.“, „ილიკოს 3 მან.“, „მილიციონერებს ცხინვალში 5 მან.“, „პროპაგანდისტ ვარდოიანცს 25 მან.“, სოსოს წინანდელ ანგარიშში 4 მან. 90 კაპ.“, „ნესტორს მიეცა 26 მან. 65 კაპ.“, „პური ტუსაღებისთვის 20 კ.“, „სასტვენები 1 მან.“, „ვასოს ცრისთვის 5 მ.“, „პორფირეს 5 მ.“, „ორი ქუდი მილიციონერებს 4 მან.“, „მილიციონერებს 6 მან.“, ვასოს ვაზნებისთვის 1 მ. 76 კ.“, „ვასო დურგალს 1 მ.“, „მილიციონერებს წამლებისთვის 5 მან.“, „დაჭრილ მილიციონერებს 3 მან.“, „სანდრო კეცხოველმა გადასცა ახალ მილიციონერებს 8 მან.“, „ბინის ქირა 10 მან.“, „ბერდანის თოფი 50 მან.“, „პოროფორეს 10 მ.“, „20 ცალი ვაზნა 2 მ.“, „სანადირო ცენტრალური სისტემის თოფი 50 მან.“, „ვასო დურგალს 20 მ.,“ სულ დახარჯულია 846 მ. 3 კ.“ (საქ. ფ. 108).

VII—ათი ფურცლიდან შემდგარი რეესტრი შემდეგი სათაურით: „ნოემბრისა და დეკემბრის შემოსავალი (1905 წ.) ტეხნიკ. კას. გ. მ. ფრა. ბიურო“. შემოსავალთა რიცხვში აღნიშნულია: ვასო მუჩაიძისაგან 261 მან.“, „ერთობის ორგანიზაციისთვის შეგროვილი 26 მან. 60 კაპ.“ „შიხინოვს გამოვართვი 600 მან.“, „სულ 1022 მან. 22 კაპ.“, ნოემბრის გასავალი 82 მან. 95 კაპ.; „დეკემბრის 763 მ. 8 კაპ., სულ 846 მ. 3 კაპ.“, „მიღებულია მუჩაიძისაგან 1022 მ. 22 კაპ.—846 მან. და 3 კაპ. 176 მ. 19 კ. შემდეგ ჩაწერილია სხვა და სხვა დროს შემოსული 167 მ. 90 კაპ. და გასავალი 129 მან. 35 კაპ. ამ რიცხვში სანდ. კ. (სანდრო კეცხოველს), 6 მან. და მე, ნიკოს, 1 მან.“

ამის შემდეგ ჩაწერილია სათაურით „გორის რაიონის გასავალი“, სადაც სხვათა შორის აღნიშნულია: ქარელის რაზმს თითო ბაზი—2 მან. 60 კაპ., პროფირეს ჯამაგირი 17 მან., „დურგალ ვასოს 1 მან.“, „დუშეთის რაზმის ბიჭს 90 კაპ.“ „მაზოს მივეცით 13 მან.“ „სანდრო კეცხოველს 25 მ.“, „დურგალ ვასოს 5 მან.“, „სანდრო კეცხოველს 1 მან. 50 კაპ.“, „ვასოს პატრონტაშისთვის 1 მ. 5 კაპ.“, 22 პატრონტაშისთვის 7 მ. 20 კაპ., ვაზნებისთვის ვასო დურგალს 7 მან. 70 კაპ. ვაზნებისათვის ვასო დურგალს 12 მან., სანდრო კეცხოველს 13 მ. 80 კაპ., ვაშლების გასახვევი ქალალდი 35 კაპ. (ს. ფ. 109).

VIII—ერთ ფურცელ ქაღალდზე შემდეგი შინაარსის ხელთნაწერი: რადგანაც იმ თავდასხმისა და ხოცვის თავიდან ასაცილებლად, რომელიც ამ ჟამად ჩვენ მოგველის, როგორც პოლიციის მხრით, ისე მისგანვე შეკავშირებული ხულიგნებისაგან (ბშირად პოლიციას მიჰყავს ხულიგნები სხვაგან, სადაც ხულიგნები არ არიან) საჭიროა შეიარაღება, ხოლო შეიარაღებისთვის საჭიროა ფული; მილიციონერებს კი შენახვა უნდა, რ. ს. დემ. პარ. გორის ჯგუფმა მოიწვია ათისთავები და ასისთავები და გარდა ამისა სხვა პირებიც, რომელთაც მიანდო გამონახოს იარაღის შეძენის და მილიციის შესანახი საშუალება. კრებამ დაადგინა საჭირო ფული აიღოს მცხოვრებლებისაგან, თითეული ოჯახისაგან მატერიალური მდგომარეობის მიხედვით, თუ ვინმე ამის წინააღმდეგი გახდა, იმას ბოიკოტი გამოეცხადოს.

შემდეგ არის ფულის განაწილების ფურცელი, სადაც აღნიშნული გორის ვაჭრები და მემამულენი; თითეული მათგანის გვარის პირდაპირ ნაჩვენებია ფულის რაოდენობა, რომლის შეტანა მათ დაავალეს. გადამხდელთა სიაში აღნიშნულია შემდეგი პირები: მოშიაშვილი 300 მან. არ მოუცია და არც სურს, ნიკო ოქროპირიძე 300 მან., სოსო (იოსებ) ტერ-პეტროსოვი 200 მან., მიღებულია ასი მანეთი (100), ზარიკიძეს ქვრივი 100 მან. მიღებულია 50 მან.; დიმიტრი ქიტიაშვილი 300 მან. მიღებულია 30 მან.; ალექსანდრე დანდუროვი 300 მან., მიღებულია 30 მან.; ალექსი ცერცვაძე 150 მან., მამასახლისოვი 300 მან., მიღებულია 150 მან.; ხორატოვი 100 მან. მიღებულია 15 მან.; ი. ეგნატაშვილი 100 მან. სვიმონ ზაზუნოვი 210 მან. მიღებულია 10 მან.; ალექსანდრე შიხინოვი 150 მან. მიღებულია 20 მან.; გრიგოლაშვილი 100 მან. გიგო თაყელიშვილი 200 მან. სანდრო ქიტიაშვილი 300 მან., სულხან ღამბაროვი 200 მან., მიღებულია 100 მან.; სტეფანე კუზნაოვი 100 მან., გიგო ელახანოვი 150 მან., მიღებულია 100 მან.; ალექსანდრე ღამბაროვი 100 მან. და სხვა.

XI—ორი ფულის შესაგროვებელი წიგნაკი ორგანიზაციისათვის, რომელთაგან ერთზე, პირველ ცარიელ ფურცელზე და ქვითარებზე დასმულია ბეჭედი ქართული ტექსტით „რ. ს. დ. მ. პ. ტფილისის კომიტეტის გორის რაიონი". ფულის შეგროვება ნაჩვენებია 1905 წ. 29 ნოემბრიდან 10 დეკემბრამდე—10 კვიტანციით, ამ ფულის აკრეფის შესახებ ცნობები ქვითარების § მეორე ნახევარზე მიდის შემდეგი რიგით: № 1—ნ. ოქროპირიძემ 300 მან., № 2—რომანოვი 100 მან., № 3—ხორატოვი 100 მან., მიღებულია 15 მან.; № 4—ი. ეგნატაშვილი 100 მან., მიღებულია 10 მან.; № 5— ს. ზაზუნოვი 200 მან. № 6—ა. შახინოვი 150 მან., გადახდილია 20 მან.; № 7—ალექსი ცერცვაძე 150 მან., № 8—ვანო ფერშანგოვი 100 მან.

№ 9—ბაგრატ ჩარჩიევი 100 მან., № 10 – ნიკოლოზ ჯუბალოური 100 მან. № 11—პეტრე აბუეული 200 მან., № 12—ილიკო შოშიაშვილი 100 მან., № 13—მ. შეპური 100 მან. № 14—ზერეკიძე 50 მან. № 15—გ. ხანგურიძე 100 მან., № 16—ანნა ბარათოვი 50 მან. № 17—მარიამ კაპსაძე 50 მან., № 18—მამასახლისოვი 150 მან., № 19—მ. ოსიპოვი 300 მან. გადახდილია 30 მან., მიღებულია 270 მან. და ბოლოს № 20—იოსებ ტერ-პეტროსოვი 100 მან.

მეორე ჩეკის წიგნაკი, რომელზედაც დასმულია ზემოდ აღნიშნული ბეჭედი-ნახევარი ქვითარებზე და ნახევარი ძირებზე ამ წიგნაკით ფულის აკრეფა ხდებოდა 1905 წელს 20 ივლისიდან 10 ოქტომბრამდე. აქ შემოსავალი აღნიშნულია დურგლებისაგან, მედუქნეებისაგან, მეწაღეებისაგან და სხვა.

X—უბის წიგნაკი შავ ყდაში, სადაც არის მოყვანილი ანგარიში ამ სათაურით: „პატარა გიორგის მიერ გაწეული ხარჯები“. აქ მოხსენებულია შემდეგი ხარჯები: მაშინის მომზადებისათვის 23 მან. 90 კაპ., ვასო დურგლის მომზადებისათვის 11 მან., დათიკო მელიქოვმა წაიღო 27 მან. ილიკო მურადოვისაგან ვალში 150 მან., დურგალ ვასოსაგან 20 მან., ილიკო მურადოვისაგან 50 მან. მისგანვე 50 მან., აზ. მკერავის სო... ფულად 1 მან.“

XI—ოცდაექვსი დაბეჭდილი ბლანკი, რომელზედაც დასმულია რ. ს. დ. მ. პ. ტფილისის კომიტეტის გორის რაიონის ჯგუფის ბეჭედი ქართულ ენაზე. თითეულ ამ ბლანკს აქვს შემდეგი სათაური: „რ. ს. დ. მ. პარტია. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით. რომ თავისუფლებისთვის ბრძოლა გაადვილდეს თქვენ ნუ დაიშურებთ და შესწირეთ გორის ორგანიზაციას ვისაც რამდენიც შეგიძლიათ“. შემდეგ აღნიშნულია შემომწირველთა გვარი და სახელი, დაწყებული 10 კაპ. 1—მანეთამდე. ბლანკები აღნიშნულია თარიღით 19 ივნისი 1906 წ. სადაც შემდეგი წარწერებია: „მედუქნეებს“, „მეპურეებს“, „დურგლებს“, „მკერავებს“ და სხვა.

XII—უბის წიგნაკი შემდეგი სათაურით: „დაწვრილებითი შემოსავალ-გასავლის ანგარიში 1906 წ. იელისიდან“. შემოსავალი ნაჩვენებია დურგლებიდან, მზარეულებისაგან, მჭედლებისაგან და სხვა. შემდეგ ჩაწერილია: „მიღებული ილიას მიერ 23 ივლისიდან: 1—მეპურჭელეთაგან 4 მ. 80 კ. 2—დურგლებისაგან 9 მ. 60 კაპ.“ და სხვა სულ 7 პროფესიიდან მიღებულია 53 მან. 50 კაპ. შემოსავალსა და გასავალსა შორის აღნიშნულია აგრეთვე: „ჩარუევისაგან სოსომ აიღო 30 მან., პორფირეს მისცა 5 მან. ბიუროს ხარჯი.

XIII—30 ფურცლიანი უბის წიგნაკი, რომელშიაც აღნიშნულია 1906 წ. ენკენისთვის შემოსავალი და გასავალი. ნაჩვენებია სხვა და სხვა პროფესიებიდან და აგრეთვე პორფირესაგან 100 მან. ამ წიგ-

ნაკის მე-15 და 18-ტი გვერდზე სიტყვა-სიტყვით ასეა დაწერილი: „შოშიაშვილის საქმეზე რაზმელებს და ტერორისტებს ეუყიდე ხიდისთავში 40 კაპ. პური, 70 კაპ. ხორცი, დიდი ბოთლი არაყი—55 კაპ., პაპიროსი-18 კაპ., დუქანში 40 კაპ."

ენკენისთვის გასაელის ანგარიშში ნაჩვენებია: № 20-პროპაგანდისტ ჯორჯს 2 მან. № 23-პროპაგანდისტს პეტრეს 3 მან. მუჩაიძეს მიეცა 200 მან. შემდეგ ჩაწერილია: 1906 წ. 14 ოქტომბერს, გორის ყველა წარმომადგენელთა თანდასწრებით, ანგარიშის გასწორების შემდეგ ძე დამრჩა 230 მან. ალიხანოვისაგან 100 მან. დონდაროვისაგან 170 მან., მამასახლისოვისაგან 150 მან. სეროპისაგან 100 მან. ხიდისთავიდან წამოღებულია 360 მან.

შემდეგ მიდის გასავალი 1906 წ. 15 ოქტომბრიდან, სადაც, სხვათა შორის, ნაჩვენებია; პროპაგანდისტებზე 2 მან. 50 კაპ., ხარჯი ყრილობისათვის 4 მან. 80 კაპ. ხარჯები, გაწეული პროპაგანდისტებზე სახლში და დუქანში 3 მან., მე მიეცი ზეთიძეს ტეხნიკისთვის 200 მან. კეცხოველს გაეგზავნა 30 მან. მე-29 გვერდზე ნაჩვენებია: იარაღის შესაძენი ფული, რომელიც გაწერილი იყო ვაჭრებზე და რომელიც შემდეგ შემოვიდა; 1) გიგო თავყელიშვილისაგან 200 მან. 2) ქიტიაშვილისაგან 50 მან. 3) სულხან ღამბაროვისაგან 100 მან. 4). კუზანოვისაგან 50 მან. 5). ტატო დონდაროვისაგან 170 მან. 6) გიგო ალიხანოვისაგან 100 მან. 7) სანდრო დონდაროვისაგან 170 მან. 8) ვანო მამასახლისოვისაგან 150 მან. 9) სოსო ტერ-პეტროსოვისაგან 100 მან. 10) ალექსანდრე ღამბაროვისაგან 50 მან.

XIV—რვა ფურცლად შეკერილი რეული სათაურით. „სოსო დალაქის იელისის და აგვისტოს ანგარიში". შემოსავალი ნაჩვენებია, ზოგი მოგონილი და ზოგი ნამდვილად არსებული სხვა და სხვა პროფესიიდან—დურგლებიდან, მზარეულებისაგან". 10 აგვისტო სასამართლოსი 200 მან.". მეხუთე ფურცელზე დასმულია ბეჭედი „რ. ს. დ. მ. პ. ტფილისის კომიტეტის გორის რაიონის ჯგუფის და შემდეგ დაწერილია „მკერავალთა ნოქრები-ასისთავი № 1" და მერე ნაჩვენებია შემოსავალი. მეშვიდე და მერვე ფურცლები წარმოადგენენ დაბეჭდილ ბლანკებს სათაურით: კავმუშ. ორგანიზაციის ცენტრალური სამხედრო ტეხნიკური ორგანიზაცია" დამოწმებული იმავე ბეჭდით. უკანასკნელ ფურცელზე დაწერილია წიგნაკის № 1-2 დამატება.

XV—ხელნაწერი სათაურით ორგანიზატორთა და პროპაგანდისტთა 3 ნოემბრის კრების დადგენილება წარმოადგენს II კითხვას და ამდენსავე კრების მიერ გადაწყვეტილ პასუხს.

პირველი კითხვის პირდაპირ სათაურით—„მიტინგები სოფლად და სააგიტაციო მასალის სქემა სოფლებში"—აღნიშნულია შემდეგი

პასუხი: მანიფესტის გარჩევა, დამფუძნებელ კრების შესახებ, დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ და გაკვრით „სოციალიზმზე“, მეორე კითხვაზე“—როგორ მოეწყოს სოფლად ორგანიზაციები „- . . . . . ჯერ დარჩეს ძველი სისტემა. შეძლების და გვარად ამ ორგანიზაციებში არჩეული უნდა იქნენ შეგნებული გლეხები პროლეტარული იდეებით“. მე-3-ე კითხვაზედ პასუხია—ფული გაწერილი უნდა იქნეს თითეულ სულზე ცალკე (მუშებზე 20 წლ. 50 წლამდე) თითო შაური, ორგანიზაციის მოწყობამდე გვარები და სახელები უნდა დაიწეროს ცალკე ბლანკებზე, რაიონული ორგანიზაცია, რომელიც ექვემდებარება ცენტრალურს, ადგილობრივი ხარჯების გაწევაში, მოქმედობს ავტონომიურად. მე-4-ხე კითხვაზე.—„შეუერთდეთ თუ არა უკანასკნელ კონფერენციას ჯარის-კაცების შესახებ“—პასუხია: „ამ საკითხის გადაწყვეტა გადაიდოს ქართლის რაიონული ორგანიზაციების წარმომადგენელთა მოწვევამდე. მე-5-თე კითხვაზე—„ტეხნიკის შესახებ“-პასუხია: „ეს მიენდოს ბიუროს. რაიონული ტეხნიკის მოწყობა მიენდოს პროპაგანდისტთა სარაიონო ჯგუფების წარმომადგენელთა კოოპტაციას“. მე-6-ზე კითხვაზე—„როგორი შეხედულება უნდა ვიქონიოთ ტერორზე—„პასუხია: „დროისა და გარემოების მიხედვით“. მე-7-დე კითხვაზე-“მოვითხოვოთ მთავრობისაგან შავრაზმელთა განიარაღება, თუ ჩვენ თვითონ განვიიარაღოთ, პასუხია: კითხვა გაურჩეველი რჩება“. დაიბეჭდოს ყველას, რომ გარემოებათა მიხედვით და გაელენიანი პირების დახმარებით მიმართოს შავრაზმელთა წევრებს, რომ იარაღი ხალხს გადასცეს“. მე-8-ე კითხვაზე—დაბლართული საქმეების გამოსარკვევად რაიონებში, პასუხია: ამ საქმის გამორკვევა მიენდობა წარმომადგენელებს, რომელნიც გააკეთებენ შესაფერ მოხსენებას“. მე-9-რე კითხვაზე—მოხდეს კრებები დანიშნულ დროზე, თუ ცნობების მიხედვით—პასუხია: „ექსტრა-ორდინალური კრებები დაინიშნოს ცნობების მიხედვით“. მე-10-თე კითხვაზე—„ჰქონდა თუ არა ნესტორს უფლება გაჰპარულიყო“—პასუხია: „რასაკვირველია, არა“. მე-11-ტე კითხვაზე—„სოფლებისთვის გაზეთის გამოწერის შესახებ“. პასუხია: კომისიის ფუნქციას წარმოადგენს.

XVI—ქაღალდის ფურცელი, რომელზედაც ფანქარით დაწერილია გორის კომიტეტის სხდომაზე დასმული კითხვები: „სარაიონო ორგ. მოხსენება, არჩევნების კომისია, გორის ორგ. დამოკიდებულება... სალარო, მისი მდგომარეობა, პროპაგანდისტთა ძალების განაწილება. ტეხნიკური კომისია წინააღმდეგია. ტერორისტების შედგენა „და ბოლოს ტუსაღების დახმარება“.

XVII—მარიამ გულიშამბაროვის მიერ დაწერილი შემდეგი შინაარსის ხელმოწერილი წერილი: „ძვირფასო სოფიო იოსების ასულო...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ვქნა, რომ მოსულა არ შემიძლია, რადგანაც ყაზახების კრება მაქვს დანიშნული.

XVIII—ხელთნაწერი ქართულ ენაზე 1905 წ. 16 დეკემბრის თარიღით, რომელზედაც ორი ბეჭედია დასმული—რუსული და ქართული. რუსული—რ. ს. დ. მ. პ. ამიერ კავკასიის ბიუროო, ქართული—რ. ს. დ. მ. პ. ხაშურის, ქართლის ორგანიზაცია. ხელთნაწერში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ კონტრ-რევოლიუცია მოაწყო კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ და შტაბმა, ამიტომ მათ წინააღმდეგ მიცემულ უნდა იქმნეს დაუზოგველი ტერორი, რომელიც უნდა დაიწყოს ეხლავე და გაფართოვდეს შეიარაღებულ გამოსვლამდე—ხაზინის, ბანკების, არსენალის ხელში ჩაგდებით და სხვა.

XIX—ამბ. ვანის წერილი ამბ. პორფირესადმი. წერილში გამოთქმულია რა საჭიროდ იმის შესახებ, რომ უსინდისო სულხანიშვილის ქვრივმა დააკისრა მათ დიდი ღალი—1800 კოდის და 450 მ. გადაბდა; ამიტომ სთხოვს პორფირეს, რომ როგორმე დახმარება აღმოუჩინოს მათ ამ საქმეში.

XX—სოციალ-ფედერალისტ-რევოლიუციონურ პარტიის სახელით გორში მცხოვრებ გაბო მაჩაბლისადმი მიწერილი ტერორისტული წერილი, ამ წერილით, რომელსაც პარტიის ბეჭედი ახის ხსენებულ მაჩაბელს წინადადება ეძლევა პარტიის სასარგებლოდ 20 მანეთი გადაიხადოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მებრძოლი რაზმი ემოქმედება თავის რევოლიუციონური ზომების მიღებით.

XXI—ოთხი ფულის შესაგროვებელი ქაღალდის ფურცელი, რომელთაგან ერთზე ამ ფურცლის ბოლოს აღნიშნულია, რომ შეგროვილი 7 მან. 65 კაპ. მიღებულია ვასოსაგან. შემომწირველთა შორის ხაჩვენები არიან: არტემ ჩარუევი, იღიკო მურადოვი და მღვდელი კაპანაძე და სხვა.

XXII—99 სოციალ-დემოკრატიული მიმართულების სხვა და სხვა ბროშიურები, მაგალითად: „პროპაგანდის ამოცანები სოფელში"—„რა სჭირდება გლეხობას," ლექსთა კრებული—„წინ" და სხვა. ბროშურების უმრავლესობაზე აღნიშნულია მათი პატრონების ხელის მოწერა—სანდრო კეცხოველი, მარიამ გულიშამბაროვისა და პორფირე ეფრემიძე.

XXIII—კონვერტი მისამართით, რომელიც მ. გულიშამბაროვის ხელით არის დაწერილი. „ვოლოგდა, ერობის წიგნის საწყობი, სანდრო კეცხოველს".

XXIV—რ. ს. დ. მ. პარ. ვოლოგდის ჯგუფის მიერ მოწერილი ბარათი. ამ ბარათში ვოლოგდის ჯგუფი წინადადებას იძლევა 1906 წ. ენკენისთვეში მოეწყოს პარტიული ორგანიზაციების კონფერენცია.

XXV—მოწოდება „ამხ. ჯარისკაცებისადმი", რომელიც ხელმოწერილია რ. ს. დ. მ. პარ. ვოლოგდის ჯგუფის მიერ, რომლითაც

ხესენებული ჯგუფი მოუწოდებს ჯარისკაცებს, რომ სამსახურის ვადის გასვლის შემდეგ დაბრუნდენ სამშობლოში, შეადგინონ გლეხებთან ერთად მებრძოლი რაზმები და დამფუძნებელი კრების მოსაპოვებლათ საჭირო მომენტში, გამოვიდნენ მთავრობის წინააღმდეგ, ამასთან ჩაგონონ გლეხებს, რომ ნუ დაანებებენ მთავრობას ჯარში გაწვევეულ ახალგაზრდების და ნუ მისცემენ გადასახადს, სანამ დამფუძნებელი კრება არ შეიკრიბება.

XXVI—ვოლოგდიდან სანდრო კეცხოველის მიერ გულიშამბაროვის სახელზე გამოგზავნილი წერილი. წერილი იწყება ასე: „ძვირფასო ამხანაგო მარუსია. როგორ ცხოვრობთ, როგორ მოეწყვეთ, როგორ ცხოვრობენ ამხანაგები. იწერებით, რომ მაშო (მარიამ კაპანაძე) მუშაობს, ძალიან მოხარული ვარ; დარწმუნებული ვარ, რომ ის იქნება ერთი საუკეთესო მუშაკთაგანი. ჰ..... როგორ არის“. შემდეგ აცნობებს რა რომ გადასახლებული, ის, მოწყენილობას განიცდის. კეცხოველი სწერს: „მაგრამ არა, ჩვენს გატეხას ვერ მოესწრებიან, ბევრი რამ გადავიტანეთ, ცოტას მაინც მოვესწრებით. მე არა მსურს მოწყალება... დღეს თუ არა, ხვალ მაინც დაჭავს ზარი თავისუფლებისა და მაშინ მივეფურთხოთ თვალებში იმათ, ვინც მრავალტანჯულ ხალხს მკაცრად ეკიდება, მანამდე კი მხნედ და ყოჩაღათ იყავით“.

XXVII—იმავე სანდრო კეცხოველის მიერ 1906 წ. 18 ოქტომბრის თარიღით აღნიშნული მარ. გულიშამბაროვის სახელზე გამოგზავნილი წერილი. წერილი ასე იწყება: „გამარჯობა ძვირფასო მარუსია. თქვენი წერილი ქვითართან ერთად მივიღე. შემდეგ კეცხოველი უსაყვედურებს გულიშამბაროვისას, რომ მას განუზრახავს სოც.-დემ. პარტიაში გადასვლა. „როგორ მტკივა გული, როდესაც შენს წერილში შენს გამოურკვეველობას ვკითხულობ,—მაღე ფედერალისტებთან გადავდივარო—იწერები, რას ნიშნავს ეს? ჩემის აზრით ეს ნიშნავს ადამიანის სიჩატეს და თავის დევიზის უპატივცემლობას, ერთი სიტყვით, თავის პროგრამის შეუგნებლობას. მხოლოდ შეუგნებელ ადამიანს შეუძლია ასე ადვილად თავის პროგრამაზე ხელი აიღოს, იაფ-ფასიან ხელსახოცივით თავისი რწმენა გამოიცვალოს. როგორ? პირველ დაბრკოლებისთანავე ღალატი განიზრახე? ჩვენს გზაზე ბევრი ეკალია... ვაშა, ვაშა, თუ მაგნაირი კიბოსებური ნაბიჯით იარეთ—დღეს მიხვალთ ფედერალისტებთან, ხვალ კი კადეტებთან, ზეგ ლიბერალებთან და ღვთის მოწყალებით შეიძლება ბიუროკრატობამდინაც მიაღწიოთ“. შემდეგ სანდრო კეცხოველი დაჟინებით მოითხოვს, რომ მარიამ გულიშამბაროვისა დარჩეს ერთგული სოც.-დემ პარტიისა. გარდა ამისა კეცხოველი იწერება, რომ მან პორფირესგან წერილი მიიღო. გამოსთქვამს, რა მისი ავათმყოფობის გამო

მწუხარებას, სხვათა შორის, ლაპარაკობს: „მაგრამ დიდება და პატივისცემა მას, მე ის არ მებრალება, დეე დალიოს სული". მეექვსე გვერდზე სწერს: „შენ წერილში ძალიან ცოტას იწერები ამხანაგების შესახებ, მაგალითად, რატომ არა იტყობინები მაშოს, გიორგი მაჩაბლის, ვანოს (ძმა) და ბევრის სხვების შესახებ". მეცხრე გვერდზე ლაპარაკობს: „სხვა რაღა მოგწერო, პორფირეს ვერასა ეწერ, პირველ წერილში ის ბევრ რამეს დამპირდა, მაგრამ არაფერი მოწერა.. ნადია ხომ არსად გინახავთ, სად არის მისი მისამართი შემატყობინე... მოკითხვა გადაეცი ბესოს ოჯახობას, არჩილს ჩემს მაგიერად აკოცე". შემდეგ სანდრო კეცხოველი გორის მაზრის უფროსის პოლპოლკოვნიკ რეზანოვის შესახებ ასე სწერს: „მაზრის უფროსი როგორც ვხედავ, თავისი ლიბერალობით გხიბლავს. ეს, მარუსია. მე დარწმუნებული ვიყავი, რომ შენ აღარ შეცდებოდი... მიგითითებ წინადღეს უფრ. ლეონტიევზე, მოიგონე. როგორ გვაჩვენებდა თავს. და როგორი გამოდგა შემდეგში. გთხოვ ჩემს შესახებ, არა თუ მის წინაშე, არამედ არავის წინაშე კრიტი არ დასძრათ. უკეთესი იქნება პორფირეს ჰკითხო, მე უფრო ვერდობი მის გამოცდილებას და შორსმხედველობას, ვიდრე თქვენს შუამდგომლობას... ჰკითხე ვანო მალიევს, მიიღო თუ არა ჩემი წერილი.

XXVIII—დეკემბერი 1906 წ. 1-ლ ნოემბრის თარიღით (№ 90) ვოლოგდიდან გორში გულიამშვილის სახელზე შემდეგი შინაარსის: „არ მინდა ამხანაგს თავი დავანებო, დაწერილებით მომწეროს პორფირემ ვასოს წერილი". და ბოლოს

XXIX—„ვოლოგდიდან" სანდრო კეცხოველის საპასუხო წერილი ვიღაც უცნობის წერილზე, რომელიც იწვევს კეცხოველს გორში პარტიული მუშაობისთვის, მაგრამ კეცხოველი უპასუხებს, რომ მართალია, ის საზოგადოთ ენერგიულად მუშაობს წრეებში, მაგრამ გორში, სადაც სამხედრო წესები არსებობს, ის ვერ იმუშავებს, რადგანაც ეშინია ჩამოხრჩობის ან დახვრეტის.

1906 წ. 29 ნოემბერს გორის მაზრის სოფ. სკრაში პოლიციის უფროსმა დარაჯმა ფალავანდიშვილმა დაატყვევა ვიღაც უცნობი ყმაწვილი კაცი, რომელსაც ეძახდნენ პროპაგანდისტ პეტრეს და რომელიც გამოდგა სილიბისტრო გიორგის-ძე ბახტაძე. პირადი გაჩხრეკის დროს, ჯიბეში ბახტაძეს პირადობის მოწმობის გარდა, აღმოჩენილ იქნა წერილი და უბის წიგნაკი, რომელშიაც მოთავსებული იყო შენიშვნები. ამ შენიშვნებიდან მტკიცდებოდა, რომ ბახტაძე ეკუთვნის ბოროტ-მოქმედ საზოგადოებას, რომელსაც ეწოდება რ. ს. დ. მ. პარ. გორის კომიტეტი.

იმ დოკუმენტებიდან, რომელიც ბახტაძეს ჩამოართვეს, აღმოჩნდა შემდეგი:

1. ნახეთარი ფურცელი ფოსტის ქაღალდი ქართული ტექსტით სხვადასხვა შენიშვნებით და გვარებით, მაგალითად: „ლაზარე მუხაგიშვილმა, სიკო ხალიშვილმა, ზურაბ მახარაძემ სთქვეს, რომ თუ ჩვენ არ ვუთხარით ბოქაულს ამხანაგების დაჭერის შესახებ, სხვა არავინ ეტყოდა... ხაჭარია ბერიძემ თქვა, რომ რადგანაც ჩვენი მოსამართლეები გადაყენეს, ეხლა თვითონ გაარჩიონ... გიგო ღებრიშვილმა სთქვა, რომ გუცას მაგიერად, რომ ხაჭრო უგულოები მოეკლათ უმჯობესი იქნებოდა... გია მურავაშვილმა თქვა, რომ იმას მიეშხრობა, ვინც გაიმარჯვებს".

2. ნაგლეჯ ქაღალდზე ჩამოწერილია ვიღაცა პირების სია ვახნების იმ რაოდენობით, რომელიც თითეულ მათგანს აქვს: დირბის შესახებ ნაჩვენებია: ერთი ბერდანკა, 30 ცალი ვახანი: შემდეგ ბახტაძეს, ჰოჰიკოს, ჩხიკვიშვილს 29; იორდანე მამალაძეს — პროტესტი: თედორე რობაჩიძეს 30; ივანე დოლიძეს—28, 29 და სხვა სულ 13 გვარია.

3. 54 ფურცლიანი უბის წიგნაკი, სადაც შენიშვნებია ქართულ და რუსულ ენაზე. ამ შენიშვნებიდან საყურადღებოა: 1—6 ფურცელზე—„პირველი მოხსენება 8 ოქტომბერს" და შემდეგ ჩამოწერილია გორის მაზრის სოფლები: ტინისხიდი, სასირეთი, სკრა... ბრეთი, წვერი, ქვემო-ხვედურეთი, ზემო-ხვედურეთი; შემდეგ ჩამოთვლილია სია იმ პირთა, რომელთა გვარების პირდაპირ აღნიშნულია ფულის ჯამები—ლექსო ხანიშვილს 1 მან., გიორგი ხანიშვილს 4 მან., ასისთავ ხარაშვილს 4 მან. კიდევ 3 მან., ილიკოს 2 მან. 20 კ. და სხვა. შემდეგ აღნიშნულია მეორე მოხსენება, სადაც ნაჩვენებია ორი სოფელი, ხვედურეთი და ჯადერეთი. ამის შემდეგ ჩაწერილია „რუისელი ნიკო"—1) დაარსდეს სოფლის მრეწველთა კავშირი; ამორჩეულ იქნეს ამ კავშირთა ხელმძღვანელნი. გვარამაძის მკვლელები: ვასო ცერაძე, ლექსო ხანიშვილი, ნიშნის მომცემი (სიგნალისტი) გუკრა"... „სკრა—იაკობ აისორი—ბერდანკა, სანადირო თოფი, რევოლვერი 12... პუნქტი ხიდისთავში ციდისხიდი ვასო ბესტავაშვილის ბაღი, დამფუძნებელი კრება, სამშაბათს 24 ოქტომბერს". მე-26—53 ფურცლებზე მოთავსებულია უცნობ პირთა სია და აღნიშნულია შემოსული და დახარჯული ფულის რაოდენობა: „სვიმონისგან მიეღე 3 მანეთი, გორში მიეღე 3 მანეთი, ვიყიდე შარვალი 6 მან., ტეხურკა 6 მან., ფეხსაცმელები 6 მან., ვალი 15 მან., ჩუსტები 1 მ. 40 კ., წინდები 30 კაპ." შემდეგ აღნიშნულია გორში და ტფილისში ყოფნის დროს თვეები და ამ თვეების რიცხვები—„ტფილისში 30 ნოემბერს, გორში 3 ნოემბერს, გორში 15 ნოემბერს, გორში 22 ნოემბერს, გორში 30 ნოემბერს". შემდეგ ამისთანა შენიშვნებია: „ხულიგანთა ქონების მმართველობა, ტყის საქმე... ყველა ჩამორთმეული მიწები დაუბრუნ-

დეს სოფლის თვითმართველობებს... მემამულეებს არ მიეცეს არაფერი, ჩამოერთვას მათ მიწები და გადაეცეს სამაზრო კომისიას... დირბის წარმომადგენელი შაქრო ლაცაბიძე... კომისია ყველა რაიონებში... 6 რაიონის 40% რაიონში რჩება, დანარჩენი 60% გადაეცემა ცენტრალურ ორგანიზაციას. არჩევნებში მონაწილეობა უნდა მიიღოთ. მაზრის კომისია საერთო და სარაიონო".

გამოძიებამ დაამტკიცა, რომ გულიშამბაროვთან აღმოჩენილი ანგარიშებში ნახსენები: „ვასო დურგალი" არის ქალაქ გორში მცხოვრები დურგალი ვასილ იაკობის-ძე ბედინაძე, იმავე ანგარიშებში მოხსენებული ილიკო მურადოვი არის ილია პეტრეს-ძე მურადოვი, რომელსაც დუქანი აქვს გორში, მოედანზე. სოსო დალაქი—პარიკმახერი იოსებ გიგოს-ძე მახარაშვილი, რომელიც ცხოვრობს სადგურის ახლოს ქალაქ გორში. რაც შეეხება ილია ბარბაქაძეს, რომელიც გულიშამბაროვის ბინის გაჩხრეკის დროს დაატუსაღეს, მოწმის იაკუბატის ჩვენებით გამოირკვა, რომ გვარი ბარბაქაძე მოგონილია და იმას, ვინც ეს გვარი მიითვისა, იაკუბატისი იცნობს, როგორც პავლე მიხეილის-ძე საყვარელიძეს. ეს შემდეგში სხვა საბუთებითაც დამტკიცდა.

სოფ. ხაშურის ვაჭრის გრიგოლ გრძელოვის ჩვენებით დამტკიცდა, რომ პავლე საყვარელიძეს ის იცნობს, როგორც რ. ს. დ. მ. პ. გორის კომიტეტის, ხაშურის რაიონის პროპაგანდისტს, რომელიც 1905 წ. პირველად ნახა სადგურ ხაშურში, სადაც ხსენებული საყვარელიძე კრებებზე ხშირად სიტყვებს წარმოსთქვამდა. ამ მოწმემ თითონ ნახა, როდესაც პავლე საყვარელიძე ერთ-ერთ კრებაზე, სადგურის ახლო სასაფლაოზე სიტყვას ამბობდა, მაგრამ სიტყვები არ გაუგონია და მხოლოდ კრების შემდეგ გაიგო გლეხებიდან, რომ საყვარელიძე ამხედრებდა მათ მემამულეთა წინააღმდეგ. გარდა ამისა, მოწმემ მოიგონა შემთხვევა, როდესაც საყვარელიძე წიფაში დალუპულ ჯარისკაცს—მემანქანის დასაფლავების დროს სიტყვას ამბობდა. ამასთან თავის სიტყვაში საყვარელიძემ ის აზრი გამოსთქვა, რომ განსვენებული მემანქანე მთავრობის რეჟიმის მსხვერპლს წარმოადგენსო.

იმ ცნობიდან, რომელსაც ყვირილის ბოქაული მახარაძე იძლევა სჩანს, რომ საყვარელიძე დაბა ყვირილაში იყო სოციალ-დემოკრატიული ბიუროს წევრი. იყო წითელი რაზმის ხელმძღვანელი, ხალხში მთავრობის წინააღმდეგ პროპაგანდას ეწეოდა და მონაწილეობას იღებდა ტენგინის პოლკის როტის განიარაღებაში, რომელიც სადგურ ყვირილაში მოხდა.

გაბო მაჩაბლის სახელზე მიმართულ წერილის შესახებ, რომელიც გულიშამბაროვის ბინის გაჩხრეკის დროს იყო აღმოჩენილი, მოწმე გაბო მაჩაბელმა აჩვენა, რომ 1905 წ. ნოემბრის დამლევს, ქ.

გორში, ქუჩაში მასთან მივიდა ორი უცნობი პირი და გადასცა ზემოხსენებული წერილი; მაჩაბელმა წერილი წაიკითხა და უთხრა, რომ ფული მას არა აქვს; უცნობმა კაცებმა მისცეს მას სამი დღის ვადა და წავიდნენ. სამი დღის შემდეგ მაჩაბელი შემთხვევით ილია მურადოვის დუქანში შევიდა და ხსენებული წერილი მურადოვს წაკითხა. მურადოვმა წერილი წაიკითხა და ჯიბეში ჩაიდო, ხოლო მაჩაბელს უთხრა ფული არ უნდა გადაიხადოო.

კვლევა-ძიების დროს დაკითხული მოწმეების ჩვენებებიდან (ზაზუნოვი, ხარატოვი, ალიხანოვი, ბაინდუროვი და სხვების მიერ) დამტკიცებულია, რომ 1905 წ. გორის მცხოვრებთა უმრავლესობა მიემხრო რ. ს. დ. მ. პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციას, რომლის წევრები ეწეოდენ პროპაგანდას და ავრცელებდენ თავის აზრებს ქალაქში და სოფლებში, ამასთან ორგანიზაციის მოთავედ ითვლებოდა სანდრო კეცხოველი; იგივე კეცხოველი და აგრეთვე მესროპ მარუტოვი, ალექსანდრე ქიტიევი, გიორგი ზანგურიძე, გიორგი ამირაგოვი, ზაქარია ჩარუევი, ვასილ მუჩაიძე, ნესტორ კერეჩოვი, მარიამ გულიაშვილი, მარიამ კაპანაძე, პორფირე ეფრემიძე, იოსებ მახარაშვილი, (იგივე სოსო დალაქი) და ილია მურადოვი აწყობდენ კრებებს, რომელზედაც ამბობდენ მთავრობის საწინააღმდეგო სიტყვებს და ერთხელ ამისთანა კრებაზე შეიარაღებისთვის ფულის მოგროვების დადგენილებაც კი გამოიტანეს. ამასთან 1905 წ. ნოემბერში და დეკემბერში მარუტოვი, ამირაგოვი, ჩარუევი, მუჩაიძე, კერეჩოვი, კეცხოველი და გიორგი ზანგურიძე მიდიოდენ, როგორც ზემოდ დასახელებულ მოწმეებთან, ისე სხვებთანაც და ბოიკოტის დამუქრებით, იარაღისთვის ფულს მოითხოვდენ და როდესაც ფულს მიიღებდენ, იძლეოდენ რაღაც ბეჭდით შემოწმებულ ქვითარს. დაკითხვის დროს მოწმე რომანოვმა წარმოადგინა ქვითარი № 2—1905 წ. 25 ნოემბრის თარიღით აღნიშნული, რომელიც ტფილისის კომიტეტის გორის რაიონის ქართული ბეჭდით იყო დამოწმებული, რა ქვითარიც 100 მანეთის გადახდის შემდეგ თავის მოსაშახურის, ზაქარია შარუბაშვილის ხელით მიიღო. შარუბაშვილის სიტყვით, ფულისთვის რომანოვთან მოვიდა ნესტორ ქერეჩაშვილი, რომელსაც თან ახლდა ვიღაც უცნობი კაცი და რომანოვის დავალებით გადასცა ამ ქერეჩაშვილს 100 მანეთი, რის შემდეგ ქერეჩაშვილმა ნისია მას ქვითარი, რომელიც რომანოვს გადასცა. ქვითარი № 2 გამოდგა ამოხეული იმ წიგნაკიდან, რომელიც 1906 წ. 13 ნოემბერს, სხვა დოკუმენტთა შორის გულიაშბაროვის ბინაზე იყო აღმოჩენილი.

მოწმე ილია შოშიაშვილმა დაადასტურა, რომ 1905 წ. დეკემბრის დასაწყისში მასთან მივიდა ორი კაცი და რ. ს. დ. პ. გორის კომიტეტის ბიუროს კრებაზე მიიპატიჟეს; შოშიაშვილს წასვლა არ

უნდოდა, მაგრამ, როდესაც ის უცნობი პირები მასთან მესამეჯერ მივიდენ, იძულებული გახდა ბიუროში წასულიყო, სადაც დახვდენ ნესტორ ქერეჭაშვილი, სანდრო კეცხოველი, მარიამ გულიშამბაროვისა, გიგო ზაზუნოვი, გიორგი ზანგურიძე, პორფირე ეფრემიძე, შაქრო ჩარუევი, ამირაგოვი, ილიკო მურადოვი, სოსო დალაჩი და სხვები, რომელთაც გამოუცხადეს, როგორც მას, ისე სხვა ბევრ მოპატიჟებულ პირებს, რომ შეიარაღებისთვის საჭიროა მოიკრიფოს ფული, თანახმად იმ დანაწილებისა, რომელიც რამდენიმე დღის წინეთ დაადგინეს. ამის შემდეგ ქერაჭაშვილმა წაიკითხა სია იმ პირებისა, რომლებისთვის ფული უნდა გამოერთმიათ. შოშიაშვილს წარუდგინეს გულიშამბაროვის ბინაზე აღმოჩენილი დადგენილება შეიარაღების აუცილებლობის შესახებ იმ მიზნით, რომ მთავრობასა და ხულიგანებს ებრძოლონ. დადგენილებაში ჩამოთვლილია 66 კაცი იმ ჯგუფის აღნიშვნით, რომელიც თვითეულმა მათგანმა უნდა გადაიხადოს. ამ დადგენილებაში შოშიაშვილმა იცნო სწორედ ის აქტი, რომელიც ქერეჭაშვილმა გამოაცხადა. ამას შოშიაშვილმა დაუმატა, რომ იმავე კრებაზე ბებიაშვილის სახლში, სადაც მან სხვათა შორის მარიამ კაპანაძის ქალი ნახა, მას მოსთხოვეს 300 მან., მაგრამ მისცა მხოლოდ ასი (100) მანეთი და მიიღო მარუტოვისგან ქვითარი, რომელიც ამ უკანასკნელმა საჩქარო წიგნაკიდან ამოხია.

მოწმე ალექსანდრე შახინოვის ჩვენებით, 1905 წ. მიწურულში ქალ. გორში, თანახმად გორის სოც. დემოკ. ორგანიზაციის გადაწყვეტილებისა, ადგილობრივ მცხოვრებთაგან ჰკრეფდენ ფულებს მესროპ მარუტოვი, ამირაღოვი, ჩარუევი, ზანგურიძე და კეცხოველი. ამასთან განზრახული იყო მოკრეფილი ფულის დახარჯვა იარაღის შესაძენად იმ მიზნით, რომ თათრებისაგან მოსალოდნელი დაცემისგან თავი დაეცვათ; ზემო დასახელებულმა პირმა შიხინოვისაგან 150 მ. წაიღეს ორგზობად. ფულის მიღების დასამტკიცებლად მურადოვმა მისცა ქვითარი, რამოდენიმე ხნის შემდეგ მასთან, შიხინოვთან, მივიდნენ იგივე პირები და საფულე კასის უქონლობის ჭგამო, სთხოვეს აკრეფილი ფულების შენახვა, შემდეგ იგივე მოწმე შიხინოვი მიწვეულ იქმნა ვასილ მუჩაიძის ბინაზე, სადაც იმ პირთაგან, რომელთაც ფული გადაიხადეს რამდენიმე კაცი დახვდა. ამ პირებმა სთხოვეს შიხინოვს მიბარებული ფულისაგან 600 მან. გადაეცა ვასილ მუჩაიძისთვის იარაღის შესაძენად, რაც მან, შიხინოვმა შეასრულა, დანარჩენი ფული, 1971 მან. რომელიც მას კასაში ჰქონდა, შემდეგ მაზრის უფროსს გადასცა. იმავე მოწმის სატყეოთ ერთ კრებაზე, სადაც თათრებისგან მოსალოდნელ თავდასხმის მოგერების შესახებ იყო ლაპარაკი, მარიამ გულიშამბაროვისა საჭიროდ აღიარებდა, რომ ხალხი უნდა შეიარაღდეს თვითმპყრობელობასთან საბრძოლველად და „დემოკრა-

ტიული რესპუბლიკისათვის". ამნაირივე ხასიათის სიტყვებს ამბობდა პორფირე ეფრემიძე, რომელიც ჩვეულებრივად ნიშნავდა კრებებს და აყენებდა კრებაზე გასარჩევ საკითხებს.

როდესაც ილია მურადოვის, ვასილ ბედინაძის და იოსებ მახარაშვილის ნამდვილი ხელთნაწერი შეადარეს იმ ხელთნაწერებს და ანგარიშებს, რომელიც გულიშამბაროვის ბინაზე აღმოაჩინეს, ექსპერტები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ 1906 წ. 16 ივნისის თარიღით ზემო წერილების შესახებ აღნიშნულ მოწოდებაზე, ქართულად დაწერილი შენიშვნები ეკუთვნის მურადოვს და მის მიერვე შევსებულია 4 ფულის მოსაკრეფი ფურცელი სათაურით: „გორიდან გადასახლებულთა სასარგებლოდ". ამასთან ეს სათაური დაწერილი თითეულ ფურცელზე ეკუთვნის ვასილ ბედინაძეს, რაც შეეხება სოსო დალაქის 4 ფურცლიან ანგარიშს ქართულ ენაზე, ამ ანგარიშის მესამე ფურცელი იოსებ მახარაშვილის მიერ არის შევსებული.

1907 წელს 11 იანვარს ქალ. ტფილისის მე-9-რე უბნის ზედამხედველმა იზედბსკიმ იმავე უბნის ბოქაულის მინდობილებით გაჩხრიკა მარიამ კაპანაძის ორი ბინა—მინკვიცევის ქუჩაზე გაგლოვების სახლში და აჯამეთის შესახვევში № 6; უკანასკნელ ბინაზე აღმოჩენილ იქნა აუარებელი არალეგარული ლიტერატურა და პასპორტის შეუვსებელი ბლანკები. მოწმე ნინო ბადრიძის ჩვენებით და აგრეთვე გაგლოვების და ბადრიძის სახლების წვრნების დათვალიერებით დამტკიცებულია, რომ მარიამ კაპანაძის ქალს ქალ. ტფილისში ჰქონდა ორი ბინა, რომელთაგან უკანასკნელი ბადრიძის სახლში იქჭრავა 1906 წ. დეკემბრის პირველ რიცხვებში, მაგრამ ბარგი არ გადაუტანია. მოწმე იზედბსკიმ აჩვენა, რომ მაშო კაპანაძე მან დაიჭირა 11 იანვარს იმ დროს, როცა ის შევიდა ბადრიძის სახლის ეზოში. დაჭერის დროს კაპანაძეს აღმოაჩნდა პასპორტის ორი ბლანკი. ორი დანარჩენი აღმოაჩნდა ბინაზე არალეგალურ ლიტერატურაში.

კვლევა-ძიების დროს გამოირკვა, რომ მაშო კაპანაძის ბინაზე აღმოჩენილი ლიტერატურა იყო შემდეგის შინაარსის: 1) 153 ეგზემპლიარი რუსულ ენაზე, 40 ქართულზე და 64 სომხურზე დაწერილი მოწოდება სათაურით „ქ. ტფილისის ყველა მოქალაქეთა მიმართ", დაბეჭდილი რ. ს. დ. მ. პ. ტფილისის კომიტეტის სტამბაში.

აღნიშნული პროკლამაცია მოწოდებს მოქალაქეებს მთავრობასთან შეიარაღებული ბრძოლისაკენ; „მთავრობასთან, რომელიც ხულიგანური სათათბიროს საშუალებით ცდილობს ჩვენი ბრძოლის შედეგები არარად აქციოს". მოწოდების ავტორი აღნიშნავს რა იმ გარემოებას, რომ ხალხის წარმომადგენელთა დაუდასტურებლად, არც ერთი უცხოელი ბანკირი რუსეთს კრედიტს არ გაუხსნის, ურჩევს მოქალაქეებს სახელმწიფო სათათბიროში გაგზავნონ ისეთი დეპუტატე-

ბი, რომელნიც ხალხის ინტერესებისათვის თავგანწირულად იბრძოლებენ.“

2) 1906 წ. 10 ნოემბ. თარიღით აღნიშნული იმავე კომიტეტის ოცი ეგზემპლიარი მოწოდება რუსულ ენაზე, 54 ქართულზე და 17 სომხურზე სათაურით“—საარჩევნო ბრძოლის შესახებ. მოწოდების ავტორი შენიშნავს იმას, რომ მთელ იმპერიაში მთავრობასთან საარჩევნო ბრძოლაა გამართული, და მთავრობაც ცდილობს შექმნას ხელოვნური სათათბირო, რომ ხალხიც თავის მხრივ, უნდა ცდილობდეს სათათბიროში რევოლიუციონურ დეპუტატების გაყვანას. სხვათა შორის ლაპარაკობს, რომ სოციალ-დემოკრატიის წითელი დროშის ქვეშ ქალაქის და სოფლის პროლეტარიატი თავისუფლების მოსაპოვებლად დგანან მებრძოლთა პირველ რიგებში. სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელობით მთელი მშრომელი ხალხი აღდგება თვითმპყრობელ ბიუროკრატიის წინააღმდეგ და მეფის დამპალ ტახტს დაამხერევს“.

3) 1906 წ. ნოემბრ. თარიღით აღნიშნული ხუთი რუსულ ენაზე, 37—ქართულზე და 68—სომხურზე და ამიერ-კავკასიის ს. დ. მ. პარტიის მიერ დაბეჭდილი მოწოდება სათაურით—„რუსეთის საერთო კონფერენციის შესახებ. ამ მოწოდებაში მოყვანილია რ. ს. დ. მ. პარტიის კონფერენციის რეზოლიუცია საარჩევნო კომისიაში პარტიის ტაქტიკის შესახებ. კონფერენცია, როგორც ეს მოწოდების შინაარსიდანაც სჩანს, მოხდა 1906 წ. ნოემბრის დასაწყისში. რეზოლიუციის ცალკე პუნქტებიდან ყურადღებას იპყრობს შემდეგი: ა) რაც შეიძლება ფართედ გავრცელდეს რევოლიუციონური სოციალ-დემოკრატიის პროგრამა; ბ) განემარტოს მასსებს, რომ ის ბრძოლა ხელისუფლებისათვის, რომელიც მთავრობასა და ხალხს შორის არსებობს, მშვიდობიანად არ გათავდება; რეაქციის კონტრ-რევოლიუციონური პლანები უნდა გაქარწყლდეს... და მასსების პოლიტიკური აქტივობა უნდა გაიზარდოს“.

4) 1906 წ. 4 ნოემბ. თარიღით აღნიშნული, 19 ეგზემპლიარი რუსულ ენაზე და 34 სომხურზე იმავე პარტიის საოლქო კომიტეტის მიერ დაბეჭდილი მოწოდება სათაურით: „წერილი საარჩევნო კამპანიის შესახებ პარტიული ორგანიზაციების მიმართ“. ამ მოწოდების შინაარსი შეეხება არჩევნებს მეორე სახელმწიფო სათათბიროში. ამასთან პარტიის ყველა ორგანიზაციებს წინადადება ეძლევა შეადგინონ სია თავიანთ ამრჩევლებისა და მიიღონ ყოველივე ზომები, რომ სათათბიროში თავის პარტიის ხალხი გაიყვანონ; ამ მიზნის განსახორციელებლად საჭიროა გაიგზავნოს ყველგან პროპაგანდისტები, აგიტატორები და სააგიტაციო ლიტერატურა, რათა, პროლეტარიატის ინტერესებისთვის მთავრობის პლანები ჩაიფუშოს და სა-

თათბირო რევოლიუციის განვითარების და გაძლიერების იარაღით გადაიქცეს.

5) 506 ცალი რუსულ ენაზე, 150 ქართულზე და 116 სომხურზე იმავე კომიტეტის მიერ გამოცემული ბროშიურა, სათაურით: „ცნობები ამიერკავკასიის სოც. დემ. მ. პარ. ორგანიზაციების მე-4-ე მთრიგ ყრილობის შესახებ. ბროშიურის ავტორი აღნიშნავს რა რამოდენიმე სიტყვით ყრილობის შედეგებს, როგორც ყველა ადგილობრივი ორგანიზაციების გამაერთიანებელ მომენტს, სხვათა შორის, ლაპარაკობს, რომ ყრილობა მოხდა რუსეთის რევოლიუციის ერთ უმნიშვნელოეს მომენტში, როდესაც თვითმპყრობელობის ძალები დღითი-დღე დნებიან...“ ახლოვდება გადამწყვეტი ბრძოლის დღე... დღე პურუფუაზიული წყობილების, რომ ამ საქმეში ავ. კავკ. სოც. დემოკრატია. თვალსაჩინო აქტიურ როლს ითამაშებს. შემდეგ 10 ცალკე მუხლებში გარჩეულია მთავრობასთან მოსალოდნელი ბრძოლის ტაქტიკა; ყრილობა აუცილებლად სთვლის, რომ მომავალი სათათბირო ბრძოლის მთავარ პუნქტათ გადაიქცეს, რათა მოკლე ხანში დამფუძნებელი კრება იქნეს მოწვეული, რისთვისაც რევოლიუციონური გამოსვლებისათვის, ნიადაგი მომზადდეს. ყრილობა წინადადებას აძლევს პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციებს გაატარონ ბოიკოტი მობილიზაციის და გადასახადების წინააღმდეგ, რათა ხალხის მასსებმა და გლეხობამ ბრძოლაში მონაწილეობა მიიღონ... ეს ბოიკოტი ნიადაგს აცლის თვითმპყრობელობის ფინანსიურ ძალებს და ასუსტებს მის ძლიერებას“. ბროშიურის მე-14 გვერდზე მოთავსებულია ყრილობის რეზოლიუცია, სადაც, სხვათა შორის, ნათქვამია, რომ თეთრი ტერორის წინააღმდეგ, რაც სამხედრო საველე სასამართლოებში გამოიხატება, განზრახულია ტერორისტული მოქმედების გაძლიერება;

6) 358 ცალი მოწოდება რუსულ ენაზე სათაურით—„წერილი პარტიულ ორგანიზაციებისადმი“; ამ მოწოდებაში ავტორი ლაპარაკობს, რომ საარჩევნო სიები უკვე შედგენილია და დროა შევუდგეთ საარჩევნო აგიტაციას, რაც თითეული მუშის მოვალეობას წარმოადგენს; მოწოდება დაბეჭდილია 1906 წ. დეკემბერში იმავე საოლქო კომიტეტის სტამბაში.

7) ერთი ცალი № 1. 1906 წ. 31 აგვისტოს თარიღით აღნიშნული, ტფილისის სოც. დემ. პარ. კომიტეტის სამხედრო ორგანიზაციის ორგანო—„ხმა ჯარისკაცებს“, სადაც, სხვათა შორის, მოუწოდებენ ჯარისკაცებს აჯანყებისკენ;

8) 1906 წ. ოქტომბრის თარიღით აღნიშნული 6 ცალი იმავე პარტიის ორგანო № 2 ჟურნალი „სოციალდემოკრატი“, სადაც მოთავსებულია მოწინავე წერილი ვიბორგის მოწოდების შესახებ, რომელსაც ავტორის აზრით სასურველი შედეგი არ მოჰყოლია მხოლოდ

იმიტომ, რომ ეს მოწოდება გამოუშვეს იმ დროს, როცა მის შესაფასებლად ხალხი ჯერ კიდევ არ იყო მომზადებული;

9) სოც. დემ. პარ. ტფილისის კომიტეტის მიერ 1906 წ. 21 დეკემბრის თარიღით გამოცემული ერთი და იგივე შინაარსის მოწოდება ქართულ ენაზე 108 ც. და სომხურზე 116, რომელიც მოუწოდებს გლეხკაცობას, რომ ზომები მიიღონ, რათა მეორე სათათბირო შემადგენლობა რევოლიუციონური გამოდგეს, რომ მთავრობის გეგმის ჩასაფუშავად მათ გაგზავნონ სათათბიროში თავისუფლებისათვის ნამდვილი მებრძოლნი.

გარდა ამისა პოლიციამ ჩამოართვა კაპანაძის ქალს 4 პასპორტის ბლანკი, რომელთაგან ერთზე დასმულია გორის მაზრის, ხიდისთავის რაიონის სასოფლო სამმართველოს ბეჭედი; ორზე—ქარელის სოფლის საზოგადოების მამასახლისის ბეჭედი; —ერთს, ყვითელი ფერის ბლანკს, ბეჭედი არ აზის.

საქმიდან სჩანს, რომ ზემოდ დასახელებულ პირთაგან ალექსანდრე კეცხოველი, მესროპ მარუტოვი, ალექსანდრე ჭიტიევი, გიორგი ზანგურიძე, გიორგი ამირაგოვი, ზაქარია ჩარუევი და ვასილ მუჩაიძე ტფილისის სამოსამართლო პალატის მიერ უკვე პასუხის გებაში არიან მიცემულნი, როგორც რუსეთის სოც. დემოკ. მ. პარ. გორის კომიტეტის წევრები და ბრალი ედებათ იმაში, რომ იმ მიზნის განსახორციელებლად, რომელიც ამ პარტიას აქვს დასახული 1905 წ. ნოემბერში და დეკემბერში აგროვებდენ ფულებს.

რაც შეეხება გადამალულ ნესტორ ქერეჭაშვილს, გიორგი ზაზუნოვს და ალექსი მეტრეველს, რომელთაც ბრალი ედებათ იმავე ბოროტ-მოქმედების ჩადენაში, თბილისის სამოსამართლო პალატას წინადადება აქვს მიცემული, რომ მათ შესახებ ცალკე იქონიოს მსჯელობა.

ამიტომ პასუხის გებაში არიან მიცემულნი, როგორც წევრნი ზემოთ აღნიშნული საზოგადოებისა—მარიამ გულიშამბაროვისა, ილია მურადოვი, იოსებ მახარაშვილი, ვასილ ბედიანიძე, პაველ საყვარელიძე, მარიამ კაპანაძის ქალი, სილიბისტრო ბახტაძე, პორფირე ეფრემიძე და თანახმად ბახტაძის განმარტებისა ოლია სოლოღაშვილის ქალიც; უკანასკნელი ორი— ეფრემიძე და სოლოღაშვილის ქალი გადაიმალენ და, მიუხედავათ მიღებული ზომებისა, ვერსად აღმოაჩინეს.

დანარჩენებმა თავი დამნაშავედ არ იცნეს და აჩვენეს შემდეგი:

გულიშამბაროვისამ:—რომ იმ დოკუმენტების შესახებ, რომელიც მის ბინაზე აღმოაჩინეს, არავითარი ჩვენების და ახნა-განმაოტების მიცემა არ სურს.

მურადოვმა:—რომ გორში არის ერთი დუქანი სახელწოდებით — „ილიკო", რომელიც მას ეკუთვნის არავითარი დამოკიდებულება გო-

რის კომიტეტთან. მას არა. ჰქონია და არც ერთ ამ კომიტეტის წევრს არ იცნობს.

მახარაშვილმა:—რომ მას როგორც პარიკმახერს, სოსო დალაქს ეძახიან. 1905 წ. ის დადიოდა კრებებზე, რომელიც ღიად ხდებოდა, სადაც მისი ნაცნობი გულიშამბაროვისა წარმოსთქვამდა რაღაც სიტყვებს რუსულ ენაზე, მაგრამ რას ლაპარაკობდა, რუსული ენის უცოდინარობის გამო, არ ესმოდა. გორის კომიტეტისთვის ფულს არ აგროვებდა და არავითარი ანგარიში ამის შესახებ არ შეუდგენია; ამიტომ არ შეუძლია ახსნას რანაირად მოხდა იმ დოკუმენტში, რომელიც გულიშამბაროვის ბინაზე აღმოაჩინეს, ანგარიში, რომელზედაც აწერია—„სოსო დალაქის ანგარიში". გარდა ამისა არც ის შეუძლია ახსნას, თუ რათ იხსენიებენ მას სხვადასხვა საბუთებში, რომელიც იმავე გულიშამბაროვის ბინაზე იქნა აღმოჩენილი.

ბედიანიძე:—რომ პროფესიით ის მართლა დურგალია, 1901 წ. მუშაობდა გორში ახზანავის სახელოსნოში, უკანასკნელად კი ლეჟან ჩანიშვილთან, გორში სამი „ვასო" სტალარია. არავითარი დამოკიდებულება გორის კომიტეტთან არა აქვს და გულიშამბაროვისას არ იცნობს.

მარიამ კაპანაძის ქალმა—რომ ის რწმენით ეკუთვნის სოც. დემ. პარტიას, მაგრამ არავითარ კომიტეტში გულიშამბაროვასთან ერთად მონაწილეობა არ მიუღია; თბილისში მინკვიციევის ქუჩ. გაგლოევის სახლში იქირავა მან ბინა 1906 წელს, შემოდგომაზე, სადაც ფიქრობდა ეგზამენებისთვის მომზადებულიყო, მაგრამ მისი დის ნადეჟდას ჩამოსელის შემდეგ, ეს ბინა მან თავის დას გადასცა, ხოლო მეორე ბინაზე, ბაღდოძის სახლში, ამხანაგის თხოვნით გადავიდა, რომელი ამხანაგის დასახელება კაპანაძემ არ მოისურვა; ამხანაგმა ქალმა სთხოვა შეენახა სოც. დემ. პარტიის მიმართულების ლიტერატურა, რაზედაც მაშო კაპანაძემ თანხმობა განაცხადა.

საყვარელიძემ—წინეთ, სანამ მას გულიშამბაროვის ბინაზე დაიჭერდენ, იყო სოფ. ყვირილაში, საიდანაც ხანგამოშვებით, თავის პირადი საქმეების გამო ქუთაისში მიდიოდა ხოლმე; სადგურ ხაშურში და იმავე სოფ. ხაშურში არასოდეს არ ყოფილა; 1906 წ. 13 ნოემბერს წამოვიდა ქალ. ტფილისში, სადაც უბუშევარ ინტელიგენტთა დახმარებით, რაიმე სამუშაო უნდოდა უშოვნა; მატარებელში ის გამოელაპარაკა ვიღაც უცნობ კაცს, რომელმაც ურჩია დარჩენილიყო გორში და მიეშართა გულიშამბაროვისათვის, რომელსაც გაეცნო აქვს გორში და შეუძლია რაიმე საქმეში დააყენოს. იმავე დღეს, 13 ნოემბერს, მოძებნა და ნახა გულიშამბაროვის ბინა, მაგრამ მისვლის 3—4 წუთის შემდეგ დააპატიმრეს; რადგანაც პირადობის მოწმობა თან არა ჰქონდა, ისარგებლა იმ პასპორტით, ილია ბარბაქაძის სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელზე, რომელიც შემთხვევით იპოვნა ხაშურის სადგურზე. ხაშურში-ვე ხელი მან მოაწერა.

ბახტაძე—რომ უკიდურესმა გაჭირვებამ აიძულა გორის სოც.-დემ. პარ. კომიტეტის წევრათ შესულიყო. ეს ასე მოხდა 1906 წ. ნოემბერში. დაჰკარგა რა იმედი რაიმე სამუშაოს შოვნისა, მან, ბახტაძემ, გადასწყვიტა მომავალ გაზაფხულამდე ქუთაისის გუბერნიაში დარჩენილიყო, საიდაც გადასწყვიტა წასულიყო გორის მაზრის სოფ. ბრეთიდან; ერთხელ ამ სოფელში, უქმე დღეს, მოვიდა ორი ვიღაცა უცნობი პირი, რომელთაც მოიწვიეს მოსახლეობა კრებაზე მოწყობა, მაგრამ, რადგანაც იმ დღეს სოფელში ცოტა ხალხი იყო, კრება არ შესდგა. ამ უცნობმა პირებმა, რომელთა გვარი მან შემდეგ გლეხებისაგან გაიგო, წასვლის დროს გაიგეს რა მისი უმწეო მდგომარეობა, შესთავაზეს ადგილობრივ სოც. დემ. ორგანიზაციაში შესულა და მუშაობა, რისთვისაც დაჰპირდენ ყოველთვიური ჯამაგირს. ერთს მათგანს ერქვა გიგო კიკნაძე, ხოლო მეორეს—მიხო ფციელი. როდესაც ბახტაძემ ამ წინადადებაზე თანხმობა გამოაცხადა, ხსენებულმა კიკნაძემ და ფციელმა მიიპატიჟეს გორში სასტუმრო „კავკაზში" დილის 11 საათზე. დანიშნულ დროზე, რა დღე იყო არ ახსოვს, ბახტაძე მივიდა სასტუმრო „კავკაზში", სადაც ერთ-ერთ ცალკე ოთახში დახვდა ის ორი კაცი—კიკნაძე და ფციელი და კიდევ ვიღაც სამი უცნობი პირი, რომელთა გვარი და სახელი მხოლოდ შემდეგ გაიგო:—ნესტორ ქერეჭაშვილი, სურამელი რიტა და ვიღაც პორფირე. გიგო კიკნაძემ წარუდგინა რა იმ უცხო პირებს ბახტაძე, სხვათა შორის, სთქვა: სასურველია, რომ ეს კაცი სოფ. ბრეთის ახლო სათაობირო საარჩევნო კამპანიის მოსაწყობათ დაინიშნოს; შემდეგ დაიწყეს მოხსენებების წაკითხვა თავიანთი მუშაობის შესახებ. ამ მოხსენებებიდან მან გაიგო, რომ კიკნაძე ყოფილა გორის ს. დ. პ. კომიტეტის გომის რაიონის პროპაგანდისტი, ხოლო ფციელი—ქარელის, ქერეჭაშვილი—ატენის, სურამელი რიტა—სურამის და პორფირე—გორის რაიონის; ისინი ლაპარაკობდენ, რომ კრებებზე უხსნიდენ გლეხებს, თუ როგორი წესით უნდა მოხდეს არჩევნები სახელმწიფო სათაობიროში და არწმუნებდენ, რომ აერჩიათ სოც. დემ. პარტიის მომხრე ამრჩეველები. იმავე პირების ლაპარაკიდან ბახტაძემ გაიგო, რომ გორის კომიტეტი დაყოფილია 11 რაიონად: მეჯვრისხევის, სადაც პროპაგანდისტათ არის ვინმე გიგო ჯაბაიშვილი, ახალქალაქის, ბორჯომის, ხაშურის, ატოცის. პროპაგანდისტათ იყო ვიღაც პაველე საყვარელიძე. უკანასკნელი გარემოების შესახებ, ე. ი., რომ ხაშურის რაიონის პროპაგანდისტათ იყო პაველე საყვარელიძე, მან ბახტაძემ გაიგო ერთ კრებაზე, სადაც ლაპარაკობდენ, რომ ხაშურის რაიონის პროპაგანდისტი გულიშამბაროვის ბინაზე დაიჭირესო; თვით საყვა-

რელიძისაგან ბახტაძემ ეს ამბავი ციხეში გაიგო, სადაც გაიგო აგრეთვე გულიშამბაროვის დაჭერა და მის ბინაზე ყველა სარაიონო ბეჭდების აღმოჩენა; როდესაც ბახტაძე მიიღეს და პროპაგანდისტათ დანიშნეს, მაშინვე სახელი შეუცვალეს და უწოდეს „პროპაგანდისტი პეტრე". შემდეგ კიკნაძემ მისცა მას 3 მანეთი და სათანადო მოწმობა, რომელზედაც ასე დააწერა: „ეს კაცი სოც. დემ. პარტიის წევრია". გარდა ამისა ბახტაძემ აჩვენა, რომ 27 ნოემბერს გორში ქალაქ გარედ დანიშნული იყო კრება, რომელსაც უწოდებდენ „დამფუძნებელს," რადგანაც ამ კრებაზე უნდა გამოეტანათ დადგენილება გორის კომიტეტის დაარსების შესახებ. ამ კომიტეტმა 1906 წ. იანვარში, როდესაც რეაქცია გაძლიერდა, თავის მოქმედება თითქმის შესწყვიტა. ამ კრებას 200 კაცამდე დაესწრო; პროპაგანდისტები ლაპარაკობდენ სიტყვებს და უხსნიდენ ხალხს, რომ სოც. დემ. პარტია იბრძვის მისთვის, რომ რუსეთში დემოკრატიული რესპუბლიკა დამყარდეს, რომ სტამბის გამგებლობისთვის, იარაღის შესაძენად და შესანახად, რაც აუცილებელია საერთო შეიარაღებულ აჯანყებისათვის, საჭიროა კომიტეტის ტეხნიკური ნაწილის მოწყობა; გარდა ამისა კრებები ინიშნებოდა ილიკოს დუქანში, სადაც 1906 წ. ნოემბრის უკანასკნელ რიცხვებში სხვებთან ერთად ის, ბახტაძეც, დაესწრო. ამ კრებაზე კიკნაძე უხსნიდა გლეხებს, რომ საჭიროა არჩეულ იქნეს სოც. დემ. მოძღვრობის მომხრენი; ჯამაგირებს პროპაგანდისტებს აძლევდა ვიღაც პორფირე, რომელიც გულიშამბაროვის ბინაზე ცხოვრობდა, სადაც ფულის მისაღებად ბახტაძეც მივიდა. ოთახში შეიპატიჟა თვითონ გულიშამბაროვამ, გამოიხმო პორფირე, რომელმაც უთხრა ბახტაძეს—დავნიშნავ კრებას, რომელზედაც უნდა გაირჩეს შენი ჯამაგირის საკითხი, მანამდე კი ფულს ვერ მოგცემო; გორის კომიტეტის ბიურო მოთავსებული იყო გულიშამბაროვის ბინაზე, ფულის კასა—ილიკო მედუქნესთან, სადაც კიკნაძემ ერთხელ მისცა მას 3 მან. ეს სამი მანეთი კიკნაძემ ილიკო მედუქნეს გამოართვა; უბნის წიგნაკი, რომელიც გაჩხრეკის დროს აღმოაჩნდა, ეკუთვნის არა მას, ბახტაძეს, არამედ—კიკნაძეს.

თანახმად ზემოაღნიშნულისა, ტფილისის გუბერნიის ახნაურის მეუღლეს მარიამ მიხეილის ასულ გულიშამბაროვისას, 25 წლისა, ქალ. გორის მდაბიო მოქალაქეს ილია პეტრეს-ძე მურადოვს, 25 წლ., გორის მაზრის სოფ. ურბნისას და ვარიანის გლეხებს—იოსებ გიგოს-ძე მახარაშვილს, 30 წლ., და ვასილ იაკობის-ძე ბედიანიძეს, 21 წლ., მიარიამ კაპანაძის ასულს 20 წლ., ქუთაისის გუბერნიის ახნაურს პავლე მიხეილის-ძე საყვარელიძეს, 21 წლ., და სოფ. ხონის გლეხს სილიბისტრო გიორგის-ძე ბახტაძეს 20 წლ. ბრალი ედებათ იმაში, რომ

1905 წ. დამლევს და 1906 წელში მონაწილეობას იღებდენ საზოგადოებაში, რომელმაც მიითვისა რ. ს. დ. მ. პარტიის გორის კომიტეტის სახელი და მეფის წყობილების დანგრევა და მის ნაცვლად დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარება, რისთვისაც გორის მაზრაში ადგილობრივ მცხოვრებთა შორის აგროვებდენ ფულს, რომელსაც ხარჯავდენ იარაღის შესაძენად, მილიციონერების და პროპაგანდისტების ჯამაგირებისათვის და სხვა..

გარდა ამისა, გულიშამბაროვისას ბრალი ედება აგრეთვე იმაშიაც, რომ 1906 წ. ნოემბერში ჰქონდა თავის განკარგულებაში და თავისსავე ბინაზე რ. ს. დ. მ. პარტიის გორის კომიტეტის 9 მეტედი და აღნიშნული წლების ფულის შემოსაელის და გასავლის ანგარიშები, ორი საჩეკო ფულის მოსაკრეფი წიგნაკი და ფულის მოკრეფის და საზოგადოების მომავალი მოქმედების შესახებ დაწერილი გეგმა; მურადოვი, მახარაშვილი და ბედიანიძე — ადგენენ ანგარიშებს ფულის მოკრეფის და დახარჯვის შესახებ; ბედიანიძე და ბახტაძე — ითვლებოდენ პროპაგანდისტებათ და გორის მაზრის სოფლებში საჯაროდ წარმოსთქვამდენ სიტყვებს, რომლითაც მოუწოდებდენ მთავრობის წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლისაკენ დემოკრატიული რესპუბლიკის დასამყარებლად და კაპანაძე—1907 წ. იანვარში თავის ბინაზე ინახავდა რ. ს. დ. მ. პარტ. მიერ გამოცემულ დიდძალ ბროშიურებს, რომელნიც დემოკრატიული რესპუბლიკის დასამყარებლად მოუწოდებდენ შეიარაღებული აჯანყებისაკენ. ეს ბოროტ მოქმედება გათვალისწინებულია სისჯ. დებ. 51 და 126 მუხ. 1-ნაწ., ამიტომ თანახმად სისხ. სამართ. საქმ. წარმ. წესდ. 1032, 2 მუხ., ხსენებული ბრალდებულების საქმე გასარჩევად უნდა გადაეცეს თბილისის სასამართლო პალატას წოდებათა წარმომადგენლების მონაწილეობით.

შედგენილია 1907 წ. 30 მაისს ქ. ტფილისში.

ტფილისის სასამართლო პალატის პროკურორის ამხანაგის თანამდ: აღმასრულებელი **ვახილიევი**.

საქმის გარჩევა ტფილისის სასამართლო პალატაში დაიწყო 1907 წელს ენკენისთვის 3-ში და გაგრძელდა ხუთ დღეს.

დამნაშავედ იქნენ ცნობილნი: 1) ალექსანდრე კეცხოველი, 2) მარიამ გულიშამბაროვისა, 3) მარიამ კაპანაძე. 4) მესროპ მარუტოვი, 5) ივანე ჩაჩანიძე, 6) ნიკოლოზ ოთარიძე, 7) პაული მიხეილის-ძე საყვარელიძე, 8) სილიბისტრო ბახტაძე. დანარჩენი გაამართლეს. კეცხოველს და გულიშამბაროვსას მიუსაჯეს ციმბირში ვადასახლება, მარიამ კაპანაძეს ერთის წლით ციხეში ჯდომა, მარუტოვს $2^1/_2$ წლით ციხეში ჯდომა, ოთარიძეს და ჩაჩანიძეს $1^1/_2$ წლით ციხე, საყვარელიძეს 1—წლით და ბახტაძეს—8 თვით ციხეში ჯდომა.

ქანდარმერიის ერთი მოხსენებაჲ.

ქანდარმთა სამმართველოში წარდგენილი ერთი მოხსენება, (1905 წ.), რომელზედაც ხელი უწერია **ა. უხოვს** და აქვს სათაურად— „მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობის მიმოხილვა ქალ. ბათუმში," სხვათა შორის, შემდეგს ეკითხულობთ:

„მოძრაობა ქ. ბათუმში დაიწყო და განვითარდა 1900—1901 წ. კავკასიის კავშირის კომიტეტის მეცადინეობით და ადგილობრივ მცხოვრებ ინტელიგენტებისა და საუნივერსიტეტო ქალაქებიდან მოსული ადგილობრივი სტუდენტების დახმარებით. სტუდენტები ჩამოდიოდენ მოსკოვიდან, პეტერბურგიდან, კიევიდან, სადაც მთავრობის საწინააღმდეგო მოძრაობა განსაზღვრულ სახეს ატარებდა. თავდაპირველად მოძრაობაში მონაწილეობას იღებდენ ყველა ერის ინტელიგენტები—ქართველები, რუსები, პოლონელები, სომხები, ებრაელები.

„მოძრაობის მიზანი იყო არსებული სახელმწიფო წყობილების შერყევა სიტყვიერი პროპაგანდით ბათუმის მუშებს შორის. მუშათა რიცხვი კი ყველა ქარხნებში 8 ათასამდე აღწევს. პირველად მუშები ვერ გარკვეულიყვნენ იმაში, თუ რა სარგებლობას მოუტანდა მათ არსებული წყობილების დანგრევა და ამიტომ გულგრილად ეპყრობოდენ პროპაგანდისტების ქადაგებას. მაშინ ინტელიგენცია შეეცადა განვითარებია მუშები მარქსის თეორიის („შრომა და კაპიტალი"), პოლიტიკური ეკონომიის და დიკშტეინის მოძღვრების (ვინ რით ცხოვრობს) კითხვით. ამრიგით, ისინი თავიანთ მოძღვრებას აძლევდენ წვინდა სოციალ-დემოკრატიულ ხასიათს. პროპაგანდისტებმა მუშაობა დაიწყეს ყველაზე დიდი ქარხანიდან—„ბნიტო-ს" ქარხნიდან, სადაც 2000-მდე მუშაა. მუშები ეროვნების მიხედვით ასე განაწილდებიან: ქართველები დაახლოებით 80%, რუსები—6%, სომხები 5%, სხვადასხვა ერის 5%. ამ ქარხნის მოწინავე მუშებმა მოაწყვეს წრეები და აწარმოებდენ პროპაგანდას სხვა დიდსა და პატარა ქარხნებში—მაგ. მანთაშევის პირველ ქარხანაში (1000-ზე მეტი მუშა), მანთაშევის მეორე ქარხანაში (700 მუშა), ხაჩატურიანცის ქარხანაში (500 მუშა). და სხ. მუშათა მოძრაობას სათავეში ჩაუდგა ხელმძღვანელი ორგანო, რომელიც იწოდებოდა ბათუმის რევოლიუციონურ კომიტეტად. ახლა კი მუშებმა იმდენათ შეიგნესეს მოძრაობის აზრი, რომ უარყვეს ინტელიგენტთა ხელმძღვანელობა და გამოეყვენ „უმცირესობათ" (Меньшинство) ინტელიგენცია კი, რომ განსხვავდეს მათგან, თავის თავს უწოდებს „უმრავლესობას" (Большинство).

შემდეგ მოხსენების ავტორი ეხება იმ მიზეზებს, რამაც წარმოშვა ასეთი უკმაყოფილება მუშებში. მისი აზრით,—

ეროვნული ბიბლიოთეკა

„Успешному ходу противоправительственного учения способствовали мнения посторонние и случайные причины. К числу первых надо отнести национальный вопрос. В составе рабочих г. Батума много грузин (в особенности гурийцев), которые, вследствие малоземелья, нежелания обрабатывать землю бросились на отхожий промысел и по натуре своей пылки и падки на всякую новинку, в особенности заманчивую в пропаганде, когда им старались внушить, что можно отнять у богатеев все их достояние без всяких усилий; заманчиво было и то сознание, что они, рабочие—сила и, как таковая, они могут достигнуть всего, чего только не пожелают:" [1])

მომხსენებელის აზრით მოძრაობას ხელს უწყობენ აგრეთვე ზოგიერთი ქარხნების დირექტორები. მაგ. ბნიტოს ქარხნის დირექტორი ბ-ნი გვანი. როგორც ფრანგი, ის რესპუბლიკანელია, მტერი თვითმპყრობელობისაო და განაგრძობს:... თავდაპირველად ადმინისტრაციამ ვერ შენიშნა ამ მოძრაობის სიმპტომები, შენიშნა ის მხოლოდ მაშინ, როცა დაიწყო დემონსტრაციები 1903 წელს. ამიტომ იქნებ მხოლოდ დემონსტრაციაში უბრალო მონაწილეთ, მეთაურები კი იმალებოდნენ".

ამის მიზეზად ის ასახელებს იმ გარემოებას, რომ მცხოვრებთა რეგისტრაციას არ აწარმოებენ იმ ადგილებში (ბარცხანაში და სხ.), სადაც მუშები ცხოვრობენ.

„ტყუილად ტრაბახობს ბათუმის პოლიცმეისტერი კაპ. ჩიქოვანი დასძენს ის, თითქმის თავის ფართო ნაცნობობა-ნათესავობით მან ყველაფერი იცოდეს. მთელი წელწად-ნახევრის განმავლობაში მას არავითარი სასარგებლო რჩევა არ მოუცია, არც ერთი პიროვნება (არალეგალურად მოშუშავე) შეპყრობილი არ ყოფილა" და სხ.

ქანდარმერიის აზრით მთავრობის საწინააღმდეგო მუშაობას დიდათ უწყობს ხელს ნაცნობობა—„მთელი პოლიცია გარდა ერთი ბოქაულისა და პოლიცმეისტერის თანაშემწისა „ტუზემცები" (ადგილობრივი მცხოვრებნი) არიან, ქალაქის თვითმართველობა ტუზემცებითა გავსილი. პროპაგანდისტები და ორგანიზაციის წევრები ჩქარა შეულობენ ადგილებს და ასე ლეგალურნი ხდებიან, ბლაგოდარი ზემლიაცუ успешно работают уверенные, что земляк, хотя бы и пристав, или иной кто из администрации, их покроет, так как или побоится угрозы, или-же сам, как и все туземцы надеется когда-нибудь при помощи освободительного движения, добиться отделения от России: чувствуется необходимость хорошего, честнаго и русскаго состава полиции; правда, незнание языка, сильно тормозить работу, но можно приобрести надежных переводчиков".

---

[1]) ეს და შემდეგი ამონაწერი მოხსენებიდან მოვიყვანეთ უცვლელად, ავტორის სტილის დაცვით. რედ.

გურიის მოძრაობის—„Очерк противоправительственнаго движения в Гурии (Озургетскаго уезда)"—დახასიათება ასე იწყება...

„Гурия по характеру своего движения, которое в настоящее время обратилось в анархию, резко отличается от всех мест, где только смута имеет место. Причиною этого служит прошлое Гурии; до присоединения к России самостоятельное государство Гурия после подчинения Русскому Государству была превращена в Озургетский уезд, утратив таким образом свое историческое прошлое; между тем прошлое было своеобразное и бурное. Близкое соседство с Турцией и близость Черного моря заставили гурийца совершено не думать о земле, не заботиться о ее культуре, а обратиться к опасному, но прибыльному ремеслу—контрабанде; это ремесло и выработало в гурийце с одной стороны пренебрежение к упорному труду—земледелию, а с другой хитрость, способ истребления противника из за угла; благодаря подвижности и общению с иностранцами гуриец вышел более развитым, следовательно, и более воспримчивым и деле образования. Этимологически слово гуриец означает в переводе на русский язык „вечный разбойник". Князья гурийские все были либералы и старались развить своих крестьян, принуждая их устраивать школы для образования детей; этим об'ясняется то, что в Гурии имеется масса школ и все грамотны. Гуриец темперамента пылкого, любит роскошь, оружие, которыми владеет хорошо, но труслив в открытом бою; дети об'язательно посещают школу и воспитываются уважать старших, любить свободу и не прощать обид.

ამნაირს „очерк-ს" და მსჯელობას რამდენიმე თაბახი უჭირავს, დაბოლოს ავტორი ჩამოთვლის ზოგიერთ თავადებს, რომლებიც გლეხებმა აჭარაში თუ სხვაგან გარეკეს და დასძენს:

„Те же помещики говорят, что нужна репрессия; **если бы хотя одно общество, наиболее преступное, в полном составе выселить** подальше на север, то эта мера сразу отрезвила бы всех, а гуманные меры пока только дают повод темным силам вести население Гурии к погибели.

(ივივე მემამულეები ამბობენ, ერთ რომელიმე დამნაშავე საზოგადოებას რომ მთლიანად შორეულ ჩრდილოეთში (რუსეთში) გადავასახლებდეთ, ეს ერთბაშად გამოაფხიზლებდა ყველას. ჰუმანიური ზომების წყალობით კი ბნელ ძალებს გურიის მცხოვრებნი დაღუპვის კარამდე მიჰყავთ)...

დაბოლოს არ არის ინტერესს მოკლებული, თუ როგორ იცნობს მომხსენებელი ს. დ. პარტიას:

ბათუმის სოც. დემ. მ. ორგანიზაცია (დაარსდა 1901—1902 წ.) ეს ორგანიზაცია განიყოფება ორ ნაწილად—„უმრავლესობა," სადაც შედიან უფრო ინტელიგენტი წარმომადგენლები და „უმცირესობა", სადაც თავმოყრილი არიან მხოლოდ მუშები, რომელთაც გადაწყვეტილი აქვთ შექმნან საკუთარი ჯგუფი. ისინი დარწმუნებული არიან იმაში, რომ ძლიერნი და განვითარებული არიან; რომ ბრძოლით

ისინი მიზანს მიაღწევენ. ამ პარტიას ჰყავს თავისი მებრძოლი რაზმი. მათ სათავეში უდგა კომიტეტები, როგორც ხელმძღვანელი ორგანოები. პირველი პარტია მეორეს უწევს ზნეობრივ დახმარებას. ბათუმის ს. დ. მ. ორგანიზაციის „უმცირესობა“ დაიყო წრეებათ, წრეები რაიონებშია, ყველა რაიონები შეადგენენ ბათუმის ორგანიზაციას. ამა წლის აგვისტოდან კავკასიის ყველა ორგანიზაციები, ორს გარდა, გაერთიანდენ და გამოსცეს „საორგანიზაციო წესდება“, რომელიც მოჰყავთ სისრულეში განსაკუთრებით უკანასკნელ დროს“...

— —

დათიკო ნასარიძე.

როგორ ეწყობოდა გენ. შირინკინის მკვლელობა 1905 წელს ივლისში

(ჩემი მოგონებიდან)

გენ. შირინკინი ერთი „დამსახურებული გმირთაგანი“ იყო კავკასიაში. ნამესტნიკის ვორონცოვ-დაშკოვის დროს მას ებარა კავკასიის მთელი პოლიცია. ამ ჯალათის რეპრესიულმა ზომებმა მაშინ სამართლიანათ გამოიწვია აღშფოთება არამც თუ მარტოკა მუშათა კლასში. ამ ჯალათის თავიდან მოშორებას მოითხოვდა მაშინდელი პირობები, მაგრამ რა საშვალებით, რა გზით და როგორ, რომელი პარტიის ხელით უნდა გაკეთებულიყო ეს დიდი საქმე. როგორც ვიცით, მაშინ მენშევიკური ფრაქცია პარტიაში გადაჭრით უარყოფდა პიროვნულ ტერორს, ხოლო ჩვენს ფრაქციას მიუხედავათ იმისა, რომ მას პრაქტიკაში ამის დაშვება შესაძლებლათ მიაჩნდა, მაინც 1905 წლის ე. ი. 17 ოქტომბრის კუდშეკვეცილ მანიფესტამდე ტერორისთვის არ მიუმართავს. ტერორისტული აქტები მეტად გახშირდა 1905 წლის რევოლიუციის დამარცხების შემდეგ, სტოლიპინის შავი რეაქციის ხანაში.

გენერალი შირინკინის მოკვლა განიზრახა მაშინ ადგილობრივ სოციალისტ-რევოლიუციონერების პარტიამ. ს. რ. პარტიის ტფილისის კომიტეტის დავალებით გენ. შირინკინის მოკვლა დავალებული ჰქონდა ტფილისის რკინის გზის მთავარ სახელოსნოს მუშას დათიკო კაჩაურს, რომელიც 1905 წლამდე მოიბალშევიკებდა, ხოლო შემდეგ კი გახდა ს. რ.

1904 წლის უკანასკნელი თვეებიდან მე ვმსახურობდი სასტუმრო „გრანდ-ოტელში“ მესამე სართულის გამგეთ; მებარა ოცდაათ

ნომრამდე. აქ ოთხი კაცი მუშაობდა, რომელთაც ვხელმძღვანელობდი. ჩემს მოსვლამდე „გრანდ-ოტელში“ მსახურებდა ვინმე ცქიფურიშვილი, რომელიც წინად სოციალ-დემოკრატი ყოფილიყო, მხოლოდ შემდეგ სოციალისტ-რევოლიუციონერი გამხდარიყო, როგორც შემდეგ გამოირკვა, დათიკო კაჩაური ტერორისტთა ჯგუფი შესდგებოდა ამ დროს 5 კაცისაგან: დათიკო კაჩაური, პავლიაშვილი (სახელი არ მახსოვს) კაჩანოვი (სახელი არ მახსოვს) ცქიფურიშვილი და პეტროვი, რომელმაც გაგვცა.

ამ დროს პირადათ მე გვარიანად ვერკვეოდი როგორც ჩვენი პარტიის პროგრამაში (ჩვენს პარტიაში ჩავეწერე 1903 წლიდან), აგრეთვე ს. რ. პარტიის პროგრამასაც ვიცნობდი. აღნიშნული ჯგუფიდან მე წინად ვერავის ვიცნობდი, გარდა ცქიფურიშვილისა, რომელიც ხშირად მოდიოდა ჩვენთან. მას დაახლოებით გავეცანი და არა ერთხელ მჭონია მასთან იდეური შეტაკება. ცქიფურიშვილი მირჩევდა ს. რ. პარტიაში გადასვლას, მე კი მას ვურჩევდი, რომ ისევ უკან მობრუნებულიყო პარტიაში, ის უმთავრესად იმიტომ წასულიყო ჩვენი პარტიიდან, რომ რუსეთის ს. დ. მუშათა პარტია კერძო ტერორს უარს ყოფსო, რასაც ჩვენ გაუბედაობათ და სილაჩრეთ სთვლიდა.

1905 წლის ივლისის უკანასკნელ რიცხვებში ცქიფურიშვილი მოვიდა ჩემთან და გულწრფელათ გამიცხადა, რომ ის მოიყვანდა ჩემს განყოფილებაში, მესამე სართულში, სტუმარს — ერთ დიდ რევოლიუციონერს და მთხოვა ერთი კარგი ნომერის დამზადება. მან სხვათა შორის ისიც სთქვა, რომ ამ რევოლიუციონერმა უნდა შეასრულოს დიდი საქმე, ბინათ კი არჩეული გვაქვს „გრანდ-ოტელიო“.

ცქიფურიშვილი მე მიცნობდა როგორც ბოლშევიკს; ბოლშევიკები კი მას უფრო კარგ რევოლიუციონერებათ მიაჩნდა, ვიდრე მენშევიკები. ამას გარდა იცოდა, რომ 1905 წ. გაზაფხულზე, „გრანდ-ოტელში“ მე მოვაწყევ მოსამსახურეების გაფიცვა, რომელიც მოსამსახურეთა გამარჯვებით დამთავრდა. ჩემთან ერთად მაშინ მუშაობდა რაჟდენ დოლიძე, რომელიც იმ ხანებში ერთი მეტად თვალსაჩინო აქტიური პარტიული მუშაკი იყო, ორგანიზატორი ხელზე მოსამსახურეთა, მოსამსახურეების არა ლეგალური იაჩეიკის აქტიური წევრი. მასთან მეც მიხდებოდა მუშაობა იაჩეიკაში, ხოლო მთელ იაჩეიკას და მზარეულების და ხელზე მოსამსახურეების მასიურ მოძრაობას და გაფიცვებს ხშირად ხელმძღვანელობდა ს. დ. ზაქარია ჩიჩუა. რ. დოლიძე გარდაიცვალა მოსკოვის საკატორღო ციხეში 1907—1908 წლებში.

ცქიფურიშვილს მე განუცხადე თანახმობა და თანაც შევპირდი, რომ მე დიდი სიამოვნებით შევასრულებდი ყველაფერს, რასაც კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამავალებდენ. რა საქმე უნდა გაკეთებულიყო, ეს ცქიფურიშვილს ჩემთვის არ უთქვამს.

26 თუ 27 ივნისს დილით მოვიდა ცქიფურიშვილი „გრანდ-ოტელში“ შენობის უკანა შემოსავლით და მოიტანა ილღიით რაღაც მოკრული და ერთი პატარა ჩემოდანი. როგორც შემდეგ გამოირკვა, მან მოიტანა ასაფეთქებელი ნივთიერებანი და მაკედონიის სისტემის 6-7 ცალი ყუმბარა. ამავე დღეს საღამოთი კი გადმოვიდა თავის ხაბაკით სასტუმრო „ევრორიდან“ დათიკო კაჩაური, რომელიც დავაბინავეთ ცქიფურიშვილის მიერ ადრევე დაკავებულ ნომერში. ეს იყო ოთახი № 46, რაც მათ მეორე დღეს გამოიცვალეს. გადავიდენ ალექსანდრეევის ბაღის კუთხისკენ მდებარე უფრო სინათლიან და მორთულ № 28 ოთახში. ცქიფურიშვილმა მე კაჩაური მაშინვე გამაცნო და აქედან დაიწყო ჩემი და დათიკო კაჩაურის ერთმანეთთან დაახლოება. ხშირად ვკამათობდით. ის ჩემზე კარგს შთაბეჭდილებას ახდენდა, ფანატიკურად იყო გატაცებული ტერორისტული აქტებით.

„მიანებე თავი ამხანაგო დათიკო თქვენს პარტიას და ჩაეწერე ჩვენს პარტიაში სანამ გვიან არ არის, ვინაიდან ბოლოს, სულ ერთია, მომავალი მაინც ჩვენი პარტიის არისო, მიმტკიცებდა დ. კაჩაური. მე კი ვეუბნებოდი: „მოითმინეთ, ვნახოთ თქვენი პარტიის იქნება მომავალი, თუ ჩვენი პარტიისა (ბოლშევიკების ფრაქცია), ამას ჩვენ ისტორია დაგვანახვებს. დეკაბრისტებიდან დღემდე თქვენი გზით ებრძვით ძველ წყობილებას და ჯერაც ვერ დაგინგრევიათ მეფის ტახტი ტერორის საშუალებით, რაც ჩვენი შეხედულობით არ არის მთავარი იარაღი. მე ვფიქრობ ისტორიამ ჩვენ უნდა ვაგვამართლოს და თქვენი პარტია კი უნდა გაითქვიფოს ჩვენს პარტიაში მეთქი“. დაახლოებით ასეთი იყო ჩვენი კამათი.

ჩავარდნის წინა დღეებში 19—20 ივლისს დათიკო კაჩაურმა მთხოვა, ზოგიერთი ნივთის საიმედო ალაგას შენახვა. შესანახად გადმომცა ასაფეთქებელ ნივთიერებასთან ერთად ერთი რევოლვერი და სურათები: ეორონცოვ-დაშკოვის, შირინკინის, ვატაცის (სამოქალაქო ნაწილის უფროსი—შირინკანთან შედარებით ის ლმობიერ ადამიანათ მიაჩნდათ), პოლიცმეისტერის მარტინოვისა და სხვ. ყველა ესენი შევინახე სასტუმროს სხვენზე ისეთ ალაგას, რომ მათი აღმოჩენა შეიძლებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მთელს სასტუმროს შენობას დაანგრევდით.

იმ კამათს, რომელიც ჩემსა და კაჩაურს შორის ხდებოდა, ხშირად ესწრებოდა ზემოდ დასახელებული პეტროვი, რომელიც შემდეგ დიდი პროვოკატორი აღმოჩნდა... კამათს ესწრებოდენ სხვებიც, მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ ისე ხშირად არა, როგორც პეტროვი. აღნიშნული ნივთების გადმოცემის დროსაც პეტროვი ჩვენთან იყო.

„პროვალი“ მოხდა 1905 წლის ივლისის 31 შუადღეზე. ამ დღეს დილიდან კაჩაურის ტერორისტთა ჯგუფის ყველა წევრებმა ადრეულ მოიყარეს ნომერში თავი. როგორც შემდეგ გამოირკვა, იმ დღეს გენერალ შირინკინს უნდა ჩამოეცილო ალექსანდროვის ბაღის გვერდზე, ბარიატინის ქუჩით გამოეარა ლონდონის და გრანდ—ოტელის კუთხეში და უნდა აქ აეფეთქებინათ ავტომობილში. რამდენადაც მახსოვს, დაახლოვებით 11 საათზე დილას კაჩაურმა საუზმე მოითხოვა. როდესაც საუზმე გაათავეს და კაჩაური შეუდგა ნგნარიშის გასწორებას, პეტროვმა ის შეაჩერა და უთხრა: მე სრულებით არ ვარ კმაყოფილი, კიდევ უნდა ვეჭამოვო, ჩვენ კიდევ დრო გვაქვსო და სხ. მე, რამდენათ მახსოვს, კაჩაური პეტროვის ასეთი წინადადებით დარჩა დიდი უკმაყოფილო; როგორც სჩანდა, მაშინ მისთვის ერთ წუთსაც ქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა. პეტროვს მან ასე უპასუხა: „ჩვენ მეორე სადილს ვეღარ მოვასწრებთ, გეჩქარება, უნდა გაეიდეთ და რა დროს ახალი „ზაკაზიაო“. სამწუხაროდ პროვოკატორმა პეტროვმა მაინც მიაღწია მიზანს. ყველა დაითანხმა და მისცეს ახალი „ზაკაზი“... ის იყო ხელ-ახლა უნდა დაეწყოთ საუზმობა მათ, ამ დროს მე კანტორაში ვიყავი და ჩემს თვალწინ გადაიშალა საშინელი სურათი; წარმომიდგა წინ მთელი ჟანდარმერია, გოროდოვოების, პრისტავების—ოკოლოდოჩნიკების და მე-5-ე პლასტუნის პოლკის კაზაკებით. არეული მთელი ეს ხროვა პოლიციის და ჟანდარმერიის გუბერნატორის და პოლიცმეისტერის მარტინოვის მეთაურობით, მიეშურებიან სასტუმროს ზემო სართულისაკენ. სასტუმრო გარედან ალაყა შემორტყმული იყო მე-5 პოლკის პლასტუნების მიერ. შიგნით შემოსული ჟანდარმ-პოლიციელებით სრულიად გაიჭედა უზარმაზარი სასტუმროს მე-3 სართული. მოულოდნელად თავს დაესხენ ნომერში კაჩაურს, რომელმაც ვეღარ მოასწრო ვერც მაგიდიდან რევოლვერის აღება და ვერც იქვე ფეჩში შენახული 7 გატენილი მაკედონიას სისტემის ყუმბარის აფეთქება (პეტროვს ფეჩის კარები დაეკეტა). მაშინათვე სცემოდა კაჩაური ფეჩის კარებს, მაგრამ ვერაფერს გამხდარიყო. ერთი ყუმბარის აფეთქებას ნომერში შეეძლო სხვა ყუმბარების აფეთქებაც, რაც მთელ სასტუმროს სრულიად გაანადგურებდა. ჟანდარმერია-პოლიციას გარდა ასეთ აფეთქებას შეეძლო გარეთ მყოფი რამდენიმე პლასტუნის დაღუპვა. დათიკო კაჩაური ფეჩის კარებთანვე გაჭაჩეს თავისი ამხანაგებით, გარდა პეტროვისა.

კაჩაური, პავლიაშვილი, კაჩანოვი და ცქიფურიშვილი შეკრეს და უმოწყალოთ დაუწყეს ცემა. გულშემაზარავი იყო მათი ღრიალი. ამ დროს ჩვენ, მოსამსახურეები, ვიდექით ზემო სართულის ასა-

ვალი კიბის თავში. დავინახეთ, რომ პროვოკატორი პეტროვი მოყავდა რამდენიმე ჟანდარმს და აშკარად ეტყობოდა, რომ ის იყო ჩვენი გამყიდველი-გამცემი. ის მოყავდათ თავისუფლად. ზოგჯერ ნელა ხელს წაჰკრავდენ ხოლმე, პეტროვი კი ხმა მაღლა ყვიროდა: „ღვთის გულისთვის ნუ მცემთ ასე საშინლათ, არ გაქვთ ამის უფლებაო“.

შემდეგ გამოირკვა, რომ კაჩაურმა თურმე შეამჩნია პეტროვს რაღაც წაჩურჩულება ჟანდარმისთვის.

კაჩაური და მისი ამხანაგები შეკრულები იატაკზე ეყარნენ, ცემის შემდეგ რამდენიმე საათი იყვნენ ამ მდგომარეობაში. მოელოდენ პროკურორს, გამომძიებელს და თვით გენერალ შირინკინს, რომელიც თურმე ძალზე იყო დაინტერესებული დაპერილთა ნახვით. როცა პროკურორი და გენ. შირინკინი მოვიდნენ სასტუმროში, მე უკვე წაყვანილი ვიყავი. როგორც შემდეგ მეტეხის ციხეში გავიგეთ, კაჩაურს თურმე სამაგალითოდ ეჩვენა თავი, ისე, როგორც შეუფერის ნამდვილ რევოლიუციონერს. ასეევე კარგათ ეჩვენა თავი კაჩაურს მეტეხის ციხეშიც—წინასწარი დაკითხვის დროს.

პეტროვის მეტეხის ციხეში გაგზავნის შემდეგ, რამდენათაც მახსოვს, ჟანდარმერიამ სასწრაფოთ დაიპატიმრა სასტუმროს ყველა მოსამსახურეები ხაზეინებთან ერთად და გააჩერა ზემო სართულში. ჟანდარმმა ერთ ევროპიულ ტანისამოსში გამოწყობილი პირის თანდასწრებით (ალბათ ჯაშუში იყო) წაიკითხა სია ყველა მოსამსახურეების და ხაზეინების. ყველა გაანთავისუფლეს, დავრჩი მათ ხელში მარტოკა მე. მიმიბრძანეს მეორე სპოლიციო უბანში. იქ იყო პრისტავი ოსი, მხეცური გამომეტყველების ადამიანი, მას ჩააბარეს ჩემი თავი. მან შემაგდო მოზრდილ ნომერში. შემოვიდა ის ჟანდარმის პოლკოვნიკი, რომელმაც სია წაიკითხა მოსამსახურეებისა იმ პირის (ჯაშუშის) თანდასწრებით, რომელიც მასთან იყო. პოლკოვნიკი მეკითხება: „სად გაქვს შენახული იარაღი და სხვა ნივთები. ჯერ სანამ გვიან არ არის, თუ გსურს, რომ ცოცხალი გაბრძანდე, ეხლავე გვითხარი და დაუყოვნებლივ გაგიშვებთო. რასაკვირველია, ყველაფერზე უარი ვუთხარი. კიდევ შემეკითხა: „რამდენი ხანია ვიცნობ კაჩაურს, რამდენი ხანია ერთად ვმუშაობთ და სხ. ყველა კითხვებზე მე ვეუბნებოდი უარს და ზოგზე კი არავითარ პასუხს არ ვაძლევდი. პრისტავმა მოიხმო ერთი ოკოლოდოჩნიკი, სამი გოროდოვოი და ერთიც კაზაკი და უბრძანა: „გათქირეთ კარგათ და ყველაფერს ვეძებყვის ეს პადლეციო“. როცა წინააღმდეგობა გავუწიე ერთ-ერთ პოლიციელს, მომცვივდნენ ერთბაშათ ყველანი ერთად, დამაგდეს იატაკზე და დამიწყეს უმოწყალოთ ცემა ჩექმის ქუსლებით, თოფის კონდახით და სხ. მცემდენ ვიდრე სრულიად არ დავკარგე გრძნობა და ალარ მახსოვს, როგორ მიმიყვანეს მეტეხის ციხის ახალი შენობის სარდაფში.

შემდეგ მოეყვანათ მეტეხის ციხეში დათიკო კაჩაური, სხვა ამხანაგებიც და მოეთავსებიათ იმავ ახალ შენობაში ცალ-ცალკე. და როცა აუტანელი შეიქნა ჩემთვის ციხის ასეთი რეჟიმი, გამოვაცხადე შიმშილობა. ორი დღის შიმშილობის შემდეგ ზევით ამომიყვანეს; მე ვისწავლე შემდეგ კედელზე კაკუნით ლაპარაკი ამხანაგებთან და წერილის საშუალებითაც ზევით ამოსვლის შემდეგ გავიგე, რომ დათიკო კაჩაური და სხვებიც ჩემთან ახლოს იყვნენ მოთავსებული. კაჩაური მამხნევებდა და მწერდა,—„ნუ გეშინია, გავიგეთ თუ ვინ არის ჩვენი გამცემი". გამცემი დათიკოს გადმოცემით იყო პეტროვი, რაშიაც არავის არ ეპარებოდა ეჭვი. როდესაც ამ საქმეზე დაპატიმრებულთა მეტეხში ყველას მოგვიყარეს თავი (ამ საქმეზე დაპატიმრებული იყო ბევრი—მაგ. ძმები—ექ. ხუდადოვები, კოლია ქარცივაძე და მრავალი სხვებიც—ოც კაკზე მეტი) გავრცელდა ხმა ციმეში, რომ პეტროვი იყო პროვოკატორი, ეს გაიგო მან და, რომ ციხეში არ მოეკლათ ის, ერთ ღამეს გააპარეს. ის ჩასულიყო ქუთაისში, მაგრამ იქაც გაეგოთ მისი ვინაობა. ქუთაისიდან ბაქოში წასულიყო, სადაც ს. რ. ის მოეკლათ. ძნელია იმის აღწერა, თუ როგორ გახარებულნი ვიყავით დაპატიმრებულები, როდესაც დათიკო კაჩაურმა ეს სასიხარულო ამბავი გვაცნობა.

ოქტომბრის მანიფესტის ძალით კაჩაურის საქმეზე გაანთავისუფლეს 15—16 კაცი. ამნისტია არ ეხებოდა ისეთ პოლიტიკურებს, ვისაც ყუმბარები და იარაღი უნახეს ტერორისტული აქტის მოსახდენათ. დათიკო კაჩაური თავისი ამხანაგებით (პავლიაშვილი, კაჩანოვი და ცქიფურიშვილი) კი დარჩა მეტეხში. ზაფხულში 1906 წ. ისინი გაასამართლა სამხედრო სასამართლომ კაჩაურს მიუსაჯა 10 წლის კატორღა, სხვებს კი ნაკლები. კაჩაურმა შემდეგ მეტეხის ციხეში ხვრელი მოაწყო და თავის ამხანაგებთან ერთად გაიქცა. ერთი წლის შემდეგ (1907 წ.) ის ხელ-ახლა დაეჭირა მოსკოვში თბილისელ ერთ ჯაშუშს, ჩამოიყვანეს თბილისში და მოათავსეს მეტეხის ციხეში. ამ დროს მეც მოვხვდი მეტეხში. ჩვენ კიდევ შევხვდით ერთმანეთს ციხის აბანოში: კაჩაური ამავე წელს ხელახლა გაასამართლეს გაქცეისათვის და გაამართლეს, მხოლოდ შემდეგ გადაასახლეს ციმბირში ძველი საქმისთვის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის 30 წლის არსებობისათვის.

ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲡ ᲒᲐᲓᲐᲮᲓᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ტფილისის ორგანიზაციის 30 წლის არსებობის სადღესასწაულო დღეთ ტფილისის კომიტეტმა ცეკასთან შეთანხმებით პირველად დანიშნა წარსული 1924 წლის ნოემბრის 30, მაგრამ ნოემბრის 11-ს სხდომაზე ცეკას პრეზიდიუმმა საჭიროდ დაინახა დღესასწაულის სხვა დროისათვის გადადება და საკითხის შესასწავლად შეადგინა საგანგებო კომისია (ამხ. მიხა ცხაკაია, ფ. მახარაძე, გ. ჩხეიძე, არ. ოქუაშვილი და ვ. სტურუა).

ამ კომისიას ჰქონდა ორი სხდომა.

აჭ მოგვყავს ამ სხდომების ოქმები და ცეკას დადგენილება.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲮᲓᲝᲛᲘᲡ ᲝᲥᲛᲘ.

1924 წლის დეკემბრის 3-ს საქართველოს კომპარტიის ცეკას პარტისის ბინაზე ამხ. ვანო სტურუას თავმჯდომარეობით შესდგა სხდომა იმ კომისიისა, რომელსაც მინდობილი ჰქონდა შესასწავლად საკითხი ტფილისის ორგანიზაციის 30 წლის არსებობისა.

სხდომას დაესწრენ: ამხ. ფ. მახარაძე, არაქელა ოქუაშვილი, გ. ჩხეიძე და პარტისის გამგე ს. თალაკვაძე.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ სხდომამ მიიღო ამხ. ვანო სტურუას შემდეგი წინადადება: ა) საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის ჩასახვა-წარმოშობის ბანად ჩაითვალოს 1894 წ., ორგანიზაციის საბოლოოდ ჩამოყალიბება კი ხდება 1895-96 წლებში. ბ) მიეცდოს ამხ. ფილიპე მახარაძეს დაამზადოს ამის შესახებ დასაბუთებული სტატია და წარმოადგინოს კომისიის მომავალ სხდომაზე.

ამასთან კომისიამ დაადგინა დაკითხულ იქნას პარტისის მიერ ის პირები, რომელთაც შეუძლიათ საჭირო ცნობების მოცემა ტფილისის ორგანიზაციის ჩასახვა-წარმოშობის შესახებ. ასეთი პირებათ სხდომამ აღიარა: ალექსანდრე ზატილოვი, დიმიტრი კალანდარიშვილი, ვანო დურგლიშვილი, გიგო წულუკიძე, მიშა კლიმიაშვილი და აზმაიპარაშვილი.

სხდომის თავმჯდომარე: **ვ. სტურუა.**

მდივანი: **ს. თალაკვაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეოთხე სხდომის ოქმი.

1924 წ. დეკემბრის 25-ს საქართველოს კომპარტიის ცეკას პარტისის ბინაზე ამხ. ვანო სტურუას თავმჯდომარეობით შესდგა მეორე მორიგი სხდომა იმ კომისიისა, რომელსაც მონდობილი აქვს შესასწავლად საკითხი ტფილისის ორგანიზაციის 30 წლის არსებობისა.

სხდომას დაესწრენ: ამხ. ამხ. ფილიპე მახარაძე, რაჟდენ კალაძე, გიორგი ჩხეიძე და პარტისის გამგე ს. თალაკვაძე.

სხდომამ მოისმინა რა ამხ. ფილიპე მახარაძის ვრცელი წერილობითი მოხსენება საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის ორგანიზაციის ჩასახვა-წარმოშობისა და მისი განვითარების შესახებ, ხანგრძლივი სჯა-ბაასისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ სცნობს მოხსენებას ისტორიული ფაქტებით სწორად აღწუსხულს, დოკუმენტალურად საქმად დასაბუთებულს და ადგენს:

საქართველოს კომუნისტური პარტიის (წინეთ სოც. დემოკრატიულად წოდებული) ტფილისის ორგანიზაციის **საფუძველის ჩაყრისა** და განვითარების ხანად ჩაითვალოს 1894, 95, 96 წ. წ. შემდეგი საფეხურების გაყოფით: 1) მარქსისტული იდეა შემოვიდა საქართველოში 1892 წლიდან (ფ. მახარაძე, ნ. ჟორდანია), ხოლო ეს იდეა მომწიფდა და ქართველ მშრომელ ინტელიგენტების მიერ (მიხა ცხაკაია, სილიბისტრო ჯიბლაძე, ლადო დარჩიაშვილი და სხვები), მისი კლასობრივი წითელი ძაფება აშკარად აღმართული იქნა 1894 წელს, მაისის 10-12-ს ეგნატე ნინოშვილის დაკრძალვის დღეს გურიაში, სოფ. ჩოჩხათში, საიდანაც მოგვეცა **დოკუმენტი** — სოციალ-დემოკრატიული თაობის, **სოციალ-დემოკრატიული ჯგუფის** („მესამე დასის") არსებობისა, ს. ჯიბლაძის მიერ წარმოთქმულ მარქსისტულ-პროგრამულ სიტყვის სახით; 2) ეს მსოფლ-მხედველობა (მარქსიზმი) სწრაფად ედება ტფილისის ახალგაზრდა პროლეტარიატის მოწინავე ავანგარდს (ვასო ყაბაძე, ფ. აფხაზიები, კოკა და სხვები) და 1894 წლის მიწურულში, — გიორგობისთვეში თუ დეკემბერში, დგება შერეული — ინტელიგენტებისა და მუშებისაგან პირველი მარქსისტული ჯგუფი რკინის გზის მთავარ სახელოსნოში, სახარატო ცეხში (ჯაფარიძე, გიორგობიანი, ჰაეჰავაძე (არა თავადი, გლეხი-მუშა) და სხვები); 3) 1895 წელში უკვე ჩნდებიან წმინდა მუშათა მარქსისტული წრეები არჩილ არავიაშვილისა, ზაქრო ჩოდრიშვილისა, ფედია აფხაზიეისა და სხვების მეთაურობით; 4) 1896 წლებში კი ეს მუშათა მარქსისტული წრეები იზრდებიან, ძლიერდებიან და ყალიბდებიან უკვე ხელმძღვანელ მუშათა მარქსისტულ ცენტრათ ანუ კოლექტივათ (ზ. ჩოდრიშვილი, არაქელა ოქუაშვილი, ვანო სტურუა, გიორგი ჩხეიძე, მიხო ბოჭორიძე, აბელ ენუქიძე, კალისტრატე გოგუა, ი. კოპალეიშვილი, დ. დვალი, როსტომაშვილი, ვ. ყიასაშვილი და სხვები), რო-

მელიც იკრეფს თავის გარშემო რამდენიმე მუშათა მარქსისტულ წრეს.— ამ წლის მიწურულში უკვე ითვლებოდა 15—20-მდის მარქსისტულ მუშათა რევოლიუციონური წრეები, ამ საქმაო ძლიერ ხელმძღვანელ მუშათა ცენტრის,—კოლექტივის ირგვლივ შემოკრებილნი... ამ ცენტრისა და წრეების გავლენით ხდება პირველი გაფიცვა 1896 წლის ბოლო ხანებში ტფილისში, თამბაქოს ფაბრიკებში ჩაბმულ მუშა-პროლეტარებისა; 5) 1897 წელში (დასაწყისში) იმართება უართო გაერთიანებული კრება ინტელიგენტებისა და მუშებისა, სადაც მუშათა-მარქსისტულ ორგანიზაციაში შედიან ინტელიგენტებიც (ყოფილ „დასელებიდან").

ურდგენს რა ამას კომისია, პარტიული მუშაობის პირველ პერიოდში ჩვენი ტფილისის ორგანიზაციის წარმოშობა-განვითარების საფეხურებით, სთხოვს საქართველოს კომპარტიის ცეკას მიიღოს ყველა ზემოდ ნათქვამი მხედველობაში და დანიშნოს **დღე ტფილისის ორგანიზაციის 30 წლის შესრულების იუბილეს გადახდისათვის.**

კომისიას თავის მხრივ სასურველად მიაჩნია ეს დღე შეფარდებულ იქნას საბჭოთა ან პარტიულ ყრილობასთან.

კომისია ასეთ დღეთ ფიქრობს მომავალი წლის თებერვალ-მარტის ერთ-ერთ დღეს, როცა დაახლოვებით მოწვეული იქნება საბჭოთა ყრილობა სრულიად საქართველოსი.

თავმჯდომარე: ვ. სტურუა.
მდივანი: ს. თალაკვაძე.

ცეკას დადგენილება.

გადახდილ იქნას ტფილისის ორგანიზაციის 30 წლის არსებობის იუბილე მდგომარე 1925 წელს პარტიულ ყრილობის დროს.

რაჟდენ კალაძე.

როგორ დავიწყე მუშაობა.

(საქართველოს კომპარტიის ტფილისის ორგანიზაციის არსებობის 30 წლის თავის დღესასწაულის გამო).

1. რატომაა საჭირო მოგონება.

ჩვენი პარტია, კომპარტია, მოითხოვს თავის ისტორიისთვის უტყუარ საბუთებს და ისტორია ხომ ყველაფერია; არ იცი საგნის და მოვლენის ისტორია, მასასადამე, ვერ ამ საგანს და მოვლენას არ იც-

ნობ, შენ მას შენი მიზნებისთვის ვერც მოიხმარ, ვერც გამოიყენებ და ვერც შენ ემსახურება მას...

აქედან, თუ არ იცი შენი პარტიის ისტორია, მაშინ არც ის იცი, თუ როგორ შეასრულო შენი საქმე: პროლეტარული საქმე, კომუნიზმის განხორციელების საქმე... ამიტომ ჩემი პარტიული მოვალეობაა, მეც „მოვიგონო", უკეთ, გავიხსენო ჩემი წარსულიდან ისეთი რამ, რაც ზოგი ამხანაგის „მოგონებით" პარტიის ისტორიაში შეტანილ ბურუსს გაჰფანტავს და „სიმართლეს" აღადგენს.

ჩვენ არა გვწამს მითიური ნემეზიდა, მაგრამ მიუხედავათ ამისა, კარგათ ვგრძნობთ, რომ ვერც ერთი ჩვენგანი მომავალ ისტორიულ მსჯავრს ვერ გაექცევა. ამიტომ ვცდილობთ დღესვე ვუპასუხოთ მას მომავალ შეკითხვებზე: რას მოითხოვდა სოციალიზმის დამყარების ინტერესი და ვინ, ამ საქმისთვის, და რა გვარ პირობებში რა გააკეთა.



ამხ. რაჟდენ კალაძე

(გადაღებულია 1899 წ.).

2. მოგონება.

მახსოვს, კარგათ მახსოვს; თუ როდის და „როგორ გავხდი მარქსისტი". ეს იყო 1895 წლის დასაწყისში იანვარი, თებერვალი და მარტი, როცა ქუთაისში სპირდონ ლეკიაშვილის ბინაზე ვცხოვრო-

ბდი „უმუშევარი“ და არ ვიცოდი თავი სად შემეფარებია: ისევ ჩემს საცოდავ ს. ეწერში მამაპაპეულ ქოხში, თუ „ბოსიაკობას“ შევდგომოდი. ამ დროს, როგორც ყოველთვის, მეორეც დიდი საზრუნავი მქონდა: სახელდობრ ის, თუ როგორ მოვემზადებულიყავი იდეოლოგიურად, როგორ შევიარაღებულიყავ რევოლიუციონური მოქმედებისათვის.

ჩვენს ძველ რევოლიუციონერს ამხ. მიხა ცხაკაიას ტფილისიდან ჯიცნობდი (1890 წლიდან). და ახლა ის ქუთაისში იყო, ვინმე გაბაშეილის პანსიონის რეპეტიტორ-დამრიგებლად მსახურობდა. აქ ის მოსწავლეთა შორის ჩვეულებრივად სოციალისტურ პროპაგანდას ეწეოდა. მას რამდენიმე მოსწავლე (მათ შორის გიმნაზიის მოსწავლე ჰაველ მასალკინი) უკვე „დამოწაფეებია“ და ეხლა მათ თვისებურად წვრთნიდა,—არალეგალურ ლიტერატურას აკითხებდა.

მე თითქმის ყოველ დღე შევდიოდი მასთან ამ პანსიონში, სადაც მას ბინაც ჰქონდა.

ერთ დილას ჩვეულებრივად შევედი მასთან ოთახში, ის ფეხზე მდგარი ფანჯარასთან, გამალებით კითხულობდა სქელ ტანიან ახალ წიგნს.

— ეს რა წიგნია, მიხა, ასე ჩქარა რომ კითხულობ?

— სულ რამდენიმე დღით მათხოვა გიორგი ზდანოვიჩმა (გიორგი მაიაშვილი) პეტერბურგიდან გამოუწერია... ჯერ მასაც არ წაუკითხავს, ბელტოვის წიგნია... მიპასუხა მიხამ, კითხვა შესწყვიტა და განაგრძო: გინდა ერთად წავიკითხოთ? მე ვიკითხავ და შენ ყური უგდე. მე ამ წიგნზე წინადაც გამეგონა მისგან თუ რა წიგნი იყო ის. ეს იყო გიორგი პლეხანოვის „Развитие монистического взгляда на историю“. რა თქმა უნდა, სიხარულით დავთანხმდი მიხას წინადადებაზე და შევუდექით კითხვას, მაგრამ მიხა ისე სინემატოგრაფული სისწრაფით კითხულობდა (ხშირად ის ასე კითხულობდა რუსულ წიგნებს), რომ ყურადღების დევნებას და აზრის მიმდინარეობის გათვალისწინებას ვერ ვასწრებდი და ბევრი ალაგი გაუგებარი რჩებოდა... მიხა განმარტების მიცემასაც ძალიან ერიდებოდა: ზოშბდა დრო არ დაკარგოდა, რომ პატრონს წიგნი არ მოეთხოვა და წაუკითხავი არ დარჩენოდა. მეც ხელი არ შევუშალე და განმარტება-კომენტარიები არ მოეთხოვე, თუმცა, როგორც ვთქვი, ხშირად გაუგებარი იყო ჩემთვის წაკითხული. იმედი მქონდა, რომ ამ წიგნს მალე საკუთრათ ვიშოვნიდი, რადგან ლეგალური იყო და გულდასმით შევისწავლიდი მას.

ასეცდა მოხდა. მაშინ ჩვენ ის „გადავაბულბულეთ“ და ძლოლად რამდენიმეთ გავიცეთ მისი დედა აზრები. მალე მომძიდა სოფელში დაბრუნება (1895 წ. აპრილში) და როგორ და რა საშუალებით არ

მახსოვს, ეს წიგნი თან წავიღე. გადავიკითხე ის გულდასმით ერთხელ, მეორეხელ, მრავალი ადგილებიც ამოვწერე და მინდოდა მესამეჯერ წამეკითხა, რომ მიწის მზომელმა ჰოხელემ, ვასო გოგილაძემ, (რომელიც იმ დროს ჩვენს წრეში, „მესამე დასელთა წრეში“ იყო შემოსილი) საზაფხულოდ თავისთან წამიყვანა საცხოერებლად სამტრედიის „გაღმა მხარის“ რაიონში, სადაც ის მიწის ზომვის საქმეს აწარმოებდა: ვითომდა მასთან სამსახურში უნდა შევსულიყავი... ჩვენ ვცხოვრობდით ს.ს. გომსა და მუხაყრუაში, საიდანაც ის, როგორც მიწის მზომელი, ამ რაიონის მიდამოებში სამუშაოდ დადიოდა და მე შინ ვრჩებოდი და წიგნების კითხვით და დღიურის წერით ვერთობოდი. როცა ვასო საღამოობით შინ დაბრუნდებოდა, შევუდგებოდით დავა-კამათს სხვადასხვა კითხვებზე, უფრო კი პლეხანოვის ხსენებულ წიგნში (რომელიც ვასოსაც ჰქონდა წაკითხული) აღძრულ თემებზე. მინდოდა კარგათ შემეთვისებინა აქ გამოთქმული დასაბუთებული დედააზრები და თვალსაზრისი.

პლეხანოვის სხვა ნაწერები წინად მქონდა წაკითხული, მაგრამ ვერც ერთს ისე ვერ ჩავწვდი, როგორც ამ წიგნს, ვერც ერთიდან ისე სრულად ვერ გამოვიტანე მონისტური აზროვნების პრინციპი და ისტორიულ-ეკონომიური თვალსაზრისი, როგორც ამ წიგნიდან. შეიძლება ითქვას, რომ ამ წიგნის შესწავლის შემდეგ შემეძლო მეწოდებია ჩემი თავისთვის მარქსისტი. თავს რევოლიუციონერად და სოციალისტად მანამდისაც ვთვლიდი, მაგრამ „მარქსის კაპიტალის“ შესწავლელად თუ მარქსისტი გავხდებოდი, არ მეგონა.

აი რა სამსახური გაგვიწია ბევრ ახალგაზრდას პლეხანოვის წიგნმა. ჩვენ ამის შემდეგ მაინც და მაინც მარქსის ნაწერების დედანში წაკითხვას და შესწავლას აუცილებელ საჭიროებათ აღარ ვთვლიდით... რაკი კარგად, ნათლად და მტკიცედ გავიგე, რომ ისტორიული მსვლელობის ნამდვილი ჩარხი, ეს ეკონომიური ყოფა-მდგომარეობაა, რაკი აშკარათ დავინახე, თუ ჩვენში მუშათა კლასი არ ამოძრავდა და კლასობრივად შეგნებული არ გახდა და რუსეთის მუშათა მოძრაობას არ დაუკავშირდა, ისე ჩვენს ინტელიგენტ-რევოლიუციონერებს არც აზრი და მნიშვნელობა ექნება და არც გასაქანი. ამიტომ საბოლოო გადაწყვეტილება მივიღე: **სოციალისტური შეგნება ჩვენს მუშათა კლასში „შევიტანო“**.

ახლა მომწყურდა მუშასთან დაახლოვება, ახლა საბელოსნო და ფაბრიკა-ქარხნები ჩემთვის სატრფიალო საგანი გახდა. ქარხნის მუშა ჩემს თვალში გმირთა-გმირი შეიქნა, ხოლო ფაბრიკა-ქარხნის საყეარი კი ჰარმონიული დამატკბობელი საოცნებო მუსიკა.

95 წლის შემოდგომა და ზამთარი ისევ სოფელში გავატარე, ხოლო 96 წლის მაისში დიმიტრი კალანდარიშვილის და სილბისტ-

რო ჯიბლაძის დახმარებით „ფილოქსერის" პარტიაში მოვხვდი. აქ გავეცანი რამდენიმე ახალგაზრდა მარქსისტს, მათ შორის სევერიანე ჯუღელს და ლადო კეცხოველს, აგრეთვე ფილოქსერის პარტიაში მომუშავე რამდენიმე რიგელ სტუდენტს, რომლებიც მტკიცე გამორკვეული მარქსისტები იყვნენ. სილიბისტრო ჯიბლაძეს 1892 წლიდან ყვირილის ს. დ. პირველ დამფუძნებელ კრებიდან ვიცნობდი და დიდ პატივსა ვცემდი. „ფილოქსერის პარტიაში", სადაც ის ჩემს „უფროსადაც" ითვლებოდა, ის ამ დროს უკვე მტკიცე გამორკვეული მარქსისტი იყო.

იმ დროს ყველა ქართველი ინტელიგენტი—რევოლიუციონერები ამ „ფილოქსერის პარტიაში" იყვნენ თავმოყრილნი.

მართალია, ვიცნობდით ტფილისის სახელოსნო სკოლის რამდენიმე მოსწავლეს და მათ შორის ვასო ცაბაძეს, რომელიც იმავე „ფილოქსერის პარტიაში" 1894 წელიდანვე მოხვდა, მაგრამ ეხლა ყველა ისინი ტფილისში ცხოვრობდენ და ჩვენ ვერ გვხდებოდენ. ამიტომ ჩვენ ინტელიგენტები მუშათა კლასზე, მასთან დაახლოებაზე, მუშათა მოძრაობაში ჩარევაზე მხოლოდ ვოცნებობდით. აი ამ გარემოებით აიხსნება, რომ სოციალური იდეების მუშებში გავრცელება ჩვენ „მესამე დასელებს", ინტელიგენტ-მარქსისტებს სახელოსნო სკოლიდან გამოსულმა მუშა-მარქსისტებმა მოგვასწრეს.

„ფილოქსერის პარტიაში" მუშაობის სეზონის დასრულების შემდეგ, ჩვენ ყველა იძულებული გავხდით ტფილისში დავბინავებულიყავით და იდეურ მუშაობას შევდგომოდით.

1896—7 წ. ზამთარში ჩვენ ყველა ტფილისში ვიყავით და ვეძებდით გზას ტფილისელ მუშებთან დასაახლოვებლად და ის კი არ ვიცოდით, რომ ამ დროს ვასო ცაბაძის და ზაჭრა ჩოფრაშვილის მეთაურობით და ხელმძღვანელობით მუშათა რამდენიმე წრე უკვე არსებობდა, სოც. დემოკრატიული მუშათა პაწია კოლექტივი უკვე მოქმედებდა.

1896 წლის მიწურულში ჩვენ ინტელიგენტები ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს, ხშირად ვიკრიბებოდით და ლიტერატურულ ან სხვა ამგვარ საქმეებს ვაწყობდით. ვიწყოდით შინაგანი რევოლიუციონური წვით, მაგრამ ჩვენს რევოლიუციონურ ენერგიას გაჭანება არ ეძლეოდა, ვინაიდან მუშებისაკენ გზას ვერ ვირკვეოდით [1]). ჩვენ იმ

[1]) ნახეთ ამის შესახებ „რევ. მატ."—ნეს მეორე—მესამე ნომერში ვ. ცაბაძის" მოგონება. აქ იგი, სხვათა შორის, ამბობს: „მესამე დასელების" წრეს,—ეგნატე ნინოშვილს, მიხა ცხაკაიას და სხვებს მე დაუახლოვდი 1892 წლიდან... სამი წელიწადი ვტრიალებდი ამ წრეში... ბევრი ვიკითხე, ბევრი ვიფიქრე... ყველაფერი ეს მე მომწონდა... არ მომწონდა ის, რომ მარქსის ამ რევოლიუციონურ სოციალიზმის იდეის პრაქტიკულად მუშებში გადატანაზე ჯერ კიდევ არავინ ფიქრობდა." და სხვა.

მომენტში ნამდვილ რევოლიუციონურ „პოგემას“ წარმოვადგენდით, თუ შეიძლება ასე ვთქვათ და იმავე დროს ყოველი ჩვენგანი „სამსახურს“ ეძებდა.

მეც ვეძებდი „სამსახურს“ და როგორღაც პირველად ამ მხრივ ბედმა მე გამიღიმა: ადგილი თუ „სამსახური“ ვიშოვე ტფილისის ფიზიკურ ობსერვატორიაში („დამკვირვებლის“) და აი ამ დროიდან იწყება ჩემი ცხოვრების ყველაზე უფრო ინტენსიური მოქმედების დღეები, ვიდრე აუტანელ, დუხჭირ პირობების გამო საბოლოოთ არ დავაათმყოფდი.

ამ დღიდან ჩემი სამსახურიც და იმავე დროს საცხოვრებელი ადგილი (ბინაც ობსერვატორიაში მქონდა) რევოლიუციონურ მარქსისტ მუშებსა და სოციალისტ ინტელიგენტებს შორის დამაკავშირებელი პუნქტი გახდა.

აქ შედგა პირველი შეერთებული ინიციატიური სოციალდემოკრატიული კომიტეტი, რომელიც 1897 წლის დასაწყისიდან, ვიდრე 1903 წ. ამიერ კავკასიას სოც. დემ. კავშირი არ შედგა, ტფილისის მუშათა კლასის მოძრაობას ყოველმხრივ ხელმძღვანელობას უწევდა.

3. როგორ მოხდა ჩვენი მუშებთან დაახლოვება და როგორ ჩაისახა ეს შეერთებული კომიტეტი.

ჯერ ისევ სანამ სამსახურს ვიშოვიდი, ჩვენ ვხვდებით ვასო ცაბაძეს, რომელსაც მისი მომცრო ტანდობის გამო მეტ სახელად „პატარა კაცს“ ვეძახდით. ის ყოველ ჩვენგანზე, პატარა შეუმჩნეველ შთაბეჭდილება ახდენდა. მას 1892 წლიდან ვიცნობდი, როცა ის ჯერ ისევ ტფილისის სახელოსნო სკოლაში სწავლობდა, მაშინ იგი ეგნატე ნინოშვილს და მიხა ცხაკაიას გავაცანი.

რუსული ენა მან კარგათ იცოდა, კარგათ ჰქონდა შეთვისებული და მარქსისტულ ლიტერატურასაც ამ ენაზე კარგათ ითვისებდა. კარგათ შეეძლო ლაპარაკიც რუსულზე და ხშირად სასაუბრო ენაც მისი რუსული იყო, რაც მუშებში, იმ დროს მაინც, მეტად იშვიათი მოვლენა იყო. მან ფიზიკური ჯანის სისუსტის გამო თავისი ხელობა—დურგლობა—სკოლიდან გამოსვლის თანავე დასტოვა და „სამსახურში“ შევიდა. ის ამ დროს რკინის გზის კანტორაში მსახურობდა, როგორც კანცელიარისტი, მაგრამ მუშებთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა. ის ხშირად გვხვდებოდა ჩვენ, ხანდახან შემოიელიდა კიდეც ჩვენს ბინაზე და თითქო მზვერავიაო, ცოტა მოკითხვის შემდეგ ისევ გაბრუნდებოდა. მას შემდეგ, რაც ადგილი ვიშოვე ობსერვატორიაში, ვასომ უფრო ხშირად დაიწყო ჩემთან სიარული, პირველ შეხვედრაზე ვატყობდი, რომ იგი როგორღაც ჩვენ ყველას ალმაცერათ და და-

ცინვით გვიყურებდა; ჩვენთან დადიოდა, ხოლო თავის ბინის ადრესს არ გვეუბნებოდა. ეს მე ეჭვს მიბადებდა და კიდევ უფრო მისდამი მიზიდავდა.

ერთხელ ლაპარაკი ჩამოგვივარდა ჩვენი ინტელიგენტ-რევოლიუციონური პარქისტების მოქმედებაზე და მუშებთან მათი დაახლოების შესახებ. ის მათ პოზიციას იწუნებდა, ხოლო მე ვესარჩლებოდი, მაგრამ ბოლოს შევთანხმდით და ამის შემდეგ ვასომ ნდობით დამიწყო ყურება.

რამდენიმე შეხვედრისა და გამოლაპარაკების შემდეგ ერთ საღამოს ის საქმიანი კაცის სახით ჩემთან შემოვიდა და შემპარავი ღიმილით მითხრა:

„თამბაქოს ფაბრიკებში მუშები გაიფიცენ, ბევრი მათგანი შიმშილობს... საჭიროა ფულით დახმარება... ჩვენ ვეგროვებთ და ცოტა-ცოტათი ვაწვდით ისეთებს, რომლებიც ვერ უძლებენ გაჭივრებას და გაფიცვას გატეხას უპირებენ. იქნება შენც შეიძლო რამდენიმე მანეთის მოგროვება შენს ნაცნობთა შორის“-ო დაასრულა ვასომ ასე უბრალოთ და წყნარად თავისი წინადადება.

„მუშები გაიფიცენ ჩვენში, ტფილისში! ისინი შიმშილობენ, იბრძვიან, დახმარებას მოითხოვენ“—ვიმეორებდი გუნებაში ამ სიტყვებს, როცა ვასო მელაპარაკებოდა და როცა დაასრულა მან, ანგარიშ-მიუცემლად შევძახე:

— როგორ არ შემიძლია, ვისაც კი ვიცნობ, ყველას მივმართავ და რაღაცას კი ვიშოვნი, მხოლოდ გამაგებინე კარგათ, ვინ, სად რამდენია ეს მუშები, როგორ შეიძლება მათი ნახვა და მათთან დაახლოება? ვეკითხებოდი ვასოს, სიხარულით აღელვებული, რომ ასეთი ამბების გაგონებას ველოდისე.

ვასო კი აუჩქარებლად, დინჯათ, მაგრამ თავისებური ღიმილით შემომცქეროდა... მაგას მერე გაიგებ, მითხრა ვასომ და გამშორდა.

დავრჩი დაუკმაყოფილებელი, არც თუ მომეწონა ვასოს მოპყრობა, მაგრამ საწინააღმდეგოს თქმას კი ვერ ვბედავდი. ალბათ ასე უნდა, ვფიქრობდი, როგორც სჩანს ის უკვე დაახლოებია მუშებს და რევოლიუციონურ საქმეში ჩაბმულა. ტაქტობა საიდუმლოს ინახავს და კონსპირაციას იცავს და მე რა უფლება მაქვს ამაში ხელი შევუშალო მეთქი. საჭირო იყო მხოლოდ დავალების შესრულება. სამწუხაროდ, მე ისეთი ნაცნობი, რომელსაც ფულის გაცემა შეეძლო ამ საქმისათვის, მხოლოდ ერთი აღმომაჩნდა. ეს იყო კბილის ექიმი ვარლამ ჭიჭინაძე, რომელზედაც ეგნატე ნინოშვილისაგან გაგონილი მქონდა, რომ პეტერბურგში სტუდენტობის დროს ტეროროისტებს (მეფის მკვლელებს) ძალიან თანუგრძნობდა. მან იმედი არ გამიმტყუნა და

მართლაც რემდენიმე მანეთი მომცა ისე გამიხარდა და ასე მეგონა, რომ იმით გაფიცვას უკვე გავამარჯვებიე და ვითომ ამით დიდი რევოლიუციონერი საქმე გავაკეთე.

მოვიდა ისევ ვასო ცაბაძე (თავის ბინის ადრესს იგი არ მეუბნებოდა, რადგან ჯერ კიდევ არ მენდობოდა) და ჩემგან ის რამდენიმე მანეთი ჩაიბარა, თან რამდენიმე ცნობა მომცა გაფიცვის მსვლელობაზე და ამით დაკმაყოფილდა. ხოლო მე დიდათ უკმაყოფილო დავრჩი. მწყუროდა მუშების ბრძოლაში ჩარევა და არც კი ვიცოდი სად და როგორ: ვასო ამაზე არაფერს მეუბნებოდა, ძალიან მაწუხებდა ეს, მაგრამ ისევ ჩემს თავს ვასაყვედურობდი და ვეუბნებოდი გუნებაში: ალბათ ჯერ ნდობა არ დაგიმსახურებია, ალბათ ვასო თითონ დაინახავს ჩემს გულწრფელ გატაცებას და რევოლიუციონურ მოქმედებისათვის მზად-ყოფას და როცა ეს საჭირო იქნება, თვითონვე მომმართავს. მე კი ჩემის მხრით თხოვას ან წინადადების მიცემას ვერ ვბედავდი, ვაი თუ კონსპირაციის წესის დარღვევად ჩამითვალოს და ამით ნდობა სულ დაკარგო-მეთქი. ვგრძნობდი, რომ ჩემი ბედი ვასოს ხელთ იყო. ვხედავდი, რომ მხოლოდ მას შეუძლია ჩემი დიდი ხნის ნატვრა—მუშებთან დაახლოვება და რევოლიუციონურ მოძრაობაში აქტიურათ ჩარევა შემისრულოს.

გაივდა რამდენიმე დღე. მოუთმენლად ველოდი ვასოს მოსვლას, კიდევ რამდენიმე დღე და საღამოს ჟამს ვასო შემოდის და მეუბნება: აბა წაიდეთ, მოწინავე მუშებს გაგაცნობ, ნახე რა ბიჭები არიანო!

ამის გაგონებაზე სიხარულმა შემიპყრო, მაგრამ თითქო ახალი არაფერი მომხდარაო, უსიტყვოთ დავემორჩილე, დავიხურე ქუდი და ვასოს გაკვეცი და თან გზაში ვცდილობდი წინდაწინ წარმომედგინა გასაცნობი მუშები, განვითარებული რევოლიუციონური მუშები და ისიც ქართველი მუშები. რუსის მუშებზე კი ბევრი რამ გამეგონა და წამეკითხა, თუ როგორი განვითარებული, მომზადებული და თავგანწირული რევოლიუციონერები არიან, მაგრამ ასეთი მუშა ქართველებში ვერ წარმომედგინა.

მიხეილის პროსპექტით (ეხლა პლეხანოვის) გაეედით აეჭალის ქუჩაზე, აქედან შევეევით ანტონიევის ქუჩას, შევჩერდით სადაც ხეტყის საწყობი იყო, აქ ცოტა ხანს საწყობის ბნელ კუთხეში მივიმალეთ, რომ გამვლელ-გამომვლელი დაგვეზვერა, თვალყურს ხომ არავინ გვადევნებდა, მერე პირდაპირ ჯერ ვასო შევიდა, მითხრა დამიცადეთ და რამედნიმე წუთის შემდეგ გამოჩნდა, ძლივს შევნიშნე, რომ მანიშნებდა ხელით, შენც შემოდი ეზოშიო. ყველაფერი ეს ჩემთვის ახალი გაკვეთილი იყო, რასაც გულმოდგინეთ ვსწავლობდი. ვამბობდი: ალბათ ეს არის კონსპირაცია, რასაც რევოლიუციონერები

ბმაროზენ მტრის, ჟანდარმერიის, ჯაშუშების თვალის ასახვევად მეთქი. როგორც შემდეგ გავიგე, ვასოს ბევრი რამ ასეთი, რუსი მუშის, ფედია აფანასიევისაგან ჰქონდა შეთვისებული. ბევრს ახალ კონსპირატიულ წესს თვითონაც ჰქმნიდა. როგორც შემდეგში აღმოჩნდა, იგი კონსპირაციის ნამდვილი შემომქმედი იყო. რევოლიუციონური მოქმედება, აქტივობა, მან ჯერ ისევ სახელოსნო სკოლიდან დაიწყო (1890 წლიდან) და მხოლოდ 1902 წ. იქნა დატუსაღებული. იშვიათია, რომ რევოლიუციონერს ათეული წელი ჟანდარმერიის შეუმჩნევლად ემოქმედნოს. ეს მისი ხასიათი და მიდგომა გაბედულ მუშებს რატომღაც არ მოსწონდათ და ზოგი მათგანი მას მეტ სახელად „მოკუნტულს“ ეძახდა.

ავედით დაბალი კიბით ერთსართულიანი სახლის გრძელ აივანზე. შეაღო ვასომ ერთი ოთახის კარი და მეც შევყევი. ოთახი სრული იყო და „მეშჩანურად“, ქალაქურად გაწყობილი. გრძელი ტახტი ნოხებ გადაფარებული, რომელზედაც ნარდი შევნიშნე. ფანჯარასთან იდგა ერთგვარი სასადილო სტოლი, რომელიც ეხლა ლამპით განათებული და სუფთა სტოლსაფარით სამეცადინო სტოლის მიგიერობას წევდა.

სტოლს მისხდომოდა სამი მუშა, წინ გადაეშალათ აქსელროდის რუსული ბროშიურა—„Рабочее движение и социализм და ჩვენს მოლოდინში რაღაცაზე დაობდენ. ჩვენს შესვლაზე ისინი ადგილიდანაც არ დაძრულან, მხოლოდ შემოგვხედეს თანაგრძნობით და ხელი ჩამოგვართვეს. როგორც მახსოვს, ვასოს ჩემზე სიტყვაც არ უთქვამს მათთვის. ალბათ მუშები თავის თავად გრძნობდენ და მიმხვდარი იყვნენ, თუ ვასო რა კაცს შეიყვანდა მათთან, ხოლო რა ეჭქვა ამ კაცს—ივანე თუ პეტრე, ამას ისინი არ კითხულობდენ, და რომ ეკითხათ, კარგათ იცოდენ, რომ ვასო მას კონსპირატიული მოსაზრებით არ ეტყოდა.

მე ხარბათ, დიდი ინტერესით დავუწყე მათ თვალიერება და დაკვირვება, მათი მაშინდელი სახე, გამომეტყველება, მიხვრა-მოხვრა და ჩაცმულობაც კი ეხლაც ნათლად მიდგას თვალწინ. ყველაზე უფრო ჩემი ყურადღება არაქელა ოქუაშვილმა მიიპყრო, შემდეგ მისა ბოჭორიძემ და ბოლოს ზაქარია ჩოდრიშვილმა.

შემდეგში კარგა ხნის დაახლოვების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ზაქარია იშთ ორივეს სჯობდა თავდადებით, კლასობრივი შეგნებითაც კი. პირველ შეხედრაზე კი მეჩვენა, რომ ამ თვისებებით და გამბედაობითაც ყველას არაქელა სჯობდა. იმ საღამოს დიდხანს არ გვილაპარაკია. მე მაინც, როგორც ახალს გაცნობილს და სრულიად უცხოს ამ საქმეში, სათქმელი არაფერი მქონდა. მაში საუბრის საგანი მხოლოდ ინფორმაციული ხასიათისა იყო, ეტყობოდათ, რომ

ისინი ზემოდ დასახლებულ ბროშიურას სწავლობდენ, თან მუშათა შორის სოციალისტურ პროპაგანდას ეწეოდენ და საიმედო ელემენტებისაგან წრეებს აწყობდენ, „რჩეულ ბიჭებს" ჯგუფ-ჯგუფად ჰკრეფდენ.

— ისეთი ბიჭები შეგაროვე, ისეთი ბიჭები, მე და ჩემმა ღმერთმა, ტანდარშებს ცოცხლად გადაყლაპავენ, მაშ! სთქვა თავისებური ოხუნჯობით არაქელამ და თან ჩიბუხს მაგრად მოსწია, ცერის ფრჩხილით ცეცხლ წაკიდებული თამბაქო მაგრად ჩატენა და განაგრძო: ეხლა ორი ახალი წრე კიდევ მზადდება და არც ვიცი ვინ გაგზავნოთ იქ სამეცადინოთ.

— აი ეს კაციც იმიტომ მოვიყვანე, მიუგო ვასომ და განზე გადმოხედვით თან ჩემზე უჩვენა... ერთ წრეში მომავალ შაბათს აი ეს წავა... მეორესთვის მერე მოვძებნი ვისმე.

მესმოდა ეს სიტყვები და მთელ არსებაში ნეტარების ნექტარი მესხმოდა, სიხარულის ჟრუანტელი მივლიდა. მინდოდა, რომ ჩემი სიხარული და თანხმობა გამომეთქვა, მაგრამ ვერ ვბედავდი—ვაი თუ უკონსპირაციობათ ჩამომართვან მეთქი. მინდოდა აგრეთვე მეთქვა, რომ მეორე წრისთვის მე მოვიყვან ჩემს ამხანაგს მეთქი, მაგრამ ვერც ამის თქმას ვბედავდი: იქნებ ჩემით სხვას არ ენდობიან, რადგან მე თითონ გამოსაცდელი ვარ და სხვ.

ამნაირად დაიწყო ჩემი მუშათა შორის სოციალისტური პროპაგანდა. როგორც შემდეგ გავიგე, ჩემზე ადრე მუშების სამეცადინო წრეში გაგზავნილი იყო სილიბისტრო ჯიბლაძე, შემდეგ გაგზავნეს სევერიანე ჯუღელი, ივან ივანიჩ ლუზინი, საშა შატილოვი და ბოლოს ლადო კეცხოველი.

1897 წ. გაზაფხულზე მე უკვე ორ წრეში ვმეცადინობდი. ისე კიდევ სხვა ამხანაგები ინტელიგენტები, ასე რომ, ჩვენი ჩარევით და მონაწილეობით პროპაგანდა მეტათ გაფართოვდა, მასთან მუშების მხრით მოთხოვნილება კიდევ უფრო გაიზარდა. ახლა ვასო ჩვენთან ცნობების გადმოცემაში ისე ძუნწი აღარ იყო, როგორც წინეთ. ახლა იგი ვეიამბობდა, თუ როგორ შესდგა პირველი სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი 1894 წ. როგორ ხელმძღვანელობდა, ან ხელმძღვანელობს იგი დღეს ზაქრო ჩოდრიშვილთან ერთად მუშათა მოძრაობას ტფილისში, რა გააკეთა ამ ჯგუფმა და როგორი კონსპირატიული წესები აქვს მას შემუშავებული.

აღმოჩნდა, რომ ამ პირველ ჯგუფს, რომელიც „მესამე დასის" გარეშე შემდგარა ტფილისში, და რომელსაც ვასო ცაბაძე დაახლოებით 1894 წ. სწორედ იმ წელს, როცა იგნატე ნინოშვილის საფლავზე თავი მოიყარა „მესამე დასმა" და როცა „საპროგრამო სიტყვა" ითქვა სილიბისტრო ჯიბლაძის მიერ, აღმოჩნდა, რომ ამ ჯგუ-

ფის მეთაური ყოფილა „საზემლემერო სკოლის“ მოსწავლე სტანისლავ (ჯგუფში იუსტინეთ წოდებული) რენდგერი, რომლის ვინაობა და ბედი არც ერთმა ჩვენთაგანმა არ იცოდა (სამწუხაროდ არც ეხლა ვიცით) და რომ ამ ჯგუფის მთავარი ორგანიზატორი ფედია აფანასიევი (არც ამისი ბედი ვიცით დღეს) მუშა—მექანიკი იყო.

როგორც ვასომ მიამბო, ამ ჯგუფს ვასოსთან ერთად შეუდგენია ქართველ მუშათა პირველი წერე, დაუარსებიათ მუშათა ლეგალურ-არალეგალური მდიდარი ბიბლიოთეკა და შესდგომიან პროპაგანდას და ინტელიგენტების შერჩევას მუშათა წრეებში სამეცადინოთ. მაგრამ მათზე დამოუკიდებლად მალე შემდეგი ცვლილება მომხდარა:

რენიგერმა გაათავა სასწავლებელი და იძულებული იყო წასულიყო ტფილისიდან, ხოლო ფედია აფანასიევის ბინას მაქსიმ გორკის პეტერბურგში დატუსაღების გამო თავს დაესხა ჟანდარმერია და აფანასიევიც დაატუსაღა (ამაზე ვრცლად მოთხრობილი აქვს „რევოლიუციის მატიანეს“ მეხუთე ნომერში თითონ ვასო ცაბაძეს).

ამის შემდეგ 1896 წ. ჯგუფს თუ კოლეკტიც ხელმძღვანელად შერჩენ ზაქარია ჩოდრიშვილი, ვასო ცაბაძე და ამნაირად მათი ხელმძღვანელობით საქმე იოლად მიდიოდა 1897 წლამდე, მაგრამ როცა პროპაგანდის მოთხოვნილებამ მუშათა წრეებში არაჩვეულებრივად იმატა, როცა მუშათა სტიქიური ეკონომიური მუშაობა გაფართოვდა და მას შეგნებული ძალები საკმაო აღარ აღმოაჩნდა, მაშინ ვასომ თავის ჯგუფში ინტელიგენტების შემოყვანა დააჩქარა.

მისი ინიციატივით, კოოპტაციის წესით 1897 წელს (თვე არ მახსოვს) შედგა ახალი სოციალ-დემოკრატიული ტფილისის ის კომიტეტი, რომელშიაც არსებული მუშათა ჯგუფებისა და ჩემს გარდა ვასოს მოწვევით შევიდენ: სილიბისტრო ჯიბლაძე, სევერიანე ჯუღელი და საშა ბატალოვი [1].

მალე ტფილისში „მესამე დასის“ ლიდერებიც—ნოე ჟორდანია და ფილიპე მახარაძე—მოგვემატენ, მაგრამ ისინი კონსპირატიული მოსაზრებით არ ყოფილა შემოყვანილი კომიტეტში; ისინი სხდომებს არ ესწრებოდენ, არც მუშათა წრეებში იგზავნებოდენ ისინი. მათი საქმე კომიტეტის დადგენილებით ლიტერატურული მუშაობა იყო და ისინიც ამ როლით კმაყოფილდებოდენ პირველ ხანებში.

---

[1]) აქ მე ამბ. ფილიპეს „მოგონება“ მაგონდება. მაგონდება აგრეთვე თვითონ არაქელას მოგონებაც, საიდანაც, ტყუობილობთ, რომ „მუშათა საქმე“, რევოლიუციური პროპაგანდა-აგიტაცია ვითომ ამბ. ფილიპეს და არაქელას შეხვედრით და დაკავშირებით დაიწყო. ეს არაა სწორი, ვინაიდან მუშათა საქმეს ჩვენში ფილიპეს ჩამოსვლამდე ჩაეყარა საფუძველი. მეორე თვითონ არაქელა, რომელიც ხუმრობსენებული ჯგუფის წევრათ ითვლებოდა, ამას, იგი ე. ი., ამბ. ფილიპეს საქმეში ჩარევას ვასოსთან შეუთანხმებლად ვერ ჩაიდენდა... ავტორი

პირველი კომიტეტის პირველი სხდომები ჩემს ბინაზე, ტფილისის ფიზიკურ ობსერვატორიის ბაღ-ეზოში, ერთი ძველი შენობის ქვედა სართულის ნესტიან ოთახში იმართებოდა. (ეს ოთახი იმითაც არის ისტორიული მნიშვნელობის ნაშთი, რომ იქ ჩემს შემდეგ სოსო ჯუღაშვილი—სტალინი ცხოვრობდა 1900 წელს. რა კეთდებოდა მის დროს, დეე ამაზე მან მოიგონოს).

ამხ. რაქდენ კალაძის მოგონების გამო.

ამხ. რაქდენ კალაძე, როგორც ძველი, ერთი აქტიური მუშაკთაგანი ტფილისის პირვანდელი (90-იანი წლების პირველ ნახევრის) სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციისა, ეხება რა თავის მოგონების მიხედვით ამ ორგანიზაციის წარმოშობის ისტორიას, გამოყავს ისე, თითქო—1) მარქსიზმს ტფილისის მუშათა კლასი ქართველ ინტელიგენტ-მარქსისტების, ევრედ წოდებულ „დასელების" გარეშე და დამოუკიდებლად ეზიარა; 2) მუშათა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციის ერთად-ერთი საფუძველის ჩამყრელი ვ. ცაბაძე „დასელებთან" დამოუკიდებლად გახდა მარქსისტი და გაავრცელა ეს მარქსისტული სწავლა მუშებში; 3) ვ. ცაბაძე იყო პირველი და მთავარი ორგანიზატორი მუშათა პირველი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციისა; 4) 96—97 წლებშიც, ორგანიზაციის დაარსებიდან ორი-სამი წლის შემდეგაც კი, როცა ამავე ვ. ცაბაძის თქმით გამრავლდა სოციალ-დემოკრატი მუშები, გამოვიდა მარქსისტული მუშათა წრეები,—მათი რიცხვი 20-25-ამდის აღწევდა—ვ. ცაბაძის ინიციატივით, და მხოლოდ ვ. ცაბაძის ინიციატივით ხდება 97 წელში გამართულ საინიციატივო კრებაზე, ინტელიგენტების მოწვევა, ამავე ვასილე ინიციატივით ხდება მათი ორგანიზაციაში შემოყვანა; 5) ზაქრო ჩოდრიშვილი და არაქელა ოქუაშვილი ვერ შეხვდებოდენ ვარშავიდან ჩამოსულ ფილიპე მახარაძეს ვ. ცაბაძის უნებართვოთ და შეუთანხმებლად, რადგან ორგანიზაციის კონსპირატიული ძაფების მონოპოლია ჰქონდა ხელში,—ორგანიზაციის განმტკიცებისა, ორგანიზაციის წევრებისა და მის გარშემო შემოკრებილ მრავალრიცხოვან მუშების პოლიტიკურად მომწიფების შემდეგაც კი, მხოლოდ და ერთ ვასო ცაბაძეს; 6) ფ. მახარაძე არ იგზავნებოდა წრეში სამუშაოდ, იგი ნ. ჯორდანიასთან ერთად კმაყოფილდებოდა მარტოდ და მხოლოდ ლეგალურ-ლიტერატურული მუშაობით ამ იდეოლოგიურ ფრონტზე და სხვა...—**არ არის ეს სწორი.** იმასთან ერთად, რომ აქ ბევრი ლოგიკური შეუსაბამობაც არის, დასკვნებიც შემცდარია...

1) თით.ონ ვ. ცაბაძე მოგვითხრობს, რომ იგი გახდა მარქსისტი და მომწიფდა როგორც სოციალ-დემოკრატი სწორედ „მესამე დასე-

ლებთან,"—ეგნატე ნინოშვილთან, მიხა ცხაკაიასთან და სილიბისტრო ჯიბლაძესთან დაახლოებით, მათთან ყოფნით და მათთან კავშირით (იხ. „რევ. მატიანეს" №№ 2, 3). მართალია ის, რომ ვ. ცაბაძეს არ მოსწონდა სხვა თავის ამხანაგებთან ერთად ამ „დასელების" უმოქმედობა, მაგრამ იდეის—მარქსიზმის—მუშებში გადატანისათვის და გავრცელებისათვის შესაფერი პრაქტიკული ნაბიჯების გადაუდგმელობა; 2) ამავე ვ. ცაბაძის მთავარი (სწორედ აქ იყო მისი მთავარი როლი) ხელმძღვანელობით ხდება შემდეგ ეს მარქსიზმი მისაწვდენი ქართველი მუშებისათვის,—ხდებიან მუშები მარქსისტებად; 3) ვ. ცაბაძე არ იყო მარტო ერთად ერთი ორგანიზატორი მუშათა პირველდელი ორგანიზაციისა, მასთან ერთად არა უკანასკნელ როლს თამაშობდა ს. რენიგერი, ფ. აფანასიევი, კოკი და სხვები (ამ ორგანიზაციის მოწყობის იდეა, პირიქით, რენიგერს და აფანასიევს ეკუთვნის მათი მითითება იყო ეს; ეს დაიკისრა და შეასრულა ვასომ.. ფ. აფანასიევი პეტერბურგიდან (ლენინგრადიდან) გადმოსახლებულ **ბრუსნევ-ს კის** 92—93 წ. მარქსისტული ორგანიზაციის წევრი, ძველი სოც.-დემ. მუშა იყო); 4) 97 წელში, როცა გაიზარდა ორგანიზაცია, როცა განტკიცდა იგი შეგნებულ, პოლიტიკურად მომწიფებულ მუშებით, როგორიც იყვნენ: ზაქრო ჩოდრიშვილი, არჩილ არავიაშვილი, არაქელ ოქუაშვილი, ვანო სტურუა, მიხო ბოჟორიძე, გიორგი ჩხეიძე, ს. ალილუევი, კ. გოგუა და ძრავალი სხვები,—როცა შემოკრბა მათ ირგვლივ მრავალრიცხოვანი სოციალ-დემოკრატიული მუშათა მასა,—არ შეიძლებოდა, ამ დროს,—97 წელში,—მომხდარ ფართო კრებაზე ინტელიგენტ-მარქსისტების მოწვევა ყოფილიყო მარტო ვ. ცაბაძის ინიციატივა,—და ამას არც ამბობს ცაბაძე თითონ თავის მოგონებაში... აქ, ამ დროს უკვე, ყოველგვარი საქმიანობა ორგანიზაციისა იყო კოლექტიური, მთლიანი და არა ინდივიდუალურ—ინიციატიური... ამ „კუსტარნიკულ" ნაბიჯებს და საქმიანობას მხოლოდ მისი,—ორგანიზაციის—წარმოშობამდის, მისი ჩასახვის პირველ ხანებში ქონდა ადგილი; იმ ხანებში, როცა არ იყო ორგანიზაცია, კოლექტივი, და მისთვის მის შესაქმნელად საჭირო ხდებოდა ვინმეს ინიციატორობა, ვინმე პიროვნებისაგან ამ მხრივ დამოუკიდებელი რევოლიუციონური ნაბიჯების გადადგმა; 5) ზაქრო ჩოდრიშვილი და არაქელა ოქუაშვილი შეხვდენ ვარშავიდან ჩამოსულ ძველ ნაცნობს—ფილიპე მახარაძეს—96 წ. დასაწყისში სწორედ ვ. ცაბაძის დამოუკიდებლად; ამის უფლება, როგორც ორგანიზაციის წევრთ, მათ ჰქონდათ „მორალურადაც" და „იურიდიულადაც"; აქ ამით არავითარი კონსპირაცია არ იღლეოდა მათ მიერ; შეხვდენ ისინი ფილიპეს, მაგრამ მაშინვე, პირველ ხანებში, პირველ შეხვედრისთანავე კი არ გაუმხელიათ ფილიპესთვის ორგანიზაციის არსებობა და მისი მუშაობა; 6) ვ. ცაბაძე ზაქრო

ჩოდრიშვილისა და არაქელა ოქუაშვილის მეოხებით გაიგებს, რომ ტფილისში არის ჩამოსული მომზადებული თეორეტიკი-მარქსისტი, მისთვის პირადათ უცნობი ფ. მახარაძე, სილიბისტრო ჯიბლაძის ბინაზე ნახევრად არალეგალურად მცხოვრები... ვასო ცაბაძე ეტყვის სილიბისტრო ჯიბლაძეს ზაჭროსა და არაქელას შეხედულებას ფილიპეზე; სილიბისტრო აცნობს ფილიპეს ვ. ცაბაძეს... ამ რიგად ვ. ცაბაძეს ეძლევა შემთხვევა წაიყვანოს ფილიპე მახარაძე მუშათა არალეგალურ წრეებში სამუშაოდ... ეს არ გაგრძელებულა დიდხანს... ორგანიზაციის ინტერესებიდან გამომსულ სხვადასხვა მოსაზრებით, ფილიპეს ასეთი მეცადინეობა წრეში წყდება... სილიბისტრო ჯიბლაძეს უთქვამს აქ ვ. ცაბაძესათვის:... დეე მაგი,—ფილიპე,—იჯდეს თავის ოთახში, იკითხოს და როგორც თეორეტიკი, მარტო თეორიული საკვები მიაწოდოს ორგანიზაციას,—ეს კმარა ჩვენთვისო. ნ. ჟორდანია საზღვარ გარეთ იყო ამ ხანებში.

ეს არის ვასო ცაბაძის მიერ პირადათ გადმონაცემი პარტისათვის.

ყველა ამას, მე რა თქმა უნდა, არა ვწერ ჩემი „მოგონების“ მიხედვით; ასეთი არც შეიძლებოდა მჭონებოდა მე; ეს არის ამოღებული და დასკვნილი იმ მასალა-დოკუმენტებიდან, რომელიც პარტისს და „რევოლიუციის მატიანე“-ს რედაქციას მოეპოვება.

ს. თალაკვაძე.

P. S. აქ მოვიყვან აგრეთვე ამ „მოგონების“ შესახებ გაკეთებულ რედაქციის პატარა შენიშვნას:—„ნახეთ ამის შესახებ „რევ. მატ“-ნეს მეორე—მესამე ნომერში ვ. ცაბაძის „მოგონება“. აქ ივი, სხვათა შორის, ამბობს; „მესამე დასელების“ წრეს,—ეგნატე ნინოშვილს, მიხა ცხაკაიას და სხვებს მე დაუახლოვდი 1892 წლიდან... სამი წელიწადი ვტრიალებდი ამ წრეში... ბევრი ვიკითხე, ბევრი ვიფიქრე... ყველაფერი ეს მე მომწონდა... არ მომწონდა ის, რომ მარქსის ამ რევოლიუციონურ სოციალიზმის იდეის პრაქტიკულად მუშებში გადატანაზე **ჯერ კიდევ** (ხაზი ჩემია, ს. თ.) არავინ ფიქრობდა... და სხვა“... რედაქციის ეს ფაქტიური პატარა შენიშვნა კი ამტკიცებს ამბ. რ. კალაძის მოგონებაში გამოთქმულ შეხედულებისა და მის მიერ გაკეთებულ დასკვნების წინააღმდეგს... აქედან სჩანს,—იდეური კავშირი, იდეური თანამშრომლობა ყოფილა ინტელიგენტებსა და მუშების წარმომადგენელს შორის... ინტელიგენტები პრაქტიკულად ორგანიზაციულად ვერ დაახლოვებიათ მხოლოდ მუშებს **პირველ ხანებში**; მაგრამ ეს „პრაქტიკული უსაქმურობა“ ინტელიგენტებს ყველას არ მიეწერება; ამის მაგალითი თვით ამბ. რაჟდენ კალაძეა, რომელიც რევოლიუციონური შინაგანი წვით იწვოდა, ეძებდა გასა-

ქანს, ცდილობდა თავისი „რევოლიუციონური ენერგიისათვის გზა მიეცა“ (და ნახა კიდეც ეს შემდეგ) და სხვა. თვით ვასო ცაბაძეც აღნიშნავს, რომ ინტელიგენტთა შორის პრაქტიკული საქმიანობით დაინტერესებული იყვნენ და ეწეოდნენ ამ საქმიანობას (ახალგაზრდა მოსწავლეებში განსაკუთრებით) ეგნატე ნინოშვილი, მიხა ცხაკაია და სილიბისტრო ჯიბლაძე (ფ. მახარაძე ხომ ამ ხანებში ვარშავაში იყო და იქაურ მუშათა მარქსისტულ ჯგუფებში უკვე ეწეოდა პრაქტიკულ-ორგანიზაციულ მუშაობას, რის შედეგათ მან „იგემა“ კიდეც საშინელ პირობებში ვარშავის ციხის „ოდინოჩკაში“ ჯდომა)... ყველაფერი ეს, მიუხედავათ ამ გამონაკლისებისა, მაინც კიდევ ერთხელ ამტკიცებს მარქსიზმის საფუძვლის, მარქსისტული შეხედულების სისწორეს ყველაფერზე...—მუშები თითონ ჰკიდებენ ხელს თავიანთ განთავისუფლების საქმეს და შემდეგ იხმარიებენ, ითრევენ პრაქტიკულ საქმეებში თავიანთი წრიდან გამოსულ, თავიანთ მოძხრე და გულშემატკივარ ინტელიგენტებს... ასე მოხდა ეს საქართველოშიც, რასაც ამტკიცებს მჭერმეტყველურად რ. კალაძის მოგონება და ვ. ცაბაძისაც... აქ არაფერი გასაკვირვალი არ არის... წარმოებაში ჩაბმული, კაპიტალიზმისა და თვითმპყრობელური რეჟიმის სიმძიმის მზიდავი მუშები კი უფრო მეტს გრძნობენ პრაქტიკულ საქმიანობას, უფრო მეტად ხედავენ ისინი მის საჭიროებას და ნაკლებათ ითმენენ შექმნილ მძიმე მდგომარეობას, ვიდრე წარმოებას დაშორებული, კოლექტიურ შრომას მოწყვეტილი—ვინც არ უნდა იყოს—ინტელიგენტები.

ხ. თ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლშევიკების მუშაობა ტფილისში 1909—10 წლებში [1].

მოგონებანი.

I

ტფილისის კომიტეტის შემადგენლობაში მე შევედი 1909 წლის გაზაფხულზე.

ამ დროს ბოლშევიკების ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა ვიქტორ ნანეიშვილი—ერთად ერთი ბოლშევიკი-ინტელიგენტი, რომელიც იმ ხანებში შერჩენოდა არალეგალურ მუშაობას. 1908—09 წ. ზამთრის განმავლობაში ამხ. ნანეიშვილი ენერგიულ მუშაობას ეწეოდა წრეში, რომელშიაც, სხვათა შორის, შედიოდენ პეტრე არველაძე, პარმენ საბაშვილი, ვალერიან ვაშაკიძე, ვალოდია კოპალეიშვილი და სხვანი. ესენი ყველა რკინის გზის მთავარ სახელოსნოს მუშები იყვნენ, გარდა ვაშაკიძესი.

რამოდენიმე თვის განმავლობაში წრემ უდიცესი სამუშაო შეასრულა. გავლილ იქნა ძირითადი მარქსისტული ლიტერატურა. ამ

[1]) ვთავსებთ ამხანაგების—ვარდინის, პ. საბაშვილის და ნაფეტვარიძის მოგონებებს ჩვენი ერთი მეტად მნიშვნელოვანი პარტიული ცხოვრების წარსულიდან (1909—10 წ.). სწორედ ამ დროს რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში,—1905 წლის რევოლიუციის დამარცხების შედეგათ გაჩნდენ „ლიკვიდატორები" და „პარტიელები",—ე. ი. პირტიის არალეგალურ აპარატის შენახვის მოწინააღმდეგენი და მომხრენი; ამ მოვლენამ აქ, საქართველოში, პირველათ დააშორა ერთმანეთს ორგანიზაციულად მეწმევიკები და ბალშევიკები და ასე ტფილისში შეიქმნა ცალკე ბოლშევიკური კომიტეტი.

ამ მოგონებებში ჩამოთვლილი ბოლშევიკური ორგანიზაციის ხელმძღვანელთა და მის გარშემო შემოკრებილ ამხანაგებთა შორის არ არიან მოხსენებული სხვა ბევრი ბოლშევიკებიც.

იმ ცნობებით, რომელიც პარტიას მოეპოვება, ეს მომქმედი ბოლშევიკები, სხვათა შორის, იყვნენ: ლოლა წულუკიძე, ლევან მიროტაძე, ბუდუ მდივანი, გიორგი ყურულიშვილი, ლადო სუბიშვილი, მიროტაძე (ჭოსა), თომა კამალოვი, არტინ სოლოვიანი, ივანაზოვი, ჯავარიძა ტერ-პეტროსოვი (ეხლა ხუტულაშვილი), არუსიაკა ტერ-პეტროსოვი, ასატურა კაბოიანი, ალექსი ბეგდულაძე, ს. თალაკვაძე, მოსე ვარამაშვილი და სხვ.

რედ.

წრემ მოამზადა არალეგალურ მომუშავეთა კადრი 1909—10 წლებისათვის. განსაკუთრებით ბევრი შეიძინა წრემ პეტრე არგელაძემ.



ამხ. ი. მგელაძე (ვარდინი). ამხ. პ. საბაშვილი.
(გადაღებულია ტფილისში 1924 წ.).

უნდა აღინიშნოს, რომ წრეში, მეცადინეობის გარდა ხსენებული ამხანაგები ეწეოდენ პრაქტიკულ პარტიულ მუშაობასაც.

1909 წლის აგვისტოში ამხ. ნანეიშვილი ტფილისიდან წავიდა და მთელი მუშაობა დააწყვა ამხანაგების მცირე ჯგუფს, რომელთა შორის არ მოიპოვებოდა არც ერთი ინტელიგენტი.

1909 წლის გაზაფხულზე და ზაფხულში სასტიკი ბრძოლა სწარმოებდა მენშევიკებთან, რომელნიც თითქმის საბოლოოდ დაიდგენ ლიკვიდატორობის გზას. მენშევიკური მუშაობის მთავარ ხელმძღვანელად მაშინ ითვლებოდა სილიბისტრო ჯიბლაძე. მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა რაფიელ ჩიხლაძე, ხშირად გამოდიოდა კრებებზე მიშა არსენიძე, რომელიც იმ ხანებში მენშევიკურ ლეგალურ გაზეთს რედაქტორობდა.

რამდენიმე თვის განმავლობაში თითქმის ყველა რაიონებში ხდებოდა, იმ დროის პირობების მიხედვით, საკმაოდ მრავალრიცხოვანი კრებები, სადაც ვებრძოდით მენშევიკების ლიდერებს იმ საკითხის შესახებ—ეარსებნა თუ არა არალეგალურ პარტიას, ან მოგვეხდინა მისი ლიკვიდაცია და მუშაობის მთელი ცენტრი გადაგვეტანა ლეგალურ ორგანიზაციებში. თვალსაჩინო მრავალრიცხოვან კრებებს, 70—80 კაცისაგან შემდგარს, ჩვენ ვაწყობდით ბოტანიკურ ბაღში. ჩვენი მთავარი მოწინააღმდეგენი აქ იყვნენ: ჯიბლაძე, ჩიხლაძე. არსენიძე და სხვა მენშევიკები.

როგორც ზემოდ აღვნიშნე, ჩვენს შორის არც ერთი ინტელიგენტი არ ყოფილა და, თავის თავად იგულისხმება, პოლიტიკური მომზადების მხრით მენშევიკები ბევრად გვჯობნიდენ, მაგრამ ეს ჩვენ სრულიადაც არ გვაწუხებდა და სასტიკ ბრძოლას ვაწარმოვებდით, რადგანაც დარწმუნებული ვიყავით, რომ ჩვენს მხარეზე იყო რევოლიუციონური სიმართლე.

1909 წლის გაზაფხულზე ჩვენ დიდი დახმარება გაგვიწია პლეხანოვის გამოსვლამ. მაგონდება ის აღტაცება, რამაც ჩვენ ყველანი შეგვიპყრო, როცა მივიღეთ პლეხანოვის „სოციალ-დემოკრატის დღიური"-ს მე-9 ნომერი. აქ პლეხანოვი ჩვეულებრივის დაუნდობლობით ილაშქრებდა მენშევიკური ლიკვიდატორობის წინააღმდეგ. სტატიაში—„გენერალური გამოჯვნა", ის კითხვას აყენებდა მენშევიკ-ლიკვიდატორებისაგან გათიშვის, გამოჯვნის შესახებ. შემდეგ პლეხანოვი სასტიკად თავს ესხმოდა ჯიბლაძეს, რომელმაც მენშევიკების საზღვარგარეთელ ორგანოში—„სოციალ-დემოკრატის ხმაში" მოათავსა ლიკვიდატორული, რენეგატული სტატია. ყველა აქტიური, რევოლიუციონური ძალები ამ პერიოდში უდავოთ ჩვენს მხარეზე იყო. რიცხვობრივათ მენშევიკებს, რა თქმა უნდა, გაცილებით მეტი მომხრეები ჰყავდა, ვიდრე ჩვენ, მაგრამ ორგანიზაციულად შეკავშირებული რევოლიუციონური მუშები ჩვენს რიგებში იმყოფებოდენ.

როცა ტფილისის კომიტეტში ჩვენ უმრავლესობა გავიყვანეთ, (ასე მოვქცეულიყავით ჩვენ შეგვეძლო იმიტომ, რომ მენშევიკებმა ფაქტიურად თავი გაანებეს არალეგალურ მუშაობას) შევუდექით მტკიცე პარტიული ხაზის გატარებას. წავიდენ რა ტფილისის კომიტეტიდან, მენშევიკები გამაგრდენ საოლქო კომიტეტში, საიდანაც დაგვიწყეს ლანძღვა თავიანთ ფურცლებში, გვეძახდენ სექტანტების ჯგუფს და სხვ.

ცხადია, პირადი დამოკიდებულება ჩვენსა და მენშევიკების ლიდერებს შორის საბოლოოდ წაბდა. კერძოდ, სილიბისტრო ჯიბლაძემ შემიძულა, როგორც თითონ ამბობდა, იმაზე უფრო, ვიდრე მას წინად ეუყვარდი; ერთ-ერთ სადისკუსიო კრებაზე, დიდუბეში, კინაღამ მუშტით არ გამომასპიძლდა. პირად ნიადაგზე დამოკიდებულებათა გამწვავება გამოწვეული იყო პოლიტიკურ ურთიერთობათა გამწვავებით.

რადაც არ უნდა დაგვჯდომოდა, ჩვენ უნდა გაგვეჩაღებია საკლიტერატურო მუშაობა. სტამბა ჩვენ არ მოგვეპოვებოდა, მენშევიკური საოლქო კომიტეტი კი ჩვენი პროკლამაციის დაბეჭდვისათვის დიდძალ ფულს გვთხოვდა.

1909 წლის აგვისტოში ჩვენმა კომიტეტმა შეადგინა ორი დიდი პროკლამაცია; ორივე პროკლამაცია მე დავსწერე პეტრე არველაძის ხელმძღვანელობით და უმთავრესად მისი დირექტივებით. მე პროკლამაციები დავწერე ქართულად, რუსულად გადავათარგმნიეთ ადესის უნივერსიტეტის სტუდენტს პაველ დადვაძეს, რომელიც ამ ჟამად გაზ. „ხარია ვოსტოკა"-ში მუშაობს. პროკლამაციები დავბეჭდეთ ლეგალურ სტამბაში. ეს ძნელი საქმე შეასრულა ჩვენმა მთავარმა ორგანიზატორმა ამხ. საბაშვილმა.

1909 წლის ოქტომბერში, დაბოლოს, ჩვენ მოვაწყვეთ საკუთარი სტამბა, რომლის მოწყობაში მანასე გოგუაძეს გარდა გვშველოდა ცნობილი მენშევიკი-მუშა ვალერა ბილანიშვილი. საკუთარ სტამბაში დაბეჭდილი პირველი პროკლამაცია მივუძღვენით 1905 წლის ოქტომბრის 17-ის წლის თავს. პირველად პროკლამაციის დაწერა მივანდეთ რუბენ კატანიანს, მაგრამ მის მიერ წარმოდგენილი ტექსტი კომიტეტმა უარყო და მომანდო მე ახალი პროკლამაციის დაწერა. მე დავსახლდი სტამბასთანვე მდებარე ოთახში, სადაც გავატარე დაახლოებით ექვსი თვე. ჩემი საცხოვრებელი ბინა 3—4 ამხანაგმა იცოდა, რომელნიც დაკავშირებული იყვნენ სტამბასთან. მხოლოდ ერთხელ დავაროვე კონსპირაციის წესი, როცა ტფილისში ჩამოსულ სტალინს (კობას) ღამე გავათევინე ჩემთან.

ნოემბერში ჩვენ დავიწყეთ გაზეთ „ტფილისის პროლეტარის" გამოცემა. ამ გაზეთის პირველი ნომრის მეთაური დაესწრა ამხ. კობამ (სტალინმა).

მეთაურს გარდა მან გადმოგვცა ვრცელი სახელმძღვანელო სტატია მიმდინარე მომენტზე, რომელიც, ვგონებ, სიდიდის გამო ვერ დაიბეჭდა. ჟურნალისთვის დანარჩენი წერილები მე დაეწერე. ჩემთან ერთად სარედაქციო კოლეგიაში შედიოდენ პეტრე არველაძე და ერმილე ნაფეტვარიძე.

წერილებს კოლეგიალურად ვარჩევდით და ზოგჯერ მსჯელობის შემდეგ არსებითი შესწორებები შეგვქონდა ხოლმე. საყურადღებო შენიშვნა შესწორებები ასეთ შემთხვევებში შეჰქონდა ყოველთვის არველაძეს.

„ტფილისის პროლეტარი" ჩვენ გამოვეცით 3 ნომერი. უკანასკნელი ნომერი გამოვეცით 1910 წლის მარტში. ამას გარდა ჩვენ გამოვეცით დიდძალი პროკლამაციები, 1910 წელს სააღდგომოთ გამოვეცით ფურცელი გლეხებისადმი, რაც დღესასწაულებზე სოფლად წასულ ამხანაგებს გავატანეთ გასავრცელებლად.

ჩვენი უკანასკნელი პროკლამაცია, როგორც მახსოვს, იყო სამაისო გამოცემა, 1910 წელს.

ჩვენი პროკლამაციები კარგად ვრცელდებოდა და გამოძახილს პოულობდა მუშათა წრეებში. 1909 წელს ზაფხულში ჩვენ მიერ გამოცემულმა პროკლამაციამ დიდი აური-ზაური შეჰქმნა ტფილისის შავრაზმულ პრესაში.

ამჟამეგლურ ლიტერატურას გარდა 1910 წლის გაზაფხულზე ჩვენ შეუდექით კერძულ ჟურნალის „მოგზაური"-ს გამოცემას. ჟურნალის სარედაქციო კოლეგიაში ჩემს გარდა შედიოდენ ნიკო ელიავა, რომელსაც თავი მაშინ ბოლშევიკად მოჰქონდა და სამსონ ტოროშელიძე.

არ შემიძლია იმის თქმა, რომ ჟურნალი ყოველ მხრით დამაკმაყოფილებელი ყოფილიყოს. ტფილისის კომიტეტის ზოგიერთი, წევრები, კერძოთ, განსვენებული არველაძე, ჟურნალით უკმაყოფილო იყვნენ და მისაყვედურებდენ, რომ შედარებით მეტად დიდ დროს ვანდომებდი მას.

ლეგალურ ორგანიზაციებიდან ჩვენ გავმაგრდით სახალხო სახლთან არსებულ დრამატიულ წრეში. დრამატიული წრის ხელში ჩაგდება ჩვენ შეგვეძლო მისი ეგრეთ წოდებულ სახალხო უნივერსიტეტიდან ჩამოშორებით, სადაც ბატონობდენ მენშევიკები, დაშნაკელები და ლიბერალები. ამ ნიადაგზე ჩვენსა და მენშევიკებს შორის გაიმართა დიდი კამათი. პოლემიკა სწარმოებდა ლეგალურ პრესაში. მასში მონაწილეობას ღებულობდენ მუშები, კერძოთ რკინის გზელები. პოლემიკაში ჩაერივნენ ფედერალისტები თავის ღიღერის არჩილ ჯორჯაძის სახით, რომელმაც რამდენიმე სტატია უძღვნა მენშევიკ-ბოლშევიკებს შორის ჩამოვარდნილ კონფლიქტს.

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავათ ინტელიგენტურ ძალთა უყოლობისა, ჩვენ ტფილისში არალეგალურ ნიადაგზე, იმ დროს მიხედვით, დიდი სამუშაო შეგვასრულეთ. 1909 წლის ნოემბრისათვის ჩვენ მოვამზადეთ საერთო საქალაქო კონფერენცია. კონფერენციის ჩასატარებლათ ტფილისში ბაქოდან ჩამოვიდა ამხ. სტალინი.

კონფერენცია უნდა შემდგარიყო ფუნიკულიორზე, მაგრამ როდესაც მე და სტალინი დავუახლოვდით ამ ადგილს, აღმოჩნდა, რომ „შპიკებთან“ ვიყვაით გარშემორტყმულნი. სტალინი მიმალა, მე კი გაუდექით გზას. ჩემთან ერთად ფუნიკულორის ვაგონში იყო ელენე დიმიტრის ასული სტასოვა, რომელიც იმ ხანებში ტფილისში ცხოვრობდა, მაგრამ ჩემს დროს მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას არ ღებულობდა. კონფერენციაზე ის მოწვეულ იქნა, რაზედაც თანხმობა განაცხადა. შექმნილი გარემოების გამო რამდენიმე დღით კონფერენცია გადიდო, შემდეგ ის შესდგა მუშათა რაიონში, ნადიროვკაში, ერთი მუშის ბინაზე რომელსაც სტალინი არ დასწრებია.

1910 წლის მარტში ტფილისში ჩამოვიდა ცკ წევრი ამხ. მაკარი (ვიქტორ ნოგინი). ცეკისტის ჩამოსვლის შესახებ მე მაცნობა სამსონ ტოროშელიძემ. მე ისე გამეხარდა ცეკისტის ჩამოსვლა, რომ სიხარულისგან პირდაპირ ვხტოდი. ეს ადგილი ასახსნელიცაა. რამდენიმე თვის განმავლობაში ჩვენ არავისთან არავითარი კავშირი არ გვქონებია, თუ არ ჩავთვლით მოკლე ხნით სტალინის ჩამოსვლას. ჩვენი მდგომარეობა მეტად ძნიშნე იყო. შეხვედრების იერიში ჩვენს წინააღმდეგ ძლიერდებოდა. ასეთ პირობებში ცეკისტის ჩამოსვლას ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

მკონი მეორე დღეს მე წარვუდექი ამხ. ნოგინს, როგორც ერთერთ ხელმძღვანელთაგანი ადგილობრივი ორგანიზაციისა და მივაწოდე ინფორმაცია საქმეთა ვითარების შესახებ. მაგრამ როდესაც ამხ. მაკარი დავინახე,—პირველ ცეკისტი, რომელსაც პირველად ვხედავდი ჩემს სიცოცხლეში, ისე დავიბენი, ავირიე, რომ სიტყვის თქმაც ვერ მოვახერხე და იძულებული გავხდი ოთახიდან გარედ გამოვარდნილიყავ, რამაც ამხ. ნოგინი გააოცა. აქ მოვიკრიბე გამბედავობა, მთელი ჩემი ძალ-ღონე და დავბრუნდი მოხსენების გასაკეთებლათ.

ამხ. ნოგინი იმ მიზნით ჩამოვიდა, რომ გაეკეთებია მოხსენება 1910 წ. იანვარში შემდგარი ცეკის პლენუმის შესახებ. სადღაც შორს, ნაძალადევის განაპირად, ჩვენ მოვიწვიეთ, ახლანდელი სიტყვებით რომ გამოვთქვათ, იმ დროის ტფილისის ორგანიზაციის „პასუხისმგებელი ამხანაგების“ კრება. დაესწრო არა ნაკლებ 50—60 ამხანაგისა. ამ კრებაზე ჩვენ მოვიწვიეთ ზოგიერთი ეგრეთ წოდებული პარტიულები—პლეხანოვის მოშრეები. მათ ლიდერათ იმ ხანებში ტფილისში ითვლებოდა სოლომონ თელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხ. ნოგინის მოხსენების შემდეგ გაიხსნა კამათი. სიტყვა წარმოსთქვა თელიამ, რომელსაც (სიტყვას) თავის საბოლოო სიტყვაში ამხ. ნოგინმა უწოდა ლიკვიდატორული.

კრება მთელი ღამე გაგრძელდა. დავიშელენით მხოლოდ გათენებისას. ამხ ნოგინი ტფილისში დარჩა 3-4 დღე. ჩვენ დავარღვიეთ დისციპლინის ყველა წესები, დავდიოდით ტფილისში, რამდენიმე საათი კუკიის სასაფლაოზედაც გავატარეთ, ვლაპარაკობდით იმის შესახებ, რომ ახლად მოყვანილი მაძებარი ძაღლები შესძლებდენ თუ არა ჩვენი არალეგალური სტამბის აღმოჩენას. ამხ. ნოგინი ამბობდა, რომ შესაძლებელია, ახლად დაბეჭდილი პროკლამაცია თუ დასუნა მაძებარმა ძაღლმა, სუნით აღმოაჩინოს სტამბაო. შემდეგ სტამბა აღმოაჩინა ჟანდარმერიამ, მაგრამ არა 4-ფეხა ძაღლის დახმარებით.

როგორც ეტყობოდა, ჩვენმა ორგანიზაციამ ამხ. ნოგინზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. ის ჩემი მუშაობით, ეტყობოდა, კმაყოფილი იყო. ჩვენ ყველანი მისი მოსვლით გახარებულნი ვიყავით, თავს მხნედ ვგრძნობდით.

მაისში დაიწყო დაპატიმრება. ახალი მუშაკები აღარ იყვნენ, არც ნივთიერი სახსარი იყო, თანამგრძნობმა ინტელიგენტებმა, მათ შორის ნიკო ელიავამ, ფულები აღარ მოგვცეს, რომ პირველ რიგში სტამბა გადაგვერჩინა. თითეული ჩვენგანის მდგომარეობა ბეწვზე ეკიდა, კერძოდ მე ჯაშუშები ფეხ-და-ფეხ დამდევდენ. აუცილებელი იყო ჩემი ტფილისიდან წასვლა, ძლივს ვიშოვნე 3 მანეთი, ეს ფული მე მომცა ნაფიცმა ვექილმა კ. ჯაფარიძემ, რომელიც ჩვენს ჯგუფთან დაახლოვებული იყო, თავი მოჰქონდა ფრაქციის გარეშე მყოფ მენშევიკად.

ივნისს—ივლისის განმავლობაში ჩვენი ორგანიზაცია დანგრეული იქნა, სტამბა აღმოაჩინეს, მე კი 1910 წ. ნოემბერში ბაქოში ვიყავი.

იმდროინდელ ორგანიზაციაში მომუშავე ცალკე ამხანაგებიდან საჭიროდ მიმაჩნია შევჩერდე ამხ. პეტრე არველაძეზე. ის ტფილისში არ შეუპყრიათ, მან მოასწრო ბაქოში გაქცევა. ის გარდაიცვალა ასტრახანში 1913 წ.

არველაძის სახით ჩვენმა პარტიამ დაჰკარგა თვალსაჩინო მუშაკი. ის ყოველი მხრით გამოწრთობილი მუშაკი იყო, მტკიცე ბოლშევიკი, გამოცდილი აგიტატორი, პრაპაგანდისტი, ორგანიზატორი, —ერთი სიტყვით, ნამდვილი ტიპი ბალშევიკი-ბელადი მუშისა, სულითა და გულით პარტიული საქმით გატაცებული და მუშათა კლასისადმი ერთგული, უდიდესი ენტუზიასტი.

ყველა ჩვენთაგანის, იმ დროინდელი, მძიმე ხანის მომუშავეთა ვალია, აღდგენილ იქნას ამ უებრო მუშა-მოღვაწის სახე, ვინაიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის ისეთი ადამიანი იყო, რომლის მოკლე ხნის მოღვაწეობა ყოველის მხრით სამაგალითოა.

ილ. ვარდინი (მგელაძე).

II

1909—10 წწ. თუმცა ცალკე ფრაქციებათ ვიყავით გაყოფილი, ჩვენ მენშევიკებთან ერთად ვმუშაობდით, მაგრამ როგორც პრინციპიალურ, ისე ორგანიზაციულ საკითხებში ერთმანეთისაგან განვსხვავდებოდით. სხვათა შორის, რუსეთის რევოლიუციის შეფასებაში დიდათ დავშორდით ერთმანეთს. 1909 წლის გაზაფხულზე ტფილისის კომიტეტში უმრავლესობას შევადგენდით ბალშევიკები, მენშევიკები (7 კაცი) იძულებულნი გახდენ გასულიყვნენ კომიტეტიდან, რადგანაც არ მოეხურვეს უმრავლესობისათვის დამორჩილება და დაეარსებიათ საკუთარი, მენშევიკური კომიტეტი.

ბოლშევიკურ ტფილისის კომიტეტს უნდა გამოეცა ლიტერატურა, რისთვისაც საჭირო იყო საკუთარი სტამბა. პირველად ჩვენ მოლაპარაკება გავმართეთ საოლქო კომიტეტთან, სადაც უმრავლესობა მენშევიკები იყვნენ. საოლქო კომიტეტის პირით ნოე ჟორდანიამ გამოგვიცხადა, რომ თუ გსურთ ისარგებლოთ იმ სტამბით, რომელიც არალეგალურ ორგანიზაციებს მოეპოვება, უნდა გადაიხადოთ წლიურად 6000 მან. ამოდენა ფულის შოვნა ჩვენ არ შეგვეძლო და ამიტომ იძულებული ვიყავით გამოგვენახა საშვალება საკუთარი სტამბის შესაძენათ. ასე მენშევიკებმა ჩვენ უარი გვითხრეს პროკლამაციებისა და სხ. დაბეჭდვაზე მიუხედავათ იმისა, რომ არალეგალური ორგანიზაციების ქონება ეკუთვნოდა როგორც მენშევიკების, ისე ბოლშევიკების ფრაქციას. ამის შემდეგ ჩვენ გადავსწყვიტეთ შეგვეძინა საკუთარი სტამბა რადაც არ უნდა დაგვჯდომოდა. ამ მიზნით ჩვენ მოვახდინეთ თვით-დაბეგვრა და თანამგრძნობ მუშებში დავიწყეთ შეძლებისდაგვარად შემოწირულების შეგროვება. სულ შევკრიბეთ რამდენიმე ათეული მანეთი და ყალბი დოკუმენტებით, რომლებიც თითქოს გაცემული ყოფილიყოს ქუთაისის გუბერნატორის მიერ, შევიძინეთ პატარა საბეჭდავი მანქანა და მისი სხვადასხვა ნაწილები. მანქანის ყიდვაში მონაწილეობას ღებულობდა, როგორც ბოლშევიკი ასოთამწყობი, მანასე გოგუაძე (მაშინ ის შეურიგებელი ბოლშევიკი იყო). 1909 წელს ივლისში მთელი სტამბა ჩვენ გადავიტანეთ წინასწარ დაქირავებულ ორ ოთახში ამაღლების ქუჩაზე (საეკლესიო შესახვევი № 8, სახლი ქარსელაძისა). ორ ოთახში თვიურად ვაძლევდით 13 მ. ოთახების დაქირავებაში მონაწილეობას იღებდა ერმილე (გერმანე) ნაფეტვარიძე. როცა სტამბა გადაგვჭონდა, დაგვედევნა, „შპიკი“, მაგრამ ის ჩვენ დავაშინეთ. საეკლესიო შესახვევში რომ მივედით, ის მოგვშორდა, ამ გარემოებით ჩვენ ვისარგებლეთ და

იაშვილებში ჩაწყობილი სტამბა მივიტანეთ დანიშნულ ალაგას. ერთ ოთახში მოვათავსეთ სტამბა, ოთახი ძლიერ ბნელი იყო, მეორე ოთახში დაბინავდა ამხ. ვარდინი (ილარიონ მგელაძე) მაშინ მისი ფსევდონიმი იყო პარნასი. ამხ. ვარდინი სტამბას უყვარდა, ხელმძღვანელობდა გამომცემლობის საქმეს, თითონ სწერდა ფურცლებს და ასწორებდა კორექტურას. საჭირო ასოები ზოგი შეესყიდეთ, ზოგიც სხვადასხვა სტამბებიდან გამოგვეკონდა ამხ. ასოთამწყობების დახმარებით. ასე სტამბა გაიმართა და ჩვენც ვებეჭდავდით არა მარტო უბრალო პროკლამაციებს, არამედ—გამოვეცით ქართულ და რუსულ ენებზე გაზეთი „ტფილისის პროლეტარი." ამ გაზეთისთვის მეთაური წერილი დასწერა ამხ. სტალინმა. მანვე შეგვიკეთა დაგეგმებული ბაჭოს ორგანიზაციისათვის 2000 ცალი პროკლამაცია 1904 წ. გაფიცვის წლის თაობისთვის. ეს შეკვეთა ჩვენ შევასრულეთ და გავგზავნეთ ბაქოში.

ამის შემდეგ ჩვენ გამოვეცით პირველი ფურცელი 1905 წლის ოქტომბრის მანიფესტის წლის თავზე. ფურცელში ჩვენ მოვუწოდებდით მუშებს გაემაგრებიათ თავიანთი არალეგალური ორგანიზაცია, ეამბობდით, რევოლიუცია ჯერ კიდევ ცოცხლობს, ის ვითარდება, ამიტომ საჭიროა ძველი ორგანიზაციის გამაგრება და ყოველგვარი ლეგალური დაწესებულებით სარგებლობა, რათა გაეაძლიეროთ არალეგალური ორგანიზაციებიო. ამ ფურცლების გამოცემის შემდეგ მენშევიკები ჩვენ გვიკიჟინებდენ სიტყვიერად და წერილობითაც, გვემახდენ ბლანკისტებს, შეთქმულობის მოშხრეთ, ამბობდენ, თითქოს არალეგალური მუშაობით ჩვენ ხელს ვუშლიდეთ რევოლიუციის განვითარებას, მათ კი რევოლიუციის განვითარების საუკეთესო სარბიელათ მიაჩნდათ მუშაობა კულტურულ დაწესებულებებში. ამ ნიადაგზე ჩვენსა და მენშევიკებს შორის ხშირად საქმე მიდიოდა უკიდურესობამდე, როგორც სახელოსნოებში მუშებს შორის, ისე ვიწრო წრეებში. მაგრამ მიუხედავათ ამისა, ჩვენ მაინც განვაგრძობდით არალეგალურ მუშაობას: ვსცემდით ჟურნალს, ფურცლებს და სხ. სტამბაში ვმუშაობდით—მე, მანასე გოგუაძე და ილარიონ მგელაძე.

პირველად ჟანდარმერიამ ვერ მიაგნო ჩვენი სტამბის კვალს, მიუხედავათ იმისა, რომ ბევრი ამხანაგები იქნა შეპყრობილი. 11 თვის შემდეგ, 1910 წ. ივლისის 6-ს ჩვენი სტამბა აღმოჩენილ იქნა. შემიპყრეს მე ბინაზე (გოგოლის ქ. 5), ჩემს ბინაზედვე აღმოაჩინეს ტფილისის ბალშევიკური კომიტეტის არქივი და პასპორტების ბიურო. ერთი თვის შემდეგ შეიპყრეს მანასე გოგუაძე—ჩვენი სტამბის ასოთამწყობი—ის შეიპყრეს ავადმყოფი არამიანცის სახელობის საავადმყოფოში, მასთან ერთად დაიპატიმრეს სახლის პატრონი ქარსელაძე და სხვა ამხანაგები, რომელთა გვარები ახლა არ მაგონდება. დაპატიმ-

რებით ბევრი ამხანაგი დაეპატიმრეს, მაგრამ სტამბის მუშაობაში და საერთოდ არალეგალურად მომუშავე 2—3 იყო.

დაახლოვებით ივნისის შუა იქნებოდა, როცა ჩვენი სტამბა დავშალეთ და ოთახის კედლებში ჩავაწყეთ, რადგანაც ჩვენ ვფიქრობდით სტამბის გადატანას სხვა ალაგას, მაგრამ ამისთვის საჭირო სახსარი არ მოგვეპოვებოდა. ნივთიერად მეტად შევიწროვებულნი ვიყავით. ფული გროვდებოდა მხოლოდ საწევრო გადასახადის სახით და ნებაყოფლობითი შემოწირულებით. და აი, ივლისის 6-ს ღამის 1-ლ საათზე მეფის „ოხრანიკები" გარს შემოერტყენ იმ სახლს, სადაც სტამბა იყო. ეტყობოდა, მათ ყველაფერი კარგათ იცოდენ სად რა იყო შენახული და სხ. მოსცლისთანავე კედელს ეცნენ, შეანგრიეს ის და გამოიტანეს სტამბა. ეჭვს გარეშე იყო, რომ ჩვენ გაცემულნი ვიყავით, მაგრამ ეჭვის მიტანა არავისზე არ შეგვეძლო.

14 თვის წინასწარი დაპატიმრების შემდეგ მე და გოგაძე გადაგვცეს სამხედრო სასამართლოს 102 სტატიის I ნაწილის ძალით გასასამართლებლათ და 1911 წლის აგვისტოში მოგვისაჯეს თითეულს 4 წელწადის კატორღა და შემდეგ სამუდამო გადასახლება. სასჯელის ვადა გავათავე 1915 წელს და გამგზავნეს ირკუტსკის გუბერნიის სოფ. ბალიდაიში. რადგანაც აქ არავითარი სახსარი არ მომეპოვებოდა არსებობისათვის, გავიპარე ქალ. ირკუტსკში, სადაც არალეგალურად ვცხოვრობდი. აქ მე სამჯერ დამაპატიმრეს, სამივეჯერ გავიქეცი საპატიმროდან, სამივეჯერ გამოვიცვალე პასპორტი. ირკუტსკში არსებობდა არალეგალური წრე, სადაც მე დავლადო დუმბაძე ვმუშაობდით, თებერვლის რევოლიუციამ ირკუტსკში მომისწრო, საიდანაც იმ წამსვე ტფილისისაკენ გამოვეშურე.

ტფილისის სტამბის აქტიური მუშაკები იყვნენ: 1909 წლის აგვისტომდე ბალშევიკურ მოშაობას ხელმძღვანელობდა ვიქტორ ნანეიშვილი, ილარიონ მგელაძე, პეტრე არველიძე, ნაფეტვარიძე ერმილე, საბაშვილი და ვალერიან ვაშაკიძე.

ამ უკანასკნელის გარდა ყველანი ტფილისის კომიტეტის წევრები იყვნენ.

რაიონულ ორგანიზაციებში მუშაობდნენ: ჯატიევი კოსტა (1-ლი რაიონი), სახრაძე სტეფანე (1 რაიონი), ჩადუნელი ნიკო (1 რაიონი); კალანდაძე ერმილე (2-რე რაიონი) და სხ., რომელთა გვარები არ მაგონდება.

1910 წლის მარტში ჩვენ ნადიარეკაში მოვიწვიეთ ფართო კონფერენცია, სადაც ამხ. ნოგინმა მოხსენება გააკეთა საერთაშორისო მდგომარეობისა და ჩვენი პარტიის ცკ პლენუმის დადგენილებათა შესახებ.

პ. საბაშვილი.

III.

1909 წელს აგვისტოში ბოლშევიკური კომიტეტის ერთ-ერთ სხდომაზე დაისვა საკითხი ლიკვიდატორების (მენშევიკების) ხელში არსებულ სტამბის ჩამორთმევის და მისი ამუშავების შესახებ, რადგანაც მათ ფაქტიურად შესწყვიტეს არალეგალური მუშაობა. როგორც გამოირკვა იმავე კრებაზე, მენშევიკური ლიკვიდატორული საოლქო კომიტეტი სილიბისტრო ჯიბლაძის პირით გადაჰრით უარს აცხადებდა რაიმე პარტიული ქონების ბოლშევიკური კომიტეტისთვის გადაცემაზე; ამიტომ კომიტეტის კრებამ გადასწყვიტა საკუთარი სტამბის შეძენა. კრებას დაესწრენ: არველაძე პეტრე, ვალოდია კოპალეიშვილი, პარმენ საბაშვილი (ლიხმანი), პარნასი (მგელაძე—ეხლა ვარდინი), გერმანე ნაფეტვარიძე (ერმილე). დადგენილების ცხოვრებაში გატარება მიენდო ამ სტრიქონების დამსწრეს. საჭირო შეიქნა გამოძებნა ასოთამწყობის, რომელიც გაგვიწევდა სათანადო დახმარებას, ასეთი აღმოჩნდა ბოლშევიკი მანასე გოგვაძე. სტამბის მოწყობის საქმე რომ საბოლოოდ მოგვეგვარებინა, საჭირო შეიქნა შემდეგი: 1) ჭუთაისის გუბერნატორის კანცელიარიის ბეჭედ დასმული ბლანკი და თვით გუბერნატორის ხელმოწერილი. ეს იქნებოდა ნებართვა სტამბის შესაძენად და თითქოს ჭუთაისში გადასატანად; 2) საჭირო იყო აგვეჩინა გასასყიდი სტამბა; 3) აგვეჩინა სტამბისათვის სახლი და 4) გვეშოვა საჭირო შრიფტი.

ყველა აღნიშნული სამუშაოსათვის ტფილისის ბოლშევიკურმა კომიტეტმა გადასდო 400 მანეთი.

1909 წლ. სექტემბრის განმავლობაში ზემოხსენებული გეგმა უკვე სისრულეში იყო მოყვანილი: ნებართვა სტამბის, რომელიც მე და გოგვაძემ გავაკეთეთ, ბეჭდვითი საქმის სამმართველოში სრულიად კანონიერ საბუთად იქნა მიღებული, პატარა „ამერიკანკა“ ვიშოვეთ გასაყიდ ვანქის ქუჩაზე სომხურ სტამბაში, ბინის შესახებ კი მოვურიგდით ქარსელაძეს, ეკლესიის აღმართზე № 8, შრიფტი 7 ფუთი. გამოვეტანეთ ქართველთა ამხ. სტამბიდან. და ასე ყველაფერი მზად იყო. სტამბა დროგით გადატანილ იქნა ვანქის ქუჩიდან ქარსელაძის სახლის მახლობლად ფსიქიატრიულ საავადმყოფოში ამხ. გედეონის ბინაზე. (საავადმყოფოში მსახურებდა) და შემდეგ დაშლილი ნაწილები გადატანილი ქარსელაძის სახლში.

1—7 ოქტომბერს სტამბა უკვე მზად იყო. პირველი ფურცელი გამოშვებულ იქნა 17 ოქტომბრის 1905 წლის თავზე. ამ დრომდე სტამბის არსებობის ადგილი ჩემსა და გოგვაძეს გარდა არავინ იცოდა. მხოლოდ, როცა „პროლეტარის“ პირველი №-ს გამოშვება გვეპირდა იმის გამო, რომ შრიფტი არ იძლეოდა გარკვეულ ნაბეჭდს,

მოვიყვანეთ პარმენ სამაშვილი მანქანის ნაწილის შესაკეთებლად, რადგან იქვე შეკეთება არ ხერხდებოდა, მანქანა დაშლილ იქნა და ის ნაწილი, რომელიც გაკეთებას საჭიროებდა, სამაშვილმა წაიღო რკინის გზის სახელოსნოში.

ამხ. პარასა, (ეხლა ვარდინი) ჩასახლებულ იქნა ნოემბერში სახლის №8 წინა ფასადის ოთახში კორექტორის მოვალეობის ამსრულებლად, მაგრამ 15—20 დღის მეტი მას იქ არ უცხოვრია, რადგან იქ მას დიდი ნერვიულობა დასჩემდა და გადაყვანილ იქნა სხვა ბინაზე.

როგორც მახსოვს, თებერვალში თუ მარტში 1910 წლ. მგელაძე ტფილისიდან სრულიად წავიდა. პირველი მაისობისთვის 1910 წლ. და შემდეგ მაისობისა „ოხრანკამ" გააძლიერა ჩემზე თვალყურის დევნა და სტამბაში სიარული ჩემთვის ძლიერ სახიფათო შეიქნა, რის შესახებ კომიტეტს მსჯელობა ჰქონდა ივნისში 1910 წელს. მირჩიეს გადამალვა ტფილისიდან. იმავე კომიტეტის სხდომაზე ჩემს ნაცვლად სტამბის გამგებლობა დაევალა ვალოდია კოპალეიშვილს, რომელიც 1917 წ. სრულებით შემთხვევით გამოცხადებული იქნა პროვოკატორად. ივლისში, 1910 წლ. ქალ. ფეოდოსიაში (ყირიმი) მივიღე ბარათები ჰეტრე არველაძესი ხარკოვიდან და ისიდორე თალაკვაძის როსტოვიდან, რომლებიც იტყობინებოდნენ, რომ ჩვენი სტამბა ჩაჯარდნოდა „ოხრანკას" და მასთან ამხ. სამაშვილი და გოგვაძე დაეპატიმრებიათ.

აღნიშნულ სტამბაში დაიბეჭდა 3—4 ნომერი „პროლეტარი"; ფურცლები: 1905 წლ. 17 ოქტომბრის მანიფესტის წლისთავზე, 9 იანვრის აღსანიშნავად, საპირველსამაისო ფურცელი, 2 ფურცელი მოწოდება პარტიულ ამხ. მიმართ საორგანიზაციო საკითხებზე და 2-ც საპოლემიკო ხასიათის ფურცელი განსაკუთრებით ლიკვიდატორულ სოციალ-კომიტეტის წინააღმდეგ მიმართული.

ასეთია მოკლე ისტორია აღნიშნულ სტამბისა, რომელიც მოთავსებული იყო ეკლესიის აღმართის № 8 სახლში.

გერმანე (იგივე ერმილე) ნაფეტვარიძე.

IV.

ჩემმა მეგობარმა, გედეონ თურმანიძემ, რომელიც შეშლილთა თავშესაფარში მსახურობდა (კოჯრის ქუჩაზე) გამაცნო ერმილე ნაფეტვარიძე.

ეს უკანასკნელი შემითანხმდა ჩემი სახლის ქვემო სართულში ორი ოთახის ქირაობის შესახებ ბოლშევიკური კომიტეტის სტამბის მოსათავსებლათ. პირობა ასეთი იყო: თვიურად მაძლევდენ 13 მანეთს, ამას გარდა 15 მანეთი ერთდროულად მივიღე ნაფეტვარიძისაგან ოთახების რემონტისათვის. უკეთუ სტამბას აღმოაჩენდენ და მე ციმ-

ბირში გადამასახლებდენ, სახლი დარჩებოდა ჩემს ოჯახთბას და ოჯახობის შესანახი მთელი ხარჯები უნდა ეკისრნა ბოლშევიკურ კომიტეტს.

საბეჭდავი მანქანის გადმოტანამდე მოიტანეს შრიფტი, რომელიც მე შეინახე ჩემს ბინაზე ზემო სართულში. ამავე სართულზე ჩემს ოთახებში ცხოვრობდა ორი „გოროდოვოი", რომლებთანაც კარგს განწყობილებაში ვიყავი.

რადგანაც „გოროდოვოებთან" კარგს დამოკიდებულებაში ვიყავი, მე გავბედე სტამბის მოთავსება ჩემს სახლში. ვიმედოვნებდი, რომ „გოროდოვოების" წყალობით გულდასმით ჩხრეკას ჩემს სახლში არ მოახდენდნენ, სტამბას კი „გოროდოვოებს" დავუმალავდი. მართლაც, „გოროდოვოებმა" არაფერი იცოდენ, რომ სტამბა არსებობდა და მთელი 11 თვე შეუსვენებლათ იმუშავა. საერთოდ სტამბის არსებობის შესახებ ჩემს ოჯახში არავინ იცოდა. სტამბის გასაღები მე მქონდა. სტამბაში ამხ. ვარდინს გარდა მოდიოდენ—საბაშვილი. ნადეტვარიძე, გოგუაძე, ზოგჯერ თურმანიძე და ვალოდია კოპალეიშვილი. თითეულ ამათგანს მოთხოვნილებისამებრ ვაძლევდი გასაღებს. ამათ გარდა, ვიმეორებ, არავინ არ დადიოდა და არც არავინ იცოდა სტამბის არსებობა.

ჩემი სახლი დაგირავებული იყო ბანკში. დადგა ვალის გადახდის ვადა, მე ფული არ მქონდა, არც კომიტეტს ჰქონდა, სახლის გასაყიდათ უკვე საჯარო ვაჭრობა დანიშნეს, მაშინ კომიტეტმა სტამბა დაშალა და შეინახა კედელში. მაგრამ შემდეგ ფული ვიშოვნე და შევიტანე ბანკში. სამი დღის შემდეგ ფულის შეტანიდან თავს დაგვესხა ჟანდარმერია, გამომძიებლის და მომთხოვეს სტამბის გასაღები. როცა განეუცხადე, რომ გასაღები მე არ მქონდა, შეამტვრიეს კარები და ჩემი თანადასწრებით მოახდინეს ჩხრეკა. დაანგრიეს იატაკი, კედელი, სადაც აღმოაჩინეს სტამბა. მე იმ წამსვე შემიპყრეს და მტეხის ციხეში გამაგზავნეს, სადაც გავატარე 15 თვე.

ი. ჭარხელაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VI. მოგონებანი

კ. ცინცაძე

ჩემი მოგონებანი

(1903—1920 წ. [1])

ჩემი მუშაობა ჩრდილო კავკასიაში და კერძოდ თერგის ოლქში იწყება 1918 წლის ივლისიდან; თერგის ოლქში გარდახვეწის მიზეზი ის იყო, რომ ტფილისში არსებული მენშევიკური მთავრობა წარმოუდგენელ რეპრესიებს მიმართავდა საქართველოში არსებულ კომუნისტურ ორგანიზაციების მიმართ. ამიტომ კომპარტიის კავკასიის საოლქო კომიტეტი, რომლის წევრად მეც ვითვლებოდი, იძულებული იყო საოლქო კომიტეტისთვის ადგილი გამოეცვალა, რათა უფრო მოხერხებულ პირობებში შესაძლებელი ყოფილიყო მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ ნაყოფიერი ბრძოლა, რაც იმ ხანებში მორიგ ამოცანას შეადგენდა. საოლქო კომიტეტმა დაადგინა თავის რეზიდენციად გამოეცხადებია თერგის ოლქში ქალ. ვლადიკავკავი. საოლქო კომიტეტი ფიქრობდა, რომ რადგანაც თერგის ოლქში საბჭოთა ხელისუფლება იყო, ამიტომ უფრო გაადვილდებოდა იმ მოძრაობის ხელმძღვანელობა, რომელიც გლეხთა აჯანყების სახით მოდებული იყო მთელს საქართველოში მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ. ჩვენ იმედი გვქონდა, რომ თერგის ოლქიდან შევსძლებდით იარაღისა და სხვა მასალების მიწოდებას საქართველოს აჯანყებულთათვის. ტფილისში დატოვებულ იქნა საოლქო კომიტეტის ბიურო, თვით კომიტეტი კი გადავიდა ვლადიკავკავში. საოლქო კომიტეტის იმედი, რა თქმა უნდა, სავსებით გამართლდა, რადგანაც საბჭოთა ხელისუფლებამ შეძლებისა და გვარად ყოველგვარი დახმარება აღმოგვიჩინა საქართველოს აჯანყებულთათვის. ამიერ კავკასიის გარდა (აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი) საოლქო კომიტეტს უნდა ეხელმძღვანელა მოძრაობისათვის მთელს კავკასიაში. ამიტომ საჭირო იყო ისეთ ალაგას ყოფნა, საიდანაც ადვილი იქნებოდა კავკასიაში არსებულ კომუნისტურ ორგანიზაციებთან დამოკიდებულების დაჭერა

[1]) იხ. „რევ. მატ.“ № 4—5 (9—10)—1924 წ.

და მათთვის დახმარების აღმოჩენა. ამ შემთხვევაში საუკეთესო ადგილი იყო თერგის ოლქი.

ამ მოსაზრებით საოლქო კომიტეტის წევრები გადასახლდენ თერგის ოლქში.

ეფიქრობ, ინტერესს მოკლებული არ იქნება ჩემი მოგზაურობის აღწერა „აღთქმის ქვეყნისაკენ",—სადაც საქართველოში წარმოებული არალეგალური მუშაობის შემდეგ, უსაშინელეს პირობებში, ჩვენ შეგვეძლო თავისუფლად ამოსუნთქვა. როდესაც მე ვმოგზაურობდი 1918 წლის მაისის გასულს ჯავის ხეობით—ხან ქვეითად, ხან ცხენით, ჩემში ორი აზრი იბრძოდა—სიხარული და მწუხარება: თავისთვის ეფიქრობდი—შეცდომა ხომ არ მოგვივიდა, რომ რეზიდენცია გამოვიცვალეთ მეთქი. როცა ეჭვი მებადებოდა ჩვენი გადაწყვეტილების სისწორეში, სევდა შემიპყრობდა ხოლმე, მაგრამ მეორეს მხრივ, როცა წარმოვიდგენდი თავისუფალ მოქმედებას, მომავალ რევოლიუციონურ პრესპექტივებს, ეს ახარებდა ჩემს გულს და ასე სიხარულის გრძნობა ყოველთვის სჯობნიდა მოწყენილობისა და ეჭვების გრძნობას. საოლქო კომიტეტის შემდეგმა მუშაობამ, რაც სპეციალურად საქართველოს აჯანყებულთა დახმარებაში გამოიხატა და მჭიდრო კავშირის დაჭერამ სხვა კომუნისტურ ორგანიზაციებთან, დაამტკიცა, რომ საოლქო კომიტეტის გადაწყვეტილება სწორე იყო.

როცა უღელტეხილი გადავლახეთ, თავისუფლად ამოვისუნთქეთ. ჩვენ სამნი ვიყავით. (მე, ამბ. ვანო კარაპეტოვი და ამბ. მარტინოვი) და ერთიც მეგზური ახალგაზრდა ოსი. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ჩრდილო ოსეთში, საბჭოთა მიწა-წყალზე, ფეხი შევდგით. თითქოს რაღაც სიმძიმე მოგვშორდა ზურგიდან და მიხვრა-მოხვრაშიაც თავისუფლება ვიგრძენით.

პირველს ჩვენს სიხარულს რამოდენიმეთ მწუხარების ზეწარი გადაეფარა, როცა სოფ. ზარამახში მივადწიეთ. აქ ჩვენ შემოგვეგება ვიღაც მაკაევი, სოფლის კომისარი თუ რწმუნებული, ერთის სიტყვით, „საბჭოთა" უფროსი, რომელმაც მიგვიღო არამეგობრულად; დაგვიწყო დაწვრილებით გამოკითხვა, ეჭვი მოიტანა, რომ ჩვენ თითქოს საქართველოს მთავრობის აგენტები ვიყავით და სხ. რა თქმა უნდა, ასეთი შეკითხვები ჩვენ არ გაგვკვირვებია, მაგრამ ჩვენი დოკუმენტებით ის არ დაკმაყოფილდა. ის რაღაც მიზეზს ეძებდა. ლაპარაკის დროს შევნიშნე, რომ ის, როგორც ეტყობა, არ სწყალობს კომუნისტებს, მე კი პარტიულ დოკუმენტებს გარდა არავითარი საბუთი არ მომეპოვებოდა ერთ წერილს გარდა ჩრდილო ოსეთის ნაციონალურ საბჭოს რომელიღაც წევრისადმი მიწერილი. არსებითად ჩვენ შეპყრობილნი ვიყავით, თუმცა ოფიციალურად ჩვენი დაპატიმრების შესახებ ბას არაფერი უთქვამს. მეტად ახირებულად მომეჩვენა, რომ მე,

კომუნისტს, პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში, საბჭოთა მიწა-წყალზე, მაპატიმრებდეს, მაგრამ რას გავხდებოდით. მოვსთხოვეთ, რომ წავეყვანეთ ჩრდილო ოსეთის ნაციონალურ საბჭოში. ვაჩვენე ის წერილი, რომელიც თან მქონდა. ამ წერილმა იმოქმედა და უფრო ნდობის თვალით დაგვიწყო ცქერა. ამის შემდეგ სადილითაც კი გაგვიმასპინძლდა. ეს კაცი პროვინციალური „ჰომპადურის" შთაბეჭდილებას ახდენდა და ცენტრს ცუდათ იხსენიებდა. მაგ. ამბობდა, რომ ამხ. ბუაჩიძე ქართველი ებრაელიაო, რომ ვლადიკავკაზში არ არის მაგარი მთავრობა, რომ ადგილობრივ ელემენტებს არ ეკითხებიან, რომ ინუგეშები უნდა განადგურებულ იქნას, მაგრამ მათ მხარს უჭერს ცენტრალური მთავრობაო და სხ. ერთი სიტყვით, ჩვენ ვეეხებოდით საბჭოთა ხელისუფლების შემთხვევით წარმომადგენელს, რომელიც შეცდომით იყო დანიშნული თავის თანამდებობაზე და რომელსაც სურდა საბჭოთა ხელისუფლების ავტორიტეტი გამოეყენებია თვისი პირადი ან კლასიური ინტერესების მიზნით (ის სოფლის „კულაკი" იყო). 1918 წელში, იმ დროს, როდესაც ჩვენი ხელისუფლება ჯერ კიდევ არ იყო გამაგრებული მთავრობის სათავეში, პროვინციაში ხშირად გვხვდებოდა გაუსწორებელი ავანტიურისტები. ამგვარ ტიპებს, რა თქმა უნდა, დიდხანს არ შეეძლოთ მთავრობაში დარჩენა.

მაგრამ უფრო დამახასიათებელი იყო ზარამაკის მცხოვრებთა მეორე ნაწილის, ღარიბი ხალხის ჩვენდამი დამოკიდებულება. ზარამაკელი ღარიბ-ღატაკნი თუმცა ალმაცერად გვიცქეროდა, ეშვით იყო შეპყრობილი ჩვენს მიმართ, მაგრამ, როგორც სჩანდა, ის სრულიად სხვა მოსაზრებით ხელმძღვანელობდა. მათ გაგონილი ჰქონდათ საქართველოში მენშევიკების ბატონობის შესახებ, რომ მენშევიკები სდევნიდენ ყველაფერს, რასაც კი საბჭოთა ხასიათი ჰქონდა, რომ საქართველო ოსმალეთთან კავშირსაც არ აკლებდა ხელს (სწორედ იმ ხანებში მენშევიკებმა ნება დართეს ოსმალოებს ჯარები გაეტარებიათ საქართველოს ტერიტორიაზე საბჭოთა ბაქოს წინააღმდეგ), რომ ასე დაემხო საბჭოთა ხელისუფლება ჩრდილო კავკასიაში. და რადგანაც არ გვიცნობდენ, ფიქრობდენ ის ისეთი ქართველები იქნებიან, რომელთაც დასახულ ექნებათ ანტი-საბჭოური მიზნებიო. მათი ასეთი მოქმედება მე მომეწონა. ეტყობოდა, რომ ღარიბ-ღატაკთ საბჭოთა ხელისუფლება ასე თუ ისე უყვარდა, მაგრამ ვერ ერკვეოდა იმ ხმებში და ინსინუაციებში, რომელთაც მათ აწვდიან ისეთი ავანტიურისტი—კულაკები, როგორიც მაკაევია, რომელსაც ყოველი ქართველი ისე წარმოუდგენია, რომელიც ცდილობს ხელთ იგდოს ძალაუფლება ჩრდილო კავკასიაში და ისეთ ამხანაგებს, როგორიც იყო ამხ. ბუაჩიძე, სთვლიდენ ქართველ ებრაელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამი საათი მაინც გაგვაჩერეს ზარაგაცში და შემდეგ, როცა ენერგიული პროტესტი განვაცხადეთ, გაგვაგზავნეს არდონში ნაციონალურ საბჭოს განკარგულებაში. აქ მე სასტიკი პროტესტი განვუცხადე ნაციონალური საბჭოს თავმჯდომარეს— მოვსთხოვე დაუყოვნებლივ გვევგზავნე ვლადიკავკავში. მან განაცხადა: „სასაცილოა, რომ კომუნისტური დიქტატურის დროს თქვენ, კომუნისტებს, გაპატიმრებენ. თქვენ თავისუფალნი ხართ, ჩვენ კი გამოვარკვევთ რაშია საქმე, რათ დაგაპატიმრესო. არდონში მე პირველად გავიგონე ხრისტიანოვკის შესახებ. დაკითხვიდან ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ არდონელებსა და ხრისტიანოველებს შორის რევოლიუციონური მოძრაობის ნიადაგზე რაღაც უთანხმოება აქვს ადგილი. მე დავრწმუნდი, რომ ხრისტიანოველებს არ მოსწონთ არდონელები, როგორც ნაკლები რევოლიუციონერები" ანუ კონტრ-რევოლიუციდნერები. ბოლოს გამოირკვა, რომ ხრისტიანოველები შეადგენენ ჩრდილო ოსეთის რევოლიუციონური მოძრაობის ავანგარდს.

დაბოლოს ჩვენ მივაღწიეთ ვლადიკავკავამდე, სადაც იმავე დღეს შევხვედი წინად წამოსულ სოლქო კომიტეტის წევრებს ამხ. ლადო დუმბაძეს, ფ. მახარაძეს, ს. ქავთარაძეს და სხ. ადგილობრივ—ვ. ელერდოვს, ბუტირინს, ს. ტაკოევს, დ. ტოკოევს, ვ. კესაევს, ალობოგაჩიევს, ფიგატნერს და სხ. ეს იყო 1918 წლის ივნისის დასაწყისში. ამ ხანებში ენერგიული მუშაობა სწარმოებდა საბჭოთა ხელისუფლების გასამაგრებლათ. მტრები აქა-იქ ცდილობდენ საბჭოთა ხელისუფლებას წინააღმდეგ გამოსვლებს. მომენტი საბჭოთა ხელისუფლებისათვის მეტად კრიტიკული იყო. კონტრ-რევოლიუციონური აფიკრობა გაცხარებულ აგიტაციას ეწეოდა ჩვენს წინააღმდეგ. მთავრობის სათავეში იყვნენ მერყეევი ელემენტები, როგორც მაგალითად მენშევიკი ბოგდანოვი და სხვა მენშევიკ-ესერები. ერთი სიტყვით, იმ ხანებში თერგის ოლქში ხელისუფლება იყო კოალიციური და არა საბჭოთა. თუ არ ვცდები, სახალხო კომისართა საბჭოს უმრავლესობა იყვნენ მენშევიკ-ესერები, რომლებიც აღიარებდენ საბჭოთა ხელისუფლებას, მაგრამ არ უშვებდენ შემთხვევას, რომ არ ეკბინათ საბჭოთა მთავრობისათვის, თუ კი ამისი შემთხვევა მიეცემოდით. მთავრობაში შემავალ მენშევიკ-ესერებიდან ყველაზე სიმპატიური იყვნენ საქმით და საბჭოთა ხელისუფლებასაც აღიარებდენ შემდეგი პირები: ამხ. ელერდოვი, ბუტირინი და ლევანდოვსკი. პირველი ამათგანი ჩაწერა კომპარტიაში, როცა საბჭოთა ხელისუფლება კრიტიკულ მომენტში იყო თერგის ოლქში—1917 წელს, მეორე ჩაეწერა რამდენიმე ხნის შემდეგ. გამოწრთობილ ბალშევიკებიდან მთავრობაში შედიოდენ ამხ. ფიგატნერი და ბუჯაიძე. კონტრ-რევოლიუცია ფრთა შესხმული იყო იმ

გამარჯვებით, რომელიც მათ მოიპოვეს როსტოვ-ყუბანის რაიონში. თერგის ყაზახები, რომელნიც თავიანთი მდგომარეობით კონტრ-რევოლიუციონერები იყვნენ, ყოფილი გენერლებისა და ოფიცრების პროვოკაციის წყალობით გამოსელებისათვის ემზადებოდნენ. ნაწილობრივი გამოსვლები პოლიტიკური ბანდიტებისა უკვე იყო პიატიგორის რაიონში; მათ წინააღმდეგ გაგზავნილი იყო თავისი რაზმით ამხ. ბელენკოვიჩი. უნდა აღინიშნულ იქნას, რომ წითელარმიელთა ნაწილები ჯერ კიდევ არ იყო მოწყობილი, ისინი არ წარმოადგენენ საბჭოთა წყობილების მტრების წინააღმდეგ მომზრთულ მრისხანე ძალას. ჩვენი შეიარაღებული ძალები წარმოადგენდნენ ცალკე ჯგუფებს ან რაზმებს, რომლებიც არ ყოფილან ერთმანეთთან მჭიდროთ დაკავშირებულნი. მაგრამ ერთი ეჭვს გარეშე იყო,—ყველა ეს რაზმები თუ ჯგუფები გამსჭვალული იყვნენ საბჭოთა წყობილებისადმი სიყვარულით. მთავრობაში არევ-დარევა სუფევდა. ზოგიერთ მენშევიკებისა და ესერებისათვის სულ ერთი იყო იარსებებდა თუ არა საბჭოთა ხელისუფლება. ამ მერყევ ელემენტებს თითქოს არ სურდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობა, მაგრამ უარს არ იტყოდენ კონტრ-რევოლიუციისათვის ხელის შეწყობაზე, რადგანაც ფიქრობდენ, რომ შემდეგ შესაძლებელი იქნებოდა მათთან ერთად ძალა უფლების გაყოფა. ასეთები იყვნენ: ბოგდანოვი (მენშევიკი), სემიონოვი (ესერი), მამულოვი, ძეძაევი და სხ. აგვისტოში მობდარი ამბების შემდეგ, ე. ი. ჩვენ მიერ კონტრ-რევოლიუციონური გამოსვლების ჩაქრობის შემდეგ, ბიჭერახოვთან ერთად (ესეც მენშევიკი იყო) მოექცენ პროხლადნაიაში, სადაც გენერლებისა და ოფიცრების მეთაურობით ჯერ კიდევ გამაგრებული იყვნენ აჯანყებული კაზაკები.

საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო გამოსვლის სიგნალი იყო თერგის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ბუაჩიძის მოკვლა. რიცხვი არ მახსოვს, მაგრამ, ვგონებ, 9 ივნისს იქნა მოკლული ამხ. ბუაჩიძე. ამ დღეს გამოსვლა არ მომხდარა, რადგანაც მთავრობას მიღებული ჰქონდა საჭირო ზომები და ამას გარდა, არც კონტრ-რევოლიუციონერები იყვნენ მზად. ამხ. ბუაჩიძის მოკვლის შემდეგ რამდენიმე დღით მდგომარეობა თითქოს მიწყნარდა, მაგრამ ეს იყო სიწყნარე ჭარიშხალის ამოვარდნის წინ.

ორგანიზაციული შუშაობა სწარმოებდა საბჭოთა ხელისუფლების გამაგრება-განმტკიცებისათვის. უნდა დამყარებულიყო საბჭოთა ისეთი ხელისუფლება, რომელიც დააკმაყოფილებდა და ნორმალურ პირობებს შეჰქმნიდა თერგის ოლქში მცხოვრებ ერთა შორის: ოსებს, ინგუშებს, ჩეჩნებს, კაზაკებს, ყაბარდოელებს და გარეშე მცხოვრებთა (иногородных) შორის. უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის სიჭრელე მეტად აძნელებდა მუშაობას მთიელებს შორის. განსაკუთრე-

ბით მეტად ძნელი იყო კაზაკებისა და მთიელების მორიგება. ყველაზე უფრო კონტრ-რევოლიუციონური ელემენტები იყვნენ კაზაკები. მეფის თვითმპყრობელობის პოლიტიკის წყალობით კაზაკები დიდი პრივილეგიებით სარგებლობდენ. ყველაზე საუკეთესო მიწები, როგორც სახნავი, ისე საბალახო და ტყეები კაზაკების ხელში იყო. კაზაკები თერგის ოლქში ჩამოსახლებული იყვნენ აგრეთვე მცხოვრებთა სამტროდ. უზარმაზარი კაზაკთა სტანიცები სოლივით იყვნენ შეჭრილი ინგუშთა და ჩეჩენთა სოფლებში და მოსვენებას არ აძლევდენ ეგრედ წოდებულ „ინოროდცებს". ეს კაზაკებივე იყვნენ შეფის თვითმპყრობელობის რუსიფიკატორული პოლიტიკის გამტარებელნი. იმის გამო, რომ თერგის ოლქის ძირითადი მოსახლეობა იდევნებოდა, ის დამონებული იყო ეკონომიურად და მეფის მთავრობა კაზაკების საშველებით სრულს განადგურებას უქადდა; დამოკიდებულება კაზაკებსა და ადგილობრივ ძირითად მოსახლეობას შორის წარმოუდგენელად იყო გამწვავებული. მტრობა მათ შორის უმალლესად იყო განვითარებული და ზოგჯერ იმ ზომამდე აღწევდა, რომ ხშირად თავდებოდა შეიარაღებული შეტაკებით და სოფლების გადაბუგვით. ოქტომბრის რევოლიუციამ იმედი მისცა დაჩაგრულ ერებს ასეთი შევიწროვებისაგან გასანთავისუფლებლათ.

რადგანაც საბჭოთა ხელისუფლებამ დააყენა საკითხი დამონებულ ერთა განთავისუფლების შესახებ, ამიტომ ეს ხელისუფლება დიდის პოპულიარობით სარგებლობდა თერგის ოლქის ინტერნაციონალურ მცხოვრებთა შორის. პირიქით, საბჭოთა ხელისუფლებაში კაზაკები ხედავდენ ისეთ ძალას, რომელიც ემუქრებოდა მათს ჭონებას და პრივილეგიებს, ამიტომ ისინი ამ ხელისუფლებას მტრულის თვალით უყურებდენ, თუმცა კაზაკებს შორისაც მოიპოვებოდენ ჯგუფები და ცრემლ პირები, რომლებიც გულწრფელად უჭერდენ მხარს საბჭოთა ხელისუფლებას. თავის თავად იგულისხმება, რომ საბჭოთა ხელისუფლება მხარს უჭერდა თერგის ოლქის შევიწროვებულ მოსახლეობას, რომელიც უშრალესობას შეადგენდა და ამასთანავე უღარიბეს ნაწილს და სწორედ ამ მიმართულებით სწარმოვდა მუშაობა —ღარიბთა ძალაუფლების დამყარება, რევოლიუციურ მონაპოვარ უფლებათა განმტკიცება ამ ღარიბთა საკეთილდღეოთ. ასეთი მუშაობა კიდევ უფრო გაცხოველდა, როცა იქ საოლქო კომიტეტი გადავიდა, რომელმაც ხელი მიჰყო წინად დასახული მიზნების ცხოვრებაში გატარებას.

კონტრ-რევოლიუცია გრძნობდა საოლქო კომიტეტის მიერ დაწყებული მუშაობის საშიშროებას და ამიტომ განიზრახა მისთვის ხელის შეშლა და ემზადებოდა გამოსვლისათვის. საოლქო კომიტეტს სხვა ამოცანაც ჰქონდა დასახული, რასაც არა ნაკლებ ყურადღებას აქცევდა: ეს იყო საქართველოს გასაბჭოება; საქართველო იმ ხანებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში ყოველგვარი კონტრ-რევოლიუციონური ძალების ბუდე იყო. ამ მიზნით საოლქო კომიტეტი იძენდა იარაღს—მეტ ნაწილს იძლეოდა თერგის საბჭოთა მთავრობა, დანარჩენს ყიდულობდა კერძო პირთაგან. ეწყობოდა სპეციალური რაზმი თერგის ოლქში გადმოხვეწილ „საქართველოს ქვეშევრდომთაგან“ და მოხალისეთაგან—თუ საჭიროება მოითხოვდა საქართველოს აჯანყებულთათვის დახმარება აღმოეჩინა ცოცხალი ძალით. ამ რაზმის უფროსი იყო ამხ. ს. გაგლოევი. საოლქო კომიტეტის წევრთაგან ამ საქმეზე მუშაობდენ ამხ. ლადო დუმბაძე და კ. ცინცაძე; ადგილობრივ ამხანაგებთაგან დიდ დახმარებას უწევდა ამხ. ვასო ელერდოვი. მოხალისეთა შეკრების, მათი ორგანიზაციულად მოწყობისა და ტეხნიკურად საქმის მოსაწერიგებლად მუშაობდა ამხ. ივანე კარაპეტოვი (დავახეთქე). გარდა ამისა მთელ თერგის ორგანიზაციას შეგნებული ჰქონდა, თუ როგორი დიდი საქმე იყო საქართველოს გასაბჭოება და ამიტომ შესაძლებლობის ფარგლებში ის არ იშურებდა ენერგიას ასეთი რაზმების მოწყობის საქმეში. 1918 წლის, დაახლოებით ივნისის პირველ რიცხვებში, საოლქო კომიტეტის განკარგულებით ვლადიკავკაზში მოვიდა საქართველოდან შეიარაღებული რაზმი ამხ. ალ. გეგეჭკორის მეთაურობით, რიცხვით 300-მდე კაცი. ეს ის აჯანყებულები იყვნენ, რომლებიც მენშევიკებთან ბრძოლაში დამარცხდენ და რომ არ დაშლილიყო ეს რაზმი, გადაყვანილ იქნა ის ვლადიკავკაზში. ეს რაზმი იქნებოდა ახალი რეზერვი, უკეთუ საქართველოში აჯანყება განმეორდებოდა. თერგის მთავრობამ და ორგანიზაციებმა ეს რაზმი გულთბილად მიიღო. ამას გარდა კონტრ-რევოლიუციონური გამოსვლების მოლოდინში, ვლადიკავკაზში გადმოყვანილ იქნა ჩრდილო ოსეთის კომუნისტური რაზმი (კერმენისტები) რიცხვით 200 კაცი. ამ რაზმის მეთაური იყო ამხ. კირილ კესაევი.

არ მახსოვს რომელ რიცხვს იყო, მგონი 9—10—11 ივნისს, საქართველოში გასვენებულ იქნა ამხ. ბუაჩიძის ცხედარი. პროცესია მცხეთამდე ამხ. ლადო დუმბაძეს გააცილა. მას დავალებული ჰქონდა გასცნობოდა საქართველოს პოლიტიკურ ვითარებას, გაეცნო მუშათა და გლეხთა სულიერი განწყობილება, საორგანიზაციო მუშაობა და სხ. ამ მიზნით ის ნახევრად ლეგალურად გადავიდა საქართველოში და გაჰყვა ამხ. ბუაჩიძის კუბოს. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ჩვენს ორგანიზაციას დაეგვიანებია. ამხ. ლადოს უკან დაბრუნებამდე დუშეთის მაზრაში იფეთქა გლეხთა აჯანყებამ. მას მოუხდა გაჩერება დუშეთში და აჯანყებისთვის ხელმძღვანელობა. საქართველოში დაწყებული აჯანყების შესახებ პირველად ამბავი მოიტანეს ვლადიკავკაზში ამხ. ვ. ცინცაძემ და სხვა ამხანაგებმა, რომელთა გვარები არ მახსოვს. მთელი თერგის ოლქი ამ ამბავს სიხარულით შეხვდა. ამხანა-

გები ჩივოდენ, რომ არ მოეპოვებოდათ არტილერია, არ ჰქონდათ საკმაოდ ვაზნები და სხ. სამი დღის შემდეგ დასახმარებლათ გაგზავნილ იქნა კომუნისტებისა და მოხალისეთა პირველი რაზმი ამხ. ს. გაგლოევის მეთაურობით. ერთი კვირის შემდეგ თერგის ოლქის სამხედრო კომისარიატმა გამოყო საარტილერიო რაზმი ორი საველე ზარბაზნით, რომლის უფროსად დაადგინეს ლატიში (გვარი, სამწუხაროდ, არ მახსოვს). ორი-სამი დღის შემდეგ აჯანყებულთა სახელმძღვანელოდ გაგზავნეს მე და ამხ. ს. ქავთარაძე. გზაში ჩვენ სამწუხარო ამბავი გავიგეთ: აჯანყებულები დუშეთში დამარცხებულიყვნენ და ფანასაურისაკენ დაეხიათ. მივედით ფანასაურში და დაწვრილებით გავეცანით მდგომარეობას. აღმოჩნდა, რომ გლეხები აღფრთოვანებული იყვნენ, მაგრამ ამასთან უკმაყოფილო იმიტომ, რომ თავის დროზე ვერ აღმოვუჩინეთ საკმაო დახმარება; გლეხები იმედს მაინც არ ჰკარგავდენ და გმირულად განაგრძობდენ ბრძოლას თავიდან ფე. ხამდე შეირაღებულ მენშევიკურ ჯარებთან. შესდგა შტაბის სხდომა, გადაწყდა ჩემი და ლადო დუმბაძის საჩქაროდ გაგზავნა ვლადიკავკავში, რათა საჩქაროდ მოგვეწოდებინა ახალი დახმარება როგორც ცოცხალი ძალით, ისე იარაღით. ამხ. ს. ქავთარაძე დარჩა ადგილობრივად. ვლადიკავკავში მისულისთანავე ჩვენ შევუდექით საქმეს. ორგანიზაციები და მთავრობა თანაგრძნობით შეგვეგება, მაგრამ, სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ ვლადიკავკავში არ მოიპოვებოდა საკმაო იარაღი და რაც იყო, არც იმის გაგზავნა შეიძლებოდა, ვინაიდან მოსალოდნელი იყო კონტრ-რევოლიუციონერი გამოსვლა თვით ვლადიკავკავში. სამხედრო საწყობი გეორგიევსკში იმყოფებოდა, საიდანაც უნდა წამოგველო იარაღი. მე გამგზავნეს გეორგიევსკში. ჩემთან წამოვიდა ამხ. კარაპეტოვი და რამოდენიმე მცველი. ჩემი წასვლის წინ გადაწყდა აჯანყებულთათვის მიგვეშველებია საოლქო კომიტეტის რაზმი ამხ. ალ. გეგეჭკორის მეთაურობით. ის მოემზადა წასასვლელად. მე გავემგზავრე გეორგიევსკში. გეორგიევსკსა და ვლადიკავკაზს შორის სად. პროხლადნაიას რაიონში ბრძოლა სწარმოებდა საბჭოთა ჯარებსა და აჯანყებულ ჯაზკების შორის, რომელთაც ბიჩერახოვი ხელმძღვანელობდა. გეორგიევსკში ჩვენ მივმართეთ საწყობის გამგე ამხ. ბელენკოვიჩს. მან განკარგულება მოახდინა, რომ ჩვენთვის მოეცათ რაც კი შესაძლებელი იყო. ჩვენ დაეტვირთეთ იარაღით მთელი ვაგონი და იმავე დღეს გამოვემგზავრეთ. ღამის 12 საათზე სად-პროხლადნაიაში ვიყავით. მთელი გზა დაკავებული ჰქონდა სამხედრო მატარებლებს, ამიტომ ჩვენ რამდენიმე საათით მოგვიხდა გაჩერება. მე მივმართე საბჭოთა ჯარების უფროსს ამხ. ეგოროვს დაეჩქარებია ჩვენი გამგზავრება. როცა მათთან შტაბში ვიყავი, დავრწმუნდი, რომ ჩვენი საქმე ვერ მიდიოდა კარგათ. ჯარის უფროსები

ბრალს სდებდენ ცენტრალურ მთავრობას, რომ დაგვიანებით იძლეოდა განკარგულებას კაზაკების წინააღმდეგ შეტევის შესახებ. განსაკუთრებით უმაყოფილო იყვნენ მთავრობის წევრ მენშევიკ ბოგდანოვის, რომელმაც, როგორც შემდეგ გამოირკვა, ჩვენი ჯარების უფროსთ აუკრძალა კაზაკების წინააღმდეგ შეტევა. ჩვენის მხრით დაგვიანებამ საშუალება მისცა მტერს ინიციატივა თვით აეღო და დაეწყო შეტევა ჩვენ წინააღმდეგ. მენშევიკურმა ღალატმა და შეიძლება, მენშევიკ ბოგდანოვის შეგნებულმა ღალატმა, იმდენათ გააფუჭა საქმე, რომ ჩემი წამოსვლიდან 4 საათის შემდეგ პროხლადნაია კაზაკებმა დაიკავეს

ამას გარდა ჩვენი ჯარების უფროსთა მხრითაც შევნიშნე რაღაც „კაზაროვური" დამოკიდებულება საქმისადმი. მენშევიკ ბოგდანოვის განკარგულების წყალობით კაზაკთა აჯანყების ლიკვიდაცია ჩვენდა სასარგებლოთ არ დამთვრდა. თუ გავითვალისწინებთ მაშინდელ მდგომარეობას, ზოგიერთ მენშევიკებისა და ესერების საქციელი (სმირდოვის, ბუტირინის და ლევანდოვსკის გამოკლებით, რომლებიც მხურვალე მონაწილეობას იღებდენ აჯანყების ჩაქრობაში) და მათს მხოფლმხედველობას, თამამად შევიძლია ვთქვათ, რომ ამ მუდამ მერყეემა ელემენტებმა საბედისწერო როლი შეასრულეს შემდეგში თერგის ოლქში მომხდარ კონტრ-რევოლიუციონური გამოსვლების დროს. ეს ერთის მხრით. მეორეს მხრით არ შეიძლება არ გამოვტყდეთ იმაში, რომ ჩვენს ორგანიზაციებს ყველაფერი არ გაუკეთებია იმისათვის, რომ კონტრ-რევოლიუციონური ფრონტის არსებობა შესაძლებელი არ ყოფილიყო.

საჭირო იყო დაუყოვნებლივ მთაერობიდან გაძევება ყველა არასაიმედო პირთა, საჭირო იყო ყველა გაფანტულ ჩვენი სამხედრო ძალების შეკავშირება ერთ მაგარ წითელ არმიად, უნდა გაგვენაღდებინა ოქტომბრის რევოლიუციის ლოზუნგები ნაციონალური საკითხის შესახებ, რომ ასე მოგვეპოვებია მთიელთა თანაგრძნობა და შეგვექმნა მათგან ნაციონალური რეგულიარული ჯარი. ყველაფერი ეს შემდეგში გაკეთდა, მაგრამ უკვე გვიან იყო. კონტრ-რევოლიუციამ გაიგო ჩვენი საორგანიზაცო გეგმები და კეთილი სურვილები. სამწუხაროდ ძლიერ ცოტა ყურადღებას აქცევდა ჩვენი ორგანიზაცია ნაციონალურ მოძენტს. ეს უნდა აღიარებულ იქნას.

ასეთი იყო მდგომარეობა, როცა მე საქართველოს აჯანყებულთათვის ერთი ვაგონი იარაღი მოვიტანე. იარაღი გაგზავნილ იქნა. საოლქო კომიტეტის რაზმი ჩემს მისვლამდე გაეგზავნათ. მაგრამ ყველაფერი ეს დაგვიანებული გამოდგა. სანამ ჩვენ დახმარებას მიიღებდენ აჯანყებულები, მენშევიკებმა უკვე უღელტეხილამდე დაახვიეს აჯანყებულთ. განსაკუთრებით საბედისწერო იყო საოლქო კომიტე-

ტის რაზმის გაჩერება ამბ. გეგეჭკორის მეთაურობით ყაზბეგში. მიუხედავად საოლქო კომიტეტის განკარგულებისა, რაზმი დაუყოვნებლივ შეერთებოდა აჯანყებულთ, ის შეჩერდა ყაზბეგში და შეუდგა აქ ყაზბეგელთა განიარაღებას.

ამ სახით, დაახლოვებით ივნისის გასულს თუ ივლისის შუა რიცხვისათვის დუშეთის აჯანყება მენშევიკებმა ჩაახრჩეს. აჯანყებულნი ჯგუფობრივად გადავიდენ თერგის ოლქში. ამ ჯგუფებს თავი მოუყარა საოლქო კომიტეტმა. ამათგან შესდგა ახალი რაზმი, რომლის უფროსად დაინიშნა ამბ. ალ. გეგეჭკორი.

ამის შემდეგ ადგილობრივი ორგანიზაციისა და საოლქო კომიტეტის მთელი ყურადღება მიპყრობილი იყო მომავალი კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ. ამავე დროს არ ვივიწყებდით ძალებისა და ტეხნიკის დაგროვებას მენშევიკური საქართველოს წინააღმდეგ, უკეთუ იქ ხელ-ახალი გამოსვლა მოხდებოდა მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ.

ქალ. ვლადიკავკაზი საფრთხეში იმყოფებოდა კაზაკების სტანიცის არკონსკის და არდონის მხრით. თავიდან რომ აგვცილებია მათი თავდასხმა, არკონსკის და ოსების სოფლის მხარეზე დავაყენეთ ჩვენი რაზმები. შეიარაღებულ იქნა კურსკის სლობოდკა, შევეცადეთ ქალაქის თვით-დაცვა, რომელიც საიმედო არ გამოდგა, მაგრამ ჩვენ მიერ მიღებული ზომები, არ ვიცი რატომ, უნაყოფო გამოდგა. ღამით 5—6 აგვისტოს, როცა ჩვენ ყველაზე ნაკლებათ მოველოდით თავდასხმას, ქალაქის ცენტრალური ნაწილი და ჩვენი სამხედრო შტაბი დაკავებული აღმოჩნდა კაზაკების მიერ. მე ბინაზე მეძინა. 6 აგვისტოს დილის 5 საათზე ფანჯარაზე რაკეტი მომესმა. როცა გამოვიხედე, დავინახე, რომ ლადო დუმბაძე, ვანო კარაპეტოვი და ერთი ამხანაგიც (გვარი არ მახსოვს) ქუჩაში დგანან შეიარაღებულნი. ლადომ სიცილით მითხრა, რომ ტანთ ჩამეცვა და წავსულიყავ მათთან. ჩემს შეკითხვაზე, თუ რაში იყო საქმე, მათ მიპასუხეს—ქალაქი და შტაბი დაიკავეს კაზაკებმა და ისინი საჭიროდ უნდა იქნან განდევნილიო. მე იმ წამსვე ტანთ ჩავიცვი, ცოლმა მომაწოდა ვინტოვკა და ვაზნები. ამხანაგებთან ერთად წავედ ავტო-ჯავშნოსანთა რაზმში. რაზმი იმყოფებოდა ალექსანდროვის პროსპექტზე, ახლოს შტაბიდან, სადაც უკვე კაზაკები იმყოფებოდენ, რაზმის უფროსი იყო ამბ. ვანო კარაპეტოვი. ჩვენ მოწყვეტილი ვიყავით ყველა ჩვენს ორგანიზაციებისაგან და ამხანაგებისაგან. ქუჩაში სიარული და ვისიმე ძებნა ყოვლად შეუძლებელი იყო, ვინაიდან ყველა ქუჩები დაკავებული ჰქონდათ შეიარაღებულ კაზაკებს და კონტრ-რევოლიუციონურ ოსებს. უნდა აღინიშნოს, რომ ოსებს შორის აშკარა დანაწილება (расслоение): ერთის მხრით იყო კონტრ-რევოლიუციონური აფიცეროба, რომელთაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემხრობოდენ კულაკური ელემენტები და მემამულეები, მეორე ნაწილი—ოსების რევოლიუციონური ნაწილი, რომელსაც მეთაურებდა პარტია „კერმენი".

კაზაკების ამ კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლას მხარს უჭერდა ჩრდილო ოსეთის კონტრ-რევოლიუციონური ნაწილი (რიცხვით მცირე).

ჯავშნოსანი რაზმის სადგომში ჩვენ საკმაოდ გვქონდა მოგროვილი ვაზნები და სხვა სამხედრო მასალა, რაც უნდა გადაგვეგზავნა საქართველოს ოკუნყებულთათვის. თვით ეს რაზმი ჯერ კიდევ არ იყო მოწყობილი. აი ეს იარაღი მოვიხმარეთ კაზაკების წინააღმდეგ. რაზმის სადგომში აღმოჩნდა 20 ამხანაგი. გაჩაღდა სროლა. ერთის მხრით გვესროდენ შტაბიდან კაზაკები და ოსები, მეორეს მხრით—ოსები, რომელთაც დაკავებული ჰქონდათ მთელი გროზნოს ქუჩა. ჩვენმა ჯგუფმა არ იცოდა სად იმყოფებოდენ დანარჩენი ჩვენი შეიარაღებული ძალები—საოლქო კომიტეტის რაზმი, ამხ. გეგეჭკორი, მთავრობის წევრები და სხვა ორგანიზაციები.

ექვსჯერ მოიტანეს კაზაკებმა იერიში ჩვენს სადგომზე, მაგრამ ყოველთვის უშედეგოთ დამთავრდა მათი შემოტევა. რამდენიმე მათგანი დაიჭრა და მოკვდა. ცხარე იერიში მოიტანეს გიმნაზიის ქუჩიდან. 3—4 საათის ცხარე სროლის შემდეგ ვოგზლის ქუჩაზე მდებარე სასტუმრო „გრანდ-ოტელიდან" მოგვესმის წითელარმიელების „ურა". როცა დავინახეთ, რომ წითელ არმიელები უტევდენ კაზაკებს, ჩვენც გამოვედით გარეთ და დაუწყეთ სროლა გაქცეულ კაზაკებს. რამდენიმე წამის შემდეგ ჩვენ უკვე იმ შტაბში ვიყავით, საიდანაც კაზაკები გაიქცნენ. გამოირკვა, რომ ორ-სართულიან შენობაში—ზედა სართულში იყვნენ ჩვენი ამხანაგები, ქვემო სართულში კი—კაზაკები, წითელ არმიელთა ერთ ნაწილს კი იქვე ბაღში გაეკეთებია სანგრები. აი, ეს ნაწილი უტევდა შტაბს „ურას" ძახილით. აღსანიშნავია ორი-სამი ამხანაგის გმირობა ამ სროლის დროს. ერთი იყო თითქმის ბავშვი ოსი (ვვარი სამწუხაროდ დამავიწყდა), შოფერი ლექსო, რომელმაც დუშელებთან ერთად დაიბრა და ამხ. შუშიაშვილი. საუცხოვო სანახაო იყვნენ ისინი, როცა შუაგულ ქუჩაში გაჩერებულნი, არაფერს არ ეფარებოდენ და ისე ესროდენ კაზაკებს. ჩვენს დაძახილს, რომ რაიმეს ამოფარებოდენ, ისინი ყურადღებას არ აქცევდენ. მათი სითამამის ბრალი იყო, რომ ერთ ერთ სროლის დროს შუშიაშვილი მოკლულ იქნა და ლექსო დაჭრილ იქნა თვალში და ტყვედ ჩავარდა; რაღაც სასწაულით რამდენიმე თვის შემდეგ გადარჩა. ახალგაზრდა ოსი კი ჩვენს სადგომში შემოვიყვანეთ.

გამოირკვა შემდეგი: ღამით 5—6 აგვისტოს კაზაკებს ჩვენი რაზმების წინააღმდეგობის გაუწევლად (ჩვენი რაზმები დაბანაკებული

იკვნენ ოსეთის „სლობოდკაში"—„კერმენისტები" 150 კაცი და საოლქო კომიტეტის რაზმი ამხ. გეგეჭკორის მეთაურობით) შემოვიდენ ქალაქში და დაიკავეს მოტყუვილებით შტაბის ახლოს 1 პოლკის სადგომი და ჯარების შტაბის ქვემო სართული. იმავე დილით დაპატიმრებულ იქნენ ამხ. ფიგატნერი და გეგეჭკორი, რომელთაც შემდეგ მოახერხეს გაქცევა.

შტაბის დაკავების შემდეგ ჩვენ შევადგინეთ სამხედრო სამეული, მსგავსად არსებული შტაბისა. ამ სამეულში შევდიოდით—მე, ამხ. ელერდოვი და მარტინოვი სერგეი. ახალი შტაბი პირველად შეეცადა კავშირი დაეჭირა ყველა შეიარაღებულ ძალებთან. ეს ჩვენ შევსძელით. გამოირკვა, რომ იმ ღამეს, როცა კახაკებმა შემოვიტიეს, საოლქო კომიტეტის შტაბი დაიბნა. რაზმთან ამ დროს არ ყოფილა უფროსები და ამიტომ რაზმმა ვერ შეუშალა ხელი კახაკებს. ჯარის უფროსები, გარდა ზოგიერთ როტის უფროსებისა, სხვა და სხვა ალაგას აღმოჩნდენ. მხოლოდ შტაბის დაკავების და ახალი შტაბის შედგენის შემდეგ მოვახერხეთ დაჩსაცსული ძალების გაერთიანება და ერთიანი სამხედრო მოქმედების დაწყება. ზემოხსენებულ ორ რაზმიდან—(კერმენისტები და საოლქო კომიტეტისა) შემდეგ ბრძოლებში თავი ისახელა საოლქო კომიტეტის ერთმა ჯგუფმა—კახელებმა, რომლებიც რაზმს შეუერთდენ დუშეთის დამარცხების შემდეგ. შემდეგ ჩვენ კავშირი გავაბით მთავრობის წევრებთან, რომლებიც, თუ არ ვცდები, კადეტთა კორპუსში (საქართველოს სამხედრო გზაზე) იმყოფებოდენ სახალხო კომისართა საბჭოს სხდომაზე. კადეტთა კორპუსში იყო შეიარაღებული ძალა და საგაუბიკიო ბატარეა. საჭირო იყო, რომ კადეტთა კორპუსში მყოფ ამხანაგებს დაენახვებინათ თავისი ძალა ქალაქში შემოჭრილი კონტრ-რევოლიუციონერებისათვის. ძალები ასე იყო დანაწილებული: მთელი ოსების „სლობოდკა", ქალაქის ცენტრის ნახევარი ნაწილი გროზნოს ჭუჩის ზემოდ, დაკავებული ქონდა კახაკებს. ცენტრი, გროზნოს ჭუჩის ქვემოდ—ჯარების შტაბი, სადგური, კურსკის სლობოდკა, თერგის მარჯვენა ნაპირი ხიდის ქვეშოდ, ჩვენს ხელში იყო. ამის გარდა ჩვენ მიერ აღებულ რაიონებში ზოგიერთ სახლებში დარჩენილი იყვნენ კონტრ-რევოლიუციონერები, რომელთაც გაქცევა ვერ მოასწრეს. ამათ სასტიკი წინააღმდეგობა გაგვიწიეს, ვიდრე ისინი ბრძოლით არ იქნენ გარეკილი. ასეთივე მდგომარეობა შეიქმნა მტრის ბანაკში. იქ დარჩენილი ჩვენი ამხანაგები სასტიკად იბრძოდენ.

როცა გავიგეთ, რომ კადეტთა კორპუსში იმყოფებოდენ მთავრობის წევრები და მათ შორის სამხედრო კომისარი ამხ. ბუტირინი, ჩვენ ვცდილობდით მათ ერთი ამხანაგის საშველებით (ამ ამხანაგის გვარი დამავიწყდა, მან გადმოლახა მტრის ხაზი), რათა მათ ხარბახ-

ნებიდან ყუმბარები დაეშინათ მტრისათვის ოსების „სლობოდკის“, შეორე ხიდის და საქალაქო თეატრის მიდამოებისათვის. მათ არ აღმოაჩნდა თან ქალაქის რუქა. ჩვენ გავზომეთ მანძილი კადეტთა კორპუსისა და ამ ადგილებს შორის და ტელეფონით ვაცნობეთ. დაუწყეს ხსენებულ ადგილებს ყუმბარების დაშენა. იმ პუნქტებში, სადაც ყუმბარებს ესროდენ, ცხოვრობდენ ჩვენი ამხანაგების ოჯახობა ბავშვებიო. თვით ამბ. ბუტირინს უხდებოდა ხარბაზებიდან სროლა იმ ადგილებისათვის, სადაც მისი ცოლშვილი იმყოფებოდა. ბრძოლა მთელი დღე გაგრძელდა. მთელი დღე არ შეწყვეტილა სროლა ხარაბანზებიდან, ტყვიის მფრქვეველოდან და თოფებიდან ქალაქის სხვა და სხვა ნაწილებში. განსაკუთრებით სასტიკი ბრძოლა სწარმოებდა მდ. თერგის რაიონში ხიდის დასაპყრობათ. ერთი წამითაც არ შეწყვეტილა თოფების სროლა. საღამოს ცოტათი მიწყარდა. ღამით კანტი-კუნტად მოისმოდა სროლის ხმა, თითქოს ნიშანს აძლევდენ ერთმანეთს, რომ არ გეძინავსო.

ჩვენმა შტაბმა ისარგებლა სიწყნარით და შეიმუშავა გეგმა გათენებისას იერიშზე გადასულიყო. წინასწარ დათვალიერებული იქნა ყველა პოზიციები, ცოცხალი ძალა, რომელიც მეტად მცირე აღმოჩნდა, ვგრძნებ, სრულიადაც არ აღმოჩენილა. დაკრწმუნდით რა იმაში, რომ შეტევისათვის მეტად ცოტა ძალა მოგვეპოვებოდა, გადავსწყვიტეთ გავჩერებულიყავით 8 აგვისტომდე. ამ დღეს კი დილიდანვე გადავსულიყავით შეტევაზე. ვიმედოვნებდით, რომ მოგვეშველებოდენ. უფრო მოველოდით მაშველ ძალას პროხლაინდიას ან გროზნოს ფრონტიდან. დილიდანვე სროლა გაჩაღდა. მოწინააღმდეგე რამდენიმეჯერ შეეცადა შეტევაზე გადმოსვლას, უნდოდა ჩვენი შტაბიდან და ხიდიდან განდევნა, მაგრამ ვერ მოახერხა. 7 აგვისტოს მთელი დღე სასტიკი ბრძოლა გაგრძელდა. საღამოთი ხელ-ახლა მაწყნარდა. ჩვენი შტაბი კვლავ შეუდგა მდგომარეობის გარკვევას. უნდა დაგვეთვალიერებია სადარაჯოები, გამოგვეკვლია რამდენათ ჰქონდათ შერჩენილი ამხანაგებს ბრძოლის უნარი, რომელთაც ორი დღე არ შეუსვენებიათ, გაგვეგო რამდენი მოგვეპოვებოდა სამხედრო მასალა, იყო რომელიმე ადგილიდან მოსული მაშველი ძალა და სხ. ერთი სიტყვით, საჭირო იყო ყველაფრის აწონ დაწონვა. სამწუხაროდ გამოირკვა, რომ საქმე ყოველის მხრით ცუდათაა. არავითარი იმედი არ იყო არა თუ შეტევის დასაწყებათ, არამედ ძველი მდგომარეობის შესანარჩუნებლათ. ასეთმა მდგომარეობამ შტაბი იძულებული გახადა დაბმარებისათვის მიემართა ინგუშეთის ეროვნული საბჭოსათვის და საერთოდ მიეღო შველა საბჭოთა წყობილების ყველა თანამგრძნობთაგან და ასე ჩაეთრია ეს ძალები კაზაკთა კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ მიზნით მე და ამბ. ელერდოვი შტაბმა ინ-

გუშეთში გაგვაზავნა. აგვისტოს 8-ს გათენებისას რამდენიმე შეიარაღებული ამხანაგის თანხლებით მე და ამხ. ელერდოვი საბარგო ავტომობილით გავემგზავრეთ სოფ. ბაზარკინოში, სადაც იმყოფებოდა ინგუშეთის ეროვნული საბჭო.

სოფ. ბაზარკინოში ჩვენ შევხვდით ამხ. ორჯონიკიძეს, რომელიც, თუ არ ვცდები, ჩრდილო კავკასიიდან მოსულიყო. ვუამბეთ მას ყველაფერი და მასთან ერთად საკითხი დავაყენეთ ინგუშეთის ეროვნულ საბჭოში. საბჭომ ჩვენი წინადადება აღფრთოვანებით მიიღო და იმავე დღეს შიკრიკები დაგზავნა სოფლებში და მოიწვია შეიარაღებული ძალები. იმავე დღეს შეიკრიბა რამდენიმე ასეული ცხენოსანი მხედარი, რომლებიც ინგუშეთის სამხედრო ძალების მეთაურად არჩეულ ამხ. საუტიევის განკარგულებით გაემგზავრენ ვლადიკავკაზში წვითელი არმიის საშველად. 8 აგვისტოს საღამოთი რამდენიმე შეიარაღებული მხედრის თანხლებით ამხ. ორჯონიკიძე გაემგზავრა ვლადიკავკაზში. როცა ქალაქს დაუახლოვდენ და გაეცვნენ საქმის ვითარებას, უკანვე, სოფ. ბაზარკინოში დაბრუნდენ, რათა უფრო საფუძვლიანად მოემზადებიათ საბჭოთა ხელისუფლებისათვის დასახმარებლათ ინგუშეთის ძალები. მეორე დღეს ჩვენ გავუდექით ვლადიკავკაზისაკენ. მხოლოდ არ მახსოვს, ჩვენთან წამოვიდა ამხ. ორჯონიკიძე, თუ პროხლადაიას ფრონტზე წავიდა, რათა იქიდან ვლადიკავკაზისათვის მოეშველებია წვიელ არმიელთა ზოგიერთი ნაწილები

ვლადიკავკაზში საქმე კარგათ ვერ იყო. ერთი დღის განმავლობაში ჩვენს მეომრებს რამდენიმე პოზიცია ჩაებარებია მტრისათვის, შტაბიც საფრთხეში იმყოფებოდა. ასეთი მდგომარეობა იყო აგვისტოს 9-ს დილით. საღამოთი, რაღაც გაუგებრობის წყალობით, შტაბი დატოვებულ იქნა. შემდეგში შტაბის დაცვა მიენდო საოლქო კომიტეტის რაზმს ამხ. გეგეჭკორის მეთაურობით.

ყველანი ჩვენს ადგურში ვიმყოფებოდით, რომელსაც მოწინააღმდეგე გააფთრებით უშენდა. რამოდენიმე ხნის შემდეგ, ასე, საღამოს 6 საათზე ბესლანიდან მოვიდა ჯავშნოსანი მატარებელი ამხ. ავტონომოვის მეთაურობით. საღამოთი სადგურიდან ჩვენ წავედით შტაბში, საიდანაც ჩვენები წასულიყვნენ. იქ არავინ არ აღმოჩნდა მტერთაგანი. შტაბი ჩვენ დაეიკავეთ.

როგორც მახსოვს, ჯავშნოსანი მატარებლის მოსვლის შემდეგ ყველა შეიარაღებული ძალების უფროსად დანიშნულ იქნა ამხ. ავტონომოვი. აგვისტოს 9-ს საღამოს 8—9 საათზე დანიშნული იყო სამხედრო საბჭოს სხდომა პასუხისმგებელ ამხანაგების თანადასწრებით. გამოირკვა, რომ მეტი დაყოვნება შეუძლებელია მით უფრო, რომ არხონის კაზაკებს გადაწყვეტილი აქვთ ჩვენი მოწყვეტა სად. ბესლანიდან, რომლის საშუალებით ჩვენ დაკავშირებული ვიყავით ფრონ-

ტთან. გადაწყდა ბესლახისაკენ დახევა. მთელი ღამის განმავლობაში ჯავშნოსანი ზარბაზნებიდან ყუმბარებს უშენდა ქალაქს. მთელი ღამის განმავლობაში ღამის 11 საათიდან დილის 4 საათამდე გასროლილ იქნა ქალაქის სხვადასხვა უბანში 130 ყუმბარა. შეიარაღებულ ძალებს ებრძანა დაეტოვებინათ ქალაქი და ჯავშნოსანის მფარველობის ქვეშ ბესლანისაკენ დაეხიათ. ასეც მოხდა. დილის 4 საათზე დაიძრაო ბესლანისაკენ. „რაზეზდ" კოლონკამდე მშვიდობიანათ მივაღწიეთ. აქ კი სად. არხონკიდან ჯავშნოსანს სროლა დაუწყეს და რამდენიმე ალაგას რკინის გზის ლიანდაგიც აყრილი აღმოჩნდა. ძნელია იმის წარმოდგენა, თუ როგორ გვიხდებოდა ერთსა და იმავე დროს გზის შეკეთებაც და ბრძოლაც. რამდენიმეჯერ მოგვიხდა ერთი და იმავე ხაზის შეკეთება. გავიელიდით ნახევარ ვერსტს და ლიანდაგს აგვიყრიდენ უკანიდან, შევაკეთებდით, მაგრამ ახლა წინ ანგრევდენ გზას. ბესლანიდან ჩვენ შემოგვეგება მეორე ჯავშნოსანი, რომელშიაც იმყოფებოდა არტილერიის უფროსი ამბ. სმირნსკი. იყო ისეთი შემთხვევები, როცა გავიფიქრებდით ჯავშნოსნების აფეთქებას და ქვეითად წასვლას, მაგრამ თავს ვიჭერდით. 9 აგვისტოს დილის 4 საათიდან ორი ჩვენი ჯავშნოსანი იბრძოდა: ერთი ვლადიკავკაზიდან, მეორე—ბესლანიდან, მაგრამ 10 აგვისტოს 4—5 საათამდე ვერ შესძლეს შეერთება. მხოლოდ დილით, აგვისტოს 11-ს ეს ჯავშნოსნები ერთმანეთს შეხდენ და მივაღწიეთ ბესლანამდე. აქ მოვახდინეთ ძალების გადაჯგუფება, თავი მოუყარეთ უკან დახეულ ნაწილებს, მოვაწესრიგეთ ყველაფერი, დავასვენეთ ისინი და სხ. ბესლანში გადაწყდა წავსულიყავით გროზნოს მიმართულებით. აქ სადგურებზე გაჩერებული ვაგონებიდან მიგვეღო სამხედრო მასალა, შეიარაღებულიყავით როგორც რიგი და წესია და ინგუშეთიდან შეტევა დაგვეწყო ვლადიკავკაზე. აქ ჩვენ გვაცნობეს, რომ წითელ არმიელთა ერთი ბათალიონი, რომელიც გროზნოს მუშებისავან შესდგებოდა ფრონტის თუ ამბ. ლევანდოვსკის განკარგულებით, წამოსულიყო ვლადიკავკაზისაკენ. ამ ცნობამ ჩვენ გაგვამხნევა. ეს ბათალიონი ფრონტიდან იყო მოხსნილი დასასვენებლად, მაგრამ მიუხედავათ თავისი დაღლილობისა, ის სიხარულით მოეშურებოდა ჩვენდა დასახმარებლად. ამას გარდა ჩვენ სარწმუნო ცნობები მივიღეთ, რომ კურსკის „სლობოდკაში" დარჩენილიყო წითელ არმიელთა პატარა ჯგუფი, რომელიც ჩვენი უკან დახევის შემდეგ მცხოვრებლების ერთ ნაწილთან ერთად განაგრძობდა ბრძოლას მტრის წინააღმდეგ. ამის შემდეგ საჭირო იყო ჩვენი ისევ უკან დაბრუნება. მე, ლადო დუმბაძე და სხვა ამხანაგები (გვარები არ მაგონდება) ბაზარკინოთი გავემგზავრეთ ვლადიკავკაზში. ჩვენ თან წავიყვანეთ შეიარაღებული რაზმები.

გროზნის ბათალიონის კურსკის „სლობოდკაში“ შესვლას შეეწირა. ჩვენც მივედით. ამასთან ერთად ნაბრძანები ჰქონდა ერთ ჯავშნოსანს, ვგონებ სურენიანის უფროსობით, დაუყოვნებლივ დაბრუნებულიყო ვლადიკავკაზისაკენ, რაც სისრულეში იქნა მოყვანილი. თუ მეხსიერება არ მღალატობს, ეს 12 აგვისტოს უნდა ყოფილიყო. კურსკის სლ. ჩვენთვის გახდა დასაყრდენი პუნქტი, საიდანაც დაიწყო შეტევა ქალაქის დანარჩენი ნაწილების წინააღმდეგ. ჩვენს ხელში იყო კურსკის სლ. და სადგური, რომელიც მტერს დაატოვებინა საშველად მოსულმა ჯავშნოსანმა. ქალაქის დანარჩენი ნაწილი მოწინააღმდეგის ხელში იმყოფებოდა.

აგვისტოს 13-ს დილიდანვე სასტიკი ბრძოლა სწარმოებდა ქალაქის საავადმყოფოს დასაპყრობად. ჩვენებმა შესძლეს მტრის განდევნა საავადმყოფოს წინ მდებარე ქუჩიდან (ქუჩის სახელი დამავიწყდა). საღამოს გამოირკვა, რომ დიდი ნაკლებობა იყო საომარი მასალისა. საღამოს შესდგა შტაბის სხდომა, სადაც ამბ. ლევანდოვსკის გაგვაცნო შემდეგი მოქმედების გეგმა. არ შეიძლებოდა მას არ დავთანხმებოდით, რადგანაც მის სიტყვაში აშკარად სჩანდა სამხედრო საქმის ცოდნა, გამოცდილება. მისი გეგმა სავსებით იქნა მიღებული. ის მოუწოდებდა თავდაჭერისაკენ, გვაფრთხილებდა, რომ არ აეჩქარებულიყავით. მისი გეგმის თანახმად ფეხ და ფეხ უნდა გვედევნა მტერისათვის. ის წინააღმდეგი იყო საერთო, აშკარა შეტევისა; ჯარების უფროსად დაინიშნა ამბ. მუშა მიტიაევი, რომელსაც გამოვლილი ჰქონდა იმპერიალისტური ომი. ამბ. ლევანდოვსკის იკისრა საერთო ხელმძღვანელობა. ჩვენ ყველანი მას ვეხმარებოდით. ჩვენი ძალები თითქმის მთლიანად თავმოყრილი იყო კურსკაიას სლ-ში. პოზიციურ, სწორე ბრძოლას აწარმოებდა უმთავრესად გროზნოს ბათალიონი და ვლადიკავკაზის გარნიზონის ნაწილები. დაკვრითი წესით ბრძოლის საწარმოებლათ გვყავდა ცალკე რაზმები—საოლქო კომატეტის რაზმი, ინგუშების რაზმი ამბ. ხალახოევის მეთაურობით და სხ.

13 აგვისტოს მე და ამბ. ლ. დუმბაძე გაგვაგზავნეს სამხედრო მასალისათვის ს. ნაზრანში, სადაც სამხედრო ბაზა იმყოფებოდა. ჩვენ დილით წავედით და საღამოთი ს. ბაზარკინოთი დავბრუნდით. სამხედრო მასალა მოვზიდეთ ფურგონებით და საბარგო ავტომობილებით. ჩვენ წინ მოვდიოდით ეტლით. საღამო ხანია, ვგონებ, 14 აგვისტო. ვუახლოვდებით კურსკაია სლ., კიდევ დარჩენილა გასაელელი 3—4 ვერსტი. უკვე დაღამდა. ვხედავთ, მორბიან შეშინებული წითელ არმიელები როგორც ქვეითად, ისე ცხენოსანნი. გამოქცეულთა რიცხვი თანდათან მატულობს. ვეკითხებით რაშია საქმე. ვერაფერს გვიპასუხებენ. ვატყობთ, რომ ესენი პანიკას შეუპყრიათ. მიდიან ინგუ-

შეთის სოფ. ბაზარკინოსკენ. ჩვენ (მე და ლადომ) ვუბრძანეთ ჩვენს მცველებს შეეჩერებიათ ყველანი და არავინ გაეშვათ. ყველანი გაჩერდენ. დამშვიდდენ. გამოვკითხეთ ყველაფერი დაწვრილებით. აქვე აღმოჩნდა ამხ. მიტიაევი, რომელიც, როგორც შემდეგ გამოირკვა, წვამოსულიყო გაქცეულთა შესაჩერებლათ. გამოირკვა, რომ საიდანღაც თეთრგვარდიელებს ჯავშნოსანი ავტომობილი გამოეშვათ და სადგურის რაიონში ჩვენი რკალი გაერღვიათ. ჩვენი ამხანაგების ნაწილს დაეხია კურსკაია სლაბოდკისაკენ, მეორე ნაწილს გადაეწყვიტა, რომ ყველაფერი დაკარგულიაო და წვასულიყო ინგუშეთისაკენ. ამ უკანასკნელს შევხვდით ჩვენ. ვიდრე ჩვენ მდგომარეობას გამოვარკვევდით, დავამშვიდებდით და დავაწყობდით გაქცეულ ნაწილებს, საკმაო დრო გავიდა. უკვე ღამის 12 საათია. წინ წაწევა საშიში იყო, რადგანაც მოსალოდნელი იყო მტერთან შეტაკება და იარაღის დაკარგვა. გადავსწყვიტეთ ღამე აქ დავრჩენილიყავით. ღამით ყველაფერი მოვაწესრიგეთ, უიარაღონი შევაიარაღეთ და დილით ყველანი გავეშურეთ ქალაქისაკენ. წინასწარ გავიგეთ რა მდგომარეობაში იმყოფებოდა კურსკის სლ. 10-11 საათზე შევედით კურსკაიაში. ეს იყო მგონი აგვისტოს 15-ს. შტაბი შეუდგა ძალების ხელ-ახლა გადაჯგუფებას. ამხ. ლაგო წავიდა სადგურის რაიონში. აგვისტოს 15-ს საღამოთი ჩვენმა ამხანაგებმა მტერს წაართვეს ჯავშნოსანი ავტომობილი. 16-ს დილით ჩვენი ნაწილები შეტევაზე გადავიდნენ და მტერს რამდენიმე ჰოზიცია დაატოვებინეს. ამხ. ლადომ თავისი რაზმით დაიკავა მთელი სადგურის ქუჩა. ბრძოლაში სამ ალაგას დაიჭრა ფეხში, მაგრამ დაჭრილს არ მიუტოვებია რაზმი და შეხვეული ჭრილობით განაგრძოდა მუშაობას შტაბში და სანგრებში.

ამხ. ელერდოვს, თუ მეხსიერება არ მღალატობს, მინდობილი ჰქონდა შალდონის დაკავება. 17-ს დილით მზად იყო მტრის მიერ დატოვებული ჯავშნიანი ავტომობილი, რომელიც თუ მეხსიერება არ მღალატობს, ამხ. კოჩანსკის უფროსობით იმავე დღეს გაყვანილი იქნა ბრძოლის ველზე, რამაც მტერზე თავზარდამცემი გავლენა მოახდინა და საღამოს, 17 აგვისტოს, მან დასტროვა მთელი რიგი პოზიციებისა. ასე რომ, ქალაქის დიდი ნაწილი ჩვენს ხელში აღმოჩნდა. 18-ს დილით უკანასკნელი შეტევის შემდეგ ვლადიკავკაზი სრულიად განთავისუფლებულ იქნა მტრისაგან. უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროს, როცა ქალაქში ბრძოლა სწარმოებდა, ამხ. ინგუშებმა დაიკავეს სად. ს... უკან დახეულ მტერს დაედევნა ნაციონალური ჯარის ცხენოსანი რაზმი და წითელი არმიელები.

ამ სახით 12 დღის (6—18 აგვის.) სასტიკი ბრძოლის შემდეგ ქალ. ვლადიკავკაზში აღდგენილი იქნა საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც იმ წამსვე შეუდგა მთავრობის მოწყობას.

საოლქო კომიტეტმა განაგრძო ბრძოლა კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ. საჭირო იყო განგეგრგძო მათი დევნა. 1 1/2 თვენახევრის განმავლობაში საოლქო კომიტეტმა მოაწყო შეიარაღებული რაზმები, შექმნა წითელი არმიის ნაწილები და დაუღალავად განაგრძობდა მუშაობას კონტრ-რევოლიუციის სალიკვიდაციოთ, მთელი კონტრ-რევოლიციონური ძალა არხონისაკენ მიაწვა, რათა შემდეგ, თუ საჭიროება იქნებოდა, შეერთებოდენ ბიჩერახოვს. რა ხდებოდა ამ ორი თვის განმავლობაში, მე არ შემიძლია ავწერო, რადგანაც მთელი 1 1/2 ნახევარი ავად ვიყავი. ჩემი ავადმყოფობა (ტუბერკულიოზი) გართულდა.

საჭიროა აღინიშნოს, რომ თერგის მთავრობის ყველა მერყეველ ელემენტი წევრები—მენშევიკები და ესერები, კონტრ-რევოლიციონერებთან ერთად გაიქცნენ: სემიაონოვი, ძიძაევი და სხვები მივიდნენ ბიჩერახოვთან, ბოგდანოვი საქართველოში გაიქცა და სხ.

ჩემი განჯანსაღების შემდეგ ამბ. ორჯონიკიძისა და პადერინის რჩევით თერგის ოლქში მოეწყო საგანგებო კომისია. ეს იყო 1918 წ. ოქტომბრის პირველ რიცხვებში. მე დამნიშნეს ჩეკის თავჯდომარეთ. მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ჩვენ სრულიად მოწყვეტილი ვიყავით რუსეთისაგან, მაინც შევსძელით ჩეკის ბაპარატის მოწყობა, რომელიც შეუდგა წმენდას დარჩენილ კონტრ-რევოლიციონერების და ბურჟუაზიულიანტებისაგან. დახვრეტილი იქნა რამდენიმე ათაეული მეთაური კონტრ-რევოლიუციონური აჯანყებისა, დაპატიმრებულ იქნა ინგლისის მისია, რომელმაც აჯანყებისათვის პროვოკატულად წააქეზა არა მარტო კაზაკები, არამედ—მთიელების მერყეველი ელემენტები. ეს მისია გაგზავნილი იქნა ასტრახანით ამბ. ჩენკოვისა და პადერინის თანხლებით რუსეთში. შემდეგ ეს მისია გადაცემულ იქნა ამბ. რასკოლნიკოვზე და სხვებზე.

კონტრ-რევოლიუცია არ ისვენებდა. მან თავი წამოყო სუნჟენის ხაზზე. აჯანყდენ სლეპცოვის, სემაშკინის და გროზნის და სხ. სტანიცის კაზაკები. მათ წინააღმდეგ ბრძოლა გაგრძელდა. ელადაკვკავი ყოველგვარ ზომებს ღებულობდა აჯანყების ლიკვიდაციის მოსახდენათ, მაგრამ მარტო მას რა შეეძლო! ელადაკვკავი მაინც პირველი შეეცადა აჯანყების სალიკვიდაციოთ. სად არხონკაში გაიგზავნა რაზმი და რამდენიმე წითელ არმიელი ამბ. გეგეჭკორის მეთაურობით. პირველი შეტევა მარცხით დამთავრდა. ამბ. გეგეჭკორი ფეხში იქნა დაჭრილი. ამბ. ტრიანდაფილიდისის (ყოფილი აფიცერა-კომუნისტი) გადმოცემით, რომელიც ამ ოპერაციაში მონაწილეობას ღებულობდა, დამარცხება გამოიწვია სად. არხონკაზე უწესრიგო შეტევამ.

2-3 დღის შემდეგ ჩვენმა ნაწილებმა კვლავ მიიტანეს იერიში სად. არხონკაზე. კაზაკები გაიქცენ. ამის შემდეგ გაწმენდილ იქნა

აჯანყებულთაგან სად. არხონსკაია, გმეისკაია და სხ. ამ სახით მთელი ჩრდილო ოსეთი, გარდა ალაგირის ხეობისა, განთავისუფლებული იქნა კონტრ-რევოლიუციონურ ბანდებისაგან. რათაც არ უნდა დაგვჯდომოდა, უნდა მოგვეხდინა სუნჟენის ხაზზე დაწყებული აჯანყების ლიკვიდაცია. ჩვენი ორგანიზაციის მთელი ყურადღება აქეთკენ იყო მიმართული. მთელი ჩვენი ძალები დავაყენეთ სუნჟენის კაზაკების წინააღმდეგ რამაც საუცხოო ნაყოფი გამოიღო. მტრის რიგებში დაიწყო რღვევა, დაბოლოს სრულიად დაინგრა. დიდი როლი შეასრულა როგორც კაზაკების გახრწნაში, ისე მათ წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლაშია, კაზაკმა დიაკოვმა, რომელიც გულწრფელად იცავდა საბჭოთა ხელისუფლებას. ამბ. დიაკოვი კაზაკების თავალში გახდა გმირი. სუნჟენის აჯანყების ლიკვიდაცია დასაწყისი იყო თერგის ოლქის კონტრ-რევოლიუციის მოსპობისა საერთოდ, მით უმეტეს, რომ აქ კაზაკთა აფიცრების უმრავლესობა (მეთაურები) შეპყრობილ იქნენ. ამ აფიცერთა ერთი ნაწილი ჩეკამ დახვრიტა, ნაწილსაც სხვადასხვა ვადით ციხეში ჯდომა მიუსაჯა. უნდა მოგვეხდინა ავრეთვე პროხლადნაიას ფრონტის ლიკვიდაცია. ამ მიზნით პროხლადნაიაში გაემგზავრენ ამხ. ორჯონიკიძე, ლევანდოვსკი, ელერდოვი და სხ. ამ დროს პროხლადნაიას კონტრ-რევოლიუციონურ ფრონტს, რომელსაც მეთაურობდა ბიჩერახოვი, მოაწვა მე-11 წითელი არმიის ნაწილი.

ბიჩერახოვმა დიდის გაჭირვებით რამდენიმე გადარჩენილ აფიცრებთან და კაზაკებთან ერთად ყიზლიარით დაღესტანისაკენ დაიხია და ბაქოს მიაღწია. როცა ეს ამბავი გაიგეს ალაგირის ხეობაში თავშეფარებულმა კონტრ-რევოლიუციონერებმა და იქ გამოჩნდენ ჩვენი ჯარის ნაწილები, გადავიდენ საქართველოში და მიიმალენ. ასე მთელი თერგის ოლქი განთავისუფლებულ იქნა კონტრ-რევოლიუციონერებისაგან. ცოტა ხნით დადგა დრო ორგანული მშვიდობისათვის. მთავრობამ და კომპარტიამ ენერგიული ზომები მიიღო ბანდიტურ. თარეშით დანგრეული მეურნეობის აღსადგენად. საოლქო კომიტეტი შეუდგა საბჭოთა ყრილობის მოწვევისათვის მზადებას და ნოემბრის გასულისათვის ყრილობა შესდგა, რომელმაც აირჩია სახალხო კომისართა საბჭო. ნელ-ნელა ცხოვრება თავის კალაპოტში ჩადგა, კონტრ-რევოლიუციის მიერ მიყენებული ჭრილობანი ცოტათი მოშუშდა, მშრომლებმაც თავისუფლად ამოისუნთქეს. მაგრამ დადხანს არ გაგრძელებულა ასეთი მდგომარეობა. ნოემბრის გასულს საბჭოთა ხელისუფლებას ახალი უბედურება დაატყდა თავს.

ჩრდილო კავკასიაში გამაგრებულმა კონტრ-რევოლიუციამ (ყუბანის და დონის ოლქების) გენ. დენიკინის მეთაურობით მთელი თავისი ძალებით იერიში მოიტანა თერგის ოლქზე, რომ ასე გაენთავი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუფლებია ზურგი წითელი არმიისაგან შიდა რუსეთისაკენ გასალაშქრებლად.

მტრის ძალების მოწოლა საოლქო კომიტეტმა იგრძნო ჯერ კიდევ 1918 წლის ნოემბრიდან და საჭირო იყო ამ გარემოებისათვის საგანგებო ყურადღების მიქცევა. დაცდა შეუძლებელი იყო. თერთგვარდიელების ნაწილობრივი გამარჯვებით აღფრთოვანებულმა შინაურმა კონტრ-რევოლიუციონერებმა თავი წამოყენეს და დაიწყეს ზოგიერთ ალაგას თავდასხმა-გამოსვლები. მოწვეულ იქნა კავკასიის ორგანიზაციების ყრილობა, სადაც გამომუშავებულ იქნა საჭირო ზომები კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ. არჩეულ იქნა ახალი საოლქო კომიტეტი. სამწუხაროდ მათი გვარები არ მახსოვს. მახსოვს მხოლოდ, რომ არჩეული იყვნენ 1) ფ. მახარაძე, 2) ს. ჭავთარაძე, 3) ლ დუმბაძე, 4) გამსეროვი, 5) ნაზარეტიანი და სხ:

გამოყოფილ იქნენ ფრონტისათვის ყველაზე უფრო გამოცდილი და ენერგიული ამხანაგები. მათ შორის ამბ. ელერდოვი. ამ დროს საქართველოდან მოვიდა ამბ. ბუდუ მდივანი, ელბაქიძე, ხაბურზანია და სხ. ამათგან ბუდუ მდივანი გაგზავნილ იქნა მეორე დღესვე ფრონტზე (ის გაძევებული იყო საქართველოდან მენშევიკების მიერ ციხეში 10 დღის შიმშილობის შემდეგ). ფრონტზე მდგომარეობა დღითი-დღე უარესდებოდა. თერთგვარდიელები იარაღს და სხვა დახმარებას ღებულობდენ ანტანტისაგან და უტევდენ მე-11 წითელ არმიას.

ჩვენი ჯარის ნაწილების მდგომარეობა ფრონტებზე უკიდურესი იყო. ჯარისკაცები შიშველ-ტიტველნი იყვნენ, ჯარს არ ჰქონდა საკმაო სამხედრო მასალა, სანიტარულის მხრით ჯარი ცუდ პირობებში იყო. გაჩნდა სახადი. ჯარის $^2/_3$ ავად გახდა. არავითარი შესაძლებლობა არ იყო ბრძოლის გასაგრძობათ. მარტო აღფრთოვანება, რევოლიუციონური მოვალეობის შეგნება, საკმარისი არ იყო, უკეთუ საჭირო სამხედრო მასალა არ გექნებოდათ. იანვარში მე, ამბ. ბუტირინი და კიდევ რამდენიმე ამხანაგი გავემგზავრე თბილისში, რათა გავსცნობოდით, თუ რა მდგომარეობა იყო ფრონტზე. მოველაპარაკეთ სამხედრო საბჭოს, რომელმაც საიმედო ვერაფერი გვითხრა. მიღებულ იქნა დადგენილება—უკეთუ დახვეა იქნებოდა საჭირო, დაგვეხია ელადიკავკაზისაკენ. ამბ. ლეგანდრასკი, როგორც არმიის უფროსი, ფიქრობდა მდ. თერგის მარჯვენა მხარეზე გამაგრებას. ამის გამო სხვადასხვა აზრი ტრიალებდა. ერთნი იმ აზრისა იყვნენ, რომ დაუყოვნებლივ დაგვეხია უკან, ვინაიდან არ იყო არავითარი შესაძლებლობა თავის დაცვისა. მეორენი პოლიტიკური მოსაზრებით საჭიროდ სცნობდენ ბრძოლის განგრძობას, უკან დახვევას—მტრის მოწოლის შემდეგ. ამ აზრს ადგა ამბ. ორჯონიკიძე. ამბ. მდივანი ამის წინააღმდეგი იყო. მას საჭიროდ მიაჩნდა დაუყოვნებლივ უკან დახვევა,

რათა ასე გადარჩენილიყო ცოცხალი სამხედრო ძალა და სამხედრო მასალა. ორივე მხარე, როგორც ბრძოლის გამგრძობნი, ისე უკან დახევის მომხრენი, იმ აზრისა იყვნენ, რომ დიდხანს გამაგრება შეუძლებელი იყო. ერთად ერთი მოსაზრება ბრძოლის გაგრძობის სასარგებლოთ იყო პოლიტიკური მოსაზრება: ისინი ამბობდენ—მთიელებს საბჭოთა ხელისუფლების ძლიერების იმედი გაუცრუვდებათო. ჩემის აზრით ყველაფრის პოლიტიკის სამსხვერპლოზე მიტანა შეუძლებელი იყო. სტრატეგია პოლიტიკაზე მაღლა უნდა დააყენო, როცა აუცილებელი სამხედრო მარცხი მოგელის.

და ბოლოს ასეც მოხდა. ამ თათბირიდან ერთი კვირის შემდეგ მოხდა დამარცხება და ჩვენც ამით ბევრი წავაგეთ: მთელი ჩვენი ცოცხალი ძალა ვერ გადავარჩინეთ, სამხედრო მასალებიდან ბევრის აფეთქება-განადგურება მოვკვიდა, უკან დახევა მოხდა უორგანიზაციოდ, არც დრო და არც შესაძლებლობა აღარ იყო უკან დახევის დროს ჩვენი ძალებისთვის თავი მოგვეყარა და მტერს სერიოზულად შეებრძოლებოდით. მთავარი მიზანიც კი, ვლადიკავკაზისკენ უკან დახევა, ვერ შეესრულეთ. შემდეგ ასტრახანისაკენ დახევაც იძულებითი იყო, რადგანაც არ იყო სხვა შესაძლებლობა რომელიმე სხვა მხარეზე უკან დახევისა. შეუძლებელია ყველა იმ უბედურების აღწერა, რაც ჩვენს არმიას ასტრახანის მინდორ-ველებმა მიაყენეს. უკანასკნელად მე ჩეკადან პირდაპირი მაგთულით ველაპარაკე ამბ. მდივანს. მან მაცნობა, რომ უკანასკნელად მელაპარაკებოდა, რადგანაც ერთი საათის შემდეგ ისინი სტოვებდენ პროხლადნაიას. ჩემს შეკითხვაზე—რათ იხევდენ მოზდოკ—ყიზლიარისაკენ, მან მაცნობა, რომ არშია სტრატეგიურად იქით მიდის და არავითარი შესაძლებლობა არ არის მიმართულების გამოცვლისა, რომ ის ვალდებულია და უნდა გაყვეს არმიასა.

ამ საბით ჩვენ, ვლადიკავკაზ-გროზნი, დავრჩით საკუთარი ძალების ამარა. ეს იყო დაახლოვებით 1919 წ. 23—24 იანვარს. მტერი თანდათან უახლოვდებოდა ვლადიკავკაზს. და ბოლოს ბრძოლაც დაიწყო სად. ბესლანის გარშემო. გაიცა ბრძანება ქალაქის დატოვების და ინგუშეთის მიმართულებით უკან დახევის შესახებ, აქ ჩვენ ეფიქრობდით მთიელებთან ერთად მტრისათვის წინააღმდეგობის გაწევას. უკან დახევამდე ყველა კომუნისტები შეიარაღებულნი იყვნენ. კომუნისტთა ბევრი ცალკე ჯგუფები დაიღუპა ჩრდილო ოსეთში, სადაც ისინი გაგზავნილი იყვნენ მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად. ვლადიკავკაზიდან უკან დახევა ასე თუ ისე, მოწყობილი იყო. ქალაქი დატოვებულ იქნა თებერვლის 1-ს დილით. იმას გარდა, რომ ჩვენ იმედი გვქონდა მთიელების დახმარებისა, ეფიქრობდით გროზნის ნაწილებთან შეერთებას და ასე მტერს არ მივსცემდით გაეწყვიტა ჩვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი კავშირი. როდესაც ყველა ჩვენი ძალები გაშორდენ ვლადიკავკაზს სოფ. ბაზარკინოს მხრით, წითელი არმიელების ერთი ნაწილი დაბრუნდა ქალაქში. ეს იმით აიხსნებოდა, რომ წითელ არმიელთა უმრავლესობა ვლადიკავკაზიდან იყვენენ, რომელთაც გადაეწყვიტათ ან სიკვდილი, ან მტერზე გამარჯვება. წითელ არმიელთა უმთავრესობამ მაინც ს. ბაზარკინოსკენ დაიხია. ღამით შესდგა სამხედრო საბჭოს სხდომა პასუხისმგებელ ამხანაგების მონაწილეობით. გადაწყდა ამხანაგების დანაწილება ფრონტებზე ასე: ერთი ნაწილის ჩენებში გაგზავნა, რათა ისინი მოგვემხრო, მცირე ნაწილის მთიელებში გაგზავნა, მეორე ნაწილი უნდა დაბრუნებულიყო ვლადიკავკაზში. რადგანაც ცნობა გვქონდა მიუებული, რომ მტერი ჯერ კიდევ არ შესულიყო ქალაქში და ჩვენი დაბრუნებული ამხანაგები წინააღმდეგობას უწევდენ. ჩენებში წავიდა ამხ. ფ. მახარაძე, ინგუშეთში —ამხ. ელერდოვი, მცრამდენიმე ამხანაგთან ერთად წავედი ვლადიკავკაზში.

აღსანიშნავია მთიელების გმირული ბრძოლა გამარჯვებით დამთავრილ თეთრ გვარდიელების წინააღმდეგ, განსაკუთრებით მას შემდეგ, როცა მიღებულ იქნა ცნობა ქ. გროზნის დაცემის შესახებ. ამხ. ელერდოვმა ნამდვილი ბელადის სახელი მოიხვეჭა. მთიელებთან ერთად ის რამდენჯერმე გადავიდა შეტევაზე და მტერი მდ. თერგს გაღმა გადარეკა. დაიჭრა ფეხში, მაგრამ ბრძოლისთვის თავი არ მიუნებებია. მტერს დიდ წინააღმდეგობას უწევდენ და ზარალს აყენებდენ ყაბარდოელები ამხ. კალმიკოვის მეთაურობით.

განსაკუთრებით თავი ისახელა თავისი გამბედაობით და მოხერხებით ამხ. არუხანოვმა. იყო ისეთი შემთხვევები, როცა ის თავისი რაზმით საკადრის პასუხს აძლევდა გათავხედებულ მტერს. დიდი ენერგია გამოიჩინა ამხ. ორჯონიკიძემ: ის ბრძოლაში პირადი მონაწილეობით აღფრთოვანებას იწვევდა მებრძოლებში. მაგრამ თავდაცვის საქმე წაგებულათ უნდა ჩაგვეთვალა, ვინაიდან მტერი რიცხვობრივათ მეტი იყო ჩვენზე და მეორეც, გვჯობნიდა შეიარაღებით. სოფ. ბაზარკინოს გარშემო ბრძოლა კიდევ გრძელდებოდა, როცა საქმეების გამო მე ვლადიკავკაზში დავბრუნდი. ეს იყო 2—3 თებერვალს. ქალაქი ჯერ კიდევ ჩვენს ხელში იყო, ხოლო გარშემორტყმული იყო სამი მხრიდან. დაბოლოს მტერმა გაარღვია ჩვენი რკალი სოფ. ბაზარკინოსა და ვლადიკავკაზს შორის და ასე ქალაქი მოსწყვიტა ინგუშეთში მყოფი ჩვენი ნაწილებისაგან. არაფერი დავგრჩენოდა გარდა იმისა, რომ უნდა დაგვეხია ინგუშეთის მთებში, მაგრამ ასტრახანიდან მივიღეთ ამხ. შლიაპნიკოვისაგან რადიო, რომელიც წინადადებას გვაძლევდა გამემაგრებულიყავით რამდენიმე დღე და დახმარებას მივიღებდით ასტრახანიდან. ამ იმედით აღფრთოვანებულნი ჩვენ ვიცავდით ქალაქს 10—11 თებერვლამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქი გარშემორტყმულია ყოველის მხრით. თავისუფალია მხოლოდ საქართველოს სამხედრო გზა. არ მოვეპოვება არც თოფის, არც ტყვიის მფრქვეველის ვაზნები, 4 საელე ზარბაზნისათვის გვაქვს 9 ყუმბარა, 4 გაუბიცისათვის 2 ყუმბარა. მტრის შესაშინებლათ მუშებმა გააკეთეს ხისაგან ისეთი ჯარისკაკი, რომელიც ბრუნვის დროს ნამდვილ ტყვიისმფრქვეველის ხმას მოგაგონებდათ. ჩვენი ფრონტის სარდალი და ქალაქის დამცველი იყო ამბ. აღნიევი პეტრე, რომელიც თავის დანიშნულების სიმაღლეზე აღმოჩნდა. ის თავისი პირადი გამბედაობითა და მონაწილეობით ამხნევებდა საბჭოთა ხელისუფლების დამცველ რევოლიუციონერებს, რომელთაც არ მოეპოვებოდათ არც იარაღი, არც სურსათი, არც ტანისამოსი. მის თანაშემწედ იყო ამბ. ოგურკოვი, რომელიც განსაცვიფრებელი გამბედაობით და თავდაუპირველად მოქმედობდა. დიდ დახმარებას უწევდენ ქალაქის დამცველთ ჯავშნოსანი ავტომობილები ამხ. ვანო კარაპეტოვის და ვ. ციხეაძის მეთაურობით. ამათ შეასრულეს გადამწყვეტი როლი. სულ 4 ჯავშნოსანი გვყავდა. დაბოლოს, 8 თებერვალს, გადავგიჯრეს უკანასკნელი უკან დასახევი გზაც—სამხედრო საქართველოს გზა, —დაიკავეს კადეტთა კორპუსი. იმ წამსვე გაიგზავნა ჯავშნიანი ავტომობილი და რაზმი, რათა მტრისაგან გაენთავისუფლებია გზა. რაზმმა ღირსეულად შეასრულა დავალება, გზა განთავისუფლებულ იქნა 8 თებერვალს საღამოთი. საღამოობით ბრძოლა მიწყნარდებოდა ხოლმე. დღით მთელი სისასტიკით ანახლებდა მტერი შემოტევას, მაგრამ ჩვენ მედგრად ვიცავდით დაკავებულ პოზიციებს და მტერს უკან ვერიკეთებოდით. დღით ხშირად 6-დან 10 შეტევამდე ხდებოდა.

თებერვლის 9-ს საღამოთი შესდგა შტაბის სხდომა. გამოირკვა, რომ ამის შემდეგ თავდაცვითი ბრძოლის წარმოება უგნურება იქნებოდა. წითელ-არმიელებს დარჩენოდა თითეულს 3—5 პატრონა, თითო პულემიოტზე 25—50-მდე პატრონა, ყუმბარა სულ 5—6. შტაბმა ერთხმად გადასწყვიტა ქალაქის დატოვება და ღამით, თებერვლის 9-ს, გამოვსულიყავით საქართველოს სამხედრო გზით; იქ მთებში, რამდენათაც შესაძლებელი იქნებოდა, გავეგწია წინააღმდეგობა და შემდეგ დავმალულიყავით ინგუშეთის მთებში. მაგრამ რაღაც სამხედრო მოსაზრებით ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა გადადებულ იქნა 10 თებერვლის ღამისათვის. შტაბის წევრები იყვნენ: ამხ. პეტრე აღნიევი, (სარდალი), მარტინოვი, მე და ოგურკოვი. გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა ვერ შევსძელით, რადგანაც თებერვლის 10-ს 10—11 საათზე მტერმა გაარღვია ჩვენი რკალი შალდონისა და კურსკის სლობოდკის მხრიდან და ასე ჩვენ ნაჩქარევად მოგვიხდა ქალაქის დატოვება. მოვასწარით მხოლოდ შეიარაღებული ნაწილების გამოყვანა. წამოვიღეთ იარაღი, ზარბაზნები, ცხენები, ერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი ჯავშნოსანი ავტომობილი ლენინის სახელობისა (დანარჩენი გაფუჭებული იყო) ზოგიერთი სურსათი, ძვირფასი ნივთები (ფული და სხ.) 10 თებერვალს საღამოთი ჩვენი ძალები უკვე გამოსული იყვნენ და ქალაქში შემოვიდნენ თვთრგვარდიელები.

საღამოთი ცნობები მოვიღეთ, რომ თეთრგვარდიელებს გადაწყვეტილი აქვთ ჩვენთვის გზის მოჭრა და სოფ. ბალტასთან უკანიდან შემოვლა. რედანტაზე (?) დარჩენა ჩვენთვის მეტად სახიფათო იყო, რადგანაც ჩვენ არ შეგვწევდა ძალა მტრის წინააღმდეგ საკმაო ძალა გამოგვეყანა. ნაშუაღამევის 3—4 საათზე ჩვენ დავიძარით სოფ. ბალტასაკენ და დილით საათის 8—9-ზე უკვე იქ ვიყავით. მიუხედავათ წინასწარ მიღებული ზომებისა, შეიარაღებულ ძალებს ქალაქიდან გამოყვა სახალხო ავადმყოფნი ათასობით. ეს ავადმყოფები დიდათ გვიშლიდენ ხელს ყოველის მხრით. დემორალიზაცია შეჰქონდათ ჯანსაღ ნაწილებში, ჩვენი სურსათის დიდი ნაწილი მათ ხმარდებოდა, იკავებდენ ბინებს, ავრცელებდენ სახადს და სხ. მათი ალაგ-ბედზე მიგდება არ შეიძლებოდა. ბალტაში მათ ვუბრძანეთ წაწეულიყვნენ ლარისისაკენ და ასე რამდენიმეთ ჩვენი შეიარაღებული ძალები გაეყანათვისუფლეთ მათზე მზრუნველობისაგან.

ჩვენ ვიმედოვნებდით, რომ მხარს დაგვიჭერდენ მთიელი ინგუშები, მაგრამ ეს იმედი საესებით არ გამართლდა. მცხოვრებნი სულითა და გულით ჩვენს მხარეზე იყო, მაგრამ ამავე დროს მეტად დაშინებული იყო. გაჩნდენ პროვოკატორები ინგუშ „კულაკებისა" და აუცარებისაგან, რომლებიც ნაკლებათ შეგნებულ ინგუშებს უსისინებდენ წითელ არმიელებზე, კომუნისტებზე და ამათ მეთაურებზე. განსაკუთრებით დიდ პროვოკაციას ეწეოდენ ცნობილი მდიდრები ლიანოვები. მდგომარეობა მეტად კრიტიკული შეიქმნა. მთებში თავის შეფარება ჩვენი (3000-მდე კაცი ვიყავით ავადმყოფებთან ერთად) შეუძლებელი იყო. არც პოზიციების შენარჩუნება შეგვეძლო. ამ 3000 კაციდან შეიარაღებული იყო 500 კაცი, რომელთაც შეეძლოთ წინააღმდეგობის გაწევა, ამთგან ორი როტა მეტად საიმედო იყო. ეს როტები შესდგებოდა გროზნის მუშებისაგან. დაგვებადა აზრი გადავსულიყავით საქართველოს საზღვრებში. ამ აზრს დაეთანხმა ყველა პასუხისმგებელი ამხანაგი. ბაღტამდე ჩვენთან ერთად მოდიოდენ ამხ. კესაევი, ტოგაევი და სხ., მაგრამ ბალტიდან მათ დაიხიეს და მიმალენ ოსეთში.

ჩვენ წინადადება მივეცით ამხ. ს. ქავთარაძეს წასულიყო ყაზბეგში და მოლაპარაკებოდა საქართველოს მთავრობას. დილით ამხ. ქავთარაძე გამგზავრა ყაზბეგში და შევუდექით ჩვენც მზადებას, რომ საღამოთი გამგზავრებულიყავით ლარისისაკენ—3—4 ვერსის მოშორებით დარიალის ხიიდან (საქართველოს საზღვარი). მთელი დღე ველო-

დებოდით. 11 თებერვალს არავითარი პასუხი არ მოვიდა. 11—საღამოთი ჩვენ დავიძარით ლარისისკენ, ღამის 12 საათზე ჩვენ უკვე ლარისში ვიყავით. ყველა ბინები ჩვენშია ავადმყოფებმა დაიკავეს. მცხოვრებთაგან იქ არც ერთი კაცი არ დარჩენილა. მდგომარეობა საშინელი იყო. სურსათი გამოგზავნეს, ვაზნები აღარ გვაქვს, არც ყუმბარები, ყინვა 15—20 გრადუს აღწევს, ჰჭრის საშინელი მთის ქარი, ქუჩაში და სახლებში ჰყრია გაყინული ავადმყოფები და ზოგიერთი ჯანსაღი წოთელ არმიელებიც. მკვდარი რამოდენიმე ათეული იქნებოდა. ერთად ერთი იმედი იმისი, რომ შეიძლებოდა ამბანაგების ფეხიკურად გადარჩენა,—ეს იყო საქართველოში გადასვლა, მიუხედავად იმისა, საქართველოში ჩვენ არ მოველოდით ადამიანურ მოპყრობას, პირიქით. 12 თებერვალს დილით მივიღეთ წერილი ამხ. ს. ქავთარაძისაგან, ჯორდანიას მთავრობის პასუხთან ერთად. ხელს აწერდა თვითონ ჯორდანია. ის პირდაპირი მაეთულით იტყოპინებოდა (სამწუხაროდ, ეს საუცხოვო დოკუმენტი, რომელიც ამტკიცებდა მენშევიკების სისაძაგლეს და დაცემას, არ შენახულა, თუმცა მისი შინაარსი სიტყვა-სიტყვით მახსოვს), რომ ის შეუშვებს საქართველოში მხოლოდ იმ ქართველებს, რომლებსაც დენიკინი სდევნის, დანარჩენთ არავითარ შემთხვევაში არ შეუშვებს. განა შეიძლება პარტიის ამ ზომამდე გათახსირება? „სოციალისტმა“ ჯორდანიამ იცის, რომ როგორც ქართველს, ისე რუსს მოელის ერთნაირი უბედურება, იცის, რომ ჩვენს შორის არ მოიპოვება არც ერთი ბურჟუა (თუმცა ბურჟუები და აფიცრები რომ ყოფილიყვნენ, რასაკვირველია, ჯორდანია დასთანხმდებოდა მათ მიღებაზე, როგორც ის მოიქცა მაშინ, როდესაც დენიკინი იხვედა) ჩვენ კი მუშები და გლეხები ვართ, ჯორდანია და მისი მთავრობა ამათგან „ხსნას“ პირდება მხოლოდ ერთ მუჭა ქართველებს, დანარჩენთ—რუსებს, სომხებს და სხვ. უტოვებს დასაგლეჯად თეთრ ჯარებს. ამაზე უფრო არ შეიძლება დაეცეს არა თუ „სოციალისტი“, არამედ უბრალო ადამიანი. წავიკითხეთ რა ჯორდანიას პასუხი, ყველამ ერთხმად წამოვიძახეთ—„არაფრის გულისათვის,“ მუბედავათ იმისა, რომ ხელმძღვანელთაგან დიდი უმრავლესობა შემთხვევით აღმოჩნდენ ქართველები. ეს წერილი ჩვენ წავიკითხეთ ვიწრო წრეში და გადაეწყვიტეთ არ გამოგვექვეყნებია. გვეშინოდა პროვოკაციის. მხოლოდ მივიცით განკარგულება ზოგიერთ საიმედო ამხანაგებს არც ერთი ქართველი საზღვართან არ გაეკარებინათ, რათა ვინმე არ მოტყუულებულიყო და არ გადასულიყო საქართველოს ტერიტორიაზე. იმ წამსვე გავმართეთ თათბირი. შექმნილი მდგომარეობიდან გამოსასვლელად სხვა და სხვა წინადადებამ წამოყო თავი. ერთნი ფიქრობდენ—შეძლების დაგვარათ წინააღმდეგობა გაგვეწია თეთრგვარდიელებისათვის და შემდეგ რაც იქნებო-

და, იქნებოდა. ეს არ იყო გამოსავალი, არამედ ჩვენ ასე უნდა მოქცეულიყავით, სხვანაირად არ შეგეძლო. მეორენი წინადადებას იძლეოდენ დავნაწილებულიყავით ჯგუფებათ და გავხიზნულიყავით მთებში. ეს ისეთი წინადადება იყო, რომელიც აზრთა სხვა და სხვაობას არ იწვევდა, ვინაიდან სხვა გამოსავალი არ იყო, მაგრამ ჯარის ნაწილების სულიერი განწყობილება არ იყო ისეთი, რომ რომელიმე ამ წინადადებათაგანს გასავალი ჰქონდა. ასე შეეძლო მოქცეულა ამხანაგების მეტად მცირე ჯგუფს, დანარჩენი მასისათვის სულ ერთი იყო. მე შევიტანე მესამე წინადადება—კიდევ გაგეემართა მოლაპარაკება საქართველოს მთავრობასთან და რითმე ის დაგეინტერესებია: სამხედრო მასალით, ფულით და სხვ. წინადადება მიღებულ იქნა და მოსალაპარაკებლათ გაგვაგზავნეს ამბ. ლადო დუმბაძე და მე.

საათის 10-11-ზე მე და ლადო გავემგზავრეთ ყაზბეგში. საზღვართან ხიდზე შეგვხვდა პოლკოვნიკი წერეთელი, რომელმაც შემდეგ დენიკინს გადასცა 35 კომუნისტი, საქართველოს ტერიტორიაზე გადმოსულნი. მან ჩვენ მიგვიღო და წაგვიყვანა ყაზბეგში პირდაპირ მავთულთან. პირდაპირ მავთულთან ტფილისში აღმოჩნდა თვით ჟორდანია. ჩვენ ყველა ქართველების და აგრეთვე პირადათ ჩვენი სახლით გადვეცით, რომ არც ერთი ქართველი არ შეშფდგაშდა ფეხს საქართველოში, თუ არ იქნებოდენ მიღებული ყველა ისინი, რომლებიც ჩვენებრ მდგომარეობაში იმყოფებოდენ, ვაცნობეთ აგრეთვე, რომ ჩვენს გულს წყრომას ვუცხადებთ საქართველოს მთავრობას მხოლოდ ქართველების მიღების გამო: მან თავი იმართლა იმით, რომ არ იცოდა, თუ მათთან ერთად რუსები და სხვები იყვნენ: აღგვითქვა საკითხის მთავრობის სხდომაზე დაყენება და პასუხის მოცემა ღამით. ჩვენ არ დავეთანხმეთ ამაზე და ვაცნობეთ, რომ შემდეგ გვიან იქნება, ვინაიდან დენიკინის ბანდები ფეხდაფეხ მოგვდევენ და ჩვენ იძულებული ვიქნებით რამდენიმე საათის შემდეგ მას დავმორჩილდეთ ან დავტოვოთ მთელი ჩვენი ქონება და გავიქცეთ მთებში. როგორც ეტყობოდა, ის ჭორებით დაინტერესდა და შეგვეკითხა—რა ქონება და რამდენი მოგეპოვებათო. ჩვენც ჩამოვთვალეთ—„ობოზი“ 1000 ცხენით, 8 ზარბაზანი, 90 ტყვიამფრქვეველი, საჯდომი ცხენი 200, ნაკოლოზის ფული 20 მილიონამდე და სხ. ამის შემდეგ ჩვენთან მან შესწყვიტა ლაპარაკი და პოლკოვნიკ წერეთელს აცნობა, რომ ჩვენ გამოვეშვით განიარაღებული, მეთაურები კი თფილისში გაეგზავნა. წერეთელმა ჩვენ გვაცნობა ჟორდანიასთან ნალაპარაკევი. ჩვენ შევთანხმდით წერეთელთან შემდეგში: გადმოვალთ საქართველოს ტერიტორიაზე ღამის 12 საათზე ასე: 12 საათზე მოსაზღვრე ჯარს ჩვენ ავუტეხდით სროლას ჰაერში, ისინიც ჩვენ გვიპასუხებდენ სროლითვე, ამის შემდეგ იმ ადგილას, სადაც ჩვენ ვიქნებით, მოელენ ქართველი

ჯარისკაცები და თითქოს ჩვენ იარაღს აგვყრიან და ტყვედ წაგვიყვანენ. ასეთი წინადადება მოგვცა ჩვენ ჟორდანიამ, რომელმაც ლაპარაკში გვანიშნა, რომ ინგლისელებისათვის „სასიამოვნო“ არ იქნება, თუ საქართველო ბოლშევიკებს მიიღებსო. რომ ჟორდანიას თავი გაემართლებია ინგლისელების წინაშე, ასეთი კომბინაცია ჩვენ შევსთავაზეთ, თითქოს ჩვენ გვდომებოდეს საქართველომი ძალით შესვლა. ასეც მოვიქეცით. ღამის 12 საათიდან დაიწყო სროლა. ჩვენ შემოუშვით ქართველი ჯარისკაცების ერთი როტა, რომელთაც დაგვატყვევეს. მეორე დღეს სწორედ ასე იყო გაზეთებში გამოცხადებული.

ჟორდანიას განკარგულებას ჩვენ მაინც არ ვენდეთ. ჩვენ ვფიქრობდით, რომ მთავრობის სხდომაზე საკითხის გარჩევის შემდეგ უარს გვეტყოდენ. ამიტომ მოველაპარაკეთ პოლკ. წერეთელს, განსაზღვრული ჯილდოც შევპირდით, რომ მას, თუ ასეთი რამ მოხდებოდა, დაეშალა დეპეშა, ვიდრე ჩვენ საქართველოს ტერიტორიაზე არ გადმოვიდოდით. ის დასთანხმდა. ჩვენ ყველა ამხანაგები ლარსში სიხარულით შემოგვეგებენენ.

ამ სახით მთელი ჩვენი სამხედრო კონება მენშევიკებს დარჩა. რაც შეეხება ფულს, ის ჩვენ ცოტა გვქონდა და რაც გვქონდა, გაუგზავნეთ ტფილისში არალეგალურ საოლქო კომიტეტს.

შეუძლებელია ყველა იმ უბედურობის აღწერა, რაც ჩვენ „დემოკრატიულ საქართველოში“ შევეგებოდა. არაეთარი დახმარება არ გაგვიწიეს. არ მოუციათ არც ბინა, არც სურსათი, არც სანიტარული დახმარება. ამხანაგები იხოცებოდენ სიცივით, ავადმყოფობით, არ მოგვცეს გადასაზიდი საშვალება. დაღლილმა წითელარმიელებმა 200 ვერსტი ტფილისამდე ქვეითად გაიარეს, გზაში მათ ძარცვავდენ მთავრობის აგენტები; წითელარმიელებს უკანასკნელ კაპეიკებს ართმევდენ, რომელიც ჩვენ დაურიგეთ. ტფილისში მათ უარესი დღე დაადგა. მთავრობა არც თითონ ეხმარებოდა, არც საოლქო კომიტეტს ანებებდა დახმარების აღმოჩენას დავაადმყოფებული, ტიტველი ამხანაგებისათვის. ჩვენ, 7 კაცი მეთაურები მიგვიყვანეს ყაზბეგში და გაგვაგზავნეს ტფილისის ციხეში, სადაც გავატარეთ ერთი წელი, შემდეგ კი მოვაწყვეთ გაქცევა 4 ამხანაგმა: ფ. მახარაძემ, ლ. დუმბაძემ, ალ. მახარაძემ და მე.

საქართველოს მთავრობამ ციხეები კომუნისტებით აავსო, შემიხიზნული წითელ არმიელებსაც კი აპატიმრებდენ. გადარჩენილი წითელ არმიელები გარბოდენ დაღესტანში, სადაც უკვე გამართული იყო წითლების ფრონტი თეთრების წინააღმდეგ და ასე განაგრძობდენ ბრძოლას დენიკინთან.

1920 წლის გაზაფხულზე წითელმა ჯარმა გაანთავისუფლა ჩრდილო კავკასია თეთრებისაგან. გასაბჭოება მოხდა აზერბეიჯანში, მე,

ამხ. დუმბაძემ და ალ. მახარაძემ კვლავ ამოვყავით თავი საბჭოთა ტერიტორიაზე, სადაც შევუდექით საბჭოთა მშენებლობას და ორგანიზაციულ მუშაობას. უნდა გენახათ, როგორ თბილათ შეხვდენ მენშევიკები უკან დახეულ თეთრგვარდიელებს. სრულიად წინააღმდეგ, ვიდრე ჩვენ.

ჩრდილო კავკასიაში—თერგის ოლქში—გაძლიერებული მუშაობა სწარმოებდა დარჩენილი თეთრგვარდიელთა გაწმენდისა და საბჭოთა წყობილების მოწყობის საქმეში. დაარსდა მთიელთა ავტონომიური რესპუბლიკა.

საბჭოთა მშენებლობისა და პარტიულ მუშაობის მოწყობასთან ერთთად ჩვენ, ქართველი ემიგრანტები, მხნედ ვაწარმოებდით არალეგალურ მუშაობას საქართველოსათვის, ვაწყობდით შეიარაღებულ რაზმებს საჭიროებისათვის. ესეც ადრე დარჩა საჭირო. 1921 წლის იანვრიდან საქართველოში დაიწყო აჯანყება. წითელმა ჯარებმა დახმარება აღმოუჩინეს აჯანყებულებს და საქართველოც გასაბჭოებულ იქნა 25 თებერვალს. თერგის საბჭოთა მთავრობამ და კომორგანიზაციამ დაუფასებელი დახმარება გაუწია საქართველოს გასაბჭოების საქმეში. გზავნიდენ დახმარებას, იარაღს, ლიტერატურას და როცა სამხედრო მოქმედება დაიწყო, წითელი არმიის მთელი პოლკები იქნა გამოგზავნილი—ცალკე რაზმები როგორც ქართველებისაგან, ისე სხვა მოხალისე ამბანაგებისაგან. განსაკუთრებით თავი ისახელეს ამხ. ოსებმა დ... რომელთაც გაუვალი უღელტეხილი გადალახეს რაჭის მაზრაში. იმათ ხელმძღვანელობდა ძანძორ ტაკოევი. სხვა ჯგუფებს ხელმძღვანელობდენ ამხ. ვ. წიფწიფაძე, ჯუღელი, კალანდაძე, ს. ჯატევი, ს. გაგლოევი და სხ.

— —

რედაქციისაგან: ამხ. კ. ცინცაძის ზემოდ დაბეჭდილი მოგონების პირველი ნაწილი დაწერილია საგანგებოთ თერგის პარტისისათვის.

მოგონების მეორე ნაწილი კი, რომელიც ქვემოდ იბეჭდება, გაგრძელებაა იმ მასალის, რომელიც დაიბეჭდა „რევ. მატ.“ № 4—5 (9—10)—1924 წ. ვბეჭდავთ ამ ნაწილსაც უცვლელად, თუმცა აქ ამხ. კოტე საქართველოს ტერიტორიაზე გადმოსვლის შესახებ რამდენიმე სტრიქონში მოკლედ იმეორებს იმასვე, რაც მას ზევით ვრცლად აქვს მოთხრობილი.

— —

ჩრდილო კავკასიის კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლა გაგრძელდა თერგზე მთელი 1918 წ. მეორე ნახევარი და 1919 წ. პირველი თვეები.

ბრძოლა იყო სასტიკი, დაუნდობელი. მუშები და გლეხები თავგანწირვით იბრძოდნენ საბჭოთა მთავრობის დასაცავად, მაგრამ სხვა და სხვა სამხედრო ნაკლულევანების და მიზეზების გამო დენიკინელთა ურ-

დოებმა სძლია საბჭოთა ჯარებს და თერგის ოლქიც დაიკავა. თერგის ოლქის საბჭოთა ჯარების მცირე ნაწილი (ავათმყოფები-ანა 3 ათას კაცამდის) იძულებული იყო საქართველოს სამხედრო გზით უკან დახეულიყო, რადგან ყველა დანარჩენი გზები მოჭრილი იყო თეთრგვარდიელების მიერ. ჩვენც დრიალისკენ დავიხიეთ. მაგრამ ვაი ასეთ უკან დახევას. გატიტვლებული წითელი მოლაშქრენი, უმეტესობა ავათმყოფები, უიარაღო, რადგან არც თოფების და ტყვიის მფრქვეველების ვაზნები, არც ხარბაზნების ყუმბარები აღარ გაგვაჩნდა. წინააღმდეგობის გაწევა შეუძლებელი იყო. თან მკაცრი სიცივე და უშუშობა, უსურსათობა და ავათმყოფობა კალმით აუწერელ საშინელ მდგომარეობას ჰქმნიდა. მართლა რევოლიუციონური ცეცხლის სიდიადეა საჭირო, რომ ასეთ პირობებში მებრძოლებმა თავი შეინახონ და სიმაგრე შეინარჩუნონ! აღბათ ჩვენს მოლაშქრეთ არ აკლდა რევოლიუციონური აღტყინება, თორემ შეუძლებელი იყო რამეზე ფიქრი, რისიმე იმედების ქონა.

დენიკინის ჯარები კი ფეხ და ფეხ მოგვდევს: კარგათ ჩაცმულები, ზედმიწევნით შეიარაღებულები (ამ შემთხვევაში ისინი ანტანტის წყალობას მოკლებულ არ იყო). ერთად ერთ საშვალებას ადამიანების გადასარჩენად დენიკინელების უროდობისაგან წარმოადგენდა საქართველოს საზღვრებში გადმოსვლა. რაღაა სხვა საშვალება არ იყო და წინააღმდეგობის გაწევაც შეუძლებელი იყო—ჩვენ გადავწყვიტეთ მენშევიკების მთავრობასთან მოლაპარაკება გაგვემართა, თუმცა ჩვენი სული და გული, ჩვენი მთელი არსება რაღაც ზიზღს გრძნობდა, როდესაც ამაზე ვლაპარაკობდით, მაგრამ რამოდენიმე ათასი კაცის სიცოცხლის შენარჩუნების საკითხმა სძლია პირად სიძულვილს და უზერხულობას. (თუმცა, როგორც შემდეგ გამოირკვა, იმაზე მეტს, რაც მენშევიკებმა უყვეს ჩვენს ამხანაგებს არც დენიკინი უზამდა, მაგრამ ადამიანი ასეთ დროს მუდამ ეძებს საშვალებას, ახდენს ცდას და შეცდომებს უშვებს მდგომარეობის დაფასებაში. ისე კი სწორი იყო მენშევიკებთან ლაპარაკი ასეთ მდგომარეობაში თუ არა, მკითხველისათვის მიმინდვია დაფასება).

გამოვგზავნეთ ამბ. სერგო ქავთარძე მოსალაპარაკებლად პირდაპირ მავთულით თბილისთან. მეორე დღეს მივიღეთ ნოე ჟორდანიას პასუხი, სადაც გვატყობინებდა, რომ გაუშვებენ საზღვარზე მხოლოდ ქართველებსო.

აფსუს „სოციალისტური მთავრობავ"! ქართველები გადარჩეს—რუსის და სხვა ეროვნებათა მუშები და გლეხები დაჟლტოს და ამოხოცოს კონტრ-რევოლიუციონერთა ჯალათებმა! ამას მხოლოდ მენშევიკური მთავრობა თუ მოიქმედებდა—თორემ სხვა მთავრობა არც კი იკადრებდა მგონი. ჩვენ, რასაკვირველია, ცივი უარით უპასუხეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

(მხედველობაში მყავს ქართველი ამხანაგები). მაგრამ სხვა საშვალება არ იყო — ან უნდა ჩაებარებოდით გამხეცებულ ყაზახებს, ან თავები დაგვეხოცა ყველას. გაიმართა თათბირი, რომელსაც დაესწრო ამხ. ლადო დუმბაძე, მარტინოვი, (სხვათა გვარები არ მახსოვს). თათბირზე გადაწყდა კიდევ ერთხელ მიგვემართა მენშევიკებისათვის. აგვირჩიეს ლადო დუმბაძე და მე. ჩვენც დაუყონებლივ გავსწიეთ ყაზბეგში. გამოვიძახეთ თბილისი და შემთხვევით ნოე ჯორდანია იყო მათთულთან. ჩვენ გადავეცით მდგომარეობა, დავაინტერესეთ სიმდიდრით, რომელიც თითქო ჩვენ თან გვქონდა და დავსძინეთ, რომ ყველაფერი ეს დენიკინს ჩაუარდება ხელში თქვა. იმაზე კი, რომ ქართველებს იპატიჟებდა კიდევ ერთხელ გაუმეორეთ, რომ ჩვენ არაფრამდის არ დავთანხმდებოდით. ალბათ სამხედრო მასალებმა და ნიკოლოზის ფულებმა დაანტერესეს და მან გასცა ბრძანება დარიალის რაზმის უფროს წერეთელზე ჩვენ გამოვეშვით, მხოლოდ იარაღი ბიდზე აეყარათ ჩვენთვის. ხელმძღვანელნი კი თბილისში წარედგინათ. როგორც იყო საზღვარს გადმოველით. საშინელ მდგომარეობაში ჩავარდნენ ჩვენი ჯარის კაცები. რაც რამ კი გვებადა მივეცით, მხოლოდ არ ყოფნიდათ. საშინელ გაჭირვებით ჯარის ნაწილებმა თბილისს მიაღწიეს. ვინ იცის რამდენი სიმშილით, რამდენი სიცივით, რამდენი ავადმყოფობით დაიხოცა ყინვიან მთებში, სანამ თბილისში ჩამოვიდოდნენ. ჩვენ კი შეიდი კაცი, ეითომ ხელმძღვანელები, დავეჯირეს და თბილისს ჩამოგვიყვანეს. ესენი იყვნენ ლადო დუმბაძე, სერგო ქავთარაძე, კოტე ცინცაძე, გაბოკია მიხა, პეტრე ალნიაშვილი, სამი ზუბკოვი და ბახტაძე. ამხ. ლადო განსაკუთრებულ რაზმის შენობაში ტიფით ავათ გახდა და საავათმყოფოში გაგზავნეს დიდის ხვეწნითა და მუდარით. მორჩენის შემდეგ ლადო გაიპარა საავათმყოფოდან და ციხეს თავი დაახწია. ალნიაშვილი, გახოკია ზუბკოვიც იმავე ავათმყოფობის გამო თავდებობით გაანთავისუფლეს. შემდეგ ბახტაძეც გაუშვეს. დავრჩით მე და სერიოჟა ქავთარაძე. ეს იყო უკვე 1919 წლის თებერვალი.

ამხ. ლადო და სხვა დაჭერას გადარჩენილი ამხანაგები შეუდგენ მუშაობას. განსაკუთრებით ენერგიულად მუშაობდა ამხ. ლადო დუმბაძე, რომელიც თითქმის ერთად ერთი ხელმძღვანელი იყო ყოველგვარ პრაქტიკული მუშაობისა. გარდა ამისა მუშაობდნენ ა. ნაზარეტიანი, სანდრო თუმანოვი და სხვები. მთელი ზაფხული პარტიული მუშაობა სწარმოდა. საოლქო კომიტეტი ბალშევიკებისა კვლავ აჯანყებისათვის ემზადებოდა. მუშებში და გლეხებში ფართო მოძრაობის წინააღმდეგ ერთად ერთი სასპეკულიაციო საკითხი მენშევიკებისათვის იმ დროს იყო ნაციონილური საკითხი, საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი. ამ შემთხვევაში მათ შესძლეს საქართველოს მუშებისა და გლეხების უმრავლესობისთვის ნაციონალისტური

ტენდენციები თავზე მოეხვიათ. მაგრამ საგრძნობი ნაწილი მუშაგლეხებისა მაინც ამ პროვოკაციას არ გაჰყვა და დაიცვა წმინდა ინტერნაციონალური პოზიცია. შემოდგომის დასაწყისში ჩვენმა ორგანიზაციამ გადასწყვიტა მოეკლა გენერალი ბარათოვი — დენიკინელების წარმომადგენელი საქართველოში. ამ ტერორისტულ აქტში მონაწილეობას იღებდენ: არკადი ელბაქიძე, ვასიკო წივწივაძე, ტიტე ლორთქიფანიძე, დანდუროვი და სხვები. ეს ის დრო იყო, როდესაც დენიკინელები რუსეთში მოსკოვს უახლოვდებოდნენ. ამავე დროს დაიწყო ჩვენი ორგანიზაციების მხრით გაფაციცებული მუშაობა გამოსვლების მოსაწყობათ. სწორედ იმ დროს, როდესაც თითქო საბჭოთა მთავრობას ამარცხებდა დენიკინი — აქ საქართველოს მუშები და გლეხები ლამობდნენ ძალა-უფლების ხელში ჩაგდებას. საბჭოთა მთავრობის განხორციელებით საქართველოში ის მიისწრაფოდა ზურგიდან დახმარება გაეწია რუსეთის მუშებისა და გლეხებისთვის. შემოდგომის მიწურულში გამოსვლები დაიწყო. გამოსვლებმა ფრიად სეროზული ხასიათი მიიღო. (დაწვრილებით ამაზე, ალბათ, ამხ. ლადო დუმბაძე და სხვები დასწერენ, რადგან მათ უფრო კარგათ იცით მაშინდელი მუშაობა. (აჯანყება მოხდა: 1) გურიაში, სადაც ქალაქი ლანჩხუთი სამი დღის განმავლობაში აჯანყებულთა ხელში იყო, აგრეთვე სუფსა, ჯუმათი, ჩოხატაური და სხვები. 2) გორში, სადაც მთელ მაზრაში თითქმის (გორს გარდა) ძალაუფლება აჯანყებულთა ხელში გადავიდა, 2) თელავში, 4) ლაგოდეხში, 5) დუშეთში, 6) სამხრეთ ოსეთში, 7) შორაპნის მაზრაში და სხვა. არ დარჩენილა თითქმის არც ერთი კუთხე, სადაც აჯანყებას არ ეფეთქოს. მხოლოდ სიღნაღის დიდი ნაწილი სდუმდა. იქაური ორგანიზაცია, რომელსაც ამხ. ვარამაშვილი ხელმძღვანელობდა, სუსტი გამოდგა.

ამ აჯანყებების მოწყობაში და გამოსვლებში აქტიურ და ენერგიულ მონაწილეობას იღებდნენ ცენტრიდან ამხნაგები: ვასიკო წივწივაძე, ვიქტორ ცინცაძე, ჯუჯელავა, ტიტე ლორთქიფანიძე, დანდუროვი და სხვანი მრავალნი, რომელთა გვარები ძლიერ ძნელი მოსაგონარი ხდება დღეს. (კარგი იქნებოდა, რომ თვით ის ამხანაგები დასწერდნენ თავიანთ მოკონებებს). ხელმძღვანელობდა ამ მუშაობას ამხანაგები: ლადო დუმბაძე, ფილიპე მახარაძე, (რომელიც ცოტა მოგვიანებით ჩამოვიდა თბილისში ინგუშეთიდან), ამაიკ ნაზარეტიანი, სანდრო თუმანოვი, საშა ბეგზადიანი, ვარლამ ძნელაძე და სხვები. აჯანყება დამარცხდა მთავრობის ჯარების გამარჯვებით. უმთავრესი მიზეზი ამისა ის იყო, რომ თვით ქალაქ თბილისმა ვერ შესძლო პროვინციასთან ერთად გამოსულიყო და მთელი მოძრაობისთვის ხელმძღვანელობა გაეწია. თბილისში სწორედ გამოსვლების წინა დღით ჩავარდა სამხედრო ორგანიზაციები, რამაც შეუძლებლად გახადა გარნი-

ზონის გამოსვლები მთავრობის წინააღმდეგ. ამიტომ მთავრობას საშუალება მიეცა პროვინციის წინააღმდეგ მაგარი სამხედრო მუშტი მოემზადებინა და ცეცხლითა და მახვილით გაესრისა აჯანყებული გლეხობა.

აჯანყების დამარცხების შემდეგ მენშევიკებმა ციხეები გაავსეს ამხანაგებით. თითქმის 2000-მდე კაცი იჯდა საქართველოს ციხეებში. დაიჭირეს ამხ. ლადო დუმბაძე, ფილიპე მახარაძე, სანდრო თუმანოვი და სხვა საოლქო კომიტეტის წევრებიც. დაიჭირეს აგრეთვე პრაქტიკულად საუკეთესო მომუშავე ამხანაგები: ვასო წივწივაძე, ტიტე ლორთქიფანიძე, პეტია აღნიაშვილი, გახოკია, რაჟდენ ჯღამაძე და სხვანი მრავალნი. მუშაობა დროებით შეჩერდა. ამხანაგები მიიმალ-მოიმალნენ: იჭერდნენ ყველას, ვისზედაც მხოლოდ ეჭვი ეპარებოდათ, იჭერდნენ იმიტომაც, რომ რუსეთიდან ჩამოსულები იყვნენ ზოგიერთები, იჭერდნენ ყველა რუს და სომეხ ამხანაგებს, მხოლოდ იმიტომ ისინი თითქო აუცილებლად ბალშევიკები იქნებოდნენ.[1] ასე დამთავრდა ეს გამოსვლებიც.

——

1919 წლის მიწურული იყო, როდესაც ჩვენ რამოდენიმე ამხანაგებმა ციხეში—მე, ლადო დუმბაძემ, ფ. მახარაძემ, სანდრო მახარაძემ და სხვებმა განვიზრახეთ ციხიდან გაქცევა. ამ მიზნის განსახორციელებლად მივმართეთ სხვადასხვა საშვალებათ, მაგრამ ბევრჯერ გეგმები ჩაგვეშალა. შემდეგ იმავე მიზნისათვის გავეწყერეთ როგორც ავადმყოფები ციხის საავადმყოფოში, ამხ. ელერდოვის საშვალებით, რომელიც იმ დროს დაჭერილი იყო. ეს ამხანაგი ერთ-ერთ საუკეთესო ხელმძღვანელთაგანი იყო უკანასკნელ გამოსვლების დროს მენშევიკების წინააღმდეგ და საავათმყოფოში იმყოფებოდა.

ამ მიზნით გადავედით საავათმყოფოში ოთხი კაცი: ლადო, ფილიპე, მე და სანდრო მახარაძე.

კავშირი გარეთ ციხიდან გვქონდა არუსიაკ ტერ პეტროსოვის საშვალებით ორგანიზაციასთან, რომელიც საოლქო კომიტეტის ტექნიკურ მომუშავეთ ითვლებოდა.

საავათმყოფოში საქმე მხოლოდ უფროსი მეთვალყურის მოყიდვით თუ გაკეთდებოდა. სხვა საშვალება თითქმის არ იყო. პირველ ხანებში საქმე გოქსაძესთან გვქონდა დაჭერილი, მაგრამ რაღაც ეჭვი შეგვეპარა და თავი დავანებეთ მასთან ლაპარაკს, მხოლოდ ისე კი, რომ მას არ გაეგო ეს, თორემ გვეგონა გვიჯაშუშებდა და ჩვენ ისევ უკან მეტეხში გადაგვიყვანდნენ.

სრულიად შემთხვევით იქ აღმოჩნდა მეორე ჩემი ნაცნობი უფროსი მეთვალყურე ამხ. ლეკვეიშვილი. ეს ამხანაგი წინათ ბოლშე-

ვიკების ორგანიზაციაში მუშაობდა, მაგრამ ჩვენი ამდენი დამარცხებისა და დაქსაქსვის შემდეგ ის დროებით ორგანიზაციას ჩამოშორებოდა და სამსახურისათვის მოეკიდა ხელი. ჩვენს დანახვაზე ციხეში ის ძლიერ შეშფოთდა, მასში გაიღვიძა ძველმა ამხანაგმა და ჩვენს წინადადებაზე დახმარება გაეწია გაქცევაში, სიხარულით დაგვთანხმდა. „რათაც უნდა დამიჯდეს, თქვენ გაგათავისუფლებო," ამბობდა ის. უმთავრეს მოლაპარაკებას მე ვაწარმოვებდი, რადგან მე უკეთ ვიცნობდი მას. ძნელი იყო პასუხისმგებლობის აღება თავზე. მაგრამ „ურისკოთ" არაფერი კეთდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ამხ. ლეკვეიშვილი არავითარ ეჭვს არ იწვევდა ჩვენში მისი გულწრფელობის მხრით, ჩვენ მაინც ძლიერ ფრთხილად გვეჭირა თავი. (იმედია ეს არ ეწყინება ამხ. ლეკვეიშვილს). ამისთანა საქმეში ეჭვები ხშირი მოვლენაა. გეგმა ასეთი იყო: მას, როგორც უფროს მეთვალყურეს, უნდა გამოეძახა ჩვენ ოთხი ამხანაგისათვის ციხის კანტორაში, თითქო ციხის უფროსი გვეძახისო. საავადმყოფო არსებობდა მეორე ეზოში. საავადმყოფოდან კანტორაში სხვა გზა არ იყო, გარდა გარეთ ქუჩისა. როცა ის დაგვიძახებდა, ჩვენ თან გაგვყვებოდა და კანტორაში შესვლის მაგიერ დავადგებოდით ყოფილ ეპორონცოვის ქუჩას და იქ „ელდორადოს" ბაღთან ავტომობილი უნდა დაგველოდნა. გარეთ ორგანიზაციის ჩვენი დამალვისას ასრულებდა ვიქტორ ცინცაძე, არუსიაკ ტერ-პეტროსოვი, ანგია ელბაქიძე და გიგო კიკნაძე. მხოლოდ ამხ. ლეკვეიშვილს ასე უთხარით: გამოსელის დღეს, გარდა ავტომობილისა, გველოლება 10 შეიარაღებული ამხანაგები—მაუზერებით და ყუმბარებით, ჩვენც თვითონ შეიარაღებული ვიქნებით. თუ ვინცობაა გაგვიგეს, მაშინ ძალით ვეცდებით გაქცევა თქვა. გადაწყვეტილი იყო, რომ თვით ამხ. ლეკვეიშვილი ჩვენთან ერთად უნდა გამოქცეულიყო. ასეთი გეგმა იმიტომ დაუტოვეთ, რომ თუ გული ღალატი ექნებოდა. ისიც ჩვენთან უნდა მომკვდარიყო. ჩვენ ასე ვფიქრობდით: მისთვის სულ ერთი იყო ვინ მოკლავდა—მენშევიკები, თუ ჩვენ. ამგვარად კითხვის დასმით მას ან უარი უნდა ეთქვა (სროლის დროს სიკვდილს შეეშინდებოდა თუ გულში ღალატი ჰქონდა) ან თუ უარს არ იტყოდა—მაშინ ჩვენ დაგრწმუნდებოდით ასე თუ ისე, რომ მისი აღთქმა გულწრფელია. (კიდევ ვიმეორებ, რომ ამხ. ლეკვეიშვილს არ უნდა ეწყინოს ჩვენის მხრით ასეთი უნდობლობა იმ დროს და იმ პირობებში, რომელშიაც ჩვენ გამქცევი რევოლიუციონერები ვიმყოფებოდით) რასაკვირველია, ჩვენ მაშინის მეტი არავინ გვყოლია გარეთ იარაღით დამხმარე. ეს გეგმა მხოლოდ გამოსაცდელად დაუხატეთ. საავთმყოფოდან კანტორაში გაძახების დროს საღამოს სრულ ექვსის საათზე უნდა მომხდარიყო, რადგან დღიურად გამოსვლა მრავალ ფათერაკებთან იყო. დაკავშირებუ-

ლი: ან ვინმე ნაცნობი შეგხვედებოდა, ან დამალვის დროს ვინმე თვალს მოგვაელებდა, ან კონსპირაციულ ბინაზე შესვლის დროს ვინმე დაგვინახავდა და სხვადასხვა. დავწინწეთ გამოსვლის დღე 6 თებერვალი საღამოს ექვსი საათი 1920 წელი. ნასადილევს—ასე საათის 4—5 ყველას ნერვები დაჭიმულები გვაქვს. თვალ წინ მიდგას ამხ. ფილიპე მახარაძე, რომელიც ჩუმად, ხმა ამოუღებლივ კარიდორში დადის, სანდრო მახარაძე, რომელსაც, როგორც ახალგაზრდას ნერვიულობა ეტყობა და ჩქარი ფეხის ნაბიჯით მიდი-მოდის ერთ კუთხიდან მეორეში, ამხ. ლადო, რომელიც მშვიდად, კარიდორში უკვე მზათაა წასასვლელად პაპიროსით ხელში ვიღაცას ემუსაიფება, მაგრამ ეტყობა, რომ სამუსაიფო თემაზე სრულებით არ ფიქრობს, არამედ ელოდება როდის დაგვიძახებენ კანტორაში. ექვსის ნახევარი იყო, რომ ჩემთან კამერაში შემოდის—აღარ მახსოვს ვინ—და ნიშანს მაძლევენ მომზადებისას. მეც ვდგები, ვიცვამ შინელს,—ქუდს ვიხურავ და გარეთ კარიდორში გამოვდივარ. ოთხთავენი ერთადა ვართ, ყველა გამზადებული. ამოდის ზემოთ ამხ. ლეკვეიშვილი და გვეუბნება ეხლავე დაგიძახებთო. მე საათს დავხედე. ექვსის ნახევარია. ნახევარი საათით ადრე. გამახსენდა, რომ ყველაფერი გარეთ ექვსი საათისთვის იქნება მზათ: მაშინა, გზის მაჩვენებლები ბინამდის, ამას გარდა ექვსის ნახევარზე კიდევ დღის სინათლეა. არა, არ ივარგებს დაჩქარება. საჭიროა კიდევ დაცდა ნახევარი საათით. ჩემი აზრი ამხანაგებს გაუზიარე. ისიხი დამეთანხმენ. უთხარით ლეკვეიშვილს, რომელსაც აღელვება ეტყობოდა ცოტათი, ისიც დაგვეთანხმა, მხოლოდ შევატყევ, რომ ეძნელებოდა გადადება: ხშირია ისეთი მოვლენა, როდესაც რაიმეს გადასწყვეტ შეხსრული და შეუდგები განხორციელებას, გაგიძნელდება დაგვიანება ან საქმის გადადება. ამ შემთხვევაში ნერვების სიმაგრეს და სიმშვიდეს უმთავრესი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ წავიდ-წამოვედით, ჩვენთვისაც, გამზადებულებისათვის ძნელი იყო ეს ნახევარი საათით გადადება და ღოდინი. მაგრამ სხვა გზა არ იყო. საქმისათვის ასე სჯობდა. ექვსს ხუთი წამი აკლია, გაისმა ამხ. ლეკვეიშვილის ხმა: „მახარაძე, ცინცაძე, დუმბაძე და მახარაძე კანტორაში, გეძახიან, გაემზადეთ. ჩვენც ყველამ გავემზადეთ. ჩამოსასვლელ კიბეებთან თავი მოვიყარეთ და ერთად დავეშვით ძირს ნელის ნაბიჯით. კიბეებზე ამხ. ლეკვეიშვილი შემოგვხედა, გავეიძეთ წინ და ალაყაფის კარებთან მეკარეს უბრძანა გავეჩხრიკეთ ჩვენ. (ეს ჩვენ წინ და წინ ვიცოდით. ფორმისათვის იყო საჭირო) მეკარემ გაგვჩხრიკა, შემდეგ უბრძანა კანტორაში გავეშვით. მეკარემაც შეასრულა უფროსის ბრძანება. გარეთ გამოვედით ქუჩაში და კანტორისაკენ გავსწიეთ. ამხ. ლეკვეიშვილი თან მოგვდევს, როგორც დარაჯი.

გზაში კონტორამდის შემოგვხდა ვიღაც ციხეში მოსამსახურე მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელე. ამხ. ლეკვეიშვილმა გააჩერა და უთხრა: ჩემს მოსვლამდის „პოვერკა“ არ მოახდინოთ. ამ წამში დავბრუნდები ამათთან ერთად (უჩვენებს ჩვენზე) კანტორიდან“-ო. იმანაც თავი დაუქნია და წავიდა. ამ დროს მე ამხ. სანდრო მახარაძეს წაეჩურჩულე: „მიდი ამხ. ლეკვეიშვილს მკლავში ხელი გამოდევი და ისე იარე თქვა“. ვაფიქრე არ გვიმუხთლოს მეთქი. ასეთ დროს ყველაფრის ფიქრი შეიძლება. კანტორაში მისვლამდის კიდევ შეგვხდა ერთი მოსამსახურე, რომელმაც გაკვირვებით შემოგვხედა, მაგრამ წავიდა. ალბათ არ სცალოდა ჩვენზე საფიქრებლად. კანტორის კარებს მიუახლოვდით თუ არა, გაუხვიეთ მარჯვენით და დავადექით შარა-გზას და მოვდივართ. მიუხედავათ იმისა, რომ წინ და წინ მოვილაპარაკეთ გზაში არ ვიჩქაროთ, რომ ყურადღება არ მიგვექცია გამვლელების—პირველად ეს პირობა ამხ. სანდრო მახარაძემ და ლეკვეიშვილმა დაარღვიეს: თითქმის სირბილით გავისწრეს წინ და წავიდნენ ერთად. იმათ მიყვა ამხ. ლადო—საშუალო ჩქარი ნაბიჯით, შემდეგ ფილიპეს დაეტყო ფეხების აჩქარება. მე ყველას ჩამოვრჩი კარგა მანძილი, ალბათ როგორც ავათმყოფმა მაშინ, ვერ შევსძელი ჩქარი სიარული. დაბნელდა სანამ მივაღწევდი იმ ადგილს, სადაც ავტომობილი გვიცდიდნენ. ავტომობილთან გვიცდიდნენ ამხ. ვიქტორ ცინცაძე, ანგია ელბაჭიძე და გიგო კიკნაძე. შოფერის გვარი აღარ მახსოვს, რაღაც შემთხვევით წინ მიმავალი სანდრო, ფილიპე და ლადო ზემოხსენებულ ამხანაგებს აცდენოდათ და როდესაც მე გაეცურწირდი აღნიშნულ ადგილს, ისინიც მარცხნით ქუჩიდან ჩამოდიოდნენ. მიცვნეს. ერთმანეთს მივესალმეთ. ერთი გაიქცა (გიგო) მაშინის გამოსაყვანად ბაღიდან. სწრაფად მაშინა გაჩნდა. ჩაეჯექი, მხოლოდ სხვა ამხანაგების დარდი მაწუხებს. უკვე კარგათ ბნელა. შოფერს უთხარი ნელა წასულიყო. მარცხნივ და მარჯვნივ ვითვალიერებთ ლადოს, ფილიპეს, სანდროს, ლეკვეიშილს. ავლაბრის ხიდთან ლადოს მოვკარით თვალი. გავაჩერეთ, ლადომაც მაშინის კარები არ გააღო ისე გადმოლაჯა, ჩაჯდა. აგერ ფილიპეც. წინ მოდის. წავედით. მილიციონერმა გაგვაჩერა. ჩამოგვხედა. სამხედრო ტანისამოსში დაგვინახა. გაგვიშვა. (იმ დროს ჩვეულება ჰქონდათ მილიციონერებს ეტლებში და მაშინებში მჯდომარეთა დათვალიერება). დავეწიეთ ფილიპეს. ისიც ჩამოჯდა მხოლოდ აღარ ვიცით სად წავიდნენ სანდრო და ლეკვეიშვილი. ჩვენ გვინდა ავლაბრის ხიდით წასვლა. ისინი აღარ სჩანან. ხიდს კი უახლოვდებით. მეტი გზა არ იყო, ხიდზე გავედით და გავაჩერეთ. ვიქტორი და ანგია გავგზავნეთ მათ მოსანახავად. თითქმის ათი წამი ვიდექით. შეგვატყობინეს, რომ არსად სჩანან ისინი. მეტი ცდა აღარ შეიძლებოდა. ისიც სისულელე იყო, რაც გავჩერდით. წავედით კახეთის მოედნი-

საკენ. იქ ფილიპე დავტოვეთ წინაწსარ გამზადებულ ბინაზე. მე და ლადო ამბ. არაქელას ვესტუმრეთ. არაქელას იმ ღამეს საიდუმლო სტამბის ბინაზე უნდა წავეყვანეთ. ამბ. არაქელამ ჯერ გადაგვკოცნა, მერე კარგათ გაგვიმასპინძლდა და შემდეგ ვიწრო ქუჩებით სტამბაში წაგვიყვანა. ძლიერ ვსწუხდით სანდროზე და ლეკეიშვილზე. ვერ მოვისვენეთ სანამ არ გავიგეთ მათი მშვიდობიანად გადარჩენა. ორი ღამე და დღე სტამბაში ვინახავდით თავს. თან ლადო არალეგალურ ფურცლებსაც ბეჭდავდა. ორი დღის შემდეგ ერთი ღამე ამბ. არუთინ სოლოვიანთან გავათიეთ. შემდეგ კი წესანიშნაი ბინა ვიშოვნეთ მე და ლადომ ავლაბარში, სადაც სანამ საბჭოთა მთავრობასა და მენშევიკების მთავრობის შორის ზავი არ შეიკრა.

თითქმის ციხიდან გამოსვლისთანავე არალეგალურ მუშაობას შეუდექით. ორგანიზაციასთან მუდმივი კავშირი არუსიაკ ტერ-პეტროსოვის საშვალებით გვქონდა. მთელი დღეები სახლში ვიჯექით. ღამ-ღამობით კრებებზე გამოვდიოდით. თითქმის ყოველ ღამე ხდებოდა სხვა და სხვა კრებები. უმთავრესად საოლქო კომიტეტის და სამხედრო ორგანიზაციის სხდომებს ვესწრებოდით. ხან და ხან, თუმცა ძლიერ იშვიათად, ფრიად კონსპირატიული კრებები ჩვენს ბინაზედაც ხდებოდა.

ეს ხანა ის ხანა იყო, როდესაც საბჭოთა წითელი ჯარები თეთრგვარდიელებს—დენიკინელებს ცხვრებივით ერეკებოდნენ და ჩრდილო კავკასიას იპერდნენ, როდესაც აზერბეიჯანს უახლოვდებოდნენ საბჭოთა ჯარები.

ამ დროს საოლქო კომიტეტს დიდი ენერგიული და გაფაციცებული მუშაობა ჰქონდა შეთქმულების მოსაწყობათ და ამასთან ერთად დიდ დახმარებას უწევდა დაღესტანის ფრონტზე აჯანყებულ გლეხებს. აგზავნიდნენ იქით რაზმებს, იარაღს, ფულს და სხვა სამხედრო მასალებს.

საოლქო კომიტეტში ამ დროს მუშაობდნენ: ამხ. ფილიპე მახარაძე, ლადო დუმბაძე, სანდრო თუმანოვი, კოტე ცინცაძე, საშა ბეგბაღდიანი, ნაზარეტიანი. (სხვები არ მახსოვს, მგონი არც კი ყოფილა სხვა ვინმე). ბაქოში არსებობდა საოლქო კომიტეტის ბიურო.

გეგმა შეთქმულებისა შემდეგი იყო: ორ მაისს უნდა შემდგარიყო თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს სხდომა. ამ სხდომას უნდა დაესწრებოდა თითქმის მთელი მენშევიკური მთავრობა. ამ დღისათვის უნდა გვესარგებლა ყველა ჩვენი ძალებით, განსაკუთრებით მენშევიკური ჯარების ნაწილებით, რომლებიც ჩვენ თანაგვიგრძნობდნენ. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ჯარების თითქმის დიდი უმრავლესობა ბოლშევიკურად იყო განწყობილი, მით უმეტეს, რომ საქართველოს საზღვრებს წითელი ჯარები უახლოვდებოდა და-

ქოს მხრიდანაც. ჩვენ ორგანიზაციებს მჭიდრო კავშირი ჰქონდა ყველა ჯარის ნაწილებთან. განსაკუთრებული იმედი გვქონდა იუნკრის სასწავლებელში მდგომ ნაწილების, ბრონე-დივიზიონის, არტილერისტების, რომელიც საბურთალოზე იდგა. ჩვენ ჯარში მომუშავე ამხანაგებიდან საოლქო კომიტეტს დამაკმაყოფილებელი ცნობები ჰქონდა ჯარების სულიერი განწყობილების შესახებ. უნდა გაგვეწარეწილებინა ჩვენი ძალები შეიარაღებული მუშებისა და გამოცდილ გულად მებრძოლებისა სხვა და სხვა ჯარის ნაწილებში. ნიშანი (სიგნალი) მოქმედების დაწყებისა არტილერისტებს უნდა მოეცათ. ერთი ან ორი ზარბაზნის გასროლით გვაცნობებდნენ, რომ ჯარის ნაწილები უნდა შემორტყმოდა ხუბალაშვილის სახალხო სახლს, სადაც საბჭოსა და მთავრობის სხდომა უნდა ყოფილიყო. ამიტომ საუკეთესო გამოცდილი და გულადი ამხანაგები რიცხვით 12 კაცამდის იუნკრის სასწავლებელს მიუჩინეს ამბ. სანდრო მახარაძისა და ჯუჯელაევის ხელმძღვანელობით. დანარჩენები დანაწილებული იყო სხვა და სხვა ყაზარმებში, რომლიდანაც ზოგი ტელეგრაფის დასაკავად უნდა წასულიყო, ზოგი სასახლის, ზოგი ვაგზლის და სხვა და სხვა. საოლქო კომიტეტმა ჩვენ, მე და ლადოს, ნება არ მოგვცა თავიდანვე მოქმედებაში მონაწილეობა მიგვეღო: მხოლოდ, როდესაც მოქმედება დაიწყებოდა და რომელიმე ჯარის ნაწილი უკვე შეუდგებოდა სამხედრო ოპერაციებს, მაშინ ჩვენც უნდა მივსულვიყავით და ხელმძღვანელობა გაგვეწია, ასე მაგალითად, მე იუნკრის სასწავლებელში უნდა წავსულვიყავი და სახალხო სახლში დამეტყველებინა მთავრობა მთლიანად. ლადოც მგონი არტილერისტებთან უნდა წასულიყო. სხვები კიდევ ციხეზე და სხვა და სხვა ადგილებზე. ორი მაისის წინა ღამით მთელი ჩვენი ორგანიზაცია ფეხზე იდგა. ჩვენი საიდუმლო ბინა სამხედრო შტაბთან გადაიქცა. ამხ. სანდრო მახარაძე და ჯუჯელავა უკვე წასულები არიან თავ-თავის ადგილზე. თბილისის ყველა რაიონებში წინასწარი ძალთა გამწესრიგებელი სხდომები ხდება, ერთი სიტყვით, ნამდვილი სამხედრო შეთქმულება ხდებოდა. უნდა გამოვტყდეთ, რომ შეთქმულებას, ცოტა „ავანტიურის" სუნი უდიოდა. როგორც ყველა შეთქმულებას ამასაც იგივე ბედი ეწია; შეთქმულება საათიათ აწყობილ გეგმაზე ხდება. თუ ერთი ნამცეცი შეფერხება მოხდა, ერთი ვინტი თუ ცუდათ გადატრიალდა, მთელი საქმე იფუშება. ამასთან ერთად სანამ შეთქმულებისათვის ემხადება რევოლიუციონური ელემენტები, მომხადების პროცესში ის გატაცებულია, მას ყველაფერი ადვილად აქვს წარმოდგენილი, ის ყველაფერს ერთგვარ გვირობაზე ამყარებს, მაგრამ როდესაც დრო დაინიშნება, გადაწყდება მოქმედების დაწყება, უმრავლეს შემთხვევაში გამოუცდელი და სუსტი, მერყევი ელემენტები დრკებიან. მათ შიშის ზარი მოიცავს. ასე მოხდა

აქაც. მხოლოდ ფრიად გამოცდილი და გამოჭახრაკებული ამხანაგები არ შედრეკენ. უმრავლესობა შედრკა და მომავლის იმედებში ეშვი შეეპარათ. სხვა და სხვა რაიონებში დაიწყეს იმაზე ლაპარაკი, რომ ნაადრევია, ჯერ მომზადებული არა ვართ და სხვა და სხვა. ამა ჯარებზე რა ითქმის. მათი სულიერი განწყობილება იყო მხოლოდ რევოლიუციონური. მათთვის საჭირო იყო, რომ პირველი დარტყმით გაემარჯვა და შემდეგ ყველანი შემოგვეერთდებოდა. თუ ასეთ რევოლიუციონურად განწყობილ ჯარებში ვინმე ერთიც უიმედობას გამოსთქვამდა, შემდეგ შეუძლებელი ღა იყო მათი ამოქმედება. ყოველ შემთხვევაში ინიციატივას თავზე ვერ აიღებს. თუ ასეთ დროს მოწინავე ჯგუფის ნაწილი შედრკა, საქმე გაფუჭებულად უნდა ჩაითვალოს. ასეთი სულიერი განწყობილება, რაღაა დაეტყო ამოქმედების წამებში ზოგიერთა რაიონის მოწინავეთა ჯგუფების ნაწილს.

ამან იმოქმედა და ჯარების ნაწილებიც შედრკა. მხოლოდ ის ჯგუფი, რომელიც იუნკრის სასწავლებელში მიდიოდა, მაგრათ იყო. ამ ჯგუფმა დაიჩქარა და მოქმედება დაიწყო. ჩვენმა შტაბმა ველარ მოასწრო მათთვის დროზე შეეტყობინებინა შექმნილი მდგომარეობის შესახებ, რომ თავდასხმა გადაედოთ. 10—15 ამხანაგი შეეყარდა იუნკრის სასწავლებელში და სასტიკი ბრძოლის შემდეგ დაიმორჩილეს მთელი სასწავლებელი და შიგ მყოფი ნაწილები, მხოლოდ არც ერთი ნაწილი აშკარად, აქტიურად არ გამოვიდა და ბრძოლა არ გაგრძლდა. თავის პასიურ მოქმედებაში, წინააღმდეგობის გაუწევლობაში გამოხატეს იმათ თავისი თანაგრძნობა გადატრიალებისადმი: გაგრძელთ თქვენ და ჩვენ ხელს არ შეგიშლითო—ასეთი იყო მათი პასუხი ჩვენების მოწოდებაზე. ამ „თავხედურმა“ თავდასხმამ შეაწრიალა მთელი მე შეიკები. სხვა რაიონებში არსად გამოხმაურება არ მოხდა. მენშევიკებმა მთელი თავისი ძალები იუნკრის სასწავლებელს მიაყარეს. ჩუენმა ამხანაგებმაც დაინახეს, რომ საქმე ცუდათ იყო და თავს უშველეს, მხოლოდ გვიანღა იყო!

სასწავლებელს უკვე ალყა ჰქონდა შემორტყმული. ცხადია, სროლით, ძალით მოინდომეს გამოსვლა და თავის შველა. ოთხი ამხანაგის მეტმა ბრძოლით გზა გაიკაფეს და თავს უშველეს. ოთხი კი დაჭრილები დაატუსაღეს და დახვრიტეს.

რისი იმედი გექონდა ჩვენ: ჩვენ ვფიქრობდით, რომ საკმარისი იყო ორი-სამი დღით ძალა-უფლების ხელში ჩაგდება, რომ ჩვენიე მოწოდებით აზერბეიჯანში მყოფი საბჭოთა წითელი ლაშქარი შემოვიდოდა და ძალაუფლებას გავამაგრებდით. მაგრამ შეთქმულება დამარცხდა. ეს იყო უკანასკნელი შეიარაღებული გამოსვლა ჩვენი პარტიისა საქართველოში 1921 წლამდის, ე. ი. საქართველოს გასაბჭოებამდის.

P. S. აუცილებლად საჭიროა, რომ ყველა ამხანაგებმა თავ-თავის მოგონებები დასწერონ მენშევიკებთან ბრძოლის ისტორიიდან, რადგან მე ვგრძნობ, რომ ბევრი რამ დამვიწყებია და მისი აღდგენა კი საჭიროა.

სერაპიონ ლომიძე.

ქუთაისის ორგანიზაციის მუშაობა.

(1901 წლიდ 1906 წლის რეაქციის დაწყებამდე)

1901 წ. უკანასკნელ თვეში მგონი მეორე წრე იყო მუშების, სადაც მე დავიწყე მუშაობა. აღნიშნულ წრეში ირიცხებოდა სხვა და სხვა პროფესიის ხელოსნები და აქ იყო დანიშნული პროპაგანდისტათ ამხანაგი ბარონ ბიბინეიშვილი, რომელიც ყოველ შაბათობით მოდიოდა დანიშნულ ადგილზე და ხელმძღვანელობდა წრეს.

წრეში მეცადინეობა სისტემატიურად მიდიოდა. ვარჩევდით „ოთხ ძმას“, „ობობას“, საშა წულუკიძის ნაწყვეტებს პოლიტიკურ ეკონომიიდან, ვლებულობდით არა ლეგალურ „ბრძოლას“ და ეკითხულობდით ახალ მოსულ პროკლამაციებს. ამავე დროს ჩვენს მოვალეობას შეადგენდა გავეცანით ცხოვრებაში პროკლამაციები და ჟურ. „ბრძოლა“, აგრეთვე გვევალებოდა ჩვენს ირგვლივ შემოგვეკრიბა „ახალი მოძრაობის“ თანამგრძნობი მუშები და მათშიც მოგვეწყო წრეები.—

წრის წევრებს შორის მუშაობა ასე განაწილდა: ლაზარე ჭელიძეს და ანდრუშა რევიას დაევალა „სლესრებში“ მუშაობა, ილიკო ჭაჭაშვილს და სულია კვინიხიძეს მკერავლებში, ხარიტონ ყენიას და ტარასი მიქაძეს მღებავებში და მეთუნუქეებში. მე—მეჩექმეებში და ხარაზებში, სერაპიონ ჩიქაძეს—სტალარებში და დურგლებში.

ჩვენმა მუშაობამ დიდი ნაყოფი გამოიღო და წრეების რიცხვი ყოველ თვეობით იზრდებოდა. 1903 წ. მეორე ნახევარში უკვე ისეთი ორგანიზაცია შეიქმნა, რომ ქუთაისის კომიტეტი უკვე აქტიურ მოქმედებაზედაც კი გადავიდა: ეს იყო დემონსტრაციები, გაფიცვები და ტერორისტული აქტები.

პირველი ეკონომიური გაფიცვა მოეწყო ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის მუშებში, მეორე—სტამბებსა და ფოტოგრაფებში, ამის

შემდეგ გაფიცები გადავიდა მკერავებში, მეჩექმეებში, სლესრებში და შემდეგ ნოქრებში.

სხვა და სხვა დარგის წარმოებაში სრულიად არ ყოფილა განსაზღვრული მუშაობის დრო, გარდა თუთუნის ფაბრიკისა, სადაც მუშას უნდა ემუშავა 12 საათი. დანარჩენებში კი, როგორც ხაზეინი მოისურვებდა, ისე ამუშავებდა მუშებს.

გაფიცებს ყოველთვის ხელმძღვანელობდა საგაფიცავო ბიურო. იმ დროს პროფკავშირები არ ყოფილა და ამიტომ გაფიცულებს წრეების წევრები უწევდენ მატერიალურ და სხვაგვარ დახმარებას; მართლაც, გაფიცებმა ზოგიერთ დარგში განმარჯვება მიანიჭა მუშებს. ბევრ ადგილას შემოიღეს ათი საათის სამუშაო დრო. გამარჯვებამ კი თანაგრძნობა გამოიწვია საერთოდ მუშებში და ესენი მრავლად ჩაებენ ეკონომიურ ბრძოლაში თავიანთი ხაზეინების წინააღმდეგ.

აქ გამომრჩა ერთი თვალსაჩინო ფაქტი, რომლის მონაწილე ავადმყოფობის გამო ვერ გავხდი. ეს იყო 1902 წელს 1-ლ მაისობის მოწყობა ქალაქ გარეთ, მოწამეთისაკენ, სადაც ტყეში, ამხანაგებს, დაახლოებით 50—60-კაცს მოეყარა თავი და დროებით ჩაეტარებიათ პირველი მაისი.

1903 წ. კი პირველ მაისის დღესასწაულის ჩატარება გამოიხატა იმაში, რომ არც ერთი ჩვენი წრის წევრები და მათი გავლენით სხვა უპარტიო ხელოსნები არ გასულან სამუშაოდ. წინა ღამით ქალაქს გარეთ მოეწყო კრებები, სადაც გაკეთებული იქნა პირველი მაისის შესახებ მოხსენებები.

1903 წ. პირველ მაისს სამუშაოზე არ გასვლამ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა და დააშინა ხაზეინები, რომ შემდეგ ამბობდენ მუშებზე და თავიანთ შეგირდ-ქარგლებზე: „ჩვენ ამ არამზადა ლაწირაკებს გულს არ გავახეთქებთ, ასეთ დროს სოფლად წავალთ და მაგათ ჩვენი პოლიცია მოაჭკვიანებს"-ო. ხაზეინებმა, რასაკვირველია, გაიგეს პროკლამაციის საშუალებით პირველი მაისის მნიშვნელობა და ისიც გაიგეს, რომ ყოველწლიურად უნდა მომხდარიყო გაფიცებები და დემონსტრაციები. ამიტომ იყვენენ დაშინებული და გულს იმაგრებდენ იმით, რომ მათი პოლიცია ბოლოს მოუღებდა 1-ლ მაისსაც და მათ მუშებსაც მოაჭკვიანებდა.

1903 წლიდანვე ქუთაისის კომიტეტი იწყებს აქტიურ მოქმედებას, რომელიც გამოიხატა ტერორისტულ აქტებში და დემონსტრაციების მოწყობაში.

1904 წელი უფრო აღსანიშნავია გაფიცების ჩატარებით; გაფიცებს ჰქონდა ეკონომიური ხასიათი; ამ გაფიცებში პირველ რიგში იდგენ სტამბის მუშები; სტამბებში შემოღებულ იქნა 9 საათის სამუშაო დრო. დანარჩენ დარგებში კი 10-12 საათი იქნა დაწესებული

გაფიცვებს არც მოწაფეობა ჩამორჩა, განსაკუთრებით აქტიური მუშაობა იყო სასულიერო სემინარიაში, სადაც მოწაფეებმა დაანგრიეს ეკლესია და რექტორს—ბერს ბევრი მიარტყეს თავის ხულიგანურ მოქმედებისათვის. დაიკეტა სემინარია.

სემინარიის შემდეგ მეორე ადგილი ეჭირა ფერმის სკოლას; საერთოდ კი ეს ორი სასწავლებელი ავანგარდი იყო სხვა სკოლების. თითქმის არ დარჩენილა არც ერთი სასწავლებელი, სადაც გაფიცვებს და ობსტრუქციებს არ ქონებოდეს ადგილი; ხშირი იყო ისეთი შემთხვევები, როცა გაფიცვის მოწინააღმდეგე მოწაფეს გადააცმევდენ ლამე გზაში ტომარას და მიბეგვავდენ.

1904 წელში 1-ლ მაისისათვის უკვე მზად იყო ქუთაისის პოლიცია კაზაკებით ქუჩაში და დემონსტრაციის ჩატარება არას გზით არ შეიძლებოდა. ამიტომ წინა ღამით შემდგარ კრებაზე გამოცხადდა მაისობის ჩატარების პროგრამა, რომელიც გამოიხატებოდა სამუშაოებზე მასიური არ წასვლით. ამ დღეს ვერ ნახავდით გამოსულს ეტლსაც კი. ყველა სასწავლებლებში მეცადინეობა შეწყვეტილი იყო, მთავრობის არც ერთ უწყებაში მეცადინეობა არ სწარმოებდა. მთავრობის ყურადღება ქუჩაში იყო მიქცეული; ვაჭრებმაც მიაკეტეს თავიანთი სავაჭროები და სახლებს შეაფარეს თავი.

ერთი სიტყვით, სანამ არ მიიძინა ქალაქმა, კაზაკის ასეულები „ამაგრებდენ“ ქალაქს. ამავე წლის მეორე ნახევარში მაზრებში უკვე გვარაიხი მძლავრი ორგანიზაციები იყო და ასე მუშაობა გადატანილ იქნა სოფლებში, სადაც მოწყობილი იყო არალეგალური წრეები და სისტემატიური მუშაობისათვის პროპაგანდისტებიც იყვენ დანიშნულნი: ზებედა ტარაიძე, სიმონ ჩხეიძე, პროკოფი დოლიძე და სხვა ამხანაგები.

ამ წელში ტერორისტული აქტები ნაკლებათ ხდებოდა, რაც იმით აიხსნებოდა, რომ ხალხს ფართო მასა თანაუგრძნობდა მოძრაობას და ამიტომ გამცემლობას ნაკლები ადგილი ჰქონდა; მთავრობის დიდ ბოლებს კი არ ჰქონდათ საშვალება დაახლოვებოდენ რომელიმე ორგანიზაციას და გაეგოთ მისი მუშაობის შესახებ რაიმე. ისეთი მდგომარეობა შეიქმნა ამ წელში, რომ თითქმის ყველა კონტრ-რევოლიუციონერმა დაიწყო ლიბერალობა და თითქოს ქედს იხრიდა საერთო მოძრაობის წინაშე.

1904 წლის დასაწყისში დაიწყო რუსეთ იაპონიის ომი. ამ ომის წინააღმდეგ, რასაკვირველია, სასტიკად ვილაშქრებდით და ომის წინააღმდეგ პროკლამაციებს ვავრცელებდით თეატრებში, ეკლესიებში და სხვა საზოგადო თუ სახელმწიფო დაწესებულებებში განსაკუთრებით კი, ყაზარმებში. პეტერბურგის ამბებმა (9 იანვარი) და გაპონის პროვოკაციამ ქუთაისში განსაკუთრებული გამოძახილი ჰპოვა. მოეწყო

საპროტესტო პოლიტიკური გაფიცვა, რასაც დაერთო ეკონომიური მოთხოვნილებები მუშების მხრივ. გაფიცვამ გასტანა თითქმის ხუთი დღე. ამ ხნის განმავლობაში ქალაქი სულ ერთიანად მოკვდა, სიცოცხლის ნიშან-წყალი არ ეტყობოდა მას. გაფიცვას მხარი დაუჭირა ყველა სასწავლებლებმა, ყველგან შეწყდა მეცადინეობა, მაელი ქუთაისის ნოქრები, ხელოსნები და მოწაფეები ქუჩებში გამოვიდნენ. ყველა კუთხეებში ჯგუფებათ იდგენ და თოვლის გუნდებს ესროდენ მარხილებით მოსეირნე ოფიცრობას და თან მისძახოდენ: „გაუარჯოს ერთობასო“. ასე ბევრი ოფიცერი გადმოაბრძანეს მარხილიდან გაბრუებული. იყო შემთხვევა, როდესაც რევოლვერი ესროლა გამხეცებულმა ოფიცერმა ჯგუფს. ამ საერთო გაფიცვების ხელმძღვანელი, რასაკვირველია, კომიტეტი იყო და კომიტეტმაც გადასწყვიტა დემონსტრაციით გაეთავებინა გაფიცვა. ასეც მოხდა. დანიშნულ დღეს, საათის 12 იქნებოდა, ამხანაგებმა იწყეს თავის მოყრა ქუთაისის სობოროს მახლობლად და როდესაც დანიშნული ამხანაგები ასწევდენ დროშას, ყველა დანარჩენები უნდა მეერთებულიყვნით და მარსელიოზის სიმღერით უნდა ჩაგვეყო ბაღის გვერდით. მართლაც აგრე მოხდა. დემონსტრაციის მონაწილეთაგანს ბევრს ჰქონდა რევოლვერი, აფრიალდა თუ არა დროშა. იმ წამსვე შეეერთდით და ერთი „ზალპი“ გაუშვით ჰაერში, რის შემდეგ წამოვედით სიმღერით. მთავრობამ კარგად იცოდა, რომ დემონსტრაცია მოხდებოდა, მაგრამ თავიდანვე რაღაც მიზეზების გამო არ გამოიყენა კაზაკები; პოლიციელები კი პრისტავების მეთაურობით გამოსულიყვნენ, მაგრამ როგორც კი გაიგონეს სროლის ხმა და სიმღერისა, ყველანი დუქნის დარაბებში იმალებოდნენ, მხოლოდ დემონსტრაციის გათავების შემდეგ გამოჩნდნენ კაზაკები და ცხენოსანი სტრაჟნიკები, რომლებიც დაერიენენ ხალხს რევოლვერებით, მათრახებით და მიერეკებოდენ ქუჩებიდან. ამ დროს ქალაქში სამხედრო წესები გამოცხადებული იყო; დემონსტრაციაში მონაწილეთაგანი არავინ დაუპატიმრებიათ, მეორე დღეს გამრჯვებულმა მუშებმა განაახლეს მუშაობა.

ამავე წელში დაიწყო გაცხარებული კამათი მენშევიკ-ბოლშევიკებს შორის. უმთავრესად დებატები ხდებოდა ყოველ კვირაობით ქალაქის გარეთ. ყველა დარგის მუშების კრებები ცალ-ცალკე ხდებოდა და ხშირად დილიდან დაწყებული დებატები საღამომდის გასტანდა ხოლმე.

შესანიშნავად ჩატარდა პირველი მაისის დღესასწაული 1905 წ. ეს ის დრო იყო, როდესაც თვითმპყრობელი მთავრობა იაპონიასთან ომს აგებდა, მისი ჯარები უკან იხევდა, ფლოტი თითქმის დამარცხებული იყო, მთელს რუსეთში რევოლიუციის ტალღები სულ მაღლა იწევდა და მთავრობაც ისე გატეხილი იყო წელში, რომ გამოსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალი ვერ მოენახა. ასეთ დროს ცხადია, ადვილი შესაძლებელი იყო აჭტივობის გამოჩენა და ეს ასეც მოხდა. დილიდანვე მთელი ქალაქი დაიკეტა, ხალხი ერთბაშად ქალაქის ცენტრში გამოვიდა და საათის ათიდან დაიწყეს ყველა სკოლებიდან დემონსტრატიული გამოსვლა.

მართალია, მთავრობამ გამოიყვანა მთელი საპაორის კაზაკთა პოლკი, მაგრამ დემონსტრანტების მსვლელობა მაინც ვერ შეაჩერეს. დემონსტრანტები სხვა და სხვა გზიდან მოდიოდენ ბაღისაკენ. მთელი დღე მოისმოდა ჯგუფური მარსელიოზის სიმღერა ყველა ქუჩებში. კაზაკები ხან ერთს ჯგუფს გარეკავდენ, ხან მეორეს. მაგრამ ჯგუფები მაინც იყრიდენ თავს სხვა და სხვა ადგილზედ და გაისმოდა მარსელიოზის გუგუნი. დემონსტრანტების ერთი ნაწილი შეიჭრა ბაღში და იქ მღეროდენ მარსელიოზს; მთავრობა დაიბნა და არ იცოდა რა ექნა. ასე ჩატარდა მთელი დღე, დაღამებისას კი აქა-იქ კსზაკებმა დაიწყეს სროლა. ხალხმაც დაიწყო თანდათანობით დაშლა. ამ ღამეს კაზეკების მსხვერპლი შეიქმნა ორი კაცი. ერთი ნოჭარი ნემსაძე, მეორე ხარაზი, (გვარი აღარ მახსოვს). დახოცილი ამხანაგები მესამე დღეს დემონსტრატიულად, სამგლოვიარო და რევოლიუციონური სიმღერებით გავასვენეთ თავიანთ სოფლებში. პროცესიას, რომელშიაც დაახლოვებით 2—3000 კაცი ღებულობდა მონაწილეობას, უკან ახლენოსანი სტრაჟნიკები მოყვებოდენ ცნობილ ლავრენტი მახარაძის (პრისტავი იყო) მეთაურობით. მან მოინდომა დემონტრაციის დაშლა, რისთვისაც შემდეგ პროვოკაციას მიმართა: უკან მომავალმა სტრაჟნიკებმა მაღლა გასროლით „ზალპი" მისცეს ხალხს, მაგრამ არც ერთი დემონსტრანტი არ დაძრულა ადგილიდან. და როდესაც ვერ გასჩრა ამ პროვოკაციამ, ისინი უკან დაბრუნდენ.

რევოლიუციონურმა მოძრაობამ რუსეთში ფართო ხასიათი მიიღო. იაპონიასთან ომის წაგებამ და მუშათა გაფიცვებმა ისეთი მდგომარეობა შექმნა, რომ მთავრობამ ვერ გამონახა საშველება ხალხის დასაშოშვიდებლად. ამ დროს გრაფ ვიტეს რჩევით გამოცემულ იქნა 17 ოქტომბერს ცნობილი მანიფესტი. ცნობა მანიფესტის შესახებ მოულოდნელი იყო, რომ მისი გამოცემის შესახებ არაფერი არაფერი იცოდა და არც არავინ მოელოდა. მოულოდნელად გადმოგვცეს, რომ ქალაქის სამმართველოში წაგზავნილაყვით და ყველა მოქალაქეებისათვის შეგვეტყობინებინა, რომ მოეყარათ თავი. მართლაც, ხალხმა ბლომად მოიყარა თავი, ქალაქის თავმა წაიკითხა „მეფის ნაბოძები მანიფესტი", რის შემდეგ მუშების მეთაურობით ხალხმა გასწია ბაღისაკენ, სადაც გაიმართა დიდი მიტინგი. ორატორები აღნიშნავდენ მანიფესტის მნიშვნელობას. ქუთაისში ამ დროს ბოლშევიკებს და მენშევიკებს გარდა სხვა პოლიტიკური პარტიებიც იყ-

ვენ: ფედერალისტები, ს. რევოლიუციონერები (მემარჯვენე და მაქსიმალისტები), დაშნაკები და ახლად იჩეკებოდა კადეტების პარტია, თავად დათა ნიკოლაძის მეთაურობით; ყველა პარტიებს და განსაკუთრებით მენშევიკებს დიდ სასარგებლოთ მიაჩნდათ მანიფესტი მუშებისათვის და ყოველ ღონეს ხმარობდენ მის ცხოვრებაში გასატარებლად. მათ დაივიწყეს პროგრამა-მინიმუმიც კი და თუ მათი ორატორები სტყვის ბოლოს წამოიძახებდენ გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებასო — ეს უფრო თავის და მუშების მოსატყუებლათ; მათ ეგონათ, რომ ამ მანიფესტის შემდეგ მთავრობა დამფუძნებელ კრებასაც მოიწვევდა, ჩვენ კი ამ მანიფესტს ეუწოდებდით მთავრობის პროვოკაციას და მის მიერ გადმოგდებულ უხორკო ძვალს. ამავე დროს ვაფრთხილებდით ხალხს, რომ მთავრობა სესხს ეძებდა ევროპაში (რომელიც მიიღო კიდეც შენდელსონისაგან) რევოლიუციის ჩასაჭრობათ, ვაფრთხილებდით ხალხს, რომ მთავრობის პროვოკაციული მანიფესტი უდღეური იქნებოდა და პირდაპირ მოვითხოვდით დამფუძნებელ კრების მოწვევას; მართლაც, ჩვენი შეხედულება მართალი გამოდგა. დაიწყო მთელს რუსეთში „პოგრომები", რბევა-აწიოკება. 19—22 ოქტომბერს თბილისში კახაკების დახმარებით რუსთა კავშირის წევრებმა „პოგრომი" მოახდინეს მოწაფეებზე და მუშებზე.

კახაკებზე ისეთი შეხედულება ქონდა ხალხს, რომ თუ სადმე ნახავდენ ერთს ან ორ კახაკს ქუჩაში, გაულახავათ არ წაუვიდოდა, ამიტომ თვით გუბერნატორმა სტროსელსკიმ მოსთხოვა პარტიას, რომ, როდესაც კახაკები წავიდოდენ ახალციხეში, ან ცხენებს წაიყვანდენ წყლის დასალევათ, მათთვის გაეყოლებინათ რამოდენიმე რაზმელი და მართლაც, ჩვენი რაზმელები აცილებდენ კახაკებს ყოველგან.

ჩვენი რაზმები შეიარაღებული იყო ბერდანკებით. საჭირო იყო ვინტოვკებით შეიარაღება, ამიტომ პარტიამ გადაწყვიტა გაწეიარაღებია ჯარის რამდენიმე ისეთი ნაწილები, სადაც პარტიული მუშაობა არ იყო. ასეთი ნაწილები კი იდგა ზესტაფონში, ბელაგორში და ტყიბულში; ეს ნაწილები, პატარა ბრძოლის შემდეგ, იქნენ განიარაღებულნი; ამათ გარდა იარაღს გვაძლევდა ის ჯარისკაცები, რომლებიც „პოსტებიდან" გამორბოდენ და ყალბი დოკუმენტებით ვაგზავნიდით ქუთაისიდან რომელიმე ქალაქში, უმთავრესად ჯარიდან გარბოდენ ქართველები. ამ დროს კ. ჩაჩანიძე მუშაობდა ფოთის პოლკში. იმათი ყარაული კი იცავდა იარაღის საწყობს ინჟინერის ქუჩაზედ. გადავწყვიტეთ იარაღის გამოტანა. იქ დადგა ჩვენი ამხანაგი ჯარის კაცი. უნდა გაგვეჭრა ორი კარი, ამ მიზნით ვიქირაოეთ ერთი კამეჩის ურემი ფარდიანათ და მივედით, მაგრამ „სლესარმა" ჭელი-

ძეშ დაიგვიანა. გაჭრა ორივე კარების მოვასწარით და როდესაც დავიწყეთ იარაღის გამოტანა, ამ დროს შევნიშნეთ, რომ ყარაული იცვლებოდა. ჩვენ მაშინვე გავანებეთ თავი და გამოვიქეცით, თან წამოვიყვანეთ ყარაული თავისი თოფით, აქ სხვა ამხანაგებთან ერთად ბუდუც იყო, ჩვენი ურმები დარჩა იქ და რა ბედი ეწია არ ვიცი. ჯარის კაცი კი გამოვაწყვეთ ჩერქესკაში და გავაგზავნეთ აფხაზეთში.

რევოლიუციონურ ხანაში ყველა პარტიას ჰქონდა თავისი კლუბი, სადაც ხშირად იმართებოდა კრებები; კრებებზედ უმთავრესად სახალხო საქმეები წყდებოდა. იყრიდენ თავს ადგილობრივი რაიონის კომიტეტები, ასისთავები და გუბერნიის წარმომადგენლები და აქვე მთელი პარტიული ორგანიზაციაც იყო. ამ ორგანიზაციასთან მოდიოდენ თვით მთავრობის მოხელეები და აქედან ღებულობდენ დირექტივებს თავიანთი მოქმედებისათვის. ასე წარმოიდგინეთ, მთავრობა ორგანიზაციის დაუკითხავად ერთ კაცსაც ვერ გაუშვებდა მატარებლით.

ცნობა მოვიდა, რომ ტფილისში დაიწყო სომეხ-თათართა შორის ხოცვა-ჟლეტაო, რის ჩასაჭრობათ მთავრობა ნაკლებ ზომებს იღებდა, ამიტომ თვით ჩვენმა პარტიამ მიიღო თავის თავზე წესიერების აღრდგენა. ამ მიზნით გურიიდან გაიგზავნა რამოდენიმე ეშელონი წითელ რაზმელებისა ტფილისში. მართლაც, ტფილისის მუშებმა ჩქარა მოუღეს ბოლო მთავრობის მიერ მოწყობილ პროვოკაციას. ამ ხანებში მთელს რუსეთში გაიფიცა რკინის გზა და ფოსტა-ტელეგრაფი, მატარებლები მხოლოდ განსაკუთრებული დანიშნულებით დადიოდა. რუსეთიდან ცნობებს დაკვიანებით ვღებულობდით. ქალაქში ნავთის და პურის მარაგი საკმაო არ იყო. ქალაქში ვერ ნახავდი ფორმაში გამოწყობილ მოხელეს, ვერც ერთ სახელოსნოში ვერ ნახავდით რაიმე ფორმის ტანსაცმელს ყველას ერთნაირი ტანსაცმელი ეცვა.—ვერ შეხვდებოდი ვერც ერთ გოროდოვოის: ყველანი მიიმალენ სოროებში, ჯარის კაცები უკაკარდოთ გამოდიოდენ ქალაქში და თავისუფლად ესწრებოდენ მიტინგებს. თეატრებში დაიწყეს რევოლიუციონერი პიესების დადგმა, რაც წინად აკრძალული იყო. გაზეთები გამოდიოდა ადგილობრივ; ტფილისის გაზეთი შეიძლება კვირაში ერთხელ გვენახა. ასე გასტანა დეკემბრის დამლევამდე. იანვრის რიცხვებიდან გავიგეთ, თითქო რუსეთში რევოლიუცია დამარცხებულიყო, მაგრამ ჩვენ არ გვჯეროდა.

უკვე რეაქცია ისხამდა ფრთებს. ჩვენი ამხანაგები უკვე შეუდგენ მიმალვას და ბინების გამოცვლას. ქუთაისში უწინდელი სიცოცხლის ნაშთი გაქრა, ყველაფერი თითქმის გრძნობდა რაღაც უბედურებას, წყლის კურთხევაზე (6 იანვარს) სამღვდელოება არ გამო-

სულა ჩვეულებრივი ცერემონიით. ბღიუნზაკის სახელოსნოში გამოკიდეს ჟანდრების და პოლიციელების სირმებიანი ტანსაცმელები.— მექუდეებმაც გამოაჩინეს არწივიანი კაკარდები და პაგონები სირმებით მოწყობილი, აქა-იქ გამოჩნდა ქალაქში „ოკოლოდოჩნიკები“, პოლიციელები და სხვები. ასე რომ, უკვე გამოძვრა რეაქცია სოროებიდან. ცნობა უკვე ყოველ დღე მოგვდიოდა ალიხანოვის დამსჯელი ექსპედიციის შესახებ, რომელიც გადმოსულიყო სურამის უღელტეხილზე და გაეწმინდა გვირაბი, დაეწვა ბელაგორი და მოდგომოდენ ზესტაფონს. ზესტაფონიდან—კი რიონის სადგურს. ყველა სადგურებში აჩენდენ ცეცხლს და ანადგურებდენ იქაურობას და ხოცავდენ ყველა შენიშნულ პირებს. ამ ექსპედიციას ხელში ჩაუვარდა სად. აჯამეთში სადელეგატო მატარებელი და დელეგატები დახოცეს (სამტრედიის დეპოს მუშები იყვნენ) ასეთი ცეცხლითა და აოხრებით შემოვიდა დამსჯელი რაზმი ქუთაისში.

პირველად ქუთაისს ეწვია პლასტუნთა პოლკი, მეორე დღეს კი მოვიდა ტფილისის პოლკი. პლასტუნები შემოსვლისთანავე შეესივნენ ქალაქს, დაიწყეს ცეცხლის გაჩენა, შეუდგენ ცარცვას. ამ დროს რეაქციონერები და ჯაშუშები უკვე შეუდგენ მუშაობას და აბეზღებდენ შენიშნულ პირებს, რის შემდეგ გამოყავდათ სახლებიდან და კლავდენ. ერთ ღამეს მოკლეს ხუთი რაზმელი: კვიმსაძე, პატარიძე და სხვები.

დ. ი. შერმანი.

ამხ. კამო [1])

მიხეილის საავადმყოფოდან გაქცევა.

1911 წლის აგვისტოს 15-ს, ნაშუადღევის 4 საათზე, ამხ. კამო გაიქცა მიხეილის საავადმყოფოდან.

ამ გაქცევის შესახებ დანიშნულმა „წინასწარ გამოძიებამ“ გამოარკვია, რომ ჯერ კიდევ 1903 წელს ამხ. კამო პასუხის გებაში იყო მიცემული პროკლამაციების შენახვის საქმეზე და მოთავსებული იყო ბათუმის ციხეში, საიდანაც გაიქცა 1904 წლის სექტემბრის 17-ს.

ერევნის მოედანზე თავდასხმა ამხ. კამომ მოაწყო 12 ამხანაგის მონაწილეობით, რომლებიც შეიარაღებულნი იყვნენ ბომბებითა და რევოლვერებით—1907 წლის ივნისის 13-ს. ფული მიჰქონდა სახელმწიფო ბანკის მოლარე, კურდიუმოვს. თავდასხმის დროს მოკლულ

[1]) იხ. „რევ. მატ.“ № 4—5 (9—10)—1924 წ.

იქნა ყაზახი, „გოროდოვოი“ და ქრთიც შემთხვევით გამვლელი, ბევრი დაიჭრა. წაიღეს 250 ათასი მანეთი.

გატაცებული ფული ამხ. კამომ უკლებლივ გაიტანა საზღვარგარეთ და ბერლინში შეუდგა რ. ს. დ. მ. პ. ბოლშევიკური ფრაქციისათვის ასაფეთქებელ მასალათა და იარაღის შეძენას, რომლებიც უნდა გადმოეტანა რუსეთში ტერორისტული აქტების მოსახდენად. ამხ. კამო შეიპყრო გერმანიის პოლიციამ 1907 წლის ნოემბერში. როგორც გამოძიებიდან სჩანს, აქ ამხ. კამომ მთავრობის თვალის ასახვევად თავი შეშლილად აღიარა. 1909 წლის სექტემბერში ამხ. კამო, როგორც სულით ავადმყოფი და სატერონო უცხოელი გერმანიიდან გაძევებულ იქნა რუსეთში. (როგორც პოლიტიკური დამნაშავე, მისი დასასჯელად გაცემა არ შეიძლებოდა). როგორც კი გადმოადგმევინეს ამხ. კამოს ფეხი რუსეთის ტერიტორიაზე, წამსვე ის შეპყრობილ იქნა და ბორკილებში დაჭედილი მოიყვანეს ტფილისში.

საქმე ამხ. კამოს შესახებ კი—მოლარე კურდამიროვზე „ყაჩაღურ თავდასხმის“ თაობაზე და სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრობაზე გადაეცა კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლოს. საქმე უნდა გარჩეულიყო სამხედრო დროის წესების მიხედვით (სიკვდილით დასჯა).

წინასწარი გამოძიების დროს ბრალდებულ პეტროსოვს არ ეტყობოდა ჭკუა-გონების არანორმალური ნიშნები, მაგრამ საოლქო სამხედრო სასამართლოს სხდომაზე ის გამოცხადდა ჩიტი-ბელში, რომელიც ძაფით ჰყავდა დაბმული და დაიწყო ისეთი პასუხის მიცემა, რომელიც სრულიად არ შეეფერებოდა დაყენებულ კითხვებს და საერთოდ ახდენდა ჭკუიდან შეშლილი ადამიანის შთაბეჭდილებას. ამიტომ მისი საქმე დაბრუნებულ იქნა ხელ-ახალ, დამატებითი გამოსაძიებლათ და ბრალდებულის ჭკუა-გონების ნორმალურ მდგომარეობის გამოსარკვევად.

ამის გამო ტფილისის საოლქო სასამართლოს პროკურორმა მოახსენა ტფილისის სასამართლო პალატას, რომ სიმონ ტერ-პეტროვის დანაშაულს ექსპროპრიაციის საქმეში სხვა საბუთებს გარდა ამტკიცებს მის ხელში ჩარჩენილი გასროლილი ყუმბარის ნატეხები. არც პოლიციის დეპარტამენტის მოხელეთა მიერ დაკითხვის, არც ფორმალური დაკითხვის, არც წინასწარი გამოძიების დროს პეტროსიანცი არავითარ საბუთს არ იძლეოდა, რომ მისი ჭკუა-გონება არანორმალური იყო, პირიქით, ყურადღებას იქცევდა თავისი თავდაჭერილობით და სიფრთხილით ჩვენების მიცემის დროს. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ოპერაციის საშვალებით მარჯვენა ხელიდან ამოუღეს ყუმბარის ნატეხები და ექსპერტიზამ დაადასტურა ის ექვები, რაც მასზე იყო მიტანილი, რითაც სასტიკი სასჯელი მოელოდა,—სამხედ-

რო სასამართლოს სხდომის წინ გამოიჩინა შეშლილობის ნიშნები, რომელნიც პროკურატურის მიერ შეგროვილი ცნობების მიხედვით აშკარა სიმულაციაა.

მაგრამ სამხედრო სასამართლომ ოთხი ექსპერტის ექიმ-ფსიქიატრების დასკვნის თანახმად გამოიტანა დადგენილება „საქმის გარჩევა არსებითად შეაჩეროს, თვით პეტროსიანი შეამოწმოს სპეციალურ საავადმყოფოში მოთავსებით“.

შემდეგ პროკურორი სწერს: „ამ დადგენილების სისრულეში მოსაყვანად პეტროსიანცის მიმართ, რომელიც გამოჩენილი რევოლიუციონერია და უდიდესი პოპულიარობით სარგებლობს არა თუ რუსეთის, არამედ საერთაშორისო მასშტაბით (სასამართლოში საქმის დაწყებამდე პრესის რეხისტაგში შეტანილ იქნა შეკითხვა სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის მიერ შინაგან საქმეთა მინისტრისადმი **პოლიტიკური** ტერორისტის პეტროსოვის რუსეთის პოლიციისათვის გადაცემის გამო), მე მოგახსენებთ დამატებით. რადგანაც ტფილისში არ მოიპოვება ისეთი ფსიქიატრიული დაწესებულება, საიდანაც შესაძლებელი არ იყოს პეტროსოვის გაქცევა“.

ამას პროკურორი დასძენს, რომ „ტფილისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის შეკითხვაზე პოლიციის დეპარტამენტმა არ მისცა პირდაპირი პასუხი იმის შესახებ, თუ რა პირობით გადასცა გერმანიის მთავრობამ ის რუსეთისას. მაგრამ მთავარი სამხედრო პროკურორის ცნობიდან სჩანს, რომ რუსეთის მთავრობას არ მოუთხოვია ტერ-პეტროსოვის გაცემა, არამედ—მოხდა მისი გაძევება გერმანიის საზღვრებიდან... დამნაშავე პეტროსოვს გერმანიაში იცავდა ადვოკატი კონი, რომელმაც ის შეიყვანა გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში და დღემდე განაგრძობს მის შესახებ ზრუნვას“.

პროკურატურის ცნობა ვექილი კონის შესახებ უეშმარიტებასთან ახლოსაა. თვით ამბ. კამო იხსენიებს კონს, რომელიც სოციალისტების საერთაშორისო კონგრესზე დელეგატად იყო და რუსეთის დელეგატებს ესაუბრა კამოს შესახებ. ამ კონის შესახებ აგრეთვე მოხსენებულია იმ დღიურში, რომელიც მეტეხის ციხის ტალანში იპოვეს 1913 წლის სექტემბერში...

ამბ. კამოს შემოწმება (ფსიქიატრიული ექსპერტიზა) მოხდა ტფილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის მე 2 განყოფილების სხდომაზე. აქ წარმოდგენილი იყო კამოს შემდეგი ბიოგრაფია: დაიბადა ქ. გორში 1882 წლის მაისის 16-ს, მღვდლის შვილის შვილი. მამა მისი არშაკ ტერ-ნერსესისძე ტერ-პეტროსოვი, დედა მარიამ აივაზოვის ასული. სომეხ-გრიგორიანთა სარწმუნოების, რუსეთის ქვე-

შეერდომი. ბავშვობაში სულით ავადმყოფი არ ყოფილა [1]). ავად იყო მხოლოდ წიაღლათი და ყვავილით. მაგარ სასმელებს არ ეტანებოდა, დაჭრილი არ ყოფილა. 7-8 წლისა მიაბარეს გორის საქალაქო სასწავლებელში, მიუხედავათ შრომის მოყვარეობისა სწავლობდა ცუდათ, ამის გამო სწავლას თავი გაანება. როცა დაახლოებით ოცი წლისა იქნებოდა, დედა მოუკვდა, რის შემდეგ დასტოვა ოჯახი და შეუდგა რევოლიუციონურ მუშაობას. შეიპყრეს ბათუმში, სადაც პროკლამაციებს ავრცელებდა და მოთავსებულ იქნა ბათუმის ციხეში. ციხიდან გაიქცა. ამის შემდეგ მონაწილეობას ღებულობს სხვადასხვა სტამბების მოწყობაში (სულ 11), აწყობს რამდენიმე ლაბორატორიას ყუმბარების დასამზადებლათ და ბოლომად შემოაქვს იარაღი. ამავე დროს არის აქტიური რევოლიუციონერი-ტერორისტი. მარცხენა ხელში მრავლად მოეპოვება იმ ყუმბარის ნატეხები, რომელიც მომზადების დროს ტფილისში ხელში ჩაასქდა. ამას გარდა დაზიანებული აქვს მარჯვენა თვალი. მონაწილეობას ღებულობდა მთელ რიგ პატარა და დიდ ექსპროპრიაციებში, მათ შორის, თბილისში მოაწყო ერევნის მოედანზე 250.000 მანეთის გატაცება, სადაც გასროლილ იქნა 8 ყუმბარა, ამის შემდეგ მონაწილეობას ღებულობდა იმ კომისიაში, რომელსაც გატაცებული ფულით უნდა შეეძინა იარაღი. 1907 წლის იელისსა და აგვისტოში ცხოვრობს ლენინთან (ფინლიანდიაში, სექტემბერში—ქ. ლიეჟში (ბელგია). იქ ხვდება თავის ნაცნობ ვოლოხს, რომელიც შველის მას იარაღის შეძენაში რუსი რევოლიუციონერების შესაიარაღებლათ. 9 ნოემბერს შეპყრობილ იქნა ბერლინში ავსტრიის ქვეშევრდომის დიმიტრი მირსკის პასპორტით. ორ-ძირიან ჩემოდანში მას აღმოაჩნდა ძლიერი ყუმბარის მოსამზადებელი ნაწილები. მის ბინაზე აღმოჩნდა დიდძალი ასფეთქებელი მასალა, ელექტრომოძრავი, რომლის საშუალებით აფეთქების მოწყობა შეიძლება დიდს მანძილზე და ამას გარდა აღმოაჩნდა დიდძალი არალეგალური ლიტერატურა რუსულ ენაზე. დაპატიმრებისთანავე აღმოაჩნდა ფსიქიური ავადმყოფობის ნიშნები, რისთვისაც ბერლინის ლანდგერიხტის უფროსმა პროკურორმა საჭიროდ დაინახა მიემართა შეშლილთა საავადმყოფოსთვის წარმოედგინა თავისი დასკვნა მირსკის ავადმყოფობის შესახებ, რომელიც იმ ხანად მოთავსებული იყო სავამომძიებლო ციხეში (მოაბიტი).

1908 წლის თებერვლის განმავლობაში ციხეში მოხდა გამოკვლევა: ყოველდღიური ჩანაწერი ასეთია: შფოთავდა, გაჩერებული იყო

[1]) ბერლინში ფსიქიატრის შეკითხვაზე რით ავადმყოფობდა ბავშვობაში—კამომ თავისებური იუმორით შეზავებული, ასეთი პასუხი გასცა: „ბავშვობაში ვიყავი, გატაცებული სომეხი პატრიოტი“.

კუთხეში, პასუხს არ იძლეოდა; ტანთ გაიხადა, არც ერთ შეკითხვაზე პასუხს არ იძლეოდა; კვნესას და ოხრავს, საშველი არ მიიღო. სპეციალისტი ექიმების გოუმანის და ლაპპანის დასკვნა ასეთია: მორსკის ყოფა-ქცევის დამახასიათებელი ნიშნები არ შეიძლება გამოჩენილ იქნას სიმულიაციის სახით დიდი ხნით. ასე იქცევა მხოლოდ ნამდვილი ავადმყოფი, რომელიც ჭკუაზე შერყეულია... აქ ჩვენ საქმე გვაქვს სულიერად შერყეულ ადამიანთან. ამ ავადმყოფობას ეწოდება ისტერია. ამ ჟამად მორსკი სულით ავადმყოფია და ასევე დარჩება სამუდამოდ.

გერცბერგის საავადმყოფოში მომხდარი ჩანაწერი ივნისის განმავლობაში შემდეგს ამბობს: დადის, იძღერის; ამბობს თავი მტკივაო და დასძენს—სიცოცხლეს სიკვდილი სჯობიაო; ულვაშების ერთი ნაწილი მოიგლეჯა—ამხანაგებს უნდა გავუგზავნო სამახსოვროთო; ხშირად სტირის—ადგილებ ბერლინის პოლიციას რუსულად და გერმანულად, ამბობს, რომ მას აწვალებენ ისპანიის ინკვიზიტორები.

29 ივნისს გადაყვანილ იქნა მეორე კლინიკაში. კლინიკის მთავარი დირექტორის ჩანაწერი ასეთია: კითხვა: თქვენი სახელი? პასუხი—სიმონ ტერ-პეტროსოვი. „ტერ“ იმას ნიშნავს, რომ წარმოშობით ვეკუთვნი სასულიერო წოდებას. კითხვა—როგორ სარწმუნოებას ეკუთვნით? პასუხი:—მე სომეხი ვარ. ჩვენი სარწმუნოება ცოტაოდნ განსხვავდება მართლმადიდებელთა სარწმუნოებისაგან. კითხვა—რამდენი მცხოვრებია რუსეთში? პასუხი: ორი მილიონი (იცინის) მე ვტყუი, 200 მილიონი. რა იცით თქვენ ეკატერინე II შესახებ? ამ უცნაურ და საშინელ ადამიანზე მე არა მსურს ლაპარაკი. რა იცით პეტრე დიდის შესახებ? ის რუსთა მეფე იყო. დადიოდით თქვენ როდისმე ეკლესიაში? არა. მე ჩემი ღმერთი მყავს, მე არ ვსცნობ პოლიციურ ღმერთს. მე მრწამს ჭეშმარიტი ღმერთი. ჩემი სარწმუნოებაა სოციალისტური სახელმწიფო. მე მრწამს კარლ მარქსი, ენგელსი და ლასალი.

ხანგრძლივი დაკვირვების შემდეგ კლინიკის დირექტორმა ის დასკვნა გამოიტანა, რომ კამო სრული ჭკუის პატრონი არ არის და მისი ისტერო-ნევრასტიული მდგომარეობა ამკარა შეშლილობათ გადაიქცეს, რომ მოგონებულ სიმულიაციაზე ლაპარაკი ზედმეტია, რომ პეტროსოვს ამ ჟამად არ ძალუძს სასამართლოში საქმის გარჩევაში მონაწილეობა, არ შეუძლია სასჯელის მოხდა და არც არასოდეს შეეძლება ეს მას.

1909 წლის სექტემბრის 21 ტერ-პეტროსოვი გერმანიის მთავრობის აგენტებმა გადმოიყვანეს რუსეთის ტერიტორიაზე, სადაც ის მიიღო რუსეთის პოლიციამ და მიიყვანა ქ. კალიშის ქანდარმთა სამმართველოში. აქ კამოს ბორკილი დაადვეს ხელებზე და სურათი

გადაიღეს და გადმოგზავნეს ტფილისის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოში. დაკითხვის შემდეგ დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის 102 მუხ. თანახმად. მეტეხის ციხეში, ვიდრე სამხედრო სასამართლო საქმის გარჩევას შეუდგებოდა, ამხ. კამოს გამოაჩნდა შეშლილობის ნიშნები. სამხედრო სასამართლომ მიიღო რა მხედველობაში ექიმთა ექსპერტიზის დასკვნა, კამოს საქმე შეაჩერა. მაგრამ პროკურორმა და ციხის ადმინისტრაციამ ადრე შენიშნეს, რომ კამოს ავადმყოფობა მოგონილი იყო. ტფილისის საოლქო სასამართლოს პროკურორი 1910 წლის აპრილში სწერდა მეტეხის ციხის ზედამხედველს, რომ პეტროსოვის არანორმალური მდგომარეობა მას მიაჩნია სიმულიაციათ და ამიტომ წინადადებას იძლევა დამწყვდეულ იქნას ის ცალკე კამერაში. და რადგანაც მოსალოდნელია მისი ციხიდან გაქცევა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

პროკურორის მიმართვაზე ციხის ზედამხედველმა რიმკევიჩმა წააწერა: „კამერას დაადეთ ორი დიდი ბოქლომი და აცნობეთ, რომ ჩემთან ის სრულიად ჯანსაღია. ის ფსიქიური ავადმყოფი შეიქმნა სასამართლოში". 21 დეკემბერს 1910 წელს ტფილისის საოლქო სასამართლოს დადგენილებით, თანახმად იმავე წლის 23 ნოემბრის დადგენილებისა, მოთავსებულ იქნა მიხეილის საავადმყოფოს სულით ავადმყოფთა „ახალს" განყოფილებაში და შემდეგ ხელახალ შემოწმებისა, რომელიც მოხდა 1911 წლის დეკემბერში, როცა ის საბოლოოდ იქნა ცნობილი ჯეუიდან შეშლილად, ისტერიული ფსიქოზის ფორმით, რაც ნიშნავს ჭკუით ნაკლებობას იმ ზომამდე, რომ მას არ შეუძლია შეიგნოს თავის მოქმედებათა თვისება, კამო სრულ გაჯანსაღებამდე დატოვებულ იქნა მიხეილის საავადმყოფოში.

საავადმყოფოს ადმინისტრაციამ ყოველგვარი ზომები მიიღო, რომ კამო არ გაქცეულიყო. კამო მოთავსებულ იქნა საგანგებო ოთახში, ცალკე პალატაში, რომლის გასაღები ჩაბარებული ჰქონდა სპეციალურად მიჩენილს ორ დარაჯს. თვით კამოს კამერის გასაღები ჰქონდა ზედამხედველს (ფერშალს), რომელიც მორიგეობის დროს მუდამ იქ იმყოფებოდა და რომლის ნება დაურთველად კამერიდან გამოსვლა არავის შეეძლო. მეცხრე უბნის პოლიციამაც თავის მხრით მიიღო ზომები—დაწესა იქ მოდარაჯე „გოროდოვოების" სამი „პოსტი": ღამით, საღამოს 6 საათიდან მტკვრის პირად იმ ფანჯარასთან, საიდანაც შემდეგ კამო გაიქცა დღის 4 საათზე. დღით სადარაჯო „პოსტები" მოწყობილი იყო ჰიშკართან და ეზოში. როდესაც საბოლოო შემოწმების შემდეგ კამო აღიარებულ იქნა სულით ავადმყოფად და დატოვებული საავადმყოფოში მოსარჩენად, პროკურატურამ მაინც არ დაინახა შესაძლებლათ მისთვის მოეხსნა ხელზე ბორკილები, რასაც გაქცევამდე კამო ატარებდა. საინტერესოა იმის გამორ-

კვება, თუ რა სახით ჩაატარა მან თავისი შეშლილობის სიმულიაცია ექსპერტიზის დროს. ჩვენ უკვე ვიცით როგორ იქცეოდა ის ასეთ შემთხვევაში ბერლინში, ეხლა გავიგოთ როგორ მოიქცა ის ტფილისში—ჯერ მეტეხის ციხეში, შემდეგ მიხეილის საავადმყოფოში. 1910 წლის ნოემბერის 1-ს პროკურორის ამხანაგის უთნელოვის დასკვნაში შემდეგს ვპოულობთ: ციხის ექიმი იაშვილი აჩვენებს, რომ ავადმყოფი დიდხანს არის გაჩერებული ერთს ალაგას და უკქერის ფანჯარაში ერთს წერტილს, რაღაცას ბუდბუდებს ან თავის თავს ელაპარაკება, სრულებით არ ფიქრობს თავის თავზე და თავის მომავალზე, როგორც სჩანს, არ აინტერესებს თავისი მდგომარეობა. ზოგჯერ ჩივის, რომ მას აწუხებენ თაგვები, თუმცა მის პალატაში თაგვები არ არიან, ამბობს, რომ მოესმის ვიღაც უცხოს ხმა, პასუხს აძლევენ მას მიცემულ კითხვებზე. ციხის ზედამხედველი აჩვენებს: ტერ-პეტროსოვი ზოგჯერ თავის თავს ელაპარაკება, დადის პალატაში, ხელებსა შლის, ბოდავს, მუსაიფის დროს სალაპარაკო საგანს სცდება, ერთი საგნიდან მეორეზე გადახტის, მასთან მისულთ ვერა სცნობს, მაგრამ შეა თუ არა ციხის უფროსი,—ზეზე დგება. საავადმყოფოს მოსამსახურე (ტუსაღი) აჩვენებს: თავისი მოქმედებით ტერ-პეტროსოვი შეშლილის შთაბეჭდილებას ახდენს, რაღაცაზე ლაპარაკობს, რასაც ვერ გაიგებთ, ლაპარაკობს რომელიღაც მოგზაურობის შესახებ სახლვარგარეთ, სამჯერ უარი სთქვა საჭმელის მიღებაზე. ციხის ზედამხედველი პროხორენკო აჩვენებს, რომ ავადმყოფი ღამით დგება, რაღაცას იუერს ჰაერში, კედელზე ან იატაკზე, მიძვრება მაგიდის ქვეშ, იქ რაღაცას ეძებს იმ დროს, როცა კამერაში არავინ არ არის, სჩივის, რომ მას ქვებს ესვრიან და როცა შეეკითხებით ვინ ესვრის—გიპასუხებთ: „ბებერი ეშმაკის ძმა." დილით ავიწყდება ყველაფერი ის, რაც ღამით ილაპარაკა ან მოიმოქმედა. დები ჯავაირა და სანდუხტა აღნიშნავენ კაპოს გასაოცარ ყოფაქცევას ნახვის დროს: ის მათ ეკითხება დედის შესახებ, რომელიც ათი წელია რაც გარდაცვალა, ზოგჯერ მოულოდნელად გაქცეულა ნახვის დროს, დადის მეტად ჯუჯუიანი, სჩანს, თავის თავს ყურადღებას არ აქცევს.

მეტეხის ციხის საავათმყოფოს ამ ფურცელში, რომელშიაც აღინიშნება ხოლმე ავადმყოფობის მიმდინარეობა, ჩაწერილია შემდეგი: სჩივის, რომ თაგვები მას არ აძინებს. თითქოს მას ორი თაგვი მოეკლას. დაჯდება იატაკზე, ათამაშებს „კრუჟკას", რომელსაც შუაზე ასანთი აქვს გაყრილი, სჩივის, რომ ცხვირიდან ტვინი გადმოდის. სახე გაფითრებული აქვს, ბევრს სწევს, თვალები ამღვრეული აქვს, თვალის ცილა ნათელა დაპატარავებული, თითებისა და თავის ქანაობა, მუსკულების რეფლექსი მომატებული აქვს".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა მოვიყვანოთ მიხეილის საავადმყოფოს ჩანაწერი, რომელიც აწარმოებდა უმცროსი ორდინატორი, ექიმი გედევანოვი და ამოწმებს უფროსი ექიმი ორბელი.

23 დეკემბერს 1910 წ. გამოსაცდელი პირი მოიყვანა „კონვოიმ“ მეტეხის ციხიდან ფეხებში ბორკილ შეყრილი. ბორკილი ღვედით აქვს ჩამოკიდებული მხრებზე, ხელზე უზის ჩიტი, რომელსაც უწოდებს პეტკას. მას არ იშორებს. მოყვანილია 1910 წ. 21 დეკემბერს გამოსაცდელად ჭკუაზე იმყოფება თუ არა. გამოეწერა 1911 წ. აგვისტოს 15-ს. გორის მოქალაქე, ლატაკი, განსაზღვრული ხელობა არა აქვს, 28 წლისაა, სახის გამომეტყველება სულელური აქვს, აპატიური, მიცემულ კითხვებზე სრულ პასუხს არ იძლევა. არ ესმის სად მოიყვანეს, ან რა მიზნით. ჩიტი ჩამოართვეს. მშვიდათ არის.

23 დეკემბერი. საუზმეზე და სადილათ არ მიიღო ხორცის შეჭამადი. არაფერი არ აინტერესებს. მისთვის სულ ერთია რანაირ მდგომარეობაშიაც არ უნდა დარჩეს. სრულიად არ აინტერესებს, თუ რა მოელის მას შემდეგში, ხშირად ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ საჩუქარგაართ მას აქვს საუცხოოდ მოწყობილი ავტომობილის ქარხანა, რომელიც დიდს შემოსავალს იძლევა, ლაპარაკობს, რომ მას მოსწონს ფრინველი და თავისი ჩიტი—პეტკა, დაწოლის წინ დიდხანს ტრიალებს და რაღაც გაუგებარს ბუდბუტებს. მოთავსებულია ცალკე პალატაში. მიჩენილი ჰყავს განყოფილების ზედამხედველი და ორი მსახური, რომელნიც რიგ-რიგობით დარაჯობენ დღით და ღამით.

24 დეკემბერი. გამოცდა მოხდა ძლიერი ფორადიული „ტოკით“ და აღმოჩნდა: კუნთებრივი შეგრძნობა შესუსტებულია, კანის შეხებითი გრძნობა მიჩლუნგებულია ისე, რომ ზოგჯერ ტკივილს სრულიად არა გრძნობს. კუნთების მეტის მეტი შემოკლების გამო არავითარ ტკივილებსა არა გრძნობს და საერთოდ სრულიად არ მოქმედობს, თუ რაგვარ ცდას ახდენენ მასზე, ძლიერ უკრთის ენა და ხელები უკანკალებს. გულის ცემა წამში აქვს 90-მდე.

შემდეგ მოყვანილია ჩვეულებრივი დაკვირვებანი—როგორ ლაპარაკობს, როგორ დადის, რას აკეთებს ავადმყოფი და სხვ. აპრილის 20-ს კი საავადმყოფოს უფროსი ორდინატორი ექიმი ორბელი შემდეგს დაასკვნის: „ტერ-პეტროსოვზე მომხდარმა დაკვირვებამ დავენახვა არსებითი გადახრა როგორც ფიზიკური, ისე ფსიქიური მხრით. ფიზიკურის მხრით აღნიშნულია თავის ქალის დაზიანების ნიშნები, მარჯვენა თვალის დაზიანება თითქმის სულ დაბრმავებამდე, ხელისა და ენის კანკალი, შეხების გრძნობის ისე შემცირება, რომ ზოგჯერ ტკივილს სრულიად აღარ გრძნობს, კანისა და ხრტილების რეფლექსების გაძლიერება, დერმოგრაფიზმი და სრული უძილობა.

ფსიქიურის მხრით გრძნობის, ინტელექტისა და ნების მოშლა. გალიუცინაციისა და ბოდვის შინაარსის თანაბრად ცვალებადი სულერი განწყობილება, დევნის მანია, ადგილისა და დროს გაურჩევლობა, არ ცოდნა იმისი, თუ რისთვისაა ის მოთავსებული საავადმყოფოში. მეხსიერების, ყურადღებისა და კრიტიკის ნიჭის შესუსტება".

ამსახით, სიმულიაციას ექ. ორბელი უარყოფს.

საინტერესოა საავადმყოფოს ჩანაწერი და დაკვირვებანი იმ დღეებისა, როცა ამხ. კამო ფანჯრის რკინებს და თავის ბორკილებს ქვიბით სჩრიდა.

2 აგვისტო. ავადმყოფი მშვიდათაა, ხანდახან მღერის, ნაცნობ-მოყვრების შესახებ არავის არ ეკითხება. თავის მდგომარეობას ინდიფერენტულად უცქერის. ბევრს სწევს პაპიროსს. საშველს ხალისიანად ღებულობს.

4 აგვისტო. ფიზიკურად სუსტდება. ხდება: საშველს ცოტასა სჭამს. ამბობს გულის კოზი მტკივაო. საღილის შემდეგ ოდნავად თავ-ბრუ დაესხა. როგორც სჩანს, ავადაა. საღამოზე უკეც შეიქნა. (წამალი — გოფმანის წვეთები მიიღო; ამ დრომდე მას სწამლობდენ ვანების საშუალებით).

8 აგვისტო. სრულიად მშვიდათაა. კარგათ სძინავს, არაფერს არ აკეთებს, ზოგჯერ სტვენს, მღერის. ნათესავთაგან არავის არ კითხულობს. საშველს ხალისიანად შეეჭცევა.

13 აგვისტო. ავადმყოფი თითქმის მთელი დღე ლოგინში წევს. ცოტასა სჭამს. ამბობს, რომ გულის კოზი მტკივაო.

15 აგვისტო. ნაშუადღევის 4 საათზე, ჩაის ჩამორიგების დროს, ავადმყოფმა ფეხის ალაგში წასვლა ითხოვა. მორიგმა მოსამსახურე ქალკოვმა ის გააცილა და იმ წამსვე წავიდა შეშლილ ავადმყოფ მირზაიანცისაკენ, რომელიც აბრახუნებდა. როდესაც ჩაი მიიტანეს ტერ-პეტროსოვის კამერაში, ის იქ არ აღმოჩნდა. აო აღმოჩნდა არც ფეხისადგილში. ამ ხანებში ის საავადმყოფოდან გაქრა.

აი როგორ აგვიწერს ამბ. კამოს გაქცევას საავადმყოფოდან საავადმყოფოს მოსამსახურე იგნატი ბრაგინი, რომელიც კამოს გაქცევაში ხელს უწყობდა, მაგრამ დაპატიმრების შემდეგ ბრაგინმა გასცა გაქცევის ყველა მომწყობნი.

„როდესაც მე პენზის გუბერნიიდან ჩამოვედი, სამსახურში დავდექი სულით ავადმყოფთა თავშესაფარში, მაშინ იქ პეტროსოვი არ ყოფილა. ის მოიყვანეს 1910 წ. ნოემბერში. პირველად მე ვმუშაობდი მშვიდ ავადმყოფთა განყოფილებაში, მაგრამ შემდეგ გადამიყვანეს მშფოთარე ავადმყოფთა პალატაში. პეტროსოვი მოიყვანეს ბორკილებში დაჭედილი. მანამდე საავადმყოფოში ბორკილებში ავადმყოფი არ ყოფილა. ის მოათავსეს ცალკე კამერაში და მიუჩინეს

ორი ფერშალი—ზედამხედველი. პირველად ზედამხედველები მოითხოვდენ ჩვენგან, რომ სასტიკად გვედევნებია თვალყური პეტროსოვისთვის. მისი კამერა იმ ხანებში ბოქლომით იყო დაკეტილი. ასე გაგრძელდა $1^1/_2$ თვე. შემდეგ კამერის დაკეტვას თავი მიანებეს. პეტროსოვმაც დაიწყო კამერიდან გამოსვლა, სეირნობა „კორიდორში". სეირნობას მას არ უშლიდა არც ეჭმი, არც ზედამხედველი. თვენახევრის წინ, გაქცევამდე, ერთხელ პეტროსოვმა მითხრა, რომ წერილი უნდა წამიღო დასთანო. მე დავთანხმდი. ის იქვე შევიდა თავის კამერაში და წერილი დასწერა ქართულად. ფანქარი და ქაღალდი მას უკვე წინად ჰქონდა მიცემული. პეტროსოვმა სიტყვიერად ამიხსნა, რომ წერილი მიმეტანა ეგზარხოსის მოედანზე (№ 5) და გადამეცა მისი დის ჯავაირასათვის. ერთი დღის შემდეგ მე წაველ შვებულებაში და წერილიც დანიშნულებისამებრ წავიღე. შუადღის 12 საათი იყო, რომ მივედი დანიშნულ ალაგას და ზარი დავრეკე. კარი გამიღო 17 წლის ქალმა. რადგანაც ჯავაირა სახლში არ იმყოფებოდა, დავუცადე. ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა გამხდარი ქალი, სათვალეებში. ეს იყო ჯავაირა, რომელსაც გადავეცი წერილი. ჯავაირას პასუხი გადავეცი საავადმყოფოში პეტროსოვს. ამის შემდეგ პეტროსოვი გამომტყდა, რომ მას განზრახული აქვს საავადმყოფოდან გაქცევა საზღვარგარეთ, მეც მომცა წინადადება წავსულიყავ მასთან ერთად. ის მეტად აქებდა საზღვარგარეთის წყობილებას, შემპირდა, რომ იქ სასწავლებელში მიგბარებო და სხ. ის სერიოზულად ლაპარაკობდა და მეც დავიჯერე, რომ ის ყველაფერს შეასრულებდა. ექიმებთან და ფერშლებთან კი მას თავი სხვანაირად ეჭირა. მათთან ლაპარაკობდა როგორც შეშლილი, ისე კი—იქცეოდა როგორც ჭკვიანი ადამიანი. „კორიდორში" ხშირად თამაშობდა ის მოსამსახურეებთან ქაღალდს. ის თამაშობდა მოსაზრებულად, ხშირად ჩვენ გვჯობნიდა. საზღვარგარეთ წასვლაზედაც ხშირად ლაპარაკობდა ჩვენთან, როცა დავთანხმდი მასთან ერთად გაქცევას, წინადადება მომცა, რომ შემდეგი შვებულების დროს მივსულიყავ მის დასთან და წამომეღო ბორკილების გასახერხად ინგლისური ხერხი. ასეც მოვიქეცი. წერილის გადაცემის შემდეგ ცოტა ხნით დავიცადე იქ და მერმე გავემგზავრეთ ვერის სასაფლაოზე. იქ ჩვენ გველოდებოდა უცნობი, წითური ქართველი, 27 წლისა, საშუალო ტანის, რომელსაც წვერი მოპარსული ჰქონდა, ულვაშები—არა. პეტროსოვის დები მას ელაპარაკებოდენ ქართულად, ეძახდენ კოტეს (კოტე ციწციძე). კოტემ გადმომცა 4 შეკვრა ხერხი, თითეულში იყო, ალბად, თორმეტი ცალი, თოკი და რაღაც მოღუნული საგანი და რუსულად მითხრა, რომ ყველაფერი ესენი გადამეცა ტერ-პეტროსოვისათვის. ესენი მე მივიტანე საავადმყოფოში. ამ საგნებს პეტროსოვი ინახავდა კამერაში ლოგინს

ქვეშ, რომელსაც არას დროს არ ჩხრეკდენ. პეტროსოვიც შეუდგა ბორკილების და ფანჯრის რკინების ხერხვას. მეტ ნაწილად ის მუშაობდა ჩემი მორიგეობის დროს. ფანჯრის გახერხილ რკინას ის სცხებდა პურს. მისი ასეთი მუშაობა გაგრძელდა ერთი კვირა. შემდეგ გახერხა ბორკილები და ცოტათი გაამაგრა წვრილი მავთულით, რათა უდროოდ არ დაშლილიყო. გახერხილ ბორკილებში ის ერთი კვირა დადიოდა. ამის შემდეგ 11 აგვისტოს მან ხელ-ახლა გამაჯავნა დიმთან კოსტიუმისათვის, რომლითაც უნდა გაქცეულიყო. შევთანხმდით, რომ 14 აგვისტოს მე უნდა მივსულიყავ ალექსანდროვის ბაღში, იქ შეხვედებოდი არუსიაკას, რომელიც წამიყვანდა კოსტიუმისათვის. ამ ხანებში გაქცევის დღე უკვე გადაწყვეტილი იყო 15 აგვისტოსთვის. 14 აგვისტოს დილით პეტროსოვმა კვლავ გამატანა წერილი თავის დასთან, არუსიაკთან და მითხრა, რომ დღესვე წავსულიყავ ქუთაისში. ჩემს მაგივრად სხვა დავტოვე სამსახურში და სადილის შემდეგ წავიღე წერილი. წასვლის წინ პეტროსოვს განუცხადე, რომ გაქცევა შეიძლება ჩაიშალოს, უკეთუ გაიგებენ სხვა მოსამსახურენი ან ზედამხედველი მეთქი. მან მიპასუხა, რომ ეს არაფერია. ისინი დაინახავენ, მაგრამ არაფერს იტყვიანო. ალექსანდროვის ბაღიდან არუსიაკამ წამიყვანა არსენალის შესახვევში № 10, ვიღაც ქალის ბინაზე, სადაც ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა კოტე და მომიტანა ის პალტო, რომელშიაც შემიპყრეს. ჩავიცვი ეს პალტო და კოტესთან ერთად წავედი სადგურში. იქ მან მიყიდა მესამე კლასის ბილეთი, მოცა 5 მანეთი და ქალაღდზე დამიწერა შემდეგი მისამართი—„ძველი ტფილისის ქუჩა, აკაკი ჟორჟოლაძეს". ამ პირთან მიველ ქუთაისში და მასთანვე დავსახლდი. 11—12 დღის შემდეგ ქუთაისში ჩამოვიდა კოტე და მომიტანა პასპორტი ფილიმონ სოკოლოვის სახელობაზე. ჩემს შეკითხვაზე —სად იმყოფებოდა პეტროსოვი, კოტემ მიპასუხა, რომ ტფილისშიაო. როცა შემდეგ ჩამოვიდა კოტე, მითხრა, რომ პეტროსოვი საზღვარგარეთ წავიდაო. მე კი ოთხი დღის შემდეგ გადამიყვანეს უცნობ სტუდენტის ბინაზე, სადაც შემიპყრეს. პასუხისგებაში მიმცეს მაწანწალობისათვის, რადგანაც პოლიციამ გამოარკვია, რომ პასპორტი ყალბი იყო. ფანჯრის რკინის გახერხვაში მე მონაწილეობა არ მიმიღია, ეს გაკეთა თვით პეტროსოვმა. ამისათვის ის დადგებოდა ხოლმე ხელის დასაბანზე, საიდანაც ფანჯარა ახლოს იყო. გაქცევაში შეულისათვის მე ფული არავისგან არ მიმიღია. ზოგჯერ მხოლოდ პეტროსოვი მაძლევდა ფულს არაყისთვის, რომელიც მე ძალიან მიყვარს" [1].

[1] ასეთია ამბ. კამოს ციხეში ყოფნისა და გაქცევის ისტორია ოფიციალური დოკუმენტების მიხედვით. როგორც ჩვენს მკითხველებს ახსოვთ, ამბ. კამოს გაქცევის შესახებ მოთხრობილი ჰქონდა ამბ. კ. ცინციძეს „რეენოლ. მატ." წინა ნომრებში.

ასოთ-ამწყობი ხ. ლომთათიძე.

ჩემი მოგონებანი ძველ რევოლიუციონერ მუშაკებზე

(იხ. „რევ. მატ.“ № 4—5 (9—10)

ამ გაზეთზე („კავკაზი“) მუშაობა მაშინ ჯოჯოხეთს წარმოადგენდა. მოწყვეტილი ვიყავით სხვა რევოლიუციონურ მუშებს და თან მოკლებული ადამიანურ უფლებებს. დიდი ტანჯვა-წვალება გამოვიარეთ მუშებმა, მაგრამ მაინც ვერ მოგვერხერხებინა ცოტათი მაინც პირობების გაუმჯობესება. მიუხედავად დიდი ცდისა და გარეშე მუშების დავალებისა, გაფიცვის მოწყობა შეუძლებელი იყო, რადგან მუშებს ეშინოდათ რეპრესიების, ვერ იყვნენ პოლიტიკურად მომზადებულნი. თუ გაიგონებდენ მუშების სასარგებლო სიტყვებს, იმ წამსვე უფროსთან გარბოდენ და გვაბეზღებდენ. ავრეთვე, თუ ამ სტამბის რომელიმე მუშა მნახავდა ვინმე შენიშნულ მუშასთან გავლილს, მეორე დღეს ეს ყეყლამ იცოდა და ცდილობდენ ჩემს იქიდან გასტუმრებას. ერთხელ უფროსმა კრინინმა კანტორაში დამიბარა და გამაფრთხილა „ბუნტოვჩიკ“ მუშებთან ნუ დადიხარო, წითელი ბაირაღებით ვერაფერს გახდებითო.

ერთხელ აუარებელი პროკლამაციები აურიეთ გასასწორებელ კორექტურებში ისე, რომ ვინც მივიდოდა კორექტურის ასაღებად, მას ქვეშ პროკლამაციები შეხვდებოდა და იძულებული იყო წაეკითხა და სხვებისთვის ეჩვენებინა. საღამოს კანტორაშიაც დავფანტე პროკლამაციები, რომ უფროსს ენახა. ამ მძიმე საქმის შესრულებაში ხელს მიწყობდა ერთი პატარა შეგირდი ტოროტაძე (ერ. ტოროტაძის ძმა), რომელიც იმ წელს ჭლექით გარდაიცვალა.

მე გადავწყვიტე, რათაც არ უნდა დამჯდომოდა მომეწყო გაფიცვა თუ მაინც სტამბაში არა, გაზეთზე მაინც, ამიტომ ნიადაგის მოსამზადებლად დავიახლოვე ერთი რუსი ასოთ-ამწყობი, რომელიც წვრილ საქმეზე მუშაობდა და დიდი გავლენაც ჰქონდა მუშებში, რადგან კარგი მოლაპარაკე იყო. ეს იყო მიში კნისტოვი, რომელიც ჩემს ბინაზე ხშირად მიმყავდა და ეუმასპინძლებოდი და თან ვუხსნიდი გაფიცვის მოწყობის აუცილებლობას.

აქვე ვუდგენდი გეგმას, თუ როგორ უნდა მოგვეწყო ეს გაფიცვა. მართალია, დიდი დრო დაგვჭირდა ამ გაფიცვის მოსაწყობად, მაგრამ მაინც მოვაწყეთ და ამ საქმეში დიდი დახმარება გამიწია ამ მუშამ.

მიშა კნისტოვი პოლიტიკურად ვერ იყო კარგად მომზადებული, მაგრამ ეკონომიური საკითხები დიდად აინტერესებდა.

ერთ დღეს ჩემს სახლში შევადგინეთ მოთხოვნილება 15 მუხლისაგან. ამ ჯალაღზე ცალ-ცალკე ზოგიერთ მუშას მოვაწერინეთ ხელი და წარვუდგინეთ ნამესტნიკის კანცელიარიას და მივეცით სამი დღის ვადა (ჯალაღზე ბევრმა ხელი არ მოაწერა შიშის გამო) წინააღმდეგ შემთხვევაში გაფიცვით ვემუქრებოდით (ამის შესახებ წერილი გადავეცით „ივერია"-ში დასაბეჭდათ).

კანცელარიამ მეორე დღეს დანიშნა რევიზია და გამოკითხვა: მოითხოვეს „შეთქმულების" მომწყობი პირები. ამის გამო მუშები ძალზე აღელდენ. 15 მუხლის მაგიერ დააკმაყოფილეს მხოლოდ ორი მუხლი. მაგრამ ჩვენ დაჟინებით მოვითხოვდით სრულ დაკმაყოფილებას. მეორე დღეს შევწუვიტეთ მუშაობა. მოგვემხოო ყველა მუშები. გაზეთის გამოსვლაც შეჩერდა.

გვქონდა საიდუმლო კრება ჭალაქ გარეთ, ვერაზე და სხვაგანაც და ხშირად ვიკრიბებოდით ღვინის სარდაფებში. აქ მომყავდა კარგად მომზადებული მუშები სააგიტაციოთ: მაკ. გოგუაძე, ნოე თოთიბაძე და სხვები. ერთი კვირის გაფიცვის შემდეგ სტამბასთან გაკრეს განცხადება. ადმინისტრაცია მოითხოვდა ვინც ორშაბათს არ გამოცხადდებოდა, ის დათხოვნილი იქნებაო. მაგრამ არავინ არ წავიდა სამუშაოდ. მეორე კვირაში კიდევ გააკრეს განცხადება, რომ სტამბა იხურებაო და იწვევდენ ყველას მიეღოთ თავიანთი ხელფრი ფული.

ვზივარ გოლოვინის პროსპექტზე სკამზე ჩაფიქრებული. დამინახა ისიდორე რამიშვილმა, ისიც ჩამოჯდა ჩემთან და მკითხა საქმის ვითარება, მე ავუხსენი ჩვენი გაფიცვის საქმე და ვთხოვე რჩევა როგორ მოვიქცეთ შეთქი. ისიდორემ შესაფერი დარიგება მომცა და სხვათა შორის სთქვა, რომ დროა ახლა დაიწყოს საერთო გამოსვლა; მთელ რუსეთში. ახლა გამოსვლები ხდებაო.

მე არ გავიზიარე ისიდორეს აზრი და ვუთხარი, რომ ჯერ კიდევ ნაადრევია რევოლიუციის დაწყება, რადგან მუშები ვერ არიან მომზადებული მეთქი. ამის შემდეგ ისიდორეც დამშორდა.

პოლოს, ორი კვირის გაფიცვის შემდეგ, ორივე მხრით მოხდა შეთანხმება და მუშებმა დაიწყეს მუშაობა.

მაგრამ როდესაც მე და კნისტოვი გამოვცხადდით სამუშაოზე, ჩვენ არ დაგვიშვეს და გამოგვიცხადეს დათხოვნილი ხართო.

მუშებმა ჩვენ ორს მხარი არ დაგვიჭირეს უკან მიღების შესახებ. ჩვენ დეგვითხოვეს და იმ გაფიცვის დღეების ჯამაგირიც არ მოგვცეს. მე წაველი საჩივარით ნამესტნიკის თანაშემწე პეტერსონთან. ვჩიოდი უსაბუთო დათხოვნას. მან განმიცხადა, რომ შენზე შე-

მოტანილია ადმინისტრაციისაგან საჩივარი და გაფიცვის ხელმძღვანელობა და მოწყობა გბრალდებათ.

არ მიმიღეს. რამდენიმე ხანი უსაქმოდ დავრჩი.

მას შემდეგ მიმიწვიეს გაზეთ „ივერია“-სე სოლომონ ვადაჭკორიას მაგივრად, რომელიც იმ დროს ციხეში იჯდა. მის გამოსვლის შემდეგ მე დავიწყე მუშაობა გაზეთ „ვოზროჟდენიე“-ზე, რომელიც პირველად გაიხსნა პ. გოთუას რედაქტორობით. ამ გაზეთზე დავრჩი 16 წელიწადი (ამ გაზეთს სახელი ხშირად ეცვლებოდა, რადგან მთავრობა ხშირად კეტავდა). უკანასკნელი გაზეთი იყო „გრუზია“. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ ბევრი რამის მოწმე და მნახველი ვიყავით 1905-6 წლებში და შემდეგაც, როდესაც რევოლიუცია დამარცხდა და გამეფდა საშინელი რეაქცია, რასაც მოჰყვა რევოლიუციონერების დაპატიმრება და დახვრეტა. ამ დროს ორი კაცი ვერ გაიცილდა ქუჩაში. საღამოს 5 საათზე ყველა თავის სახლში კარჩაკეტილი უნდა ყოფილიყო; შემჩნეული პირები იმალებოდენ, რომ არ ეცნოთ და არ დაეჭირათ.

იმ დროს, ზამთარში, დილის 8-9 საათი იქნებოდა მივდიოდი დიდუბეში ჭოლა ლომთათიძესთან, რომელიც გურიიდან ახალ ჩამოსული იყო და წინა დღით მომცა თავისი ადრესი; არავინ ქუჩაში არ ჩანდა, ქუჩებში მხოლოდ პატრულები დადიოდენ. ანდრეევის ქუჩაზე შემხვდა მიხა ცხაკაია, რომელიც სადღაც მიეჩქარებოდა და ხელში დიდი ჯოხი ეჭირა. მიხა მომესალმა. მე განცვიფრებული ვეკითხები—ხომ ხედავ რა ამბებია, ნუ თუ არ გეშინია, რომ ასე თავისუფლად გამოსულხარ და დადიხარ მეთქი?—რა დროს შიშია, მე არაფრის არ მეშინიაო, მომიგო მან. შემდეგ მკითხა სად მუშაობო და სხვათა შორის შემეკითხა ზოგიერთ ნაცნობებზე, რომლებზედაც მას ეჭვი ებადებოდა მათ მოქმედებაზე და შემდეგ დამშორდდა.

ამის შემდეგ მიხა მე აღარ მინახავს [1]).

საიდუმლო სტამბის აღმოჩენა ავლაბარში სოლოლაკში, ჩუღურეთში და ფიქრის გორაზე [2]). ამ სტამბების მოწყობის ისტორია უკვე აღნიშნული იყო „მატიანეში“ და „მუშაში“. უნდა აღვნიშნოთ, რომ სტამბების მოწყობაში ჩვენც ვეხმარებოდით ტეხნიკურად. მაგ. ასოე-

[1]) როცა ნიკოლოზი ჩამოაგდეს იმ ხანებში ტფილისში (ვგონებ პირველ მაისობას) მიტინგზე დაეინახე მიხა ცხაკაია, რომელიც სიტყვას ამბობდა თავისუფლების მოედანზე.

[2]) სოლოლაკში იყო საიდუმლო სტამბა, სადაც დაიპირეს მანასე გოგუაძე და გაგზანეს რუსეთში. ქ. გორში მუშაობდა დათიკო ფერაძე—ისიც ორი წელი იჯდა ციხეში.

ბის მიწოდებით, კრასკის, ასაწყობ ვერსტატებით და სხვ. მანქანის შეძენაში და დაბეგმაში დიდი ღვაწლი მიუძღვის სტამბის მბეჭდავ მუშას ვალერა ბილანოვს, გიგო სირაძეს და სხვ., რომლებმაც თავის ხელგით გადაიტანეს მანქანები, ამ სტამბების მოწყობაში მიიღეს აგრეთვე მონაწილეობა: ბიქტ. წულაძემ, მანასე გოგუაძემ, სოლ. ვადაჭკორიამ, ალ. ვადაჭკორიამ; ვასო ურუშაძემ, ჩოდრიშვილმა და სხვ.

სტამბის მუშებს შეგვატყობინეს, რომ პოლიტიკურ ტუსაღებს გზავნიან ზოგს შიდა რუსეთში და ზოგსაც კატორღაშიო, ამიტომ ჩვენი მოვალეობა იყო მათი გაცილება და პატივისცემა. (ეს იყო დაახლოებით 1903—1904 წ. წ.) სტამბის მხრიდან იგზავნებოდენ, როგორც მახსოვს: მაკარი გოგუაძე, არაქელა, ალ. ვადაჭკორია, სანდრო იაშვილი, ვლასა მგელაძე, ვალ. ბილანოვი, მაისურაძე, გიორგი ბაბილოძე და სხვ. დანარჩენებს ვერ ვიგონებ. სტამბის მუშები მიველით სადგურთან, მაგრამ იქ ჯგარი იდგა და არ გაგვიშვა. ჩვენ მაშინ მოუარეთ სადგურს მეორე მხრიდან და შეველით შიგ. მატარებელი მზად იყო წასასვლელად. სადგური სავსე იყო ჟანდარმებით, პოლიციელებით და ჯაშუშებით. აუარებელი ხალხი იყო და განსაკუთრებით დეპოს მუშები. კაზაკები ცხენებით დათარეშობდენ სადგურის წინ. მეორე ზარის დარეკვაზე ასტყდა საშინელი ყიჟინა და პროტესტები. მატარებელი დაიძრა. კაზაკები ცხენებით დაერიენენ ხალხს და ბევრი დასჭრეს, ბევრი ვაგონების ქვეშ გაძვრა და გაველით ნახალოკისაკენ. სანამ მე გავასწრებდი გაქცევით, ერთი საშინელი სურათი ვნახე: როდესაც ცხენოსანმა კაზაკმა ხმალი ეშიშვლა და დაერია ხალხს, მე შევეცადე რკინის ღობეზე გადავმხტარიყავი, მაგრამ ვერ შევძელი ღობის სიმაღლის გამო გადასვლა. ერთმა მუშამ მოახერხა შეხტომა და როდესაც გადავიდა და ხელით ჩამოეკიდა რკინის ღობეს, კაზაკმა მოასწრო და ხმლით თითები მოაგდებინა. ამ სურათის დანახვამ მე გონება დამიბნია და მაშინ შევეცადე ვაგონებ ქვეშ გავსულიყავი სხვა ამხანაგებთან ერთად. ეს იყო დაახლოებით 1903 წ. (კარგათ არ მახსოვს). ბევრი ნაცნობი ამხანაგები, რომლებიც მაშინ გაიგზავნენ რუსეთში, მხოლოდ რამდენიმე დაბრუნდა ტფილისში. დანარჩენებს, არ ვიცი, რა ბედი ეწია.

---

29 აგვისტოს (1905 წ.) საღამოს 7 საათზე დანიშნული იყო მუშების კრება ქალ. თვითმართველობაში, მე საღამოს ქალაქში შემხვდა ვალ. ბილანოვი და მითხრა—არ დაიგვიანოო, ან ჩემთან ერთად წამოდიო, სადაც არის, კრება დაიწყებაო. მე დავაპირე მასთან წასვლა, მაგრამ თან მახლდა ამხანაგი ალ. ლომიძე და ცოტა საქმეც გვქონდა ორთავეს და ცოტა დავიგვიანეთ. ბოლოს ორთავე მიველით

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრებაზე. ამ კრებაზე აუარებელი მუშები იყვნენ. კრება დაწყებულიყო. მოვიდა გუბერნატორისაგან განკარგულება საჩქაროთ კრება დაიშალოსო, მაგრამ მუშებმა უარი განუცხადეს და კრება გაგრძელდა. შემდეგ ქალაქის თავიც გამოცხადდა (ერმაშეევი), რომელიც ეუბნებოდა მუშებს: დაშლილიყვნენ, რათა თავიდან აეშორებიათ მოსალოდნელი ხიფათი. კრების თავმჯდომარე ზ. ჩიჩუა არ დაემორჩილა არავითარ მოთხოვნილებას და განაგრძო კრება. მაშინ თურმე შეატყობინეს კაზაკებს, რომ საჩქაროთ მოსულიყვნენ, გაერეკათ კრება, ეხშარათ იარაღი. ბევრი ამხანაგები შიშმა ^იტანა, რაღაცას გრძნობდენ და ზოგმა მალე დასტოვა კრება, მე და ალ. ლომიძე გამოველით სხვებთან ერთად გარეთ. ეხედავთ კაზაკები ცხენებით მორბიან კრებისკენ ვიხტოვკებით შეიარაღებული.

ჩამოხტენ ცხენებიდან და მიადგენ შესაყარ კარებს, ვფიქრობდი რაღაც უბედურება უნდა მომხდარიყო, მაგრამ ჩვენ რა შეგვეძლო. კაზაკები შეეყდენ კრების დარბაზში, ჩააჭრეს ელექტრონი და დაუშინეს თოფები მუშებს. მუშების კივილ-წივილი და საცოდაობა ჟუჩაში ისმოდა. ბევრმა მოახერხა ეზოდან გამოსვლა და დამალვა, მაგრამ ვინც იქ დარჩა და ვერ იპოვა გზა-კვალი, იქვე დაიღუპენ. დიდძალი მუშები იმსხვერპლა ამ საღამომ.

მეორე დღეს თვითმართველობის შენობიდან დროგებით ეხიდებოდენ დახოცილებს და დაჭრილებს.

ამ საღამოს მოჰკლეს სხვათა შორის ჩემი კარგი მეგობარი ორი ამხანაგი: კოსტა გვახარია და პანტელიმონ თალაკაძე.

მე მქონდა საშუალება რამდენიმე წელს კიდევ მემუშავნა კულტურულ ასპარეზზე სხვასხვა დროებას. 1898-9 წელს ივლაბრის თეატრში შევადგინე 10—15 კაცისაგან შემდგარი სიმებიანი ორკესტრი. აქ იდგმებოდა ქართული და სომხური წარმოდგენები. ამ ორკესტრმა ესახურა ივლაბრის სცენას 2 წელი, შემდეგ დაიშალა.

1913 წ. ივლაბარში მუზაშკოს თეატრში შესდგა სცენის მოყვარეთა წრე, რომელმაც ხელძღვანელად მოიწვია თომა ნასიძე და სოსო ივანიძე. ამ წრემ შეადგინა მომღერალთა გუნდი მათუურელის ხელმძღვანელობით, გუნდში ითვლებოდა 30 მუშა. მეც ამ გუნდში ვიღებდი მონაწილეობას. ამ წრის დავალებით მე მომადგეს სიმებიანი ორკესტრის შედგენა და ხელმძღვანელობა, რომელიც ვიკისრე და შევადგინე ჯერ 10 კაცისაგან, ხოლო შემდეგში ეს გაიზარდა, გაუმჯობესდა და საუკეთესო ორკესტრს წარმოადგენდა, ამ ორკესტრის კარგათ მომზადებაში დიდი დახმარება გაგვიწია როგორც ნოტების შოვნით, აგრეთვე პირადი დახმარებით და მუსიკის ტეხნიკურად მოწყობის მხრით—ალიოზ ბეტანიშვილმა. ჩვენ ვემსახურებოდით არა მარტო ივლაბარს, არამედ სხვა უბნებსაც, ჩვენ ხშირად გვიხდებოდა

უსასყიდლოდ დახმარება საქველმოქმედო მიზნით სხვადასხვა უბნებში, სადაც იმართებოდა სეირნობა, საღამოები და სხვ. ჩვენი ორკესტრი გაიზარდა და ბოლო ხანებში 25 კაცი იყო მასში. სამი წელი დაჰყო ამ ორკესტრმა ავლაბრის წრესთან და რადგანაც საერთაშორისო ომი იყო დაწყებული, ბევრი ომში წაიყვანეს და ზოგიც დაიფანტენ. დაიშალა ავლაბრის სცენის მოყვარეთა წრეც, რომელიც შესდგებოდა მუშებისაგან. ომმა დიდი კულტურული მუშაობა ჩაგვიშალა.

მე ჩვეულებრივად ვმუშაობდი გაზ. „ვრუზიაზე“ სანამ გადატრიალება მოხდებოდა. მას შემდეგ არაფერში მონაწილეობა არ მიმიღია არც ერთ პარტიაში მხოლოდ აღმეძრა სურვილი ძველ დამსახურებულ კულტურულ მუშებზე რამე დამეწერა გაზეთში, რომ დავიწყებას არ მისცემოდა მათი მუშური მოღვაწეობა პოლიტიკურ და კულტურულ დარგში. პირველი წერილი დავწერე გაზ. „მუშაში“ (№ 68) შემდეგი სათაურით: „ნუ დავივიწყებთ სცენის ძველ მოყვარეებს“, რამაც იშოვა გამოძახილი ყველა გაზეთებში.

ამ წერილში იყო აღნიშნული ყველა ძველი მუშები —სცენის მოყვარეები, რომლებმაც განაპირა მიყრუებულ უბნებს აღირსეს თეატრები და თავდადებით ემსახურობოდენ.

ამ მუშათა შორის განსაკუთრებული ყურადღება მიეპყრა ასოთამწყობ ძველ მუშას ბესო მაისურაძეს, რომელსაც ტფილისის პროლეტარიატმა დიდებული იუბილე გადაუხადა რუსთაველის თეატრში და ავლაბარშიც 30 წლის დამსახურების გამო.

თვითმპყრობელობა მუშების მოძრაობას თვალყურს ადევნებდა ყოველი მხრით, ავიწროებდა მათ, რომ ძალა არ მოეკრიფათ. სდევნიდა და ატუსაღებდა მათ ხელმძღვანელებს და ასახლებდა რუსეთის სხვადასხვა ციე ადგილებში. ტფილისში პირველი დემონსტრაციის შემდეგ შეუძლებელი გახდა მუშების ერთად თავის მოყრა, თავიანთი ჰირ-ვარამზე ლაპარაკი და ამ დროს კავშირის დაარსებაზე ლაპარაკიც მეტი იყო, რადგან სუფევდა სასტიკი რეპრესიები. სტამბის მუშების კავშირი არალეგალურად დაარსდა 1903 წლის მეორე ნახევარში, მაგრამ ეს უმნიშვნელო იყო იმ დროს და თავის დანიშნულებას ვერ აღწევდა. 1905—6 წწ. რეოლიუციის პირველ ხანებში, როდესაც შესაძლებელი გახდა ცოტათი მაინც თავისუფალი სიტყვის თქმა, დაარსებულ იქნა მბეჭდავთა კავშირი ლეგალურად 1907 წლის დასაწყისში. პირველად კრებებს თავმჯდომარეობდა გრ. ოგანეზოვი, მხოლოდ შემდეგ სოლ. ვადაჭკორია. პირველი კრება შეხდა თვითმართველობის დარბაზში, დაესწრო ტფ. ყველა მბეჭდავები. კრებას თავმჯდომარეობდა ასოთ-ამწყობი ს. ვადაჭკორია, მდივანი გრ. ოგა-

ნეზოვი. ამ კრებაზე გამოირკვა, რომ დაშნაკელებს უკვე ჰქონდათ დაარსებული თავიანთი ნაციონალური კავშირი და ჩვენთან არ მოისურვეს მიეღოთ მონაწილეობა. ამის შესახებ ბევრი ილაპარაკა თავმჯდომარემ და სხვებმაც და ერთხმად გაილაშქრეს ამ კავშირის წინააღმდეგ. მოითხოვდენ მის დაშლას და ჩვენთან შემოერთებას, რაც დიდ სარგებლობას მოუტანდა მთლიან კავშირის შექმნას.

ამორჩეულ იქნა ხელმძღვანელი ამხანაგები და მივანდეთ საქმის მოწესრიგება. დავიქირავეთ შენობა ქართულ თეატრის ეზოში და ვიყიდეთ ყველა საჭირო საგნები კავშირისთვის. ამ კავშირმა იარსება ერთი წელიწადი, რის შემდეგ მთავრობამ დაგვიკეტა და დაატუსაღა ბევრი ხელმძღვანელი ამხანაგები, მათ შორის სოლ. ვადაჭკორიაც. კავშირის ავეჯეულობა ზოგი გადავმალეთ და ბევრიც სრულიად დაკარგა. ამ კავშირის დაკეტვის შემდეგ ჩვენ დავრჩით დაქსაქსული და არ გვქონდა საშვალება შეკრებისა. გავიდა კარგა ხანი, თითქმის $^1/_2$ წელი და 1909 წ. დაახლოვებით დასაწყისში ვანო ბოლქვაძის მეთაურობით და ცდით იქნა ნებართვა აღებული საერთო კრების მოწვევის და ახალი კავშირის დაარსების შესახებ.

კრება მოხდა ზუბალოვის სახალხო სახლში. კრებას მუშები მრავლად დაესწრენ. თავმჯდომარეთ ავირჩიეთ ასოთ-ამწყ. რომან ალშევსკი, მდივნათ თ. კეკელიძე. ბევრი ილაპარაკეს ყველა საკითხებზე და განსაკუთრებით კავშირის დაარსების საჭიროებაზე. ამ კრებაზე გამოცხადდენ მთავრობის აგენტები: ორი პრისტავი, ორი ოკოლოდოჩნიკი რამდენიმე გოროდოვებით. გვეგონა, რომ ბევრს დაატუსაღებდენ, მაგრამ არაფერი არ მომხდარა ასეთი. ისინი უსმენდენ მუშების ლაპარაკსა.

ავირჩიეთ კომისია, რომელსაც უნდა შეეშუშავებია კავშირის წესდება და გაეგზავნათ დასამტკიცებლათ. ასეც მოხდა, მაგრამ როცა წესდება წარუდგინეს გუბერნატორს, არჩეული პირები დაიჭირეს და წესდებაც გაუქმდა. ამის შემდეგ მბეჭდავებს არ ღირსებიათ არც ერთი საერთო კრება და ვიყვაით არალეგალურად.

მხოლოდ თვითმყრობელობის ტახტის დანგრევის შემდეგ, როდესაც რუსეთში დაარსდა ბურჟუაზ.-დემოკრატ. რეჟიმი (კერენსკის დროს) ტფილისში დაარსდა ლეგალურად მბეჭდავთა პროფ.-კავშირი.

1906 წლიდან დღემდის მეორედ არის დაარსებული მბეჭდავთა კავშირი....

გაფიცება გაზ. „ზაკავკაზი-ზე“ 1909 წელს. ეს გაზეთი იბეჭდებოდა მიხა გაჩეჩილაძის სტამბაში (მადათოვის კუნძული). შენობა უვარგისი იყო და შეუძლებელი ხდებოდა იქ მუშაობა, კედლებიდან წყალი ჩამოდიოდა და ბნელიც იყო. გარდა ამისა, რედაქტორი გ.

ამირაჯიბი თავის დროზე ჯამაგირს ვერ იძლეოდა და ამის გამო ხშირად უთანხმოება გვიხდებოდა. ჩვენ მოვითხოვეთ ბინის გამოცვლა და ჯამაგირების თავის დროზე დარიგება. არც ერთი მოთხოვნილება არ იქნა დაკმაყოფილებული. გაზეთი შეუჩერეთ. საქმეში ჩაერია პოლიცია და თვით გუბერნატორიც, გაგრძელდა გაფიცვა. აქ გამოჩნდენ შტრეიკბრეხერი ასოთ-ამწყობები და დაიწყეს გაზეთის გამოშვება. ჩვენ შეეცადეთ ხელი შეგვეშალა მათთვის, მაგრამ ვერაფერს გავხდით. მათ პოლიცია ეხმარებოდა და გვიშლიდა მათთან მოლაპარაკებას... გაფიცვა წავაგეთ, ყველანი დაგვითხოვეს, რაცხვით 12 კაცი: ო. ალშევსკი, ლოგვინოვი, ი. ტატიშვილი, სოლოდოვნიკოვი, იურკოვი, ახვერდოვი, ლომთათიძე, ტივილოვი, ბოგდანოვი, კროპოტოვი და სხვანი.

დავრჩით ყველანი უსაქმოდ თითქმის 2 თვე. არსად სამუშაო არ იშოვებოდა. კრების მოხდენაც შეუძლებელი ხდებოდა მაშინდელ პირობებში და ვიყავით ასე აუტანელ პირობებში.

ბოლოს ჩემი წინადადებით მოვახდინეთ კრება ბართლომე კილაძის სტამბაში, დაესწრენ ყველა ამხანაგები. დაისვა საკითხი, თუ რა გზას დაედგომოდით. ჩემი წინადადება იყო, რადგან არსად სამუშაო არ იშოვება და ჩვენ თანდათან უკიდურეს პირობებში ვარდებით, დაგვეარსებია რაიმე გაზეთი და გამოგვეცა ჩვენი მარჯვენის საშვალებით და გაგვეწერებინა ყველგან. მოგვენახა ისეთი პირი, რომელიც დაგვეხმარებოდა როგორც წერით, აგრეთვე ქაღალდით. ყველა დამეთანხმა.

დავაარსეთ გაზეთი „ნოვაია რეჩი" ხელმძღვანელად მოვიწვიეთ ყოფილი რედაქტორი გაზ. „ვოზროჟდენიე"-ს და ჩვენთან ერთად ნაშუშევარი პ. გოთუა, რომელმაც თანხმობა განაცხადა და დაგვპირდა ყოველმხრივი დახმარება. პ. გოთუას მოწვევა ამ გაზეთზე გამოწვეული იყო იმ მიზნით, რომ გაზეთი მალე არ დაკეტილიყო მთავრობისაგან და გაზეთიც პროგრესიული ყოფილიყო. ჩვენ კარგათ ვიცოდით, რომ თუ ამ გაზეთზე მოვიწვევდით თანამშრომლად და ხელმძღვანელად სოციალისტებს, გაზეთს დიდი ხნის სიცოცხლე არ ექნებოდა.

ამ გაზეთმა იმ დროს გამოამჟღავნა მთელი სიყალბე გაზ. „ზაკავკაზიე"-ს თანამშრომლების, რომლებიც იღებდენ მონაწილეობას ერთ კვირეულ გაზეთში, რომელიც გამოდიოდა მაშინ უსახელო საზოგადოების ხარჯით [(ტრამვაის საზოგად.). ვგონებ ის გაზეთი იყო „Тифлис". ამ გაზეთის მწერლები ყველა მოსყიდული გამოდგა. ტრამვაის საზოგადოება ფულების საშუალებით თავის ჰანგზე და გემოვნებაზე აწერინებდა ამ ჟურნალისტებს წერილებს და ამნაირად

შეცდომაში შეჰყავდა მთელი საზოგადოება. პირველმა ჩვენმა გაზეთმა ამოიღო ხმა ამ გამყიდველ ჟურნალისტების გათახსირების შესახებ. ამის შემდეგ ატყდა ერთი აური-ზაური პრესაში. ხშირად გ. ამირჯიბი და სხვებიც რედაქციაში შემოდიოდენ და გვემუქრებოდენ მუშებს.

— —

დაახლოებით 1907 წელს კოჭლოვის სტამბაში მოხდა გაფიცვა ეკონომიურ ნიადაგზე 8 საათის სამუშაო დღის შემოღების შესახებ. გაფიცვამ გასტანა 4 დღე. მაშინ ბევრ სტამბებში 9 საათის სამუშაო დღე იყო შემოღებული, მხოლოდ აქ კი 10 საათს მუშაობდენ. ადმინისტრაცია ჯერ უარზე იდგა, მაგრამ ბოლოს ნახა რა, რომ მუშები არ თანხმდებოდენ ძველ პირობებში დარჩენაზე, იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო. მუშებმა აქ გაიმარჯვეს. მხოლოდ 8 საათის მაგივრად დათანხმდენ 9 საათის შემოღებას. შემდეგ წელში კი, როგორც ყველგან, ისე აქაც ნება-ყოფილობით შემოღებულ იქნა 8 საათის მუშაობა.

მნაცაკ მარტიროსიანცის სტამბა გადატანილი იყო ერევნის მოედანზე 1903 წ. აქ ისეთი რეჟიმი იყო, რომ მომუშავენი მას ვერ ურიგდებოდენ. ხშირად გაანებებდენ ხოლმე მუშაობას თავს. აქ სამუშაო დღე 10 საათი იყო. სტამბის პატრონი ხშირად ლანძღვა-გინებით და უშვერი სიტყვებით უმასპინძლდებოდა ხოლმე მუშებს. ბევრისთვის ძალზე უცემნია კიდეც. ამის მოწმე დღესაც ბევრნი არიან. 1902 წ. სცემა ასოთ-ამწყობ დავიდოვს და დაითხოვა კიდეც. 1904 წ. მუშებმა მოითხოვეს 8 საათის სამუშაო დღის შემოღება, ჯამაგირების მომატება და ადამიანური მოქცევა მუშებისადმი. შესტაჩკე უარზე დადგა: შესწყდა მუშაობა; შეწყვეტილი იყო მუშაობა ერთი კვირის განმავლობაში. დაბოლოს საქმე გათავდა მუშების გამარჯვებით, მხოლოდ, აქაც, 8 საათის მაგივრად 9 საათი შემოიღეს. პოლიცია საქმეში არ ჩარეულა.

— —

ექვთიმე ხელაძე თავის სტამბის დაარსებიდანვე სტანჯავდა მუშებს. აქ მომუშავეს არასოდეს არ მიუღია თავის დროზე ჯამაგირი. შაბათობით, სწორედ ფულის დარიგების დროს, პატრონი გაიპარებოდა და აცდევინებდა მუშებს ღამის 12 საათამდის. ხშირად მთელი კვირა ველოდებოდით ორიოდე გროშს და მაშინაც სახლში ცარიელი მივდიოდით. გაფიცვები მუშებმა ამ სტამბაში ისწავლეს პირველად აქ ერთი პროკლამაციაც დავბეჭდეთ. ეს გაიგო ხელაძემ და დაგვაბეზღა. იმ საათშივე გაჩნდა სტამბაში ჟანდარმების უფროსი (ვგონებ ლავროვი იყო). მთელი სტამბა გაჩხრიკა და შემდეგ ჩვენც ყველანი წაგვიყვანეს ჟანდარმერიაში, სადაც მოახდინეს დაკითხვა. მთელი დღე იქ ვიყავით და შემდეგ გამოგვიშვა. მაშინ ჩვენთან იყო

სანდრო იაშვილი, დიმ. ქელეიძე, პლ. ხუციშვილი, ლომთათიძე, ამის შემდეგ გაფიცებს ხშირად ვახდენდით ეკონომიურ ნიადაგზე და ზოგჯერ გამარჯვებულიც გამოვდიოდით. ეს იყო დახლოვებით 1895-6 წლებში და შემდეგაც.

პირველად ქართველთა ამხანაგობის სტამბაში შემოიღეს 8 საათის სამუშაო დრო. სტამბის პატრონი ალ. ჯაბადარი მუშებთან კარგ განწყობილებაში იყო და არასოდეს გაფიცვამდე საქმე არ მიუყვანია. მან ნებაყოფლობით დაუთმო მუშებს 8 საათის სამუშაო დრო (1903 წ.) ამის შესახებ აყაყანდენ ტფილისის მესტამბეები და იჩივლეს გუბერნატორთან, რომ მიეღო რაიმე ზომა, მაგრამ ვერაფერს გახდენ. როგორც მახსოვს, მაშინ გუბერნატორმა დაიბარა ალ. ჯაბადარი და მოსთხოვა გაეუქმებია ეს შეთანხმება, მაგრამ ჯაბადარმა, პირიქით, აუხსნა გუბერნატორს, რომ, თუ ასე არ მოიქცეოდა, მას დიდ ზარალს მიაყენებდენ გაფიცვით. მან აუხსნა აგრეთვე, რომ ამას იქით მუშები მეტ უნარიანობას გამოიჩენენ და მეც არავითარი ზარალი და საფრთხე არ მოველისო.

ეს იყო პირველი ცდა 8 საათის სამუშაოს შემოღებისა.

ამის შემდეგ იყო მოთხოვნილებები სხვადასხვა სტამბებში 8 საათის სამუშაო დროს შემოღებისა, რაც ნელ-ნელა ტარდებოდა.

სტამბის მუშებთაგან არალეგალურ სტამბებს ხელმძღვანელობდენ უმთავრესად შემდეგი პირები: ვასო ურუშაძე, ვალ. ბილანიშვილი, ვლასა მგელაძე, ერ. ჩანტლაძე, ვანო ბოლქვაძე, კამო, მანასე გოგვაძე, ლადო დუმბაძე და სოლ. ვადაჭკორია. მაგრამ განსაკუთრებული თავდადება და შრომა მიუძღვის ვასო ურუშაძეს და ვალ. ბილანიშვილს.

ვასო ურუშაძე ითვლებოდა ერთ საუკეთესო მომზადებულ მუშათ. ის ხშირათ გამოდიოდა მუშებში კრებებზე და დიდ გავლენას ახდენდა მათზე (ის გარდაიცვალა დაახლოვებით 1908—9 წ.) ის ხელმძღვანელობდა ყველა არალეგალურ გამოკვეთებს და გვაწოდებდა მუშებში გასავრცელებლად.

ჟურნალ „სოციალ-დემოკრატი“ გამოდიოდა ნოე ჟორდანიას და ნოე ხომერიკის წერილებით უმთავრესათ, დაახლოვებით 1905 წლის დასაწყისში. მათ ხელს უწყობდა სხვებიც: ვასო ურუშაძე, სილ. ჯიბლაძე, ვლასა მგელაძე, სოლ. ვადაჭკორია, იოსებ იმედაშვილი (კორექტურასაც ასწორებდა). ეს ჟურნალი გამოდიოდა ლეგალურ სტამბებში არალეგალურად. როგორც მახსოვს, პირველი ნომერი დაიბეჭდა გრ. ჩარკვიანის სტამბაში, შემდეგი არ მახსოვს, მხო-

ლოდ სულ გამოვიდა 3—4 ნომრამდე. „სოც. დემოკრატი“ კარგა მოზრდილი ზომისა იყო. ის შეიცავდა 16 გვერდს დიდ ფორმატისას.

1903 წელს ტფილისში მოხდა სტამბებში გაფიცვები და ამას თან მოჰყვა აქა-იქ დემონსტრაციებიც. პირველი დემონსტრაცია გაიმართა კვირა დღეს იარმუკაში, სხვაგან კი შემდეგ წლებში. აქ მიიღეს მონაწილეობა ქვემო დასახელებულმა მუშებმა. დაპატიმრების დროს მათ აღმოაჩნდათ პროკლამაციები. ეს მუშები სხვადასხვა დროს იყვნენ დაპატიმრებულნი. ამათ რიცხვში მოყვნენ ციხეში ზოგიერთი ხელმძღვანელნი ინტელიგენტებიც. აი მათი გვარები: არაქელა, მამალაძე, გ. ს. მაისურაძე, გ. მ. ხატიევი, ტრ. პეტროვი, რ. ალშევსკი, ნ. ფლეგენტოვი, ვასო ურუშაძე, ჯ. სალუქვაძე, ვლასა მგელაძე, ნესტორ ცერცვაძე, ნოე ჟორდანია, სილ. ჯიბლაძე, კ. გოგუა, მან. გოგვაძე, ვ. ცაბაძე, კ. კურნატოვსკი, იპ. ფრანჩისკი, ვალერია ბილანი შვილი, მ. აბრამოვი და ი. კირკაშიძე.

ვანო მშვედლიშვილს თავის სახლში ჰქონდა პატარა სტამბა სადაც ბეჭდავდა სხვადასხვა პროკლამაციებს.

ბიქტორ წულაძე იღებდა მონაწილეობას საიდუმლო სტამბების მოწყობაში, მაგრამ დაჭერილი არ ყოფილა.

1901 წელს, როცა გუნიას სტამბაში ვმუშაობდი, ბათუმიდან ჩამოვიდა ჩემთან ფრიდონ ლომთათიძე (როტშილდის ზავოდში მომუშავე, სლესარი), რომელიც იყო გამოგზავნილი ბათუმის ორგანიზაციიდან სხვადასხვა დავალებით, სოსო ჯუღაშვილისათვის [1]), (ახლა სტალინი) მაგრამ არ იცოდა მისი ადრესი სად იმყოფებოდა. იმ დროს ბათუმის ციხეში იჯდენ ბევრი პოლიტიკური ტუსაღები და რადგან მათი საქმე უნდა გარჩეულიყო იმ დღეებში, აფრინეს კაცი ჯუღაშვილთან, რომ ზოგიერთებისთვის მას საჭირო საბუთები გაეგზავნა ფ. ლომთათიძის ხელით და სხვ. ჩვენ ქალაქიდან თამამად წავედით გორში. იმ ღამეს ნომერში გავათენეთ და მეორე დღეს შეეუდექით სახლის ძებნას და ძლივს, კითხვა-კითხვით, მივაგენით. იმ დღეს მასთან დავრჩით და ყველაფერი ვუამბეთ, თუ რისთვის ვიყავით მისული. მან შესაფერი დოკუმენტები და დარიგებები გადმოგვცა და ჩვენც საღამოს წამოვედით. ფირდონი ბათუმში წავიდა.

ერთი კვირის შემდეგ მომივიდა წერილი ფირდონისაგან, რომ ის ვანდარმერიამ დაიჭირა მეორე დღესვე, როცა გორიდან წავიდა

[1]) როგორც მახსოვს ს. ჯუღაშვილი მაშინ მასწავლებლად იყო გორში.

და დროებით გამოუშვიათ. მათ გაუგიათ, რომ ჩვენ გორში ვიყავით. თუ შენთან მოვიდენ, არავითარი ჩვენება არ მისცეო. გამოძიება იქნებაო და მაფრთხილებდა. როგორც შემდეგ გავიგე, ვერაფერი ვერ დაუმტკიცეს ამ საქმის შესახებ. (ჩვენი გორში წავსვლის ამბავი იცის სერგო ქორიძემ, რომელმაც გაგვაცილა ვოგზლამდე). ეს იყო დაახლოვებით 1901—2 წელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VII. ავტობიოგრაფია

მიხა ჩოდრიშვილი.

ჩემი თავგადასავალი

(გაგრძელება, იხ. „რევ. მატ." № 4-5 (9-10)

1890 წელს ბათუმში მოგვიხდა წასვლა მე და ჩემ ძმას ზაქროს. შევედით ნობელის ნავთის ქარხანაში და დავიწყეთ მუშაობა. აქ ჩვენ, როგორც რეოლიუციონერები, პირველ დღეებიდანვე გავეცანით ქარხნის გათვითცნობიერებულ მუშათა კითხვებში საშუალოდ მომზადებულ მოწინავე მუშებს. ეს მუშები იყვნენ უმეტესად ნემცები და რუსები, სამი ოთხიოდე ქართველიც იყო.

მუშების უმეტესობას საცხოვრებელი ბინები გვქონდა „გოროდოკში" და საუქსუზე. ამიტომ მუშაობის შემდეგ, ღამით, და საერთოდ კვირა-უქმე დღეებში, ვიკრიბებოდით „გოროდოკში" ხან საუქსუზე ერთ-ერთის ამხანაგის ბინაზე, და გვქონდა სჯა-ბაასი როგორც ჩვენი მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ, ისე პოლიტიკურ კითხვებზე, რაც მიმართული იყო თვითმყრობელობის წინააღმდეგ.

მეშჩანებისთვის საშიშარი „სიმშვიდის" დამრღვევი პოლიტიკური ხასიათის ეს კრებები არ გამოეპარა ნობელის ქარხნის გამგეს და თვის ბოლო რიცხვებში, ჯამაგირების მიღების დროს, კრებების მონაწილე რამოდენიმე ხელმძღვანელთ გამოგვიცხადა: „თქვენ გისწორებთ რა სრულებით ანგარიშს, მეტი სამუშაოზე დაშვებული აღარ იქნებით და დღეიდან დათხოვნილად ითვლებითო".

ჩვენს შეკითხვაზე,—თუ რა არის მიზეზიო, ქარხნის გამგემ დაცინვით გვიპასუხა: „საუქსუზე და გარადოკში იხსნება ახალი ქარხნები და იქ იქნება საჭირო თქვენი მუშაობა"-ო.

დათხოვნილ მუშებში იყვნენ საკმაოდ მომზადებული ნემეცი, რუსი და ქართველი მუშებიც.

გამგის ასეთი ვერაგობით აღშფოთებული ნემეცი მუშა (ვებერი) ველარ შეურიგდა ადმინისტრაციის „აქტს" და დაუწყო დავა: შეეკამათა—თუ რა უფლებით, რა საბუთით ითხოვდენ მუშაობაში სრულებით უდანაშაულო პატიოსან მუშებს.

— „თქვენ აბუნტებთ, აჯანყებთ მუშებს და ამიტომ გითხოვთ, აქ მეტი ლაპარაკი ამის შესახებ აღარ გავიგონო, თორემ სუყველას ციხეში ჩავსხამთ“-ო, სასტიკი ბრძანების კილოთი მიუგო მან მუშა ვებერს და თან ქარხნის დარაჯსაც დაუძახა.

დანარჩენი მუშები იმ დროს კასასთან ვიდექით ანგარიშის მისაღებად. გამგემ ჩუმად რაღაც უთხრა დარაჯს, დარაჯიც სწრაფად სადღაც გაქრა; დიდ ხანს არ გაუვლია, რომ დარაჯი მოვიდა და თან მოიყვანა ჟანდარმიც, ჟანდარმმა ხელად ჩვენება ჩამოგვართვა დათხოვნილ მუშებს. შემდეგ ვებერი გამოიყვანეს და სადღაც წაიყვანეს.

იგი აღარ დაბრუნებულა...

რამდენიმე ხნის შემდეგ გავიგეთ, რომ მუშა ვებერი ციხეში გარდაიცვალა ბევრი ცემისაგანო.

დათხოვნილ მუშებს ერთხანად მოგვიხდა ბათუმის ქუჩებში ხეტიალი. მაგრამ შემდეგ, როგორც იყო, ჩავებით მუშაობაში ცალ-ცალკე სხვა და სხვა წვრილ სახელოსნოებში და ფაბრიკა-ქარხნებში: ზაჭრომ დაიწყო მუშაობა დამტვირთველ-გადამტვირთველ უბრალო შავ მუშად ზღვის სანაპიროზე (პრისტან) ეგრედ წოდებულ მუშათა არტელში ნოვი სვეტის ქუჩაზე. მე კი ბათუმის რკინის გზის ხაზზე მიმიღო ინჟენერ ზურაბოვმა და ბათუმიდან სამტრედიამდის სადგურებს მცირე რემონტებს ვუკეთებდი. გზაში სიარულით და მუშაობით კარგათ გავეცანი სადგურების მუშა-მოსამსახურეებს და ლიახდაგის (რემონტის) მუშებსაც, რომელთანაც ხშირად მიხდებოდა საუბარი ჩვენი ცხოვრების ავ-კარგიანობაზე.

ერთ დღეს ჩაქვში ყოფნის დროს, სამუშაო რომ გავათავე და მატარებელს ვუცდიდი თბილისიდან, დავჯექ გზის ოსტატის მაკაცარიას ბინაზე მუშების სადგომ კაზარმის მახლობლათ და ახლად გამოსულ გურნალ „კვალს“ გკითხულობდი. ასე, საღამოს 6 საათი იყო; მუშებსაც სამუშაო გაეთავებინათ და მოვიდნენ კაზარმაში. მაშინ აქ სხვა შუშებიც მუშაობდენ,—ჩაქვის სადგურის მახლობლად, ზღვის პირად, ქვიშით და ხვინჭით ვაგონებს ტვირთავდენ, რაც იგზავნებოდა ლიანდაგზე გზის გასამაგრებლათ და ზოგი ვაგონებიც ბათუმში იგზავნებოდა პეტონების გასაკეთებლათ, რომელთაც ციხის ძირში და მის არე მარეში, ზღვის ნაპირებში უშვებდენ, რომ ზღვის ტალღებს ლიანდაგი არ გაეფუჭებინა.

აი, ამ საქმის მომწესრიგებელი იყო ინჟენერი ზურაბოვი და მოიჯარადრე ალექსანდრე შადინოვი.

ფოდრაჩიკი თითო ვაგონის დატვირთვაში იღებდა ხაზინიდან 3 მ. 50 კაპ. მუშებს კი აძლევდა 70 კაპეიკს. 2 მუშა 3 ვაგონს ტვი-

რთავდა დღეში. ასე რომ ფოდრაჩიკებს 3 ვაგონის დატვირთვაში რჩებოდათ წესინდა მოგება 8 მ. 40 კაპ.

როგორც ზემოდ ვსთქვი, საღამოს 6 საათი იყო, რომ რემონტის მუშებს მოემატნენ ვაგონის დამტვირთველი მუშებიც, ყაზარმაში მოვიდა 20 მუშა. მათ დატვირთა 30 ვაგონი. მეტი ნაწილი მუშებისა ქართლელ, კახელები და მეგრელები იყვნენ, მათში გურულებიც



ამხ. მიხა ჩოდრიშვილი
(გადაღებულია ტფ. ქანდარძ. საშკართველოში 1910 წ.).

ერიენეხ. საერთოდ მუშებში ერიენენ წერა-კითხვის მცოდნენი. და რომ დამინახეს გაზეთი ხელში, მაშინვე მთხოვეს, რადგან კვლავაც ხშირად ვაძლევდი გაზეთს წასაკითხად. „კვალი“ გამოწერილი მჭონდა ბათუმში არსებულ წიგნის მაღაზიის პატრონის ნიკოლაძის სახელით. აქ შეიძლებოდა ყველა წიგნების და გაზეთების გამოწერა. მუშებმა შემომძახეს: მიხა, შენ წაგვიკითხე, ან მიეც ჩვენ დაიკვანს

წაიკითხოსო. დიაკვანს ეძახდენ ერთ ცოტათ ხანში შესულ მუშას, დათიას[1]), (გვარი ღამავიწყდა). ეს მუშა იყო ქართლელი სოფელ მეკვრისხევიდან და მართლაც ნადიაკვნარი, კარგად კითხულობდა. დათომ ჯერ მე გადმომხედა ღიმილით, კარგად მიცნობადა და მერე დაიწყო კითხვა წყნარად და გარკვეულად.

დათიკო მაღალი ხმით და მკაფიოდ კითხულობდა „კვალს“ და თან ღიმი მოსდიოდა პირი სავიზედ: შეტაღრე იმ წერილის კითხვის დროს, სადაც ეწერა: „კუჭი გამიბატონდაო“, მუშები მთლად სმენად გადაიქცენ, კითხვის გათავების შემდეგ ერთმა დაღვრემილმა მუშამ წამოიძახა: რასაკვირველია, ჩვენ აღებს და მრავალ მათგანებს კუჭი გაბატონებული აქვთ, რასაც მოითხოვს მათი კუჭი, ისინიც ჩაყრიანო. მეორე მუშამ დაუმატა: აბა შვილსა, ჩვენი ნაოფლარი რაში დაენახებათ (შადინოვ-ზურაბოვებს) ჯაფა მოსცლიათ ვაგონების დატვირთვაში თუ? აქ მეორე და მესამე მუშაც გამოეხმაურა და შეეხენ თავიანთ ყოფა-ცხოვრებას. ბოლოს დათიკოც ჩაერია მათ კამათში.

ამხანაგებო, მე აღარ მინდოდა მეთქვა რამე, მაგრამ გულმა ვეღარ მომითმინა და ჩემ აზრსაც გეტყვით მაგის შესახებ.—რა თქმა უნდა, ისინი ყველაფერს ჩაიყრიან გაუმაძღარ კუჭში. განა ამისთვის არა გეუჭკვნიან და არ გვაძრობენ ტყავს? ისინი რომ თავიანთი კუჭის მონები არიან ეს გასაკვირი არ არის, მაგრამ ჩვენც რომ გავმხდარვართ ბატონ ზურაბოვ—შადინოვების კუჭის მონები, ეს კი არის გასაკვირიც და შეურიგებელიც... აბა, შეხედეთ, თქვენს დაღვრემილს, დანაოჭებულ სახეებს. თქვენ დატვირთეთ დღეს 30 ვაგონი და მიიღეთ 21 მანეთი, მხოლოდ აქვე თქვენს დატვირთულ 30 ვაგონში 2 კაცმა: ზურაბოვ-შადინოვმა კი მიიღო 82 მანეთი: ე. ი. ორმა კაცმა ჩვენ 20 კაცზე თითქმის ოთხჯერ მეტი... ჩვენ კი მეტი წილი ვშიმშილობთ, ისინი კი სულ ქეიფობენ, საუკეთესო საჭმელები თაგზე საყრელად აქვთ... რაშია საქმე. ჩვენ განა არ შეგვიძლიან შევცვალოთ ასეთი მდგომარეობა, თუ მთლად არა, რამოდენათმე მაინც? შეგვიძლიან და ეს ჩვენ შეკავშირებაში უნდა ვიპოვოთ. ასეთი შეკავშირებითა და ერთი პირით გამოსვლით,—თუმცა ჩვენს საკუთარ ცხოვრებაში ჯერ არ ყოფილა მაგალითი, მაგრამ მე მგონია, რომ ბევრ ალაგას სხვაგან მოიგეს, გაიმარჯვეს მუშებმა. აი იმ დღეს გარადოკში შენ ბინაზედ რომ ეიყავით, ხომ გახსოვთ, (ჩემზე მოუთითა დათიკომ მუშებს) მისმა და ეგნატე რა გვითხრეს:—აი მათი სიტ-

[1]) დათია შუათანა ტანისა იყო, თმაში ჭაღარა შერეული, დიდ თმიანი და წვერიც მოკლედ გაშვებული ჰქონდა, კარგი მხარ-ბეჭიანი ადამიანი და ჭკვიანი, დალაგებული, დარბაისელი მოლაპარაკე, მიმხიდველი ადამიანი.

ყველი: თქვენ მუშები ბევრნი ხართ და თქვენი ხაზეინები კი ცოტანიო, მაშასადამე, თქვენს ერთობაში არის დაუშრეტელი ძალაო; ამაზეა ნათქვამი: ერთი პირის ჭირიმე და ბევრი ხელისაო. უნდა იცოდეთ, რომ თქვენი მყვლეფავი ხაზეინები რომ შეერთდენ, მაინც თქვენთან უძლური იქნებიან ბრძოლაში. მაშ, შეერთდით შეკავშირდით: ყველაფერი, როგორც ჭირი, ისე ლხინიც საერთო გახადეთ, და აი, თავდები თქვენი შრომის მძიმე პირობებიდან გამოსავალიო. და ჩვენც ვიხელმძღვანელოთ ამათი დარიგებით. დაბასრულა დათიკომ თავისი სიტყვა.

ამ დროს ყურს უგდებდა მუშების ლაპარაკს ჩაქვის ლიანდაგის ოსტატი მაკაცარია; მას ეტყობოდა არ მოსწონდა მუშების გულუბრყვილო, ერთმანეთ შორის გულახდილი საკუთარ ჭირ-ვარამზე ლაპარაკი და გაათავა თუ არა დათიკომ სიტყვა, მაკაცარია მოგვიბრუნდა მე და დათიკოს და მუქარით მოგვმართა: „თქვენ ეი, ნუ აბუნტებთ აქ მუშებს თქვენი გაზეთების კითხეით და ყბედობით, თორემ ხომ იცით, რა მოგელით“!.. ამ ყვირილზე მუშებიც დაიმალნენ და ყაზარმაში დაფანტულნი თავ-თავიანთ საწოლზე ჩამოსხდნენ დაფიქრებულნი.

ლიანდაგის ოსტატსაც წყინა ჰქონდა მუშების ყვლეფაში, ფუღების ჩაჯიბვაში და, რა თქმა უნდა, არ მოეწონებოდა მუშების ამ მძიმე ტკივილებზე ლაპარაკი...

1891 წელს ზაფხულში ზ. ჭიჭინაძე ჩამოვიდა თბილისიდან და თან ჩამოიტანა ორი ყუთი წიგნები, ქართულ ენაზედ დაბეჭდილი, აჭარაში წასაღებად და ქართველ მაჰმადიანებში გასავრცელებლად.

მე ვცხოვრობდი ბათუმის განაპირა უბანში, გოროდოკში. და ზ. ჭიჭინაძესაც ჩემთანა ჰქონდა დროებით ბინა; ჩამოსველისთანავე ჩემთან ჩამოსტა და პირველათვე ჩამომიგდო ნინოშვილზე ლაპარაკი. ამიწერა მისი ადამიანობა, თუ ვინ იყო და რას წარმოადგენდა მშრომელი ხალხისთვის ეგნატე ნინოშვილი და ბოლოს მთხოვა, რომ გადმომეყვანა ჩემ ბინაზედ ეგნატე. მე მაშინვე ავასრულე ზ. ჭიჭინაძის თხოვნა და ეგნატე ჩემ ბინაზედ მოვათავსე. ასე გავიცანით ერთმანეთი ზ. ჭიჭინაძის მეოხებით.

თუმცა არ მინდოდა ეგნატეს მოშორება, მაგრამ ლუკმა პურისათვის ძებნაში იძულებული გავხდი ეგნატე მარტო დამეტოვებინა ჩემ ბინაზე. მე გავემგზავრე ჩაქვის რკინის გზის ხაზზე სამუშაოდ, ჩაქვიდან დაბრუნებამდე ზ. ჭიჭინაძის დახმარებით ეგნატესაც ეშოვნა ადგილი როტშილდის ქარხანაში უფროს მუშად.

ჩაქვიდან რომ დავბრუნდი, კელავ შევხვდი ჩემს გულითად და ძვირფას მეგობარს ეგნატეს, გადაუშალე ჩაქვის მუშების ცხოვრება

და გავაცანი მუშების მყლეფელ ზურაბოვ—შადინოვის მიერ, შემოღებული რეჟიმი:

— ეჰ, რას იზამ ჩემო მიხა, მითხრა ეგნატემ; რას იზამ, როდესაც ეს ცხოვრება ასე უკუღმართად არის მოწყობილი და წალმა რომ მოვატრიალოთ, ამისთვის საჭიროა, სწავლა, ბრძოლა; ერთიცა და მეორეც, ამ წყეული წესწყობილების ხელშია, ჩვენს ხელში კი მხოლოდ სიმწრისაგან წარმოშობილი ბრძოლის სტიქიური სურვილი არის, ბრძოლას იარაღი უნდა მიხა; იარაღი კი ცოდნა არის, უკანასკნელი ჩვენ არ მოგვეპოვება, ჩვენ სიბნელეში, წყვდიადში ვიმყოფებით; ამ ჩვენი სიბნელით კი სარგებლობენ ჩვენი მტრები და ამიტომაც არის, რომ გვყლეფავენ, გვატყუებენ, გვცარცვავენ და უმოწყალოდ გვაძრობენ ტყავს. ასეა ჩემო მიხა, შადინოვ-ზურაბოვები და მათი ძმები მანამ იბატონებენ, ფაქტნიან მშრომელ ხალხს, სანამ არსებულ მონარქიულ წესწყობილებას ძალა აქვს ხელში...

მაშინ, აი მაშინ, როცა ჩვენ გავხდებით პატრონი ჩვენი თავისა, უფლება გვექნება ჩვენი შრომის ნაყოფი ჩვენ მიერ დაარსებულ მშრომელ საზოგადოებებს მოვახმაროთ, მაშინ ჩვენ, ყველა ჩვენთაგანს ცალკე ექნება საშუალება პირადი ცხოვრება მოაწყოს თავის გემოვნებაზე... საჭიროა, მიხა, ცოდნის შეძენა, განვითარება და შეგნებული ბრძოლა; ამას კი მოგვცემს მშრომელი ხალხი, მუშების შეკავშირებული ძლიერი ორგანიზაცია. არ უნდა დაჰკარგოს ერთი წუთიც კი თავისუფალი დრო არც ერთმა მუშამ. უნდა იკითხოთ თანამედროვე კარგი წიგნები, ასე დაასრულა ეგნატემ თავისი სიტყვები.

მე და ეგნატეს ასეთ კითხვებზე ლაპარაკი მთელი ღამეები გვიხდებოდა ხოლმე. გულდასმით ვისმენდი ეგნატეს სიტყვებს. ვიკრეფდი გულში და შემდეგ თამამად გადამჭონდა მუშათა იმ წრეებში, სადაც მე თითონ მიხდებოდა მუშაობა.

ცოტა ხნის შემდეგ ეგნატემაც დაიწყო მუშაობა როტშილდის ნავთის ქარხანაში მუშების ზედამხედველად, ბინა კი ისევ ჩემთან ჰქონდა.

1892 წელს ზურაბოვმა დამითხოვა. დათხოვის მიზეზი იყო პროპაგანდა-აგიტაციის გადატანა მუშებში. მათ ესეც არ მაკმარეს და როგორც პოლიტიკურად საშიშარ „დამნაშავეს“ ცალკე ოქმიც შეიყენეს და გადამცეს ჟანდრებს. დამიჭირეს და რამდენიმე დღე-ღამე ბნელ საკანში ჩამკეტეს უშველო-უშველო. რამდენიმე დღის შემდეგ გამანთავისუფლეს, დაყბარუნდი ჩემ ბინაზე გარადოკში. ეგნატე სახლში დამიხვდა, ვუამბე ჩემი თავგადასავალი.

ეგნატემ ისევ განაახლა ჩემთან ლაპარაკი წინანდელ თემაზე. მან განმეორებით ახსნა-განმარტა მიზეზი იმ შექმნილ მძიმე მდგომარეობისა, რომელმაც ამდენი ტკივილები მიაყენა მუშებს: არც ეგნატე

იყო კმაყოფილი თავის მუშაობის პირობებით; მისთვისაც აუტანელი გამხდარიყო ქარხანაში უფროსი მუშის როლში მუშაობა და გულ-ამოკვნით განაგრძო:

განა ჩემი მუშაობის პირობები კი სახრბელოა?.. პირიქით, მიუღებელი და აუტანელი ყოფილა ჩემი თანამდებობა; ქარხნის გამგეუფროსები მეუბნებიან, რომ როგორც მეთვალყურე და უფროსი მუშა, ჩემ ხელქვეით მუშებს მე სასტიკად უნდა მოვეკეცე. რომ მათ მე ძალა დავატანო და რაც შეიძლება ნორმაზე მეტი ვამუშაო და ვაკეთებინო საქმე, რომ 10—20 წუთი ადრე დავაწყებინო მათ მუშაობა; ხოლო გავანთავისუფლო კი, გეიან, და რაც შეიძლება გვიანო... მიხა, განა ასეთი თანამდებობა მე კი შემეფერება? სწორედ ეს ღა მაკლია, რომ ბურჟუა-კაპიტალისტებმა ჩემის შემწეობით და დახმარებით ყველაფერ სისხლი სწოვონ ჩემ ძმებს, ჩემს პირობებში მყოფ მუშებს და ისქელონ თავიანთი ისედაც გასქელებული კიბები...

მუშები მშიერები, ნახევრად შიშველნი, რომლებიც დილიდან საღამომდის მუშაობენ, საშინლად იჭანცებიან. მე კი მეუბნებიან: „ჩქარა, ჩქარა“ უძახეო, ძალა დაატანე, რომ ბევრი იმუშაონ, ბევრი გააკეთონო... არა, მიხა ამისთანა პირობებში ჩემი აქ დარჩენა და მუშაობის გაგძელება შეუძლებელია!.. სულ ერთია, მე რომ არ დავეთხოვო, თითონ ისინი დამითხოვენ, როგორც მათთვის გამოუსედეგარს კაცს... ამიტომ მე ვფიქრობ ისევ თბილისში წავიდე...

ამის შემდეგ აღარ გაუვლია დიდ ხანს, რომ ეგნატე გამოვიდა როტშილდის ქარხნიდან, მოშორდა სრულიად ბათუმს და გამოუდგა თბილისისაკენ.

კვირა დღე იყო. მე ვიჯექ ჩემი ბინის აივანზედ და „კვალს“ ვკითხულობდი. ამ დროს ეზოში შემოვიდა მკრეკავი და დეპეშა გადმომცა, რომლითაც ჩემი ნაჩალნიკი ზურაბოვი მიბარებდა. მაშინვე წაველ ზურაბოვის ბინაზე. მან მიბრძანა: ეხლავ წადი ჯუმათის სადგურზე და იქ მოაწყე ბილეთების სალარო, რომ ხვალ მზად იყოსო და მეორეც ის, რომ ამ ჩემი კაბინეთის პერის ფანჯრის მინები ამოიღე და ნაცვლათ ბუნდოვანი (მატოვი) მინები ჩასხი, და ერთ თვალში ფორტოჩკაც გამოაწყე ბლოკით, რომ როცა მინდა კაბინეტიდან გავაღო და დავხუროო.

ეს ისეთი სასტიკი და სწრაფი ბრძანება იყო, რომ მისი ასე მოკლე ხანში შესრულება ყოვლად შეუძლებელი და მოუხერხებელი იყო. ამის გაკეთებას ხუთი დღე მაინც მოუნდებოდი.

შაბათი დღე იყო. როგორც ჯუმათის კასა, ისე კაბინეტის ფორტოჩკა უკვე მზადაა. და როცა ბლოკით თოკი ჩაუშვი კაბინეტში,

იქ დავინახე შადინოვი და ზურაბოვი, რომელთა წინ იდგა მაგიდა და ზედ ეწყო ოქროს და ქაღალდის ფული. ისინი მაღალი ხმით ერთმანეთს რაღაცაზე ეკამათებოდენ, მგონი ფულის გაყოფაზე, და რომ დაინახეს თოკის ჩაშვება, ორთავემ ერთ ხმათ შემომყვირეს და რუსულად მომაძახეს—вон отсюда-ო.

მე მაშინვე გამოვბრუნდი, მავრამ რასაც ლაპარაკობდენ, ყველაფერი კარგად გავიგე.

შადინოვი ზურაბოვს ეუბნება—რას ცხარობ, ამ ერთ კვირაში შენ გერგება 228 მანეთი და თვეში კი მოგდის 912 მან. შენს თვიურ ჯამაგირზედ ორჯერ მეტი და რაღა გინდა.

აი როგორ ავაზაკურად ინაწილებდენ მუშებისაგან ანაცარცეს ეს მყვლეფავები...

ერთი კვირის შემდეგ გამომიცხადა კანტორის მმართველმა, რომ ინჟინერ ზურაბოვის ბრძანების თანახმად სამსახურიდან დათხოვნილი ხარო. ამ ორ კვირაში ანგარიში აიღე და სადაც გენებოს მიბრძანდიო.

მე ძლიერ ავღელდი, რომ ასე უმიზეზოდ მითხოვდენ, უცბათ შეველ ზურაბოვის კაბინეტში და მოვახსენე, რომ არაფერი დამიშავებია და ასე უმიზეზოთ რათ მითხოვ მეთქი.

ზურაბოვმა გაჯავრებით მიპასუხა: იმ-მიზეზით გითხოვ, რომ ეს ფორტოჩკა და სადგურის კასა კარგად არ არის და გაკეთებულიო.—მე უპასუხე როცა ჩაგაბარეთ, მაშინ თქვენ მოიწონეთ, „დაროჟნი მასტერმაც“, თქვენ თანაშემწემაც და ახლა რა არის, რომ მიწუნებთ.

გარდა იმისა, მე გავიგე, რომ შენ რაღაცებს მიედ-მოედები ლიანდაგის მუშებში და მადლობელი იყავ, რომ ციხეშიაც არ გაგზავნიო.

მე კი ჩემდა ღუნებურად, ისე ავღელდი, რომ ველარ მოვითმინე და სიტყვა შევუბრუნე და ვუთხარ, რომ თქვენ და შადინოვს რომ ლაპარაკი გქონდათ ფულის გაყოფაზე და მე დაგინახე, თქვენ ეს არ მოგეწონათ და ამიტომ მითხოვ მეთქი, მაგრამ მომვარდა ყვირილით და ერთი სილაც გამაწია და თან ლაქიას უბრძანა.— ჟანდარმს დაუძახეო. გამბოჭეს, მუჯლუგუნით ჩამათრიეს სარდაფში და ჩამკეტეს.

სამი დღის შემდეგ ჟანდარმის პოლკოვნიკმა ჩვენება ჩამომართვა, მე უამბე როგორც იყო საქმე, მაგრამ პოლკოვნიკმა ჩემ სიმართლეს ყურადღება არ მიაქცია და მითხრა, რომ რკინის გზაზე შენი მუშაობა არ შეიძლება და სხვაგან სადაც გინდა, იქ მიბრძანდიო. ჩემ შეკითხვაზე, რომ ასე უსამართლოდ რათ მსჯით და რათ მითხოვთ მეთქი—პასუხათ მივიღე: თუ ბევრს ილაპარაკებ, ციხეშიაც

გაგგზავნიო, მეც დავანებე თავი ამ ავაზაკების ბუნაგს და ციხეს ისევ დათხოვნა ვარჩიე და გავუდექი ჩემს გზას...

ჯერ კიდე ეგნატე ჩემს ბინაზე იყო, თბილისში არ წასულიყო. ეგნატეც სახლში დამხვდა. ძლიერ გაუხარდა. გამომკითხა დაპერის მიზეზი. მე ვუამბე ყველაფერი ზურაბოვ შადინოვის ოინებზე, ვუამბე, რომ ლიანდაგის მუშებთან გაზეთს და წიგნებს ვკითხულობდი და ჩვენი ცხოვრების ავ-კარგიანობაზე ვლაპარაკობდითქო, აი ეს ყველაფერი, გზის ოსტატ მაკაცარიას დაესმინა ზურაბოვისთვის და ისიც უთხარი, თუ კაბინეტის ჭერიდან როგორ დავინახე, როცა შადინოვ-ზურაბოვი მუშებიდან ანაცქვენ ფულებს იყოფდენ...

ეგნატე ჩემს ლაპარაკს ყურს უგდებდა და როცა გავათავე, თავი მაღლა აიღო, მწარე ღიმილით შემომხედა და მითხრა: კიდევ კარგი, რომ მაგ ავაზაკებს ასე იოლათ გადაურჩიო და განაგრძო: აკი წინადაც გითხარი, მთელი ქვეყანა ერთ მუჭა ავაზაკების და მყვლეფელების ხელშია, მაგრამ იმედია ახლო მომავალში ჩვენც მოვესწრებით ჩვენი თავის ბატონ-პატრონობას და ახლა კი გვჭირია მომზადება, რომ ახალ ცხოვრებას სრული მომზადებული შევხვდეთო. ასე დაასრულა თავისი სიტყვა ეგნატემ და მეორე თუ მესამე დღეს გასწია თბილისისაკენ. ამის შემდეგ აღარ შემხვედრია ეს დაუვიწყარი პიროვნება და ჩემი გულითადი მეგობარი.

ცოტა ხნით ცუდაობის შემდეგ მანთაშევის ნავთის ქარხანაში ვიშოვნე სამუშაო. ნავთიანი თუნუქებისათვის ხის ყუთებს ვაკეთებდი. იმ განყოფილებაში, სადაც მე ვმუშაობდი, ვიყავით 10—15 მუშა. უმრავლესობა ამ მუშებისა ადგილობრივი, ახლო მახლო სოფლებიდან იყვნენ ჩამოსულნი—ბერძნები, აჭარელები, სომხები, მეგრელები და ორი გურული. აღმოჩდნენ ისეთი ამხანაგები, რომლებმაც ჩვენი აზრი და მიმართულება ერთმანეთს გაუზიარეთ, შევთანხმდით, რომ ეკონომიურ ნიადაგზე მოგვემზადებინა სხვა ამხანაგებიც და შეძლებოდა დაგვარათ გვებრძოლა, მაგრამ სამწუხაროთ უმრავლებობა,—ბერძნები, სომხები, მეგრელები და აჭარელი მუშები არ იჩიარებდენ ჩვენ მიმართულებას. მათ დათხოვის ეშინოდათ და არც ეინტერესებოდათ, რომ განვითარებულიყვნენ, ასევე იყო საქმე სხვა განყოფილებებშიაც. უმრავლესობის მისწრაფება მხოლოდ ის იყო, რომ ეშოვნათ ორიოდე მანეთი და გაეხსნათ სავაჭრო.

მაგრამ იყვნენ მუშები, მანქანების და სხვა განყოფილებებში ცოტად თუ ბევრად შეგნებულნი და მომზადებულნი, რომლებიც მეტ ყურადღებას აქცევდენ ეკონომიურ საკითხს და აი, ეს მუშები შემოგვიერთდენ და შევქმენით ერთი პატარა ჯგუფი, რომელსაც ხშირად პატარ-პატარა შელაპარაკებაც უხდებოდა ხაზეინებთან ჯამაგირების

მომატებაზე. ჯერ კიდევ არ არსებობდა ორგანიზაცია, პარტია, მაგრამ რამოდენიმე თვის შემდეგ დაარსდა ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდენ ზავდისავე მუშები და ზოგიერთი ინტელიგენტებიც, რომლებიც, გვეხმარებოდენ მუშებს და ხელს გვიწყობდენ თავიანთი ცოდნით და ლიტერატურით; ასეთები იყვნენ ეჭიმები, მასწავლებლებიც, მაგრამ სამწუხაროდ როგორც მუშები, ისე ინტელიგენტები, თავიანთ ნამდვილ გვარს ვერ ატარებდენ და აქაც მიტომ ვერ ვიხსენებ ნამდვილ გვარებს. ფსევდონიმებით კი ასეთები იყვნენ: ახმედ-ჯო, ხოჯა, როსტომ, მურად, ჭოლ-ჭოდა, ას-ტურ და სხ.

1892 წელს 20 დეკემბერს ბათუმში, მანთაშევის მუშებს ხაზეინთან ლაპარაკი მოგვიხდა და ორიოდე დღით გაფიცვაც მოვახდინეთ. მაგრამ რამოდენიმე დღის გაფიცვის შემდეგ, გაფიცვა მუშების დამარცხებით გათავდა, რასაც მუშების დათხოვნა მოჰყვა, დათხოვნილთა შორის მეც ვირიცხებოდი, დავრჩი ისევ უმუშევრად.

1893 წელს ტფილისში დავბრუნდი და ისევ სამხედრო სახელსნო არსენალში შევედ მუშად. მაშინ არსენალი ჩინონიკ ბატურინს ჰქონდა მინდობილი (ტატიშჩევისგან) კეიის სასაფლაოს ეკლესიის კანკელის გაკეთება. ბატურინმა მე და დავით ამბდუშელიშვილს (ჩუქურთმის მჭრელი იყო) მოგვანდო მისი გაკეთება, რაც ერთ წელიწადში შევასრულეთ.

1894 წელს კი, აქვე არსენალში, მე და აღ. კულუბაშვილმა (ისიც არსენალში მუშაობდა დურგლათ) განვიზრახეთ ხელოსანთა ამხანაგობის დაარსება და წესდებაც შევიმუშავეთ 47 მუხლისგან, ასეთი სახელ-წოდებით: ტფილისის ხელოსანთა კავშირი ამხანაგობა „შრომა“. რამოდენიმე თვის შემდეგ კიდეც გავხსენით მადათოვის კუნძულზე, მუხრანსკის შენობაში, საამხანაგო სადურგლო, ამხანაგობის წესდების შინაარსი ასეთი იყო:

ტფილისის ხელოსანთა ამხანაგობა „შრომა“, არსდება იმისთვის, რომ მშრომელმა ხელოსანმა თავის სამართლიანს შრომაში მიიღოს კუთვნილი სარგებლობა.

ყოველი მშრომელი ხელოსანი ამხანაგობისა უნდა გახდეს თავისი შრომის პატრონი. მას უნდა ეკუთვნოდეს თავის ხელით ნაწარმოებში თავნიცა და მოგებაც, რომ მით მან გაიადვილოს ცხოვრება.

ხელოსანთა კავშირში მიიღებიან წევრებათ მხოლოდ ხელოსნები, რომლებიც კი მარტო თითონ ერთი შეგირდით მუშაობს და არა ჰყავს დაქირავებული მუშა ქარგალი.

ჰაი ერთი თუმანი იყო.

ჯამაგირები განისაზღვრება ორ ხარისხათ: არა უმეტეს 1 მ. 40 კ. და არა ნაკლებ 80 კ.

სამუშაო დრო იყო 9 საათი. მხოლოდ შეგირდებისთვის 8 საათი. შეგირდები მიიღებიან არა ნაკლებ 16 წლისანი, მხოლოდ ერთი თვით ყოფა-ქცევის გამოცდის შემდეგ მიიღებიან შეგირდათ, ყველა ხარჯი შეგირდების ჩაცმა და ჭამის ხარჯები ამხანაგობისაა, შეგირდებს იყვანს ამხანაგობა და არა ამხანაგობაში მომუშავე კაცშირის წევრი. შეგირდებს გარდა განსაზღვრულ ჯამაგირისა, ეძლევათ წმინდა მოგებიდან პროცენტებიც.

კაცშირის გამგეობას დიდი ყურადღება უნდა ჰქონდეს მიქცეული თავის მემკვიდრე შეგირდებზე, მათ ზნეობრივ-გონებრივ აღზრდა-განვითარებაზე და ხელობის სწავლა-გაგარჯიშებაზე, და თუ აღმოჩნდა რომელიმე შეგირდი ნიჭიერი, წიგნობრობით თუ ხელობით, მაშინ ამხანაგობა მოვალეა ასეთი შეგირდი ჩარიცხოს შესაფერს ადგილობრივ სასწავლებელ-სკოლაში კაცშირმა თავის ხარჯზე.

წმინდა მოგება იყოფა ექვს ნაწილად: ა) გადიდება თანხის გასადიდებლათ წმინდა მოგემიდან 1 მ. 20 კ. ბ) სათადარიგო თანხის რომელიმე შემთხვევისთვის 20 კ. გ) დასახმარებლად რომელიმე წევრის უბედურ შემთხვევაში 5 კ. დ) წევრთა შვილების და შეგირდების აღსაზდელათ შკოლაში 20 კ. ე) ჯილდო მუყაითი საქმისათვის წევრებს 5 კ. ვ) დანარჩენი 30 კაპ. წევრთა შორის ნაწილდება თანასწორად.

ეი ასეთი იყო „შრომის“ ამხანაგობის კაცშირის მუშაობა ერთ წელიწადზე მეტი და შემდეგ კი მოგვეცნინა სრულიად ახალი მიმართულების და აზრის ინტელიგენცია თავისი დიპლომიანი და ბურჟუაზიული იდეოლოგებით, მათ არ მოეწონათ მუშებისაგან: თანასწორ უფლებიანი შემდგარი „შრომის“ წესდება, მათ შეადგინეს ახალი წესდება 58 მუხლისაგან შემდგარი არტელის სახელწოდებით და 13 მაისს 1900 წელს და სამინისტროს დაამტკიცებინეს ორ ენაზე რუსულ და ქართულზე, ამ ორ წესდებაში კი დიდი განსხვავება იყო, რომელიც ვერ ეგუებოდა მუშების ინტერესებს, რადგან „შრომის“ წესდების მესამე მუხლი მხოლოდ ხელოსნებს იღებდა წევრებად და „არტელის“ წესდების 17 მუხლით კი არა ხელოსნის წევრად მიღებაც შეიძლებოდა.

ამიტომაც ამ ხელოსანთა არტელში ირიცხებოდენ წევრებად ინტელიგენტებიც—ი. ჭავჭავაძე. ა. ფურცელაძე, ეპისკოპოზი კირიონი, გენერალი მამაცაშვილი, ინჟინერი გ. ქურდიანი, მასწავლებელი ნასიძე და ბერიძე, ადვოკატი, ბუჰგალტერი ტარუაშვილი, კანდუქტორი, ვაჭარიც და სხვა. „არტელის“ წესდებით კი პაი 10 მანეთი იყო. „არტელის“ ამხანაგობის წევრს გადამჭრელი ხმა მაშინ ექნებოდა, თუ სრული პაი გადახდილი ჰქონდა, „შრომის“ წესდებით კი წევრს თუნდაც მანეთი ჰქონოდა შეტანილი საწევრო, მაინც გადამ-

პრელი ხმა ჰქონდა კითხვის გადაჭრაში. ამ ხელოსანთა კავშირში ირიცხებოდა უმრავლესობა ღარიბი ხელოსნება და ვერც შესძლებდა ერთბაშათ 25 მანეთის შეესებას. უმცირესობას ინტელიგენციას კი ჰქონდა სრული პაი და გადამჭრელი ხმაც მათი იყო, და როგორც უნდოდათ, ისე სწყვეტდენ საკითხს. ასედა ამ რიგად, ღარიბი უმრავლესობა ხელოსნებისა ჩამოიცილეს, მაგრამ ამ უჯარო გენერლებმა ველარ აწარმოეს დურგალთა სახელოსნო და დახურეს. თუმცა 1895 წლიოან 1905 წლამდისაც, ბევრი ხელოსანთა კავშირები და ამხანაგობები დაარსდა თბილისში: დურგლების, ხარატების, მეჩექმეების, კალატოზების და სხვათა, მაგრამ მათაც ვერ იბოგინეს, ვინაიდან ამისთვის მუშები ჯეროვნათ ვერ იყუნენ მომზადებულნი, აგრეთვე 1905 წელსაც დაარსდა წმინდა მუშური, პროლეტარული ხელოსანთა კავშირი სტოლარებისა, ვ. დურგლიშვილის, ი. გონენაშვილის, სად. ჩოდრიშვილის, ვ. ბალიაშვილის, ერაძის და სხვების მეთაურობით და ავჭალის ქუჩაზე კანტორა და ნიკოლოზის ქუჩაზე სადურგლოც გახსნეს, სადაც 3-4 ამხანაგიც მუშაობდა, მაგრამ ესეც უდღეო გამოდგა და დახურეს. ასეთი იყო თბილისში მუშა ხელოსანთა ამხანაგობების და კავშირების ისტორია 1895 წლიდან 1905 წლამდის.

თუმცა ზოგიერთი ამხანაგები მოგვითხრობენ, გაზეთ „მუშა"-ში 1923 წელს, რომ ახლა ეწყობა მუშათა მოძრაობა, კავშირები და ამ ხანაგობებიო, მაგრამ მე უნდა ვთქვა, რომ ეს სინამდვილეს მოკლებულია. ნამდვილათ კი, მუშათა მოძრაობა, ამხანაგობები და კავშირები თბილისში ეწყობოდა 1877 წლიდანვე. და 1894 წლიდან კი ეწყობა მუშათა ჯგუფები და წრეები, რომლის მეოხებითაც საფუძველი ეყრებოდა, ისახებოდა და სოც.-დემოკრატიულ ნიადაგზე ეწყობოდა პარტიაც, თუმცა ჯერ არ იყო ჩამოყალიბებული პარტიული პროგრამა და მუშათა მტკიცე კლასი თბილისში, მაგრამ არალეგალური კრებები ბნელ სარდაფებში, ქალაქის განაპირა უბნებში, ტყეებში, ხევსა და ღელეებში ეწყობოდა და ქალაქისა და რკ. გზის სახელოსნოებში მოეწყო მუშათა პატარა წრეებიც 1895 წელს საიდანაც ჩაისახა პირველად რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა კლასის პარტიის სახელიც, რომელსაც ხელმძღვანელობდენ როგორც მუშები, ისე ინტელიგენცია. სახელდობრ, სილია ჯიბლაძე, სევერიანე ჯუღელი, ლ. კეცხოველი, ვას. ცაბაძე, მ. ბოჭორიძე, ზ. ჩოდრიშვილი, დათიკო ხართიშვილი და სხვები. ამათი მეცადინეობით კი იმდენად მომზადდენ მუშები, რომ 1898 წელს ამ პატარა რამოდენიმე პირისაგან შემდგარ ჯგუფმა, ნაძალადევის გორის, ლოტკის გორის გადაღმა, საიდუმლო პირველი მაისობის დღესასწაულიც მოაწყო,

პირველ მაისის და 8 საათის მნიშვნელობაზე სიტყვებიც წარმოითქვა, როგორც მუშებისგან, ისე ინტელიგენტებისაგან აგრეთვე 4 მხრიდან წითელი დროშაც აფრიალდა და ჩვენი დარაჯებიც გვყვანდა დაყენებული, შემდეგ მინდორზე სუფრაც გავშალეთ, გარს შემოუსხედით და მარსელიოზაც შემოვძახეთ და ერთმანეთს პირველ მაისს ვულოცავდით, გაუმარჯოს პირველ მაისს, გაუმარჯოს 8 საათის სამუშაო დროს. ასე დამთავრდა პირველი მაისობაც.

1895 წელს „შრომის“ ხელოსანთა ამხანაგობის წესდებას ვაბეჭდინებდი მაქსიმე შარაძის სტამბაში და იქ შემთხვევით გავეცან ლ. კეცხოველს. ის დაინტერესდა „შრომის“ ხელოსანთა კავშირის წესდებით და მთლად გადაიკითხა და შემდეგ მადათოვის კუნძულზე „შრომის“ ხელოსანთა სადურგლო სახელოსნოში ხშირად დაიწყო სიარული, პატარა წრეც შემადგენინა მუშებისაგან და ამ წრეს გვიხსნიდა-გვიმარტავდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის და რუსეთის მუშათა მოძრაობის შესახებ.

ამ დროს გამოდიოდა გაზეთი „ცნობის ფურცელი“ ვალერიან გუნიას რედაქტორობით და ლ. კეცხოველი და სევერიანე ჯუღელიც ამ გაზეთში თანამშრომლობდენ; მეც ამ გაზეთში ხშირად მიმქონდა ხვგაზეთო წერილები ხელოსანთა მოძრაობის და კავშირების შესახებ, რომლებსაც სიამოვნებით მიბეჭდავდენ და ლ. კეცხოველი, ხშირად მეკითხებოდა ახლად დაარსებულ ხელოსანთა ამხანაგობაზე და ახლად შემდგარ მაშინდელ მუშათა წრის კრების დანიშვნაზე; კვირაში ორჯერ მოდიოდა ჩვენთან საპროპაგანდოთ, სადურგლოს მაღლა სართულში ტრაქტირი იყო. იქ ერთ ოთახში ჩვენი წრე იკრიბებოდა და ლადო კეცხოველიც ხან წიგნებს გვიკითხავდა და ხან გვესაუბრებოდა.

ივანე გუჩაშვილი.

ავტობიოგრაფია.


დავიბადე დუშეთის მაზრის სოფ. ბუჩაანთ-კარში 1882 წელს. მამასთან ერთად ვეწეოდი მიწის მუშაობას.

1902 წლამდე არაფერი ვიცოდი რევოლიუციის შესახებ. როდესაც გამიწვიეს სამხედრო ბეგრის მოსახდელად, გავიგე, რა უნდა გამეკეთებია ბეგრის მოხდის შემდეგ. გავიგე, ვისთვის იყო საჭირო ჩემი სამხედრო სამსახური. როდესაც ამიხსნეს, რომ უნდა იყვე ერთგუ-

ლი მეფესი და რჯულის, სარწმუნოებისა, მაშინვე ეჭვებმა შემოპყრო 1902 წელს შევეკითხე ადგილობრივ (დუშეთის) უფრო მომზადებულ ამხანაგს: რა ნაირია თქვენი შეხედულება დღევანდელ თვითმპყრობელობის შესახებ. როდესაც ამბ. ნიკო ტყლაშაძემ და ღადო გურგენიძემ მიპასუხეს— რატომ დაგებადა ეგ აზრიო, მეც აუხსენი ის (აუტანელი მდგომარეობა, რომელსაც განვიცდიდით ბატონების ხელში). მაშინ მითხრეს ზემოხსენებულმა ამხანაგებმა რაშიც იყო საქმე. იმ დღიდან მე შეუდექი რევოლიუციონურ პროგრამის შესწავლას და რევოლიუციონურ გზას დავადექი. პირველად ჩემი რევოლიუციონრობა გამოახატებოდა იმაში, რომ ვეწეოდი დუშეთის მაზრის მშრომელ გლეხებში შეძლების დაგვარად აგიტაციას, ვუხსნიდა მათ ვინ იყო მეფე და თავად-აზნაურობა. მშრომელი გლეხობა ძალიან გატაცებული იყო რევოლიუციით. დუშეთის მაზრის მშრომელი გლეხობის პირველი რევოლიუციონური ნაბიჯები გამოიხატა იმაში, რომ 1904 წელს 5 სექტემბერს ბაზალეთის ტბასთან დავით კეზელმა შეიტანა 15 გუთანი გლეხების კუთვნილ საუფლისწულო მამულში. მშრომელმა გლეხებმა აღელვებით მე მომმართეს: თუ კარგი „ბუნტოვჩიკი" ხარ, გვიშველე რაღაც. 2 საათის განმავლობაში მე მოუყარე თავი სოფ. ხიდის საზოგადოებას და აუხსენი: ძალა იმაშია, თუ მას გამოიყენებ რევოლიუციონურად. მაშინვე კეტებს და მიწის სამუშაო იარაღებს დავაკლეს ხელი გლეხებმა. ჩემი წინამძღოლობით განდევნილ იქნა გუთნები ზემოხსენებულ მამულიდან, მაგრამ დავით კეზელმა მიმართა დუშეთის მაზრის უფროსს, პოლკოვნიკ ფონ-ბაუერს, რომელმაც არ დასტოვა უყურადღებოდ საჩივარი. მეორე დღესვე გამოგზავნა რვა შეიარაღებული ჭისტი, რათა აღედგინა „წესიერება" კეზელის სასარგებლოდ. როდესაც გამოგზავნილი „სტრაჟნიკები" მოვიდნენ ხიდის საზოგადოებაში და დაატაცეს ჩვენი სოფლის ძროხები და სხვადასხვა საქონელი, გლეხებმა ხელმეორედ სტაცეს ხელი იარაღს—კეტებს და სხ. ჩემი წინამძღოლობით. შვიდი შეიარაღებული „სტრაჟნიკი" იქნა დაპატიმრებული და იარაღ-აყრილი. გლეხობამ სტიქიურად იმოქმედა. დაპატიმრებული „სტრაჟნიკები" ჩაყარეს ბაზალეთის ტბაში ცხვრის-საბანაოსთან, მაგრამ ჩემი აგიტაციის შემდეგ ზოგიერთი „სტრაჟნიკი" გადარჩა. მათ დასდეს ფიცი ჩვენს წინაშე, რომ ისინი სამსახურს თავს დაანებებენ და წავლენ თავიანთ სახლებში; ფიცი შეასრულეს. როდესაც პოლკოვნიკმა ფონ-ბაუერმა გაიგო თავისი „სტრაჟნიკების" თავგადასავალი, დავით კეზელი და ფონ-ბაუერი იმ საღამოთიეე მოვიდნენ ხიდის საზოგადოებაში შეიარაღებული ძალით, მოითხოვდენ „ბუნტოვჩიკების" გაცემას, რომლებიც ხელმძღვანელობდენ არეულობას. ხელმძღვანელების გაცემის ნაცვლად გაბრაზებულმა გლეხებმა სტაცეს კეტებს ხელი, (აქაც მე ვხელმძღვანელობდი). პოლ. ფონ-ბაუ-

ერი გაგვექცა, კეზელი კი ხელში ჩაგვივარდა, რომელსაც ვსცემეთ სასიკვდილოთ. ამის შემდეგ (1904 წ. 5 სექტემბერს) მე გავხდი ტყის კაცი; დავდიოდი დუშეთის, თიანეთის და გორის მაზრაში. ვეწეოდი აგიტაციას როგორც მეფის, აგრეთვე თავად-აზნაურების წინააღმდეგ.

1905 წ. 2 აგვისტომდე თვალსაჩინო რევოლიუციონური ნაბიჯი არ გადამიდგამს. ამავე წლის 2 აგვისტოს ჩემი მეთაურობით დუშეთის მაზრის სოფ. მჭადის ჯვარში მოხდა შეიარაღებული შეტაკება. აქ შეერთდა გორის და დუშეთის ათი საზოგადოება. ჩვენ მაშინვე თავს დავესხით თავად გოგია ბაგრატიონ-მუხრანსკის, აქ მოვიდა ერთი როტა სალდათი და ერთი „სოტნა“ კაზაკი ჩვენს გასაფანტა-



ამხ. ი. ბუჩაშვილი.

ვათ პოლ. ფონ-ბაუერის მეთაურობით და კაზაკების „სოტნის“ უფროსის ხელმძღვანელობით. პოლ. ფონ-ბაუერი დაჟინებით მოითხოვდა ჩვენ დაშლას, მშვიდობიანად სახლში დაბრუნებას, მაგრამ გლეხები ისე იყვნენ აღელვებული, რომ პოლ. ფონ-ბაუერს აღარაფერი დარჩენოდა იმის მეტი, რომ გაეცა ბრძანება ესროლათ პირდაპირ გლეხებისათვის. სანამ კაზაკების „სოტნის“ უფროსი პეტრე ზალატარიოვი სროლის ბრძანებას გასცემდა, ჩემის განკარგულებით, რომელსაც ვაშას ყიჟინით შეხვდა ხალხი, პეტრე ზალატარიოვი ჩაშოვაგდეთ კეტების ცემით ცხენიდან იქვე ბატონის ალაყაფის კარებთან. იმის შემდეგ პოლ. ფონ-ბაუერი სასწრაფოდ მიიმალა სად-

ღაც. მთავრობის შეიარაღებულ ძალას უფროსობდა ვიღაც ოფიცერი, ჯარი პირდაპირ გვესროდა. მხოლოდ უნდა აღვნიშნო, რომ ზოგიერთი სალდათები არ გვესროდენ. ბრძოლის შემდეგ ჩვენი მხრიდან აღმოჩნდა მოკლული 30 კაცი და დაჭრილი 40. ჩვენ მოვკალით 2 კაზაკი და სასიკეთოლოთ დავჭერით პეტრე ზალატარიოვი. სოფ. მჭადიჯვარში ეს ბრძოლა მოხდა 1905 წ. 5 აგვისტოს. გამოწვეული იყო იმ ნიადაგზე, რომ გლეხებს აღარ სურდათ გადაეხადათ აღარც მეოთხედი, აღარც ღალები და არც საბალახოს გადასახადი თავად გოგია ბაგრატიონ-მუხრანსკისთვის. მეორე დღეს, 6 აგვისტოს, მოვიდა ქალ. თბილისიდან გუბერნატორი შერემეტევი და სულთან-კრიმ-გრეი მომხდარი ამბების გამოსარკვევად, მაგრამ ჩვენ ჩავუსხედით ტინის ტყეში, მათ პირველი „ეკიპაჟის“ გაელის დროს დაუწყეთ სროლა; მოვკალით ორი ყაზახი და ჩაფარი. ასე გათავდა შეტაკება მჭადიჯვარში. მთავრობამ ჩაგვიყენა ეგზეკუცია ყველა სოფლებს სოფლებისვე ხარჯზე, ეგზეკუცია არ ზოგავდა გლეხობის ქონებას, სისაძაგლეს ჩადიოდენ, ქალებს აუპატიურებდენ და სხვა. ასე გასტანა 5 აგვისტოდან 15 ოქტომბრამდე.

დაჰკრა სიხარულის საათმა. გამოვიდა ამინისტია. ჩვენ ყველა ტყის კაცები დავბრუნდით ჩვენს ოჯახებში, მაგრამ არც ეს იყო საკმაო ჩვენთვის. ოქტომბრის შემდეგ ხელმეორედ დაენთო შეუბრალებელი ცეცხლი, რომელიც ანადგურებდა როგორც თავად-აზნაურებს, აგრეთვე მეფის ჩინონიკებს; 1905 წ. ოქტომბრიდან 1906 წლის 16 იანვრამდე დუშეთ-თიანეთის მაზრა იყო ჩვენს ხელში; აქ აშკარად ვმუშაობდით, ეადგენდით რაზმებს, ვრაზმავდით მშრომელ გლეხობას. ეს იყო მაშინ ჩვენი მუშაობა. 16 იანვარს 1906 წ. მე დამაპატიმრეს ბაზალეთის მინდორზე ეკრედ წოდებულ კანჭის ქედზე დილის 5 საათზე, სადაც ბევრი ცემის შემდეგ გამიკრეს ხელ-ფეხი და თრევით წამიღეს კობიაანთ სოფლამდე ვერსტ-ნახევარი მანძილი. ვასო კობიაშვილი გადმოუდგა ყაზახებს წინ და სთხოვა: როგორც მე, აზნაური, გთხოვთ თრევით ნუ წაიღებთ და მარხილით გამატანა დუშეთში პოლკოვნიკ ფონ-ბაუერთან. მე გრძნობაზე არ ვიყავი. პოლკოვნიკ ფონ-ბაუერმა წიხლებით მცა პატივი. გადამგზავნეს იმავე მარხილით სამაზრო ციხეში. დუშეთის მაზრის გენერალ-გუბერნატორის დიკის განკარგულებით ვიქენი გადასახლებული არხანგელის გუბერნიაში. ვინაიდან დუშეთში იმდენი ხალხი იყო დაპატიმრებული, რომ კამერებში არ ეტეოდა და ამიტომ გარეთ გვიხდებოდა ღამის გათევა იანვარში, ყაზახები გვდარაჯობდენ; ამიტომ დაინიშნა პირველი ეტაფი 20 იანვარს, გამოგვამგზავრეს ტფილისში, მეტეხის ციხეში, სადაც დავრჩი ცალკე კამერაში (ახალ შენობაში) 6 თვე. 6 თვის შემდეგ გამგზავნეს არხანგელის გუბერნიაში, სადაც ვიმყოფებოდი სოფ.

ლოდმაში, ხამლაგორის მაზრაში; იქიდან გამოვიქეცი ოდესაში. დავდექი რკინის გზაში მტვირთავად. 1907 წ. აპრილის 20 ვმუშაობდი ოდესის რევოლიუციონურ ორგანიზაციაში, ვასრულებდი ყველა დავალებებს, რასაც მავალებდა პარტია. აპრილის 25-დან მე მივიღე დოკუმენტი ივანე გაბრიელისძე ღარიბაშვილის სახელობაზე და დამავალეს მოროზოვთან ერთად წავასულიყავი პიატიგორსკაში, სადაც იყო დასასვენებლად ოდესის სამხედრო ოლქის სარდალი გენერალი კონსტანტინ კარანგოზოვი, რომელმაც დახვრიტა ლეიტენანტი შმიდტი თორმეტი მატროსი სევასტოპოლში. ჩვენ გვჭონდა ორგანიზაციის დავალება რამდენიც უნდა დაგვჯდომოდა, მოგვეკლა გენერალი კარანგოზოვი. 7 მაისამდე ვუდარაჯეთ მის ბინას. ბევრი ცდის შემდეგ 7 მაისს, დილის 9 საათზე, როდესაც სასტუმროდან გამოვიდა და ეტლით გაემგზავრა საბანაო აუზისკენ, ჩვენ ვიყავით შეიარაღებული ბომბებით და ჯიბის იარაღით. ამ დროს გადაუგდეთ ბომბი, რომელმაც მოჰკლიჯა მარცხენა ხელი და თავი და მოჰკლა გენერალის მცველი, მეეტლე და ცხენები. ჩვენი ჩასასაფრებელი ადგილი იმყოფებოდა ლერმონტოვის ბაღში. ლერმონტოვის ბაღს შემოერტყა ელვის სისწრაფით რაზმი და ჟანდარმები; დაგვაპატიმრეს ყველანი, ვინც ბაღში ვიყავით, როგორც მამაკაცები, ისე დედაკაცები. გამოძიების შემდეგ ჟანდარმების პოლკოვნიკმა წარმომიდგინა ჩემი სურათი და ბრალდება, ვითომც მე მოვკალ ხიმშიაშვილი ნიკა და გიგო ხანდუკელი და მასთან ერთად სხვადასხვა ტერორისტულ აქტებიც ჩამედინოს. უსიტყვოდ გადამგზავნეს როსტოვის ჟანდარმების პოლკოვნიკთან, სადაც ჟანდარმის პოლკოვნიკმა გადამცა სამხედრო საველე სასამართლოს 5 თებათვეს. სასამართლომ გამოიტანა სასჯელი სალამოს 10 საათზედ — სიკვდილით დასჯა დახრჩობით. სასამართლოდან ხელ-ფეხზე ბორკილით გადაგვიყვანეს ციხეში. 9 თებათვეს მოვიდა დეპეშა მარია ფეოდოროვისაგან (ხელმწიფის დედიდან) და 11 კაცს დახჩობა სამუდამო კატორღაზე შეგვიცვალეს. მას შემდეგ გადაგვიყვანეს სერთო კამერაში, სადაც 23 კაცი ვიყავით მოთავსებული, ხელებზე და ფეხებზე ბორკილი მედო 1 წელიწადი და 7 თვე. ავადმყოფობის შემდეგ ექიმების ნებადართვით ამხსნეს ხელებზე ბორკილი. როსტოვის ციხიდან გადამგზავნეს მოსკოვის ცენტრალურ ციხეში, სადაც დაერჩი ერთ წლამდე. იქიდან გადამგზავნეს ქალ. სუმის საკატორღო ციხეში, სადაც ვიმყოფებოდი 1915 წლამდე: ამ წლის დეკემბრის ნახევარში გამოსცა მანიფესტი ნიკოლოზ მე-II-ემ: ვინც პოლიტიკური კატორღელი მიიღებს მონაწილეობას საერთაშორისო ომში გერმანელების წინააღმდეგ, გავანთავისუფლებო. პოლიტიკურ კატორღელებს ყველას დაგვხსნეს ბორკილები, რადგანაც განვაცხადეთ თახმობა; შეგვაიარაღეს და გაგვგზავნეს ოსოვეცის ციხის დასაცველად, რომელიც გა-

შემოტყმული იყო გერმანელებით. თებერვლის რევოლიუციამდე ვიმყოფებოდი მეფის ჯარში (72 ტულსკი პოლკში მე-11 როტის ფელთფებელად) შემდეგ ამომირჩიეს პოლკის კომიტეტის თავმჯდომარეთ. 1917 წ. 9 სექტემბრამდე ვეწეოდი ნემეცების საღდათებთან დაძრობილების კომპარტიის ორგანიზაციების დავალებით. 9 სექტემბერს დამპატიმრეს გენერალ კორნილოვის და კომისარ სავინკოვის განკარგულებით. გადამცეს სამხედრო საველე სასამართლოს. სულ ვიყავი სპატიმროში 4 დღე, სადაც ვღებულობდი მარტო პურს და წყალს; როდესაც იმ დღეებში გენერალი კორნილოვი იქმნა დაპატიმრებული კერენსკის მიერ, მე გამანთავისუფლეს. დავრჩი ისევ იმავე როტაში. ვმუშაობდი კომუნისტურ ორგანიზაციის ხელმძღვანელობით. ვეწეოდი აგიტაციას ოქტომბრის რევოლიუციამდე. შემდეგ გადაველი კრილენკოს რაზმში—მე-3-მე თავდაცვის კომუნისტ-ბოლშევიკურ რაზმში, ვუფროსობდი ასეულს 1918 წლის თებერვლის 5-დე. თებერვლის 5 დაჭერილი ვიყავი კიევის ფრონტზე პეტლიურას მიერ, საიდანაც ჩამოველი ეკატერინოსლავში, გოსპიტალში. ვინაიდან ეკატერინოსლავს საფრთხე მოელოდა კონტრ-რევოლიუციონერებისაგან, გვითხრეს, რომ გვეშველნა ჩვენი თავისათვის, საიდანაც ჩამოვედი ქალ. სოხუმში ამავე წლის თებერვლის გასულში. სამი დღის შემდეგ მოვიდა გენერალი მაზნიევი მენშევიკური რაზმით, რომელმაც იძულებული გამხადა, რომ ამეღო თოფი და წავსულიყავ მენშევიკების საწინააღმდეგოდ; აქ ბრძოლით დავტოკეთ სოხუმი, სოჩა, გაგრა, ტუაპსე და შეუერთდით კუბან-მაიკოპის რაზმს, რომელსაც კამანდრობდა ამბ. ეგოროვი. აქედან მაისის 13-დე დავრჩი მე 10-ე კავკასიის არმიაში. ამის შემდეგ მე დამნიშნეს ქ. კიზლიარში მიწად მოქმედების კომისრად. შემდეგ ვიმყოფებოდი სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე საქართველოს გასაბჭოებამდე. 1921 წ. გასაბჭოების დღიდან ვიმყოფები ქ. დუშეთის მაზრაში სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. ამ ჟამად კი ვიმყოფები საქ. კომპარტიის ცეკას განკარგულებაში.

5 ოქტომბერი 1924 წ.

VIII. რევოლიუციის მსხვერპლნი.



ამხ. ავთანდილ ერანის ძე მამალაძე.

ამხ. ავთანდილ ერანის ძე მამალაძე დაიბადა 1896 წელს ჩოხატაურის რაიონის ხევის თემში საშუალო შეძლების ოჯახში. სწავლა მიიღო სოფლის ორ კლასიან სასწავლებელში. სოფლის სკოლის დამთავრების შემდეგ, უსახსრობის გამო, სწავლის განგრძობა ვერ შესძლო და მუშაობდა ოჯახში. 1915 წელს ის გაიწვიეს ჯარში. მონაწილეობდა იმპერიალისტურ ომში. ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ დაბრუნდა სახლში და ეწეოდა არალეგალურ მუშაობას მენშევიკების წინააღმდეგ. მენშევიკების დროს შეევიდა სამსახურში მილიციის უფროსად ერკეთის თემში. მიუხედავათ იმისა, რომ ის მენშევიკების მილიციის უფროსი იყო, ესწრებოდა ბოლშევიკების არალეგალურ კრებებს. არა ერთხელ გადაურჩენია ხევ-ერკეთის ბოლშევიკები დაპატიმრებისაგან. როცა ის გაიგებდა, რომ მენშევიკების ჯალათები თავს უნდა დაგვესხანო, წინდაწინ გვაცნობებდა და ჩვენც თავს ვშველოდით. იყო შემთხვევები, როცა ამხ. მამალაძეს თავდასხმელებისათვის გზა აუბნევია. მონაწილეობას იღებდა 1919 წელს გურიაში შომხდარ მენშევიკების საწინააღმდეგო გამოსვლებში. აჯანყების დამარცხების შემდეგ ის დააპატიმრეს და დახვრიტეს ქ. ოზურგეთში.



ამხ. ფილიმონ ელიშულის ძე გოგოლაძე.


დაიბადა 1890 წელს ნოებრის 10-ს ს. გოგოლესუბანში. ფილიმონი იყო ერთი უღარიბესი გლეხის შვილი. სწავლა ჰქონდა მიღებული სოფლის სკოლაში (დაამთავრა ერთი კლასი). სწავლის განგრძობა სიღარიბის გამო ვერ მოახერხა და ისე დარჩა სახლში. მეფის სავალდებულო სამხედრო სამსახურში ის გაიწვიეს 1911 წელს. ის მსახურობდა რუსეთში ვოლინის გუბერნიაში, ქ. ლუცკში. სამსახური დაასრულა 1917 წელს. დაბრუნდა სახლში და შეუდგა მიწის მუშაობას. ცხოვრობდა ისე, როგორც საზოგადოთ ცხოვრობენ ღარიბი გლეხები. 1917 წელს, ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ, როდესაც რუსეთის მუშამ და გლეხმა აიღო ხელში სახელმწიფო ძალა-უფლება, მის შემდეგ ის ემსახურებოდა კომუნისტურ პარტიას და ხელს უწყობდა მუშურ-გლეხური მთავრობის დაარსებას. ამ მიზნით მხურვალე მონაწილეობა მიიღო 1919 წელს ნოემბრის შეიარაღებულ გამოსვლებში გურიაში, მაგრამ დამარცხების შემდეგ დაიჭირეს და მოათავსეს ოზურგეთის ციხეში. როგორც სამხედრო პირი და მასთან ნამდვილი მოწინააღმდეგე მენშევიკური მთავრობისა, ის დახვრიტეს სერგია მათითაშვილის მეთაურობით ოზურგეთში.

ფილიმონს დარჩა მოხუცი მამა და ერთი პატარა ძუძუ-ბწოვარა შვილი.



ამხ. მიხაკო გერძენიშვილი.

დაიბადა 1895 წელს სოფელ ჩოხატაურში, ღარიბ ოჯახში. მამა მისი და ბაბუა იყვნენ აზნაურის ყმები. ამხანაგი ბერძენიშვილი მიაბარეს სოფლის პირველ-დაწყებითი სკოლაში, რომელსაც სიღარიბის გამო თავი გაანება (მესამე განყოფილებიდან) და მამასთან ერთად ეწეოდა ოჯახურ შრომას. როცა დავაჟკაცდა, ის გაწვეულ იქნა სამხედრო სამსახურში. ამხ. მიხაკო ჯარშივე ჩაება რევოლიუციონურ მოძრაობაში, ის არ ჩაწერილა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ისე მუშაობდა არალეგარულად, როგორც ჯარის კაცებში, ისე ჯარიდან განთავისუფლების შემდეგ. ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ 10-ჯერ იყო დაჭერილი როგორც რუსეთში, ისე ჩოხატაურში. მენშევიკებმა ის ბევრჯერ აწამეს, რომ ხელი მოეწერა და დაეგმო კომპარტია, მაგრამ მას ვერ აშინებდა ჯალათის ხელები და კომპარტიის პროგრამას მუდამ შეუდრეკლად იცავდა. 1919 წელს მიიღო მონაწილეობა ჩოხატაურის გამოსვლებში. ერთ-ერთი შეტაკების დროს გვარდიელთან ის დაიჭრა და შეპყრობილ იქნა და დახვრეტილი ქალაქ ოზურგეთში.



ამხ. ილია ცინცაძე.

დაიბადა 1894 წელს ოზურგეთის მაზრის ს. ზემო-ფარცხმას ღარიბ ოჯახში. სწავლა განათლება სიღარიბის გამო არ მიუღია, მხოლოდ სამხედრო სამსახურის დროს შეისწავლა წერა-კითხვა. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ჩაება მუშურ მოძრაობაში. 1919 წელს ღებულობს მონაწილეობას ჩოხატაურის გამოსვლებში. მოკლული იქნა ჯალათ გოგვაძის რაზმის მიერ.



ამხ. თეოფილე გიორგის ძე თედორაძე.

დაიბადა 1895 წელს სექტემბრის 1-ს სოფ. ქვაბლას (ხევის თემი). ქონდა ერთი კლასის ცოდნა მიღებული. გამოიზარდა ამავე სოფელში და ეწეოდა სასოფლო მეურნეობას ისე, როგორც მისი მშობლები. 19 წლის გაწვეულ იქნა სამხედრო სამსახურში—1915 წლის მაისში. ერთი წლის შემდეგ ბრძოლის ველიდან ტყვედ წაიყვანეს გერმანიაში. 1918 წლის თებერვალში დაბრუნდა სამშობლოში. ამ დროს ის თანაუგრძნობდა კომუნისტურ პარტიას და ეწეოდა ენერგიულ და გამუდმებულ მუშაობას, რასაკვირველია, მალულად. შემდეგ ამისა მონაწილეობა მიიღო 1919 წელს გურიის გაწოსვლებში. დაჭრილი იქნა მათითეშვილის რაზმის ბიერ დაბა ჩოხატაურის ხიდთან და იმავე წლის ნოემბრის 19 ში დახვრიტეს მენშევიკებმა.



ამხ. ბენია ბერიძე.

1919 წელს გურიაში კომუნისტების გამოსვლების დროს მებრძოლმა რევოლიუციონურმა პროლეტარიატმა დაჰკარგა ერთი თავისი საუკეთესო ხელმძღვანელი ამხ. ბენია ბერიძე. ამხ. ბენია ბერიძე როგორც აქტიური მებრძოლი კომუნისტურ რიგებში, იქნა დახვრეტილი ჯალათ მენშევიკურ გამყიდველ მთავრობის მიერ ქ. ოზურგეთში.

ამხ ბენია დაიბადა 1887 წ. ს. ერკეთში (გურია). ის იყო ღარიბი აზნაური. ამიტომ ამხ. ბენია დაამთავრა მხოლოდ სოფლის ოთხ წლიანი სკოლა. ამის შემდეგ მან შეისწავლა ფოტოგრაფის ხელობა. ამხ. ბენია იყო მეტად გულკეთილი, ის გახდა პარტიის წევრი 1917 წლიდან და ასრულებდა ყოველგვარ პაოტიულ მუშაობას.

ამხ. პართენ გებურის-ძე მამალაძე.

დაიბადა 1892 წელს ნოემბერში სოფ. ქვაბლას (ხევის თემი). ჰქონდა ერთი კლასის ცოდნა. ამოზარდა ამავე სოფელში ღარიბ ოჯახში და ეწეოდა მაურნეობას. 1917 წლიდან თანაუგრძნობდა კომუნისტურ პარტიას და დაუზარებლად ეწეოდა ენერგიული მუშაობას. იყო საიმედო ამხანაგი და პარტიაში ნდობით აღჭურვილი. 1919 წელს ოქტომბრის უკანასკნელ რიცხვებში მიიღო მხურვალე მონაწილეობა გურიის გამოსვლებში. ამავე დროს დაჭრილი იქნა მათითა-შვილის რაზმის მიერ ჩოხატაურის ხიდთან იმ დროს, როცა ამხ. პართენი სადარაჯოზე იდგა. შემდეგ ის გადაჯავნეს ოზურგეთში სხვა ტყვეებთან ერთად და დახვრიტეს მენშევიკებმა ამავე წლის ნოემბრის 19-ში. შემდეგ ჩუმად, მალულად ამოტანილი იქნა მისი ცხედარი თავის სოფელში ამხ. თეოფილე თედორაძის ცხედართან ერთად და დასაფლავებული ისე, რომ არც ერთი სიტყვა არ თქმულა. ამხ, პართენ მამალაძეს დარჩა ორი პატარა შვილი.

ამხ. ტარასი მინდაძე.

დაიბადა ს. ონჭიქეთში (გურიაში). უღარიბესი გლეხის შვილი იყო. სწავლა ქონდა მიღებული სოფლის ერთ კლასიან სასწავლებელში. ამხ. ტარასი პატარაობიდანვე ეწეოდა სოფლურ მეურნეობას. 1919 წელს მოიხდარ გურიის გამოსვლებში მონაწილეობისათვის, როგორც აქტიური მებრძოლი, დახვრეტილი იქნა ქ. ოზურგეთში ჯალათ გამყოდველ მენშევიკურ მთავრობის მიერ –1917 წლიდან მებრძოლი და დამცველი პროლეტარიატის ინტერესებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IX. პარტიული არქივი.

გოლოვინსკის მუშაობა საქართველოში მენშევიკების გასტროლების დროს.

ქვემოდ მოთავსებული სამი წერილი: 1) „მუშებისა და გლეხების რევოლიუციის უტყუარი ნიშნები საქართველოში," 2) „რას ფიქრობენ?" და 3) „პოლიტიკური მეძაობა",—დაწერილია ამხ. ფ. მახარაძის მიერ და აღმოჩენილი ამხ. არაქელა ოქუაშვილის მასალებში.

რედ.

მუშებისა და გლეხების რევოლიუციის უტყუარი ნიშნები საქართველოში.

მენშევიკებს რომ კითხოთ, საქართველო დღეს ერთად ერთი ბურჯია მთელი მსოფლიო ცივილიზაციის, იგი წარმოადგენს საუკეთესო თავდებს „წესიერებისა" და „მყუდროებისათვის". როგორც სისხლის მსმელ ნიკოლოზ მეფის მთავრობა იკვეხნიდა ერთ დროს, რომ რუსეთი ეს განხორციელებული წესიერება და მყუდროებაა, სწორედ ისე იკვეხნის დღეს ჟორდანია-რამიშვილის მთავრობა. და მართლაც, გარეგნულათ ნიკოლოზის დროინდელი რუსეთი თითქო ნამდვილი „წესიერების" და „მყუდროების". ქვეყანა იყო. ყოველგან თავი წამოყოფილი ქონდა ჟანდარმს, პოლიციელს, დარაჯს; ყოველგან წაწუწდებოდით ეპოლეტებიან მობელეებს. მშვენიერათ გამოწყობილ და ჩაცმულ-დახურულ მუქთა ხორა ბურჟუებს, მემამულეებს, თავადებს, ეპისკოპოსებს, მიტროპოლიტებს, ღიპიან ვაჭრებს, მეეახშეებს, ეკლესიებს, მონასტრებს.— შიგნით ხალხი, ანუ მშრომელი მასსა, სულგანაბული და გარინდებული გაჰყრებისაგან გმინავდა; მაგრამ ამას იშვიათათ თუ ვინმე ამჩნევდა. ხალხში უკმაყოფილება იზრდებოდა, არეულობა, გაფიცვები, რევოლიუციონური მოძრაობა მატულობდა, მაგრამ მეფის მთავრობა დიდ ხანს ახერხებდა ყველა ამის ჩაქრობას, და გამოდიოდა, რომ წესიერება და მყუდროება რუსეთის მეფეთა იმპერიაში თითქო შეურყეველი იყო.

ახლა გადახედეთ მენშევიკების სამფლობელოს: აქაც იგივე სურათია. წინანდელ ზინზილ-ეპოლეტებიან მოხელეების მაგიერ თავი წამოუყენიათ მენშევიკების ბიბოლებს, მინისტრებს, სენატორებს, ქალაქის თავებს, კომისრებს; ამათ გვერდით დამწკრივებულან მუქთახორა ბურჟუა-კაპიტალისტები, სპეკულიანტები, ვაჭრები, ეპისკოპოს მიტროპოლიტები კათალიკოსითურთ, გარყვნილი დედა-კაცები, უზომო ფუფუნება და სიუხვე ყველაფრის, საგნების უქონლობის და სახლაპრო სიძვირის დროს. მხოლოდ ვერ ხედავთ წინანდელ მკვლელებს და სულთამხუთავებს: პოლიციელებს, დარაჯებს და ჟანდარმებს. მაგრამ იმათი ადგილი არა ნაკლები წარმატებით დაუჭერიათ ძველ პოლიციელებს ახალ ტყავში—მილიციონერებს, სახალხო გვარდიას (ნაწილს), ყოფილ მუშებს და მუშების „წარმომადგენლებს" ხელაძეებს, ბახტაძეებს, დობოროჯგინიძეებს, აბდუშელიშვილებს და იმათ ტოლ-ამხანაგებს. იმ დროს, როცა ყველა ამ მუქთა-ხორაგით და მშრომელი მასსის მმართველთა და მყვლეფელთა კომპანია ზეიმობს და ილხენს, მუშათა კლასი, ქალაქის და სოფლის პროლეტარიატი და გლეხობა გადაშენების გზაზეა დამდგარი; ხალხი სიმშილ-სიცივისგან იხოცება. მარტო თფილისში გარყვნილება-ფუფუნების ამ ახალ ბაბილონის ქუჩებში დღიურათ იხოცება სიმშილისაგან ორთა ზეა რიცხვით ას სულამდე. რა ხდება პროვინციებში ამ მხრით, ამის წარმოდგენა ძნელია, მაგრამ ერთი რამ აშკარაა, სახელდობ ის, რომ ხალხის მასის, მუშების ღ გლეხების მდგომარეობა დღევანდელ საქართველოში—მენშევიკების მიერ ამ სამოთხეთ მიჩნეულ ქვეყანაში, აუტანელია,—ამას ვერავინ ვერ ყოფს უარს, მაგრამ გარეგნობით ეს თითქო არა ჩანს. გაიარეთ რუსთაველის პროსპექტზე, პლეხანოვის და სხვა დიდ ქუჩებზე, მაღაზიები საქონელს, სურსათ-სანოვაგეს, მანუფაქტურას ვერ იტევენ და მაყურებელს გონია, რომ ასეთ ქალაქში და ასეთ ქვეყანაში, სადაც ჩიტის რძის გარდა ყველაფერი უხვათ და თავზე საყარათ არის, აბა გაჭირვებას, სიმშილ-სიცივისაგან სიკვდილს ადგილი როგორ უნდა ქონდესო. ასე ფიქრობენ მენშევიკების მეთაურები და მათი ამყოლ-დამყოლნიც. მაგრამ ხალხის წიაღში, მის სიღრმეში დაგუბებულია დიდი უკმაყოფილება მენშევიკების რეჟიმის წინააღმდეგ, არეულობა, გაფიცვები და საერთო რევოლიუციონური მოძრაობა საათობით იზრდება და მატულობს. ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა გაფიცვა ქუთაისში, მასწავლებლების გაფიცვა შორაპნის მაზრაში, რკინის გზელების გაფიცვა ხაშურში, თფილისის მუშების გამოცოცხლება, რაც გამოიხატა პროფესიონალურ კავშირების მთელი რიგის ამოძრავებაში სამუშაო ხელფასის გარშემო,—ყოველივე ეს იმის უტყუარი მაჩვენებელია, რომ ჩქარა, სულ ახლო მომავალში, მენშევიკების პატარა იმპერიასაც ის დღე მოელის; რაც მოუვიდა რუსეთის მეფეების დიდ იმპერიას. ჩვენ

აქ არაფერს ვამბობთ საქართველოს მშრომელი მასსის უდიდესი ნაწილის, ე. ი. გლეხობის უკმაყოფილებაზე მენშევიკების რეჟიმით, ვინაიდან ეს თავის თავად იგულისხმება: საქართველოს თითქმის მთელი გლეხობა ზიზღით უყურებს მენშევიკების მთავრობას, რაც მან არა ერთხელ დაამტკიცა იარაღით ხელში და მზათაა დაამტკიცოს ყოველ წამს დღევანდელ საქართველოშიც.

ერთი სიტყვით, მუშებისა და გლეხების რევოლიუციის უტყუარი ნიშნები ცხადათ მოსჩანან; სულ ახლო მომავალში ეს რევოლიუცია აუცილებლათ იფეთქებს. მაშინ რუსეთის პროლეტარიატი და გლეხობა ძმურ ხელს გაუწვდის საქართველოს მუშებსა და გლეხებს.

რას ფიქრობენ?

ჩრდილოეთის საფრთხე, საბჭოთა რუსეთის სახით, ამიერ-კავკასიის მართველ პარტიებს კარზე ადგათ, ეს პარტიები. როგორც შეფერით ხალხის ნამდვილ მტერთ და მოღალატეთ, კითხვას ისე აყენებენ, თითქო საფრთხე მათ მხოლოდ გარედან მოელოდეთ და არა შიგნიდანაც. ასე თუ ისე, საბჭოთა რუსეთის წითელ არმიელების ამიერ-კავკასიის საზღვრებზე მოწოლამ ამიერ-კავკასიის მთავრობათა დღევანდელი ხელმძღვანელები და განსაკუთრებით კი ქართველ მენშევიკების მეთაურები ძალზე შეაშფოთა. ამ ვაჟბატონებმა კარგათ იციან, რომ ეს გარემოება მათ კარგს არაფერს უქადის. ოქტომბრის დიდი რევოლიუციიდან დაწყებული თითქმის ორნახევარი წლის განმავლობაში ქართველი მენშევიკების მეთაურები (ჟორდანია, წერეთელი, ჩხეიძე, გეგეჭკორი, ჩხენკელი, რამიშვილი და კომპ.) მთელ თავის მოღალატურ პოლიტიკას იმაზე ამყარებდნენ, რომ საბჭოთა სოციალისტური რუსეთი, რუსეთი მუშების და გლეხების საბოლოოდ დამარცხდება და კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზია და მემამულეები კი გაიმარჯვებენო.

რამდენი ფლიდობა, რამდენი ღალატი და გამცემლობა მუშათა კლასის ინტერესებისა, რამოდენი დანაშაული მუშებისა და გლეხების წინაშე არ ჩაიდინეს ამ ვაჟბატონებმა ამ ხნის განმავლობაში იმ იმედით, რომ რუსეთში და საზოგადოთ მთელ მსოფლიოში კონტრ-რევოლიუციონური ბურჟუაზია გაიმარჯვებდა. მაგრამ ბ. ბ. ჟორდანია—წერეთელ—ჩხენკელებს იმედი საბოლოოდ გაუცრუვდათ, ვინაიდან იმ ტიტანისებურ ბრძოლაში, რომელიც გრძელდებოდა თითქმის ორი წლის განმავლობაში სოციალისტურ რუსეთსა და თითქმის მთელი მსოფლიოს კონტრ-რევოლიუციონურ კაპიტალისტურ ბურჟუაზიას შორის, ბრწყინვალე გამარჯვება ერგო საბჭოთა რუსეთს.

და აი ახლა დადგა ჟამი, როცა ეს ვაჟბატონები უნდა წარსდგენ ხალხის სამსჯავროს წინაშე, რათა პასუხი აგონ ყველა იმ დანაშაულში, რომლებიც იმათ ამ ხნის განმავლობაში ჩაიდინეს. მაგრამ ისინი ჯერ კიდევ არ ტყდებიან. როგორც ჩანს ერთი მხრით ბ-ნ, ნ. ჟორდანიას მოხსენებიდან, რომელიც მან ამ დღეებში მენშევიკების დაფარულ კრებაზე წაიკითხა და მეორე მხრით იმათი გაზეთების „ერთობის“ და „ბორბის“ წერილებიდან, ჟორდანია—გეგეჭკორ—რამიშვილის დამნაშავე მთავრობა წინააღმდეგობის გაწევას ფიქრობს საბჭოთა რუსეთის წითელ-არმიასთან. „ერთობა“ და „ბორბა“ თავის მოწინააღმდეგეებში ბუკს და ნაღარას უკრავენ და ხალხს მოუწოდებენ „ჩრდილოეთიდან მომდგარი საფრთხის“ წინააღმდეგ. ბ-ნ ნ. ჟორდანია კი აცხადებს, რომ საბჭოთა რუსეთთან მტრული დამოკიდებულება გვაქვს და მასთან ომი აუცილებელიაო. და ამასთანავე, როგორც მენშევიკების გაზეთები, ისე ნ. ჟორდანიაც დარწმუნებული არიან იმაში, რომ მშრომელი მასსა, მუშების და გლეხების დემოკრატია რუსეთის მუშებს და გლეხებს შეებრძოლება, იმათ წინააღმდეგ წავა. ფრიად დამახასიათებელია ჟორდანიას შემდეგი სიტყვები: „უნდა გადაჭრით ვსთქვათ,—ამბობს იგი თავის მოხსენებაში—რომ ბოლშევიკები ჩვენ მაშინ გაგვიწევენ ანგარიშს,... როცა დაინახავენ, რომ **ჩვენს ხალხს არ სურს ისინი აქეთ გადმოვიდენ. თუ მათ დაინახეს, რომ საქართველოს დემოკრატია არც ისე წინააღმდეგია მათი აქეთ გადმოსვლის, მაშინ ისინი აქ მოვლენო**“.

როგორც ხედავთ, ბ-ნ ნ. ჟორდანიას თითქო გონია, რომ საქართველოს დემოკრატიას, ე. ი. მუშებს და გლეხებს არ სურს, რომ აქ საბჭოთა რუსეთის წითელი ჯარები მოვიდენ; ამ ვაჟბატონსა თითქო არც კი იცის, რომ მშრომელი მასსა ჩვენში იმ თავითვე საბჭოთა რუსეთთან მჭირდო კავშირის მომხრე იყო და არის დღესაც. ამიტომ ჩვენ მას ვეკითხებით: რას მოასწავებს ის ფაქტი, რომ ამ ორი თვეზე მეტის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე არ დარჩენილა ისეთი კუთხე, სადაც გლეხების შეიარაღებული აჯანყება არ მომხდარიყოს, რომლის მიზანი იყო ერთი მხრით საბჭოთა მთავრობის დამყარება ჩვენში და მეორე მხრით საბჭოთა რუსეთთან დაკავშირება? რას მოწმობს საქართველოს მუშების და გლეხების საუკეთესო წარმომადგენლების მოწამებრივი დატანჯვა ჟორდანია—რამიშვილის მთავრობის მიერ? რას მოწმობს ის ფაქტი, რომ ამ მთავრობის საპყრობილეები ვეღარ იტევენ დატყვევებულ მუშებს და გლეხებს, რომლებიც ამავე მიზნისთვის მუშაობდენ და იბრძოდენ? ნუ თუ ეს ფაქტები საკმარისი არაა იმის გამოსაცნობათ, თუ ვისკენაა დღეს საქართველოს მშრომელი მასსის მთელი თანაგრძნობა. თქვენ რომ სინდისის ნამცეცი დაგრჩენოდათ, ამდენხანსაც უნდა გამოტეხილიყა-

ვით და გეცნათ ეს ჭეშმარიტება და ხალხისათვის საშუალება მიგეცათ თავისი ნებისყოფით ამოერჩია მას ისინი, ვისაც ის ნდობას უცხადებს. მაგრამ თქვენ ასე არ მოიქეცით, ვინაიდან სანიდისზე კაი ხანია თქვენ ხელი აღებული გაქვთ. ახლა კიდევ ფიქრობთ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლას, და არ იცით კი, რომ ხალხი, მშრომელი მასსა თქვენ კი აღარ გამოგყვებათ ამ ბრძოლაში, არამედ იგი თქვენ წინააღმდეგ იბრძოლებს საბჭოთა რუსეთის წითელ-არმიელებთან ერთად.

პოლიტიკური მეძავეობა.

თქვენ იცით, ვისზე ვლაპარაკობთ ჩვენ. ესენი გახლავან მენშევიკების „ბელადები“ და იმათი „მთავრობა“. ამ ვაჟბატონებმა საბოლოოთ დაკარგეს სირცხვილის და ნამუსის ყოველივე გრძნობა. ოღონდ კი თავისი შემოსავლიანი ადგილები შეინარჩუნონ, და ისინი მზათ არიან ბოზი, მეძავი დედაკაცივით, ვისაც გინდათ მიყიდონ თავისი სული და ხორცი. სოციალისტებმა ისინი სცვლიან იმპერიალისტებზე და იმავე დროს მუშებს ეუბნებიან, რომ ხამდვილი სოციალისტები ჩვენა ვართ და არა ბოლშევიკებიო. მუშურ-გლეხური რევოლიუციის წითელ დროშას თავის სასახლიდან ხსნიან და მის მაგიერ კონტრ-რევოლიუციონურ ბაირაღს კიდებენ, „რომ თავის დღევანდელ „ხაზენებს“: უორდროპებს, ჰასკელებს და სხვებს ასიამოვნონ. საბჭოთა რუსეთის მუშების და გლეხების მთავრობას ჯორდანია—გეგეჭკორის მთავრობა საჯაროთ ეფიცებოდა, რომ ჩვენ ნეიტრალიტეტს ვიცავთ, რომ ჩვენ არ გვინდა რუსეთის სამოქალაქო ომში ჩაერიოთ. იმავე დროს ისინი შეელოდენ და დახმარებას უწევდენ ჯერ ოსმალელ ფაშებს და ვილჰელმის გენერლებს, შემდეგ კი ინგლისის, საფრანგეთის და ამერიკის იმპერიალისტური ბურჟუაზიის აგენტებს საბჭოთა რუსეთის მუშების და გლეხების მთავრობის წინააღმდეგ, ვინაიდან ასეთი სამსახურის გაწევისთვის მუშათა კლასის ყველა ეს მჩაგვრელები და ჯალათები მენშევიკების მეთაურებს საშვალებას აძლევდენ „მინისტრებათ“ დარჩენილიყვენ. რა არის ყოველივე ეს, თუ არ მეძავი, როსკიპი დედაკაცის ხელობა? ამ ვაჟბატონებმა თავისი ჭუჭყიანი ხელებით წაბილწეს, გარყვნეს, შელახეს და გაამახეს ყოველივე ის, რასაც წინეთ, სანამ ძალა უფლებას ჩაიგდებდენ ხელში, თაყვანს სცემდენ. მუშათა კლასის ინტერესები იმათ ანაცვალეს ბურჟუაზიის და საზოგადოთ მდიდარ კლასების ინტერესებს, ვინაიდან ესენი მათ თავის სამდიდრეს უნაწილებენ. და დღეს მენშევიკების ბობოლები ჩაფლულნ გარყვნილების და ფუფუნების იმ წუმპეში, რომელშიაც იმყოფებოდენ და დღესაც იმყოფებიან მჭონებული კლასე-

ბი, ე. ი. კაპიტალისტები, ბანკირები, მემამულეები და სხვ. ფუფუნების და პირადი კეთილდღეობისათვის მენშევიკების ბობოლები ყიდიან ნამუსს, სინდისს, რწმენას, თუ კი ოდესმე მათ ეს გააჩნდათ.

რამდენჯერ არ განუცხადებიათ მენშევიკებს, რომ იმათთვის დენიკინი და ლენინი ერთნაირათ მიუღებელია. მაგრამ ნამდვილათ კი, როცა საქმეზედ მიდგა, აღმოჩნდა, რომ სწორედ დენიკინი გამოდგა იმათთვის მისაღები. როცა დენიკინი და მისი ჯარი განსაცდელში ჩავარდა, სწორედ მენშევიკებმა იკისრეს მათი ხსნა. ლორთქიფანიძე, ჩხიკვაშვილი, ჯუღელი მაშინვე გაეშურენ იმათ დასახმარებლათ და საქართველოში გადმოსაყვანათ. რუსეთის მუშების და გლეხების ჯალათები და სულთამხუთავი გენერლები და აფიცრები დიდის ამბით ჩამოიყვანეს თეკლისში. ამას ამართლებენ ისინი თავისი კაცთმოყვარეობით. და ამაყე დროს სრულებით უიხტიბროთ, ნამდვილი ბოზი დედაკაცივით აცხადებენ, რომ ასეც მოქცეულ ისინი გასულ წელს საბჭოთა რუსეთის წითელ არმიელებსაც. განა ბ. ნოე ჟორდანია არ იყო, რომ კავკაზიდან გამოქცეული დედაკაცები და ბავშვები უკან გაატრიალა მარტო იმიტომ, რომ ისინი ბოლშევიკების ცოლები და შვილები იყვნენ? განა ბ. ჟორდანია არ იყო, რომ, ბოლოს, დიდი ხვეწნა მუდარის შემდეგ დათანხმდა მარტო **ქართველ** წითელარმიელების შემოშვებაზე? განა ჟორდანია—გეგეჭკორის მთავრობა არ იყო, რომ დენიკინისაგან გამოქცეული წითელარმიელებით საქართველოს ციხე-საპყრობილეები გაავსო, რომელთაგან მრავალი დღემდის იმავე საპყრობილეებში იმყოფებიან? განა იმავე ჟორდანია-გეგეჭკორის მთავრობამ შეძლეგ ვერაგულათ არ გადასცა დენიკინს ორმოცამდე წითელარმიელი, რომლებიც რის წვალებით ინგუშეთიდან საქართველოს ტერიტორიაზე გადმოვიდენ! სად იყო მაშინ ამ ვაჭბატონების კაცთმოყვარეობა, იმათი ჰუმანიური გრძნობა? არა. ასეთი გრძნობა გამოიჩინეს მათ მხოლოდ დენიკინელებისადმი. აი რა ფასი და ღირებულება აქვს მენშევიკების განცხადებას, რომ იმათთვის დენიკინი და ლენინი ერთნაირათ მიუღებელია. ჩვენ, ბოლშევიკ-კომუნისტებს, მეტი არა გვინდოდა რა, რომ მენშევიკები მოგვქცეოდენ ჩვენ ისე, როგორც ისინი მოექცენ დენიკინელებს. რა იხტიბროთ, რა სინდისისათ ლაპარაკობენ ისინი, რომ ბოლშევიკებსაც ასე მოეკეცინთო! მაგრამ სინდისზე ისინი ხელაღებულნი არიან. ყოველი როსკიპი დედაკაცი კი იმათზე ამ მხრით ბევრათ მაღლა დგას,

---

არა ნაკლებ უსირცხვილო და ფარისეველური იყო მენშევიკების ის განცხადება, რომ საქართველოს საზღვრებში შემოსულ დენიკინის რაზმებს ისინი მოეკვეთან ისე, როგორც ამას თხოულობს საერთა-

შორისო უფლება. ასეთი უფლება მართლაც არსებობს და იგი ამბობს, რომ ნეიტრალური სახელმწიფოს ტერიტორიაზე გადასული ჯარი მაშინვე უნდა განიარაღებულ იქნეს და იმავე დროს ნეიტრალურმა სახელმწიფომ ზომები უნდა მიიღოს, რათა ეს განიარაღებული რაზმები ისევ არ იქნენ გამოყენებულნი იმათ წინააღმდეგ, ვისაც ისინი გამოექცენ. მერე რა: მოიქცენ ასე მენშევიკები? როგორ არა! როცა ისინი ამას აცხადებდენ, სწორედ იმ დროს იმათ გაჩქარებით გადაყავდათ დენიკინის რაზმები რკინის გზით მცხეთიდან ფოთამდის, რათა იქიდან გემებზე გადაესხათ ისევ დენიკინთან გასაგზავნათ. განა ესაა ნეიტრალიტეტის დაცვა? განა აქედან აშკარათ არ ჩანს, რომ ქართველი მენშევიკები აკტიურათ ეხმარებიან დენიკინს? და ამის შემდეგ კიდევ შეუძლიათ ამ ხელობით მატყუარებს და ფარისევლებს იმის თქმა, რომ ისინი ნეიტრალიტეტს იცავენ და რუსეთის სამოქალაქო ომში არ ერევიან? იტყვიან. ვინაიდან ტყუილი, ეს მათი ხელობაა, ასეთი უსირცხვილო ტყუილებით, ასეთი ფარისევლობით, ასეთი სიყალბით ქართველი მენშევიკები ახერხებენ დღემდის ქვეყნის მართვა-გამგეობის სათავეში დგომას. თავის ბრძანდებიან ერთი მხრით მუშების ერთი ნაწილი და მეორე მხრით სახალხო გვარდია; სხვადასხვა ლამაზი სიტყვებით ისინი მუშებს და გვარდიელებს თვალებს უხვევენ და თავს უქონავენ. მაგრამ როდემდის! დადგა დრო, როცა საქართველოს ყველა მუშებმა, გლეხებმა, ჯარის კაცებმა და გვარდიელებმა ბოლო უნდა მოუღონ იმ სიყალბეს, იმ სიცრუეს, იმ სისტემატიურათ ტყუილის ქადაგებას, რის საშუალებით მენშევიკების „მინისტრები“ და მეთაურები მშრომელ მასსას აბიაბრუებენ და მას იმონებენ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კავკასიის ხალხთა მშრომელი მასსის მიმართვა სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისა, სახალხო კომისართა საბჭოსა, კომუნისტურ ინტერნაციონალისა და წითელ არმიისადმი.

ჩვენ, კავკასიის ყველა ხალხთა და ეროვნებათა მშრომელი მასსა გიძღვნით თავის მხურვალე სალამს რუსეთის პროლეტარიატს, გლეხკაცობას და წითელ არმიას. თქვენი გამარჯვებანი, ძვირფასო ძმებო და ამხანაგებო, სამოქალაქო ომის ფრონტზე, თქვენი ღვაწლი რო-

გორც ბრძოლის ველზე, ისე შრომის ასპარეზზედაც, გვინერგავენ ჩვენც სულის სიმტკიცეს და რწმენას ჩვენ გამარჯვებაშიაც.

რევოლიუციონური ბრძოლის მსვლელობით რუსეთში და კავკასიაში, ანტანტის ურცხვი და აღმაშფოთებელი აქტიური ჩარევით ჩვენ შინაურ საქმეებში, კავკასიის ძალდატანებით დაპერით (ოკუპაციით) ჯერ გერმანიის და ოსმალეთის, შემდეგ ინგლისის ჯარებით, მშრომელი მასსის ინტერესებისათვის ღალატით და გაცემით საქართველოში მენშევიკების პარტიის მიერ (ჟორდანია, გეგეჭკორი, ჩხენკელი, რამიშვილი, წერეთელი და სხვა). აზერბაიჯანში მუსტავატელების მიერ (რასულ-ზადე, ხან-ხოისკი, ჯაფაროვი, უსუბეკოვი და სხვ.) და სომხეთში დაშნაკცების მიერ (ხატისოვი, კარჩიკიანი, ოგანჯანოვი და სხვ.).—ამ სამ კონტრ-რევოლიუციონურ პარტიების ვერაგობით ჩვენ, კავკასიის მშრომელი მასსა, დღევანდლამდე ვიმყოფებით საკუთარ და უცხოელ კაპიტალისტების მონობაში.

ჩვენ არა ერთხელ ვსცადეთ არსებულ ფლიდ მთავრობათა ჩამოგდება.

ჩვენ არა ერთხელ გვიცდია გაგვენთავისუფლებია ჩვენი დამონებული მხარე ინგლის-საფრანგეთის მტაცებელ იმპერიალისტებიდან და ჟორდანია-უსუბეკოვ-ხატისოვის სამარცხვინო მთავრობათაგან, რომლებიც ჩაეფლენ ქეიფში, მხიარულებაში და გარყვნილებაში.

წითელი ფრონტის უმწვავესი კრიზისის დროს, როცა შავი გენერალის დენიკინის ბრბოები მოსკოვის გზაზე გამოვიდენ, ჩვენ, ვიგრძენით რა, რომ რევოლიუცია საფრთხეში ვარდებოდა, 1919 წლის ოქტომბრის თვეში აღვმართეთ საქართველოში აჯანყების დროშა და შევქენით რა ამით საფრთხე დენიკინის ზურგისთვის, ჩვენ მოვეშურებოდით თქვენთან დასახმარებლათ. თვით ჩვენი მტრებისვე სიტყვით, ჩვენ არ ვზოგავდით თავის ძალებს, თავის სიცოცხლეს, რომ დაეხმარებოდით წითელ არმიას, ვინაიდან ჩვენ ვიცოდით, რომ თქვენი დამარცხება ეს იქნებოდა ყველა ჩვენთვის სიკვდილი, ეს იქნებოდა ოქტომბრის რევოლიუციის ყველა დიდ შენაძენთა გაქრობა.

ჩვენ დავმარცხდით, მაგრამ წითელი ჯარი, რომელმაც სასიკვდილოთ დაამარცხა დენიკინის თეთრი გვარდია, მოუახლოვდა კავკასიას. ჩვენი გამცემელი მთავრობები, რომლებიც აქამდის კარგათ ახერხებდენ რევოლიუციას და კონტრ-რევოლიუციას შორის წონასწორობის დაცვას, ამოდენ ახლა, მას შემდეგ რაც გარეშე კონტრ-რევოლიუციონური ძალა დაბარგეს. შექმნან ახალი დაბრკოლებანი ჩვენს შესაერთებლათ თქვენთან იმ უდიდეს პრინციპების საფუძველზე, რომლებიც აღნუსხვილია საბჭოთა კონსტიტუციის რევოლიუციონურ მატიანეში.

ჩვენ, კავკასიის ყველა ხალხთა მშრომელი მასსები ამ აქტით საერთაშორისო პროლეტარების წინაშე ვაცხადებთ, რომ ჩვენ ზიზღს ვუცხადებთ დამოუკიდებლობის ლოზუნგს, რომელიც წამოაყენა კავკასიის მცხოვრებთა უმცირესობამ ჩვენი მჩაგვრელების და მყვლეფელების, საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის მთავრობების პირით.

ჩვენ ვიცით, რომ ამ ლოზუნგით იმათ უნდათ მოუპოვონ დამოუკიდებლობა საბჭოთა მთავრობიდან კავკასიის კაპიტალისტებს, მემამულეებს და ვაჭრებს; მეორე ხბრით იმათ უნდათ გამოთიშონ კავკასიის მშრომელი მასსა რუსეთის გლეხებისა და მუშებისაგან, რომ მით ადვილათ დაიმორჩილონ იგი და, ბოლოს, ასეთი დამოუკიდებლობის საშუალებით ისინი ცდილობენ შექმნან ფაქტიური და ფორმალური დამოკიდებულება ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის იმპერიალისტებიდან და ამნაირად განამტკიცონ სრული ჩვენი ეკონომიური და პოლიტიკური მონობა.

ჩვენ არ გვსურს დავრჩეთ მონებათ მით უმეტეს ახლა, როცა გვერდით სდგას რუსეთის განთავისუფლებული პროლეტარიატი, რომელთან ერთათ ჩვენ გვსურს შევიდეთ ერთ პროლეტარულ ინტერნაციონალურ ოჯახში.

ჩვენ, კავკასიის ყველა კომუნისტები, ჩვენ, საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის და დაღესტნის მუშები და გლეხები, ჩვენ კავკასიის ყველა ხალხთა: ჩეჩნების, ოსების, ყაბარდოელების, ინგუშების, ბადიკარელების, ჩერქეზების, აფხაზების, აჭარლების, კარაჩაელების და ყაზაკების წარმომადგენელები გამოუთქმელ მძიმე პირობებში ორი წლის განმავლობაში ვაწარმოებთ ბრძოლას იმ იდეალებისთვის, რომლებსაც თქვენ მიაღწიეთ ოქტომბრის რევოლიუციის დღიდან. ჩვენ შეუწყვეტლათ ვიბრძვით კონტრ-რევოლიუციასთან, რომელიც მუდამ შავი კონტრ რევოლიუციის მონათესავეა.

ჩვენ ვიტანჯებით ამ ხანგრძლივ ბრძოლაში. ჩვენთვის არ ანათებს ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლიუციის დიდი მზე.

მეფის ძველ ციხე-საპყრობილეში იხრჩობიან ჩვენი ამხანაგები, ძმები და დები.

ჩვენ ჯერ არც კი ვიცით, რას ნიშნავს თავისუფალი ცხოვრება. მეფის რეჟიმის დაცემის შემდეგ ჩვენ მოგვეველინა უფრო მწარე რეჟიმი, ეს არის რეჟიმი საქართველოს მუშების და გლეხების ჯალათის ნოე რამიშვილის, გამხეცებული უსუბეკოვის და ფლიდი ხატისოვის და ჩრდილო კავკასიაშ ხომ ამ ხნის განმავლობაში უკვე განიცადა მეფის გენერლების სახრჩობელები.

ვცნობთ რა ჩვენ შეუწყვეტელ მუშაობას დენიკინის ზურგში, კავკასიის მშრომელი მასსის იმედებს, რომელიც მოუთმენლად ელო-

დება საბჭოთა რუსეთთან შეერთებას რაც შეიძლება ჩქარა, ჩვენ ღრმათ გვწამს, რომ საბჭოთა, ე. ი. მუშების და გლეხების რუსეთი, კომუნისტური ინტერნაციონალი და სახელოვანი წითელი არმია თავის დახმარებას მოგვაშველებენ იმ უთანასწორო ბრძოლაში, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებთ გაერთიანებულ ყვითელ-შავ კონტრ-რევოლიუციასთან და აქტიურათ დავგეხმარებიან, რათა კაპიტალის მონობა თავიდან მოვიშოროთ.

ჩვენ მოწყურებული ვართ, რომ ხელი-ხელ ჩაკიდებულნი რუსეთის პროლეტარიატთან ერთათ შეუდგეთ ახალ ცხოვრებას საყოველთაო შრომისა და სოციალისტური აღმშენებლობისა.

გაუმარჯოს რუსეთის სოციალისტურ-ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკას!

გაუმარჯოს მუშების და გლეხების რევოლიუციას კავკასიაში!

გაუმარჯოს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს!

დიდანი ამ დოკუმენტისა ხელმოწერილია კავკასიის ყველა კომუნისტურ ორგანიზაციების სახელით კავკასიის საოლქო კომიტეტის მიერ და ავრეთვე კავკასიის ყველა ხალხთა და ეროვნებათა მშრომელ მასსათა წარმომადგენლების მიერ.

15 მარტი, 1920 წ.

აქვე მოგვყავს ამ მოწოდების რუსული ტექსტი.

Пролетарии всех стран, соединяйтесь!

Обращение трудящихся масс народов Кавказа к Всероссийскому Центральному Исполнительному Комитету, Совету Народных Комиссаров, Коммунистическому Интернационалу и Красной Армии.

Мы, трудящиеся массы всех народов Кавказа шлем наш горячий братский привет российскому пролетариату, крестьянству и Красной Армии. Ваши победы дорогие братья и товарищи на фронтах гражданской борьбы, ваши подвиги беспримерного героизма на полях брани и на полях труда наполняют сердца наши бодростью и уверенностью и в нашей победе.

Ходом революционной борьбы в России и на Кавказе, беззаконным и возмутительным активным вмешательством Антанты в наши внутренние дела насильственной последовательной оккупацией Кавказа военными силами Германии, Турции и Англии, изменой и предательством интересов трудящихся масс меньшевитской партии Грузии в лице Жор-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ташия, Гегечкори, Чхенкели, Рамишвили и Церетели, адербейджанской „демократической" партии „Муссават" и армянской „революционной" партии „Дашнакцутюн", вероломством этих трех контр-революционных партий—мы трудящиеся массы Кавказа, до сегодняшнего дня обречены влачить рабское существование во власти своих и чужих.

Мы делали неоднократные и кровавые атаки на наши подлые и лицемерные правительства.

Мы напрягали героическое усилия освободить наш порабощенный край от хищных акул англо-французского империализма и от погрязших в банкетах, оргиях и разврате лакействующих правительств Жордания, Уссубекова и Хатисова.

В минуту тягчайшего кризиса красного фронта, когда банды черного генерала Деникина вышли от Орла на дорогу к Москве, мы, чуя революционным инстинктом великую опасность революции, ринулись в бой в Грузии с полным расчетом на поражение и, создав угрозу тылу Деникина, мы устремились к вам на помощь. По признанию наших же врагов мы не щадили наших сил, жизней и очагов, чтобы спасти Красную Армию от поражения, так как мы знали, что поражение ваше это смерть всем нам, всем нашим великим завоеваниям октябрьской революции, что катастрофа Советской России была бы крушением всех чаяний и надежд рабочего класса всех стран.

Мы были подавлены.

Но Красная Армия поразив белую армию Деникина, подошла к границам Кавказа.

Наши предательские правительства успешно балансировавшие до сих пор между революционной Сцилой и контр-революционной Харибдой пытаются теперь, лишившись внешней контр-революционной опоры и внутренней устойчивости, поставить новые плотины и преграды нашему стремлению соединиться с вами на началах великих принципов, заповеданных в революционных скрижалях Советской конституции.

Мы, трудящиеся массы всех народов Кавказа заявляем, настоящим актом обращения перед лицом международного пролетариата, что мы презираем лозунг независимости, провозглашаемый меньшинством народонаселения Кавказа устами наших угнетателей и насильников „правительств" Грузии, Адербейджана и Армении.

Мы знаем, что этим лозунгом они хотят независимости от Советской России для кавказских капиталистов, помещиков и кулаков—мироедов с одной стороны, а с другой они желают таким способом разъединить кавказскую трудящуюся массу от рабочих и крестьян России, дабы легче подчинить ее себе и поработить навсегда и, наконец, через такую независимость они пытаются создать фактическую и формальную зависимость от империалистов Англии, Франции и Италии и полную нашу экономическую и политическую кабалу.

Мы не хотим оставаться рабами особенно теперь, когда рядом с нами стоит освобожденный пролетариат России с которым мы желаем вступить в единую пролетарскую интернациональную семью.

Мы, все кавказские коммунисты, мы все рабочие и крестьяне Грузии, Адербейджана, Армении и Дагестана, мы представители трудящихся

масс всех народов Кавказа, чеченцев, ингушей, балкарцев, карачаевцев, черкессов, абхазцев, аджарцев и казаков в безпримерно тяжелых условиях, в течение двух лет ведем непримиримую борьбу за те идеалы, которых вы добились с октябрьской революции.

То побеждая, то падая, мы неустанно и сейчас бьемся с желтой контр-революцией—вечной союзницы черной контр-революции.

Мы изнываем в этой длящейся борьбе.

Нас не озарило еще великое солнце октябрьской революции, сверкающее над нами с зенита.

В старых царских застенках наши товарищи, братья и сыны продолжают гнить и томиться по прежнему.

Нам не суждено было вздохнуть после падения кровавого ряжима царей полной свободной грудью.

Этот режим сменился еще более горьким, режимом палача рабоче-крестьянской Грузии—Ноя Рамишвили, озверелого Уссубекова и бездушного Хатисова, а по Северному Кавказу гуляла уже свинцовая плетка царских генералов.

Памятуя нашу дружную работу в глубоком тылу Деникина, надежды и чаяния трудящихся масс Кавказа, с нескрываемым трепетом и нетерпением ожидающих скорейшего соединения с Советской Россией, мы питаем непоколебимую уверенность и твердое убеждение, что Советская, рабоче-крестьянская Россия, Коммунистический Интернационал и доблестная Красная Армия не останутся безучастной зрительницей нашей неравной борьбы с об'единенной желто-черной контр-революцией и активно помогут нам освободиться от власти капитала.

Мы страстно жаждем, рука об руку с русским пролетариатом вступить в новую жизнь всеобщаго труда и социалистического строительства.

Да здравствует Российская Социалистическая Федеративная Советская Республика!

Да здравствует рабоче-крестьянская революция на Кавказе!

Да здравствует III Коммунистический Интернационал!

Означенный текст обращения подписан от имени всех кавказских коммунистических организаций Кавказским Краевым Комитетом Р. К. П. большевиков и представителями трудящихся масс всех народностей всего Кавказа.

15 марта 1920 г.

მოწოდება მუშის [1]).

საქართველოს მუშების მიმართ.

ამხანაგებო მუშებო! რუსეთის უდიადესმა, დიდმა რევოლიუციამ კარგად იცით რომ აღგვაჟა რუსეთის ტერიტორიის

[1]) ამ. ვ. ჯაჯელავას ეს წერილი აღმოჩენილია ამხ. არაქელა ოქუაშვილის მასალებში. გვიმადლით უცვლელად.

რედ.

პირისაგან ბიუროკრატიული მთავრობა და 25 ოქტომბერს ზედ დააკლა ბურჟუაზიული მთავრობაც ჩვენი მხურვალე მონაწილეობით. არა ასი და ორასი საუკეთესო ამხანაგები საქართველოს მუშებისა უმსხვერპლია რუსეთის ბიუროკრატიულ ჯალათებს. არა ასი და ორასი დღესაც დადაღულები და დაუძლურებულები დადიან მათგან ნატანჯნი, ყველა ეს მსხვერპლი გაიღო საქართველოს მუშებმა ერთობისათვის. მთელი დედამიწის მუშებისა ე. ი. როგორც ამბობს მცხოვანი ჩვენ მასწავლებელი კ. მარქსი, პროლეტარებო მთელი ქვეყნისა შეერთდითო. და აი ამ შეერთებისაკენ მივიღტვოდით ჩვენ ყველა ერთათ, რათა შეერთებული ძალით აღვეგვაჯა ყველა სახელმწიფოს მილიტარისტული ბიუროკრატიზმი და ზედ დაგვეკლა ბურჟუაზიაც, მაგრამ დღეს კი რას ვხედავთ? სამწუხაროთ სრულიად წინააღმდეგს. წინათ მუდამ სახელოვანი ბრძოლაში იმპერიალისტების წინააღმდეგ საქართველოს მუშები თითქო ღალატობენო. არ უერთთდებით რუსეთის თავგანწირულ პროლეტარიატს, რომელებთანაც ჩვენ მუდამ გვერდში მდგომნი ვიყავით და პირველობასაც ჩვენ ვიჩენდით. დღეს კი მენშევიკურ ღალატურ პოლიტიკის წყალობით ზურგი შეგაქცევიათ თქვენს ნამდვილ მოკავშირეებს ე. ი. რუსეთის პროლეტარიატისთვის და არამც თავ ეხმარებით მსოფლიო კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ ბრძოლაში, პირიქით, მათ ბრძოლებთან გაკავშირებს მენშევიკური მთავრობა. ეს ასეა და თუ ეს სამარცხვინო დრო ჯერ კიდევ არის, რომ გამოერკვიოთ და დაადგეთ თქვენს ძველს აღთქმის გზაზედ. ხელი-ხელ ჩაკიდებული კომუნიზმისაკენ, რუსეთის პროლეტარიატთან და მსოფლიო პროლეტარიატის შეერთებისაკენ აი ეს არის თქვენი წმინდა მოვალეობა. უკანასკნელი გაბედული იერიში და გაჰქრება ყოველივე დამაბრკოლებელი მიზეზები აზხანაგებო, მუშებო. კმარა უპასუხმგებლათ დატოვება ჩვენი გამთიშველების. მოსთხოვეთ საბჭოთა რუსეთთან კავშირი. ნუ აძლევთ ნებას მოღალატურ მთავრობას საბჭოთა მთავრობის მტრებთან კავშირს, დრო არ იცდის. ნუ დაიჭერთ უკანასკნელ ადგილს პროლეტარულ რევოლიუციის ისტორიაში. ამხანაგებო თქვენ გატყუებენ ყოველ ფეხის გადადგმაზედ მენშევიკური მთავრობა ვეიჭილურ პოლიტიკურ შარლატანურ მოსაზრებებით. თქვენ გეუბნებიან რუსეთის საბჭოთა მთავრობა დაინგრაო და თუ ჯერ კიდევ არ დანგრეულა, მალე დაინგრეაო. ამას თქვენ ერთობის ფუძცლებზედ და მათ სპეციალურ კრებებზედ ამ ორი წლის განმავლობაში, მეტს ვერას გაიგებდით. და ვადასაც სდებდნენ უცირცხეილონი, ბევრი რამ დასწამეს ნამდვილ პროლეტარიატის წარმომადგენელებს, მაგრამ არამც თუ დაინგრა საბჭოთა რუსეთი, გარე შემორტყმული კონტრ-რევოლიუცია შემოილეწა და მოაყალ იმპერიალისტებსაც

მიამტერია ცხვირი და ამაყათ მოაფრიალებს აღთქმის დროშას ინტერნაციონალისას, რომელზედაც სისხლის ასოებით აწერია—პროლეტარეო მთელი ქვეყნისა შეერთდითო და გაუმარჯოს სოციალიზმსო. აი ეს დროშა კავკასიის მთების კალთებთან არის მოტანილი და თქვენ მოგიხმობს მისკენ. თქვენ უფლება არა გაქვთ, რომ არ მიხვიდეთ თქვენს წითელ ინტერნაციონალურ დროშასთან რაშიაც წილი გიდევთ სისხლით, თუ კიდევ არ წამოეგებით მენშევიკურ მთავრობის მოტყუების ანკესზედ. ამხანაგებო მუშებო, კარგა მოიგონეთ ყოველივე რაც ხთებოდა და ხთება დღესაც და როგორ ნათლავენ მათ გამოსვლებს ხალხი რომელიც ბუნებრივათ მოძრაობს მეტის მეტად შევიწროვების გამო და გამოდიან აშკარათ. ყაჩაღებათ და ბანდებათ ნათლავენ და თქვენ გასცევენ მათი გამოსვლების ჩასაქრობათ. მოიგონეთ ამ ორი წლის განმავლობაში გლეხების, მუშების და ჯარის კაცების გამოსვლები სამეგრელოს, ცხინვალის, დუშეთის, ქართლის, კახეთის, გურიის, იმერეთის ერთი სიტყვით ხალხი მშრომელი იბრძვის რათა გადაიძროს ბურჟუების და სპეკულიანტების მთავრობა კისრიდან და ყველა ეს გამოსვლები მონათლა დაოსტატებულმა მუდამ პროვოკაციაში ყაჩაღებათ და ყაჩაღთა ბრბოებათ და მრავალი მათგანი დახვრიტეს კიდეც. ყოველივე ეს ჭეშმარიტებაა და თქვენ მოგიწოდებთ შეუერთდეთ საქართველოს მუშებს, რომლებიც სულით დიდი ხანია შეუერთდა რუსეთის პროლეტარიატს და იბრძვის მთლათ შეერთებისათვის. ამხანაგებო ნუ დაუჯერებთ ჩვენს მოწინააღმდეგებს ვითომდა ჩვენ ანარხია გვინდოდეს და მოყიდული აგენტები ვიყოთ იმპერიალისტებისა, ნუ დაუჯერებთ იმასაც, რომ მე თითქო ყაჩაღი ვიყო რაც ერთობამ აუწყა მკითხველებს. კარგად მიცნობენ მე რა ყაჩაღია ვარ თითონ ბ. ტორდანია, რამიშვილი, ხომერიკი, ერაძე, მგელაძე ელასა და სხვები. მე მათთან ერთათ ვმუშაობდი 1 რაიონის კომიტეტში ჯერ კიდეე 1903 წ. ვიყავ არჩეული დეპოსა და პარკის მუშებისაგან წარმომადგენელათ. ეს იციან ძველმა მუშებმა მთავარ სახელოსნოისა და მათმა მაშინდელმა წარმომადგენლებმა. ამხანაგებო ჯერ კიდეე 1901 წ. ბათუმში როცა ვმუშაობდი შაგირდათ ვიყავ ერთი თვით გადაყენებული 1 მაისის გაფიცვისათვის და ბევრი მათრიეს ნიკოლოზის ჯალათებმა, რომ გამეცა ამხანაგები სხვა და სხვა დაპირებებით და მუქარითაც. მაგრამ ვერ მიაღწიეს ბოროტ განზრახვას. დღეს კი დამშდევენ როგორც ვითომდა ყაჩაღს, მაგრამ ვიმეორებ, რომ მე დამშდევენ როგორც ნამდვილს კომუნისტს და მრავალს სხვა ამხანაგებსაც დახდევს მთავრობა თავის მოყიდული აგენტების საშვალებით. მრავალი დახვრიტეს როგორც ყაჩაღები, მრავალი ციხეებში დაიხოცა და მრავალიც იტანჯებიან დღესაც ციხეებში. მოითხოვეთ მათი განთავისუფლება

და აშობა მუშათა პრესისა. ამხანაგებო მუშებო, ნუ მისცემთ ნებას მოღალატე მთავრობას მუშათა პარტიის დევნისას, ესწრაფეთ, მუშათა პარტიასთან შეერთებას. გაუმარჯოს რუს. ს. ფ. ს. რ. გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკას საქართველოშიაც! ძირს მოღალატე ეთავრობა მენშევიკებისა! ძირს საქართველოს მუშების შემარცხვენელი მენშევიკების რესპუბლიკა.

გაუმარჯოს III ინტერნაციონალის ბელადებს და გაუმარჯოს მთელი დედამიწის პროლეტარიატის საყვარელს და მოამაგე ლენინს.

მუშა ვანო ჯეჯელავა.

ჩვენი პირველი პროლეტარული რევოლიუციის ოცი წლის თავი.

II [1]).

ჩვენი პირველი რევოლიუციის ოცი წლის თავი სხვათა შორის აღნიშნული იქნება დიდძალი ისტორიული ხასიათის ლიტერატურის გამოცემით—დაწყებული დოკუმენტთა კრებულებით, პოპულიარული წიგნაკებით ფართო მასისა და ახალგაზრდობისათვის. ბევრი იმათგანი, რომელიც გამოიცემა იუბილეისთან დაკავშირებით, სახელმძღვანელო გახდება როგორც პარტიული მუშაობისათვის, ისე სკოლისათვის. გამოცდილებამ დაგვანახა, რომ თუ სახელმძღვანელო მოხერხებულად შედგენილია, ის უცვლელად იბეჭდება არა თუ წლობით, არამედ—ათეული წლობითაც. ბუხარინისა და პრეობრაჟენსკის „კომუნიზმის ანბანს“ გატაცებით კითხულობენ და სწავლობენ პროვინციაში 1920 წლის გამოცემას. რუსეთის ისტორიიდან ხმარებაშია ამაზე ბევრათ უფრო ძველი სახელმძღვანელოები.

ეს გარემოება წინდაწინ უნდა იქნას გათვალისწინებული. ამ გამოცემებს წაიკითხავენ არა თუ ისინი, რომელთაც ახლა იციან კითხვა, არამედ—ისინიც, რომლებიც მომავალში, ახლო წლებში შეისწავლიან კითხვას. არა მარტო ისინი, რომელთაც ცოცხალი მოგონებებით შეუძლიათ წარმოიდგინონ რევოლიუციის წინა დრო, არამედ ის პატარა „ოქტომბრელები“, რომელთაც უკვე 1917 წლის ოქტომბრის წინა ხანების არაფერი ემახსოვრებათ.

და აი, ამგვარი ხალხის პატივისცემის გულისათვის,—და ეს ხალხი ასეთი პატივისცემის ღირსია, რადგანაც ის არის ჩვენი მომავალი,— უნდა წამოვაყენოთ ზოგიერთი კითხვები, რომლებიც მართლა ფორმალურ კითხვებათ მოგვეჩვენება, მაგრამ არსებითად ისინი მეტად რეალურია და მოითხოვენ გადაჭრას, თუ ჩვენ გვსურს, რომ ჩვენ ნაწარმოებთა გამოცემა ათი წლის შემდეგ არ მოგვიხდეს შენიშვნებით, თითქოს ისინი ძველი დროის ავტორთა ნაწერები იყვნენ.

უპირველესად ყოვლისა, არა თუ პატარა „ოქტომბრელები“, არამედ—პიონერებიც ვერ მოახერხებენ იულიანეს კალენდარის გრიგორიანზე გადატანას. ეს ადვილად შეგვიძლია ჩვენ წარმოვიდგინოთ თუ გინდ იმიტომ, რომ თვით ჩვენ გვიწევდება ეს, მოგვდის კური-

[1]) იხ. „რევ. მატ.“ №№ 4—5 (9—10).

ოზული შეცდომები, მაგ. ილიჩის დაბადების დღეს ვაკლებთ ერთს დღეს, ვიდრე ეს სინამდვილეში იყო მე-XIX საუკუნეში (როდესაც „ახალისა“ და „ძველ“ სტილს შორის განსხვავება იყო არა 13 დღე. არამედ—12 დღე.

მომავალ ჩვენს მკითხველებს გაუკვირდებათ, რომ 7 დეკემბერს დაწყებულ დეკემბრის აჯანყებას ჩვენ მოვიგონებთ 20-ში; რომ 9 იანვარს ვდღესასწაულობთ 22 იანვარს. რომ აცილებულ იქნას ეს გაუგებრობა და იძულებული არ გავხადოთ მომავალი მკითხველი თავისი საქმიანობა დაბანდოს საერთოდ სასარგებლო, მაგრამ ზედმეტ არითმეტიკულ ვარჯიშობაზე, წინდაწინ უნდა შევთანხმდეთ, რომ **ყველა დატებს** ჩვენ ყოველთვის აღვნიშნავთ ახალი სტილით. 1905 წლისთვის აქ არავითარ დაბრკოლებას არ ექნება ადგილი შემოღებული ქრონოლოგიური, რუბრიკების თვალსაზრისითაც კი: ოქტომბრის გაფიცვა, სულ ერთია, ოქტომბრის გაფიცვად დარჩება (დამთავრდა $^{18}/_{31}$ ოქტომბერს; დეკემბრის აჯანყებაც ასევე დეკემბრის აჯანყებათ დარჩება. მოგვიხდება მხოლოდ „9 იანვრის“ ახსნა; მაგრამ ყველა დაგვეთანხმება, რომ ადვილია ერთი დატის ახსნა, ვიდრე იძულებული გავხადოთ მკითხველი ეძიოს ყველა დატების ახსნას.

მაგრამ ცხოვრებაში გამოსული თაობა.სათვის მთავარი დაბრკოლება იქნება არა სტილი, რადგანაც განსხვავებას სკოლაში მაინც აუხსნიან. რაც დრო გავა, მით უფრო ძნელი იქნება **წელთანგარიში**. რას ნიშნავს „1905 წელი“ ქრისტეს დაბადებიდან? ჩვენთვის ეს გასაგებია, რადგანაც ჩვენ სკოლაში გვასწავლეს „სამღვთო სჯული“. მაგრამ მომავალი ჩვენი მკითხველები, რამდენი დრო გავა, იმდენად გაუგებრობაში ჩავარდებიან—თავს კითხვას მისცემენ: რა უნდა იყოს ეს „დაბადება ქრისტესი“. და თუ ამ საკითხის გასარკვევად მასწავლებელს მიმართავენ, ის უპასუხებს, რომ ქრისტე მითიური არსებაა, მაშასადამე, არას დროს არ დაბადებულა. ამის შემდეგ პატარა ოქტომბრელები სულ ერთიანად გაშეშდებიან—წლებს ითვლიან ისეთი მოვლენიდან, რომელიც არას დროს არ ყოფილაო.

დროა, რომ წელს, რომელსაც ვანგარიშობთ „ქრისტეს დაბადებიდან“, დავუმატოთ ის წელი, რომელსაც ვანგარიშობთ ყველასაგან ცნობილ რომელიმე რეალურ მოვლენიდან. ასეთ მოვლენად, არა მარტო რუსეთის პროლეტარიატისათვის, ითვლება ოქტომბრის რევოლიუცია. შეადარეთ ორი დაწერილი—„1905 წელი“ და „ოქტომბრის რევოლიუციის 12 წლის წინად“. დაივიწყეთ ერთი წუთით ყველა ის პირობანი, რომლითაც თავი გამოგვეჭედა ძველმა სკოლამ, წარმოიდგინეთ, თითქოს ადამიანი სრულიად თავისუფალია ამ პირობათაგან და სთქვით—რა არის მისთვის **თვალსაჩინო**? რა უფრო შეაგნებინებს მას **როდის** მოხდა 1905 წლის რევოლიუცია?

ეს საკითხი, რა თქმა უნდა, უფრო ფართოა, ვიდრე დეკემბრის აჯანყება. რასაკვირველია, ეგვიპტეს პირამიდების სიძველეც ბევრათ თვალსაჩინო იქნება მოსწავლისათვის, თუ მას ეტყვიან, რომ „პირამიდები აგებულია 5000 წლის წინად“, ვიდრე ეტყოდენ—„პირამიდები აგებულია მე-4 ათასწლეულში ქრისტეს დაბადებამდე“. მაგრამ რატომ არ უნდა განვახორციელოთ ეს ახალი წესი ჩვენი იუბილეს გამო?

ამიტომ ჩვენ წინადადებას ვიძლევით ჩვეულებრივ დატასთან ერთად მოვიხსენიოთ (უნდა მოვიხსენიოთ, რასაკვირველია, არა მარტო 1905 წელი, არამედ—1896, 1881, 1861 და 1825 და სხვ.) „ოქტომბრის რევოლიუციის ამდენი წლის წინად“. და თუ მოსახერხებელი იქნება, შეგვიძლია პირუკმო მოვიქცეთ. ჯერ დავსწეროთ ეს დატა და ამის შემდეგ ფრჩხილებში წელი „ქრისტეს დაბადებიდან“.

დაბოლოს, რევოლიუციამ შესცვალა არა მარტო დროს ანგარიში, არამედ—**ადგილების** სახელებიც. მოსკოვში ეს ნაკლებად შესამჩნევია, ვიდრე ლენინგრადში. ავიღოთ თვით ეს სახელწოდება. ახლა ახალგაზრდობამ იცის მხოლოდ, რომ წინად ეს იყო „პეტროგრადი“; 1914 წელში გამქრალი სახელწოდება „პეტერბურგი“ არ ახსოვთ არა თუ ახალგაზრდა ოქტომბრელებს და პიონერებს, არამედ ახკომკავშირელებსაც—როცა ეს სახელწოდება არსებობდა, ისინი პატარები იყვნენ. 1905 წელში კი იყო სწორედ „პეტერბურგი“. და ისეთ სახელწოდებას, როგორიც ისტორიაშია არის „პეტერბურგის მუშათა დეპუტატების საბჭო“, რა თქმა უნდა, ვერ შესცვლი. სასაცილო იქნებოდა, რომ გველაპარაკნა 1905 წელს არსებულ „ლენინგრადის მუშათა დეპუტატების საბჭოზე“. ამავე დროს აქ სრულიად საფუძვლიანი იქნებოდა, განსაკუთრებით ხუთი წლის შემდეგ, ასეთი კითხვა—„**ეს სადღა** იყო“?

ეგევე უნდა ითქვას ქუჩების, მოედნების და სხ. სახელების შესახებ. შეუძლებელია 1905 წლის იანვრის 9-ს მუშების წაყვანა ურიცკის სახელობის მოედანზე, ან ბაუმანის დასაფლავებიდან დაბრუნებული პროცესიის დახვრეტა გერცენის ქუჩაზე. აქ საჭიროა ახალი სახელები, მაგრამ საჭიროა არ დავივიწყოთ მათი **ახსნა-განმარტება**. ზოგიერთ სახელმძღვანელოებში ეს უკვე ასე ხდება, მაგრამ საჭიროა მისი შემოღება, როგორც საერთო წესის. დღე ეს იყოს თვალსაჩინო გაკვეთილი იმისა, თუ როგორ შესცვალა რევოლიუციამ „რუსეთის მიწა-წყლის სახე“.

დაბოლოს, ამ ტერმინის შესახებაც: რა სახელი ვუწოდოთ ჩვენს პირველ რევოლიუციას? „რუსული“? „რუსეთის“? პირველი სახელი, უეჭველია, არ შეეფერება, რამდენათ მასში მონაწილეობდენ არა მარტო უკრაინელები, ქართველები და სომხები, არამედ ფინლიან-

დიელები და პოლონელები. მეორე სახელიც ნაკლებათ უდგება—რადგანაც თვით ტერმინი რუსეთი ძველი აზრით („რუსეთის იმპერია“) ახლა არ არის. რუსეთი—ეს **რსფსრ**, ეს მხოლოდ ყოფილი „იმპერიის“ ნაწილია, თუ ახსნა-განმარტება არ დაურჩა, ამ ტერმინის ხმარებაც შეუძლებელია. ვუწოდოთ 1905 წელს უბრალოდ: „ჩვენი პირველი პროლეტარული რევოლიუცია“, უკრაინელის, ქართველისა და ველიკოროსისთვის ის ერთი იქნება—„ჩვენი“ და როგორც „რეპეტიცია“ ოქტომბრის რევოლიუციისა, მან მისცა დასაწყისი თანამედროვე პროლეტარულ მოძრაობას მთელს დედამიწის ზურგზე. ასე რომ, ეს სახელწოდება თითქოს ერთნაირად მისაღებია ყველასათვის არა მარტო **სსრკ**-ში არამად—მის გარეშეც.

მ. პოკროვსკი.

ამხ. მ. პოკროვსკის წერილის დანართი.

ანკეტის პროექტი 1905 წლის რევოლიუციისათვის.

ანკეტა სრულიად არ გულისხმობს **ყველა კითხვაზე** პასუხის გაცემას. ეს მხოლოდ აღნუსხვაა იმისი, რის მოგონებაც **სასურველია**. ანკეტა მიმართულია არა იმდენათ უშუალოდ მუშათა მასებისადმი, რამდენათ იმათდამი, ვინც ცნობებს შეჰკრებს მუშათა მასსებში, ამიტომ შეიძლება ანკეტის დაწვრილებით შევსება.

იმ ამბანაგებს, რომელთაც ახსოვთ 1905 წელი, ვსთხოვთ გვიპასუხონ შემდეგ კითხვებზე:

გუბერნია და ადგილი[1]), სადაც თქვენ ცხოვრობდით 1905 წელს: (ქალაქი, საქარხნო უბანი, სადგური, სოფელი, უკანასკნელი,—მაზრის აღნიშვნით.

1. იმ ადგილებში, სადაც თქვენ ცხოვრობდით 1905 წლამდე იყო თუ არა გაფიცვები? რამდენი (დაახლოვებით) მუშა მონაწილეობდა? რა იყო გაფიცვის მიზეზები? რა მოთხოვნილებებს აყენებდენ გაფიცულები (ეკონომიური, პოლიტიკური,)?

1905 წლამდე თქვენს რაიონში იყო გლეხთა მღელვარება? რით იყო გამოწვეული? ვის წინააღმდეგ იყო მიმართული (მემამულეების, მოიჯარადრების, „კულაკების“?

---

[1]) ამ კითხვებზე უპასუხებენ მხოლოდ პროვინციები. მოსკოვისა და ლენინგრადისათვის ის ზედმეტია.

როგორც აცხრობდენ გაფიცვებს და გლეხთა მღელვარებას? რა გავლენას ახდენდა ეს მუშებისა და გლეხების სულიერ განწყობილებაზე?

2. იყო თუ არა თქვენს რაიონში 1904 წელში პარტიული ორგანიზაცია? ვისგან შესდგებოდა ის (მუშები, ინტელიგენტები, ჯარისკაცები, გლეხები)? ბოლშევიკური, მენშევიკური იყო, თუ ორივე? უკანასკნელ შემთხვევაში რაში გამოიხატებოდა ფრაქციული ბრძოლა და რა გავლენას ახდენდა ის ორგანიზაციის ცხოვრებაზე? რა მონაწილეობას ღებულობდა ორგანიზაცია გაფიცვებში და გლეხთა მღელვარებაში? ფურცლები თუ გამოდიოდა? ლიტერატურას თუ ანაწილებდენ? კერძოდ, ხშირად გინახავთ თქვენ იმ დღეებში „ძველი" „ისკრა", ან „მენშევიკური"? იყო თუ არა სხვა რეფოლიუციონური ორგანიზაციები, გარდა სოციალ-დემოკრატიულისა? ვრცელდებოდა მათი ლიტერატურა? რა გავლენას ახდენდენ ისინი გაფიცვებზე, მღელვარებებზე და სხ.

3. როგორ შეხვდენ თქვენს რაიონში იაპონიასთან ომის გამოცხადებას? როგორ უცქეროდენ ომს: ა) მუშები, ბ) გლეხები, გ) ბურჟუაზია, დ) ინტელიგენცია (თუ იყო სხვა და სხვა მიმდინარეობანი,—აღნიშნეთ). რა გავლენას ახდენდა ცნობები დამარცხების შესახებ? იყვნენ თუ არა დამარცხების მომხრენი და საზოგადოების როგორ წრეებში (ინტელიგენცია, მუშები და სხ.). თქვენს რაიონში მობილიზაცია მოხდა? და რა გავლენა მოახდინა მასზედ. კერძოთ არ გახსოვთ როგორი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე შემდეგმა ცნობებმა: ა) ლიაოიანის ბრძოლამ, ბ) პორტ-არტურის დაცემამ, გ) ცნობებმა მუკდენზე და დ) ცუსიმაზე?

4. რა ცვლილება გახსოვთ თქვენ მუშათა, გლეხთა, ჯარისკაცთა, ინტელიგენციისა, ბურჟუაზიის სულიერ განწყობილებაში 1904 წლის შემოდგომაზე სვიატოპოლკ—მირსკის „გაზაფხულისა" და „ნდობის ერასთან" დაკავშირებით? ამ სულიერმა განწყობილებამ რაიმე კონკრეტიული გამოხატულება თუ მიიღო (ადგილობრივ გაზეთების მიერ ტონის გამოცვლა, ახალი გაზეთების გამოცემა, კრებები, ბანკეტები და სხ.).

5. როგორ, როდის და რა გაიგეთ თქვენს რაიონში 9 იანვრის შესახებ? როგორ შეხვდენ ამ ცნობას მუშები, ჯარისკაცები, გლეხები, ინტელიგენცია და ბურჟუაზია? გაფიცვები თუ მოხდა 9 იანვართან დაკავშირებით? რა ლოზუნგები იქნა წამოყენებული? მონაწილეობა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციის? რამდენი (დაახლოვებით) მუშა მონაწილეობდა? რაში გამოიხატა ინტელიგენციის დამოკიდებულება 9 იანვრისადმი (კრებები, რეზოლიუციები და სხ.)?

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. რაში გამოიხატა თქვენს რაიონში მუშათა მოძრაობა 1905 წლის გაზაფხულზე? რამდენი (დაახლოვებით) მუშა მონაწილეობდა და ადგილობრივი პროლეტარიატის რამდენ ნაწილს მოედო? მხოლოდ გაფიცვებში გამოიხატა მოძრაობა, თუ კიდევ იყო სხვა ფორმები? რა გავლენას ახდენდენ თქვენი დაკვირვებით მასზე: ა) ბოლშევიკები, ბ) მენშევიკები, გ) ესერები, დ) ანარქისტები და სხვ? ამ ხანებში თქვენ გვხვდებოდა (ხშირად თუ იშვიათად) „ეპერიოდა“ და „ისკრა“? კითხულობდენ თუ არა მუშები ბურჟუაზიულ გაზეთებს? რაიმე გავლენას თუ ახდენდენ ეს გაზეთები?

1905 წლის გაზაფხულზე თქვენს რაიონში გლეხთა მღელვარება თუ იყო? როგორი იყო მღელვარების ფორმები (გაფიცვები, დაწვა, გამოსვლები, დარბევა და სხ.) და ვის წინააღმდეგ იყო მიმართული? რაში გამოიხატა ინტელიგენციის მოძრაობა? რომელი ფენები მონაწილეობდენ მასში? როგორ ეპერა თავი ამ დროს ბურჟუაზიას? როგორ ექცეოდა მოძრაობას ადგილობრივი ადმინისტრაცია. მხოლოდ რეპრესიებს მიმართავდა, მოსყიდვას და სხ.)

გახსოვთ თუ არა შავრაზმულ ორგანიზაციების დაარსების შესახებ. შავრაზმული მოძრაობა (ებრაელების დარბევა, ინტელიგენციისა და სხ.).

ტერორისტულ აქტები თუ ხდებოდა თქვენს რაიონში და როგორ შთაბეჭდილებას ახდენდა ის. ვინ იყო (რომელი კლასს ეკუთვნოდა) მისი მონაწილე და ვის წინააღმდეგ (პოლიცია, მემამულე, მექარხნე და სხ.) იყო ის მიმართული?

7. როგორი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენში „პოტიომკინის“ აჯანყებამ? იცოდით თუ არა რაიმე ლოძის ბარიკადების შესახებ? ამ ამბავმა რაიმე გავლენა თუ იქონია თქვენი რაიონის მუშათა მოძრაობაზე? როგორ იზრდებოდა 1905 წლის ზაფხულში პარტიული ორგანიზაცია? რაში გამოიხატებოდა იმ დროს მისი მოღვაწეობა? იყო თუ არა 1905 წლის ზაფხულში თქვენს რაიონში გაფიცვები? ვინ იფიცებოდა (პროფესია), გაფიცვის ლოზუნგები, მონაწილეთა (დაახლოვებით) რიცხვი, შედეგი? შესუსტდა თუ გაძლიერდა საგაფიცო მოძრაობა იულის—აგვისტოს განმავლობაში? იყო თუ არა ამ პერიოდში გლეხთა მღელვარებანი? მათი ფორმა და ხასიათი? დაინტერესებული იყვნენ თუ არა თქვენში ბულიგინის კომისიით: ა) ბულიგინის კონსტიტუციით, ბ) იაპონიასთან ზავის შეკვრით? და თუ კი,—როგორი იყო დამოკიდებულება ამ ფაქტებისადმი საზოგადოების სხვა და სხვა კლასებისა?

8. რა გახსოვთ თქვენ მოწაფეთა მოძრაობის შესახებ 1905 წლის პირველი 8 თვის განმავლობაში? ჰქონდა თუ არა მოსწავლე

ახალგაზრდობას (სტუდენტებს, გიმნაზიელებს) კავშირი მუშებთან? რა ფორმას ატარებდა მოწყობა (ორგანიზაცია, მანიფესტაცია, გაფიცვები და სხ.)? ჰქონდა თუ არა მოსწავლე ახალგაზრდობას კავშირი პარტიულ ორგანიზაციებთან და სახელდობრ, რომელთან (პოლშევიკები, მენშევიკები, ესერები, „ოსეობოედენცები“ და სხ.)?

9. რა გახსოვთ პროფესიონალურ-პოლიტიკური კავშირების შესახებ (მასწავლებელთა, რკინისგზელთა და სხ.)? რომელი კავშირები მოღვაწეობდენ თქვენს რაიონში? რაში გამოისატებოდა მათი მოღვაწეობა? ვინ ხელმძღვანელობდა მათ?

10. იყო თუ არა თქვენს რაიონში მოწყობილი სამიტინგო კამპანია 1905 წლის სექტემბერში? როგორ მოიწვევდენ და ჩაატარებდენ მიტინგებს? ხდებოდა თუ არა მიტინგები 1905 წლის სექტემბრის ადრე? გაფიცვებთან დაკავშირებით თუ ცალკე? როგორ ესწრებოდენ მიტინგებს სექტემბერში და უფრო ადრე? როგორი ხასიათისა იყო მიტინგები: (სრულიად აშკარა, ნახევრად ლეგალური, ბანგრძლივი, სახელდახელო); მოსწავლეთა ადგილი? ხშირად იწვევდენ მიტინგებს? 1905 წლის სექტემბერში ხომ არ გახშირებულა? არ გახსოვთ როდის შესდგა პირველი მიტინგი თქვენს რაიონში?

11. იყო თუ არა თქვენში მასიური გამოსვლები (დემონსტრაციები, მანიფესტაციები, შეიარაღებული წინააღმდეგობა და სხ.) 1905 წლის ოქტომბრამდე? ვინ აწყობდა მათ და ვინ მონაწილეობდა? აღნიშნეთ როდის მოხდა პირველი მანიფესტაცია 1905 წელს (თუ წინადაც იყო)? როგორ ტარდებოდა მანიფესტაციები (მშვიდობიანათ იშლებოდა, გარეკავდენ და სხ)? როგორ შეხვედრილა სტუდენტებს?

12. როგორ დაიწყო თქვენში საგაფიცო მოძრაობა სექტემბერ-ოქტომბერში? რომელმა პროფესიებმა დაიწყეს გაფიცვა? რამდენი (დაახლოებით) მუშა მონაწილეობდა? ვინ ხელმძღვანელობდა (პარტია, პროფესიონალურ-პოლიტიკური კავშირები, პროფესიონალური ორგანიზაციები, კარძო პირები)? რა ცნობები მოგეპოვებოდათ რუსეთის სხვა და სხვა ადგილებიდან საგაფიცო მოძრაობის შესახებ? რა გაგეგონას ახდენდენ ეს ცნობები? შესდგა თუ არა გაფიცვის კომიტეტი? ვისგან შესდგებოდა? გაფიცვასთან დაკავშირებით შესდგა თუ არა მუშათა დეპუტატების საბჭო? როდის გადაიქცა გაფიცვა საყოველთაოდ? როდის შესწყდა ის და რისთვის? გაფიცვის გარდა თქვენს რაიონში ოქტომბერში ბრძოლას სხვა ხასიათი ხომ არ მიუღია?

13. დარბევა ხომ არ მომხდარა თქვენს რაიონში 1905 წლის ოქტომარის გასულს? ვინ არბევდა? ვისგან შესდგებოდა დამრბევთა მასსა? როგორი იყო აშკარა ნიშნები პოლიციის და ადმინისტრაციის მონაწილეობისა დარბევის მოწყობაში? საზოგადოების რომელი კლასები თანაუგრძნობდა დარბევას? რაში გამოიხატებოდა ეს თანაგრძნობა? როგორ უცქეროდენ დარბევას მუშები? გლეხები? იყო თუ არა დარბევის წინააღმდეგ ორგანიზაციული ბრძოლის ცდა და ვინ მეთაურობდა მას? რაში გამოიხატა თქვენში „თავისუფლების დღეები“? „აშკარა მუშათა მოძრაობის რომელი ფორმები შეგიძლიათ თქვენ მოიგონოთ? არსდებოდა პროფესიონალური ორგანიზაციები? ვინ ხელმძღვანელობდა მათ? იყო თუ არა თქვენს რაიონში მუშური პრესა? მოიგონეთ როგორი ხასიათისა იყო მიტინგები 1905 წლის ნოემბერ-დეკემბერში, ვინ გამოდიოდა ამ მიტინგებზე? მუშათა მოსახლეობის რომელი ჯგუფები (პროფესია) ღებულობდენ უფრო თვალსაჩინო მონაწილეობას მოძრაობაში? რომელი ასაკი გამოდიოდა პირველ რიგში? რაში გამოიხატებოდა ამ ხანებში მუშათა კლასის პოლიტიკური ინტერესები? რა და რა სოციალდემოკრატიული გაზეთები გამოდიოდა? რომელ მათგანს კითხულობდენ? რომელი პარტიები მუშაობდენ ამ ხანებში? რომელ მათგანს ჰქონდა მეტი გავლენა? როგორ უცქეროდა მუშათა მოძრაობას ქალაქის წვრილი ბურჟუაზია (ხელოსნები, წერილი ვაჭრები მოსამსახურენი)?

15. რა გახსოვთ გლეხთა მოძრაობის შესახებ 1905 წელში თქვენს რაიონში? რაში გამოიხატებოდა მოძრაობა (მოძრაობის ფორმები)? ვინ მონაწილეობდა, სახელდობრ (ლარიბები, საშუალო შეძლების, მდიდრები)? მონაწილეობდენ თუ არა მასში: ა) საზოგადოთ მუშები, ბ) მოჯამაგირეები და რაში გამოიხატებოდა მათი მონაწილეობა? სწარმოებდა თუ არა გლეხებს შორის სოციალ-დემოკრატიული აგიტაცია? იყო თუ არა ან რაში გამოიხატა სოციალისტ-რევოლიუციონერების და გლეხთა კავშირის გავლენა? ვის წინააღმდეგ იყო მიმართული გლეხთა მოძრაობა (მემამულეები, მოიჯარადრენი, „კულაკები“)? არსებობდენ თუ არა გლეხთა კომიტეტები? იყო თუ არა გლეხთა რევოლიუციონური თვითმართველობის სხვა ფორმა? რაში გამოისახა გლეხთა პოლიტიკური ინტერესი? როგორ უცქეროდა გლეხობა მეფის ძალა-უფლებას? დამფუძნებელი კრების ლოზუნგს?

16. რა გახსოვთ ჯარში მოძრაობის შესახებ თქვენს რაიონში? სწარმოებდა ჯარში პარტიული აგიტაცია? რომელი პარტია აწარმოებდა? როგორ ფორმას ღებულობდა მოძრაობა (მიტინგები, გაფიცვები, პეტიციები და სხ.)? რა მოთხოვნილებებს აყენებდენ ჯარის-

კაცები? მათი დამოკიდებულება პოლიტიკურ ლოზუნგებისადმი. მათი დამოკიდებულება მუშათა მოძრაობისადმი? გლეხთა მოძრაობისადმი? მონაწილეობდა მოძრაობაში აფიცრობა, რომელი ნაწილი (კადრის აფიცრობა თუ სათადარიგო პრაპორშჩიკები, შტაბისა თუ მწყობრის). როგორ ფორმებში გამოიხატებოდა აფიცერთა მოძრაობა? ხომ არ მომხდარა შეიარაღებული გამოსვლები, როგორ მოხდა და როგორ დამთავრდა?

17. როდის მოაღწია თქვენს რაიონში პირველად შეიარაღებული აჯანყების ლოზუნგმა? ვინ გამოვიდა ამ ლოზუნგით პირველად? როგორ შეხვდენ მას: ა) მუშები, ბ) გლეხები, გ) ინტელიგენცია? როგორ შეხვდნენ მას ოქტომბრამდე და ოქტომბრის შემდეგ? იყო თუ არა თქვენს რაიონში იმის ცდა, რომ ეს ლოზუნგი განეხორციელებიათ 1905 წლის დეკემბრამდე? ვინ მონაწილეობდა მასში? იყო კავშირი ჯართან? თქვენს რაიონში მოხდა აჯანყება 1905 წლის დეკემბერში? როგორი იყო აჯანყებული მასის შემადგენლობა? როგორი იყო მისი ტაქტიკა (მასიური გამოსვლა, პარტიზანული, მასიური ტერორი და სხ.)? იყო შემთხვევა ძალა-უფლების ხელში ჩაგდებისა? რომელ რაიონებში (სივრცე რაიონისა, მოსახლეობის ხასიათი და სხ.)? აღნიშნეთ ცალკე მონაწილეობა აჯანყებაში: ა) მუშების, ბ) ჭალაჭის წვრილი ბურჟუაზიის, გ) გლეხობის, დ) ჯარის აჯანყებულებთან შეერთების შემთხვევა. რომელი პარტია ხელმძღვანელობდა აჯანყებას თქვენს რაიონში? იყო თუ არა სპეციალური ორგანიზაციები შეიარაღებული აჯანყების სახელმძღვანელოდ? რაში გამოიხატა რეპრესიები აჯანყების შემდეგ? როგორი გავლენა მოახდინა აჯანყებამ მასის სულიერ განწყობილებაზე?

მ. პოკროვსკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. ს. რ, კ. პარტისთა წარმომადგენლების მესამე თათბირი.

Ც. კ. პარტისის მუშაობის მოკლე ანგარიში.

ამხ. საველიევი. ამხანაგებო! პარტისის მუშაობა სწარმოებდა შემდეგი ბუთი ძირითადი ქვე-განყოფილების სახით: სამეცნიერო, გარე ქალაქების (иногородный), სავამოცენო, საარქივო და ჟურნალის რედაქცია.

წარსული წლის განმავლობაში საერთო მუშაობა სწარმოებდა მეტად არა ხელსაყრელ პირობებში. ჩვენთან ორჯერ მოხდა შტატების შემცირება, პირველად 5 კაცით, მეორედ 13-ით. ამხ. ოლმინსკი დიდხანს სეროზზე ავად იყო და ასე. პარტისის მუშაობისაგან ჩამოშორებული. მაგრამ მიუხედავად ამ ობიექტიური მიზეზებისა პარტისის წარსული წლის მუშაობა თავისი შედეგებით მაინც საკმაოდ საყურადღებოა.

უპირველესად ნება მომეცით შეეჩერდე წარსული წლის უფრო საყურადღებო მოვლენებზე.

პარტისთან მოეწყო არქივი, რომელსაც საფუძვლად დაედო ჟენევიდან მიღებული არქივი. ამ ჟამად პარტისი მუშაობას აწარმოებს თავისი საკუთარი არქივის შემწეობით. ჯერ-ჯერობით ამ არქივმა ბევრი ძვირფასი მასალა მოგვცა და მომავალში კიდევ მეტს მოველით. ჩვენ მოვაწყვეთ ავრეთვე მუზეუმი (ამის შესახებ დაწვრილებით ქვეეით ვილაპარაკებ).

დაბოლოს პარტისთან დაარსდა სალიტერატურო თათბირი. პარტისის ხელმძღვანელი კოლეგიის საკითხი დიდხანს არ ყოფილა ნათლად გარკვეული. პარტისი თავისი კონსტრუქციით უნდა შეერთებოდა ც. კ. საერთო ორგანიზაციას, როგორც მისი ერთი განყოფილებათაგანი. პარტისს სათაეში ჩაუდგა გამგე, 1924 წლის დასაწყისში კი, უფრო პასუხისმგებელ პარტიულ ამხანაგებისა და დაინტერესებულ დაწესებულებათაგან მოეწყო სალიტერატურო თათბირი.

ამ თათბირის დანიშნულებაა თვალსაჩინო სალიტერატურო საკითხების განხილვა.

ახლა, ამხანაგებო, გადავდივარ ჩვენი მუშაობის ცალკე დარგებზე. დავიწყებ არაპერიოდიულ გამოცემათაგან. საანგარიშო წლის განმავლობაში პარტისმა გამოსცა 50-მდე წიგნი, საერთოდ 700 ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეჭდი ფურცელი. სერიოზულ ნაშრომთა რიცხვს ეკუთვნის „ქრესტომატიისა“ და „1917 წლის ქრონიკების“ გამოცემანი.

ამას გარდა შევუდექით ძველი ლიტერატურის ხელ-ახლა გამოცემას, როგორც „მაგ., „ისკრა“, „ეპერიოდი“ და „პროლეტარი“ გამოიცა რ. კ. პ. იუბილეისათვის საიუბილეო კრებული, „რევოლიუციის მებრძოლთა სახსოვარი“. პარტიის ისტორიის შესახებ ჩვენ გამოშვებემ მთელ რიგ სერიოზულ მასალებს.

რაც შეეხება „1917 წლის ქრონიკებს“, საჭიროა აღნიშნოს შემდეგი: ეს დიდი სამუშაო, როგორც მოგეხსენებათ, დაიწყო ჯერ კიდევ 1922 წელს და პირველად არა სასურველ პირობებში მიმდინარეობდა, საჭირო იყო ჯერ წინასწარი მასსიური შეკრება გაფანტულ მასალებისა, ხშირად სრულიად შეუმოწმებლათ. თუ რამდენათ დაურჩა გასავალი გამოცემას, ეს ახლად სჩანს, რომ ახლა უკვე კითხვა დგას „ქრონიკათა“ პირველი და მეორე ტომის ხელახალი გამოცემის შესახებ; შემდეგ გამოიცა პარტიის მე-VII ყრილობის ოქმები, მთელ რიგ ამხანაგთა მოგონებანი ცალკე წიგნაკებათ. რაც შეეხება ჟურნალ „პროლ. რევოლ“, მის შესახებ დაწვრილებით მოგახსენებთ ა. ი. ელიაზაროვისა; მე უნდა აღვნიშნო მხოლოდ ის, რომ ჟურნალის დიდ მიღწევად ჩაითვლება, რომ ის რეგულიარულად გამოდის. შინაარსით ჟურნალი ამ ჟამად გაცილებით უკეთესია, ვიდრე წინად იყო. ჟურნალის უკანასკნელი ნომრებიდან პარტიის რედაქცია შეუდგა სერიოზულ ნაშრომთა მოთავსებას შემოწმებული საარქივო მასალებიდან, რა თქმა უნდა, აქ დეფექტებს შეხვდებით, მაგრამ საერთოდ ჟურნალის მდგომარეობა მტკიცეა.

გამოფენის შესახებ საკითხი ასე იდგა: 1923 წლის ნახევრამდე გამოფენა კრემლში იმყოფებოდა, რითაც მეტად საძნელო იყო გამოფენით რაციონალურად სარგებლობა. საერთოდ გამოფენა დაათვალიერა ნახევარი წლის განმავლობაში 2000 მდე კაცმა, შემდეგ ის გადატანილ იქნა ლენტრეევის შესახვევში, მაგრამ ამ დროს მოხდა მისი გაერთიანება რევოლიუციის მუზეუმთან. შემდეგ, როცა ნოემბრის 11 მუზეუმი გაიხსნა, ის თანდათან იზიდავს მნახველებს, მუზეუმით ფართო მასები დაინტერესდენ. ნოემბერ-დეკემბერში მუზეუმი დაათვალიერა ნ ათასამდე კაცმა.

შემდეგ, წარსულ წელს საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მოეწყო ლენინის კუთხე, რომელიც 30 ათასამდე კაცმა დაათვალიერა. ამ ჟამად მუზეუმი გადაეცა საკავშირო ცენ. აღმ. კომ. გამგებლობაში, მაგრამ მუზეუმის ფორმალურად სხვის გამგებლობაში გადასვლა, არ გვაშორებს ჩვენ მისგან იდეურად, რაც ამბ. მიცკევიჩის მიერ გამომუშავებულ „დებულებაში“ თანახმად ც. კ. დირექტივებისა, ეს აშკარად არის გამოთქმული. ამ „დებულებით“ მუზეუმის

საბჭოს თავმჯდომარეს ნიშნავს პარტისი, მუზეუმის გამგის ადგილზე კანდიდატს აყენებს პარტისი და ამტკიცებს ცენტრ. აღმ. კომ. ამას გარდა პარტისს საბჭოში ეძლევა ორი ადგილი, გარდა თავმჯდომარისა პერსონალურად. თავიდან მოვიშორეთ რა ამ საქმის ადმინისტრატიული და განსაკუთრებით მატერიალური საზრუნავი, ასე მუზეუმის საქმე წინ წაიწევს. წინად კი იმის გამო, რომ შეუძლებელი ხდებოდა ც. კ. აპარატის გაფართოება, ჩვენი სამუზეუმო მუშაობა შემოფარგლული იქნებოდა.

რაც შეეხება სხვა ქალაქების ქვე-განყოფილებას, უნდა აღვნიშნო, რომ ამ ჟამად ცენტრალური პარტისის უშუალო ხელმძღვანელობაში იმყოფება 56 განყოფილება, რომლებთანაც წარსულ წლებთან შედარებით კავშირი შესამჩნევად გაძლიერებულია. ჩვენ მიერ დაგზავნილი იყო 10 საინსტრუქციო მიმართვა, მაგრამ ეს არ არის იმის საბუთი, რომ იქ ყველაფერი რიგზეა. საჭიროა იდეური კავშირის გაძლიერება, საჭიროა ადგილობრივად მივაწოდოთ ინფორმაცია ამხანაგებს ჩვენი ლიტერატურული გეგმის შესახებ და მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეგვიძლია უსარგებლო პარალელიზმის მოსპობა მუშაობაში. პარტისის პროვინციალური განყოფილებათა შტატში ირიცხება 64 კაცი. 16 პარტისის განყოფილება საკუთარი საშვალებებით არსებობენ, რაც, რა თქმა უნდა, მეტის მეტად მცირე რიცხვია. აქედან ადვილად დაინახავთ, თუ როგორ შეიძლება პირობებში უხდება მუშაობა არა მარტო ცენტრალურ პარტისს, არამედ განსაკუთრებით ადგილობრივ განყოფილებებს. ადგილობრივი პარტისის განყოფილებები კიდევ უფრო შეიწროვებულნი არიან ნივთიერ საშვალებათა უქონლობით. ადგილებიდან მიღებული ანგარიშები ღაღადებენ საქმეთა წინმსვლელობაზე, განსაკუთრებით გამოფენათა მოწყობაში. ამ ჟამად უკვე არსებობს 21 გამოფენა.

ყველა ანგარიშები ამ ჟამად აღნიშნავენ, რომ მეტად გამრავლდა მოგონებანი. ეს მოგონებები ხშირად ნედლს, მაგრამ ძვირფას მასალას წარმოადგენენ.

საჭიროა მოვიხსენიოთ ის დაკვრითი მუშაობა, რომელსაც ცენტრალური პარტისი და პროვინციალური განყოფილებები აწარმოებენ,—ეს არის პირველი რევოლიუციის (1905 წ.) 20 წლის თავისთვის მზადება. ამ საკითხთან თქვენ რამდენიმეთ გაცნობილნი ხართ ადგილობრივ დაგზავნილ ცნობების მიხედვით. მე შემიძლია მოგახსენოთ, რომ ეს საკითხი პარტისის ინიციატივით დაყენებულ იქნა ც. კ. სხდომაზე, სადაც მიღებულ იქნა განსაზღვრული დადგენილება, რაც საერთო სახელმწიფოებრივი წესით იქნა გატარებული.

პარტისის წინაშე დიდი საპასუხისმგებლო ამოცანა სდგას,—ესაა ლიტერატურული მომზადება დღესასწაულისათვის. ეფიქრობთ მთელ

რიგ შრომათა დამზადება-გამოცემას. უნდა აღინიშნოს, რომ თავისი მცირე ძალებით პარტისს არ შეუძლია ამ სერიოზული სამუშაოს თავის თავზე აღება. ამიტომ პირველსავე სალიტერატურო თათბირზე მ. ნ. პოკროვსკის და მთელ რიგ წითელ პროფესორთა მონაწილეობით მოვახერხეთ სამუშაოს ერთი ნაწილის შესრულება მათთვის დაგვეკისრებია. ჩვენი სამუშაო ამ დარგში იქნება პარტიული ცხოვრების გამორკვევა და მე-3 ყრილობის შესწავლა. რაც შეეხება 1905 წლის რევოლიუციის საერთო მსვლელობას, ეკონომიურ, მუშათა და გლეხთა მოძრაობას, ეს თემები აიღო მ. ნ. პოკროვსკიმ, რომელთაც მისი სელმძღვანელობით გადაამუშავებს წითელ პროფესურის ინსტიტუტი. ამას გარდა აზრად გვაქვს შევუდგეთ აგრეთვე 1905 წლის რევოლიუციის ამბების ქრონიკის და ქრონოლოგიის შედგენას; სალიტერატურო მუშაობის გარდა საჭიროა პლაკატების დამზადება, დამზადება საგამოფენო მასალებისა და სხ. 1905 წლის რევოლიუციის 20 წლის თავის სადღესასწაულოდ შემდგარმა კომისიამ სადღესასწავლო დღეთ აღიარა 1925 წლის 20 დეკემბერი.

არა ერთხელ მოგვისმენია საყვედური, რომ პარტისის მუშაობა მხოლოდ მოგონებათა გზით მიმდინარეობსო. უნდა განვაცხადო, რომ როგორც „პროლ. რევ." ფურცლები, ისე სხვა გამოცემანი ნათლად ამტკიცებენ, რომ მოგონებათა ტალღა ჯერ ერთი რომ ჩადგა, და მეორედ, ეს მოგონებანი საკმარისად იქნენ განხილული კრიტიკულად და გადამუშავებულნი. თუ მემუარების სიმრავლე ასე შესამჩნევი იყო, ეს აიხსნება მხოლოდ იმით, რომ საშვალებათა სიმცირის გამო ვერ მოვახერხეთ მონოგრაფიული მუშაობის მოწესრიგება. ახლა კი ასეთ სამუშაოსთან დაახლოვებულნი ვართ. ამისთვის ჩვენთვის, რა თქმა უნდა, საჭიროა ახალი ძალები—ეს არის მთავარი, რადგანაც ნივთიერ საშვალებებზე და გამოცდილ ლიტერატურულ მუშაკებზეა დამოკიდებული საქმის წარმატება. პარტისის მუშაობა ამ მოშენტისათვის მეტად თვალსაჩინოა და ჩვენ დარწმუნებულნი ვართ ც. კ. აღმოგვიჩენს დახმარებას როგორც მუშაკებით, ისე ნივთიერად. მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი მოწესრიგებული მუშაობა, როდესაც გვეყოლება მომუშავეთა მტკიცე შტატი.

ორიოდე სიტყვა ლენინის სახელობის ინსტიტუტის შესახებ. ამ საგანზე ჩვენ ბევრი ვილაპარაკეთ: ჩვენ ლენინის სახელობის ინსტიტუტს კარგი თვალით ვუცქერით. ის სამუშაო, რომელიც დასახული აქვს ინსტიტუტს, ჩვენ მიგვაჩნია მეტად სასარგებლოთ და თავს მოვალედ ვრაცხთ დავეხმაროთ მას, რომ ახლო ხანში შესაძლო შეიქნეს ვლადიმერ ილიჩის თხზულებათა გამოცემა. და მხოლოდ ამ სამუშაოს შესრულების შემდეგ შეიძლება კითხვის სხვა ნიადაგზე გადატანა—გაერთიანების შესახებ, რადგანაც ურყევად მიგვაჩნია ის დებულება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ჩვენ თუ არ შეგვისწავლია ვლადიმირ ილიჩის ცხოვრება, მისი მუშაობა-მოღვაწეობა, არ შეგვიძლია შევისწავლოთ ჩვენი პარტიის ისტორია, მეორეს მხრით ლენინიზმის შესწავლის გაღრმავება შესაძლებელია მხოლოდ ისტორიულად დაკავშირებით ჩვენი პარტიის ისტორიის შესწავლასთან.

ამგვარად ობიექტიურად შესაძლებელია იმის დამტკიცება, რომ პარტისის მიერ განსაზღვრული მუშაობა უკვე შესრულებულია; უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ ხანებში ჩვენი მუშაობა ღრმავდება, აღძრული საკითხები მომავალში უფრო ზედმიწევნით იქნებიან შესწავლილი. ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ უკეთესია „ცოტა და კარგი", დროა ბოლო მოეღოს ჩვენი პარტიული ისტორიისადმი გულგრილ დამოკიდებულებას.

დამოლოს უნდა აღვნიშნო, რომ ამ ჟამად არსებული რთული მდგომარეობა პარტიისა ჩვენ იძულებულს გვყოფს შევეხოთ პარტიის დღევანდელ ცხოვრებას; ლენინის გაწვევა ყველა პარტიულ ორგანიზაციებს განსაზღვრულ ვალდებულებას აკისრებს, აქ საჭიროა ჩვენი მუშაობა, რათა ახალგაზრდა ლენინელებს მივაწოდოთ რამდენიმე ბროშიურა ჩვენი პარტიის ისტორიიდან. და არა მარტო აქ, არამედ—პარტიული ცხოვრების მთელ რიგ საკითხებში ჩვენ სრულიად ობიექტიურად ვაშუქებდეთ ფაქტებს ჩვენი პარტიის ისტორიიდან, ურომლისოდ ისტორიის შესწავლა შეუძლებელია. მხოლოდ ასე კეთილსინდისიერად ფაქტების გაშუქებით შეიძლება მომავალშიაც რ. კ. პ. ისტორიის შედგენა.

ა. ი. ელიაზაროვი. ჩემს თანამოსწენებაში მოკლედ შევეხები ჟურნალ „პროლ. რევოლიუცია"-ს, რადგანაც ამბ. საველიევმა უკვე ილაპარაკა ჟურნალის ამოცანაზე. ჩვენი ჟურნალი ახლა მე 4 წელში გადადის. საანგარიშო ხნის განმავლობაში გამოვიდა ჟურნალის 14 ნომერი. წინანდელი 25—30 თაბახის ნაცვლად 17—18. ჟურნალში სჭარბობს გამოკვლევითი ხასიათის სტატიები, რითაც ჟურნალს მიეცა უფრო მეცნიერული სახე. წელს განსაკუთრებით დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული ჟურნალში ვლადიმერ ილიჩის დოკუმენტებს: ელ. ილ. გამოუცემელი წერილები, მისი წერილი რუსეთის ყველა ორგანიზაციებისადმი გაზ. „ვპერიოდი"-ს დაარსების შესახებ, მისი პროგრამა პარტიისათვის 1905 წ. მისი წერილები ომის დროს, ამას გარდა ამბ. ოლმინსკის ცნობები იმ სტატიების შესახებ, რომლებიც გამოტოვებულ იქნა ლენინის სრულ თხზულებებში, და ბოლოს „პროლეტარული რევოლიუციის (№ 3 26) ლენინის ნომერი, სრულიად მიძღვნილი მისი ხსოვნისადმი.

რაც შეეხება სამემუარო განყოფილებას, წელს მოვათავსეთ უფრო კვალიფიციური მასალა. მოგონებებს მეტ წილად თან ახლდა

კომენტარიები საარქივო მასალების მიხედვით და აგრეთვე, შემოწმებული, მოგონებათა ავტორების მიერ.

ჟურნალის ტირაჟი იყო 10 ათასი ცალი. შეუდექით ხელის მოწერას და ამ ჟამად 2000 ხელის მომწერი გვყავს. მეტად სამწუხაროა, რომ ჟურნალი ისე არ ვრცელდება, როგორც ეს ჩვენთვის არის სასურველი, მაგრამ ეს მე მგონია აიხსნება ჟურნალის სიძვირით ერთის მხრით და მეორეს მხრით ამხანაგების ხელმოკლეობით, ჟურნალის მეტი წილი რიგდება სამკითხველოებში.

ადგილობრივ ამხანაგებს ჩვენ შევუთანხმებით გავსცეალოთ ურთი-ერთ შორის სტატიები — ისინი მოგვაწვდიან საერთო ხასიათის წერილებს, რომელნიც მათ მოეპოვებათ, სამაგიეროთ ჩვენ გავუგზავნით ჩვენს განკარგულებაში მყოფ ადგილობრივი ხასიათის წერილებს.

რაც შეეხება მომავალში მუშაობას, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია იმ ხაზით ვიმუშაოთ, როგორც ვმუშაობდით დღემდე: — ჟურნალის დიდი ნაწილი მოვანდომოთ საგამოკვლევო ხასიათის წერილებს, მოგონებები კი დაიბეჭდოს ზედმიწევნით შემოწმებული. ამას გარდა აზრად გვაქვს სხვადასხვა მოგონებებიდან შევადგინოთ ერთი საერთო ხასიათის წერილი. ამას გარდა რედაქციას აზრათ აქვს მოათავსოს მეთოდიური ხასიათის და ისტორიული ხასიათის წერილები — პარტიის ისტორიიდან, გადახრაზე და მიმდინარეობებზე პარტიაში (მახაევშჩინა, ეკონომიზმი) და სხ.

რედაქციის მუშაობის შემაფერხებელ მიზეზად ჩაითვლება ძალების სიმცირე როგორც რიცხობრივი, ისე თვისებითი. და თუ ეს ნაკლი არ იქნება შესებული, დასაბულ ამოცანას ვერ შევასრულებთ, ვიმედოვნებთ, რომ მომავალი წლისათვის ც. კ. მოგვცემს ახალ მუშაკებს. ვფიქრობთ ჟენევის არქივით სარგებლობის გაფართოვებას დოკუმენტების გამოქვეყნების სახით.

ახლა ვთხოვთ ადგილობრივ ამხანაგებს მიგვითითონ იმ ნაკლზე, რომელიც მათ შენიშნეს. რედაქციის სურვილია მოისმინოს თქვენი აზრი ჟურნალის შესახებ, მისი ნაკლი, კარგი მხარე და სხ.

არქივის ქვე-განყოფილების ანგარიში.

ამხ. რაიბინსკი. ჩემი მოხსენება უმთავრესად იქნება ინფორმაციული ხასიათისა. არქივი დაარსდა ამა წლის გაზაფხულზე, ამ ხნის განმავლობაში დიდი გამოცდილება, რა თქმა უნდა, ვერ შევიძინეთ, მაგრამ ცოტა რამ მაინც შემიძლია მოგახსენოთ. საზღვარგარეთიდან მივიღეთ ჟენევის არქივი და კუკლინის ბიბლიოთეკა, ეს მასალები შეიქმნა ძირითადი ფონდი პარტისის არქივისათვის. არქივი ამ ჟამად

მოთავსებულია კრემლის სასახლეში, სადაც ყოველის მხრით მოხერხებული ბინაა.

შტატის თანახმად იქ სამ თანამშრომელია. ეს რაც ვიცი, რა თქმა უნდა, მეტად მცირეა, იძულებული შევიქენით გაგვეფართოვებია შტატი შტატს გარეშე მუშაკების მოწვევით. ჩვენ ვფიქრობთ თავი მოუყაროთ ისეთ მასალებს, რომლებიც პარტიას ეხებიან, მუშათა მოძრაობის შესახები მასალები კი ჩვენ არ გვეხება.

საზღვარ გარეთიდან მიღებული არქივი ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს რამდენიმეთ გავაფართოვოთ: მთელ რიგ ორგანიზაციებმა და პარტიულმა ამხანაგებმა ამ მხრით ცოტა რამ გააკეთეს: ასე მაგ., ჩვენ მოგვეპოვება ამხ. ოლმინსკის არქივის ნაწილი, გადმოცემული გვაქვს ამხ. პოდვოისკის არქივის ნაწილი, კომინტერნმა გადმოგვცა პოლონური არქივის ნაწილი (ტიშკო), მოგვეპოვება აგრეთვე მთელი რიგი დოკუმენტები ადგილებიდან და მოსკოვიდან. უნდა ითქვას, რომ არქივისათვის მასალებს გვაძლევენ სხვადასხვა გვარი პირობით—ზოგჯერ გვაბარებენ შესანახად, ზოგჯერ ამხანაგები გვაბარებენ რა არქივს შესანახად, უფლებას გვაძლევენ ვისარგებლოთ მით, უმეტეს შემთხვევაში არავითარ პირობას არ გვიყენებენ და ასე მასალებს სრულ საკუთრებათ გვაძლევენ.

ც. კ. ორგბიუროს დადგენილება აქვს გამოტანილი, რათა გადაეცეს პარტიის ანკეტები და დაღუპულ ამხანაგთა ბიოგრაფიები, არის ავრეთვე დადგენილება, რომლის ძალითაც მთელი საანკეტო მასალა ცოცხალ ამხანაგების შესახებ, როგორც საარქივო ფონდი, გადადის პარტიის განკარგულებაში.

ეხლა შევეხები იმას, თუ როგორი ხასიათისაა ჩვენი მუშაობა და როგორ მიმდინარეობს ის არქივში. ჩვენს ამოცანას შეადგენს ამ მასალების შეგროვება—შენახვა. არქივი განაყოფება ორ ნაწილად. პირველ ნაწილს შეადგენს დაბეჭდილი მასალა, მეორე ნაწილს—ხელნაწერი. დაბეჭდილს შეადგენს ჟენევის არქივი. მე რამდენიმეთ დაწერილებით შევჩერდები არქივის ხელთნაწერ ნაწილზე. საზღვარ გარეთიდან არქივი მოუწესრიგებელი მივიღეთ, დიდი მუშაობა გაეწეოთ, რომ ეს არქივი მოგვეწესრიგებინა, ასე თუ ისე სისტემაში მოგვეყვანა. ჩვენ ის დავანაწილეთ ფონდებათ: პირველ რიგში გამოვყავით ის მასალები, რომლებიც მე-90 წლებს შეეხებოდენ, რადგანაც ასეთი მასალები ცოტა იყო, ის ჩვენ არ დაგვინაწილებია; შემდეგ მიყვება შემდეგი წლების ფონდები—ც. კ. ფონდი, საზღვარ გარეთელ რუსულ ბიუროსი, ჩვენ მოგვეპოვება საზღვარ გარეთელ ცენტრალურ ბიუროს ჯგუფების მენშევიკების მდიდარი არქივი. უეჭველია, კიდევ აღმოჩნდება მთელი რიგი სხვა ფონდებისა. ამ ჟამად მე არ შემიძლია არქივში არსებული ყველა მასალების ჩამოთვლა, რად-

განაც ისინი ჯერ-ჯერობით ნახევრად არიან გარჩეულნი. ჯერ-ჯერობით ვაწარმოებთ მხოლოდ საინვენტარო წიგნს, მხოლოდ მთელი მასალის საბოლოო გარჩევის შემდეგ იქნება შესაძლებელი მაჩვენებელის შედგენა.

მე მინდა ვთქვა ორიოდე სიტყვა საარქივო დოკუმენტების შესახებ. დოკუმენტების შენახვა მოითხოვს მთელ რიგ პირობების შესრულებას: ჯერ ერთი ტემპერატურა — ის არ უნდა აღემატებოდეს 5—8 გრადუსს, ამ მხრით ჩვენ საქმე კარგათ გვაქვს დაყენებული. საჭიროა დოკუმენტები მოვარიდოთ სინესტესა და სინათლეს, რადგანაც სინათლის სხივებისაგან დოკუმენტი ხუნდება და ქაღალდი იშლება. საჭიროა დოკუმენტის დაცვა მტვერისა და სხვა მავნეთაგან. შემდეგ საარქივო მასალით სარგებლობა ხდება მხოლოდ არქივის ბინაზე, არქივიდან დოკუმენტის წაღება არ შეიძლება. ასეთია დოკუმენტის შენახვის ძირითადი წესი.

ახლა მე მოვიყვან ზოგიერთ ციფრებს არქივის იმ ნაწილის შესახებ, რომელიც უკვე მოწესრიგებულია, (უნდა მოგაგონოთ, რომ არქივის რამდენიმე ათეული ფუთი ჯერ კიდევ გარჩეული არ არის). გარჩეულ მასალებიდან აღმოჩნდა შემდეგი: „რუს სოციალ-დემოკრატების კავშირი“-ს მასალები, არის ზოგიერთი მასალები „მუშათა საქმე“-სა, „ეკონომისტ“-ის ორგანიზაციისა, ძველი და ახალი „ისკრა“-სი, ც. კ. მასალები. ჩრდილო კომიტეტების პირველი კონფერენცია, ჩვენ მოგვეპოვება 1896 წელში შედგენილი პროგრამის პროექტი, სხვადასხვა მიწერ-მოწერა „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის წევრებთან და სხ. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ აღმოვაჩინეთ „ერფურტის პროგრამის“ რუსული გამოცემის წინასიტყვაობა, დაწერილი კაუცკის მიერ. ეს წინასიტყვაობა შემთხვევით მოთავსებული იქნა შემდეგ გამოცემაში, არც ერთ საბჭოთა გამოცემებში ეს წინასიტყვაობა არ დაბეჭდილა. შემდეგ ჩვენ წესრიგში მოგვყავს „ვპერიოდი“-ს ფონდი, თითქმის დასრულებულია „პროლეტარი“-ს ფონდის აღწერა — ყველაფერი ეს შეეხება არქივის ხელთნაწერ დოკუმენტებს. დაბეჭდილი დოკუმენტი ჩვენ მოგვეპოვება 2000 სახელწოდებისა, დაახლოებით 57 სახელწოდების სხვადასხვა გაზეთები და საკმაო ბლომათ ფურცლები.

აქ მე მსურდა შევხებოდი საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ გაგვეწყობოდა ის მასალები ადგილობრივ ორგანიზაციებისათვის, რომლებიც ჩვენ რამდენიმე ცალი მოგვეპოვება; მაგრამ უნდა ითქვას, რომ ადგილებს მხოლოდ მას შემდეგ მივაწოდებთ, როცა მასალებს საბოლოოდ გამოვიკვლევთ და როცა გეეცოდინება, თუ რა არის საჭირო ადგილებისათვის.

ეხლა შევეხოთ საკითხს გამოფენების შესახებ. გამოფენა რომ ჩვენთვის საჭიროა, ეს უდავოა, მაგრამ აქ მე უნდა შევჩერდე იმ ბარბაროსულ მოპყრობაზე პარტიულ დოკუმენტებისადმი, რაც ჩვენ გამოფენათა პრაქტიკამ დაგვანახა. უნდა საკითხი ასე დადგეს: არც ერთი ძვირფასი დოკუმენტის ორიგინალი არ უნდა იქნას გამოფენილი.

უნდა ყოველგვარი ზომები მიიღონ როკორც ადგილებმა, ისე ც. კ. პარტისმა, რომ შეკრებილი იქნას ამა თუ იმ ამხანაგის ხელში მყოფი დოკუმენტი. ამ დოკუმენტების ორიგინალები თუ არა, ასლები მაინც, უნდა გადაეცეს არქივს.

ამას გარდა საჭიროა, რომ ადგილებზე ამხანაგ—პარტიელებმა უხელმძღვანელონ არქივის იმ ნაწილს (გუბარქბიუორო), რომელიც პარტიის ისტორიას ეხება.

ბარმ-ძალაქთა ქვე-განყოფილების მოკხენება.

ამხ. შტეინმანი. ამხანაგებო, ბარე-ქალაქთა ქვე-განყოფილების მუშაობა იწყება შემოდგომიდან, რადგანაც, ზაფხულის პერიოდში, სრულიად რუსეთის ჩვენი თათბირისა, რამდენიმეთ მუშაობა შესუსტდა,—ერთად ერთი პარტისი, რომელშიაც მუშაობა არა თუ არ შეფერხებულა, არამედ გაძლიერდა—ეს იყო ადგილის პარტისი. შვებულებიდან დაბრუნებული ამხანაგების დახმარებით ზაფხულის თვეებში იქ მუზეუმმა საკმაოდ გააძლიერა მუშაობა. ოქტომბერში ცენტრალურმა პარტისმა დიდი გეგმა შეადგინა მთელი წლის საშუშაოდ. ეს გეგმა იყო—1905 წლის 20 წლის თავის დღესასწაულის მოწყობა. დაგზავნილ იქნა ამის გამო წერილები (რამდენიმე წერილი), დაგზავნილ იქნა სამაგალითო სქემა. ადგილობრივი პირობების მიხედვით (სამრეწველო თუ საგლეხო ცენტრი) პარტისები შესაფერისად დაამუშავებენ ამ გეგმას და სქემას.

1905 წლის დღესასწაულთან დაკავშირებით ყველა პარტისებმა ხელი მოჰკიდეს საარქივო მუშაობას. ამ ჟამად კავშირი არა თუ არსებობს არქბიუროსთან, არამედ ზოგიერთი პარტისები იძულებულნი შეიქმნენ თავიანთ გამგებლობაში მიეღოთ ისინი, რადგანაც სპეციები უმეტეს შემთხვევაში ვერ აღმოჩნდენ არქივების არა თუ საიმედო შემნახველნი, არამედ—ზოგჯერ კიდევაც იტაცებენ ისინი არქივებს. მიღებულ იქნა რა მხედველობაში ის გარემოება, რომ ადგილობრივ პარტისებს სრულიად არ გააჩნიათ შტატები, მით უფრო, რომ წარსულ წელს კიდევ მოხდა შემოკლება და მეორეს მხრით, საარქივო ბიუროებში მეტ წილად სხედან საარქივო ვირთხები, ჩვენი ქვე-განყოფილება მოაგონებდა ადგილებს: „ნუ გადმოიტანთ არქივს თქვენთან, დაუახლოვდით ამ ბიუროებს, თანდათანობით დაი-

კაეთ მასში ადგილები და თქვენ მიაღწევთ მიზანს—საარქივო მასალების მოტაცება შესწყდება. ამ ხაზის გატარებით, მე ვფიქრობ, ჩვენი მიღწევანი დიდი იქნება, მაგრამ ყველაფერი ეს მაინც ვერ იქნება დამაკმაყოფილებელი, აქ სიტყვა ეკუთვნის ცენტრო-არქივს.

გარე-ქალაქთა ქვე-განყოფილებამ ყურადღება მიაქცია ადგილობრივად არსებულ 1905 წ. ბეჭდვითი მასალების აღწერას.

არქივების დატაცებისა და აგრეთვე კერძო პირთა მიერ ჟანდარმთა სამმართველოს მასალების ეკრძობისა ჩვენმა ქვე-განყოფილებამ განმარტა, რომ ამ საგანზე გამოცემულია დეკრეტი, რომელითაც არქივები უნდა გადაეცეს შესაფერ დაწესებულებას. საჭიროა პასუხისგებაში იქნას მიცემული ის პირები, რომელთაც აღმოაჩნდებათ არქივებიდან გატაცებული მასალები.

ამხ. მიცკევიჩი. ეს გზა სახიფათოა. მაშინ სრულიად არ მოიტანენ მასალებს.

ამხ. შტეინმანი. მე მსურს მივითითოთ ჩემი მუშაობის კიდევ ერთს მომენტზედ. ჩვენ ყოველთვის ვურჩევდით ადგილობრივ პარტიებს, რომ მათ მოეწყოთ გამოფენები, რადგანაც მათი საშუალებით პარტიისს მუშაობა პოპულიარული ხდება. სამწუხაროდ, ამ საგამოფენო მუშაობისათვის ჩვენ ვერავითარი სახელმძღვანელო ვერ მივაწოდეთ, რადგანაც ჩვენი საკუთარი გამოფენა არ იყო მოგვარებული და მხოლოდ ახლა ვიმედოვნებთ, რომ რევოლიუციის მუზეუმი უხელმძღვანელებს ადგილებს გამოფენათა მოწყობის შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ წარსულ წელთან შედარებით წელს კავშირი ადგილებთან გაუმჯობესდა და განმტკიცდა: სწარმოებს მიწერ-მოწერა, ვღებულობთ შეკითხვებს, ცნობებს და ანგარიშებს.

56 პარტიისდან 11 საკუთარი საღსარით არსებობს და სწორედ ამ თერთმეტი პარტიის მუშაობაა ცხოველმყოფელი. მათ თავიანთი მუშაობით დააინტერესეს გუბაღმასკომები და გუბკომები და ამიტომ შესაძლებლობა აქვთ ფართოდ დააყენონ მუშაობა.

მეტად სამწუხარო მოვლენათ უნდა ჩაითვალოს ზოგიერთ საოლქო ორგანიზაციების მოქმედება—ესენი არიან ყირიმის საოლქო კომიტეტი და ციმბირის ბიუროს პარტისი. ყირიმის საოლქო კომიტეტმა სრულიად მოსპო პარტისის განყოფილება, ციმბირის ბიუროს შტატში კი ითვლებოდა 3 თანამშრომელი, მაგრამ მთელი წლის განმავლობაში არაფრით არ გამოუჩენია თავისი მუშაობა.

ცნობა რევოლიუციის მუზეუმის შესახებ.

ამხ. მიცკევიჩი. რევოლიუციის მუზეუმი სრულიად ახალი საქმეა, როგორც ორგანიზაციულად, ისე შინაარსით. თავისი განვითარე-

ბის გზაზე რევოლიუციის მუზეუმს ბევრი დაბრკოლება გადაელობა. მუზეუმი ერთი დაწესებულებიდან გადადიოდა მეორეს ხელში და მხოლოდ ახლა გადავიდა ს. ს. რ. კ. ცენ. აღმ. კომ. ხელში და იწოდება საკავშირო რევოლიუციის მუზეუმად. ეს ხდება მხოლოდ მეშვიდე წელს ოქტომბრის რევოლიუციისა.

ჩვენ გვინდოდა გეესაუბნებინა მუზეუმის მცოდნეთა მუშაობით, მაგრამ მათ ვერაფერი დახმარება გაგვიწიეს, ვინაიდან ეს საქმე ახალია. ჩვენ გამოვიმუშავეთ ასეთი გეგმა: ჩვენი რუსეთის რევოლიუცია და მისი განსაკუთრებული მხარეები. მუშათა მოძრაობა, რომელიც ოქტომბრის რევოლიუციით დაგვირგვინდა იწყება მე-XVIII საუკუნის გასულიდან. ოქტომბრის რევოლიუციის სახე იყო პუგაჩევის აჯანყება; ამ აჯანყების მიზანი იყო გლეხთა და მუშათა საკითხის გადაჭრა. და აი, უპირველესად ყოვლისა ჩვენ გამოგვყავს რუსული მარქსიზმის წინამორბედნი. შემდეგ ჩვენ ვეხებით მე 90 და 900 წლების დასაწყისს პირველ რევოლიუციამდე, შემდეგ ვეხებით 1905 წლის რევოლიუციის პერიოდს—ეს არის ჩვენი მესამე განყოფილება, შემდეგ რეაქციის განყოფილება, თებერვლის რევოლიუციის განყოფილება, ოქტომბრის, სამოქალაქო ომის, შემდეგ ვფიქრობთ გამოვსახოთ დასავლეთის რევოლიუციის ისტორია.

უპირველესად ყოვლისა ჩვენ ვცდილობთ გამოვარკვიოთ ეკონომიური საფუძველი, მუშათა კლასის ზრდა, მისი სტიქიური მოძრაობა და მოძრაობა იდეოლოგიური—პარტიული მუშაობა.

ჩვენი პარტიის განვითარების სურათს ვეძებულობთ იმ ბრძოლასთან გაცნობით, რასაც ჩვენ სხვადასხვა პარტიებთან ვაწარმოებდით. აი ჩვენი გეგმა. ამ გეგმაში ყველაფერი შესრულებული არ არის.

მეტად სუსტად არის წარმოდგენილი პროვინციალური მუზეუმები. ადგილობრივ პარტისებს დიდი დახმარება უნდა აღმოვუჩინოთ, მეორეს მხრით,—ჩვენ გთხოვთ დახმარებას მასალების შეკრების საქმეში, მომავალში ჩვენ ურთიერთშორის გავიცვლით მასალებს.

როგორ უნდა მოვაწყოთ ადგილობრივად მუზეუმები—ეს საკითხი ჯერ კიდევ ნათელი არ არის, მე ვფიქრობ შემდეგ თათბირზე ამ საკითხს ჩვენ დავაყენებთ დღის წესრიგში და თქვენ გაგვაცნოთ ადგილობრივ მიღებული გამოცდილებანი. ზოგიერთ ქალაქებში უკვე გადადგმულია პირველი ნაბიჯი, მაგრამ ჩემთვის საკითხი ჯერ ნათელი არ არის: უნდა დავკმაყოფილდეთ ადგილობრივი მასალებით თუ საჭირო იქნება რუსეთის რევოლიუციის ძირითადი ეტაპების გამოსახვა, რევოლიუციის მუზეუმის შექმნა მსგავსად მოსკოვის მუზეუმისა, თუ მხოლოდ ადგილობრივი ხასიათისა.

მე ჩემის მხრით გთხოვ დახმარებას ჩვენი მუზეუმის აღმშენებლობის საქმეში და აგრეთვე გთხოვ დაათვალიეროთ ჩვენი მუზეუმი.

(შემდეგი იქნება).

X. 1905 წლის 9 იანვარი.

პეტერბურგში (ლენინგრადში)

რ. ს. დ. მ. პ. პეტერბურგის კომიტეტის პროკლამაციები 9 იანვარის გამო გამოცემული

I.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათს პუტილოვის ქარხნის მუშათა კრებამ დაადგინა:

მოუწოდოს პეტერბურგის ყველა მუშებს გაფიცვისათვის, შეიკრიბონ ყველანი ერთად კვირას და გაემგზავრონ საზამთრო სასახლესთან და მეფეს მიართვან პეტიცია. ასეფიცე დადგენილება გამოიტანეს პეტერბურგის სხვა ქარხნების კრებებზე.

თავის პეტიციაში მუშები მოითხოვენ:

1. დამფუძნებელი კრების მოწვევას მთელი რუსი ხალხის წარმომადგენელთაგან საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და საიდუმლო ხმის მიცემით. დამფუძნებელმა კრებამ უნდა დაწესოს სახელმწიფოს მართველობის წესი, სახელდობრ,—ძალა-უფლების „ჩინოვნიკების“ ხელიდან ხალხის წარმომადგენელთა ხელში გადაცემა, რომლებიც აგრეთვე არჩეული იქნებიან საყოველთაო ხმის მიცემით (პარლამენტი)

ამ მოთხოვნილების განსახორციელებელი აუცილებელი პირობაა:

2. მოქალაქობრივება ყველა წოდებათა გათანასწორება (გლეხები, ვაჭრები, ბაზაურები და სასულიერო პირნი, ეროვნებანი და სარწმუნოებანი).

3. მოქალაქობრივი თავისუფლების გარანტია: მოქალაქეთა პიროვნების და საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობა, სიტყვის, ბეჭდვის, კრების და ყოველგვარი საზოგადოებების, მუშათა კავშირების დაარსების და გაფიცვის თავისუფლება.

4. ციხიდან და გადასახლებიდან იმ პირთა განთავისუფლება, რომელნიც სასჯელს იხდიან ეგრეთ წოდებულ პოლიტიკურ დანა-

შაულთა გამო. მათ შორის მუშათა გაფიცვაში და გლეხთა არეულობაში მონაწილეობისათვის.

5. ომის შეწყვეტა ხალხის ნების თანახმად.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია დიდი ხანია აყენებს ამავე მოთხოვნილებებს და მოუწოდებს რუსეთის მუშებს გადამწყვეტი ბრძოლისათვის. ახლა კი რ. ს. დ. მ. პ. პეტერბურგის კომიტატი მიესალმება მუშებს, რომელთაც შეიგნეს პოლიტიკური თავისუფლების საჭიროება, მაგრამ პეტერბურგის მუშებმა უნდა გაიგონ, რომ იმ მოთხოვნილებათა ასრულება, რომელიც მათ წამოაყენეს, ნიშნავს სხვას არაფერს, თუ არ თვითმპყრობელობის დასასრულს. პარლამენტის მოთხოვნა—ეს ნიშნავს იმის მოთხოვნას, რომ მეფის ნაცვლად ქვეყანას მართავდეს მთელი ხალხის მიერ არჩეული დეპუტატთა პალატა (პარლამენტი), სიტყვის, ბეჭდვის, კავშირებისა და კრების თავისუფლების მოთხოვნა—ეს ნიშნავს მთელი ახლანდელი ძალა-უფლება ჩამოართვა მეფეს, მის მინისტრებს, მეფის პოლიციას და მეფის ჯანდარმებს. ერთი სიტყვით, ყველა ეს მოთხოვნილებები ნიშნავს თვითმპყრობელობის დანგრევას.

ამიტომ ფუჭია ამ მოთხოვნილებებით მეფისადმი მიმართვა: თავისი ნებით მეფე, მრავალ დიდ მთავართა ხროვათი, სასახლის მოხელეთა, მინისტრებით, გუბერნატორებით, ჯანდარმებით, ხუცებით და ჯაშუშებით უარს არ იტყვიან თავიანთ უფლებებზე, მაძღარ, ფუფუნებიან ცხოვრებაზე, რომელსაც ისინი ატარებენ იმ უამრავი ქონების საშვალებით, რომელიც მათ წაართვეს მუშებსა და გლეხებს.

არა, ამხანაგებო, არ უნდა მოველოდეთ თავისუფლებას მეფისაგან, რომელმაც დიდი ხანი არაა მას შემდეგ, რაც მანიფესტში გადაჭრით განაცხადა, რომ მას არ სურს უარი სთქვას თვითმპყრობელობაზე. იმ ფასად, როგორიც ერთი პეტიციაა, თუ გინდ მუშების სახელით მირთმეული, თავისუფლებას არ ყიდულობენ. თავისუფლება შეიძინების სისხლით, თავისუფლების მოპოვება შეიძლება იარაღით ხელში, ცხარე ბრძოლებში. მეფეს კი არ უნდა სთხოვდეთ, არც მოითხოვდეთ მისგან, არ უნდა იმცირებდეთ თავს წყეული მტრის წინაშე, არამედ—უნდა ჩამოაგდოთ ის ტახტიდან და გააძევოთ თავის თვითმპყრობელურ ხროვასთან ერთად. მხოლოდ ამ გზით შეიძლება თავისუფლების მოპოვება. უკვე ბევრი მუშისა და გლეხის სისხლი დაიღვარა რუსეთში თავისუფლებისათვის, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა აღსდგებიან ყველა რუსი მუშები და იერიშს მიიტანენ თვითმპყრობელობაზე—მხოლოდ მაშინ აღმობრწყინდება თავისუფლების ცისკარი. მუშთა განთავისუფლება შეიძლება იყოს მხოლოდ მუშათა საქმე: ვერც ხუცებისაგან, ვერც მეფისაგან თავისუფლებას ვერ ეღირსებით.

საზამთრო სასახლის წინ, თუ იქ თქვენ მისელის ნებას მოგცემენ კვირას, დაინახავთ, რომ არაფერს არ უნდა მოელოდეთ მეფისაგან, და მაშინ თქვენ გაიგებთ, რომ არავინ დაგებმარება, რომ მხოლოდ თქვენ თითონ შეგიძლიათ მოიპოვოთ თავისუფლება. ამიტომ ჩვენ ახლაც იმასვე გავიმეორებთ რაც ათასჯერ გვითქვამს ფურცლებში

ძირს თვითმპყრობელობა,
ძირს ომი,
გაუმარჯოს ხალხის შეიარაღებულ აჯანყებას,
გაუმარჯოს რევოლიუციას,
გაუმარჯოს მუშათა დიად ძმურ კავშირს.

8 იანვარი 1905 წ. პეტერბურგის კომიტეტი რ. ს. დ. მ. პ.

II

რუსეთის სოც.-დემოკრატიული მუშათა პარტია.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ჯარისკაცებისადმი.

ჯარისკაცებო! გუშინ თქვენი თოფებით და ზარბაზნებით მოჰკალით თქვენი ძმები ასობით. [იაპონელების წინააღმდეგ თქვენ კი არ გაუგზავნიხართ, არ გაუგზავნიხართ პორტ-პოტურის დასაცავად, არამედ—უიარაღო ხალხის, ქალებისა და ბავშვების დასახოცად გაგაგზავნეს.

ჯარისკაცებო, ვის ჰკლავდით თქვენ? იმათ, რომლებიც მიდიოდნენ მეფესთან მოეთხოვათ თავისუფლება და უკეთესი ცხოვრება როგორც თავისთვის, ისე თქვენთვის, თქვენი მამებისა და ძმებისთვის, თქვენი ცოლებისა და დედებისთვის. ეს სისაძაგლეა. თქვენ ჩვენი ძმები ხართ, თქვენ გესაჭიროება თავისუფლება, თქვენ კი გვხვრეტავ ჩვენ. მოჰკალით ის აფიცრები, რომლებიც თქვენ გიბრძანებენ, რომ ჩვენ გვესროლოთ. უარი უთხარით მათ ხალხის დახვრეტაზე. მიემხრეთ ხალხს. შეეუტიოთ ერთად ხალხის მტრებს. გადმოგვეცით ჩვენ თქვენი თოფები.

ძირს მეფე—მკვლელი,
ძირს ჯალათი აფიცრები,
ძირს თვითმპყრობელობა,
გაუმარჯოს თავისუფლებას,
გაუმარჯოს სოციალიზმს.

პეტერბურგის კომიტეტი რ. ს. დ. მ. პ.

III.

რუსეთის სოც.-დემოკრატიული მუშათა პარტია.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ყველა მუშებისადმი.

თქვენ მიდიოდით მეფესთან თქვენი უფლებების მოსაპოვებლად,—ის კი შეგიგება თქვენ თოფებისა და ზარბაზნების სროლით, მეფის გამხეცებული „ოპრიჩიკები“ თქვენ დაგერიენენ პიკებითა და გალესილი ხმლებით.

თქვენ მას სთხოვეთ პური და სამუშაო,—ის კი გაგიმასპინძლდა ტყვიით...

აკი, ჩვენ, სოციალ-დემოკრატები, გეუბნებოდით თქვენ, რომ სისხლს მხმელ მეფესაგან თქვენ ვერაფერს მიიღებდით, რომ ის მეგობარი კი არა, მტერია ხალხისა და რომ ის ხალხის სასარგებლო საქმეს არ იცავს, არამედ—ემსახურება მის გარშემო შემოკრებილ ხროვას.

მოკლულნი... დაჭრილნი... ასობით, ათასობითაა. შურისძიებისათვის მოგიწოდებენ თქვენ ის გვამები, რომლებსაც თქვენ ახლა ქუჩებში ჰკრებთ... შემოკრბით ახლა თქვენ ჩვენი წითელი დროშის გარშემო... ჩამოიარეთ ყველგან და შეეცადეთ, რომ ყველგან შესწყდეს მუშობა,—რომ ყველა მოქალაქე, როგორც ერთი კაცი, გამოვიდეს იარაღით ხელში მეფის, მთავრობის წინააღმდეგ, დაურიგეთ ჯარის კაცებს ჩვენი ფურცლები და მოითხოვეთ მათგან, რომ ხალხს არ ესროლონ.

ძირს მეფე,

ძირს თვითმპყრობელობა,

გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას,

გაუმარჯოს სოციალ-დემოკრატიას.

10 იანვარი 1905 წ. სპბ კომიტეტი

მუშათა პეტიცია მეფისადმი

ხელმწიფეც! ჩვენ, მუშები და პეტერბურგის სხვა და სხვა წოდებათა მცხოვრებნი, ჩვენი ცოლები და შვილები და უსახსრო მოხუცი-მშობლები მოვედით შენთან, ხელმწიფეც, სიმართლის საძიებლათ და მფარველობისათვის. ჩვენ გავღატაკდით, ჩვენ გვტანჯავენ, გვეჯაფებიან ისეთ შრომას, რომელიც ჩვენ ძალ-ღონეს აღემატება, ჩვენ გვლახძღვენ, არ გვცნობენ ადამიანებათ, გვეპყრობიან ისე, როგორც მონებს, უნდა ვითმინოთ და ჩვენი მწარე ბედის შესახებ ხმა

არ დაესძრათ. ჩვენც ვითმენდით, მაგრამ უფრო და უფრო მიგვერკებიან სიღარიბის მორევისა, უუფლებობისა და გაუნათლებლობისაკენ, ჩვენ სულს გვიხუთავს დესპოტიზმი და თვითნებობა და ასე ვიხრჩობით. აღარ შეგვწევს მეტი ძალა, ხელმწიფევ! ჩვენს მოთმინებასაც საზღვარი დაედო. დადგა ჩვენთვის ისეთი საშინელი მომენტი, როდესაც უკეთესია სიკვდილი, ვიდრე ასეთი აუტანელი ტანჯვის ატანა.

და აი, ჩვენ მივატოვეთ სამუშაო და განვუცხადეთ ჩვენს პატრონებს, რომ არ შევუდგებით მუშაობას, ვიდრე არ დააკმაყოფილებენ ჩვენს მოთხოვნილებებს. ჩვენ ცოტას ვთხოულობთ, ჩვენ გვსურს მივიღოთ მხოლოდ ის, ურომლისოდ ცხოვრება ცხოვრება კი არაა, არამედ—კატორღა, მუდმივი ტანჯვაა. პირველი ჩვენი თხოვნა იყო, რომ ჩვენ ხაზინებს ჩვენთან ერთად განეხილა ჩვენი საჭიროებანი; მაგრამ უარი გვითხრეს, უარყვეს ჩვენი უფლება, რომ გველაპარაკა ჩვენს საჭიროებაზე. მათი აზრით ასეთი უფლება ჩვენთვის კანონს არ მოუნიშნებია. აგრეთვე უკანონო აღმოჩნდა ჩვენი თხოვნა: შეემოკლებიათ სამუშაო დღე 8 საათამდე დღეში, სამუშაო ხელფასი დაეწესებიათ ჩვენთან ერთად ჩვენის თანხმობით, ჩამოვარდნილი უთანხმოება გარჩეულიყო ქარხნის ადმინისტრაციის მიერ ჩვენი მონაწილეობით, გაედიდებიათ შავი მუშებისათვის და ქალებისათვის შრომის ხელფასი ერთ მანეთამდე დღეში, ზედმეტი მუშაობის მოსპობა, ჩვენი წვამლობა ყოფილიყო უფრო გულდასმითი და შეურაცყოფის მოუყენებლად, აეშენებიათ სახელოსნოები ისე, რომ იქ შესაძლებელი ყოფილიყო მუშაობა, რომ იქ სასიკეთილო ავადმყოფობა არ მიგვეღო გამკრავი ქარის, წვიმისა და თოვლისაგან.

ყველაფერი ეს ჩვენი ხაზინებისა და საქარხნო საფაბრიკო ადმინისტრაციის აზრით აღმოჩნდა უკანონო, ყოველი ჩვენი თხოვნა—დანაშაული, და ჩვენი სურვილი მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ—თავხედობა, მათი შეურაცყოფა.

ხელმწიფევ! აქ ჩვენ შეკრებილნი ვართ რამდენიმე ათასი კაცი და ყველანი ჩვენ ადამიანები ვართ მხოლოდ გარეგნულად, ისე, როგორც მთელი რუსი ხალხისთვის არ არსებობს არავითარი ადამიანური უფლება, არ არსებობს უფლება არც ლაპარაკის, არც ფიქრის, შეკრების, საჭიროების შესახებ მსჯელობის და მდგომარეობის გასაუმჯობესებლად რაიმე ზომების მიღებისა. ჩვენ დაგვიმონავეს შენი ჩინოვნიკების საშვალებით და მათი დახმარებით. ყველა ჩვენგანს, რომელიც ხმას აღიმაღლებს მუშათა კლასის და ხალხის ინტერესების დასაცავად, ციხეში ამწყვდევენ, ასახლებენ. სჯიან კეთილის გულისა და თანაგრძნობისათვის როგორც დანაშაულისათვის. თუ შეიბრალე მიგდებული, უუფლებო, დატანჯული ადამიანი—ეს იმას ნიშ-

ნავს, რომ ჩაგიდენია დანაშაული, მთელი ხალხი მუშები და გლეხები ჩინოვნიკების მთავრობის უღელ-ქვეშ გმინავენ. ეს მთავრობა შესდგება ხაზინის მკარცველებისაგან, რომლებიც არა თუ ზრუნავენ ხალხის ინტერესებზე, არამედ—ფეხთ ქვეშ თელავენ ამ ინტერესებს. ჩინოვნიკურმა მთავრობამ სრულ განადგურებამდე მიიყვანა ქვეყანა, თავს დაატეხა სამარცხვინო ომი და თანდათან მიჰყავს რუსეთი დაღუპვისაკენ. ჩვენ, მუშებს, და ხალხს არაფერს გეკეთებიან იმ ფულების დახარჯვაში, რომელთაც ჩვენ გვახდევინებენ. ჩვენ არც კი ვიცით რას ხმარდება გაღატაკებული ხალხისაგან შეკრებილი ფული. ხალხს მოსპობილი აქვს შესაძლებლობა გამოსთქვას თავისი სურვილები, მოთხოვნილებები, გადასახადების დაწესებაში და მის დახარჯვაში. მუშებს არ შეუძლიათ შეკავშირება თავიანთი ინტერესების დასაცავად.

ხელმწიფეც, განა ეს ეთანხმება ღვთისაგან დაწესებულ კანონებს, რომელთა წყალობითა თქვენ მეფობთ? და განა შესაძლებელია ამნაირ კანონებში ცხოვრება? უმჯობესი არ იქნება დავიხოცოთ, მოვკვდეთ ყველა ჩვენ, მთელი რუსეთის მშრომელი ხალხი? დე იცოცხლონ და დასტკენ კაპიტალისტი—ექსპლოატატორები მუშათა კლასისა და ჩინოვნიკები,—ხაზინის ჭურდები და რუსი ხალხის მძარცველნი.

აი რა მდგომარეობაში ვართ ჩვენ, ხელმწიფეც, და ამან მოგვიყვანა ჩვენ შენს სასახლესთან. აქ ვეძიებთ ჩვენ უკანასკნელ ხსნას დახმარებაში, მიეცი მას შესაძლებლობა თითონ გადასწყვიტოს თავისი ბედი, ჩამოაშორე მას ის აუტანელი ტანჯვა, რომელშიაც ის ჩინოვნიკებმა ჩააყენეს. დაანგრიე ის კედელი, რომელიც აღმართულია შენსა და შენს ხალხს შორის და დე ამ ხალხმა მართოს ქვეყანა თქვენთან ერთად. თქვენ ხომ ხალხის ბედნიერებისათვის ხართ დაყენებული და ეს ბედნიერება კი ჩინოვნიკებმა გამოგვტაცეს ხელიდან, ბედნიერება ჩვენამდე ვერ აღწევს, ჩვენამდე მოდის მხოლოდ ვაება და დამცირება. განურისხებლად, გულდასმით გადაათვალიერე ჩვენი თხოვნა—ის არ წარმოადგენს ბოროტებას, არამედ—ის კეთილი საქმეა როგორც ჩვენთვის, ისე შენთვის ხელმწიფევ. თავხედობა ჩვენ არ გვალაპარაკებს, არამედ—შეგნება აუცილებელობისა ყველა ჩვენთვის აუტანელი მდგომარეობიდან გამოსასვლელად. რუსეთი ერთობ დიდი ქვეყანაა, მისი საჭიროებანი მრავალნაირია, რომ მხოლოდ ჩინოვნიკებს შეეძლოთ მისი მართვა. აუცილებელი საჭიროა სახალხო წარმომადგენლობა, საჭიროა რომ ხალხი თვით შველოდეს თავის თავს და მართავდეს კიდეც. მხოლოდ მას გაეგება თავისი საჭიროებანი. უარს ნუ ეტყვი ხალხს, რომ დაგეხმაროს, მისი დახმარება მიიღე, უბრძანე დაუყონებლივ, რომ საჩქაროდ მოიწვიონ რუსე-

თის მიწა-წყლის ყველა კლასების, ყველა წოდებათა წარმომადგენელნი და აგრეთვე მუშათა წარმომადგენელნიც. დღე წარმოგზავნონ კაპიტალისტიც, მუშაც, ჩინოვნიკიც, მღვდელიც, ეჭიმიც, მასწავლებელიც,—და ყველამ, ვინც არ უნდა იყოს, აირჩიოს თავიანთი წარმომადგენლები, დე თითეული იყოს თანასწორი და თავისუფალი არჩევაში, რომ დამფუძნებელი კრების არჩევნები იყოს საყოველთაო, საიდუმლო და თანასწორი ხმის მიცემით.

ეს არის მთავარი თხოვნა; ამაზეა დამოკიდებული ყველაფერი, ეს არის მთავარი და ერთად ერთი მალამო ჩვენი ჭრილობის მოსარჩენად, ურომლისოდ ჩვენი ჭრილობა არ მორჩება, კიდევ უფრო გაუვარესდება და ასე ჩვენ სიკვდილს დავუახლოვდებით. მაგრამ ერთ ღონისძიებას მაინც არ შეუძლია ყველა ჩვენი ჭრილობების მორჩენა. საჭიროა კიდევ სხვა ღონისძიებანი და ჩვენ, როგორც მაშას, შენ, ხელმწიფევ, ამკარად გეუბნებით მათ შესახებ რუსეთის მთელი მშრომელთა კლასის სახელით. საჭიროა:

I. ღონისძიებანი რუსი ხალხის გაუნათლებლობისა და უუფლებობის წინააღმდეგ.

1) დაუყოვნებლივ განთავისუფლება და დაბრუნება ყველა იმათი, ვინც დასჯილია პოლიტიკურ და სარწმუნოებრივ რწმენისათვის, გაფიცვისა და გლეხთა არეულობაში მონაწილეობისათვის.

2) დაუყოვნებლივ გამოცხადება თავისუფლებისა და პიროვნების ხელუხლებლობისა, სიტყვისა და პეჭდვითი თავისუფლება, თავისუფლება კრებისა და სარწმუნოების საქმეში რწმენისა.

3) საყოველთაო და სავალდებულო სახალხო განათლება სახელმწიფო ხარჯზე.

4) მინისტრების პასუხისმგებლობა ხალხის წინაშე და გარანტია კანონიერებისა მართვა-გამგეობაში.

5) კანონის წინაშე ყველას თანასწორობა გამოუკლებლივ.

6) ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოსგან.

II. ღონისძიებანი სახალხო სიღატაკის წინააღმდეგ.

1) არა პირდაპირი გადასახადების გაუქმება და შემოღება პროგრესიული, შემოსავლის კვალობის გადასახადისა.

2) თავის დახსნის გადასახადის (выкупные платежи) გაუქმება, იაფი კრედიტის დაწესება და ხალხისათვის თანდათანობით მიწების გადაცემა.

3) საზღვაო და სამხედრო სამინისტროების შეკვეთები უნდა სრულდებოდეს რუსეთში და არა საზღვარ გარეთ.

4) ომის შეწყვეტა თანახმად ხალხის სურვილისა.

III. ღონისძიებანი იმის წინააღმდეგ, რათა კაპიტალი შრომას არ ხნაგრავდეს.

1) საქარხნო ინსპექტორთა ინსტიტუტის გაუქმება.

2) ქარხნებთან და ფაბრიკებთან მუშებისგან არჩეული მუდმივი კომისიის დაარსება, რომელიც ადმინისტრაციასთან ერთად გაარჩევდა მუშათა ყოველგვარ პრეტენზიებს. მუშის დათხოვა ამ კომისიის დაუდასტურებლათ არ უნდა ხდებოდეს.

3) დაუყოვნებლივ თავისუფლება სამომხმარებლო-საწარმოვო მუშათა პროფესიონალურ კავშირებისათვის.

4) 8 საათის სამუშაო დღე და ზედმეტი მუშაობის მოწესრიგება (ნორმიროვკა).

5) დაუყოვნებლივ თავისუფლება მიენიჭოს შრომას კაპიტალთან ბრძოლისა.

6) ნორმალური ხელფასის დაუყოვნებლივი დაწესება.

7) მუშათა წარმომადგენლებმა აუცილებლათ უნდა მიიღონ მონაწილეობა სახელმწიფოს მიერ მუშების დაზღვევის კანონ-პროექტის გამომუშავებაში.

აი, ხელმწიფევ, ეს არის ჩვენი მთავარი საჭიროებანი, რომლითაც ჩვენ შენთან მოვედით. მხოლოდ მათი დაკმაყოფილებით მოხდება ჩვენი სამშობლოს დახსნა მონობისა და სიღატაკისაგან, შესაძლებელი იქნება მისი აყვავება, მუშებს შეეძლებათ შეკავშირება თავიანთი ინტერესების დასაცავად კაპიტალისტების თავაშვებულებისა და ხალხის მძარცველი ჩინოვნიკური მთავრობისაგან.

უბრძანე და შეჰფიცე ასისრულონ ეს თხოვნა და შენ გახდი რუსეთს ბედნიერ და დიდებულ ქვეყნად და შენს სახელს კი აღბეჭდავ ჩვენსა და ჩვენი შთამომავლობის მეხსიერებაში სამუდამოთ. და თუ არ ასისრულებ ჩვენს თხოვნას, ყურადღებას არ მიაქცევ ჩვენს ვედრებას, ჩვენ მოვკვდებით აქვე, ამ მოედანზე, შენი სასახლის წინ. ჩვენ წასასვლელი სხვა გზა არა გვაქვს, ან რისთვის წავალთ. ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ ორი გზა: ან თავისუფლებისა და ბედნიერებისაკენ, ან სამარისაკენ. მიგვითითე, ხელმწიფევ, ერთ-ერთზე—ჩვენ წავალთ შეუდრეკელად თუ გინდ ის იყოს სიკვდილისაკენ მიმავალი. დღე ჩვენი ცხოვრება მსხვერპლად შეეწიროს დატანჯულ რუსეთს. ჩვენ არ მოვერიდებით ამ მსხვერპლის გაღებას, ჩვენ სიამოვნებით გავიღებთ ასეთ მსხვერპლს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9 იანვარი (1905) პეტერბურგში.

(პირადი მოგონება)

უკვე 7 იანვარს ქალაქში იწყება საყოველთაო გაფიცვა. 8-ს გაზეთებიც არ გამოდის. გაჩერებულია ელსადგურები და ასე, ქალაქი სიბნელეში ეხვევა.

იანვრის 8-ს დილით ჩემს ბინაზე მოვიდა სტუდენტების და სათვისტომოს ორგანიზაციაში ჩემთან ერთად მომუშავე, რ. ს. დ. მ. პ. ბოლშევიკური ფრაქციის თანამკრძნობი ერთი ჩემი ამხანაგი, პეტრე ქავთარაძე, რომელმაც გადმომცა შემდეგი: რ. ს. დ. მ. პ. პეტერბურგის კომიტეტმა, სადაც უმრავლესობაში „ბოლშევიკები" იყვნენ, ც. კ. წარმომადგენლებმა და მასთან არსებულმა ს. დ. მენშევიკების ჯგუფმა გადასწყვიტა შენი ბინით სარგებლობა თავისი სხდომებისათვის და 9 იანვარს მუშათა მოძრაობის სახელმძღვანელოდო.

მე სიხარულით მივიღე ასეთი წინადადება და დრო რომ არ დაგეკარგა, ამხანაგთან ერთად შევუდექი ბინის დათვალიერება-მომზადებას. ჩემი ბინა იმყოფებოდა რიაბშინის ქუჩაზე (პეტერბურგის მბარეზე) და შესდგებოდა სამი ოთახისაგან ერთი საერთო ტალანით, რომლის ბოლოში სამზარეულო იყო, საიდანაც კიბით ეზოში შეიძლებოდა გადასვლა. მთავარი შემოსავალი ამ ბინას ჰქონდა ქუჩიდან. ეს შემოსასვლელი მუდამ ღია იყო.

პირველ ოთახში მე ვცხოვრობდი, მეორეში—მცირერიცხოვან ოჯახის პატრონი მუშა, მესამე პატარა და განმარტოებული ოთახი ეჭირა ჩემს სიყრმის მეგობარს და მეგვარეს კ. მიქელაძეს. ჩემსა და მუშის ოთახებს აერთებდა კარი, რომელიც მუდამ დაკეტილი იყო.

ჩვენთვის აშკარა იყო, რომ ხდომებისათვის საჭირო იქნებოდა ორივე ოთახი და ამიტომ შევუდექით აღნიშნული მოსახღვრე ოთახების შემაერთებელი კარის გასაღების ძებნას. გასაღები აღმოაჩნდა მუშას, რომელსაც ცალკე მოველაპარაკე, გულახდილად გამოვუტყდი ყველაფერში. ბევრი შრომა არ დარჩა საქმრო, რომ მას 9 იანვრისათვის დაეთმო ოთახი და გადმოეცა გასაღები. ამ მუშას ქალაქ გარეთ აღმოაჩნდა ცოლის ნათესავი. ჯერ კიდევ 8 იანვარს საღამოთი თავისი ნივთებით და ცოლ-შვილით ის საჩქაროდ გადავიდა ახალ ბინაზე.

იანვრის 9-ს დილის 7 საათზე ამბ. კ. მოიყვანა ექვსი ამხანაგი, რომელთაც დაათვალიერეს რა ყველა ოთახები და აგრეთვე ეზოში გასასვლელი კიბე, გამომართვეს გასაღები და პირველად მოთავსდენ ჩემს ოთახში.

ჩქარა მე წინადადება მომცეს წავსულვიყავი საზამთრო სასახლესთან, დავბრუნებულიყავ საათის 2-ზე და გამეკეთებია მათთვის მოხსენება იქ მომხდარი ამბების შესახებ.

საზამთრო სასახლის წინ, მოედანზე დაბანაკებული იყო ქვეითი ჯარის ნაწილები (როგორც მახსოვს, ზოგიერთი როტები პავლოვსკის პოლკისა იყო).

საათის 10-ზე დილით პოლიციელებმა დაიკავეს მოედანიდან გასასვლელი ყველა ჭუჩები, თვით მოედანზე მყოფთ კი დაახვეინეს სამი მიმართულებით: 1) ნევის პროსპექტის, 2) საადმირალო და 3) მორსკოი ქუჩისაკენ. მე მოედანზე ვიმყოფებოდი და გულდასმით ვიცქირებოდი სასახლისაკენ, საიდანაც მოსჩანდენ შავი სილუეტები. მოედანზე შეკრებილი ხალხი დაბეჯითებით ამბობდა, რომ მეფე სასახლეში იმყოფება და ფანჯრიდან ადევნებს თვალყურს ყველაფერსო, ნამდვილად კი, როგორც შემდეგ გამოირკვა, მეფე ღაჩრულად გაპარულიყო ცარსკოე სელოში და მუშების დასაწიოკებლად დაეტოვებია თავისი ბიძა ვლადიმერი. მაგრამ „გოროდოვოებმა“ ვერ შესძლეს ხალხის გარეკა მოედნიდან, სადაც ყოველის მხრიდან მოეყარათ თავი მუშებს ოჯახობით. ზოგიერთ მუშას ხელში ეჭირა ხატები, საეკლესიო ბაირაღები და მეფის სურათები. „გოროდოვოების“ საშველად ჩქარა გამოჩნდენ საზამთრო სასახლისა და მარსის მინდვრის მხრიდან ცხენოსანი მხედრები, რომელთაც „გოროდოვოების“ ნაცელად ხალხს დაუწყეს მოედნიდან გარეკა. მე იმ ხალხში მოვხვდი, რომელიც საადმირალოსაკენ გარეკეს, აქ ბევრმა თავს უშველა ალექსანდრეს ბაღში გადასვლით, ბევრი კი, რომ კარგათ დაეთვალიერებია თუ რა ხდებოდა, ხეებზედაც ავიდა. მეც შევეცადე ბაღში შესვლას, მაგრამ კარები უკვე დაკეტილი აყო, სადაც იდგენ დარაჯები. არც იქით უშვებდენ და არც აქეთ.

დაახლოვებით საათის 12-ზე საზამთრო სასახლის წინ მოედანი სრულიად გაწმენდილ იქნა ხალხისაგან და ჩემს უკან მოულოდნელათ მოისმა ხალპის ხმა და კანტი-კუნტი სროლა—ჯერ ნევის პროსპექტზე, შემდეგ მორსკოი ქუჩაზე და დაბოლოს, ალექსანდრეს ბაღში.

თითეული „ხალპი“, ეცვს გარეშეა, ათობით „სჩრიდა და სცელავდა“, ცალკე, თითეულად გასროლილი ტყვიას კი ორი და მეტი ადამიანი მიჰქონდა მსხვერპლად. შიშისაგ-ნ ტანში ქრუანტელი მივლიდა.

მე თითონ დავინახე, როგორ პეღურებივით მოკვივოდა ხეებიდან დახვრეტილი ხალხი. ზოგიერთები ხეებს ეფარებოდენ, რათა ისე თავი გადაერჩინათ სხვადასხვა მხრიდან მოზუზუნე ტყვიებისაგან.

მხოლოდ აქ, ქალაქის ცენტრში, სასახლის ახლოს მოკლული იყო 40, დაჭრილთა რიცხვი 100 აღემატებოდა. მახსოვს, რომ მთვ-

რობის ოფიციალურ განცხადებაში 9 იანვარს მომხდარი დახვრეტის შესახებ ნათქვამი იყო—ხალხი სასტიკი წინააღმდეგი იყო დაშლის და ზოგიერთ შემთხვევაში ჯარსაც კი ესხმოდა თავსო.

ამგვარი ახსნა-განმარტების სიცრუე მტკიცდება თუ გინდ ალექსანდრეს ბაღში დამწყვდეული ხალხის მდგომარეობით—ეს ხალხი ჯერ ჩაკეტეს ალექსანდრეს ბაღში და შემდეგ დახვრიტეს და დაასახიჩრეს.

ორის ნახევარზე მე წავედი საკუთარი ბინისაკენ, სადაც მიველ საათის ორზე. ჩემს შემდეგ აქ დიდი ცვლილება მომხდარიყო. ბინის შესასვლელ კარებში გაჩერებული იყვნენ მორიგეები და ხალხს უშვებდნენ პაროლის თანახმად, რომელიც, თუ მეხსიერება არ მღალატობს, გამოცემული იყო „ალექსანდრე სერგეევიჩისგან“; ყოველთვის, ზარის დარეკის დროს, ერთი „მორიგეთგანი“ კიბეზე გამოდიოდა რომ დარწმუნებულიყო პირადათ რამდენათ სწორი იყო პაროლი და მოსულის ვინაობის შესახებ მოახსენებდა ხოლმე კომიტეტს. სხდომა გახსნილი იყო მუშის ოთახში, სადაც გაეშალათ დასაკეცი მაგიდა, ჩემი ოთახიდან კი გაეტანათ დივანი და რამდენიმე სკამი. ჩემს ოთახში კი საწერ მაგიდასთან ისხდა ორი ამხანაგი და რაღაცას სწერდნენ, კრაოტზე ჩამომჯდარიყო სამი კაცი და საუზმეს შეექცეოდნენ. სამზარეულოში ერთ-ერთი ამხანაგი მზა-მზარეულად მიტანილ სუპს ათბობდა და და იქვე ჩაინიკით წყალს ადუღებდნენ.

კრება გულდასმით უსმენდა თითეულ წარმომადგენელს, თუ გინდ წარმომადგენლები ერთი და იმავე ქარხნიდან ყოფილიყვნენ. მოხსენება ეხებოდა იმას, თუ როგორ იკრიბებოდენ მუშები გამოსასვლელად, როგორ აწარმოებდენ ისინი იდეურ ბრძოლას გაპონის მომხრეებთან, როგორ ადარებდენ მათ „ზუბატოველებს“, რა ნაირ პოლიტიკურ ლოზუნგებს აყენებდენ ისინი მათ ეკონომიურ მოთხოვნილებებში და სხ. დაწერილებით აღწერდენ იმ მუშებს ოჯახობით, რომლებიც ხატებით და ზოგჯერ საეკლესიო ბაირაღებით მიდიოდენ, ლაპარაკობდენ აგრეთვე იმის შესახებ, თუ რომელი გზით მიემართებოდენ მუშები, სად ხვდებოდა მათ ჩასაფრებული ჯარი, რომელიც მათ ესროდა და ზოგჯერ თოფის გაუსროლელად გარეკავდენ ხოლმე ხალხს. მოხსენების დროს ბევრს აღელვება ეტყობოდა, მაგრამ უმეტესობა ობიექტიურად და სერიოზული კილოთი ლაპარაკობდა. ლაპარაკობდენ იმის შესახებ, თუ როგორ მოდიოდენ მუშები გაპონისა და რაიონის ბოქაულის წინამძღოლობით ქარხნებიდან გალობით—„спаси господи люди твоя“ (აცხოვნე უფალო ერი შენი) და თან მოჰქონდათ მეფის სურათი და ხატები. მაგრამ ნარვის შესავალთან მუშებს ხვდება ცხენოსანი და ქვეითი ჯარი, ესვრის მათ, ხალხიც სხვადასხვა მხარეზე იფანტება და შემდეგ მუშები ჯგუფ-

ჯგუფად ან თითეულად გაყინული მდინარით გადადიან საზამთრო სასახლესთან. აგერ ვასილეოსტროვის რაიონის წარმომადგენელი მუშა დამშვიდებით მოუთხრობს, როგორ შეესივნენ მუშები გასაძარცვავად ერთ-ერთ პატარა იარაღის საწყობს, როგორ ხერხავდენ და სჩეხდენ ტელეფონის ბოძებს, აკეთებდენ ბარიკადებს და მავთულის ხლართს, რა თქმა უნდა, სრულიად უბრალოთ და უწესრიგოთ. მაგრამ ნაამბობში აშკარად გამოსჭვივოდა მუშათა რევოლიუციონური გატაცება—თავ-განწირვა. სხდომაზე ირკვევა დაახლოებით მსხვერპლთა რაოდენობა ყველა რაიონებში, მახსოვს მოკლულთა რიცხვი აღწევდა 500-მდე, დაჭრილთა—300-მდე. პირველად მსხვერპლთა ასეთი რაოდენობა ოთხჯერ გადამეტებული მოგვეჩვენა. ადგილ-მდებარეობის გაუცნობლობის გამო მე არ შემეძლო იმის წარმოდგენა, თუ რა მოხდა, შემდგინა მომხდარი ამბის მთელი სურათი, მაგრამ როცა გულდასმით ეისმენდი მუშების მოხსენებას, ინსტინქტიურად ვგრძნობდი, რომ 9 იანვარს არ შეეძლო არ დაეტოვებია რუსეთის მუშათა მოძრაობაში თვალსაჩინო კვალი და არ გამხდარიყო ნაპერწკალად ჰორიზონტზე გამოჩენილ რუსეთის დიდი რევოლიუციის ცეცხლისა.

დაახლოებით საათის 4-ზე დროებით სხდომა შესწყდა და მაგიდაზე დაიწყვეს საუზმისათვის პური, მოხარშული ხორცი და სხ. სუპი ბეერს არ უჭამია. ვისაც ჰშიოდა, მიდიოდა მაგიდასთან და მიიღებდა ხოლმე საჭმელს. ჩქარა მაგიდიდან ყველაფერი სამზარეულოში გადაიტანეს და შემდეგ ვინც მოვიდოდა მშიერი, იქითკენ აგზავნიდენ. მხოლოდ რამდენიმე ჭიქა ჩაი დარჩა მაგიდაზე. კრების ბეერი მონაწილე ც. კ. დავალებით მიდიოდა და ისევ ჩქარა ბრუნდებოდა. საღამოთი დაიწყო მოხსენებები ბრბოს მიერ უწესოებათა ჩადენის შესახებ. ბრბო არბევდა და სცარცავდა მაღაზიებსა და ღვინის საწყობებს. თითქმის ყველა მომხსენებელი ამტკიცებდა, რომ არბევდენ მთვრალი ჯარისკაცები და მაწანწალები, აგრეთვე გადაცმული პოლიციელები და „შპიკები“, რათა ასე ევროპის წინაშე გაემართლებიათ მთავრობის მიერ გულუბრყვილო მუშებისა და მათი ოჯახების დახვრეტა.

საღამოს 5 საათზე ც. კ. დაადგინა დაუყოვნებლივ რამდენიმე ხნით გაეგზავნათ ქუჩაში ორი—სამი ამხანაგი იმის გამოსარკვევად, თუ რა მოხდა და საღამოს მომხდარ დარბევაში მონაწილეობდენ მუშები და სხვა რევოლიუციონური ელემენტები, თუ არა. თუეს სიმართლე იქნებოდა, გვერჩია მათთვის გაეტაცებიათ საწყობებიდან იარაღი და შემდეგ თავს დასხმოდენ საპოლიციო ნაწილებს და სატუსაღო სახლებს. ამ მიზნით აირჩიეს ორი ამხანაგი და დამხმარეთ, ც. კ. წევრის ამხ. ა. ი. კაპლანის განცხადების შემდეგ, რომელიც მე მიცნობდა სტუდენტთა ორგანიზაციიდან, მე დამწინწნეს. ამხ. კაპლა-

ნისავე ნაბართვით ჩემი სტუდენტის პალტოსა და ქუდის ნაცვლად ჩავიცვი მისი პალტო და დავიხურე მისი ქუდი. ამასთანავე მან დამარიგა როგორ გამევრცელებია მისი პალტოს ჯიბეში ჩარჩენილი პ. კ. გუშინდელი პროკლამაციები. ამის შემდეგ მე გავყევი არჩეულ ამხანაგებს. ეს ამხანაგები შეჩერდენ დიდი პროსპექტისა და როჰშინის ქუჩ. კუთხეში და გულდასმით დაუწყეს თვალიერება იმ ხალხს, რომელიც თავმოყრილი იყო ფილიპოვის საბულკეს პირდაპირ. აქ ბრბოს ერთი ხელმძღვანელთაგანი, ბეწვეულის ქურქსა და ქუდში გამოწყობილი, რკინის ჯოხით ხელში, ამტერევდა საბულკეს უზარმაზარ ვიტრინას. ჩემი ამხანაგები ჩურჩულით ლაპარაკობდენ. აქ დადასტურდა ც. კ. საღამოთი მიღებული ცნობა ბრბოს მოქმედების შესახებ. ამხანაგებმა განაცხადეს, რომ ამის შემდეგ ზედმეტია თვალყურის დევნებაო და გადასწყვიტეს დაუყოვნებლივ დაბრუნება, მე ვსთხოვე ამხანაგებს ნება დაერთოთ ჩემთვის სიტყვით მიემართა ხალხისათვის და გადამეფანტა ის პროკლამაციები, რომლებიც მე თან მქონდა. ამხანაგები დასთანხმდენ ჩემს წინადადებაზე. მე ვურჩიე ხალხს ფილიპოვის საბულკეს ნაცვლად წასულიყვნენ, როგორც მახსოვს, დიდ პროსპექტზე მდებარე სახლ. № 7, სადაც იარაღის მაღაზია იყო, გაეძარცვათ ის, შეიარაღებულიყვნენ დანებით, რევოლვერებით და სხვ. შემდეგ კი თავს დასხმოდნენ სპოლიციო სამმართველოს. მაგრამ ქურქიანმა კაცმა დაიღრიალა: „არ გაუგონოთ მაგას, ჩვენ იარაღი არ გვესაჭიროება, მთავრობა აქ არაფერ შუაშია. ჩვენი მტერებია მხოლოდ კაპიტალისტები—ფილიპოვი, მოროზოვი და სხ. ერთ-ერთი ჩემი ამხანაგი უკანიდან პალტოზე მეწეოდა, მოითხოვდა ჩქარა გამეთავებინა სიტყვა და დაუყოვნებლივ უკანვე წავსულიყავით. მე მაინც მოვახერხე სიტყვის დამთავრება მთავრობის მიერ ჩადენილ სიმხეცეზე, მოეუწოდე ხალხს თანახმად მუშათა პარტიის ლოზუნგებისა და დავფანტე პროკლამაციების ერთი ნაწილი. ის იყო ჩვენ გადავედით როჰშინის ქუჩის მეორე მხარეზე, სადაც ამხანაგი გველოდებოდა, რომ საბულკეს ეზობლათ მდებარე დიდ პროსპექტზე მდებარე სახლიდან გამოჩნდა 40 „გოროდოვოი“ შიშველი ხმლებით და მისცვივდენ ხალხს და დაუწყეს ჩეხვა. ისინი ხალხს მიერეკებოდენ იქითკენ, სადაც წინად ჩასაფრებული იყვნენ, გზაში მათ სცემდენ.

როცა ვბრუნდებოდით, გზაში. ამხანაგი მისაყვედურებდა ზედმეტ სიფიცხეს, რითაც საფრთხეში კინაღამ ჩაეგდე ისინი და თავისი თავი. მე გაჩუმებული ვიყავი, თავს დამნაშავედ ვგრძნობდი, მაგრამ ვერ წარმოვდგენთ როგორი იყო ჩემი გაკვირვება და სიხარული, როცა, შევედით თუ არა ოთახში, ის ამხანაგი, რომელიც გზაში მაყვედრიდა სიფიცხეს, აქ საუკეთესო აზრისა იყო ჩემი გამოსვლის შესახებ. მოხსენებლის მიერ ჩემი გამოსვლის ასეთი მოწონებით, მე

ცოტა არ იყოს, უხერხულობას ვგრძნობდი, მაგრამ სულიერად სრული კმაყოფილი ვიყავი. საღამოთი ცნობა მოვიდა, რომ თავისუფალ ეკონომიურ საზოგადოებაში, სადაც დილიდანვე ხდებოდა კრებები რ. ს. დ. მ. პ. სახელით ილაპარაკა მაქსიმ გორკიმო[1]. კრებამ მიანდო რამდენიმე ამხანაგს ორი ახალი პროკლამაციის შედგენა. ამხანაგების ერთი ჯგუფი, რომელსაც მინდობილი ჰქონდა პროკლამაციების შედგენა, გავიდა ჩემს თთახში და ჩქარა მოიტანეს ორი პროკლამაციის პროექტი—მიმართეა მუშებისა და ჯარისკაცებისადმი, რაც მცირე შესწორებით მიღებულ იქნა. ასე პ. კ. და ც. კ. არსებული ჯგუფის კრება ფაბრიკა-ქარხნების წარმომადგენელთა მონაწილეობით დამთავრდა.

დაახლოვებით საღამოს 10 საათზე ჩემს ბინაზე სხდომა დაიხურა და მისი მონაწილენი ჯგუფ-ჯგუფად, 2—3 კაცი, ნახევარი საათის განმავლობაში დაიშალენ.

ც. კ. წევრებმა გადასწყვიტეს შეკრებილიყვნენ, მაგრამ მხოლოდ ისინი, სხვა ბინაზე, პეტერბურგის მხარეზე. მისამართი მე გადმომცეს და წინადადება მომცეს ერთი საათის შემდეგ იქ მივსულიყავ.

ჩემთან ერთად მცხოვრები კონ. მიქელაძე იმავ საღამოს სწრაფი მატარებლით გაგზავნილ იქნა მოსკოვში საგანგებო წერილით და მე კი მეორე ბინიდან ღამის 11 საათზე წერილი წავიღე ზნამენის ქუჩ. მცხოვრებ ალ. პეშკოვთან (მაქსიმ გორკი). მ. გორკი მეტის-მეტად დაინტერესებული იყო იმითი, რაც კრებაზე მოხდა და დიდხანს მეკითხებოდა. გორკისთან საუბრის დროს კაბინეტში, როგორც სჩანდა, იყო თვით გაპონი, გაკრეჭილი, ერის კაცის ტანისამოსში.

10 იანვარს მოსკოვიდან მიღებული იქნა ჩვენთვის გასაგები დეპეშა, რომ შეუძლებელი იყო პეტერბურგის მუშებისათვის მხარის დაჭერა და ამიტომ გადაწყდა გაფიცვის მოხსნა.

10, 11 და 12 იანვარს ქუჩებში გრძელდებოდა ნაწილობრივი დახვრეტა, მაგრამ უმთავრესად ხდებოდა ინტელიგენციის დარბევა, განსაკუთრებით სტუდენტობისა.

ზაალ მიქელაძე.

[1] გორკის წინად თითქოს გაპონი გამოსულიყო კრებაზე ერის კაცის ტანისამოსში „გაპონის მეგობარის" სახელით.

ჩვენში.

მოგონებებიდან.

(1905 წლის იანვარი).

პეტროგრადში 9 იანვარს მომხდარ ამბების შესახებ ჩვენ მივიღეთ ცნობა თბილისში დაახლოვებით 13—14 იანვარს. ამ დროს თბილისში და კავკასიის სხვა რაიონებშიაც—დაწყებული ბაქოდან, გათავებული ბათომით, სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები, რომლებიც იმ დროს იყვნენ ერთად ერთი ხელმძღვანელნი რევოლიუციონურ მოძრაობისა მუშათა შორის, ეწეოდენ ენერგიულ მუშაობას, ემზადებოდენ საყოველთაო გაფიცვისათვის. გაფიცვის ინიციატივა გამოდიოდა ბაქოს მუშებიდან, რომლებმაც დაიწყეს გაფიცვა ჯერ კიდევ 1904 წ. დეკემბერში. გაფიცვის მოწყობის საქმე ისე კარგათ მიდიოდა, რომ 17 იანვრიდან თითქმის ყველა ამიერ-კავკასიის ცენტრებში, აგრეთვე რკინის გზის ლიანდაგი, მოექცენ გაფიცვის რკალში. გაფიცვა პირველ ხანებში უმთავრესად წამოიჭრა ეკონომიურ ნიადაგზე, ეკონომიურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. მაგრამ გაფიცვა გადაიქცა პოლიტიკურ მოვლენათ: ერთის მხრივ, მისი საყოველთაო ხასიათის გამო, მეორეს მხრივ 23 იანვრის დემონსტრაციის მოწყობის გამო თბილისის მუშების მიერ ნიშნათ პროტესტისა პეტერბურგის პროლეტარიატის დახოცის წინააღმდეგ. ყოველივე ამან გაფიცვას მისცა განსაკუთრებული მწვავე პოლიტიკური ხასიათი.

1905 წლის იანვარი გახდა მუშათა მასსიურ, ნამდვილ რევოლიუციონურ მოძრაობის დასაწყისად, რომელსაც ხელმძღვანელობდა მხოლოდ სოციალ-დემოკრატიული პარტია [1]. იანვრის გაფიცვამ ამიერ-კავკასიაში წინ წამოაყენა მუშათა კლასი და მისი პარტია, როგორც დაწყებულ რევოლიუციონურ ბრძოლის ერთად ერთი გეგემონი და ხელმძღვანელი ამიერ-კავკასიაში. 1905 წლის იანვარში დასავლეთ საქართველოში, კერძოთ კი გურიასა და იმერეთში, თავი იჩინა გლეხთა ფართო მასების მღელვარებამ, რომლებიც ზოგიერთ ადგილებში დამთავრდა მთავრობის საწინააღმდეგო სახალხო თვით-

[1]) მუშათა მოძრაობა საქართველოში ჩამოყალიბდა ერთად-ერთი სოც.-დემოკრატიის ხელმძღვანელობით ჯერ კიდევ 1900—901 წლებიდან, მთელი ამიერ კავკასიის ამალაპარაკებელი ტფილისის დიდი გაფიცვებისა და ღია, გრანდიოზულ სამაისო მუშათა დემონსტრაციით, რომელმაც მისცა ტონი მთელ ამიერ-კავკასიას, მოძრაობაში მოიყვანა ბაქოსა და ბათომის მრავალ-რიცხოვანი პროლეტარიატი.

რ ე დ.

მართველობათა შექმნით. გლეხთა მოძრაობის ხელმძღვანელნი გახდენ მოწინავე მუშები — სოციალ-დემოკრატები, რომლებიც უმთავრესად მუშაობდენ ბათომში და კავშირი არ ქონდათ გაწყვეტილი სოფელთან. ამ გარემოებამ ამიერ კავკასიის მთავრობა დააყენა მუშურ-გლეხურ ფართო მოძრაობის საფრთხის წინაშე, რომელსაც განაპირა ქვეყნებში შექმნილ პირობებში შესაძლებელი იყო გამოეწვია მკაცრი შეტაკებები ადგილობრივ მცხოვრებლებისა და რუსის ჩინოვნიკებისა, პოლიციასა და ჯარს შორის. ამ რიგად 1905 წლის იანვრის თვემ გამოააშკარავა ამიერ კავკასიაში და კერძოთ საქართველოში ის დიდი წინააღმდეგობანი, რომელსაც ადგილი ქონდა ჩვენში.

მუშათა კლასის ბრძოლამ კაპიტალის წინააღმდეგ მიიღო მასიური ხასიათი. აგრეთვე მასიური ხასიათი მიიღო გლეხკაცობის ბრძოლამ ყველა სახის მემამულეების წინააღმდეგ. მუშათა რევოლიუციონურ მოძრაობასა და გლეხების შორის შეიკრა მჭიდრო კავშირი. უფსკრული აღიშართა ადგილობრივ მთავრობასა და მუშურ-გლეხურ მასებს შორის. ამის გამო კლასობრივმა და წოდებათა ბრძოლამ მიიღო მწვავე ხასიათი. რევოლიუციონურ მოძრაობას თავიდანვე სათავეში მოჰქონდა სოციალ-დემოკრატიული პარტია. სხვა პოლიტიკური პარტიები ამიერ კავკასიაში, კერძოთ საქართველოში, როგორც მაგალითად საქართველოს ავტონომისტები და ფედერალისტები, სოციალ-დემოკრატიული, კადეტები და სხვა პარტიები, გადამწყვეტ როლს მოძრაობაში არ თამაშობდენ. მათი საერთო ოპოზიციონერობა რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ რამდენიმეთ უადვილებდა მუშებს და გლეხებს რევოლიუციონურ ბრძოლას, მაგრამ მეორეს მხრივ ეს პარტიები თამაშობდენ ღრმა უარყოფით როლს იმდენათ, რამდენათაც ისინი გადაიქცენ მთავრობის აგენტების რეაქციონური ზრახვების ბრმა იარაღათ, რომლებიც იმ დროს ცდილობდენ გაეღვივებინათ ნაციონალური შუღლი და ბრძოლა ამიერ კავკასიის ერებს შორის. სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, რომელიც ამ დროს ხელმძღვანელობდა რევოლიუციონურ მოძრაობას ამიერ კავკასიაში, განსაკუთრებით საქართველოში, დაიწყო ფრაქციული ბრძოლა ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის. ორიე მხარე აწარმოებდა სასტიკ შეტევას ერთი მეორეს წინააღმდეგ ორგანიზაციულათ ჩამოყალიბებულ მუშების კრებებზე. რასაკვირველია, ყველა ეს ხდებოდა არა ლეგალურად. თებერვლის ბოლო რიცხვებში ეს „უჩინარი“ ბრძოლა საზოგადოებისათვის გადაიქცა აშკარა ბრძოლად. ფრაქციათა ბრძოლა გადატანილ იქნა ლეგარულ მარქსისტულ ბეჭდვითი ორგანოში — მაშინდელ „მოგზაურში“, რომელსაც რედაქტორობდა ამხ. ფილიპე მახარაძე, დაიწყო პუბლიცისტური ბრძოლა მენშევიზმისა და ბოლშევიზმს შორის. ფრაქციების ლიდერებმა ქორდანიამ მენშევიკებიდან

და საშა წულუკიძემ ბოლშევიკების მხრით მოათავსეს პრინციპიალური სტატიები რევოლიუციონურ ბრძოლაში პარტიის როლის შესახებ. „მოგზაური“ იყო ბოლშევიკური ფრაქციის ყოველკვირეული ორგანო. მაშინ პარტიულ მუშაობას ამიერ კავკასიაში ხელმძღვანელობდა კავკასიის საკავშირო კომიტეტი რ. ს. დ. მუშათა პარტიისა, რომელიც იყო ბოლშევიკების ხელში... [1])

გამწვავებულ ფრაქციულ ბრძოლამ რუსეთში და მაშინდელ ცენტრალურ კომიტეტის ცდებმა, რომელიც ნახევრად მენშევიკების ხელში იყო, გამოიწვიეს თბილისის კომიტეტის გამოსვლა კავკასიის კავშირიდან.

17 იანვარს, თბილისში საერთო გაფიცვის გამოცხადების დროს, თბილისის კომიტეტმა განაცხადა კავკასიის კავშირიდან გამოსვლა [2]).

---

[1]) ამ დროს საკავშირო კომიტეტის წევრები იყვნენ: საშა წულუკიძე, მიხა ცხაკაია, სოსო ჯუღაშვილი-სტალინი, მიხო ბოჭორიძე, ბოგდან კნუნიანცი და დეოდორი. საკავშირო კომიტეტში შეყვანილ იქნენ ამხ. ხანოიანი და ალაჯალოვის ქალი კოოპტაციის საშუალებით. უკანასკნელი იყო საკავშირო კომიტეტის მდივანი. სხვა დანარჩენ ხელმძღვანელ ამხანაგებისაგან დიდ პროპაგანდისტულ მუშაობას აწარმოებდა ახალგაზრდა მუშაკი ამხ. კამენევი (როზენფელდი), რომელიც კითხულობდა ლექციებს პარტიის პროგრამასა და ტაქტიკაზე ქალაქ თბილისის ყველა პროპაგანდისტებისათვის. (1904 წ. ციმბირიდან გამოქცეული ზაჭრა ჩოფრიაშვილი ამ დროს ცხოვრობდა არალეგალურად და ეწეოდა პარტიულ მუშაობას ბათუმის ორგანიზაციაში) *). ძველი პოპულიარული მუშები—სოციალ-დემოკრატები გიორგი ჩხეიძე და არაკელ ოქუაშვილი ამ დროს უკვე გადასახლებული იყვნენ. გიორგი თელია, რომელიც დიდ იმედებს იძლეოდა, როგორც ნიჭიერი და ენერგიული მუშაკი, ამ დროს უკვე დაავადმყოფდა განუკურნებელ სენით—ჭლექით.

ა. ე. ტ.

რედაქციის შენიშვნა:

*) ზაჭრო ჩოფრიაშვილი გახაფხულამდე მუშაობდა ბათომში (ახლო დამოკიდებულება ჰქონდა ტფილისელებთანაც ხშირი ჩამოსვლით) რომლის ძალიან ეშინოდათ მენშევიკებს, როგორც მომზადებულ გაელნიან ბოლშევიკის. ამის გამო მენშევიკების აგენტებმა სცადეს სხვა და სხვა მიზნებიებით მისი ორგანიზაციიდან ჩამოშორება, რის გამო მრავალ ინციდენტს ჰქონდა ადგილი.

[2]) ტფილისის კომიტეტში ამ დროს შედიოდენ ახალგაზრდა მუშები და ინტელიგენტები (ნ. რამიშვილი, ნ. ხომერიკი, ბადრაძე და სხვები), ძველი მუშები (არ. ოქუაშვილი, გ. ჩხეიძე და სხვები,—გადასახლებულნი რუსეთის ცივ ჩრდილნებში) არც ერთი თითქმის არ შედიოდა, გარემოებას ასე მოეტანა. მიხო ბოჭორიძე კობა-სტალინი, მ. ცხაკაია, საშა წულუკიძე, კნუნიანცი და სხვები იყვნენ კავშირის კომიტეტის წევრები: მთელი ხელმძღვანელობა, როგორც სხვებისა ისე ტფილისის კომიტეტისა, რა თქმა უნდა, კავშირის კომიტეტის ხელში იყო. ამ დროს მენშევიკი ჟორდანია უკვე აწარმოებდა პროპაგანდა-აგიტაციას ტფილისის ორგანიზაციის გავლენიან წევრებთან. მუშების ეკონომიურ გაფიცვის მიზეზით „უცბად“ იჩინა თავი (ფურცლების გამო, რომლის დაბეჭდვა-გამოცემა დამოკიდებული იყო მხოლოდ კავშირის კომიტეტზე) უთანხმოებამ, რის შედეგათ ტფილისის ორ-

ამ საკითხში დიდი როლი ითამაშა იმ გარემოებამ, რომ მენშევიკური ფრაქციის სათავეში იდგნენ უძველესი ავტორიტეტები რუსულ მარქსიზმისა და რევოლიუციონურ მოძრაობისა, როგორც მაგალითად პლეხანოვი, აქსელროდი, ვერა ზასულიჩი და სხვები. მათ მიემხრო პოპულიარული პიროვნება საქართველოში, პუბლიცისტი ჟორდანია. თუ მივიღებთ ხედველობაში წვრილ-ბურჟუაზიულ, გლეხურ მდგომარეობას ამიერ კავკასიაში, რომელთანაც მჭიდროთ დაკავშირებული იყო ჩვენი მუშების ძირითადი კადრები, მაშინ ნათელი გახდება ჩვენთვის, რომ მენშევიკები ადგილობრივ მუშათა კლასში მეტ გავლენას ახდენდნენ და მეტს სიმპატიას პოულობდენ. გამლილ მასიურ რევოლიუციონურ ბრძოლამ მთავრობის მხრით გამოიწვია მთელი რიგი ზომებისა, გაფრთხილების ხასიათის, აგრეთვე ზომებისა, რომელსაც უნდა ჩაეჭრო დაწყებული მოძრაობა. ამიტომ თბილისის გაფიცვის მოწყობის წინ დაჭერილ იქნა დიდი რიცხვი ს. დ. პ. აქტიური მომუშავეებისა ორივე ფრაქციის. ბოლშევიკებიდან დაიჭირეს საშა წულუკიძე, მიხო ბოჭორიძე, ფილიპე მახარაძე და მრავალი სხვები. სხვებთან ერთად პირველად დატუსაღებულ იქნა ციხეში ამ სტრიქონების დამწერი...

აქტიური მუშაობა დავიწყე 1904 წ. მიწურულში.

შ. ელიავა.

განიზაცია გამოეთიშა კავშირის კომიტეტს. სწორედ ამ ხანებში, ამის შემდეგ— 20 თებერვალს დაიბეჭდა მენშევიკ ნ. ჟორდანიას „საყვარო“ წერილი კავშირის კომიტეტის ორგანოში—„მოგზაურში“—„რა არის პარტია“, საშა წულუკიძის პასუხის მიყოლებით. აქედან მიეცა უკვე ოფიციალური მსვლელობა პირველად ფრაქციულ ბრძოლას საქართველოში. რახან მენშევიკებს არა ჰქონდათ თავიანთი ბეჭდვითი ორგანო, იწყეს ხანგამოშვებით თავიანთი პატარა გაზეთის „სოციალ-დემოკრატის“ არალეგალურად გამოცემა... ზაფხულზე მათ მოემატა სილიბისტრო ჯიბლაძე, რომელმაც გამამგრა მათი პოზიცია.

XI. წერილები.

რედაქციისაგან: ამბ. ხანოიანის „მოგონებანი“-ს და მასთან დაკავშირებით სხვა მასალების დაბეჭდვა გამოიწვია შემდეგმა გარემოებამ:

ამბ. ხანოიანის „მოგონება“ ჯერ დაიბეჭდა ქართულად პოლიტგანყოფილების მიერ გამოცემულ კრებულში „9 იანვარი“, შემდეგ ის დაიბეჭდა რუსულად გაზ. „ზარია ვოსტოკა“-ში.

ამბ. ს. თალაკვაძის „პატარა შენიშვნა“, რომელიც აქვე იბეჭდება, დამზადებული იყო „რევ. მატიანე“-სათვის, მაგრამ ის დაიბეჭდა „ზარია ვოსტოკა“-ში ამბ. ხანოიანის საპასუხოდ, რამაც გამოიწვია ამბ. ხანოიანის პასუხი იმავე „ზარ. ვოსტ“—„რამდენიმე სიტყვა“... და სხ.

როცა ამბ. ს. თალაკვაძემ ამბ. ხანოიანის ამ უკანასკნელი პასუხის საპასუხოდ წერილი დასტოვა რედაქციაში, „ზარია ვოსტოკამ“ კამათი გაზეთის ფურცლებზე შეწყვეტილათ გამოაცხადა და ეს მასალა დასაბეჭდათ გადასცა ჟურნალ „კავკაზსკი ბოლშევიკ“-ს.

რედაქციას გადმოაქვს რა „რევოლიუციის მატიანე“-ს ფურცლებზე ეს კამათი, საჯაროდ მიაჩნია გამორკვევა და შესწავლა „1905 წლისა ჩვენში, საქართველოში“ და შესწავლა „ბოლშევიკურ-მენშევიკური ფრაქციულ ბრძოლისა ჩვენში“. ამ მხრით ზოგიერთ მასალას იძლევა როგორც ამბ. ხანოიანის, ისე ამბ. თალაკვაძის წერილები...

რედაქცია იმედოვნებს, რომ ის ამხანაგები, რომელთაც გაუცდიათ 1905 წელი, მოწაწილეობა მიუღიათ ფრაქციულ ბრძოლაში ან შემდეგ საშუალება ჰქონებიათ სხვა და სხვა გვარი დოკუმენტებით გასცნობოდენ ამ მოვლენებს, დაგვეხმარებიან ამ საკითხების შესწავლა-გამორკვევაში.

---

9 იანვრის წინადღეები ტფილისში

(მოგონებანი)

ბოლშევიკების ფარული მუშაობისათვის 1905 წელი ამიერკავკასიაში ოქროს ხანას წარმოადგენდა. ამ დროისათვის მენშევიზმსა და ბოლშევიზმს შორის აზრთა პრინციალურმა სხვადასხვაობამ მკა-

ფიოდ იჩინა თავი, მით უმეტეს, რომ პოლიტიკურმა ლიტერატურამ პირდაპირ გაასო ფარული წიგნების ბაზარი. უცხოეთიდან განუწყვეტლივ მოდიოდა ახალ-ახალი გამოცემა ყოველგვარ პოლიტიკურ საკითხების შესახებ; აქ კი, ადგილობრივ, ამიერ-კავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციის გამომცემლობამ „კავკასიის კავშირმა“ ისეთი საქმიანობა გააჩალა, რომ მეფის სატრაპებს ცოფს აყრევინებდა.

მრავალი ჯაშუში თავს დასტრიალებდა რევოლიუციონურ ორგანიზაციებს; ჯაშუშები ცდილობდენ მიეგნოთ სტამბისათვის, სადაც იბეჭდებოდა გაზეთები „პროლეტარიატის ბრძოლა“ და „პროლეტარიატის ბრძოლის ფურცელი“; ყოველ დღე იბეჭდებოდა ათეულობით ფურცლები, რომელნიც ადამიანს ნამდვილ პოლიტიკურ დღიურებს მოაგონებდენ. არ არსებობდა ისეთი პოლიტიკური ან საზოგადოებრივი საკითხი, რის შესახებაც „კავკასიის კავშირს“ თავისი აზრი არ გამოეთქვა...

ჩვენი ამხანაგებიდან, რომელთაც ახლა მთავარი თანამდებობანი უჭირავთ, იმ დროს ტფილისში მუშაობდენ სტალინი, კამენევი, მიხა ცხაკაია, განსვენებულნი: მიხა ბოჭორიშვილი, საშა წულუკიძე. ყველანი ჩვენს გამომცემლობაში მუშაობდენ. ლიტერატორები იყვნენ, მაგრამ იმ გაცხარებულ მუშაობის დროს ძნელი გამოსარკვევი იყო თუ ვის რა უნდა გაეკეთებინა. ყველა ერთსა და იმავე დროს ლიტერატორიც იყო, ორგანიზატორიც და პროპაგანდისტიც.

მაშინ მართლაც რომ გახურებული მუშაობის ხანა იყო. ძირს სართულში, ბნელსა და ნოტიო, ეიწრო სარკმლებიან ოთახში, ისეთი ფუსფუსი მეფობდა, რომ ჩვენი ჯურღმული უფრო ფაბრიკას მოაგონებდა კაცს. პოლიციელ მეძებართა ცხვირ-წინ იქმნებოდა და ვრცელდებოდა პოლიტიკური ლიტერატურა. საშინელს პირობებში მცხოვრებნი, ხშირად ნახევრად მშიერი ამხანაგები ძირს უთხრიდენ მეფის თეითმპყრობლობის საძირკველს.

სასიამოვნო ამბები, ხუმრობა, მხიარულება ხშირად შემოიჭრებოდა ხოლმე იმ სერიოზულ მუშაობაში, რომელიც სწარმოებდა ფარულ სტამბასა, კონსპირატიულ ბინებსა, ფაბრიკებსა და ქარხნებში. თითქმის ყოველთვის ამა თუ იმ მოხსენების წინ, ამხანაგებს უყვარდათ იმის მოთხრობა, თუ რა მშვიდობიანად დააღწიეს თავი მაძებართა დაჟინებულ დევნას. ყოველი მოხსენების წინასიტყვაობას ის ამბავი წარმოადგენდა, თუ როგორ გააცურა ამხანაგებმა თავისი ჯაშუში. უნდა ითქვას, ყველა ამხანაგს, ვიზედაც კი იქვი ჰქონდათ მიტანილი, რომ ბოლშევიკურ ორგანიზაციას ეკუთვნოდა, „თავის საკუთარი“ ჯაშუში ჰყავდა. ეს ჯაშუში ერთგულ ფინიასავით თავის არსებობის წყაროს—თავის მსხვერპლს დასდევდა. რევოლიუციონერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა და ჯაშუშს შორის დამყარდა ერთგვარი „სამტრო მეგობრობა". ისინი იცნობდენ ერთმანეთს.

მაგრამ კონსპირაცია უმწვერვალესად განვითარდა და ამიტომ ამხანაგები უმეტეს წილად ახერხებდენ თავი დაეღწიათ ჯაშუშებისაგან. . ცხადია, რევოლიუციონერებისათვის საჭირო იყო მთელი თავისი ძალ-ღონე მოეკრიბათ და აემუშავებინათ ნერვები, რათა გაუფრთხილებელი სიტყვით თუ საქმით საკუთარი თავი, ან ამხანაგები არ გაეცათ. ასეთს პირობებში გამოიკვეთა ამხანაგების მტკიცე რევოლიუციონური ნებისყოფა. შესაძლებელია, მეცნიერ-მკვლევარს არ სჭირდებოდეს იმდენი ყურადღებისა და ძალ-ღონის დახარჯვა მიკროსკოპიულ საკრიტებელ მუშაობის დროს, რამდენიც სჭირდება პროფესიონალურ რევოლიუციონერს, რომელიც იძულებულია ჯურღმულში იმუშაოს და კონსპირაციისა და დაუღალავ რევოლიუციონურ ბრძოლის ახალ-ახალი მეთოდები გამოიგონოს.

დღეს რომ რევოლიუციონურ ბრძოლის განვლილ დღეებსა და ამ ბრძოლის პირობებს ვიგონებთ, ხშირად ვიცინით და გავიხსენებთ ხოლმე კონსპირატიულ მუშაობის სურიოზულ ამბებს. მაგრამ მაშინ სიცილისათვის არა გვცალოდა. ყოველი ამხანაგი კონსპირაციისათვის მეტად დიდ ღირებულებას წარმოადგენდა, ერთგვარი ვალიუტა იყო და ყოველი დაპატიმრება აუნაზღაურებელ ზარალს გვაყენებდა.

მუშაობის არაჩვეულებრივად მძიმე პირობებმა ერთგვარ თხუნელებად თუ ღამის ფრინველებად გადაგვექცია. დღე და ღამე გასწორებული გვქონდა; ჩვენი ცხოვრება თავისებურად—გარემოების მიხედვით ეწყობოდა იმის მიხედვით, თუ როდის შეგეძლო ქუჩაში გამოსულა. დაძაბულმა მდგომარეობამ ნერვები აგვიშალა. ჯაშუშებმა ეს იცოდენ და ხშირად რევოლიუციონერს სცნობდენ ნერვიულ მოძრაობის, ნერვიულ სულის განწყობილების მიხედვით. პროფესიონალურ რევოლიუციონერის პროფესიონალურ ავადმყოფობას შეადგენდა ყურადღების მუდმივი სიფრთხილე, ნერვების მუდმივი დაჭიმვა. მაგრამ ყველა „ხელშემწყობ" პირობების მიუხედავად, რევოლიუციონური ბრძოლა დაუღალავად სწარმოებდა.

იმ დროს ტფილისში ბოლშევიკური ორგანიზაცია რიცხვობრივ ჩამორჩებოდა მენშევიკურ ორგანიზაციას. ნოე ჟორდანია, არჩილ ჯაფარიძე, რამიშვილი საკმაოდ მკვიდრად გამაგრდენ იმ დროის სოციალისტურ ციხე-სიმაგრე—ნაძალადევში. მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას მენშევიზმმა ტფილისში იმდენად თავისი იდეოლოგიის წყალობით ვერ გაიმარჯვა, რამდენადაც ნათესაურ კავშირის წყალობით. მენშევიზმი გურულ იდეოლოგიას წარმოადგენდა იმდენად, რამდენადაც ჟორდანია და მისი ამხანაგები გურულები იყვენ. ნაკლებად არ შეუწყო ხელი მენშევიზმის პროპაგანდას ტფილელ რკი-

ნისგზელთა, მეტადრე კი დეპოს მუშათა წვრილ-ბურჟუაზიულმა სულის განწყობილებამ; ისინი წვრილ-მესაკუთრეებად შეიქნენ და საკუთარი მეურნეობა მოაწყვეს.

ნაძალადევი გადაიქცა ნამდვილ მენშევიკურ არკადიად, სადაც ყველას შეეძლო აეშენებინა სახლი, გაეჩინა ქათმები, ძროხები, მოებრავებინა ღორები. ნუ დავმალავთ, რომ საკუთარ მეურნეობის მოწყობის მსურველი უფრო მეტი გამოჩნდა, ვიდრე სახიფათო რეოლიუციონურ გზაზე დადგომის მსურველი.

ჩვენ ვსთქვით, რომ მენშევიზმს ბევრი მომხრე ჰყავდა; მაგრამ მუშებს სისტემატიურად ვაწვდიდით ჩვენს ლიტერატურას და ისინიც თანდათან ჩვენი თანამგრძნობების კადრებს ჰქმნიდენ. ჩვენი გავლენა სალიტერატურო ფრონტზე დიდი იყო. კრებებზე ჩვენი ამხანაგები ქორდანიას და მისი ამხანაგების ყოველთვის ძლიერ ოპონენტებად გამოდიოდენ.

ლაპარაკი არ უნდა, რომ ამ კრებებზე ქორდანია იმარჯვებდა ხოლმე, მაგრამ იმარჯვებდა უფრო თავის პირად ურთიერთობათა და გავლენის წყალობით, ვიდრე დამარწყერებელი სიტყვებისა და არგუმენტების მეოხებით. ხშირად შენიშნავდა ადამიანი, თუ რა რყევაში იმყოფებოდა მუშა და არ იცოდა ვის მიმხრობოდა—გავლენიან ქორდანიას გაჰყოლოდა, თუ ახალგაზრდა სოსო სტალინს, ან კიდევ თავის თანამოძეს—მუშა მიხო ბოჭორიშვილს.

ქართველი მუშები მეტ წილად მენშევიკები იყვენ.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი პატარა ორგანიზაციის პირის-პირ მრავალრიცხოვანი მენშევიკური ორგანიზაცია იდგა ქორდანიას მეთაურობით, იმედს მაინც არ ვიტეხდით.

სოსო სტალინი მედგრად ებრძოდა მენშევიკებს ჭიათურაში, საშა წულკიძე—ქუთაისში; კამენევი—ბათომში, ხოლო მიხა ცხაკაია და მიხო ბოჭორიშვილი—ტფილისში! ლადო დუმბაძე, კამო და რამდენიმე სხვა ამხანაგი ჩვენი გამომცემლობის საქმეურნეო საქმეებს განაგებდენ; ამ მუშაობას ეწეოდენ ისინი საშინელს პირობებში—ბნელსა და ნოტიო სარდაფებში.

ასეთს პირობებში მოქმედებდა რეოლიუციონერთა ჯგუფი; ამ ჯგუფის მუშაობას თვალ-ყურს ადევნებდა შეშფოთებული საპოლიციო აპარატი მეფის თვითმპყრობელობისა, რომელსაც თავის განკარგულებაში აშკარა და ფარულ აგენტების მთელი ხროვა ჰყავდა.

თვითმპყრობელობა ფათერაკს შეტევას აწარმოებდა რეოლიუციონური ფრონტის წინააღმდეგ, მაგრამ თავის იდეის ერთგული დერვიშები—რეოლიუციონერების ჩვენი პატარა ჯგუფი, არა დრკებოდაა...

„რევოლიუციონურ გაზაფხულის“ შეღავათების ხანამ, რომელიც თან მოყვა სვიატოპოლკ-მირსკის ხანმოკლე მმართველობას, უფრო აღაფრთოვანა ჩვენი ამხანაგები. ეს წუთიერი „გაზაფხული“ რუსეთის მუშათა რევოლიუციონური მოძრაობის შედეგი იყო. 1904 წლის დამლევს და 1905 წლის დამდეგს მუშათა მოძრაობის პარალელურად ძლიერ გაიზარდა სხვადასხვა ლიბერალურ მიმდინარეობით გატაცება; ეს გატაცება სურდა გამოეყენებინა მეფის თვითმპყრობელობას სვიატოპოლკ-მირსკის სახით. მაგრამ ამ მომენტით ჩვენ ვისარგებლეთ ჩვენებურადვე.

თუ ლიბერალებს სურდათ ერთგვარად დაეკანონებინათ ეს ოფიციალური გაზაფხული ზომიერ მოთხოვნილებებისა და ოფიციალურ ოპოზიციის გზით, სამაგიეროდ რევოლიუციონურ პროლეტარიატის ორგანიზაციებს არ შეეძლოთ, რომ სასაცილოდ არ აეგდოთ ლიბერალების ჰაპანწყვეტა და მათი ნამდვილი სახე არ გამოეაშკარავებინათ.

აქ უნდა მოვიხსენიო ერთი შემთხვევა, რომელსაც პურიშკევიჩი გვიამბობს თავის მოგონებებში. ეს შემთხვევა საუცხოოდ ახასიათებს ლიბერალების ზნესა და ბუნებას. როდესაც რასპუტინის მოკვლის საკითხი სწყდებოდა, ცნობილმა ლიბერალმა მაკლაკოვმა ძალიან მკიცბულ-მოკიბული აზრი გამოსთქვა. და პურიშკევიჩიც ახასიათებს მაკლაკოვს და ამბობს: ტყუილად კი არ იყო მაკლაკოვი კადეტიო.

ეს ფაქტი საუცხოოდ ამჟღავნებს ლიბერალიზმის ჭეშმარიტ ზნესა და ბუნებას, ლიბერალიზმის ბოლომდე უთქმელსა და გაუბედავ ღოზუნგებს. ლიბერალიზმის ასეთმა ბუნებამ თავი იჩინა 1905 წელს მეტადრე ტფილისში, სადაც ოფიციალური წრეები ჰფიქრობდენ გაბატონებულ სულის განწყობილებისათვის განსაზღვრული წილი მიეზღოთ, თუმცა მეტად ძუნწად...

სიტყვის თავისუფლება, კრების თავისუფლება—ეს იყო ლიბერალების მოთხოვნილებანი, მაგრამ მათ წარმოდგენილი არ ჰქონდათ, თუ როგორი უნდა ყოფილიყო და რაში უნდა გამოხატულიყო ეს თავისუფლება.

თამამად ვიტყვი, რომ 1905 წელს ლაპარაკიც კი არა ყოფილა მუშათა მდგომარეობისა, ხელფასისა, საბინაო პირობებისა და სხვათა შესახებ. ლიბერალურ ინტელიგენციას საკუთარი თავისუფლებანი ეინტერესებოდა და არა ჩვენი. ლიბერალი ლიბერალად რჩება, რომელ ერსაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი; ლიბერალი უმეტეს წილად კოსმოპოლიტად გვევლინება, მაგრამ ნამდვილად ტიპიურ ნაციონალისტს წარმოადგენს. ტყუილად კი არ იყო, რომ მეფის მაშინდელი ცნობილი სატრაპი გოლიცინი ლიბერალების დევნის დროს

თავის მახვილს მიმართავდა მათი სუსტ მხარის—ვიწრო ნაციონალურ თავმოყვარეობისაკენ.

რევოლიუციონურ მოძრაობის წინააღმდეგ საუკეთესო საშუალებას წარმოადგენდა ნაციონალურ შუღლის თესვა; მეფის მთავრობაც ფართოდ იყენებდა ამ საშუალებას კავკასიაში. მეფის გუბერნატორები და მოადგილენი 1905 წელს სწორედ ამ ვეროვან ხერხს მიმართავდენ. ებრაელთა დარბევანი, სომეხ-თათართა შეტაკებანი, ეროვის გამო ატეხილი ბრძოლა სომხის ბურჟუაზიასა და ქართველ და თურქ თავად-აზნაურობას შორის—ყოველივე ეს მახე იყო, რომელსაც მოხერხებულად უგებდა მეფის ხელისუფლება ლიბერალურ ბურჟუაზიას და რეაქციონურ მიწისმფლობელთა კლასს. მაგრამ ამ ბრძოლაში, რომელიც სწარმოებდა ერთის ნხრით მეფის თვითმპყრობელობასა და მეორე მხრით კავკასიის ერთა ნაციონალურ ბურჟუაზიას შორის, ყველაზე მეტად პროლეტარიატი იჭყლიტებოდა ეროვნების განურჩევლად.

იმ დროს, როდესაც რუსეთის სამხრეთ გუბერნიაში ებრაელთა დარბევა მძვინვარებდა, ხოლო ცენტრალურ ქალაქებში „ზუბატოვშჩინა“ ვითარდებოდა, ჩვენში, ამიერ-კავკასიაში ნაციონალურ მძულვარების ცეცხლი ეგზნებოდა და ამ ცეცხლს განუწყვეტლივ აძლიერებდა მეფის ადმინისტრაცია კავკასიაში.

თუ რუსეთში შეგნებულ მუშათა შორის შესაძლებელი იყო „ზუბატოვშჩინის“ გავრცელება, მით უმეტეს ამიერ-კავკასიის სინამდვილეში პოხიერ ნიადაგს ჰპოვებდა ნაციონალური უთანხმოებანი. აქ ერთის მხრით მოქმედებდა „დაშნაკცუტიუნი“, მეორე მხრით ქართველი და თურქი ნაციონალისტები მენშევიკურ პარტიის შეარველობის ქვეშ. მართალია, მენშევიზმი პირველ ხანს ნაციონალისტურ იდეებს არ ჰქადაგებდა, მაგრამ ამასთანავე არც ძლიერ ბრძოლას აწარმოებდა ამ იდეების წინააღმდეგ. საზოგადოდ ნაციონალური საკითხი მენშევიზმისათვის აჭილესის ქუსლს წარმოადგენდა. ამიტომ იყო, რომ კავკასიის რევოლიუციონურ მოძრაობათა დროს მეფის ხელისუფლება გამარჯვებული რჩებოდა: იგი მოხერხებულად სარგებლობდა რევოლიუციონურ ორგანიზაციების სისუსტით და თავის მორჩილ იარაღად აქცევდა მათ. მაგრამ როგორც „ზუბატოვშჩინა“ მუშათა მასებს შორის, ან ებრაელთა დარბევანი სამხრეთ რუსეთში, ისე ამიერ-კავკასიის ერთა შეტაკებანი უძლური გამოდგა რევოლიუციის შესაჩერებლად. ამის საუკეთესო საბუთს წარმოადგენდა „სისხლიანი კვირა“—1905 წლის 9 იანვარს პეტერბურგში.

ტყუილად კი არ აწერდა ამ დღეს ამხ. ლენინი უდიდეს მნიშვნელობას.

იანვრის ცხრამ „მამა-მეფის“ ნამდვილი სახე გამოააშკარავა. რუსეთის პროლეტარიატმა, აგრეთვე მუშათა შეუგნებელმა ნაწილმა, რომელსაც „მეფე“ ჯერ კიდევ სწამდა, საბოლოოდ შეაქცია ზურგი თვითმპყრობელს. მუშათა კლასი მიხვდა, რომ მისი უაღრესად მშვიდობიანი დემონსტრაციაც კი მეფის თვითმპყრობელობისათვის საშინელ მუქარას წარმოადგენს. იანვრის 9-ს ხომ მშვიდობიანი დემონსტრაცია იყო მოწყობილი, მუშებს უნდოდათ მხოლოდ თავისი ჭირ-ვარამი შეეჩივლათ ნიკოლოზ უკანასკნელისათვის, მაგრამ მშვიდობიან განცხადების პასუხად ტყვიების სეტყვა დააყარეს და ყაზახების მათრახები უთავაზეს. დიაღ, იანვრის 9-ს მუშებმა ბოლოს და ბოლოს გაიგეს, თუ ვინ იყო „მამა-მეფე“ და გამძვინვარებულ ყაზახთა ტყვიების პასუხად გაიფიცენ პეტერბურგის ფაბრიკები და ქარხნები.

თვითმპყრობელობას ვერ უშველა ვერც „სამეფო სოციალიზმამ“, ვერც მეფის მოადგილეთა ოინებმა, რომ ეროვნებათა შორის შუღლი დაეთესათ, ვერც სვიატოპოლკ-მირსკის „გაზაფხულმა“, „სისხლიან კვირის“ დროიდან 12 წლის შემდეგ, რევოლიუციონურმა ტალღამ ნაფოტებად აქცია მეფის ტახტი და წალეკა ამ ტახტის გარშემო თავმოყრილი ბურჟუაზიული ხროვა.

„სისხლის აღების“ უფლების მიხედვით რუსეთის პროლეტარიატმა დაამხო ცარიზმი და მომდევნო თაობათა ხელით შური იძია იანვრის ცხრას და თვითმპყრობელობის ბატონობის სხვადასხვა დროს დაღვრილ სისხლისათვის.

რევოლიუციონურმა რევანშმა გაიმარჯვა და მეფის სრა-სასახლეებზე ორ-თავიან არწივის მაგიერ ახლა აღმართულია მუშათა და გლეხთა ღერბი, ოქტომბრის რევოლიუციის სიმბოლო—ნამგალი და ჩაქუჩი.

ს. ხანოიანი.

პატარა შენიშვნა ამხ. სერგო ხანოიანის მოგონების გამო.

ს. ს. ს. რ. პოლიტგანათლების მთავარ მართველობის სპეციალურ კრებულში—„**9 იანვარი 1905—1925 წ.წ.**“ **9 იანვრის** აღნიშვნის მიზნით მოთავსებული ამხ. სერგო ხანოიანის **მოგონება**. „მოგონება“ ეხება „1905 წლის დასაწყისის ამბებს, **9 იანვრის** მოსამზადებელ წინა და შემდეგ ხანებს... აქ ამხ. ს. ხანოიანი, ქართველ ბოლშევიკ-მენშევიკების ხელმძღვანელ ლიდერებს შორის არ იხსენიებს რატომღაც პარტიის **დამაარსებელთაგანს**, ბოლშევიზმის თვალ-

საჩინო ძველ ლიდერთაგან,—ზაქრო ჩოდრიშვილს, ფილიპე მახარაძეს, გიორგი თელიას და მიშა დავიდოვს, რომლებიც მიხა ცხაკაიასთან, კობა—სტალინთან და საშა წულუკიძესთან ერთად, 1905 წლის დასაწყისშიც შეადგენდენ ტფილისის მოწინავე მუშების სულსა და გულს... არაა სწორი, როცა ამბ. ს. ხანოიანს გამჰყავს, თითქო 1905 წ. დაწყებიდანვე ტფილისში უკვე ნ. ჟორდანია და მისი მენშევიზმი გაბატონებულიყო ქართველ მუშებში, რომ უკანასკნელთ მისი გავლენით დაეწყოთ კერძო, პირადი ცხოვრების მოგვარება მუშათა ისტორიულ უბანში ნაძალადევში (ეხლა ლენინის რაიონი), მოეშენებიათ ქათმები და სხვა ამ გვარი, „ოჯახისთვის საჭირო" შინაური ცხოველები. ამ ხანებში, ე. ი. 1905 წლის დასაწყისში, დაიწყო მხოლოდ ნიადაგის მომზადება მენშევიზმისათვის ვიწრო, ინტელიგენტურ წრეში, როგორიც იყვნენ: ნ. რამიშვილი, ნ. ხომერიკი, ს. ჯუღელი, არშაკ ზურაბიანი, გ. ყარაჯიანი და სხვები... გახადა რა მენშევიკმა ჟორდანიამ თავისი „ინფორმაციით" (ბოლშევიკების ლანძღვით, ტალახში თრევით) და გავლენით ყველა ისინი მენშევიკებად, ამ ხანებში, იმათ დაიწყეს მხოლოდ ბრძოლა ბოლშევიკების წინააღმდეგ ორგანიზაციებში, შეეცადენ მუშებში გავლენის მოპოვებას, მაგრამ ამ დროს ჯერ კიდევ ბოლშევიკები ბატონობდენ... მენშევიკების სრული გავლენა და ბატონობა საქართველოს ორგანიზაციებში იწყება 1905 წლის მიწურულიდან, სწორედ რეაქციის სუსხის შემოკვრის დღიდან... სტალინი 1905 წლის პირველ ნახევარში სწორედ არ იყო ტფილისში, იგი დადიოდა ჭიათურაში, ბათომში და გურიაში მენშევიზმის წინააღმდეგ დისკუსია-კამათის საწარმოებლად... ამხ. სერგო ხანოიანი სომეხ ამხანაგთა შორის იყო ერთი ახალგაზრდა მუშაკთაგანი (მას კავშირის კომიტეტი უმეტესად აკისრებდა ქართულ-რუსული არალეგალური ლიტერატურის სომხურად გადათარგმნას, სომხურ სოციალ-დემოკრატიულ ლიტერატურის მოგვარება-გავრცელებას სომეხ მუშებში), რომელიც იზიარებდა ბოლშევიზმს, იყო დაკავშირებული ქართველ თვალსაჩინო ბოლშევიკებთან და უნდა სცოდნოდა, რომ ფილიპე მახარაძის რედაქტორობით იწყო გამოსვლა ამ **9 იანვრის** პერიოდში (იანვარის რიცხვებში) სწორედ კავშირის კომიტეტის პირველმა ბოლშევიკურმა, სერიოზულმა პოლიტიკო-ლიტერატურულმა კვირეულმა ჟურნალმა—**„მოგზაურმა"** ლეგალურად. ამხ. ხანოიანის მიერ გამოტოვებული ყველა ეს ბოლშევიკების თვალსაჩინო ლიდერები 9 იანვრის წინად და შემდეგ ხანებში ტფილისში იყვნენ...

დასასრულ უნდა აღინიშნოს შემდეგი: ამ „მოგონებაში" არც ერთი დამახასიათებელი მომენტი არ არის მოთხრობილი; აქ არის

მოცემული მიმოხილვის წესით: პუბლიცისტურ ფორმებში, ავტორის საკუთარი შეფასება და შემცდარი აზრი 1905 წლის რევოლუციის მიმდინარეობაზე საქართველოს სინამდვილით და აგრეთვე როლი შესრულებული მასში ბოლშევიკ-მენშევიკების მიერ... — **მოგონება** ასე არ იწერება, მას თავისი ჩარჩო-კანონები აქვს. ისტორიულ წერილებსაც ასე არ ეპყრობიან... არ იქნება ზედმეტი, რომ საერთოდ ამხანაგები ერთსაც და მეორესაც, სანამ დაწერას შეუდგებოდენ,—გამოიკითხავდენ, შეამოწმებდენ ძველი, წარსულის განმცდელ ამხანაგებთან.

ხ. თალაკვაძე.

26/I—25 წ.

რამდენიმე სიტყვა ამხ. თალაკვაძის წერილის გამო.

(წერილი რედაქციის მიმართ)

გაუგებარია რისთვის დასჭირდა სეფასტი თალაკვაძეს თავისი წერილის დაბეჭდვა. ალბათ მას სურდა იმ ამხანაგების მოხსენიება, რომელთა შესახებ ლაპარაკი არ არის ჩემს მოგონებაში.

ამხ. თალაკვაძეს სურს დაინახოს ამა თუ იმ მოგონების დამწერი ამხანაგი მწირველი ხუცის როლში, რომელიც მოიხსენიებს ხოლმე ყველა წმიდანებს გამოჩენილთ და უცნობთაც.

უნდა აღვიარო, რომ მე შორს ვიყავ ასეთი თავმდაბლური როლისაგან.

განა ისაა ჩემი დანაშაული, რომ ამ შემთხვევაში მოგონების დროს მე წარმომიდგა სწორედ ის ამხანაგები, რომელთაც მე ხშირად ვხვდებოდი. რა თქმა უნდა, ჩემ მიერ ჩამოთვლილ პირთა გარდა პარტიულ მუშაობაში მონაწილეობდენ არა მარტო ის ამხანაგები, რომელთა შესახებ სწერს ამხ. თალაკვაძე, არამედ—სხვებიც.

მე ხომ ვალდებული არა ვარ ვსწერო ყველა „ლიდერებზე".

დიაღ, ლიდერებზე! როგორც სჩანს, ამხ. თალაკვაძეს მეტად არეული წარმოდგენა აქვს ლიდერზე. ყოველ შემთხვევაში, ამხ. შაქრო ჩოდრიშვილი და თელია ლიდერები არ ყოფილან, ე. ი. „ისინი არ ჰქმნიდენ პარტიულ პოლიტიკას".

ერთია იყო თავგამოდებული რევოლიუციონერი, სულ სხვა—ლიდერი.

კერძოდ ფილიპე მახარაძის შესახებ მე არ შემეძლო წერა, ვინაიდან ამხ. თალაკვაძის მოწმობით ის რედაქტორობდა ლეგალურ

ჟურნალ „მოგზაურს“, მე კი ვწერდი არალეგალური მუშაობის შესახებ.

რაც შეეხება ჯორდანიას, უნდა აღვნიშნო, რომ ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ როდის ჩამოვიდა ის, არამედ რა ნაყოფი გამოიღო მისმა მუშაობამ. შესაძლებელია დატის მოყვანაში მე შევცდი, მაგრამ ფაქტის შეფასებაში? როგორ ფიქრობთ?

ნუ თუ ამხ. თალაკვაძე ფიქრობს, რომ ბოლშევიკები უფრო ძლიერნი იყვნენ, შემდეგ დასჟსტდენ? რა თქმა უნდა, ასე ფიქრს მე ვერ გავებედავ, რადგანაც ასე არ ყოფილა. ასე რომ, ჯორდანიამ და კომ. ჩვენი პოზიციები იერიშით აიღეს? მეტად გლახა შეხედულებისაა ამხ. თალაკვაძე ჩვენს ამხანაგებზე. დეე ამის შესახებ ილაპარაკოს ამხ. მიხა ცხაკაიამ, თუ კი მას ამისთვის თავისუფალი დრო ექნება.

გარდა ამისა, რას ნიშნავს ასეთი საყვედური? „ასე მოგონება არ იწერება“. **Подумаешь!** —რატომ არ იწერება და რომელ პარტიის დეკრეტებშია მოხსენებული, თუ როგორ უნდა იწერებოდეს მოგონებები?

და ვინ მოგახსენათ თქვენ, რომ მოგონებებში მოჰყავთ ფაქტები, მეტი არაფერი?..

ბევრი ლაპარაკი საჭირო არ არის. და თუ ამხ. ს. თალაკვაძეს სურვილი აქვს ძველ ამბებზე მასლაათისა, გადაეიდეთ პარტიის ასპარეზზე და იქ მოვილაპარაკოთ.

ს. ხანოიანი.

ამხ. ს. ხანოიანის პასუხის გამო.

(პასუხი არა „პასუხისათვის“, არამედ იმისათვის, რომ გაშუქებულ იქნას ჯერ კიდევ შეუსწავლელი ჩვენი მდიდარი წარსული).

იბადება საკითხი—რისთვის დასჭირდა ამხ. ხანოიანს თავისი პასუხი (იხ. „ზარია ვოსტოკა“ 5 თებერვლის ნომერი), თუ მას არ მოეპოვებოდა ისეთი საბუთი, რომლითაც შეეძლებოდა ჩემი დებულებების უარყოფა.

ამხ. ხანოიანისებურათ თუ შევხედავთ საქმეს, გამოდის „პასუხი“ პასუხისათვის, მეტი არაფერი. მაგრამ თუ გვერდს ავუვლით მის პოლემიკურ ფანდებს, როგორიცაა მაგ. „ყველა წმიდანები“, „ასე, რა თქმა უნდა, მე ვერ გავბედავ ვიფიქრო“ და სხ., მის პასუხს მივყვეართ შემდეგ კითხვებამდე,—

ესენია:

1) საკითხი ლიდერის შესახებ პარტიაში და

2) ფრაქციული ბრძოლის შესახებ მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის.

1) ამხ. ხანოიანს, როგორც სჩანს ეს მის ჰასუხში, ლიდერზე თავისებური წარმოდგენა ჰქონია. ამხ. ხანოიანის აზრით ლიდერი არის უსათუოდ ინტელიგენტი, რომელიც ზის თავის კაბინეტში და „ჭქმნის პარტიულ პოლიტიკას", იძლევა იქიდან დირექტივებს, განკარგულებებს...

ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ მოწინავე, მომზადებული, აქტიური, თავისი შემოქმედებით სახელგანთქმული მუშა ორგანიზაციაში, აძლევს მასალას ლიდერს პოლიტიკისათვის და ამავე დროს ისიც არის **ლიდერი** იმ მუშათა პარტიულ მასსაში, რომელმაც ის გამოყო, გამოაჩინა, აღამაღლა.

ასეთი ლიდერები იყვნენ ტფილისის ორგანიზაციულად შეკავშირებულ მუშებს შორის **ზაქრო ჩოდრიშვილი, მიხო ბოჭორიძე და გიორგი თელია.**

ამ მუშების, **სწორედ ამათი** მეოხებით იყვნენ ბოლშევიზმის ლიდერებათ საქართველოში და „ჭქმნიდნენ პოლიტიკას" ამხ. მიხა ცხაკაია, კობა—სტალინი, სოსო წულუკიძე და სხ. და როდესაც იგონებენ 1905 წლის რევოლიუციისა და პარტიის ხელმძღვანელებს საქართველოში და განსაკუთრებით ბოლშევიზმის ლიდერებს,—ჩვენ ვამბობთ, სცოდავს ის, ვინც არ იგონებს ბრძოლაში დაღუპულ მუშათა პარტიის ამ თვალსაჩინო მოღვაწეებს, როგორც **ლიდერებს.**

როგორც სჩანს, ამხ. ხანოიანს არ მოეხსენება როგორ გააფთრებულ ბრძოლას ეწეოდენ მენშევიკების ლიდერები (ჯორდანია და სხ.) და მათი დაუნდობელი აგენტები (რამიშვილი, ხომერიკი და სხ.) სწორედ ჩამოთვლილ პირთა (ზოდრიშვილი—ბოჭორიძე—თელია) „დასაპყრობათ", რადგანაც ისინი უდიდესი გავლენით სარგებლობდენ ტფილისის პროლეტარიატში. ისინი, სწორედ ისინი, იცავდენ ფ. მახარაძესა და ლადო კეცხოველთან ერთად (მიხა ცხაკაია იმ ხანებში რუსეთში იყო გადასახლებული) ბოლშევიზმის წინამორბედს—მებრძოლ **პოლიტიციზმს** წინააღმდეგ ჯორდანია—ჯიბლაძის **ეკონომიზმისა** და იყვნენ ორგანიზაციაში გაბატონებული, ჯერ კიდევ მაშინ,—90 წლების მეორე ნახევრიდან, როდესაც ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა სხვა, სწორე ხაზის მქონე, რევოლიუციონურ, მებრძოლ მარქსიზმის ლიდერებზე.

2) ამხ. ხანოიანისებურათ რომ ვიფიქროთ გამოდის, რომ ბოლშევიკები საქართველოში თავიდანვე „სუსტნი" იყვნენ და დანარჩენ ასეთებათვე.

მაგრამ განა ეს ასეა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ჩვენ საკითხს ღრმად ჩავუკვირდებით, შევისწავლით პარტიული ორგანიზაციის ჩასახვა—წარმოშობის ისტორიას საქართველოში 1905 წლამდე, სრულიად წინააღმდეგს მივიღებთ:

ჩვენს პარტიაში (საქართველოში) დღიდან ჩასახვისა, ორგანიზაციის ატარაჯა, ტაქტიკა, პარტიული პოლიტიკა, ორგანიზაციაში მყოფ მუშების შეურიგებელი რევოლიუციური სულიერი განწყობილების გავლენით, იყო ბოლშევიკური ხასიათის ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ბოლშევიზმი ჩამოყალიბდებოდა, ხორცს შეისხამდა, პარტიაში რასკოლი მოხდებოდა... და მენშევიკების მომავალი ლიდერები—ჯორდანია, ჯიბლაძე და სხ. სწორედ ამ მოვლენას ებრძოდენ იმ ხანებში, თუმცა, რა თქმა უნდა, უშედეგოთ... პირიქით, საქმე ისე მოეწყო, რომ ისინი მოხვდნენ ამ მუშების გავლენის ქვეშ და **გამემარცხნდნენ**. (ამის დასამტკიცებელი ფაქტები მოიპოვება)...

ახლა გადავხედოთ რა მოხდა რასკოლის შემდეგ?

როგორც ვიცით, მე-II ყრილობიდან დაბრუნებული დელეგატები ყველანი, გარდა ერთი თოფურიძისა, რომელიც არავითარი გავლენით არ სარგებლობდა ორგანიზაციაში, იყვნენ ბოლშევიკები და, მაშასადამე, ყველა ორგანიზაციები გამოუკლებლივ იყო ბოლშევიკური, რომელნიც ხელმძღვანელ ბეჭდვითი ორგანოდ აღიარებდენ ძველ „ისკრა"-ს და ჟურნალს იდგნენ **უმრავლესობის** პოზიციაზე.

დაბოლოს, მე-III პარტიული ყრილობაზე ლონდონში, რომელიც 1905 წლის გაზაფხულის გასულს შესდგა, საქართველოდან დელეგატები (ტფილისიდან, ბათუმიდან, ქუთაისიდან—მიხა ცხაკაია, კამენევი, ალიოშა ჯაფარიძე და სხ.) იყვნენ ყველა ბოლშევიკები. რით აიხსნება ეს ამხანაგო ს. ხანოიანი? ისინი ხომ იმ დროსაც ცნობილი, აშკარა ბოლშევიკებათ ითვლებოდენ! ან იქნებ არც ეს მოგეხსენება თქვენ? მაგრამ მაშინ არც საჭიროება მოითხოვს სწეროთ ისეთ რამეზე, რაც არ მოგეხსენებათ...

რა მოხდა ჯორდანიას საზღვარ-გარეთიდან დაბრუნების შემდეგ? რა თქმა უნდა,—პატივცემულო ამხ. ხანოიანო,—მას „იერიშით" არ აუღია ბოლშევიკური ციხე-სიმაგრეები, ორგანიზაციები და შეიძლება. მას ასეთი გამბედაობა არც შესწევდა...

ნ. ჯორდანიამ ანგარიში გაუწია რა ორგანიზაციულად შეკავშირებულ მუშებისა და გლეხების სულიერ განწყობილებას, რომელთა განვითარება ჩვენში განსაკუთრებულ პირობებში ხდებოდა, ბოლშევიზმთან ბრძოლაში **ის სხვა გზას დაადგა**, ვიდრე რუსი მენშევიკები.

აი, ამისი ცოდნა არის საჭირო; ამაშია სწორედ ჩამაბოლი ქართველი მენშევიკების გამარჯვების საიდუმლოება: და ეს ყველაფერთან შემგუებელი განმასხვავებელი სახე ქართველი მენშევიკებისა

რუსი მენშევიკებისაგან, არ უნდა იქნას მხედველობიდან გაშვებული, როდესაც შეუდგებიან ბოლშევიკ-მენშევიკური ფრაქციული ბრძოლის შეფასებას საქართველოში და ამ ბძოლის შედეგათ მიიღებთ საქართველოში მენშევიზმის გამარჯვებას...

ნ. ჟორდანიას ხელი არ შეუხია არსებული ორგანიზაციისათვის (პარტიის ატარატი), ორგანიზაციულ საკითხებში მან გაატარა პოლიტიკური ბრძოლის **ძველი ხაზი**, ბოლშევიზმს კი მან დაუპირდაპირა მხოლოდ **იდეოლოგია**, მენშევიზმის თეორია; ამას გარდა, ვიცით, რომ ჟორდანიას ხელი ჰქონდა ინფორმაციის მიწოდებაში ლენინისა და სხვა ბოლშევიკ ლიდერებისათვის საქართველოში მიმდინარე ამბების შესახებ, ამ ინფორმაციის ნაწილი ლენინის მიერ გამოქვეყნებულ იქნა მის ნაშრომებში, ხოლო ნაწილი ლენინის არქივში დაცულია. ამ ინფორმაციის ნაწილი ჩვენ ხელთ გვაქვს,

დასასრულ, რამდენიმე სიტყვა იმის შესახებ, თუ როგორ არ უნდა იწერებოდეს მოგონებები.

რამდენიც არ უნდა იძახოთ ირონიულად—„подумаешь" და სხ., მე მაინც ნებას ვაძლევ თავს მოგახსენოთ შემდეგი: **რასაკვირველია**, მოგონება არ იწერება ისე, როგორც თქვენ სწერთ. (აქ მე ვლაპარაკობ ჩემი და არა პარტისის სახელით, როგორც ეს მე მომაწერა თავის პასუხში ამხ. ხანოიანმა,—სრულიად ზედმეტი იყო აქ ამაზე ლაპარაკი. მე კი საჭიროდ არ მიმაჩნია ვილაპარაკო, როცა ამხ. ხანოიანთან მაქვს საქმე, საკონტროლო კომისიაზე და სხ.).

„მოგონებაში" მოიგონებენ ხოლმე უმთავრესად **ფაქტებს, მომენტებს, დატებს**, ავტორის მიერ **განცდილ მოგონებათ** წარსულში.

და სადაც ეს ელემენტები არ არის, ის არც **მოგონებაა.**

და ყველა ეს „ელემენტები", აშკარად სჩანს, რომ ამხ. ხანოიანს არ მოეპოვება თავის მოგონებაში.

ს. თალაკვაძე.

„პირველი მაისობა თბილისში“ *).

(პასუხად ამხ. არაქელ ოქუაშვილს).

იხ. „რევოლ. მატიანე“ № 4-5 (9-10)-1924 წ.

ამხ. არაქელა, როგორც მისი წერილიდან სჩანს, იძულებული გამხდარა განმარტება დაეწერა, რადგან მისი აზრით, ჩემი მოგონება პირველი მაისის შესახებ, არ წააგავს სინამდვილეს და თავის განმარტებას სწორედ ისეთი ამბით იწყებს, რომელიც არა თუ წააგავს სინამდვილეს, არამედ პირდაპირი დამახინჯებაა სინამდვილის.

ამხ. არაქელ! არავითარი ლაპარაკი მე თქვენთან არა მქონია იმ მიზნით, რომ თქვენი ნაამბობის თანახმათ შემდეგ ჩემი წერილი დამეწერა, ამას მე კატეგორიულად ვაცხადებ; რად დაგჭირდა ასეთი წინასიტყვაობით ჩემი მამხილებელი წერილის დაწერა, ან რა საჭიროა ქარაგმით, ირონიით და სხვა ასეთი კილოთი წერა ჩემი მოხუცებულობის და მეხსიერების შესახებ. რისთვის არის საჭირო და ვისთვისაა საინტერესო? ახლა გადავიდეთ საგანზე.

პირველი: რატომ არ შემეძლო პირველი მაისობის შესახებ გამართულ მეთაურთა თათბირზე დასწრება. რატომ დაგიბადა თქვენ ასეთი აზრი. მოგახსენებთ,—პირველ მაისობის შესახებ მეთაურთა თათბირი მეტ ნაწილად, განსაკუთრებით 1901 წელს, ჩემს ბინაზედ მოხდა; ვინ ესწრებოდა ამ კრებებს? ცენტრში ყოველთვის ზაქრო ჩოდრიშვილი იყო, ამას ვერც შენა ჰყოფ უარს. ესწრებოდენ მიხო ბოჭორიძე, გიორ. თელია, შემდეგ მოდიოდენ ს. პარკუსაძე, კალისტრატე გოგუა, დ. ხარტიშვილი, ექვთიმე სართანია, იას. ჯორბენაძე და სხვა ბევრი ამხანაგებიც; თქვენ იტყვით ეს არ არის მართალია, დამახინჯებაა ისტორიისაო. ამათგან ზოგიერთი ცოცხლები არიან, შეეკითხეთ.

მეორე: მართალია ჩემ წერილში დაბეჭდილი იყო თითქოს 1900 წელს პირველი მაისის დემონსტრაცია ქუჩაში იყოვო, მაგრამ ა'ე მე არ დამიწერია, (იქვე ნახამ ჩემ წერილში). მე მქონდა 1901 წელი მაგრამ შეცდომით დაიბეჭდა 1900 წელი მეორე დღეს გაზეთ „კომუნისტმა“ ეს გაასწორა, განა ამისათვის მე უნდა ვაგო პასუხი?

*) ამ საგანზე კამათს ვსპობთ.

რ ე დ.

მესამე: თქვენი აზრით მე ვიყავი 1901 წელს პირველ მაისის დემონსტრაციის მაყურებელი და არა მონაწილე. თქვენვე სწერთ ჩემი დაჭერის, განთავისუფლების შესახებ; რატომ ფიქრობ, რომ დამიჭირეს როგორც მაყურებელი და არა მონაწილე. არა არაქელ, მე ვიყავი დემონსტრაციის მონაწილე სხვა ამხანაგებთან ერთად თანახმად წინა დღით მიღებული გადაწყვეტილებისა. და მონაწილეობას ვღებულობდი **შეძლებისდაგვარად**. მოგაგონებ, რომ დემონსტრაციაში მონაწილეობას დაახლოებით 400—500 კაცი ღებულობდა, მაგრამ ყველანი არ შეუპყრიათ.

მეოთხე: თქვენ ამბობთ 1898 წ. 35 კაცი ვიყავითო, მე კი დამიწერია რამოდენიმე ათეული, იყოს თქვენი სიტყვის თანახმად. თქვენ ამტკიცებთ, ერთი დროშა გვქონდაო, მე კი დამიწერია ოთხი დროშა გვქონდაო. საქმე ასე იყო: მაისობის მონაწილენი მოვიდნენ საუზმებით, ზოგიერთებს საუზმე წითელ ხელსახოცებში ჰქონდა გამოკრული და როდესაც საუზმე მოვრჩით, სიტყვების წარმოთქმის დროს ეს წითელი ხელსახოცები ააფრიალეს, როგორც დროშები, რატომ არ შეიძლებოდა იმ ხანაში დროშათ ჩაგვეთვალა ეს წითელი ხელსახოცები ან წითელი პერანგები.

დიახ, იმ დროს მოქარგული წითელი დროშის მაგიერობას ხშირად ასეთი დროშები ეწეოდა, ამ აზრით ვთქვი მე **ოთხი დროშა** იყო, ოთხივ მხარეზე ფრიალებდა მეთქი.

მეხუთე: რა შესწორება შეაქვს ამხ. არაქელას ჩემს ნაამბობში 1899 წლის შესახებ? მე დაგწერე ამ წელს მაისობა გაიმართა მლაშე ტბასთან მეთქი, არაქელას კი ცოდვათ მიაჩნია, რომ არ ვამბობ ვინ გამართა, ვინ იყო მეთაურათ და სხვა. იქვე დასძენს, რომ მე ასეთი სიტყვა წარმოვთქვი და მოყავს თავის სიტყვიდან ერთი ადგილი. აქ აშკარაა, არაქელა განაწყენებულია: მე გავმართე ეს პირველი მაისობაო, მე წარმოვთქვი სიტყვა და რატომ მიხეილმა არ მოიხსენაო;—თუ ეს არის ჩემი დანაშაული, დეე, იყოს... სხვა საბუთი ჩემი მამხილებელი ისტორიის დამახინჯებაში არაქელას აქ ვერ მოჰყავს.

1901 წლის მაისობის გეგმა შემუშავდა ჩემს სახელოსნოში, მიხეილის ჭუჭაზე. დაესწრენ ზაქრო ჩოდრიშვილი, მიხო ბოჟორიძე, გ. თელია. ეს მოხდა 16 აპრილს ევროპიულ სტილზე. 17 აპრილს საღამოთი თანახმად 16 აპრილს მიღებულ გადაწყვეტილებისა, ზაქროს ბინაზე, ნაძალადევში, გაიმართა ვახშამი, დაესწრენ: ზაქრო ძმებით, მ. ბოჟორიძე, გ. თელია, ჩუიძე, არ. ოქუაშვილი თავისი ცოლით, სხვ., რომელთა გვარები არ მახსომს. განა არ გახსომს არაქელ 17 აპრილის ვახშამი, რომელიც იმ მოსაზრებით გაიმართა, რომ შეიძლება ხვალ სათუო დღეა და შემდეგ ერთმანეთი ვერ ვნახოთ. აღარ გახსომს შენ, რომ მოიყვანე „გარმონჩიკი“ ვახშამზე და როგორი დავ-

ლური დაუყარე შენ და რომ იძახდი „ტაში“ „ტაშიო“. აი ამ ვახშმის წინა დღით შემოუვადა ჩემ სახელოსნოში მაისობის გეგმა. (დაწვრილებით ჩემ მოგონებაში) თუ თქვენ გჯონდა გამომუშავებული გეგმა, რატომ ვახშმის წინათ არ წარმოადგინეთ, როცა ზაჭროს და ბოჭორიძეს გეგმას ისმენდით და ღებულობდით კიდეც.

მეექვსე: ამ კითხვის შესახებ იხილეთ ამავე წერილის მესამე მუხლი. რაც შეეხება იმის აღწერას, თუ სად შეხვდა არაქელა ს. ჯიბლაძეს, რა ილაპარაკეს მათ ან და რა გადასწყვიტეს, მე ეს არ შემეხება.

მეშვიდე იარმუკაში 1901 წელს მომხდარ დემონსტრაციის აღწერა ჩემ მიერ არაქელას არ მოსწონს, აჭაც დამახინჯებას ხედავს ისტორიისას, მაგრამ საქმე აი რაში ყოფილა: მე არ მომიხსენიებია ვინ გამოიტანა ოქროვეის მაღაზიიდან დროშა და ახლა არაქელა მეკითხება—„არ შეიძლება რომ გვითხრა, ვინ მიიტანა და ვინ გამოიტანაო“—აქ მეშვიდე მუხლში არაქელა კვლავ თავს მესხმის და იმეორებს უბრალო მაყურებელი იყავიო, ნამდვილ რევოლიუციონერს უნდა დაწვრილებით ახსოვდეს გამოსვლებში მონაწილეობის ყოველი წვრილმანიო.

მერვე მუხლში კი ამბობს, რომ „დროშა როგორ და ვის მიერ იქნა ამართული, ამაზე „ისკრის“ მე-4 ნუმერშია ნათქვამიო“. „ისკრაში“ კი დაწერილი ყოფილა—დროშა არაქელ ოქუაშვილმა ააფრიალაო. ჩემი დანაშაული კი ისა ყოფილა, რომ „ისკრის“ კორესპონდენტს შეუნიშნავს არაქელა, და მე კი ვერ შემინიშნავს...

ამის შემდეგ მოკლედ მოესჩრა საუბარს:

მეცხრე, მეათე და **მეთერთმეტე** მუხლში ამბ. არაქელა იმეორებს იმავე საბუთებს, რაც წინა მუხლებში აქვს მოთავსებული და „განმარტებას“ იძლევა იმის შესახებ, თუ რა და რა მონაწილეობას ღებულობდა თითონ; მისი თვალით რომ შევხედოთ საქმეს, კარგათ იქცევა; რახან მე არ ვლაპარაკობ მისი რევოლიუციონური მუშაობის შესახებ, ის თითონ ლაპარაკობს თავის თავზე.

მისი „განმარტების“ დასკვნა ასეთია: მიხეილ ჩოდრიშვილს მე არ გამოვყევარ რევოლიუციის დევ-გმირად, მაშასადამე, თითონ მიხა ჩოდრიშვილს მოაქვს თავი ასეთადო.

ამაში არ შევცილებივარ ამბ. არაქელას, მაგრამ დეე იცოდეს, რომ ასეთი „ტიტულის“ მიცემა ჩემგან არ არის დამოკიდებული და თუ მიიღებს ვისგანაც ჯერ არს, საწინააღმდეგო არაფერი მექნება. ასეთია ჩემი მოკლე პასუხი.

მიხ. ჩოდრიშვილი.

წერილები რედაქციის მიმართ.

I

ჩემს წერილში „სოც. რევ. (ხალხოსნური) მოძრაობა საქართველოში 1870—1880 წ.წ.“, რომელიც დაიბეჭდა „რევ. მატიანეში“ 1924 წ. № 4—5-ში, მე თვით მომიყიდა დიდი შეცთომა: ლექსი „მითხარ, მითხარ“... ვაკუთვნე ვასო დეკანოზიშვილს. ეს ლექსი მისი არ არის, არამედ დ. გივიშვილისა, რომელიც იყო ხელოსნების და ყარაჩოლელების ვითარების ამსახველი მგოსანი. გადაწყვეტილი მქონდა ეს ლექსი არ შემეტანა წერილში. შავზე წერილისა ასეთი წარწერა მაქვს: „ეჭვი მაქვს, რომ „მითხარ, მითხარ“ ვასოსი არ არის, იმის დედნებში არა სჩანს, ამის გარდა არც ენა, არც სტილი, არც ზომა ლექსს არ უგავს ვასოსას, ამიტომ თეთრად გადაწერის დროს ეს ლექსი გამოტოვებულ იქნას“. მაგრამ გადაწერის დროს ეს წარწერა დამვიწყებია და შეცთომაში გავიბი თავი (იხ. გვ. 328).

მაშ რამ შემიყვანა შეცთომაში?—ჩემს ძველს რვეულში ჩაწერილია ლექსი „მითხარ, მითხარ“... დათიკო დეკანოზიშვილის ხელით (ძმა ვასოსი) მისი ხელმოწერით. დათიკო არ იყო მოლექსე, მხოლოდ მღეროდა; მე ვიფიქრე, ალბად ეს ლექსი ვასოსია—მეთქი. გივიშვილს და სხვა ამის გვარ მწერლებს ჩვეულებად ჰქონდათ ლექსის ბოლოში თავიანთ გვარის მოხსენებისა, მაგ. როგორც საიათნოვა, თვით გივიშვილი, სანდაროი, ჰაზირა და სხვ. ჩემს რვეულში ჩაწერილს „მითხარ, მითხარ“.., ბოლოში სტრიქონში არ აქვს მოხსენებული დ. გივიშვილი. ჩემს რვეულში ასეა: „სანამ დრო გვაქვს, მოვილხინოთ, ესცნათ სიყვარული“... ნამდვილში კი ასეა: „სანამ დრო გაქვს, მოილხინე, სცან გივიშვილი“...

ამის გარდა ლექსში „მესტვირული“ ბოლო სტრიქონი ასეა დაბეჭდილი: „რაც ჩვენა ესთქვით სამხალი“, უნდა იყოს: „რაც ჩვენა **ვხვით სამსალი**“ (გვ. 329)

286 გვერდზე, მეექვსე სტრიქონში, დაბეჭდილია: „როცა ახლად დამტკიცებულ 1855 წ.“, უნდა იყოს **„ახლად გამეფებულს“**.

289 გვ. დაბეჭდილია: „კვალში“ დასტამბულ წერილში ლირიკულად განაცხადა; უნდა იყოს **„ლირფულად“** განაცხადა.

290 გვ. „მფარველობაში“-ს მაგიერ უნდა იყოს **„მფლობელობაში“**

323 გვ. „მაშინვე დაიბარე რუსეთიდან სუნდუკიანცის თხზულება“, უნდა იყოს: „მაშინვე დაიბარე **რუსიდან** (სოფელია ქართლში)

325 და 326 გვ. დაბეჭდილია სიტყვა „პრობით“, უნდა იყოს: **„ასობით“**.

სოფრომ მგალობლიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

II

ამხ. რედაქტორო! საჭიროთ მიმაჩნია ჩემს „მოგონებაში“, რომელიც დაიბეჭდა „რევ. მატიანეს №№ 4—5 (9—10) გასწორდეს ის შეცდომები, რომელიც დაშვებულია წერილის გასწორებისა თუ აწყობის დროს:

1) მე ვსწერდი რომ 1915—1916 წელს ვმუშაობდი ტფილისის სახალხო უნივერსიტეტის ქართულ სექციაში და დავასახელე ჩემთან მომუშავე ამხ. მიხა ჩოდრიშვილი, ალექსი ბედუკიძე, უშანგი ელიავა (მენშევიკი) და სხვები. მოგონებაში კი ეს ადგილი მთლად არის გამოტოვებული.

2) მე ვსწერდი: რომ ბოლშევიკურ ფრაქციაში აქტიური მუშაობა დავიწყე 1912—1913 წ. რედაქციის მიერ კი შესწორებულია ვითომ მე მუშაობა დამიწყოს 1915—1917 წლებში, რაიც ფაქტიური მხრის დამახინჯებას წარმოადგენს.

3) მე ვსწერდი, რომ ამხ. კოტე ცინცაძეს ციხიდან გასაპარებლათ 1906 წლის ბოლოს ორგანიზაციას ვაწყობდით ამხ. შალიკო ასკურავა, საშა ტიგიშვილი და მე, რაშიაც აქტიურათ გვეხმარებოდნენ: ამხ. ალექსი ბედუკიძე, ამხ. არუსიაკა (ეხლა კოტეს ცოლია), და მარუსია ცინცაძე (კოტეს და), რედაქციას არც ეს მომენტი აღუნიშნავს მოგონებაში.

4) მოგონებაში ვსწერდი, რომ მე როდესაც დუშეთის მაზრის აჯანყების შემდეგ 1918 წ. ტფილისში ჩამოველი, სხვათა შორის ვნახე ამხ. ბუდუ მდივანიც, ამხ. წულუკიძეს ბინაზე (ჭავჭავაძის ქუჩაზე), სადაც პარტიის სახელით ერთდროული დახმარება აღმომიჩინა 400 მანეთი. რედაქციას ეს ადგილიც გამოუტოვებია.

5) მე ვსწერდი, რომ პირველად 1919 წ. ივლისის თვეში, მე მეწვია დუშეთის მაზრაში ცენტრის მიერ გამოგზავნილი ამხ. ვასილი კილოსანიძე, არც ეს ადგილია მოგონებაში მოხსენებული.

დაბოლოს მე-6 საკითხი რაიც რედაქციას ჩემს მოგონებაში მთლათ გამოუშვია, ეს ის რომ 1920 წ. 10 სექტემბერს მოწვეული იქნა ქ. ბაქოში, გადასახლებულ და აღმოსავლეთ ხალხთა ყრილობაზე ჩამოსულ კომუნისტ დელეგატთა კრება, სადაც კრების მიერ არჩეული იქნა საინიციატივო წრე, რომელსაც დაევალა ბაქოს ორგანიზაციაში მყოფ საქართველოს კომპარტიის წევრთა საერთო კრების მოწვევა, სადაც უნდა არჩეულიყო საქართველოს კომპარტიის ბაქოს ბიურო. ამ კომისიაში კი არჩეული იქნენ ამხ. ფ. მახარაძე, ლ. დუმბაძე, ტარასი მგალობლიშვილი, მე და მე-5 აღარ მახსოვს. ამ კომისიამ დავალება შეასრულა და ქ. ბაქოში მყოფ საქართველოს კომპარტიის წევრთა საერთო კრება მოიწვია ბაქოს მუშათა კლუბ

ში და აქ კი არჩეული იქნა სათანადო ბიურო. აი ყველა ის ფაქტიური შენიშვნები, რომელიც „რევ. მატ“ რედაქციამ ჩემს მოგონებაში გამოსტოვა და ამით შინაარსი დაეკარგა ჩემი მოგონების „ორგინალს“. ამისათვის, რათა მოგონება იყოს ორგინალი იმისი, რაც მე დავსწერე და „რევ. მატ.“ ფურცლებზე კი ძრიელ შემოკლებით იქნა მოთავსებული და ეს კი ამახინჯებს შინაარსს ჩემი მოგონებისას, რაც მე დაუშვებლათ მიმაჩნია, ამის თავიდან ასაშორებლათ მე ვსთხოვ „რევ. მატ.“ რედაქციას არ დაიზაროს მოათავსოს ეს ფაქტიური განმარტებანი „რევ. მატიანეს“ მომავალ №-ში.

კომ. სალამით **გ. ლაფანაშვილი.**

20/XII—24 წ.

— —

რედაქციისაგან: რედაქცია ბეჭდავს ამხ. გ. ლაფანაშვილის განმარტებას სრულიად უცვლელად იმიტომ კი არა, თითქოს მან (რედაქციამ) დაამახინჯა მისი მოგონება და თავს შეცდარათ გრძნობდეს. არა, ამხ. გ. ლაფანაშვილის ეს განმარტება საუკეთესო მაჩვენებელია იმისი, თუ როგორ არ უნდა იწერებოდეს მოგონება.

მართლაც, რა გაგვისწორებია ჩვენ ამხ. ლაფანაშვილის მოგონებაში?

1) მისი წერის კილო, 2) შეგვისუსტებია მისი პირადული ელემენტი და 3) შეგვისწორებია მოგონების ფაქტიური მხარე.

ყველაფერი ეს ნათელია ჩვენი მკითხველისათვის ამხ. გ. ლაფანაშვილის ზემოთმოყვანილ გამარტებიდან, მაგრამ, ვიცით, ამხ. ლაფანაშვილი მაინც არ მოგვეშვება, მის პრეტენზიებს მაინც არ ექნება დასასრული და ამიტომ აი რას მოვახსენებთ მას **უკანასკნელათ:**

გადამეტებულად მიგვაჩნია მისი მტკიცება, „რომ ბოლშევიკურ ფრაქციაში აქტიური მუშაობა დავიწყე 1912-1913 წლებშიო“, გინდ „დავასახელე სახალხო უნივერსიტეტის ქართულ სექციაში ჩემთან მომუაე ამხ. მიხა ჩოდრიშვილი, ალექსი ბედუკიძე და სხვებიო“.

აშკარაა, 1912 წელს—14 წლის ყმაწვილი —ლაფანაშვილი **აქტიური** მუშაკი ვერ იქნებოდა და ვიცით კიდეცაც, რომ ასეთი არც ყოფილა ის. რას ნიშნავს ჩემთან მომუშაე მიხა ჩოდრიშვილი და სხვა.—თქვენთან მუშაობდენ ეს ძველი, გამოცდილი რევოლიუციონერები, თუ თქვენ მათთან—თქვენ გასწავლიდენ, გრწთვნიდენ და სხვ. განა ეს არ არის თქვენის მხრით გადამლაშება?..

ახლა პირადი ელემენტი: 1) ასეთია თქვენ მიერ ამხ. ბ. მდივანისაგან 400 მანეთის მიღება, 2) თქვენ რომ დუშეთის მაზრაში ამხ. ვასილ კილოსონიძე **გეწვია**, 3) ბაქოს კრების ამბავი, რომლის მასა-

ლა ვრცლად დაიბეჭდა „რევ. მატიანე"-ს ჯერ კიდევ პირველ ნომრებში და სხვ.

დაბოლოს, ფაქტიური შესწორების სახით ჩვენ გამოვტოვეთ ის ადგილი, სადაც ლაპარაკია კოტეს გაქცევაზე. ამხ. კოტე ცინცაძის გაქცევის მოწყობაში ამხ. არუსიაკა მონაწილეობას ვერ მიიღებდა, რადგანაც ისიც ციხეში იყო გამომწყვდეული.

ასე გააშლაშინა რედაქციამ ამხ. ლაფანაშვილის მოგონება და ამით, რასაკვირველია, არავითარი ზიანი არ მიუყენებია მას არც რევოლიუციის და არც კომპარტიის ისტორიისათვის...

III

ამხანაგო არაქელ*), მე შენი წერილი ამოვიკითხე მეათე ნუმერ რევოლიუციის მატიანეში, რომელშიაც სწერდი ჩემი ძმის მიხას შესახებ 1901 წელს ალექსანდროვის ბაღთან დემონსტრაციაში მონაწილეობა არ მიუღიაო, ის იყო მაყურებელი, ერთი წუთი დააკავეს და ისევ გაუშვესო, თანაც ამბოფ მისი ძმა სანდროც დაამოწმებსო. მე ამხანაგო არაქელა იმას დავამოწმებ, რომ დემონსტრაციაში მე და ჩემი ძმა მიხა ერთმანეთს დაშორებულ ვიყავით, როცა ამხანაგებმა მითხრეს მიხა დაიჭირესო, მე მაშინ გავეშურე იმისაკენ და ვნახე, რომ მიხა გარადაოებს დაეჭირათ და მიჰყვანდათ. იქ მყოფი მიხას ცოლი გარადაოებს გამწარებული ელაპარაკებოდა. სწორეთ იმ დროს მიხას ნაცნობ არსენალის ჩინოვნიკმა ბატურინმა გამოიარა და რომ დაინახა მიხა დაჭერილი მაშინვე მოვიდა გარადაოებთან და უთხრა ეგ ჩვენი მასტერი არის და გაუშვითო. გარადაოები არ უშვებდნენ, მაგრამ ჩინოვნიკის ბევრმა ლაპარაკმა გასჭრა. მიხას თავის ბინის მისამართი ჩამოართვეს და გაუშვეს, მაგრამ მეორე დღეს მიხაცა და მისი ცოლიც ორივენი თავის ბინიდან წაიყვანეს ციხეში.

სანდრო ჩოდრიშვილი.

ამხანაგო არაქელ გორისპოლკომთან რომ შემეკითხე მიხა დემონსტრაციაში იყოო აქ ზემოთ არის იმის ამბავი როგორც იყო.

*) ამ წერილს რედაქცია ბეჭდავს უცვლელად.

რედ

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური და ტფილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელ-არმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ. აღმასრულებ. კომიტეტის

ყოველდღიური გაზეთი

„კომუნისტი“

მიიღება ხელის მოწერა

ხელის მოწერის პირობები:

მუშა-მოსამსახურეებისათვის, წ.-არმიელების, მოსწავლე ახალგაზრდობისა და მასწავლებლებისათვის გაგზავნით

1 თვით . .	75 კაპ.	4 თვით . .	2—85 კაპ.
2 „ . .	1—45 „	5 „ . .	3—55 „
3 „ . .	2—15 „	5 „ . .	4—25 „

ყველა დანარჩენებისათვის:

ტფილისში მიტანით:

1 თვით	1 მანეთი
2 „	1—95 კაპ.
3 „	2—90 „
4 „	3—85 „
5 „	4—80 „
6 „	5—75 „

პროვინციაში გაგზავნით:

1 თვით	1—20 კაპ.
2 „	2—35 „
3 „	3—50 „
4 „	4—65 „
5 „	5—80 „
6 „	6—95 „

ყველა ხელის მომწერლებს მიეცემათ ორკვირეული დამატებები:

1) ჟურნალი „ჩირაღდანი“—2) ჟურნალი „მეც. და ტეხნიკა“ 6 თვით ხელის მომწერთ კი (რომლებიც წინდაწინ შემოიტანენ ხვედრ ფულს) გარდა ამისა დაურიგდებათ:

1. ფ. **მახარაძის** წიგნი—„მენშევიკური პარტიის დიქტატურა საქართველოში“
2. ფ. **ენგელსის** წიგნი—„კომუნიზმის პრინციპები“
3. კ. **ორაგველიძის**—„რელიგია და მარქსიზმი“

ჟანტორის მისამართი: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1925 წ.

„მ უ შ ა“

საქ. პროფ. კავშირთა საბჭოს და ტფილისის მუშ. და გლ. დეპუტ. საბჭოს ყოველდღიური გაზეთი.

ამოდის დიდი ზომის რ ვ ა გ ვ ე რ დ ი

„მუშა“ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მუშათა მოძრაობას—პარტიულ და პროფესიონალურ ცხოვრებას, საბჭოთა აღმშენებლობას და ყოფა-ცხოვრების საკითხებს.

„მუშა“-ში თანამშრომლობს 100-ზე მეტი მუშა-კორესპონდენტი. წლიური ხელის მომწერნი უფასოდ მიიღებენ:

1. ორკვირეულ პროფესიონალურ ჟურნალს „შ რ ო მ ა ს“
2. ორკვირეულ იუმორისტული ჟურნალს „ტ ა რ ტ ა რ ო ზ ს“
3. ლ ო ზ ო ვ ს კ ი ს წიგნს: „საერთაშორისო პროფმოძრაობა“
4. ლ ე ნ ი ნ ი ს ნაწერებს და სიტყვებს მუშათა საკითხის შესახებ
5. ზ ი ნ ო ვ ი ე ვ ი ს წიგნს: „პროფმოძრაობის ამოცანები“
6. რ ი კ ო ვ ი ს წიგნს „საკავშირო რესპ. ეკონომიური მდგომარეობა“.

ნახევარი წლის ხელის მომწერნი უფასოთ მიიღებენ:

1. ორკვირეულ პროფესიონალურ ჟურნალს „შ რ ო მ ა ს“
2. იუმორისტულ ჟურნალს „ტ ა რ ტ ა რ ო ზ ს“
3. ჩ ე კ ი ნ ი ს წიგნს: „პროფმოძრაობის ანბანს“

სამთვიური ხელის მომწერნი უფასოთ მიიღებენ:

1. ორკვირეულ პროფესიონალურსა და 2. ორკვირეულ იუმორისტულ ჟურნალს. თვიური და ორ თვიური ხელისმომწ. მიიღებენ იუმორისტულ ჟურნალს.

გ ა ზ ე თ ი ს ფ ა ს ი:

ტფილისსა და პროვინციაში	ერთი თვით		ორი თვით		სამი თვით		ექვსი თვით		ერთი წლით	
	მ.	კ.	მ.	კ.	მ.	კ.	მ.	კ.	მ.	კ.
პროფკავშირის წევრებისა, წითელარმიელ. და მოსწავლე ახალგაზრდობისათვის	—	75	1	45	2	15	4	25	8	50
დანარჩენ მოქალაქეთათვის										
ტფილისში	1	—	1	95	2	90	5	75	11	50
პროვინციაში	1	20	2	35	3	50	6	95	13	85
საბჭ. კავშ. სხ. კუთ. გაგზავ. .	1	50	—	—	—	—	—	—	—	—

ხელისმოწერა მიიღება: ტფილისში გაზეთ „მუშას“ კანტორაში (რუსთაველის ქ., № 24, მე-2 სართული). პროვინციაში—გაზეთის კონტრაგენტებთან და საფოსტო განყოფილ. ფულის გამოსაგზავნი მისამართი: ტფილისი, რუსთაველის პრ., № 24 გაზეთ „მუშას“ რედაქციას. ყველა აქ ჩამოთვლილ წიგნებს ხელისმომწერნი მიიღებენ გაზეთის ფასის გადახდისთანავე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოითხოვეთ გუნებრივი კახური ღვინო

კოოპერატიული საზოგადოების „კახეთი"-სა

იყიდება ყველა პირველხარისხოვან რესტორან-სასადილოში და ჯასტრონომიულ მაღაზიებში. საკუთარ მაღაზიებიდან ღვინო იყიდება მთავარ საწყობის ფასებში.

ღვინო მხოლოდ კახური:

თეთრი „კარდანახი" № 2.
„ „გძელმინდორი"—განს. დაკვეთა ა.
„ „წარაფი" განს. დაკვეთა ბ.
წითელი „ყვარელი" № 2.
„ „გძელმინდორი"—განს. დაკვეთა ბ.

წითელი „ჩუმლაყი"—განს. დაკ. ბ.
ევროპ. „ნაყარეული" და „მუკუზანი"
ტკბილი „მადერა",
„ „პორტვეინი".

გამგეობა, მთავარი კანტორა და მთავარი საწყობი: ტფილისი, გოგოლის ქ., № 63, ტელ. 4—65. დასაშვებელი პუნქტები და საწყობები ქარდანახში და თელავში (კახეთი). ნაწყობილებები: ბაქოში, ბათომში და საქართველოს მნიშვნელოვან პუნქტებში. წარმომადგენლობა: მოსკოვში, ლენინგრადში, როსტოვში, პიატიგორსკში, ტაშკენტში და სხვ. მნიშვნელოვან პუნქტებში.

ზოგიერთი კერძო ფირმა ისაკუთრებს „კახეთი"-ს ფირმის სახელს: ამიტომ მიაქციეთ ყურადღება კოოპ. სახ. „კახეთი"-ს მარკას ქართველი ქალი ახარუნებით ხელში.

ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა სააქციო საზოგადოება.

მირითადი თანხა **10.000.000** მანეთი

გამგეობის პრეზიდიუმი ქალ. ტფილისში.

მთავარი კანტორა—ჭიათურაში.
განყოფილება—ტფილისში.
სააგენტოები—ფოთსა და ბათუმში.

მისამართი: ტფილისი, რუსთაველის პრ. 23. ტელეფონი 21—25.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების

სტამბა

(ლ. დუმბაძის ქ. № 3).

ასრულებს ყოველგვარ სასტამბო სამუშაოს სუფთად და ლამაზად.

ტექნო-ქიმიური

სავაჭრო-სამრეწველო წარმოება

საქართველოს წითელი ჯვარის საზოგადოებისა.

მთავარი საწყობი—ტფილისი, პლეხანოვის პრ. № 106, ტელ. 13—63

განყოფილება—ბათუმი, ტროიცკის ქ. № 14, ტელ. 251.

ახლად მიღებულია დიდი პარტია

პარფიუმერია, კოსმეტიკა, ხაოჯახო საქონელი; სანიტარიისა და ჰიგიენის საგნები.

იყიდება ყველაზე ბითუმად და ცალობით.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციათა ცენტრალური კავშირი.

წარმოკავშირი

აერთიანებს საქართ. მსხვილ საწარმოო კოოპერატივებს მეცხვარეობის, მეთუთუნეობის, მეევნახეობის, მეხილეობის, მებამბეობის, მერძევობის და სხ.

წარმოკავშირი აწარმოებს:

ყოველგვარ კომერციულ ოპერაციებს როგორც საკომისიოდ, ისე ნაღდზე, საქართველოს სასოფლო-მეურნეობის პროდუქტების დამზადებას და გასაღებას, აგრეთვე აწვდის გლეხობას სასოფლო-სამეურნეო იარაღებს, მანქანებს და სხვა საგნებს.

ამზადებს და ჰყიდის:

თუშურ მატყლს და დონმას
ფოთლოვან თუთუნს
საექსპორტო ხილეულს
ღვინოებს, ღვინის სპირტს
საექსპორტო კვერცხს
შეგეცარულ ყველს
თხილს
სიმინდს და სხვ.

აწვდის და ყიდულობს:

შაბიამანს
გოგირდს
ვერმორელის აპარატებს
სეპარატორებს
გუთნებს, სათესს მანქანას
თესლეულობას
სასოფლო-სამეურნეო იარაღებს
სხვადასხვა რკინეულობას და სხვ.

გამგეობა: ქ. ტფილისი, სასახლის ქ. № 5.

დეპეშით მისამართი:—ტფილისი წარმოკავშირი.
წარმომადგენლობა მოსკოვში: Больш. Дмитровк. № 4.

საქართველოს ცენტრალური კოოპერატ. კავშირი

ცეკავშირი

ტფილისი, შტაბის ქ. №№ 4—6, ტელ. 19—60.

აწვდის სოფლის და ქალაქის კოოპერაცია ფართო მოხმარების ყველა საჭირო საგნებს.

ამზადებს სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებებს.

აქვს საკუთარი განყოფილებები **ქუთაისში, სამტრედიაში, გორში, დუშეთში, თელავში, სიღნაღში** და წარმომადგენლობა **მოსკოვში.**

საკუთარი საწარმოო წამოწყებები:

სტამბა ტფილისში, მექანიკური აბრეშუმის საქსოვი ქარხანა ტფილისში, აბრეშუმის ძაფის ამომზვევი ქარხანა სამტრედიაში, ძაფის აბრეშუმის საგრეხი ქარხანა ხონში, საკონსერვო ქარხანა გორში, თამბაქოს ქარხანა სიღნაღში, ქერამიკის ქარხანა ტფილისში, აბრეშუმის პარკის სახმობი სამტრედიაში, ბამბის გამწმენდი ქარხანა ყარაიაში და ჰიდროელექტრონის სადგური საშეფო სოფ. მუხრანში.

ცეკავშირის სასოფლო-სამეურნეო განყოფილება აწარმოებს აგრონომიულ დაბმარებას, აქვს საცდელი მინდვრები და სხვ.

მოითხოვეთ ყველგან!

КАХЕТИНСКІЯ ВИНА

ТОВАРИЩЕСТВА

ЦАРЬ

Главный склад и контора Товарищества, Тифлисъ, Головинскій пр. д. Кашкадамова.

№ ЭТИКЕТЪ

ტელეფონი 11—29.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულიად რუსეთის კოოპერაციული ბანკი

ძირითადი თანხა 10.000.000 მან. ოქროთი

გამგეობა ქ. მოსკოვში

ტფილისის განყოფილება:

მისამართი: თავისუფლების მოედანი № 3. (ბყв. Купеч. Банк)

ტელეფონები:

გამგე № 14—81	საინსტრ. განყოფ. № 10—16
გამგის ამხანაგისა № 10—16	ბუხჰალტერია № 14—81

ტფილისის განყოფილება აწარმოებს ბანკის წესდების თანახმად შემდეგ ოპერაციებს:

1) ვადაღდება თამასუქებისა

2) სესხის გაცემა საქონლის გირაოსის ქვეშ

3) სესხის გაცემა სახელდახელო ანგარიშის სახით ფასიან ქაღალდების, თამასუქებისა და საქონლის დაგირავებით.

4) გადაგზავნა ფულისა და აკრედიტივების გაცემა ს. ს. რ. კ. ყველა ქალაქებზე.

5) იბარებს ფულს სახელდახელო ანგარიშზე, როგორც მარტივზე, ავრეთვე პირობით, ვადით და უვადოთ სახელმწიფო, კოოპერატიულ, პროფესიონალურ ორგანიზაციებისაგან და ავრეთვე კერძო პირებისაგან.

ტფილისის განყოფილება აქვს თავისი სალაროები სომხეთში, ქ. ერევანში.

საქართველოს კოოპერაციის ცენტრის გამომცემლობა.

მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 24 (მეორე სართული)

იყიდება შემდეგი წიგნები:

1. გორევი—„ტომრის მორიდან ლენინამდე—ფასი . 50 კ.
2. ქართულ მენშევიზმის ახალი პლატფორმა . . . 5 „
3. მენშევიკების ავანტიურა საქართველოში . . . 15 „
4. ჟურნალი „ჩვენი გზა“ . . . . . 20 „
5. „ნაწყვეტები პოლიტიკურ ეკონომიიდან“ . . . 50 „
6. კავკოვიჩი—როგორ არის აგებული რ.კ.პ. (ბოლ.) 60 „
7. ფ. შემოკმედელი (მახარაძე) „უთავბოლობის ნაყოფი“ კრიტიკული შენიშვნები . . . . . 30 „
8. ფ. მახარაძე—ტფ. ორგანიზაციის 30 წ. არსებობა—25 „
9. ჟურნალ „რევოლიუციის მატიანეს“ ყველა ნომრები.

საქ. კომპარტიის ცეკას პარტისის გამოცემანი.

1. ჟურ. „რევოლ. მატიანე" 1923 წ. №№ 1, 2, 3, 4, 5.
   „ „ „ 1924 წ. „ 1 (6), 2-3 (7-8), 4-5 (9-10).
   „ „ „ 1925 წ. „ 1 (11).
2. ლ. ტროცკი—ლენინი და ძველი „ისკრა".
3. ფ. შემოქმედელი (ფ. მახარაძე)—„უთავბოლობის ნაყოფი" (კრიტიკული შენიშვნები). დაწერილია 1892 წ.—ფ. 30 კაპ.
4. ალბომი—(1917 წლამდე დაღუპულ რევოლიუციონერთა ხსოვნას).
5. ფ. მახარაძე—ტფილისის ორგანიზაციის 30 წლის არსებობა. ფ. 25 კ.

პარტისმა მიიღო შემდეგი გამოცემანი:

1. И. Гелис—Ноябрьские дни в Севастополе 1905 г. „Известия" ЦККП Грузии № 10 Сентябрь-Октябрь 1924 г. (რუსულად და ქართულად).
3. „Пролетарская Революция" №№ 8-9 (31-32), 10 (33), 11 (34), 12 (35)—24 г. № 1 (36) № 2 (37)—25 г.
4. „Революция и РКП (б)" т. 7.
5. „III очередной с'езд РСДРП" 1905 г.
6. „Вперед и Пролетарии" вып. III и IV.
7. И. И. Блюменталь „В. И. Ленин в Самаре".
8. Парфенов—Гражданская война в Сибири 1918—1920 г.
9. „Петерб. Общгород и Всеросс. Конфер. РСДП (б)"
10. „Жизнь Ленина (история РКП)"
11. „Красная Летопись" № 2 (11) 1924 г.
12. А. Шаповалов—По дороге к марксизму (воспом.) части I и II.
13. Е. Бош—Год борьбы.
14. В. Г. Яковенко—Записки Партизана.
15. „Росс. Комм. Парт. (б) в резолюциях ее С'ездов и Конференций" (1896—1924) изд. второе.